

პუტანდილ არაბული

ქართული ძეგვრების კულტურა

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის

მეორე გამოცემა


ქართული
წიგნობა
ქართული
კომპიუტერული
„საბჭოთაო“
თბილისი – 2008

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ის ძირითადი თემატიკა, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ენაზე სწავლებასა თუ, საზოგადოდ, ქართული ენის პრაქტიკულ ფუნქციონირებასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების არსებითად ყველა სპეციალობაზე.

ქართული მეტყველების კულტურის – როგორც მართლწერისა და მართლმეტყველების, ისე სპეციალური ენების ფლობის – მრავალფეროვანი ნორმატიული საკითხებიდან შეირჩა მხოლოდ ის არსებითი მოვლენები და ტენდენციები, რომელთა აქტუალობა და სიმწვავე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების უახლეს ეტაპზეც არ შენელებულა (ზოგჯერ კი გაძლიერდა კიდევ).

სახელმძღვანელოს უპირველეს ყოვლისა აქვს პრაქტიკული პედაგოგიური მიზანდასახულება; ის სამსახურს გაუწევს საგნის სპეციალისტებს, სტუდენტებსა და სათანადო საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირებს.

რედაქტორი – პროფ. ე. ბაბუნაშვილი

რეცენზენტები: პროფ. თ. უთურგაიძე
პროფ. ა. გომართელი

© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

ISBN 99940-32-58-5



შესავალი

1. საგნის არსის განსაზღვრა. მეტყველების კულტურა და საერთო კულტურა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ფაქტობრივ მათი დაარსების დღიდან სხვადასხვა მოცულობითა და შინაარსით იკითხებოდა ქართული ენის პრაქტიკული კურსი. კურსის შინაარსს ტრადიციულად შეადგენდა ის პრობლემატიკა, რომელიც ენის გრამატიკულ აგებულებას კი არა, არამედ სალიტერატურო (ოფიციალური) ენის ფუნქციონირების, მისი პრაქტიკული გამოყენების აქტუალურ საკითხებს მოიცავს. ეს განპირობებული იყო როგორც უმაღლეს სპეციალობათა სპეციფიკური ამოცანებით, ისე იმით, რომ აღსაზრდელთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა, რომელიც ძირითადად თეორიული ხასიათისა იყო, სწავლების ახალ პირობებში პრაქტიკულ (გამოყენებით) განმტკიცებას მოითხოვდა. ამ ამოცანების შესაბამისი პროგრამები, რომლებიც შინაარსობრივად დიდად არ სცილდება ერთმანეთს, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას განსხვავებული სახელწოდებით იყო დამკვიდრებული (პრაქტიკული სტილისტიკა, ფუნქციური სტილისტიკა, მართლწერა, მართლმეტყველება, ქართული ენის პრაქტიკული კურსი, მეტყველების კულტურა...).

აღნიშნული პრაქტიკული კურსის სწავლებას განსაკუთრებით სისტემური ხასიათი მიეცა 1978 წლის 14 აპრილის შემდგომ, როცა ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციების კონსტიტუციური შეზღუდვის მცდელობას ახალგაზრდობის მძაფრი პროტესტი მოჰყვა. მართალია, მაშინ მოსკოვმა ამ საკანონმდებლო „რეფორმაზე“ ხელი აიღო, მაგრამ, სამაგიეროდ, გააძლიერა ოფიციალური ზეგავლენა რუსული ენის ფუნქციონირების გაფართოებისათვის რესპუბლიკებში.

ცენტრის ამ მცდელობის საპასუხოდ ზოგი ღონისძიება დაისახა საქართველოს მაშინდელ რესპუბლიკაშიც. აღნიშნული მოვლენების ერთი წლის თავზე, 1979 წლის 10 აპრილს, გამოიცა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების ბრძანებულება, რომლის თანახმადაც „ქართული მეტყველების კულტურა“ სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა სპეციალურ ფაკულტეტსა და სპეციალობაზე. ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების მიზნით ანალოგიური დადგენილება 1983 წელსაც იქნა მიღებული. ამგვარად დამკვიდრდა ქართული ენის პრაქტიკული

სწავლება საყოველთაოდ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და მისი სრულფასოვანი სწავლების ამოცანებს განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზას დაადგა და ახალმა საშინაო ვითარებამ და საგარეო კავშირ-ურთიერთობებმა სრულიად ახალი პრობლემების წინაშე დააყენა მთელი ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა, კერძოდ კი – ეროვნული უმაღლესი სკოლა. ამ ახალმა ვითარებამ ასევე სრულიად ახალი პირობები შესთავაზა სახელმწიფო ენას როგორც მისი პოლიფუნქციურობის, ისე საერთო სამეტყველო კულტურისა თუ სპეციალური ენების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამგვარად, იმ სპეციალურ პრაქტიკულ დისციპლინას, რომელიც სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტი ახალგაზრდობის თანამედროვე ქართული ენის უნიფიცირებულ ნორმათა ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვას ემსახურება და რომელიც მოიცავს მთელ იმ პრობლემატიკას, რაც ცალკეულ დარგებსა და სპეციალობებში სალიტერატურო ენის ფუნქციონირებას უკავშირდება, ყველაზე უფრო შეეფერება სახელწოდება „მეტყველების კულტურა“.

მეტყველების კულტურა ფართო (უნივერსალური) საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური შინაარსის ცნებაა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს პიროვნებისა და საზოგადოების საერთო ენობრივი ჯარემოს მონესრიგებულობას, სახელმწიფო ენის (და სხვა ენაკილოთა) მიმართ განსაზღვრულ უფლება-მოვალეობით წესრიგს, ერთგვარ სოციოლინგვისტურ ჰარმონიას.

უფრო ვიწრო შინაარსით მეტყველების კულტურა გულისხმობს პიროვნების მიერ იმ ენობრივი ნორმების ფლობას (ცოდნასა და გამოყენებას), რომლებიც სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისი დონისათვის არის მიღებული და სავალდებულო.

მეტყველების კულტურის გაგება, ბუნებრივია, შინაარსობრივად უკავშირდება და განუყოფელია იმ საზოგადოების (ხალხის, ქვეყნის) საერთო სულიერი და ყოფითი კულტურისაგან, რომლის ნიაღშიც ის ყალიბდება და ფუნქციონირებს; სხვაგვარად: მეტყველების კულტურის წარმოდგენა საერთო კულტურისაგან იზოლირებულად პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. ისინი მუდმივად განიცდიან ურთიერთგავლენას და განაპირობებენ ერთმანეთის კონკრეტულ მდგომარეობას. განსაკუთრებით ეს ითქმის შედარებით უფრო არამდგრად ფენომენზე – ყოფით კულტურაზე.

ამგვარად, მეტყველების კულტურა საერთო კულტურასთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული, ერთიან კულტურულ კონტექსტს გულისხმობს.

რა არის ეს „საერთო კულტურა“?

კულტურის ცნება, თავისთავად, ფართო შინაარსის შემცველია, იმდენად, რომ მის განსაზღვრებათა შორისაც კი ვერ ვიპოვით ერთგვაროვნებას (თვით შესაბამისი ლათინური სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობაშივე არის ამისი საფუძველი: *Cultura* – *დამუშავება, მოვლა, განათლება, განვითარება*). წარმოდგენის სისრულისათვის მთლიანად დავიმოწმებთ ამ ტერმინის ერთ-ერთ ყველაზე ლაკონიურ ახსნას „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“:

კულტურა – 1. საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში; ამ მიღწევათა გამოყენების უნარი წარმოების გასაზრდელად და სხვა. 2. რომელიმე ხალხის ან საზოგადოებრივი კლასის ასეთ მიღწევათა დონე გარკვეულ ეპოქაში. 3. სამეურნეო ან გონებრივი მოღვაწეობის, რაიმე დარგის განვითარების დონე, ხარისხი, მაგ.; შრომის კულტურა. მეტყველების კულტურა. 4. განათლებულობა, ნაკითხობა; ზრდილობა. 5. განათლებული ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცხოვრების პირობების ერთობლიობა. მაგ. ყოფა-ცხოვრების კულტურა. 6. რაიმე მცენარის მოყვანა, გაშენება; კულტივირება. მაგ. კარტოფილის კულტურა. 7. ადამიანის მიერ გაშენებული მცენარე. მაგ.: მარცვლეული კულტურები; სუბტროპიკული კულტურები. 8. ლაბორატორიულ პირობებში რაიმე საკვებ გარემოში მოშენებული მიკროორგანიზმები. მაგ. სტრეპტოკოკების კულტურა. **მატერიალური კულტურა** – წარმოების საშუალებათა და მატერიალური დოვლათის ერთობლიობა, რომელიც იქმნება ადამიანის შრომით საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე.

ამდენად, კულტურის ცნების მრავალპლანიანობა სრულიად აქარაა. ამ შინაარსის ერთ-ერთ ასპექტს გულისხმობს ის, რაც ენას, მტყველებს უკავშირდება, ანუ იგივე **მეტყველების კულტურა**.

როდესაც საერთო კულტურასთან მეტყველების კულტურის მიმართებაზე ვლაპარაკობთ, ამაში უპირველესად მის (საერთო კულტურის) ორ მხარეს – სულიერ კულტურასა და ყოფით კულტურას ვგულისხმობთ.

სულიერ კულტურად ამ შემთხვევაში გაიგება ის მნიშვნობრული მემკვიდრეობა, რომელიც დროთა განმავლობაში იქმნება უშუალოდ ამა თუ იმ ენის საფუძველზე და რომელიც ხანგრძლივად (შეიძლება ითქვას, სამუდამოდ) განსაზღვრავს ამ ენის მომავალ განვითარებას.

ყოფითი კულტურა კი იმ საყოფაცხოვრებო ვითარებას, პირობებსა და დონეს გამოხატავს, რომელიც ასევე კონკრეტულ საზოგადოებას კონკრეტული დროისათვის ექმნება ისტორიული ვითარებისა თუ მატერიალური და სოციალური გარემოს ცვლის შედეგად.

როგორც ითქვა, საერთო კულტურის ამ ორსავე მხარეს დიდი ზეგავლენა აქვს მეტყველების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამავე დროს, მათი როლი ამ თვალსაზრისით სრულიად არაერთგვაროვანია. თუ სულიერი კულტურა საკმაოდ მკვიდრი და სტაბილური ფენომენია ერის (ქვეყნის) ყველანაირი ცხოვრებისა და აქტივობის, მათ შორის, მეტყველების კულტურის ფორმირების თვალსაზრისით, ყოფითი კულტურა შედარებით სწრაფად ცვალებადი, გარემო პირობებს მეტად დაქვემდებარებული მოვლენაა, რომელსაც შეუძლია როგორც ხელშემწყობი პირობები შეუქმნას მეტყველების კულტურის საერთო განვითარებას, ისე, განსაკუთრებით, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს უკვე ჩამოყალიბებულსა თუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამეტყველო კულტურასა და მენტალიტეტზე.

საზოგადოების განვითარების კანონზომიერება ადასტურებს, რომ შეიძლება ქვეყანას (ერს) დიდი სულიერი მემკვიდრეობა ჰქონდეს, მაგრამ კონკრეტული დროის შესაბამისი მისი ყოფითი კულტურა დაბალი და შეუფერებელი იყოს. ამავე დროს, ყოფამ შეიძლება ზოგჯერ მეტად განაპირობოს ის პროცესები, რომლებიც ცოცხალ ენაში მუდმივად და ყოველ კონკრეტულ პერიოდში მიმდინარეობს, ვიდრე მკვიდრმა მნიგნობრულმა ტრადიციამ, რომელსაც ზოგჯერ ისტორიულ ძნელბედობათა ჩრდილი მიადგება ხოლმე.

ამიტომაც არის, რომ ცოცხალი, აქტიურად მოქმედი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი ვერასოდეს მიიჩნევა დასრულებულად და ის მუდმივად მოითხოვს სახელმწიფოს, საზოგადოების ზრუნვასა და ყურადღებას.

ეს განსაკუთრებით ითქმის ენათა თანამედროვე მდგომარეობაზე, როცა არა მარტო შინაგანი ენობრივი პროცესები, არამედ ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე, სწრაფგანვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია ობიექტურად ართმევს ცალკეულ ენებს თავისთავადი, სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების, კერძოდ კი – მეტყველების კულტურის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხათა უამს, როდესაც სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალ-

საზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ სულ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე.

შეიძლება ითქვას, რომ იმ შინაგანმა პროცესებმა, საგარეო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ინტენსიურმა გარდაქმნამ, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ორიენტაციის ცვლას მოჰყვა საუკუნეთა მიჯნაზე, იმ ცვლილებებმა, რაც ჩვენს კულტურასა, ყოფასა და განათლებაში მიმდინარეობს, განსაკუთრებით დააჩქარა თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და, ამდენადვე, მეტად აქტუალური გახდა მეტყველების კულტურასთან დაკავშირებული პრობლემები.

ტერმინი „მეტყველების კულტურა“ იმითაც არის შინაარსობრივად ტევადი, რომ მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი (მეტყველება) შემცველია ენის საკომუნიკაციო გამოვლენის ორივე ძირითადი ფორმისა – ზეპირ მეტყველებისა და წერიტი მეტყველებისა. ამოცანები, რომელთა გადანწყვეტა „მეტყველების კულტურის“ სასწავლო კურსს ეკისრება, მეტყველების ორსავე ამ ფორმასთან არის დაკავშირებული და მათ უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

რაკი ზემოთ მენტალიტეტის ცნება მოვიშველიეთ (ტერმინი, რომელიც ერთი-ორი ათეული წლის წინ საერთოდ არ გამოიყენებოდა ჩვენში, დღეს კი ასეთი აქტუალური გახდა), ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით მისი შინაარსიც განვმარტოთ: მენტალიტეტი პიროვნების ფართო სოციალურ და ადამიანურ დამოკიდებულებათა სისტემაა. რადგანაც ადამიანის ცნობიერებისა და დამოკიდებულებათა სისტემა მთლიანად ენობრივ საფუძველზე ყალიბდება, ბუნებრივია, ეს ცნება უპირველესად ენობრივად განესაზღვროთ, ენობრივ თვითცნობიერებას დავუკავშიროთ; შესაბამისად, უნინარესად ენობრივი კუთხით დავინახოთ ის პროცესები, რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ გარდატეხათა ჟამს არა მხოლოდ ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოების დამოკიდებულებათა სისტემაში, ანუ მენტალიტეტში ხდება.

2. „ქართული მეტყველების კულტურის“ კურსი

„ქართული მეტყველების კულტურის“ კურსი არის საუნივერსიტეტო დისციპლინა, რომელიც იკითხება ყველა საუნივერსიტეტო (resp. უმაღლესი სასწავლებლის) ფაკულტეტისა და სპეციალობაზე, გარდა ფილოლოგიის ფაკულტეტისა, ჩვეულებისამებრ, ორი სემესტრის განმავლობაში (ორი კრედიტის მოცულობით).

„ქართული მეტყველების კულტურა“ არის პრაქტიკული მიზანდასახულების ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც ემსახურება ქართული სალიტერატურო ენის პრაგმატული ცოდნის განმტკიცებასა და გაღრმავებას განათლების უმაღლეს საფეხურზე, კონკრეტული პროფესიული მიმართულების მოთხოვნათა შესაბამისად.

მეტყველების კულტურა, როგორც დისციპლინა, მუდმივად აკვირდება და შეისწავლის სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს, ემყარება მიმდინარე ენობრივ პოლიტიკას და მის კონკრეტულ საკანონმდებლო და ნორმატიულ შედეგებს და შეიმუშავებს რთული ენობრივი პრობლემების სპეციალური ფაკულტეტების მსმენელებამდე მიტანის მეთოდებსა და ხერხებს. შესაბამისად, შესასწავლი და პრაქტიკულად დასამუშავებელი საკითხების შერჩევას ეკიდება მიზანმიმართულად, აუდიტორიის პროფესიული ორიენტაციისა და დასამუშავებელი საკითხების აქტუალურობის გათვალისწინებით.

საგნის სწავლების პროფესიულ, სპეციალურ ტენდენციებზე აქცენტი კეთდება იმიტომ, რომ შესაბამის სასწავლო ამოცანებში აქტიურად შემოდის შესაბამისი დარგის სპეციალური ენის, ტერმინოლოგიის, დამახასიათებელი სტერეოტიპებისა და კლიშეების პრობლემები და საკითხები.

მეტყველების კულტურის კურსს აქვს საერთო ვრცელი პროგრამა, რომელიც მოიცავს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების არსებითად ყველა აქტუალურ საკითხს თანამედროვე დონეზე; ამავე დროს, ეს პროგრამა შესაძლებლობას იძლევა სასწავლო ამოცანებს მიესადაგოს ცალკეული დარგისა და სპეციალობისათვის ნიშანდობლივი პრობლემატიკა.

ამდენად, მეტყველების კულტურის კურსი ძირითადი პროგრამის საფუძველზე მოითხოვს თავისუფალ, შემოქმედებით მიდგომას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს საერთო ენობრივი ვითარების რეალურ შეფასებას, ამა თუ იმ სპეციალობის საკუთრივ ენობრივი საკითხების წინ წამოწევის, მათს აქტიურ ჩართვას სწავლების პრაქტიკულ მიზნებსა და ამოცანებში.

მეტყველების კულტურის სპეციალური კურსი არის სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რამდენადაც ემსახურება და ხელს უწყობს სახელმწიფო ენის დამკვიდრებასა და განვითარებას, მის სრულფასოვან ფუნქციონირებას ისეთ უმნიშვნელოვანეს უბანზე, როგორც განათლების სფეროა, იქ, სადაც საფუძველი ეყრება ქვეყნისათვის სასიცოცხლო არსებითად ყველა პროფესიულ მიმართულებას. კურსი ითვალისწინებს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც თანამედროვე შეუქცევადი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინფორმაციული პროცესები უყენებს ყოველი კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული დისციპლინის განვითარებას სახელმწიფო ენის საფუძველზე.

ამგვარად, მეტყველების კულტურა, წინამდებარე სასწავლო კურსის მიხედვით, კონკრეტული პრაქტიკული მიზანდასახულების დისციპლინაა, რომელიც ემსახურება სკოლაში მიღებული ენობრივი უნარ-ჩვევების დახვეწა-ჩამოყალიბებას. კურსი მოიცავს აქტუალურ საკითხებს ორთოგრაფიის, ორთოეპიის, პრაქტიკული სტილისტიკის, ტერმინოლოგიის სფეროებიდან. სალიტერატურო ენის პრაქტიკული ფლობის უნარ-ჩვევების განმტკიცებასთან ერთად, საგანგებო ყურადღება ექცევა შესაბამისი საბაზო სპეციალობის პროფესიული ენისა და მისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის დამუშავებასა და შესწავლას. ეს კურსი, როგორც დისციპლინა, მჭიდროდ უკავშირდება რამდენიმე ფილოლოგიურსა და ჰუმანიტარულ სანგანს: სალიტერატურო ენის ისტორიას, გრამატიკას, ზოგად სტილისტიკას, პრაქტიკულ სტილისტიკას, ლექსიკოლოგია-ტერმინოლოგიას, ეთიკას, ესთეტიკას და სხვ.

3. მეტყველების კულტურა და ნორმა

მეტყველების კულტურის ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს ნორმა, როგორც შეგნებული ენობრივი პოლიტიკის რეალური, კონკრეტული შედეგი. ამავე დროს, ამ ცნების შინაარსი არ შემოიფარგლება ენის ფუნქციონირების რომელიმე ერთი ასპექტით; იგი გულისხმობს ენის როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკოლოგიურ, სტილისტიკურ, ფონეტიკურ-ორთოეპიულ დონეს, ენის მთელ საკომუნიკაციო გამოვლენას, დანყებული ტექსტით და დამთავრებული ინტონაციამოდალობით. ამდენად, ამგვარად გაგებული ნორმის ცნება მეტყველების კულტურის არსებით შინაარსს გამოხატავს.

როდის და როგორ ყალიბდება ენაში ნორმა?

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული ნორმები ენის წიაღში სტიქიუ-

რად ყალიბდება თვით კილოთა და კილოკავთა ურთიერთმიმართების დონეზე, ანუ მნიგნობრული ტრადიციის გარეშე. ამის დასტურია ინტერდიალექტური „ენების“ არსებობა, კოინეს ჩამოყალიბების ტენდენცია ეროვნული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე და მისთ. მაგრამ ნორმის ის გაგება, რომელიც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, მნიგნობრულ ენასთან არის უშუალოდ დაკავშირებული.

ამ თვალსაზრისით ნორმატიულია პირველივე მნიგნობრული ძეგლი (იქნება ეს ეპიგრაფიკა, ორიგინალური თხზულება თუ თარგმანი), რამდენადაც, ჯერ ერთი, ამ ძეგლის შემქმნელი, ყოველგვარი წინარემნიგნობრული კოინეს არსებობის გარეშეც, ცოცხალი ენის მრავალვარიანტულობიდან არჩევანს აკეთებს უფრო ძირითადად, სოციალურად უპირატესზე; არჩევანი კი უკვე ნორმატიული აქტია. მეორეც: პირველივე მნიგნობრული ძეგლი თავისთავად ამკვიდრებს იმ „ნორმას“, რომლის არჩევანსაც აკეთებს. ეს „დამკვიდრება“, ცხადია, „ამრჩევის“ მხრიდან არ არის გამიზნული და იმპერატიული, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველმა მომდევნო ავტორმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ენობრივი გამოცდილება, ანუ ტრადიციად აქციოს ის.

ენობრივი ტრადიცია მნიგნობრობაში, თავისთავად, ნორმატიული მოვლენაა.

როდესაც ამ თვალსაზრისით ქართულ მნიგნობრულ ტრადიციას ვაფასებთ, არაერთი კითხვა იჩენს თავს. კერძოდ: თითქმის არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი ნიშნები, რომ ქართული ქრისტიანული მნიგნობრობის პირველ ძეგლებში ნორმათა შემუშავების პროცესი სტიქიურად, „ტრადიციისა“ და „გამოცდილების“ დონეზე მიმდინარეობდეს. ფაქტი ის არის, რომ უადრესი ეპიგრაფიკული და ხანმეტი მნიგნობრული ძეგლები იმ სალიტერატურო ენით არის შექმნილი, რომელიც არსებითად მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას. უფრო სწორად, ხანმეტობის გარდა, ქართული მნიგნობრობის დასაწყისიდან ძველ ქართულ სალიტერატურო ენას რაიმე შესამჩნევი ნორმატიული ცვლილება არ განუცდია.

ახალშექმნილ მნიგნობრობაში ამგვარი რამ ობიექტურად თითქმის შეუძლებელია, რამდენადაც სამნიგნობრო ენის საბოლოო ჩამოყალიბება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამიტომაც აყენებს ეს მონაცემები დილემის წინაშე ქართული მნიგნობრობის გენეზისის მკვლევართ.

ნორმატიული უნიფიკაციის („გაერთგვაროვნების“) მიღწევა მით უფრო წარმოუდგენელია მხოლოდ მნიგნობრული პრაქტიკის დონეზე, ნორმის თეორიული საფუძვლების შემუშავების, მიზანმიმართული

ნორმალიზაციის გარეშე. ამგვარი ნორმალიზატორული პოლიტიკა კი მნიგნობრობის საწყის ეტაპზე, ჩვეულებისამებრ, არ არსებობს. ის მხოლოდ „გამოცდილებათა“ დაგროვებისა და განზოგადების შედეგად მიიღწევა.

როდღიდან უნდა ვივარაუდოთ ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ნორმატიული პროცესებისადმი?

როგორც ცნობილია, მშობლიური ენის პირველ „თეორეტიკოსებად“, დედაენის შესაძლებლობათა პირველ მკვლევრებად, ქრისტიანული მნიგნობრული ტრადიციის თანახმად, გვევლინებიან ის მთარგმნელები, რომელთაც კისრად იღეს ოფიციალური, კანონიკური საღვთისმეტყველო ტექსტების გადმოღება. ტექსტის კანონიკურობა ენის კანონიკურობასაც მოითხოვს და ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ეს კანონიკური ენა საკმაოდ ადრე შემუშავებულია ქართულ ქრისტიანულ მნიგნობრობაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის გარკვეული თეორიული დამოკიდებულება ნორმატიული პროცესებისადმი უკვე არსებობს. თუმცა ამისი პირდაპირი გამოხატულება, თვით თარგმანების ენის გარდა, დოკუმენტურად არ მოგვეპოვება. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ძველ ქართულ სამონასტრო კოლონიებში, ტაოკლარჯულ, იერუსალიმურ, ათონურ, გელათურ სკოლებში შემუშავებული უნდა ყოფილიყო მწყობრი ნორმატიული მიდგომა მნიგნობრული ენისადმი. ამ თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს იკავებს ის ლექსიკოგრაფიული მუშაობა, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურებული ჩანს X-XI საუკუნეებისათვის და რომლის შედეგებიც ნაყოფიერად გამოვლინდა ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიჩის ნამოღვაწარში...

ლექსიკოგრაფიას რომ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა მნიგნობრული ენის ჩამოყალიბების პროცესში, ამისი პირდაპირი დასტურია სულხან-საბა ორბელიანის „ანდერძნამაგი“, რომელსაც იგი თავის „სიტყვის კონას“ წაუძღვარებს და რომელშიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ქართული ენის „გარყვნა“ (ანუ ტრადიციულ ნორმათა დარღვევა) ლექსიკონის დაკარგვის ბრალი ყოფილა: *„რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილი იყო... ვინათგან პატიოსანი ესე ნიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“*.

როცა ენობრივ ნორმებზე, შეგნებულ ნორმალიზაციაზე ვსაუბრობთ, ცხადია, აქ უპირველეს საფუძვლად ამ ენის გრამატიკული აგებულების თეორიული ცოდნა იგულისხმება, რამდენადაც ნორმა უწინარესად სისტემური მონაცემია. ენის სისტემური კვლევის, ანუ ნორმის თეორიული გააზრების თვალსაზრისით უადრეს დოკუმენტურ

წყაროდ ჯერჯერობით უნდა მივიჩნიოთ XI საუკუნის უცნობი ავტორის გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუაი ართრონთათჳს“, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლა და გამოსცა პროფ. მ. შანიძემ. როგორც ამ გამოცემის წინასიტყვაობაში აკად. ა. შანიძე აღნიშნავს, თხზულება „მონმობს, რომ ძველი მნიგნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში, იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც“.¹

სრულიად აშკარაა, რომ როგორც აღნიშნულ ტრაქტატამდე, ისე მის შემდგომაც სერიოზულად მიმდინარეობდა ქართულის, როგორც სალიტერატურო ენის, შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. თუმცა ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანის შემდგომმა პერიოდმა ეს პროცესიც დიდად შეაფერხა და ბევრი რამ უკვე მიღწეულიც იავარქმნა.

ენობრივი პროცესებისადმი შეგნებული, მიზანმიმართული დამოკიდებულება მხოლოდ აღორძინების ხანისათვის, ანტონ კათალიკოსისა და სულხან-საბას ეპოქისათვის იჩენს თავს. ამ ეპოქის შემდგომ მონაცემებს ცოტა ქვემოთ შევხებით.

4. ქართული მწიგნობრობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემა

ქართული მეტყველების კულტურის ობიექტური საფუძველია საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სალიტერატურო ენა, რომელიც, როგორც საგანძური, თავისთავში შეიცავს და ინახავს ყოველივე საუკეთესოს, რაც ერის სულიერ კულტურას და გამოცდილებას ისტორიულად შეუქმნია. მეტიც, შეიძლება ითქვას, ეს მემკვიდრეობა არის ის მკვიდრი საფუძველი, რომლის ნიაღშიც იღებს სათავეს ენის განვითარების, თვითგანახლებისა და თვითსრულყოფის ფაქტობრივ უშრეტი პოტენცია.

როგორც ითქვა, სალიტერატურო ენა მნიგნობრობის პროდუქტია; იგი იქმნება მნიგნობრობის განვითარების საფუძველზე (მიზეზით) და იმავე მნიგნობრობის განვითარების მიზნით. აქ მიზეზი და მიზანი მართლაც კვეთენ ერთმანეთს: სალიტერატურო ენის ისტორია მნიგნობრობის გაჩენით იწყება.

¹ მზ. შანიძე, სიტყუაი ართრონთათჳს — ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990, გვ. 6.

როდიდან შეიძლება დაინყოს ქართული მნიგნობრობის ისტორიის ათელა?

ცხადია, იმ პირველი წერილობითი ძეგლებიდან, რომლებიც გვამცნობენ, რომ ქრისტიან ქართველებს V საუკუნის დასაწყისიდან მაინც გადაუწყვეტიათ საკუთარი ისტორიული წარსულის აღნუსხვა.

სწორედ V საუკუნეს განეკუთვნება პირველი ქართული წერილობითი ძეგლები:

1. პალესტინის ქართული მონასტრის წარწერა, თარიღდება 432-452 წლებით.


იკითხება (ერთ-ერთი ფრაგმენტი): *შენეენითა ქრისტეისითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეისითა შეინყალენ ანტონი აბაჲ და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამა-დედაჲ იოსიაჲსი, ამენ.*



პალესტინის მოზაიკური წარწერის ფრაგმენტი


2. ბოლნისის სიონის წარწერა, თარიღდება 492-493 წლებით.

იკითხება (ერთ-ერთი ფრაგმენტი): *ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაყვანის-მცემელნი შეინყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შეხენიე, ი"ი.*



ბოლნისის სიონი: დავით ეპისკოპოსის წარწერა

3) ხანშეტი პალიმფსესტები, რომლებიც V-VI საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის; მათში ბიბლიის ქართული თარგმანის ფრაგმენტები



ხანმეტი პალიმფსესტის ფრაგმენტი

ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა. პალიმფსესტი ნიშნავს ერთხელ გადაფხეილსა და სანერად მეორედ გამოყენებულ პერგამენტს (ტყაეს). ამ ქართული ხელნაწერის ფურცლები მეორედ გამოყენებით ებრაული თალმუდის გადასანერად.

4. V საუკუნის მეორე ნახევრით (475-483) თარიღდება ქართული აგიოგრაფიის შედევრი – იაკობ ცურტაველის „შუშანიკის—წამება“, თუმცა მისი ავტოგრაფი ან ადრინდელი ნუსხა შემორჩენილი არ არის, ამიტომაც მის პირვანდელ ენობრივ თავისებურებაზე სრული წარმოდგენის შექმნა ძირს.

როგორც ვხედავთ, ქართული მნიგნობრობის დღემდე შემორჩენილი ძეგლები ზუსტად ემთხვევა და ასახავს ქრისტიანული კულტურის დამკვიდრებას საქართველოში.

საზოგადოდ, ქართული სალიტერატურო ენის დოკუმენტურად თვალხილული ისტორია იმავე დროს ქართული ქრისტიანული მნიგნობრობის ისტორიაა. მაგრამ არის თუ არა ჩვენამდე მოღწეული უადრესი ძეგლები იმავე დროს ქართული დამწერლობის პირველი ნიმუშები – ეს ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი კითხვაა. კერძოდ, საკითხი ასე დაისმის: იქნებ ქრისტიანობამდეც არსებობდა ქართული დამწერლობა და ის ქრისტიანულმა კულტურამ მემკვიდრეობად მიიღო?

სანამ ამ კითხვის მოტივებზე შევჩერდებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიკვეთოს ორი განსხვავებული პოზიცია და რამდენიმე მეცნიერული თეორია.

ძირითად პოზიციათაგან პირველს შეიძლება ვუწოდოთ მკაცრად რელიგიურს; მისი თეზისია: ფაქტია ის, რაც არის. ლოგიკა: ჩვენი დამწერლობის უადრესი ნიმუშები არის ქრისტიანული შინაარსისა და დანიშნულებისა, ამდენად, ქართული მნიგნობრობა ქრისტიანულ საფუძველზე არის წარმოშობილი.

აი, რას ნერდა კ. კეკელიძე: „მეთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა (ეს უადრესად მნიგნობრული რელიგია), დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მნიგნობრობის შემოღებისა. ქართული დამწერლობა უნდა შექმნილიყო ახ. წ. 420-22 წწ-ში ქრისტიანული ეკლესიის ინიციატივით“.

პერსონალური თვალსაზრისით ეს პოზიცია შეიძლება მოეხსენ-
ოთ, როგორც აკად. კ. კეკელიძის ხაზი.

მეორე პოზიციას შეიძლება ვუნოდოთ რეალისტურ-ჰიპო-
თეტური. მისი თეზისი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ის, რაც არის,
შეუძლებელია დასაწყისი იყოს. მისი ლოგიკაც რეალურ, ემპირიულ
მონაცემებს ეყრდნობა, მაგრამ ჰიპოთეტურია იმდენად, რამდენადაც
ვარაუდების საფუძველზე აღადგენს შესაძლებელს. ეს „შესაძლებელი“
კი არის ქრისტიანობამდელი მნიგნობრობის არსებობა.

ამ პოზიციას შეიძლება ვუნოდოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის ხაზი.

რა რეალური მონაცემები უდევს ამ უკანასკნელ პოზიციას სა-
ფუძველად?

შევჩერდეთ რამდენიმე არსებით მომენტზე:

1. ქრისტიანული მნიგნობრობის უადრეს ძეგლებში სალიტერა-
ტურო ენა უკვე შემუშავებული ჩანს, რისთვისაც, ჩვეულებისამებრ,
საუკუნეებიც კი არის ხოლმე საჭირო. მაგალითად, თანამედროვე ქარ-
თული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ილიას თაობიდან
მოკიდებული, უკვე მეორე საუკუნეა გრძელდება. და ეს მაშინ, როცა
დღევანდელი პირობები ენის ნორმატიული უნიფიკაციისათვის შეუ-
დარებლად უკეთესია.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვარაუდი, რომ ქრისტიანულმა
კულტურამ სალიტერატურო ენა, როგორც მზა პროდუქტი, ისე მიიღო
წინამავალი ეპოქისაგან.

2. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი
უცნაური ფაქტი:

როგორც ითქვა, ქრისტიანული მწერლობის ენა არსებითად უცვ-
ლელი და მონოლითურია ლამის მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში
– V-XI საუკუნეებში. მაგრამ ამ თვალსაზრისით გამოიკვეთება ერთი
ისეთი კარდინალური ცვლილება, რასაც მთელი რედაქციული ცვლი-
ლებებიც კი დასჭირდა კანონიკური ქრისტიანული ტექსტების თარგ-
მანებში. ეს არის ხანმეტობის მოშლა, მისი შეცვლა ჰაემეტობით, შემ-
დეგ კი (მაღევე) ე. წ. სანნარევი ენით. განსაკუთრებით საყურადღებო
ის არის, რომ ეს მოშლა ხანმეტი ნორმისა თვალსაჩინო ჩანს უკვე მეე-
ქვსე საუკუნისათვის, ანუ ჯერ კიდევ „ახალფეხადგმულ“ სალიტერა-
ტურო ენაში.

თუ ეს „ახალი“ სალიტერატურო ენა, ლოგიკურად, არსებულ ენო-
ბრივ ვითარებას ემყარებოდა (უდამწერლობო ენაში სხვაგვარად
შეუძლებელია), მაშინ როგორღა მოხდა ესოდენ სწრაფად ასეთი ძი-
რეული ცვლილება? (ამის ახსნას მნიგნობრული ცენტრის ცვლით თუ
დიალექტურ არეალთა განსხვავებით ობიექტური საფუძველი არ
უჩანს).

ამიტომაც გარდაუვალია ვარაუდი: ხომ არ არის ეს „ხანმეტობა“ მემკვიდრეობითი ნორმატიული ტრადიცია, რომელიც ქრისტიანულმა მნიგნობრობამ დაფუძნებისთანავე შეუსაბამა რეალურ ენობრივ ვითარებას და სწორედ ამით გამოავლინა თავისი პირველი რადიკალური პოზიცია ენობრივი პოლიტიკის სფეროში? (ამ პოზიციიდან დანახული, ეს იქნებოდა „ძველი ენის“ ქრისტიანიზაციის, ანუ ქრისტიანული რეფორმის ერთი [resp. ერთადერთი] ნიშანდება).

3. ქართული დამწერლობის უადრესი ძეგლები, როგორც ხელნაწერები, ისე – განსაკუთრებით – ეპიგრაფიკა, იმდენად არის ჩამოყალიბებული შესრულების ოსტატობის თვალსაზრისით, რომ ბუნებრივად ფანტავს ეჭვს მათ შემსრულებელთა „დამწყებობის“ შესახებ. თუ ზემოთ მოყვანილ უადრეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს (პალესტინისა და ბოლნისის სიონის წარწერებს) ამ თვალთ შეხედავს ადამიანი, შეუძლებელია იფიქროს, რომ ისინი „დამწყების“ ნაცოდელიარია და არა – მაღალი ხელოვნების ნიმუშები.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ თვალსაზრისით რელიეფური მონუმენტური ეპიგრაფიკა, რომელთა რიგსაც ბოლნისის სიონის ერთ-ერთი უადრესი წარწერა ეკუთვნის. მისი გამორჩეულობა იმაში მდგომარეობს, რომ რელიეფური წარწერის შესრულება ეპიგრაფიკის უმაღლეს ტექნიკას გულისხმობს: ამ დროს ასოთა გრაფიკული ხაზები კი არ ამოიჭრება (ამოიკანრება) ქვაში, არამედ სწორედ ამ ხაზების ზედაპირი რჩება ხელშეუხებელი, ხოლო მათ გარშემო ქვა ამოიჭრება ისე, რომ ასოების მოხაზულობამ რელიეფურად ამოიწიოს ზემოთ.



ნეკრესის ერთ-ერთი (ხანმეტი) სტელა

საყოველთაო გამოცდილებით, რელიეფური ეპიგრაფიკის ჩამოყალიბება ხანგრძლივ განვითარებას მოითხოვს, მისი ტექნიკის დაუფლებამდე ისეთივე გზაა გასავლელი, როგორიც კლდეზე მხატვრობიდან – ბარელიეფამდე და ბარელიეფიდან – მრგვალ ქანდაკებამდე.

აი, ეს მოსაზრებები (და ზოგი სხვაც) ავალდებულებს თანამედროვე მკვლევართ, ისტორიის სიღრმეს ვარაუდითა და მოლოდინით მიაპყრონ თვალთ.

აქვე ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებობს არაერთი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური

მონაპოვარი, რომელთა დაკავშირება ქრისტიანულ მემკვიდრეობასთან არ ხერხდება. ეს განსაკუთრებით შეეხება ნარწერების მთელ კომპლექსს ნეკრესის ნარმართული საკულტო ძეგლების ტერიტორიიდან, რომელთაც ამ არქეოლოგიურ ძიებათა ხელმძღვანელი – პროფ. ლ. ჭილაშვილი – ამ არეალის ქრისტიანობამდელ ვითარებას უკავშირებს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხერხდება ამ მონაპოვრების ზედმინევიანი დათარიღება ეპიგრაფიკულ და ფაქტოლოგიურ საფუძველზე.

ახლა ქართული დამწერლობის ნარმოშობის თეორიების შესახებ.

ცნობილია რამდენიმე გამოკვეთილი თეორია:

1. **ბერძნულობის თეორია:** ეს თეორია იმ პოზიციის გამოხატულებაა, რომელსაც ჩვენ პირველი (რეალისტური) ვუწოდებთ. ეს თვალსაზრისი, აღნიშნულ მნიგნობრულ მონაცემებთან ერთად, ემყარება ანბანის ასოთა რიგის თანხვედრას ბერძნულთან და ზოგი ასო-ნიშნის (ვთქვათ – ორნიშნა α -ს) ანალოგიურობას. ამ თეორიის თანახმად, ქართული დამწერლობა უნდა შექმნილიყო ბერძნულის საფუძველზე არაუადრეს IV საუკუნისა ქრისტეს შემდგომ. ამ პოზიციის განმასახიერებელნი არიან ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, ვ. ბოლდერი და სხვანი.

2. **ფინიკიურობის, ანუ ე. წ. სემურის თეორია:** ამ თეორიის თანახმად, ქართული დამწერლობა უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ ფინიკიური დამწერლობისაგან, რომელიც არის პირველსაწყისი არსებითად ყველა ანბანური დამწერლობისა, მათ შორის – ბერძნულისა (აქვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში ათასამდე დამოუკიდებელი დამწერლობა არსებობს, მათ შორის – ქართული). ამდენად, ამ თეორიის მიხედვით, ფინიკიურისაგან – ბერძნული და ბერძნულისაგან ქართული კი არ ნარმოიშვა (როგორც ეს წარმოდგენილია პირველი თეორიის მიხედვით), არამედ ბერძნულიც და ქართულიც ერთნაირად მომდინარეობს ფინიკიურისაგან. ეს თეორია ქართული დამწერლობის ნარმოშობას ქრისტიანობამდელ ეპოქაში (სავარაუდოდ, ფარნავაზის დროს) ვარაუდობს. ამ თეორიის წარმომადგენლები არიან ივ. ჯავახიშვილი, რ. პატარიძე და სხვანი.

ამ მიმართულებას უჭერს მხარს ე. წ. არმაზული თეორია, რომელიც მცხეთაში, არმაზის გათხრებზე აღმოჩენილ ბილინგვას (ორენოვან ნარწერას) ემყარება. ბილინგვა ბერძნულად და არამეულად არის შესრულებული ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე. რაც მთავარია, არამეული დამწერლობა აქ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი; მას აკად. გ. წერეთელმა არმაზული უწოდა და ერთერთ ვერსიად (საფეხურად) მიიჩნია სემურიდან ქართული ანბანის შექმნის გზაზე.

შეიძლება ამ ორი ძირითადი თეორიის დასახელებით შემოვიფარგლოთ, თუმცა ასევე მოსახსენიებელია ე. წ. სომხურობის თეორია, რომელიც ემყარება სომხურ ისტორიულ წყაროებში დაცულ ერთ ცნობას; ამ ცნობის თანახმად, ქართული ანბანიც სომხური ანბანის შემქმნელის, მესრობ მაშტოცის, მიერ არის შედგენილი. ამ ცნობის გვიანდლობა სომხური ისტორიის შესაბამის წყაროში და მისი ნაყალბეობა სრული მეცნიერული საფუძვლიანობით დაასაბუთა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. დღეს ამ თეორიას სერიოზულად აღარავინ აღიქვამს.

თუ ამ სომხური წყაროს ნაყალბე ცნობას არ მივიღებთ მხედველობაში, მათიანეების ცნობათაგან ყველაზე ტრადიციული და „მიღებულია“ ის, რომელიც XI ს-ის ქართველ მემამიანეს – ლეონტი მროველს – ეკუთვნის და რომლის თანახმადაც ქართული მნიგნობრობის ფუძემდებლად ფარნავაზ მეფე ცხადდება:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისა და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“.

სხვათა შორის, ამ ტრადიციას არა მარტო ქართულ, სომხურ წყაროებშიც მოუკიდებია ფეხი; კერძოდ, XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი სწორედ ფარნავაზს მიაწერს ქართული მნიგნობრობის შემოღებას.

რას გულისხმობს ფარნავაზის მიერ „მნიგნობრობის შექმნა“, ამის გაგებასა და განმარტებაში სრული ერთსულოვნება არ არის, ერთნი მასში დამწერლობის შექმნას ხედავენ, მეორენი – მნიგნობრულ რეფორმას.

როგორი იყო ქართული ანბანი და განვითარების რა ეტაპები განვილო მან?

უკვე დასახელებული უადრესი ეპიგრაფიკული და სხვა წყაროების მიხედვით, პირველი ქართული ანბანი არის მრგლოვანი დამწერლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არის მოხაზულობის სიმრგვალე, ანუ ასოთა ძირითადი გრაფიკული ელემენტია წრე და ნახევარწრე. ამ ანბანის სხვა დამახასიათებელი ნიშანია ორხაზოვნება, ანუ ის, რომ ამ ანბანის არსებითად ყველა ასო თანაბარია, ორ ხაზს შორის იწერება. ამ თვისების გამო ამ დამწერლობას მთავრულსაც უწოდებენ.

ეს ანბანი გაბატონებული იყო IX ს-მდე.

მრგლოვანს თანდათანობით ცვლის ე. წ. ნუსხური დამწერლობა. ასე იმიტომ ეწოდა, რომ ძირითადად ამ ანბანით ხდებოდა სასულიერო ნიგნების გადანუსხვა. ამ ანბანს, მრგლოვანისგან განს-

ხვევებით, აქვს ორი ძირითადი ნიშანი: ა) კუთხოვანი მოხაზულობა, ანუ ამ ანბანის ძირითად გრაფიკულ ელემენტს წარმოადგენს ხაზი და კუთხე; ბ) ასოთა განლაგების ოთხხაზოვანი სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბებულია შუა რეგისტრის, ზედა რეგისტრისა და ქვედა რეგისტრის ასო-ნიშნები.

დაბოლოს, ნუსხურის უშუალო გაგრძელებაა მხედრული (XIII ს-დან), რომელსაც ნუსხურისაგან მემკვიდრეობით გამოჰყვა ოთხხაზოვნება, ოღონდ კვლავ შეიძინა მოხაზულობის სიმრგვალე, რაც ძირითადად სწრაფად წერის პროცესით არის განპირობებული. ანბანის ამ სახეობას ამგვარად ეწოდა იმიტომ, რომ ის ძირითადად საერო მწერლობას ემსახურებოდა.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|----|---|---|---|-------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ა | ბ | გ | დ | ე | ს | შ | ჩ | ც | 200 |
| ვ | ჟ | ზ | თ | ი | ქ | ღ | ყ | ღ | 300 |
| კ | ლ | მ | ნ | ო | ყ | ყ | ვ | ყ | |
| პ | ჟ | რ | ს | თ | ოა | ყ | უ | ყ | 400 |
| ტ | ყ | შ | ჩ | ც | ფ | ფ | უ | ყ | 500 |
| ძ | წ | ჭ | ხ | ძ | ჩ | ჩ | კ | ყ | 600 |
| წ | ჭ | ხ | ძ | წ | ჩ | ჩ | ყ | ყ | 700 |
| ჭ | ხ | ძ | წ | ჭ | ყ | ყ | ყ | ყ | 800 |
| ხ | ძ | წ | ჭ | ხ | ყ | ყ | ყ | ყ | 800 |
| ძ | წ | ჭ | ხ | ძ | ყ | ყ | ყ | ყ | 900 |
| წ | ჭ | ხ | ძ | წ | ყ | ყ | ყ | ყ | 1000 |
| ჭ | ხ | ძ | წ | ჭ | ყ | ყ | ყ | ყ | 2000 |
| ხ | ძ | წ | ჭ | ხ | ყ | ყ | ყ | ყ | 3000 |
| ძ | წ | ჭ | ხ | ძ | ყ | ყ | ყ | ყ | 4000 |
| წ | ჭ | ხ | ძ | წ | ყ | ყ | ყ | ყ | 5000 |
| ჭ | ხ | ძ | წ | ჭ | ყ | ყ | ყ | ყ | 6000 |
| ხ | ძ | წ | ჭ | ხ | ყ | ყ | ყ | ყ | 7000 |
| ძ | წ | ჭ | ხ | ძ | ყ | ყ | ყ | ყ | 8000 |
| წ | ჭ | ხ | ძ | წ | ყ | ყ | ყ | ყ | 9000 |
| ჭ | ხ | ძ | წ | ჭ | ყ | ყ | ყ | ყ | 10000 |

ქართული ანბანი: 1. მრგლოვანი, 2. ნუსხური, 3. მხედრული,
4. ტრანსკრიფცია, 5. რიცხვითი მნიშვნელობა.

5. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის

განვითარების რა ეტაპები განვლო ქართულმა სალიტერატურო ენამ?

უპირველესად საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ გამოავლინა უნიკალური სტაბილურობა ისტორიული ცვალებადობის თვალსაზრისით. საზოგადოდ, იმ დროის განმავლობაში (15 საუკუნეზე მეტი), რა დროშიც ჩვენ ქართულის განვითარებას ვაკვირდებით, ენები იმდენად იცვლებიან, რომ ახალი ენის წარმომადგენელთ ძველის შესწავლა ისევე უწევთ, როგორც უცხო ენისა. თანამედროვე ქართველი კი, ამკარაა, ასე არ „გაუცხოებულა“ ძველ ქართულ მნიგნობრობასთან; „შუშანიკის წამების“ ნაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება ჩვენს მოზარდს სკოლის IX კლასში (ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას) ლექსიკონის დაუხმარებლადაც შეუძლოა. თანაც, აღნიშნული ისტორიული „სტაბილურობა“ არ ყოფილა შედეგი რაიმე საგანგებო ღონისძიებებისა; ენამ მთლიანობა შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არასოდეს გამოკვეთილა პურისტული ტენდენცია და არც მაინცდამაინც განვითარების უმტკივნეულო და უწყვეტი გზა ჰქონია ქართულ სალიტერატურო ენას.

რა განაპირობებდა, რა ცალკეული თუ კომპლექსური მიზეზები განსაზღვრავდა აღნიშნულ სტაბილურობას, ამაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა ჯერჯერობით ჭირს. თუმცა ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამის საფუძველი, ერთი მხრივ, ქართული ენის სისტემურ და სტრუქტურულ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ, ხოლო მეორე მხრივ – ქართული წარმოთქმისა და დამწერლობის (ზეპირი და წერიტი მეტყველების) ტრადიციად დამკვირებულ მაქსიმალურ შესაბამისობაში.

რაც მთავარია, სალიტერატურო ენის აღნიშნული სტაბილურობა არ ყოფილა მიღწეული საერთო ეროვნული ენისაგან მისი ხელოვნური, კონსერვატორული დაცილების ხარჯზე, რაც სამწერლობო ენების განვითარების არსებითად კანონზომიერი, ტრადიციული თავისებურებაა და რაც თანდათანობით წარმოქმნის ორთოგრაფიის სპეციფიკურ, მიზანმიმართულად დასაძლევ პრობლემებს. ქართული სალიტერატურო ენა კი, აღნიშნულ სტაბილურობასთან ერთად, მუდმივად ინარჩუნებდა სიახლოვეს ცოცხალ ეროვნულ ენასთან და განვითარების ის საფეხურებიც, რომლებიც მის ისტორიულ გზაზე იკვეთება, ამ დაახლოების სულისკვეთებით იყო განპირობებული.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ერთადერთი კარდინალური

გარდატეხა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე – ეს არის „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორის ენობრივი პოზიცია. შეიძლება ითქვას: ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო უდიდესი ნოვატორი და რეფორმატორი ლიტერატურულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური ასპექტით, ასევე იგი გვევლინება ჭეშმარიტ რეფორმატორად სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, სხვაგვარი დამოკიდებულება ენისადმი შეუძლებელიც იყო იმ უმაღლესი შემოქმედებითი ჰარმონიის შემოქმედისაგან, რასაც პოემა წარმოადგენს; ენა ხომ მხოლოდ იარაღი არ არის შემოქმედებისა, ის თვით სულია მისი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა თავისი მძლავრი შემოქმედებითი ნებით შეძლო გადაელახა კლასიკური (სასულიერო მწერლობის) სალიტერატურო ქართულის უკვე კონსერვატიული ნორმები და საბოლოოდ მოეხდინა ის რეფორმა, რომელიც ქართული ენის ნიაღში საუკუნეთა განმავლობაში მნიფდებოდა მდიდარი მნიგნობრობისა და ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი სახალხო ენის თანაარსებობის შედეგად; მან მიიღო ყოველივე საჭირო და სასარგებლო ძველისაგან და რაციონალურად შეახამა ის ცოცხალ ენობრივ გამოცდილებასთან. და ამით სრულიად ახალი სული და სიცოცხლე მიანიჭა სალიტერატურო ენის განვითარებას; თავისი უკუდავი პოემის სახით, მის ჰუმანისტურ სამყაროსთან ერთად, პოეტმა შთამომავლობას დაუტოვა დიდი ენობრივი ორიენტირი – ენა ახალი, მაგრამ, ამავე დროს, მოუნყვეტი თავის ძველ მასაზრდოებელ ფესვებს. ეს უმაღლესი სინთეზი, ხელოვნური, შემოქმედებითი და თანაც ბუნებრივი შეხამება ძველისა და ახლისა პოემის თითქმის ყოველ სტრიქონში იგრძნობა და ალბათ ქვეცნობიერად საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოებდა კიდევ ერის ენობრივ დამოკიდებულებას, შეგნებას.

უთუოდ ამ მოვლენაშიც არის ქართული სალიტერატურო ენის (საზოგადოდ, ქართული ენის) ზემოაღნიშნული შედარებითი სტაბილურობის მიზეზი.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ამგვარი მკვეთრი გარდატეხა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში არ მომხდარა. ამიტომაც შესაძლებელია სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ მივიჩნიოთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ერთგვარ ნყალგამყოფად, სალიტერატურო ენის ისტორია წარმოვიდგინოთ ორ ძირითად პერიოდად – „ვეფხისტყაოსნამდე“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ.

როგორც საქართველოს ისტორიიდან არის ცნობილი, რუსთაველის ეპოქას მოჰყვა ქვეყნის მატერიალური და სულიერი ცხოვრების გამაპარტახებელი ხანგრძლივი პროცესი („დიდი ღამე“) – მონღოლობა და თანამდევნი უბედურებანი და თითქმის ოთხი საუკუნის განმავლო-

ბაში სალიტერატურო ენის ტრადიციულ განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. და როცა მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებისათვის, ქართულ მნიგნობრობას ხელახალი აღორძინების ხანა დაუდგა, შეიძლება ითქვას, ენობრივად ის ისე განვითარდა, თითქოს წყვეტა არ ყოფილიყოს, თითქოს ეს ენა ქრონოლოგიურად „ვეფხისტყაოსანზე“ ყოფილიყოს უშუალოდ მიბმული.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ, თუ არა ანტონ კათალიკოსი და მისი კონსერვატორული პოზიცია ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების მიმართ, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის ენაზე გამავალი თანამიმდევრული გეზი შემდგომაც ბუნებრივ განვითარებას პოვებდა და არც ის რეფორმატორული წვლილი გამოიკვეთებოდა ასე რელიეფურად, რისი განვევაც ილიასა და მის თანამოკალმეებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოუხდათ.

ანტონ I - საქართველოს კათალიკოსი და მრავალმხრივი მოღვაწე XVII საუკუნის მთელ მეორე ნახევარში; იყო ევროპული ორიენტაციის მოღვაწე, ღვთისმეტყველი, მწერალი, გრამატიკოსი. მაგრამ ანტონის სახელი უფრო ცნობილია სალიტერატურო ენასთან მისი დამოკიდებულების, ე. წ. სამი სტილის თეორიის გამო. „სამი სტილის“ გაგება, რომელიც ქართულ ნიადაგზე არ წარმოშობილა და ის ჩვენში სხვა ქვეყნებიდან გავრცელდა, გულისხმობდა იმას, რომ არ შეიძლება ერთგვარი ენა ემსახურებოდეს ჩვეულებრივ სახალხო მეტყველებასაც, ღვთისმეტყველებასაც და ფილოსოფიასაც; შესაბამისად, თითოეული სფეროსათვის შესაფერისი ენა უნდა შეიქმნას; სწორედ ამ მიზნით აირჩევა ძველი ქართული ე. წ. მაღალი სტილის, ანუ ფილოსოფიური სათქმელის გამოსახატავად. ობიექტურად ამ ტენდენციის საფუძველი მდგომარეობდა იმაში, რომ XII საუკუნის შემდეგ ენის განვითარება არსებითად უმართავი გახდა და სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროებს შორის ზღვარი მოიშალა. სრულიად ბუნებრივია, სასულიერო მოღვაწეს, ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს თავისი დამოკიდებულება იმ პროცესების მიმართ რაღაც ფორმით გამოეხატა. მანაც „სამი სტილის“ თეორიას დააკისრა ძირითადი კრიტიკური მისი როლი. თვით ანტონი არქაული (უკეთ - არქაიზებული) სტილით წერდა, თუმცა, როგორც მიაჩნიათ, მას სამი სტილის თეორია აქტიურად არასოდეს უქადაგია. ამ პოზიციის უტრირება, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ანტონის ბრმა მიმბაძველთა და „მონაფეთა“ დამსახურებაა. როგორც ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, „ანტონისეული სამი სტილის თეორიის ბატონობა უფრო მისი მიმდევრების საქმეა, ვიდრე თვით ანტონისა, რომელმაც თავისი გრამატიკის მეორე რედაქციაში სამი სტილის თეორია სულაც არ შეიტანა“.

ძირითადად სწორედ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოკვეთილ ამ ტენდენციებთან მიმართებით უნდა მივიჩნიოთ სალიტერატურო ენის პრინციპულ რეფორმატორად დიდი ილია ჭავჭავაძე (და მისი თანამოაზრეები). ისევე, როგორც პრაქტიკულად გაუკაფა მან გზა ენის დემოკრატიზაციას, თეორიულადაც მოუშადა საფუძველი იმ ნორმატიულ პოზიციას, რომლის თანახმადაც ენის განვითარების ბუნებრივი პროცესის შეჩერება შეუძლებელია და სალიტერატურო ენა ბუნებრივ ენობრივ განვითარებას უნდა უწევდეს ანგარიშს, მასზე უნდა იყოს ორიენტირებული. მისი ლაკონიური ფორმულა – „ენის კანონის დამდები ხალხია და არა ანბანთ თეორეტიკა“ – მკვიდრი ქვაკუთხედი აღმოჩნდა როგორც სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიული გამოცდილების შეფასების, ისე, განსაკუთრებით, ქართული სალიტერატურო ენის პერსპექტივის, მომავალ შესაძლებლობათა განსაზღვრის თვალსაზრისით.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ილიას მოღვაწეობის შემდგომ, მისი მემკვიდრეობის საფუძველზე, აქტიურად მიმდინარეობს და ჯერაც არ დასრულებულა ახალი (რესპ. უახლესი) ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესი.

მართალია, რამდენადმე გამოიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი სურათი, მაგრამ, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით თვალსაზრისთა ერთგვაროვნება არ არსებობს. კერძოდ, აკაკი შანიძეს მიაჩნია, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარება სამ პერიოდად უნდა დაიყოს: ძველი, საშუალი და ახალი. ძველი – V-XI საუკუნეები, საშუალი – XII-XVIII სს. და ახალი – XIX ს-ის შემდეგ. არნ. ჩიქობავას კი მიაჩნდა, რომ სალიტერატურო ენის ისტორია ორ პერიოდად იყოფა და ახალი ქართული სალიტერატურო ენა XII ს-ის შემდგომ ისახება. არის სხვა მოსაზრებებიც; ზ. სარჯველაძემ, მაგალითად, თვით ძველი ქართულის ორ ქვეპერიოდად დაყოფა მიიჩნია შესაძლებლად (V-VIII და IX-XI სს.), ბ. ჯორბენაძე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ხუთ პერიოდს გამოყოფდა...

როგორც ითქვა, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება ერთი მთლიანი ხაზია; მასში ყველაზე კარდინალური ცვლილება „ვეფხისტყაოსანთან“ არის დაკავშირებული (და ეს მოვლენათა მთელ კომპლექსს უკავშირდება). დანარჩენი (სხვაგვარი) პოზიციები სალიტერატურო ენის განვითარებასთან მიდგომის კრიტერიუმებზე და ცალკეულ ენობრივ მოვლენათა მნიშვნელობის გაგებაზეა დამოკიდებული. თვალსაზრისთა სხვაობა თვით ობიექტის რაობას არ ცვლის. უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც უფრო მოსახერხებელი და რაციონ-

ალური იქნება კონკრეტული სამეცნიერო თუ პედაგოგიური ამოცანების გადასაწყვეტად.

ფიქრობთ, ამ შემთხვევაში ასეთად უნდა მივიჩნიოთ სალიტერატურო ენის უწყვეტობა და სტაბილური მთლიანობა, მისი განვითარების ორი ურთიერთგანუყოფელი პერიოდით.

6. ქართული ეროვნული ენა, სალიტერატურო ენა და სახელმწიფო ენა

ქართული ენის სტაბილურობა და მთლიანობა კიდევ ერთი განსაკუთრებული ასპექტით გამოიხატება: კერძოდ, იგი საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად აერთიანებდა ქართველურ ტომებს, იყო ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი; ყოველგვარ ვითარებაში, განსაკუთრებით ისტორიულ ძნელბედობათა ჟამს, ეროვნული თავისთავადობა, თვითმყოფადობა სწორედ მასთან იყო გაიგივებული.

გეოგრაფიულ-რელიეფური მდგომარეობისა თუ ისტორიულ გარემოებათა გამო, მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ეთნიკურ ქართველთა ენამ ათასწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი დიფერენცირება განიცადა, ანუ დაიყო ენა-კილოებად. როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში სამი ქართველური ენა და მათი ორ ათეულამდე დიალექტი მოიხსენიება.

ქართველური ენებია: ქართული, სვანური და ზანური (კოლხური).

ქართული კილოები: ქართლური, კახური, იმერული, აჭარული, გურული, მესხური, ჯავახური, რაჭული, ლეჩხუმური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, ხევსურული, მოხეური, თუშური. სამი დიალექტი საქართველოს თანამედროვე საზღვრებს გარეთ არის მოქცეული: ინგილოური (აზერბაიჯანში), იმერხეული (თურქეთში) და ფერეიდნული (ირანში).

სვანურის კილოებია ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური

ზანურის კილოებია მეგრული და ლაზური (იგივე ჭანური). ამ უკანასკნელის გავრცელების არეალი ამჟამად თითქმის მთლიანად თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განსხვავება კილოებს შიგნითაც იჩენს თავს (რაც კილოკავებად დაყოფას გულისხმობს), აშკარაა, საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი წარმოგვიდგება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს წინააღმდეგობებითა და ძნელ-ბედობებით აღსაესე ისტორიაში არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა, რომ საერთო ეროვნული ენის პრიორიტეტი ეჭვქვეშ დამდგარიყოს, რომ ვინმეს თავისი ვინროკუთხურის სასარგებლოდ ოდესმე უარი ეთქვას საერთოზე და გამაერთიანებელზე. ქართველის თვითშეგნება იმთავითვე დაუკავშირდა ენის შეუცვლელობას, მის „გადამრჩენელ“ ბუნებას. შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ეს თვითშეგნება შეუსისხლხორცდა ქართველის მეობას, მის დამოკიდებულებას დროსთან, ისტორიასთან, გარემოსთან... ეს ის დამოკიდებულებაა, რომელიც დღესაც ათქმევინებს 400 წლის წინ გადასახლებულ ფერეიდნელ ქართველს ირანში:

*„საქართველოს ენის ფასი მე ვიცი,
იმისთი ეგ ენას შამნახველი ვარ!“*

ასეთი თვითშეგნება, ცხადია, უცებ არ ყალიბდება, ის ხანგრძლივ და რთულ ისტორიულ პროცესებში იღებს სათავეს.

როგორც ითქვა, ჯერ მნიგნობრობის, ხოლო შემდეგ – ამისდაკვალად – სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ერისა და ენის ცხოვრებაში. სალიტერატურო ენა ეროვნული ენის განვითარების უმაღლესი ფორმაა. მაგრამ განა შეიძლება შეიქმნას სალიტერატურო ენა, თუ საერთო ეროვნული ენა რაღაც ფორმით არ არსებობს? ამიტომაც მიაჩნიათ, რომ სალიტერატურო ენის წარმოქმნას, თუ ეს უკანასკნელი რაიმე ხელოვნურ საფუძველზე არ ხდება, საერთო ეროვნული ენის ჩამოყალიბება უნდა უსწრებდეს წინ. რა ფორმით და რა ფარგლებში არის ეს საერთო ენა გავრცელებული, ეს გადამწყვეტი არ უნდა იყოს, მთავარია, რომ ენობრივი ერთიანობის თვითშეგნება არსებობს, რომ „საერთოსა“ და „განსხვავებულის“ გაგება არის ჩამოყალიბებული.

სალიტერატურო ენა უშუალო მემკვიდრეა საერთო ეროვნული ენისა, რამდენადაც ის იმავე ენობრივ ერთიანობას გულისხმობს, ოღონდ უკვე ფუნდამენტურად – მნიგნობრულ, კულტურულ საფუძველზე. ამიტომაც სალიტერატურო ენის გაგება ვინრო შინაარსით, როგორც მხატვრული ლიტერატურის, მწერლობის ენისა, არ არის გამართლებული. ამ უკანასკნელს ტერმინი ლიტერატურული ენა შეესაბამება. ლიტერატურული ენა შემადგენელი ნაწილია საერთო სალიტერატურო ენისა. სალიტერატურო ენა, ამას გარდა, მოიცავს ყველა იმ სფეროს, სადაც კი შეიძლება ოფიციალურად ფუნქციონირებდეს ეროვნული ენა, იქნება ეს განათლება, მეცნიერება, ეკლესია, სიტყვიერი ხელოვნების დარგები, პოლიტიკა, პრესა, რადიო-ტელევიზია, კომპიუტერული ინფორმატიკა...

თუ უფრო დაკონკრეტებულ კლასიფიკაციას მივმართავთ, ერთი მხრივ, არსებობს ენის ფუნქციონირების მხატვრულ-შემოქმედებითი სფეროები (სიტყვიერი ხელოვნების დარგები), ხოლო მეორე მხრივ – ენის პრაქტიკული გამოყენების ნაირგვარი სფეროები: სამეცნიერო, მასმედიის, ოფიციალურ-საქმიანი, საკანცელარიო, სასაუბრო. მეტყველების კულტურის ინტერესის საგანს განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ, რამდენადაც სწორედ მათ ეხება ენის ოფიციალური ფუნქციონირების ნორმატიული მოთხოვნები.

სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებულობის ხარისხს განსაზღვრავს ისეთი ცნებები, როგორცაა უნიფიცირებულიობა და მონოლითურობა. უნიფიკაციის ცნება უკვე განხილული ნორმის პრობლემას უკავშირდება და ერთიანი ნორმების არსებობას გამოხატავს; ხოლო მონოლითურობის გაგება ამ უნიფიცირებული სალიტერატურო ენის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატულებაა, რამდენადაც ის თავის თავში გულისხმობს მიზანმიმართულ ენობრივ პოლიტიკას.

საერთო სალიტერატურო ენის არსებობის უმაღლესი კატეგორიაა **სახელმწიფო ენა**. სახელმწიფო ენა არის ამა თუ იმ ქვეყნის (სახელმწიფოს) ოფიციალურად აღიარებული ძირითადი ენა. მისი არსებობა, როგორც თვით ტერმინის აგებულებიდან ჩანს, სახელმწიფოს არსებობაზეა დამოკიდებული. როგორც კი იქმნება სახელმწიფო, თავისთავად დგება მისი ერთიანი ენის საკითხი. რამდენად მიიღწევა ეს და იღებს თუ არა რომელიმე ქვეყნის ძირითადი ენა სახელმწიფო ენის ოფიციალურ სტატუსს, ეს სხვა პრობლემაა და ის ისტორიულ პირობათა მთელ კომპლექსთან არის დაკავშირებული. ყურადღებაამისაქცევი ამ თვალსაზრისით ის არის, რომ ქართულ სინამდვილეში საერთო ენობრივი თვითშეგნება ამ სფეროშიც გამოიხატა: ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს საქართველოს ისტორიაში ერთიანი სახელმწიფოს იდეის განხორციელებისა და ორსავე შემთხვევაში ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება წამოიწივს წინა პლანზე. ერთია ფარნავაზის მოღვაწეობის ზემოდასახელებული პერიოდი („*არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა*“) და მეორე – გრიგოლ ხანძთელის ეპოქა, როცა საფუძველი ეყრება ბაგრატიონთა დინასტიას და ეკლესიის ნიაღში გაისმის: „*არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების...*“

ოღონდაც აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ენის რეალური სტატუსი მხოლოდ დეკლარაციის საფუძველზე არ განისაზღვრება. თანამედროვე მსოფლიოში არაერთმა განვითარებამა

ენამ გამოაცხადა თავი „სახელმწიფო ენად“. მაგრამ სახელმწიფო ენის, რეალურ არსებობას სჭირდება, ჯერ ერთი, ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული საფუძველი, ანუ ამ ენის ჩამოყალიბებულობა საერთო სალიტერატურო ენად, მეორეც – სოლიდური სახელმწიფო გარანტიები.

სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია, ხოლო მისი ფუნქციონირების საზღვრებს ადგენს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (აგრეთვე – სხვა კანონები); სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების გარანტი სახელმწიფო სისტემა და ხალხის, საზოგადოების ნებაა. სახელმწიფო ენა ამთლიანებს ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ინტერესსა და სულისკვეთებას. რამდენადაც სახელმწიფო ახორციელებს მოქალაქის ინტერესთა დაცვის ფუნქციას, ამდენადვე სახელმწიფო ენა წარმოადგენს ამ ფუნქციათა განხორციელების ძირითად საშუალებას. ამდენად, თუ სალიტერატურო ენა მაინც ეროვნული ნიშნით არის განსაზღვრული, სახელმწიფო ენა სამოქალაქო ერთობის, თანხმობის საფუძველია; სახელმწიფო ენის მიმართ ქვეყნის ნებისმიერი სუბიექტის, ნებისმიერი მოქალაქის უფლება-მოვალეობითი დამოკიდებულება თანაბარია.

როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე მსოფლიოში ნაირგვარ ეთნოსთა ერთ სახელმწიფოდ შემამტკიცებელი ძირითადად სწორედ სახელმწიფო ენაა. ამისი ობიექტური მაგალითი თუნდაც ისიც არის, რომ ჩვენი პლანეტის სახელმწიფოთა რაოდენობა თითქმის 20-ჯერ ჩამოუვარდება ენათა საერთო რაოდენობას. ამასვე ადასტურებს მონინავე, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება (თუმცა ისიც თვალსაჩინოა, რომ ეთნოსთა წინააღმდეგობის ერთ-ერთი სერიოზული მუხტი სწორედ ენობრივი პრობლემებია).

ამიტომაც არის, რომ მსოფლიოს მონინავე ქვეყნებში ენობრივი პოლიტიკა უმაღლეს სახელმწიფოებრივ რანგშია აყვანილი.

საერთაშორისო ურთიერთობების, საკაცობრიო ცივილიზაციის ფართოდ განვითარებამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ენათა თავისუფალ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, მეტი დაძაბულობა შესძინა თანამედროვე მსოფლიოს ენობრივ „არქიტექტონიკას“. ამ გლობალურ სისტემაში ქართულ ენას თავისი ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება.

7. რა ადგილი უკავია ქართულ ენას მსოფლიო ენათა შორის?

XIX საუკუნე, დიდ აღმოჩენათა ეპოქა, ერთი განსაკუთრებული მილწევიტაც ალინიშნა: დადგენილ იქნა ენათა ნათესაობის კანონი და შემუშავდა ამ ნათესაობის დადგენის მეცნიერული მეთოდი, რომელიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სახელით არის ცნობილი.

ენათა ნათესაობაზე, ცხადია, მანამდეც ლაპარაკობდნენ. მაგალითად, ქართველებს ეჭვი არასოდეს შეჰპარვიათ, რომ ქართველური ენები – ქართული, ზანური და სვანური – ერთი ნარმომავლობისა იყო, ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ქართველები (კერძოდ, კოლხები) ეგვიპტელებს ენათესაებოდნენ, ხოლო ათონის მთის ქართველი მოღვაწენი X საუკუნეში დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ესპანეთში ქართველთა ოდინდელი ნათესაეები ცხოვრობდნენ და მისთ.

მაგრამ ასეთი „ცოდნა“ ძველად გადმოცემებისა და ლეგენდების დონეზე არსებობდა, ამ „ცოდნის“ შემონშება და დასაბუთება მეცნიერულ საფუძველზე სრულიად შეუძლებელი იყო.

ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა, ორი ენის მონაცემები ერთმანეთს შესდარებოდა და ამით მათი ნათესაობის ზუსტი, კანონზომიერი წესები დადგენილიყო; წესები, რომელთა შემვეობიტაც ნებისმიერი ენობრივი ფაქტის შემონშება იქნებოდა შესაძლებელი.

ამ წესებს რეგულარული ბგერათშესატყვისობის კანონს უწოდებენ.

რაში მდგომარეობს ის?

ენაში არსებული ბგერები დროთა განმავლობაში იცვლებიან, მაგრამ იცვლებიან არა ნებისმიერად და ქაოსურად, არამედ კანონზომიერად და სისტემურად. მაგალითად, თუ რომელსამე ენაში შეიცვალა ზ და მოგვცა, ვთქვათ, ჟ, მაშინ მისი წყვილეული ს ბგერაც ამავე მიმართულებით უნდა შეიცვალოს და მოგვცეს შ და მისთ.

სანიშნოდ: ამ კანონის საფუძველზე ქართველური ენების მონაცემებით დადგინდა, რომ ძირეულ მასალაში ქართულის ძ ც წ სამეულს ზანურში რეგულარულად შეესატყვისება ჟ ჩ ჭ, ანუ თუ ქართულში რომელსამე ძირეულ სიტყვაში გვაქვს ძ (ძელი), ზანურში შესაბამის სიტყვაში იქნება. ჟ (ჯა(ლ)ი). რაც მთავარია, თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები არ შეხვდა, ასევე მოიქცევიან სამეულის დანარჩენი წევრებიც: ც (ცოლი) და ჩ (ჩილი), წ (წითელი) და ჭ (ჭითა) და მისთ.

ამგვარად, ორი ენის მთელი ბგერითი შედგენილობის მიხედვით დგინდება ბგერათშესატყვისობათა სისტემა და ამით საბოლოოდ

მტკიცდება ნათესაობა ამ ორ ენას შორის (შეიძლება ამისათვის სხვა ენობრივი მონაცემებიც იყოს მოშველიებული).

როგორც ცნობილია, დედამინაზე 5000-მდე ენა არსებობს. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით დადგენილ იქნა მონათესავე ენათა დიდი და მცირე ოჯახები და ამ ენების კლასიფიკაცია მოხდა გენეზისის, წარმომავლობის მიხედვით.

ყველაზე მრავალრიცხოვანი მათ შორის ინდოევროპულ ენათა ოჯახია. მასში შედის, ერთი მხრივ, ინდური ჯგუფის ენები, მეორე მხრივ, ირანული ჯგუფის ენები, მესამე მხრივ, გერმანიკული, რომანული, სლავური ჯგუფის ენები, აგრეთვე გერმანული და სომხური ენები.

სემიტურ ენათა ოჯახში ერთიანდება ებრაული, არაბული, არამეული და სხვა ენები.

თურქულ ენათა ოჯახში შედის თურქული, თურქმენული, უზბეკური, ყირგიზული, ჩუვაშური და სხვ.

ქართველური ენები ჯერჯერობით მცირერიცხოვან, იზოლირებულ ჯგუფს წარმოადგენს სხვა ენობრივ ოჯახებთან მიმართებით და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი.

ყველაზე გავრცელებული თეორია ქართველურ ენათა გარე ნათესაობისა არის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველურ ენებს გენეტიკურად უკავშირდებოდა კავკასიის მცირე აბორიგენი ენები (აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური ჯგუფისა). ამ თეორიის ფუძემდებლები არიან ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა. ეს მოსაზრება აღნიშნული შესატყვისობების დონეზე ჯერჯერობით ბოლომდე დამტკიცებული არ არის.

კარგა ხნის ისტორია აქვს ქართულის ძირეული კავშირების ძიებას წინა აზიის უძველეს ენებთან – ხეთურთან, შუმერულთან... (ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, გრ. გიორგაძე...).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქართველური ტომები შესაძლოა წინა აზიიდან იყვნენ კავკასიის მთის-წინეთში მიგრირებულნი. ამ ჰიპოთეზას ეხმაურება იმ ენათმეცნიერული კვლევის შედეგები, რომელიც ინდოევროპული, ქართველური და სემიტური ენების არსებობას ურთიერთმეზობლად, წინა აზიის არეალში ვარაუდობს (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

დაბოლოს, ცალკე დგას ბასკურთან ნათესაობის ჰიპოთეზა, რომელიც ჯერჯერობით ასევე ვერ ჩაითვლება შესატყვისობების დონეზე დამტკიცებულად.

8. ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია: ნორმათა დადგენის საფუძველი და ისტორიული ეტაპები

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პირველივე მნიგნობარი ძალაუნებურად არის ნორმის შემშუშავებელი, რამდენადაც, ჯერ ერთი, იგი არ ჩევანს აკეთებს რალაც შესაძლებლობებს შორის და, მეორეც, ამით ამკვიდრებს („რეკომენდაციას“ უწევს) კიდეც უკვე არჩეულს, უპირატესობამინიჭებულს.

მაგრამ მიზანმიმართულ ნორმატიულ მუშაობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა მისი თეორიული საფუძვლები იქმნება, როცა შესაძლებელი ხდება, არჩევანი გაკეთდეს არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ საფუძველზე.

სალიტერატურო ენისადმი ნორმატიული მიდგომა მიზნად ისახავს, მიღწეულ იქნეს სალიტერატურო ენის სტაბილიზაცია და მონოლითურობა, მოხდეს ნორმათა უნიფიკაცია ისე, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეეშალოს ენის საყოველთაო ფუნქციონირებას, ხოლო მეორე მხრივ – არ შეჩერდეს ცოცხალი სალიტერატურო ენის განვითარება, რათა დიდად არ გაიზარდოს განსხვავება ზეპირსა და მნიგნობრულ ენას შორის. ნორმალიზაციის ობიექტური საფუძველია აგრეთვე ნორმატიული ვარიანტულობის შენარჩუნება იქ, სადაც ენის განვითარებას საბოლოო გეზი ჯერ არ აურჩევია, ჯერ სრულიად არ გამოკვეთილა ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის უპირატესობა.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით თანდათანობით ყალიბდება გააზრებული თეორიული დამოკიდებულება ნორმატიული საქმიანობის მიმართ. კერძოდ, ნიშანდობლივია ის, რომ სალიტერატურო ენის ერთ-ერთი აქტიური რეფორმატორი ანტონ კათალიკოსი იმავე დროს გრამატიკოსიც იყო და სალიტერატურო ენაზე ზრუნვის საერთაშორისო გამოცდილებასაც („სამი სტილის“ თეორიას) კარგად იცნობდა.

ასევე ფართო ცოდნასა და გარკვეულ თეორიულ საფუძველს გულისხმობს ქართული სალიტერატურო ენის „დემოკრატიზაციის“ ის კურსი, რომელიც „სამოციანელებმა“ ილიას მეთაურობით დაისახეს და განახორციელეს კიდეც. თეორიულად არის გააზრებული მათი რამდენიმე ნორმატიული ღონისძიება (მაგალითად, ძველი ქართული გრაფემების ამოღება ახალი ანბანიდან), თუმცა საერთო ჯამში მაინც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ ნორმატიულ გადაწყვეტილებას თითოეული მწერალი დამოუკიდებლად, სუბიექტური პოზიციიდან იღებდა. სხვათა შორის, ის მწვავე კამათიც, რომელიც მაშინდელ პრე-

საში ხშირად მიმდინარეობდა, სწორედ სუბიექტური პოზიციის გამოხატველი იყო, რამდენადაც საერთო პრინციპები ჯერაც შეუმუშავებელი იყო და შეთანხმება მხოლოდ „კეთილი ნებით“ იყო შესაძლებელი (სწორედ ამის დასტურია პოლემიკური წერილები ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა, სილოვან ხუნდაძისა და სხვათა). ამიტომაც იყო, რომ სწორედ ამ დროს იქნა წამოჭრილი პირველად ნორმირების პრინციპების შემუშავების აუცილებლობა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კიდევ უფრო გააქტიურდა ნორმატიული და ტერმინოლოგიური მუშაობა, ქვეყნდებოდა ცალკეული წერილები, ნიგნები, იქმნებოდა სპეციალური წრეები; მაგალითად, 1899-1900 წლებში ქუთაისში ამ მიზნით საგანგებო წრე არსებულა, მოგვიანებით კი ასეთი წრე თბილისშიც შექმნილა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ მიმართულებითაც ცხოვლად იგრძნობა ახალი ეპოქის სუნთქვა.

რაც მთავარია, იგრძნობა, რომ ახლოვდება საქართველოს ისტორიის დიადი მოვლენა – ქვეყნისა და სახელმწიფო ენის განთავისუფლება გარე იმპერიული დიქტატისაგან. მართალია, ისტორიის ირონიით „დიადი მოვლენა“ მეტად ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ, განგების ნებით, ქვეყანა ეღირსა თითქმის მის ფარდ, სამაგიერო მოვლენას – ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მართლაც იქცა ქართული მნიგნობრობის, კულტურის, ენის აღორძინების მძლავრ ნიშანსვეტად. მან ახალი ძალით გააღვივა და ააგიზგიზა ქვეყნის ისტორიული ცხოვრების არაერთ უბანზე მინავლებული ცეცხლი, მძლავრი სტიმული მისცა სამომავლოდ ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის სხვადასხვა დარგებისა და სკოლების ჩამოყალიბებას, განათლებისა და პრესის ფართო ქსელის განვითარებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მის ფუნდამენტზე ამოზრდილმა სხვა უმაღლესმა სკოლებმა, მეცნიერებათა აკადემიამ და სამეცნიერო ინსტიტუტებმა განუსაზღვრელად გააფართოვეს ქართული ენის ასპარეზი, ბუნებრივად განაპირობეს სპეციალური ენების შემუშავება, დარგობრივი ტერმინოლოგიის, ნორმატიული ლექსიკონების შექმნა.

ერთი სიტყვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მისმა კორიფებმა აკად. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს ქართული ენის განვითარების, მისი პოლიფუნქციურობისა და მონოლითურობის სრულიად ახალ ეტაპს, შეიქმნა განსაკუთრებული შესაძლებლობა, ახალ პირობებში გამოვლენილიყო ქართული ენის მთელი შინაგანი პოტენცია, მისი ლექსიკურ-გრამატიკული სიმდიდრე და შესაძლებლობები... რაც მთავარია, ჭეშმარიტად მეცნიერული სა-

ფუძველი შეიქმნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და ნორმალიზაციისათვის.

სწორედ აქეთ იყო მიმართული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არაერთი ღონისძიება, რომელიც ენობრივი პოლიტიკის სფეროში XX ს-ის საქართველოში განხორციელდა. მართალია, საქართველოში დამყარებულმა საბჭოთა წყობილებამ ექსპანსიისა და კოლონიზაციის სრულიად ახალი პირობები მოიტანა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა შენელებულიყო ის მაგიური ცეცხლი, რომელიც ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში უნივერსიტეტის სახით დაინთო.

სწორედ ეპოქალურ გარდატეხათა მიჯნაზე, 1920 წლის მაისში, უნდა გამართულიყო სწავლულთა ის კონფერენცია, რომელსაც ამზადებდა საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე. კომისიამ გამოაქვეყნა კონფერენციის პროგრამა და მოსაგვარებელი პრობლემების ნუსხა. ხოლო 1921 წელს პატარა ნიგნაკად გამოქვეყნდა ამ კონფერენციის მასალები „სალიტერატურო ქართულისათვის“, რომელშიც პირველად იყო წარმოდგენილი რამდენიმე საორგანოზაციო ორთოგრაფიული საკითხი (დავინწყებოდა თუ დავინწყებიყო? საქმე ისაა თუ საქმე იმაშია? და მისთ.).

სამეცნიერო დარგების განვითარების პერსპექტივამ ტერმინოლოგიური მუშაობის გააქტიურებაც მოითხოვა. 1921 წელს გამსახკომთან დაარსდა ტერმინოლოგიათა შემუშავებელი სამეცნიერო საბჭო, რომელმაც ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

1925 წელს სამთავრობო დონეზე დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც ვუკოლ ბერიძე ხელმძღვანელობდა. ამ კომისიამ მოამზადა კონფერენცია, რომელზეც გამოჩენილმა სპეციალისტებმა – ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, არნ. ჩიქობავამ, ვ. თოფურიამ, ს. ჯანაშიამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. იორდანიშვილმა – ნაიკითხვების მოხსენებები სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხებზე. ეს მოხსენებები ნაკვეთებად გამოქვეყნდა 1930-34 წლებში საერთო სათაურით „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“.

1934 წელს საქართველოს სახალხო კომისარიატთან დაარსდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია 30 კაცის შემადგენლობით; ხოლო მომდევნო წელს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია (თავმჯდომარე – ა. შანიძე, მოადგილე – ვ. თოფურია).

ამ კომისიის მუშაობის შედეგად 1936 წელს ცალკე ნიგნად

გამოიცა „სალიტერატურო ქართულის ნორმები, I“, რომელშიც უკვე არის წარმოდგენილი ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები და არაერთი რეკომენდაცია საცილობელ საკითხებზე.

1941 წელს პირველად გამოიცა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (მაშინ ამ ლექსიკონში 15 000 ერთეული შედიოდა, მისი ბოლო გამოცემა (1998 წ.) კი 80 000-მდე ერთეულს შეიცავს).

1946 წელს მთავრობის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ნორმათა დამდგენი კომისია, რომელსაც ჯერ ს. ჯანაშია თავმჯდომარეობდა, შემდეგ კი – ა. შანიძე.

1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარეობა ავტომატურად ეკისრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო კომისიაში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, პრესის მუშაკები. ამ დროიდან ეს კომისია მუდმივად არსებობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დონეზე და პერიოდულად იკრიბებოდა მომზადებული ნორმატიული პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად.

მუდმივი სახელმწიფო კომისიის ძირითად სამუშაო ბაზას წარმოადგენდა და წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კერძოდ კი – ამ ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელიც მუდმივად ადევნებს თვალყურს სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესებს და შეიმუშავებს სათანადო ნორმათა პროექტებს.

ეს პროექტები საბოლოოდ განიხილება მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომაზე და დამტკიცების შემთხვევაში სავალდებულო ხდება სალიტერატურო ქართულის ყოველი მომხმარებლისათვის.

1966 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელშიც მუდმივად აისახება სალიტერატურო ენის სინმინდის სფეროში წარმოებული კვლევის შედეგები.

საქართველოს ისტორიის უახლეს ეტაპზე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კვლავ დადგა სახელმწიფო კომისიის მუშაობის განახლების საკითხი. ამჯერად კომისია ჩამოყალიბდა ახალი, გაფართოებული სტატუსით: მას დაერქვა „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია“, ანუ კომისია გადავიდა უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტის დაქვემდებარე-

ბაში და მისი ფუნქციაც აღარ შემოიფარგლება ოდენ ნორმათა დადგენით, მას არსებითად ეკისრება ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრა და რეგულირება; ამავე სფეროს კონტროლი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დონეზე აკისრია საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტს. ამავე დროს, 1998 წელს სამთავრობო დონეზე შეიქმნა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ქვეყნის ენობრივი „მეურნეობის“ სპეციალური მაკონტროლებელი ორგანო – „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა“.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მოსამზადებლად.

უნდა ითქვას, რომ ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ეფექტურობა თვალსაჩინო გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი შეიქმნება იმ პროცესების კონტროლი და რეგულირება, რომლებიც ქვეყნის ახალმა სახელმწიფოებრივმა ვითარებამ, ახალმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა და საინფორმაციო ურთიერთობებმა წარმოქმნა განათლების, მეცნიერების, მასმედიის და სხვა სფეროებში; როცა მოხერხდება საკანონმდებლო მექანიზმების ამოქმედება და იმ უჯრედების მიზანმიმართული, კოორდინირებული ამუშავება, რომელთაც უნდა უზრუნველყონ უახლესი ტერმინოლოგიის, სპეციალური ენების მომზადება-დამუშავება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყოველ ცალკეულ უბანზე.

9. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები

ამგვარად, მეტყველების კულტურა ენობრივ ნორმას ემყარება. ნორმაა ის ენობრივი ერთეული (სისტემური მონაცემი), რომელიც ოფიციალურად იქნა დადგენილი კონკრეტული ვითარების შესწავლის შემდეგ. ამავე დროს, ნორმა ყველა ენობრივ ერთეულს ვერ მოიცავს; ნორმა განისაზღვრება მხოლოდ იქ, სადაც ფორმათა ვარიანტულობა იჩენს თავს. ნორმა უზუალურს, ანუ საყოველთაოდ განმტკიცებულს, არ ეხება. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურისპრუდენციაში ცნობილი ფორმულა: დასამეგობა ის, რაც აკრძალული არ არის. ამგვარ ენობრივ ფაქტებს კი სალიტერატურო ენაში უზუსის ცნება მოიცავს.

უზუსი (ლათ. *usus* – ჩვევა, ჩვეულება, გამოყენება) არის საყოველთაოდ გავრცელებული ენობრივი ერთეული, მიღებული

და ჩვეულებრივი ფორმა. უზუსი ერთი მხრივ უკავშირდება ენის სისტემას, მეორე მხრივ – ნორმას. უზუსი, როგორც უალტერნატივო სისტემური მონაცემი, იგივე ნორმაა. უზუსალურ ფორმებს ნორმატიულ ერთეულებთან ერთად ასახავს ორთოგრაფიული ლექსიკონი.

ნორმის შემუშავების აუცილებლობა ცოცხალ, მოქმედ სალიტერატურო ენაში იქმნება. ენის განვითარების პროცესში მის საერთო გრამატიკულ სისტემაში ცოცხალ ფორმათა ვარიანტულობა იჩენს თავს და, შესაბამისად, საჭირო ხდება ამგვარი არაერთგვაროვნების მონესრიგება. ნორმა მოცილვე ფორმათა პრობლემაა. იქ, სადაც მოცილვე ფორმები არ დასტურდება, ბუნებრივია, არც არჩევანის საჭიროება და შესაძლებლობა იარსებებს.

ამგვარად, ყოველი ნორმა არჩევანია, ორი ან მეტი შესაძლებელიდან ერთ-ერთის გამოჩვენა, მისთვის სრული ან ნაწილობრივი უპირატესობის მინიჭება.

ამ არჩევანის გაკეთება სუბიექტურ საფუძველზეც არის შესაძლებელი და ობიექტურზეც. სუბიექტური გადაწყვეტილება პირად ნარმოდგენას და ჩვევას ემყარება; მისი პრინციპია: უპირატესობას ვანიჭებ იმ ენობრივ ერთეულს, რომელიც ჩემთვის ბუნებრივია. ასეთი მიდგომა შესაძლებელია მაშინ, როცა ნორმის დადგენის პრინციპები არ არის შემუშავებული. სრულიად ნათელია, რომ ამგვარად სალიტერატურო ენის ერთგვაროვნების მიღწევა შეუძლებელია; ინდივიდუალური მიდგომით სალიტერატურო ენაში მოცილვე ფორმათა დაძლევა არ მოხერხდება.

იმისათვის, რომ ნორმის დადგენა ობიექტურ კრიტერიუმებს დაეფუძნოს, აუცილებელია სპეციალისტების მიერ შემუშავებულ იქნეს ისეთი პრინციპები, რომლებიც ერთგვაროვან საზომად გამოდგება ნორმის განსაზღვრის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

ეს პრინციპები, ბუნებრივია, უნდა ითვალისწინებდეს როგორც ენის ისტორიას, ისე მის თანამედროვე მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებსაც. ამიტომაც ძირითადი ნორმატიული მოთხოვნა ამგვარად განისაზღვრება:

მოცილვე ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც შეესაბამება ენის განვითარების ძირითად ხაზს, მის ბუნებრივ ტენდენციებს და პერსპექტიულია ენობრივად.

ამის დადგენისათვის, ბუნებრივია, თითოეული ენობრივი ერთეულის ჩამოყალიბების ისტორია და საერთო სისტემაში მისი ადგილი უნდა იქნეს გამოწველილვით შესწავლილი.

ამგვარად ყალიბდება ის პრინციპები, რომლებიც სახელმძღვა-

ნელო პირობათა ერთგვარ იერარქიას ქმნის და რომლებიც იძლევა კონკრეტული ენობრივი ნორმის ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებული დებულებების საფუძველზე 1935 წელს დაამტკიცა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკურმა კომისიამ. აი, შესაბამისი პრინციპების ამსახველი მონაკვეთი:

„1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.

2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (დაღმა, აქაურა [კაცი], იქაურა [კაცი], გდგავარ, ვზივარ), რასაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილვე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადანყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;

ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;

გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და

დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა: იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილვედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილვე მოვლენათაგან უპირატესობა

რატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

- ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;
- ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;
- გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით“.

მითითებულ საკონტროლო დებულებათა იერარქია შეიძლება უფრო მოკლე კომენტარების სახით ჩამოვყალიბოთ:

1. გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ო ბ ა გულისხმობს იმას, რომ ენის განვითარების შესაბამის ეტაპზე თვით სალიტერატურო (საერთო-სახალხო) ენას მიუცია ამა თუ იმ ფორმისათვის უპირატესობა და მისი „კანონიერების“ დადგენა არსებითად მარტივ სტატისტიკაზე არის დაფუძნებული. თავის მხრივ, ამას უკავშირდება „სოციალური სანქციის“ ცნება, რომელიც გამომხატველია იმ აზრისა, რაც ილიას გავრცელებული გამონათქვამით არის ცნობილი – „ხალხია ენის კანონის დამდები...“ კერძოდ: თვით გრამატიკულად მცდარი ფორმაც კი, რომელიც საბოლოოდ გავრცელებულა საერთო-სახალხო ენაში, კანონიერად ჩაითვლება.

2. მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ბ ა : ის პრინციპი, რომ ასარჩევი ფორმა მართებული უნდა იყოს თანამედროვე გრამატიკული სისტემით, არსებითად განსჯას არ ექვემდებარება; ოღონდაც მას სრული (უალტერნატივო) უპირატესობა იმ მიზეზის გამო არ ეძლევა, რომ არცთუ იშვიათად ენის განვითარება სისტემის მოთხოვნებს სწორხაზოვნად არ მისდევს და, როგორც გამოჩნდა, შეუძლებელი არ არის ანომალიებიც აღმოჩნდეს „სანქცირებული“.

3. პ ე რ ს პ ე კ ტ ი უ ლ ო ბ ა : ამ ცნების შინაარსი არის ის, რომ არჩეული ფორმა შეესაბამებოდეს ენის განვითარების შინაგან ტენდენციას. კერძოდ, სპეციალისტი კონკრეტული ენობრივი ვითარების შესწავლით განსაზღვრავს იმასაც, რამდენად ეგუება ესა თუ ის ვარიანტი ქართული ენის განვითარების საერთო ტენდენციებს. ამით ასარჩევი ვარიანტის პერსპექტიულობის შეფასებაც ხდება შესაძლებელი და მოსალოდნელი შედეგების ერთგვარი პროგნოზირებაც.

4. რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ო ბ ა : ამ ცნებაში შეიძლება გავაერთიანოთ საგანგებო მითითება იმაზე, რომ ნორმა მხარს უჭერს წარმოების მხრივ უფრო მარტივსა და აზრობრივად უფრო ნათელ ფორმას. ეს მოთხოვნა თავისთავში გულისხმობს გრამატიკულ „სიჭარბეთა“ დაძლევის ამოცანას და შინაარსობრივად შეესაბამება ენის ეკონომიურობის პრინციპს.

დამატებით მოითხოვს ხაზგასმას ის, რომ შეუძლებელია თვითმზანი იყოს ყოველგვარი ალტერნატიულობის დაძლევა სალიტერატურო ენაში. ენა ცოცხალი, განვითარებადი სისტემაა და მის შინაგან

განვითარებას გულისხმობს, ანონილ-დანონილი დამოკიდებულება სჭირდება. ამიტომაც ნორმატიული პოლიტიკა მოცილე ფორმათა საკითხს ხშირად ღიად ტოვებს, რათა თვით ენას მიეცეს არჩევანის საშუალება, რათა ძირშივე არ მოისპოს ენის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა.

ნორმათა მითითებული პრინციპებიდან გამომდინარე, ენობრივ ერთეულთა ნორმატიული განსაზღვრის ორგვარი შესაძლებლობა არსებობს: ერთს შეიძლება ვუნოდოთ კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ი , ხოლო მეორეს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი გადაწყვეტა პრობლემისა.

პირველ შემთხვევაში მოცილე ფორმათაგან ერთი განისაზღვრება – როგორც ს ა ე ა ლ დ ე ბ უ ლ ო , მეორე (დანარჩენები) კი – როგორც ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი .

მეორე შემთხვევაში მოცილე ფორმების თანაარსებობა დასაშვებია, ერთი ფორმა განისაზღვრება – როგორც ძ ი რ ი თ ა დ ი , ხოლო მეორე (დანარჩენები) – როგორც დ ა ს ა შ ვ ე ბ ი .

ობიექტურად, ენობრივი ვითარებიდან გამომდინარე, ორივე ამგვარი მიდგომა რაციონალურია იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არის მოცილე ვარიანტების ისტორიული ურთიერთმიმართება საბოლოოდ გარკვეული. მაგრამ ობიექტურობის ხარისხი იკლებს მაშინ, როცა ნორმატიული ტენდენცია ან ერთ, ან მეორე მხარეს გადაიხრება სუბიექტურ (ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ) მოსაზრებათა და დამოკიდებულებათა საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ნორმა თავისი შინაარსით დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი მონაცემია; მართალია, იგი სინქრონიულ დონეზე განსაზღვრულ სტატუსს გულისხმობს და ამით განაპირობებს სალიტერატურო ენის სტაბილიზაციას, მაგრამ ისტორიული ასპექტით თვით ნორმა ექვემდებარება ენის ისტორიულ ცვალებადობას, მის განვითარებას.

თვით ნორმატიული პოლიტიკის განვითარება, ცხადია, სწორხაზოვანი და ერთგვაროვანი პროცესი არ არის. ამ სფეროში გააქტიურების პერიოდებიც აღინიშნება და შედარებითი „მიშვებულობისაც“; მწვავე უთანხმოებანიც იშვიათი არ არის ზოგად თუ კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით. თუ ძირითად საზომად ზომიერ ნორმატიულ დამოკიდებულებას ავიღებთ, მასთან მიმართებით შეიძლება ორი რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გამოიკვეთოს: პ უ რ ი ს ტ უ ლ ი და ა ნ ტ ი ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი .

პ უ რ ი ზ მ ი , ამ ცნების ფართო გაგებით, გულისხმობს დაუძინებელ ბრძოლას სალიტერატურო ენის სწორელებად გარე მინარევებთან, იქნება ეს უცხოენოვანი წარმონაქმნი, დიალექტიზმი თუ სხვა.

ა ნ ტ ი ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი პოზიცია კი იმაში მდგომარეობს, რომ

იგი უარყოფს ყოველგვარი ჩარევის მიზანშეწონილობას სალიტერატურო ენის განვითარებაში, ერთადერთ „ნორმად“ ცნობს ენის ბუნებრივ მდგომარეობას.

ნიშანდობლივი ის არის, რომ ორივე ეს პოზიცია, ჩვეულებისამებრ, ობიექტურობის პრეტენზიით არის ხოლმე წარმოდგენილი; სინამდვილეში კი ორივეს ასაზრდოებს ღრმა სუბიექტივიზმი, ძირითად კრიტერიუმებად არა ენობრივი კანონზომიერებების, არამედ პირადი დამოკიდებულებების წარმოდგენა; რაც მთავარია, თვით ენის ისტორიის, მისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებების უგულვებელყოფა.

როგორც უკვე წარმოჩნდა, ნორმალიზაცია არის მიზანმიმართული, ანონილ-დანონილი, შორსგამიზნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა სალიტერატურო (ეროვნული) ენის განვითარებისა და ფუნქციონირების სფეროში; ამიტომაც ის შესაბამისი დონისა და მასშტაბის დამოკიდებულებას მოითხოვს.

1. ორთოქია

1. ორთოქიის საგანი და ამოცანები

ორთოქია (ბერძნ. orthoépeia = orthos – სწორი, épos – მეტყველება) მართლმეტყველებას გულისხმობს; ამ შემთხვევაში, ცხადია, საკითხი ზეპირმეტყველებას ეხება. როგორც უკვე ითქვა, მეტყველებების გამოვლენის ორი ფორმა არსებობს – ზეპირი და წერილობითი. სალიტერატურო ენის დონეზე ორივე მათგანი ნორმატიული ხასიათისაა; ორივეს ნორმატიულობის საკუთარი კრიტერიუმები აქვს. ზეპირმეტყველების კანონებს განსაზღვრავს ორთოქია, ხოლო წერილი მეტყველებისას – ორთოგრაფია. ამდენად, მათ შორის – ისევე, როგორც შესაბამის სფეროებს შორის – განუყოფელი ერთობაა.

საზოგადოდ, ზეპირმეტყველება უსწრებს წინ წერილი მეტყველებას როგორც ისტორიულად (დამწერლობის მეშვეობით მეტყველების ფიქსირების თვალსაზრისით), ისე ყოველყამიერად – მეტყველების ორი ფორმის ბუნებრივი თანამიმდევრობის თვალსაზრისით: იმისათვის, რომ სათქმელმა წერილობითი ფორმა შეიძინოს, ის ჯერ უნდა წარმოითქვას, ბგერითი სახე მიიღოს (თუნდაც ეს „წარმოთქმა“ აკუსტიკურად არ იყოს გამოხატული).

ამიტომაც არის მიზანშეწონილი, რომ ორთოქია უსწრებდეს წინ ორთოგრაფიას.

მეორე მიზეზი, რაც ორთოქიის წინ წამოწევას განაპირობებს, არის ის, რომ ორთოგრაფია ორთოქიასთან მიმართებით, ორთოქიის მოთხოვნების გათვალისწინებით ყალიბდება; ბევრი რამ, რაც ორთოგრაფიის მოსაგვარებელია, ორთოქიაში იღებს სათავეს. ამიტომაც ორთოგრაფიული პრობლემები ორთოქიის ნორმებზეა დამოკიდებული და – პირიქით; ორთოქიის წესების მონესრიგებულობა დიდწილად არის განმაპირობებელი ორთოგრაფიული სიძნელების დაძლევისა.

ეს მიმართება მართლწერის ორი ფორმისა, ორთოგრაფიის დამოკიდებულება ორთოქიაზე განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ბუნებისა და მნიგნობრული ტრადიციის ენაში, როგორიც ქართულია. კერძოდ, ქართულისათვის, როგორც ცნობილია, ტრადიციულად დამახასიათებელია ზეპირი და წერილი მეტყველების მაქსიმალური სიახლოვე, ისტორიული განვითარების პროცესში მნიგნობრული (წერილობითი) ენის ნაკლები დაშორება ზეპირმეტყველებასთან (რაც,

თავის მხრივ, უნდა განაპირობებდეს კიდევ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების სტაბილურობას).

თანამედროვე ორთოეპიის თვალსაზრისით მთავარი ორიენტირი არის თეზისი: სალიტერატურო, დარბაისლური ქართული არის ფონემურად სრული მეტყველება, რასაც ეფუძნება კიდევ ზემომითითებული პრინციპი: როგორც გამოითქმის, ისე იწერება და – პირიქით. ამიტომაც ორთოეპიის საბაზისო ამოცანა სრულიად ნათელია: სიტყვის (ფრაზის) წარმოთქმა ბგერითი სისრულით, ნათლად.

ორთოეპიული ნორმები ხანგრძლივად, საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდება და მკვიდრდება. ორთოეპიის პრობლემასაც ვარიანტულობა განაპირობებს. ამ პროცესისათვის მეტი სტიქიურობა და ბუნებრიობაა დამახასიათებელი, ვიდრე მართლწერისათვის; მასში ხომ ნეიტრალური, ზომიერი, ბუნებრივი სამეტყველო ნორმის „არჩევა“ არსებითად კონკრეტული ნორმატიული ჩარევის გარეშე, ერთგვარი ფარული „კონვენციის“ (შეთანხმების) გზით ხდება (ვთქვათ, სამეტყველო ორიენტირად და ეტალონად ბუნებრივად, რაიმე ინსტრუქციის გარეშე, არის მიჩნეული რომელიმე ცენტრალური კილო ან დედაქალაქის მეტყველება და მისთ.).

ორთოეპიული პრობლემები უფრო მეტად რეგულირებული ხდება მას შემდეგ, რაც ენა მნიგნობრობის საფუძველზე დაიწყებს განვითარებას და ზეპირმეტყველებასაც უფრო ფართო ფუნქციები დაეკისრება, ვიდრე მის მარტივ საკომუნიკაციო ამოცანებში მდგომარეობდა. ორთოეპია მკვიდრდება საერთო-ეროვნული ენის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, მაშინ, როცა თანდათან ფართოვდება ზეპირმეტყველების მოქმედების სფეროები, როცა მეტად ვითარდება ოფიციალური, საქმიანი და პუბლიცისტური მეტყველების ფორმები.

ორთოეპიული პრობლემების თავისებურება ის არის, რომ ისინი ბევრად უფრო სწრაფად ექცევიან ცოცხალი ენობრივი პროცესების გავლენის სფეროში, ვიდრე ორთოგრაფიის ნორმები (რომლებიც, ჩვეულებისამებრ, გაცილებით კონსერვატიულია). ეს გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც რომელიმე კუთხური მეტყველებიდან, ისე უცხოენოვანი გარემოდან. ქართულ სალიტერატურო ზეპირმეტყველებაში უფრო მეტად შეინიშნება კილოური მინარევები, აქცენტუაციური სიტყვლე, ვიდრე წერილობით მეტყველებაში. თუ ტრადიციულად ქართულ მეტყველებაში უფრო ნიშანდობლივი იყო კილოური მინარევების არსებობა, ბოლო დროს მეტად გამოიკვეთა უცხო ენებიდან მომდინარე აქცენტუაციური ელემენტები.

ამდენად, ორთოეპიის საკითხების დამუშავებისას აუცილებელია

გათვალისწინება იმისა, რომ თანამედროვე გლობალურმა პროცესებმა, საერთაშორისო ვითარებამ ქართული მართლმეტყველება არაერთი ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. ე. წ. ინტერნაციონალურ ლექსიკასთან, სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიასთან ერთად სულ უფრო ინტენსიურად იჭრება უცხო ენებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ნორმები და მანერები. ყველა ენას თავისი ფონემატური სტრუქტურა, მეტყველების ტემპი და რიტმი, სპეციფიკური ინტონაცია და მანერა აქვს; ამგვარი გავლენა ერთი ენისა მეორეზე, ჩვეულებრივად, ყურს სჭრის; მაგრამ უცხო სამეტყველო ელემენტების შემოჭრა მშობლიურ ენაში ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის თითქმის შეუმჩნეველად ხდება; მათი შემჩნევა და შეფასება მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ, ცხადია, თუ მათი რეაგირება დროული იქნება, ხოლო მოქმედება – ადეკვატური.

სანიშნოდ შეიძლება მიგვემართა უცხო ენათა გავლენით გავრცელებული რამდენიმე ჩვევისათვის. მაგალითად, ასეთია წარმოთქმის ინტონაციურ-რიტმული დანაწევრება პაუზისა და მახვილის ფიქსირებით არა სინტაქსურ საზღვარზე, არამედ რამდენიმე სიტყვიანი რიტმული მონაკვეთის ბოლოში. ანდა სულ ბოლო ხანს, გავრცელებული მოვლენა – მკერდისმიერი გაგრძელებული ც ბგერის ჩართვა ბუნებრივი თუ ხელოვნური პაუზების შესავსებად, რაც ტრადიციული ქართული მეტყველების ნორმებით ნაკლად („პარაზიტულ“ მოვლენად) მიიჩნეოდა.

ამრიგად, **ორთოეპია** შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სალიტერატურო ენის იმ საწარმოთქმო ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც სალიტერატურო მეტყველების მთლიანობასა და ერთგვაროვნებას განაპირობებენ. ორთოეპიის ამოცანები მოიცავს როგორც მეტყველების ძირითად ელემენტებს – ბგერებს (ფონემებს), ისე ზესეგმენტურ მონაცემებს (მახვილს, ინტონაციას...); მისი ობიექტია ნებისმიერი ასპექტი სალიტერატურო ზეპირმეტყველებისა. ამ გაგებით იგი რ ი ტ ო რ ი კ ი ს ცნებას ენათესავება.

რითორიკა, მისი ფართო (ტრადიციული) შინაარსით, მჭევრმეტყველებას, იგივე – ორატორულ ხელოვნებას – გულისხმობს. იგი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა, როგორც ხატოვანი, შთამბეჭდავი მეტყველების ოსტატობა; მისი ხერხების ფლობა ითვლებოდა პიროვნების სრულყოფილების ერთ-ერთ გამოხატულებად.

მაგრამ უკანასკნელი საუკუნეებისათვის მჭევრმეტყველების ამოცანებიც უფრო მეტად დაუახლოვდა მეტყველების ბუნებრიობას და, რაც მთავარია, რიტორიკის ცნების უფრო ვიწრო შინაარსით გამოყენება გახდა შესაძლებელი. კერძოდ, მჭევრმეტყველების საპირისპი-

როდ წინ წამოინია მისმა იმ ფუნქციამ, რომელსაც ძველადვე გაეს-
მოდა ხაზი – დარწმუნების ხელოვნებამ. და, ამდენად, იგი დაუკავშირ-
და თანამედროვე დისკურსის ცნებას, რომელიც, თავის მხრივ, სო-
ციალურად აქტიურ, მიზანმიმართულ მეტყველებას (ტექსტს) გულისხ-
მობს.

ამოცანა, რომელიც მეტყველების კულტურის წინაშე დგას, მით
უფრო, მის იმ ნაწილში, რაც ზეპირმეტყველებას ეხება, უპირველესად
გულისხმობს მინიმალური, სავალდებულო მეტყველებითი უნარ-
ჩვევების დაუფლებას. შესაბამისი პროგრამის ფარგლებში მისი მიზა-
ნია არა „შთამბეჭდავად მეტყველების“ ხელოვნების დაუფლება, არა-
მედ სწორი, გამართული მეტყველების ჩამოყალიბება. შეიძლება ეს
ორი ამოცანა ურთიერთანალოგიურად შედგენილი ორი ტერმინით
გავარჩიოთ: ერთი მხრივ – მართლმეტყველება, ხოლო მეორე
მხრივ – მჭევრმეტყველება. მართლმეტყველების ელემენტარუ-
ლი ნორმები ყველა წიგნიერ, კულტურულ ადამიანს მოეთხოვება,
მჭევრმეტყველებას კი ყველას ვერ დავუსახავთ ამოცანად. ამავე
დროს, მჭევრმეტყველების ხერხების დასაუფლებლად აუცილებელია
ფლობა მართლმეტყველების ელემენტარული უნარ-ჩვევებისა. მართ-
ლმეტყველება აუცილებელი საფეხურია მჭევრმეტყველებისაკენ. ამ
კავშირს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აღნიშნავდა ორატორუ-
ლი ხელოვნების მამა – ციცერონი:

„... რაც შეეხება... ენის სინმინდეს და მკაფიობას, ვფიქ-
რობ, არავინ მოელის მათი აუცილებლობის დასაბუთებას. ჩვენ
ხომ არ ვაპირებთ შევასწავლოთ ორატორული მეტყველება
იმას, ვინც საერთოდ არ იცის ლაპარაკი; და არც უნდა გვქონ-
დეს იმის იმედი, რომ ის, ვინც არ იცის წმინდა ლათინური ენა,
ილაპარაკებს მოხდენილად, და უფრო ნაკლებად, რასაკვირვე-
ლია, იმის იმედი, რომ ის, ვისაც არ შეუძლია გასაგებად ლა-
პარაკი, ილაპარაკებს ისე, რომ აღტაცებას გამოიწვევს“.

ამდენად, პრაქტიკული ორთოეპიის მიზანია სასწავლო კურსის
განმავლობაში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება (დაუფ-
ლება ან გამოსწორება), რომელთა მქონებლობაც არის საჭირო კონკ-
რეტული პროფესიული ამოცანების განხორციელებისათვის, სა-
ზოგადოდ კი – პიროვნების ჰარმონიული, სრულფასოვანი განვითარე-
ბისათვის.

როცა კონტინგენტის პროფესიულ ორიენტაციაზე ვაკეთებთ
აქცენტს, ვგულისხმობთ იმას, რომ ორთოეპიის მოთხოვნათა დაკმაყ-
ოფილება საკუთრივ პროფესიული კუთხით სულაც არ არის ერთ-
ნაირად აქტუალური. თუ ზოგი პროფესიული თვითგამოხატვა მჭევრ-

მეტყველების დონის მონაცემებს მოითხოვს (მაგ. პოლიტოლოგია, დიპლომატია, პედაგოგია...), ზოგ შემთხვევაში ეს მოთხოვნები მინიმალური სამეტყველო ჩვევებით არის შემოფარგლული (მაგ. მათემატიკა, ინფორმატიკა, მედიცინა...). შესაბამისად, ზეპირმეტყველების სწავლების ამოცანები მოქნილი და შეხამებული უნდა იყოს იმ ძირითად მიზანთან, რაც კონკრეტული პროფესიული მიმართულებით არის დასახული.

2. რა უნდა დაიძლიოს სტუდენტთა სამეტყველო პრაქტიკაში?

სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში საკუთარი სკოლიდან და გარემოდან უკვე ჩამოყალიბებული სამეტყველო უნარ-ჩვევებით მოდის. ქვედა საფეხური რომ ამ თვალსაზრისით თავის ფუნქციას თანამიმდევრულად ვერ ასრულებს, ამისი უპირველესი დასტურია ის ერთობ არაერთგვაროვანი სურათი, რომელიც ახალ ენობრივ „ერთობაში“ (უმაღლეს სასწავლებელში) ჩანს.

იმ უნარ-ჩვევათაგან, რომელთა კორექტირებისა თუ აღმოფხვრის ამოცანა უმაღლესი სკოლის დონეზე დაისმის, ზოგი რამ ინდივიდუალურია, ზოგიც – საზოგადო, საერთო საფუძვლის მქონე. ერთიც და მეორეც, ცხადია, ყურადღებას მოითხოვს, თუმცა ინდივიდუალური ენობრივი ანომალიები შეიძლება არ ჩაითვალოს პირველი რიგის ამოცანად. ჯერ ერთი, სპეციფიკური ინდივიდუალობები საერთო პრაქტიკული მუშაობის პროცესში ნაკლებ იქნება საინტერესო, მეორეც, ამ თავისებურებათა ნაწილი თავისთავად განიცდის „ნიველირებას“ ახალ ენობრივ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში.

რაც შეეხება იმ ნიშანდობლივ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ზეპირმეტყველებაში ძნელად დასაძლევია მემკვიდრეობის სახით მოსდევს სკოლიდან მოზარდებს, სკოლადამთავრებულთა უმრავლესობისათვის არის დამახასიათებელი. სამწუხაროდ, ქართულ სკოლაში ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა ე. წ. მოყოლის ტრადიცია, რომელიც აღსაზრდელთა მნიშვნელოვან ნაწილში (განსაკუთრებით „ბეჯით“ მოსწავლეებში) ისეთ მკვიდრ ჩვევად იქცევა ხოლმე, რომ მისთვის გვერდის ავლა შესაბამის პირებს უშუალო დიალოგის დროსაც კი არ შეუძლიათ.

ჩვენი სკოლის ეს ნაკლოვანება, დაკავშირებული ინტენსიურ, ცოდნის დაგროვებაზე ორიენტირებულ სწავლებასთან, სპეციალისტებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. სხვათა შორის, თავის დროზე

(მეოთხედი საუკუნის წინ) მეტყველების განვითარების სპეციალური გაკვეთილებიც კი იქნა შემოღებული; მაგრამ ამ ღონისძიებამ თავისი მიზანდასახულება ვერ შეასრულა და მალევე დაკარგა ფუნქცია – გადაიქცა ან ქართული ენისა და ლიტერატურის დამატებით მეცადინეობად, ანდა – მხატვრული კითხვის საათად.

რატომ მოხდა ასე?

მიზეზი ამისა იყო ის, რომ არც ამოცანა იყო ზუსტად, შესატყვისად განსაზღვრული და არც, ცხადია, პედაგოგები იყვნენ მომზადებული ამ ამოცანისათვის. ჩვენი პედაგოგების აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ მხატვრული კითხვა (ძირითადად, პოეზიის დეკლამაცია) არის არსებითად ერთადერთი საშუალება მეტყველების განვითარებისათვის. არადა, მხატვრული კითხვა და ბუნებრივი ზეპირმეტყველების კულტურა სულ სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება, თვით ცნებათა ანტიკური გაგების დონეზე იყო ისინი გამიჯნული.

მათი განსხვავება შინაარსობრივადაც გამოკვეთილია და შესაბამისი სამეტყველო აქტივობის დონითაც, კერძოდ:

1. ა) მხატვრული ტექსტი უპირატესად ე მო ც ი უ რ დატვირთვას შეიცავს;
ბ) რიტორიკული ტექსტი აზრის (პოზიციის) აქტიურ გადაცემას ემსახურება.
2. ა) მხატვრული კითხვა, ტრადიციულად, გამო მსახველო ბითი ხერხების შეუზღუდავ გამოყენებას ემყარება;
ბ) რიტორიკული ტექსტის წარმოთქმა მაქსიმალურად არის მიახლოებული ბუნებრივ მეტყველებასთან; აქ ხელოვნური ეფექტები უკიდურესად არის შეზღუდული.

ამიტომაც არის ბუნებრივი შესიტყვებები – ერთი მხრივ, „**მხატვრული კითხვა**“, ხოლო მეორე მხრივ – „**საჯარო (პუბლიცისტური) გამოსვლა**“ და მისთ.

ერთი სიტყვით, მეტყველების განვითარების აღნიშნულმა გაკვეთილებმა ვერ შეასრულა და არც შეეძლო შეესრულებინა დაკისრებული ამოცანა. ამიტომაც მხატვრული დეკლამაცია (სადაც მას მისდევენ) ცალკე ამოცანად იქცა და მოყოლის ჩვევები ისევ ისე დაუძლეველი დარჩა.

მაინც რაში მდგომარეობს მოყოლის აღნიშნული ჩვევა?

თუ ძირითადი მახასიათებლებით გამოვხატავთ მის თავისებურებას, ეს ნიშნებია: „ნამღერებითი“ ინტონაცია, მაღალი ტემპი, მონოტონურობა, თანმხლები რიტმული მოძრაობები (რწევა, თავის კანტური...), პაუზის შემავსებელი „პარაზიტები“ (ანუ, ესე იგი...) და მისთ.

ჩვევათა ეს კომპლექსი, როგორც უკვე ითქვა, სტუდენტობის დროისათვის უკვე საფუძვლიანად არის პიროვნებაში განმტკიცებული, ამიტომაც მისი დაძლევა ორთოქსიის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა და მთელი კურსის განმავლობაში დაჟინებულ მუშაობას მოითხოვს.

ერთი შენიშვნაც:

პედაგოგი არ უნდა მოელოდეს, რომ ამ რიგის თავისუფალი პრაქტიკული მეცადინეობებით ყველა შემთხვევაში ოპტიმალური შედეგი იქნება მიღწეული და არაერთმა კონკრეტულმა წარუმატებლობამ ხელი არ უნდა ააღებინოს ამოცანის შესრულებაზე. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ აქ მთავარია თვითკრიტიკული და სხვათა მიმართ კრიტიკული უნარის გამომუშავება, საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა, იმ პროცესის დანყება, რომელიც შემდგომ, თუ ამისი შინაგანი განწყობა დახვდა, პიროვნების თვითსრულყოფის გზით უნდა წარიმართოს.

3. მეტყველება და პიროვნების ფსიქოლოგია

თუ განწყობის თეორიას დავემყარებით, სამეტყველო განწყობა ერთ-ერთი მთავარი წარმმართველია, საზოგადოდ, ადამიანის ფსიქიკისა და, აქედან გამომდინარე, მთელი მისი სულიერი ცხოვრებისა.

ადამიანი, როგორც მეტყველი არსება, პიროვნულად ენობრივ საფუძველზე და ენით აგებულ გარემოში (ბუნებრივშიც და სოციალურშიც) ყალიბდება. შეიძლება ითქვას, ის ენაში და ენობრივად იმკვიდრებს საკუთარ სოციალურ ადგილს და ის შეფერხებებიც, რომლებიც შეიძლება ამ თვალსაზრისით პიროვნების განვითარებასა და დამკვიდრებას შეხვდეს, უპირველესად სწორედ ენობრივი შინაარსისაა (ცნობიერსა თუ ქვეცნობიერ დონეზე). ამიტომაც ექცევა თანამედროვე მსოფლიოში ესოდენ დიდი ყურადღება ბავშვთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

როგორც ადამიანის ფსიქიკის სიღრმისეულმა შესწავლამ წარმოაჩინა, ყოველი ინდივიდი ცხოვრების განმავლობაში (უფრო მეტად კი – ადრეულ ასაკში) ნაირგვარი ფსიქოლოგიური „კომპლექსით“ განიმსჭვალება და ხშირად ამგვარი ინდივიდუალური თვისება პიროვნებისათვის მოუცილებელ, აუტანელ ტვირთად იქცევა.

შეიძლება ითქვას, „კომპლექსების“ სათავეც უმეტესად ენობრი-

ვია; რაც მთავარია, ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და სერიოზული, რასაც კი ადამიანის ფსიქიკასთან აქვს კავშირი, სწორედ სამეტყველო „კომპლექსია“. არაერთი ადამიანისათვის გამხდარა ის სულიერად სატანჯველი და პრაქტიკულად – ხელის შემშლელი. უმცირესობას ნამდვილად არ წარმოადგენენ ისინი, ვინც სრულფასოვან ცხოვრებას არის მოკლებული იმის გამო, რომ გულისნადების გამოხატვა ვერ გაუბედავს, ვისაც პროფესიული წარმატებისათვის ვერ მიუღწევია ასევე ძირითადი საკომუნიკაციო „იარაღის“ შესაფერისად გაუმართაობის გამო. ეს კი ახალგაზრდების თვითდამკვიდრების სასკოლო პერიოდსაც ეხება და სტუდენტურსაც.

ამიტომაც ორთოქსიის პრაქტიკული მეცადინეობები ირიბად იმ მიზანსაც ისახავს, რომ სტუდენტებმა მრავალფეროვან ახალ გარემოში ენობრივი თვითგამოხატვის შემზღვეველი ფსიქოლოგიური ბარიერები დაძლიონ, შეეჩვივნენ სამეტყველო აქტივობას აუდიტორიის წინაშე, ისწავლონ თვითკონტროლი, შინაგანად მზად შეხვდნენ საჯარო შენიშვნას, დაძლიონ პასიურ მდგომარეობასთან შეგუება და შეიძინონ აქტიური კრიტიკული დამოკიდებულების უნარი.

ამ შემთხვევაშიც, ცხადია, არა სრულ შედეგზე, არამედ პიროვნების სამეტყველო „კომპლექსთაგან“ განთავისუფლების პროცესის დაწყებაზე და წარმართვაზეა საუბარი.

4. როგორ შევარჩიოთ სამეტყველო ამოცანის შესატყვისი ტექსტები?

სამეტყველო ამოცანებისადმი უკვე გამოკვეთილი დამოკიდებულება მიანიშნებს, რომ მიზნის მისაღწევად შესაფერისი ტექსტის შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ტექსტი არ გამოდგება. ტექსტის შინაარსი და სტილისტიკა განსაზღვრავს იმ სამეტყველო გამოხატულებას, რომელმაც ზუსტად, ადეკვატურად უნდა გამოხატოს სათქმელი. როგორც წესი, შინაარსი ამ შემთხვევაშიც განმაპირობებელია ფორმისა (ანუ სამეტყველო გამოხატულებისა).

როგორი ტექსტი შეეფერება იმ ამოცანას, რომელსაც ზემოთ რიტორიკული (ვინრო გაგებით) ვუნოდეთ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უმჯობესია ტექსტთა ტიპებიდან ამოვიღეთ.

თუკი ადამიანის სიტყვიერ სამყაროში არსებული ტექსტების დიდ მრავალფეროვნებას ყველაზე ზოგადი შინაარსობრივ-სტილისტიკური

პრინციპით დავყოფთ, ტექსტების სამი ძირითადი ტიპი გვექნება: **მხატვრული, პუბლიცისტური და ინფორმაციული.**

მათ შორისაც გარკვეული იერარქიაა: თითოეული მათგანი მოიცავს მომდევნოს ნიშნებს, მაგრამ მომდევნო არ მოიცავს (არ უნდა მოიცავდეს) წინამავალის ნიშნებს. რაც მთავარია, თითოეულ მათგანს ისეთი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია, რაც საბოლოოდ განაპირობებს მათი საწარმოთქმო ამოცანისადმი დამოკიდებულებას; კერძოდ, მხატვრულ ტექსტში დომინანტია ემოციურ-ესთეტიკური ნიშანი („მოხიბვლა“), პუბლიცისტურ ტექსტში წინა პლანზე მოდის პუბლიკაზე (აუდიტორიაზე) გონებრივი ზეგავლენის ნება (დარწმუნება), ხოლო ინფორმაციული ტექსტი ამ ორივე თვალსაზრისით ნეიტრალურია, მაქსიმალურად არის დაცლილი მთქმელის ნებისა და აქტივობისაგან, მისი ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს.

აქედან გამომდინარე, მხატვრული ტექსტი ვერ იქნება რიტორიკული სამეტყველო ამოცანისათვის შესაფერისი, რამდენადაც ის პირობითობა და გამომსახველობითი ხერხები, რაც სიტყვიერი ხელოვნების დარგებისათვის არის დამახასიათებელი, საქმიანი სამეტყველო ვითარებისათვის სრულიად შეუფერებელია.

თავის მხრივ, ასევე შესაბამისა საწარმოთქმო მიზნისათვის წმინდად ინფორმაციული ტექსტი, რამდენადაც ის შესაბამისი სუბიექტისაგან არსებითად არ მოითხოვს აქტიური დამოკიდებულების, პიროვნული ნების გამოვლენას, ასეთი ტექსტისთვის სრული შინაარსობრივი და სტილისტიკური „ნეიტრალიტეტია“ დამახასიათებელი.

ამდენად, საწარმოთქმო ამოცანებისათვის შესაფერისია პუბლიცისტური ტექსტები, ანუ ისეთი მასალა, რომელიც რაიმე აქტუალურ თემაზე საჯარო აქტივობას (ან ამ აქტივობის განზრახვას) გამოხატავს. ამგვარი ტექსტი, ჩვეულებისამებრ, მეტად შეზღუდულად, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავს ენის ხატოვანებას, ხოლო მისი აზრობრივი აქცენტები არის ზუსტი და გამიზნული. ასეთი ტექსტი თავისი არსით ინფორმაციულია, მაგრამ ეს ინფორმაცია მისი ძირითადი მიზანი კი არ არის, არამედ – პოზიციის გამოხატვის საშუალება, აქტივობის რესურსი. სწორედ პუბლიცისტური ტექსტი წარმოაჩენს პიროვნებას, მათ შორის, განსაკუთრებით – რიტორიკულ შესაძლებლობათა კუთხით.

სად მოვიძიოთ შესაბამისი ტექსტები?

საბედნიეროდ, XIX-XX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა მემკვიდრეობა, შესაბამის ისტორიულ-კულტურულ გარემოებათა გამო, მეტად მდიდარია ამგვარი მიზანდასახულების ტექსტებით. განსაკუთ-

რებით ილია ჭავჭავაძის გამოსვლები და წერილები არის აქტიური პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუში. ასევე მდიდარია ამ მხრივ აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას... მეგვიდრეობა. პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ქართველ ადვოკატთა საჯარო სასამართლო გამოსვლები, რომლებიც ცალკე ნიგნებადაც არის გამოცემული... შეგვიძლია მოვიძიოთ აგრეთვე უახლესი ქართველი მწერლებისა და ჟურნალისტების პუბლიცისტიკა...

ასე რომ, არჩევანი მცირე არ არის და იმედია, არ გაგვიჭირდება, ჩვენი სათქმელისა და ხასიათის შესაფერისი ტექსტი ვიპოვოთ.

ამავე დროს, თუკი სტუდენტის შემოქმედებითი შესაძლებლობები ამის საშუალებას იძლევა, უფრო მეტი შედეგის მომცემი იქნება, სწორედ დამოუკიდებლად შექმნას მან ანალოგიური ტექსტი სასურველ თემაზე, ანდა გარკვეული მონტაჟი გააკეთოს უკვე არსებულთაგან. ამგვარი აქტივობით სტუდენტს თავისთავად მოეხსნება ის ბარიერი, ის გაუცხოების გრძნობა, რომელიც მას სხვის შექმნილ ტექსტთან შეხვედრისას ექმნება და სერიოზულად უშლის კიდევ ხელს მის გათავისებას, გაშინაგანებას.

რა მოცულობის უნდა იყოს ტექსტი?

ეს მოთხოვნა, ცხადია, ინდივიდუალურია, რამდენადაც შესაბამისი ტექსტი ზეპირად უნდა იქნეს დასწავლილი და არჩეული. მასალის მოცულობაც უპირველესად დასწავლის უნარზეა დამოკიდებული. საშუალო მოცულობად შეიძლება ავიღოთ ნიგნის ერთი ნაბეჭდი გვერდი.

ამ მოცულობის დასრულებული ტექსტი, ცხადია, იშვიათია. ამიტომაც შეიძლება პუბლიცისტიკური წერილების გარკვეული მონაკვეთები შევარჩიოთ, ოღონდ ისე, რომ რალაც აზრის დანყება, განვითარება და დასრულება ჩანდეს, რომ გამოსახატავი პოზიცია ნათელი შეიქმნეს.

როგორ უნდა მომზადდეს ტექსტი?

ტექსტი ისე უნდა იქნეს დასწავლილი ზეპირად, რომ სტუდენტს მის გასახსენებლად არათუ ტექსტში ჩახედვა, არამედ – სასურველია – დაფიქრებაც კი არ სჭირდებოდეს, რათა ამან ხელი არ შეუშალოს აუცილებელი სამეცყველო ამოცანების შესრულებას, რათა საბოლოოდ დაიძლიოს მოყოლის ინტონაცია მათს მეტყველებაში. ამავე დროს, სტუდენტმა ისე უნდა გაითავისოს არჩეული ტექსტი, რომ სხვის პოზიციასა და თვალსაზრისს კი არ გადმოსცემდეს, არამედ იმგვარად წარმოჩნდეს, თითქოს თვითონ აყალიბებდეს შესაბამის აზრს, საკუ-

თარი პოზიციის დამკვიდრებას ესწრაფვოდეს.

დასასრულ: საორიენტაციოდ პუბლიცისტური ტექსტის რამდენიმე ნიმუში ამ თავის ბოლოს დაერთვის.

5. რა ძირითადი მოთხოვნები უნდა გავითვალისწინოთ წარმოთქმის დროს?

ტექსტის წარმოთქმა სამეტყველო მოქმედებათა რთული კომპლექსია – დაწყებული ბგერის წარმოქმით და დამთავრებული მეტყველების თანმხლები მოძრაობებით (ყესტ-მიმიკით). რამდენადაც უფრო აწყობილი და ჰარმონიულია სამეტყველო მოქმედებათა მთელი ეს მთლიანობა, იმდენად უფრო ეფექტურია წარმოთქმა. ამავე დროს, სამეტყველო მოქმედებათა კომპლექსის რომელიმე ერთი ელემენტის შეუსაბამობამაც კი შეიძლება სერიოზულად შეამციროს წარმოთქმის ეფექტურობა.

ეს მოთხოვნები, ცხადია, უპირველესად ბგერის, ხმის მართვას ეხება, ვინაიდან წარმოთქმას ბგერითი ფორმა აქვს. ხმის წარმოქმნა, განყენებულად, ბუნებრივი ფიზიოლოგიური პროცესია და შესაბამის ფიზიკურ მონაცემებზეა დამყარებული. როგორც ამბობენ, ხმა გარკვეულ ასაკში ყალიბდება და შემდეგ ის პიროვნების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცევა. ამიტომაც არის, რომ ადამიანები ხმით ტელეფონშიც კი ცნობენ ერთმანეთს (ხმა გაქვს შეცვლილი, – გეტყვით ნაცნობი უმნიშვნელო ცვლილებისასაც კი...).

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, რაკი ხმა ერთხელ ჩამოყალიბებულია, მასზე ზეგავლენის მოხდენა, მისი გაუმჯობესება ან გაუარესება არ შეიძლება. უკვე ის, რომ მეტყველებას ფიზიოლოგიური საფუძველი აქვს, გულისხმობს იმას, რომ ხმა და ბგერა სამეტყველო ორგანოების, საარტიკულაციო ბაზისის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. შესაბამისი ბაზისის მონესრიგება ხმის გაუმჯობესებასაც განაპირობებს და – პირიქით – მოუნესრიგებლობა სახმო შესაძლებლობებს აუარესებს. ეს შეეხება როგორც სამეტყველო აპარატის ფიზიკურ მდგომარეობას, რასაც ხშირად აჩნევს კვალს ცხოვრების წესი და პირობები, ისე – განსაკუთრებით – სუნთქვას, რომლის მონესრიგებულობა არა მხოლოდ ფიზიკური ჯანმრთელობის, არამედ გამართული მეტყველების საფუძველია (რასაც ქვემოთ კიდევ დაეუბრუნდებით).

მაინც რა ძირითადი ნიშნები უნდა ახასიათებდეს ნორმალურ ხმას?

-სუფთატემბრი, სიძლიერე და ძალდაუტანებლობა.

ხმის ტემბრი არის ის ელფერი, რომელიც განაპირობებს ადამიანის ხმის ინდივიდუალურ თავისებურებას და რომელიც სახმო სიმების, რეზონატორებისა და სუნთქვის ფაქტორებით არის განპირობებული. შესაბამისად, ამ ფაქტორების „მონესრიგებულობა“ არის სასიამოვნო ტემბრის საფუძველი.

ხმის სიძლიერეში ვგულისხმობთ მის სიმაღლესა და დიაპაზონს, რაც ასევე დამოკიდებულია ბგერის წარმომქმნელი ჰაერნაკადის ძალასა, სახმო სიმების ფერის ხარისხსა და რეზონატორების მოქმედებაზე.

რაც შეეხება ბოლო მოთხოვნას – ძალდაუტანებლობა ხმის ის თავისებურებაა, რომელიც ყველა ბუნებრივი მონაცემის მაქსიმალურ, მაგრამ უშუალო, ხაზგასმული ძალისხმევის გარეშე გამოვლენას გულისხმობს.

ცხადია, უმჯობესია, თუ პიროვნებას საჭირო სახმო მონაცემები ბუნებრივად აქვს მომადლებული. მაგრამ თუ ასე არ არის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მდგომარეობის გამოსწორება არ შეიძლება. კაცობრიობის გამოცდილება ადასტურებს, რომ მეტყველება ყველაზე მეტად ექვემდებარება ვარჯიშსა და სრულყოფას. ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ოვით უიმედო სამეტყველო ნაკლის გამოსწორებისაც კი (ამის მაგალითად დიდი ბერძენი ორატორის – დემოსთენეს – ისტორიაც იკმარებდა). თუკი მოვანესრიგებთ სამეტყველო აპარატს, ვიზრუნებთ სუნთქვის რეგულირებაზე და მივმართავთ გარკვეულ სანარმოთქმო ვარჯიშებს, შედეგი მალე გახდება თვალსაჩინო.

წარმოთქმის კიდევ რამდენიმე აუცილებელი პარამეტრია გასათვალისწინებელი:

ჩიტმი და ტემპი. ყველაზე ხშირი ამ ორი ტერმინის აღრევაა, რადგანაც თითოეული მათგანი, თავის მხრივ, მეტყველების სიჩქარის ცნებასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ისინი მაინც ურთიერთგანსხვავებული ასპექტით ახასიათებენ მეტყველებას.

ტემპი სამეტყველო ნაკადის საერთო სისწრაფეს გამოხატავს. ამიტომაც მისი ძირითადი მახასიათებელია სიჩქარის ხარისხი. მეტყველება შეიძლება იყოს მაღალი, საშუალო და დაბალი ტემპის, ანუ ჩქარი, ზომიერი და ნელი. ასეთ თუ ისეთ ტემპს განაპირობებს როგორც ინდივიდუალური (ხასიათი, განწყობა...), ისე რეგიონული (კილოური) თავისებურება. ზომიერად, ჩვეულებისამებრ, ითვლება სალიტერატურო მეტყველება ნეიტრალურ ვითარებაში. აუცილებელი არ არის მეტყველების სიჩქარე დროის საზომით გავზომოთ, საერთო

სმენითი ჩვევით ისედაც ყველა კარგად არჩევს მეტყველების ასეთ თუ ისეთ სიჩქარეს. არსებითი აქ ის არის, ყველამ ინდივიდუალურად შეძლოს სალიტერატურო მეტყველების ზომიერი ტემპის დაუფლება. ამისათვის იმ პირვანდელი ჩვევების დაძლევაა საჭირო, რომლებიც შეუფერებელ სამეტყველო ტემპს განაპირობებენ. ამ მიზნით შესაძლებელია დასაწყისში „მეორე უკიდურესობის“ მეთოდიც კი გამოვიყენოთ, ანუ სწრაფმეტყველ სუბიექტს ხაზგასმულად ნელა წარმოვათქმევინოთ ტექსტი და მისთ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ეს მითითებები, ცხადია, არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მეტყველების ტემპი მიზანმიმართულად არის შეცვლილი რაიმე კონკრეტული (ვთქვათ, ჟურნალისტური) ამოცანის შესასრულებლად.

რიტმი არის სამეტყველო ნაკადის ცალკეული მონაკვეთების მონესრიგებული თანამიმდევრობა. ამიტომაც რიტმის ძირითადი მახასიათებელია თანაზომიერება, რეგულარულობა. რიტმის არსი განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოეზიაში, რომელიც საზოგადოდ მარცვალთა რიტმულ განაწილებას (მონესრიგებას) ეფუძნება. მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ე. წ. რიტმული პროზაც. მაგრამ თავისებური რიტმული ნესრიგი ჩვეულებრივ მეტყველებასაც, წარმოთქმასაც ახასიათებს. კერძოდ, ფრაზის რიტმული მონესრიგებულობა ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია სალიტერატურო მეტყველებისა, ხოლო რიტმის დარღვევის შემთხვევები სერიოზულ დაღს ასვამს, საერთოდ, მეტყველების პროცესს. რიტმი ფრაზის აგებაზეა დამოკიდებული. მოკლე-მოკლე ფრაზები უფრო „სხარტ“ რიტმს განაპირობებს, ვიდრე ვრცელი სინტაქსური პერიოდები. ამდენად, სწორი რიტმის შერჩევა ფრაზისა და სუნთქვის ურთიერთშეთანადებას, რეგულირებას მოითხოვს.

ამგვარად, ტემპი და რიტმი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, თუმცა მათი დამოუკიდებლობაც აშკარაა: შესაძლებელია ტემპი გარკვეულ სტანდარტს აჭარბებდეს, მაგრამ მეტყველების რიტმი მონესრიგებული იყოს; ასევე – შესაძლებელია ტემპი ზომიერი იყოს, მაგრამ, სამაგიეროდ, რიტმის თანაზომიერება იყოს დარღვეული.

პაუზა: მართლმეტყველების ძირითადი მიზანი ფრაზის, წინადადების წარმოქმნის სწორი ორგანიზებაა. მეტყველების ორგანიზებაში კი ერთ-ერთი ნამყვანი როლი პაუზას ეკუთვნის. **პაუზა** შეიჩერებას, შეყოვნებას ნიშნავს. ბუნებრივ მეტყველებაში მისი ფუნქცია მნიშვნელოვანია; ის ემსახურება ფრაზის აზრობრივ დანანევრებას. აშკარად ჩანს, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს მეტყველების რიტმთან, ხოლო მეორე მხრივ – სამეტყველო სუნთქვის მონესრიგებასთან.

პაუზა წერილობით დონეზე სასვენი ნიშნებით არის გამოხატული; შესაბამისად, პაუზა სინტაქსური კონსტრუქციის ინტონაციური ქარგაა; სხვაგვარად: პაუზები ასახავენ წინადადების სინტაქსურ დანაწევრებას; იმას, რასაც ზეპირმეტყველებაში პაუზა გამოხატავს, წერის დროს სასვენი ნიშნებით აღვნიშნავთ.

მაგრამ თუ აისახება პაუზებში სასვენი ნიშანთა განსხვავება?

ჩვეულებისამებრ, ამბობენ, რომ წინადადების დასასრულს (წერტილის ადგილას) უფრო დიდი პაუზაა, ვიდრე წინადადების შიგნით (მძიმის ადგილას); მაგრამ უფრო არსებითი უნდა იყოს ამ ორგვარი პაუზის ინტონაციური განსხვავება. იმ ინტონაციას, რომელიც წინადადების დასასრულის გამომხატველ პაუზას ახლავს, შეიძლება დამავალი ინტონაცია ვუნოდოთ, რამდენადაც აქ ინტონაციურად აზრის დამთავრებაა აქცენტირებული; ხოლო იმ პაუზას, რომელიც ერთ მთლიან წინადადებას ანაწევრებს, შეიძლება გარდამავალი ინტონაცია ეწოდოს, რამდენადაც აქ ამკარად მოინიშნება ინტონაციურად ის, რომ აზრი არ დამთავრებულა, რომ წინადადების (აზრის) გაგრძელებაა მოსალოდნელი.

ამ ორგვარი ინტონაციის გარჩევას ჩვენი სმენა სრულიად ბუნებრივად ახერხებს; იქ, სადაც არის არტიკულაციური დიფერენცირება, არის აკუსტიკური გარჩევაც. ამისი ობიექტური დასტურია ის, რომ, ჩვეულებისამებრ, არ გვჭირდება რაიმე დამატებითი ნიშანი იმისათვის, რათა მივხვდეთ, დაასრულა თანამოსაუბრემ ფრაზა თუ კიდევ აპირებს გაგრძელებას. ამას ჩვენ სათანადო პაუზის თანმხლები დამავალი თუ გარდამავალი ინტონაცია გვანიშნებს.

ბუნებრივი პაუზების გარდა, მეტყველებაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ე. წ. რიტორიკული პაუზა, რომელიც სულაც არ მისდევს (ანდა საგანგებოდ ააქტიურებს) წინადადების ბუნებრივი დანაწევრების მოთხოვნებს და ამით ისეთ აზრობრივ აქცენტებს აკეთებს, რომელთა გამოკვეთა ამ კონკრეტული საწარმოთქმო ამოცანისათვის არის აუცილებელი და რომელთა გამოხატვა ბუნებრივი ინტონაციისას ესოდენ ეფექტური არ იქნებოდა.

ამგვარი პაუზები თავისებურად წარმოაჩენს ინტონაციური გამომსახველობისა და აზრის რიტორიკულად გამოხატვის შესაძლებლობებს.

ინტონაციურ გამომსახველობაში, სრულიად ბუნებრივია, თავისი ადგილი განეკუთვნება კითხვის, ძახილისა და კითხვა-ძახილის მოდალობათა გამოხატვას. ამ შემთხვევაშიც ყურადღება შესაბამის ინტონაციათა ზომიერებაზე უნდა გამახვილდეს. საწარმოთქმო კუთხით მნიშვნელოვანია რიტორიკული კითხვისა და

რიტორიკული შექახილის მოდალობები. რიტორიკულია კითხვა, რომელიც პასუხს არ მოითხოვს („*ეა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?!*“); ამ სახით ის უახლოვდება კითხვა-ძახილის წინადადებას. ხოლო რიტორიკული შექახილი ისეთი წინადადებაა, რომელიც ფორმით ძახილის (ბრძანებით) წინადადებაა, მაგრამ აზრობრივად არ არის ამ მიმართების შემცველი; ის კონკრეტულად მიუმართავ ემოციას გამოხატავს.

ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება კითხვის ინტონაციაზე, რამდენადაც თანამედროვე სალიტერატურო მეტყველებაში განსაკუთრებით ამ ინტონაციის დამახინჯებამ იჩინა თავი. თუ სხვა სფეროებში დარღვევის წყაროდ უმეტესწილად კუთხური (კილოური) თავისებურებები გვევლინება, ამ შემთხვევაში არასწორი კითხვითი ინტონაციის წყარო ცენტრალური (ქალაქური, ინტელიგენტური...) ენობრივი გარემო აღმოჩნდა. ამიტომაც დღემდე არ მოხერხდა მისი დაძლევა.

საკითხი ეხება კითხვის ინტონაციის გამოხატვას კითხვითისიტყვიან წინადადებაში.

საზოგადოდ, ნორმაა ამგვარი წესი:

ა) თუ კითხვით წინადადებაში რომელიმე კითხვითი სიტყვა (*ეინ, რა, სად, როდის, როგორ...*) არსებობს, მაშინ მახვილი ამ სიტყვაზე მოდის და კითხვითი ინტონაცია ზედმეტია. ასეთი კითხვითი წინადადების ინტონაცია თითქმის თხრობითისას უახლოვდება:

„*ეინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?*“

ბ) მაგრამ თუ წინადადებაში ასეთი სიტყვა არ არის, კითხვითი ინტონაცია აუცილებელია:

„*მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?*“

ამ დროს ის სიტყვა (ჩვეულებისამებრ, ზმნა), რომელზეც კითხვის ინტონაცია მოდის, უპირატესად ბოლოშია, მაგრამ თუ ის რომელიმე წინა პოზიციაში დგას, კითხვის მახვილიც იქით გადაინაცვლებს:

„*შეასრულე ბოლო დავალება?*“

შეცდომა გამოიხატება იმაში, რომ არცთუ იშვიათად მეორე შემთხვევისათვის ბუნებრივი კითხვითი ინტონაცია თავს იჩენს პირველ შემთხვევაშიც, ანუ კითხვითისიტყვიან წინადადებაშიც. ამის დაძლევა კი რთული ამოცანა არ უნდა იყოს.

რამდენიმე სიტყვა **ჟესტ-მიმიკის** შესახებ:

ჟესტ-მიმიკა მეტყველების თანმხლებ მოძრაობებს აღნიშნავს: ჟესტები – სხეულის (ძირითადად – ხელების), მიმიკა – სახის ნაკეთებისას. საზოგადოდ, რაიმე უკიდურესი შეზღუდვა ამ სფეროში არ არ-

სებობს. ორატორი სრულიად სტატიკური ვერ იქნება; მაგრამ ზედმეტი მოძრაობებიც, ყესტებისა თუ მიმიკის გადაჭარბებული გამოყენება ვერ ჩაითვლება მისაღებ რიტორიკულ მანერად. ამ შემთხვევაშიც ბუნებრივობას უნდა გაესვას ხაზი. ყველაფერი ის, რაც ბუნებრიობის ფარგლებში თავსდება, რაც არ არღვევს ზომიერების ფარგლებს, რასაც მსმენელის ყურადღება მეტყველებიდან სხვა მიმართულებით არ გადააქვს, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. აქედანვე გამომდინარე, ყესტ-მიმიკის შეზღუდვა ზომიერების ფარგლებში სრულიად ბუნებრივი მოთხოვნა ჩანს.

წ. როგორ ავაგოთ ტექსტი და როგორ მოვეყროთ აუდიტორიას?

სანამ ადამიანი რაიმე ტექსტს წარმოთქვამდეს, ის ჯერ ქმნის მას. შეიძლება ეს „შექმნა“ ხანგრძლივი და დამჯდარი მუშაობის შედეგი იყოს, შეიძლება – ოპერატიული და სახელდახელო. შეიძლება ტექსტი წინასწარ დაინეროს, ანუ ყველა სიტყვას ადგილი მიეჩინოს, შეიძლება ზეპირად მონახაზის სახით ჩამოყალიბდეს, ხოლო სიტყვიერი ხორცშესხმა უშუალოდ წარმოთქმის დროს მოხდეს. ასე იქნება თუ ისე, რაღაც ტექსტის მონახაზი წინ უსწრებს წარმოთქმას. რა საფეხურებს გადის რიტორიკული ტექსტი იდეის ჩასახვიდან წარმოთქმამდე:

1. თემის შერჩევა: თემას, ჩვეულებისამებრ, ობიექტური ვითარება და მასთან ჩვენი დამოკიდებულება გვიკარნახებს. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია არა ფართო სიტუაციურ კონტექსტზე, არამედ იმ ვიწრო სანარმოთქმო თემაზე, რომელშიც უნდა მოვახდინოთ მთელი ჩვენი დამოკიდებულების კონცენტრირება. თუ ასეთი თემატური ფოკუსი არ მოიძებნა, შეიძლება ჩვენი სამეტყველო აქტივობა გაფანტული და, შესაბამისად, არაეფექტური გამოვიდეს. ამდენად, თემის ზუსტ განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

2. სტრუქტურული მონახაზი: იგულისხმება გარკვეული გეგმა, რომელშიც თემის ცალკეული ელემენტები ლოგიკურ თანამიმდევრობას შექმნის. ამ თანამიმდევრობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თემის დასაწყისისა და დასასრულის სწორად შერჩევას, რამდენადაც, ჯერ ერთი, მათ ეკისრება მთელი თემატური მონახაზის შეკვრა, ერთ მთლიანობად ქცევა, მეორეც, მათზე დიდწილად არის დამოკიდებული კონკრეტული სანარმოთქმო აქტივობის ეფექტურობა.

3. სიტყვიერი ხორცშესხმა: ეს მოთხოვნა სრული შინაარ-

სის მატარებელია მაშინ, როდესაც წინასწარ ხდება წარმოსათქმელი ტექსტის შექმნა (დანერა). ამ შემთხვევაში მიზანი ერთია: დანერილი ტექსტი მაქსიმალურად იყოს მისადაგებული სანარმოთქმო ამოცანას, რათა მათმა სტილურმა განსხვავებამ წარმოთქმის დროს უშუალოდ და ბუნებრივად არ დაარღვიოს. არცთუ იშვიათად, როგორც ითქვა, ტექსტი წინასწარ არ ითხზება, არამედ იგი უშუალოდ იქმნება წარმოთქმის დროს. ამგვარი შემთხვევისათვის წინასწარ შეიძლება ცალკეული საკვანძო ფრაზების მოფიქრება, რათა მომზადებული გეგმის გაშლისას გარკვეული „მოსაჭიდი“ პუნქტები არსებობდეს და აზრობრივი გადასვლები ბუნებრივი გამოვიდეს.

4. დამახსოვრება: ამ მომენტზე ყურადღების გამახვილება იმდენად არის საჭირო, რამდენადაც მისადმი დამოკიდებულება მეტად ინდივიდუალურია; ზოგი ტექსტს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, წინასწარ იზეპირებს, ზოგს, პირიქით, დასწავლილი ტექსტის წარმოთქმა უჭირს. ერთი რამ აშკარაა: ის გზა უნდა ავირჩიოთ, რომელიც ჩვენს ბუნებასა და ჩვევას შეეფერება. ოღონდაც უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოთქმის ბუნებრიობასა და უშუალობას უნდა მივალწიოთ; არ უნდა ჩანდეს, რომ წინასწარ დასწავლილს ვყვებით. საზოგადოდ, წარმოსათქმელი ტექსტის დეტალური მონახაზის დამახსოვრება ჯობია, რათა ორატორმაც თავისუფლად იგრძნოს თავი და მსმენელსაც ზემომითითებული უშუალობის შეგრძნება დარჩეს.

5. წარმოთქმა: სანარმოთქმო მოქმედების ცალკეული მახასიათებლების შესახებ უკვე იყო საუბარი. აქ ერთადერთ საკითხზე შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება: ვიქონიოთ თუ არა თან ჩანანერი, ნავიკითხოთ თუ წარმოვთქვათ მომზადებული ტექსტი? თანამედროვე რიტორიკული სტილი, საზოგადოდ, დანერილი ტექსტის კითხვას არ იგუებს. თვით ხანგრძლივი გამოსვლის დროსაც კი ორატორები შიგადაშიგ იყურებიან ტექსტში, რათა არსებითი არ გამოჩნდეს, ისე კი იქვე აყალიბებენ სათქმელს. ასე რომ, შეიძლება თქვენზე ტექსტი, თუ ეს სხვაგვარად შეუძლებელია, თანაც გქონდეთ, ოღონდ ისე, რომ მან თქვენზე არ შეგიქმნათ უხერხული მდგომარეობა. როგორც ხუმრობით ამბობენ, „შპარგალკის“ გამოყენებასაც ცოდნა და მოხერხება უნდა.

ახლა უშუალოდ აუდიტორიასთან ურთიერთობის შესახებ:

აი, დავუშვათ, ვდგავართ რომელიღაც აუდიტორიის წინაშე და წარმოვთქვამთ:

– ბატონებო, თითოეულმა თქვენგანმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა იმის გამო, რაც ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო წლებში უსამართლობა დატრიალდა!

ეს ფრაზა, ერთი შეხედვით, სრულიად მიზანშეწონილია, რამდენადაც ერთგვარ უნივერსალურ ჭეშმარიტებას შეიცავს: მოქალაქეთა პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ უდავოა!

მაგრამ რამდენად არის ის გამართლებული რიტორიკული ამოცანის თვალსაზრისით, რამდენად არის მასში დაცული აუდიტორიასთან ურთიერთობის ტაქტი?

დასმული კითხვა მივიჩნით რიტორიკულ შეკითხვად, ანუ მისი პასუხი თითოეულმა საკუთარ თავში, საკუთარ ენობრივ კულტურაში ვეძიოთ (იქნებ ავნონ-დავნონოთ მასთან შეპირისპირებით სხვა შესაძლებლობაც: – ბატონებო, პირადად მე, როგორც მოქალაქე, პასუხისმგებლობას ვგრძნობ ყოველივე იმის გამო, რაც...).

საზოგადოდ, აუდიტორიასთან ურთიერთობა ურთულესი პრობლემაა. უამრავი თვალსაჩინო თუ გაუთვალისწინებელი ფაქტორი თამაშობს აქ გადამწყვეტ როლს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აუდიტორია მუდმივი ოპონენცია ორატორისა, იგი მაშინაც კი კრიტიკულად არის განწყობილი, როცა დიდად კეთილგანწყობილია. ნურასოდეს მიიჩნევთ, რომ საბოლოოდ მოიპოვეთ აუდიტორიის ნდობა, ის შეიძლება ძალიან სწრაფად შეიცვალოს. ამიტომაც სანამ აუდიტორიის წინაშე ვიმყოფებით, ნუთითაც არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება...

მაინც რას უნდა ვითვალისწინებდეთ აუდიტორიასთან სიტყვიერი ურთიერთობის დროს?

შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგი პირობითი წესები:

– არ უნდა წარმოვაჩინოთ თავი აუდიტორიაზე აღმატებულად, ანუ არ უნდა გამოვიყენოთ ურთიერთობის ვერტიკალური მოდელი („ზევიდან – ქვევით“); ყველაზე უფრო შედეგიანია ე. წ. ჰორიზონტალური მოდელი, ანუ აუდიტორიის მიჩნევა თანამოაზრედ, პარტნიორად;

– არ უნდა გამოვიყენოთ აუდიტორიაზე პირდაპირი ზემოქმედების ფორმები, არც მათი ნების დაძლევის და არც მათი მდაბალი კეთილგანწყობის (თანაგრძნობის) მოპოვების მიზნით;

– არ უნდა ვაგრძნობინოთ აუდიტორიას არც არადრეგდების და არც მფრთხალი დამოკიდებულება;

– არ უნდა გავუსვათ ხაზი დისტანციას ჩვენსა და მსმენელს შორის (ის ისედაც დიდია!);

– არ უნდა მივმართოთ თვითრეკლამის ფორმებს. კონკრეტული რიტორიკული ამოცანის შესრულების დროს ეს მხოლოდ გამაღიზიანებლად იმოქმედებს მსმენელზე;

– ნუ ვთხოვთ (მით უმეტეს – ნუ მოვთხოვთ) აუდიტორიას, რომ დაგვეთანხმოს;

- ნუ ვაგრძნობინებთ აუდიტორიას, რომ მის მიმართ რვეერანსს მივმართავთ („აქ ნამდვილად გამოორჩეული ადამიანები შეიკრიბნენ“ და მისთ.);

- ნუ დავაპირისპირებთ მსმენლთა ერთ ჯგუფს მეორესთან და ნუ დავინყებთ მტყუან-მართლის განსჯას (თუნდაც ასე: „ისინი, ვინც ჩემს აზრს ეთანხმება, ამგვარ შეფასებასაც ენდობიან...“);

- ნუ შევაფასებთ რაიმეს აუდიტორიის სახელით, მსმენელთა მაგიერ (მაგალითად: „თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ მე მუხსიერება მლალატობს“);

- ნუ დავუსვამთ აუდიტორიას „უხერხულ“ კითხვას და ნუ მოვთხოვთ მსმენელს პირდაპირ პასუხს;

- რაკი ვანდეთ აუდიტორიას ჩვენი სათქმელი, მაშინ მზად ვიყოთ, მივიღოთ მისი საპასუხო რეაქცია, თუნდაც ის ჩვენთვის სასარგებლო არ იყოს.

ვენდოთ აუდიტორიას მაშინაც კი, როცა არ ვენდობით!

7. ზოგი სხვა ინტონაციური თავისებურების შესახებ

ინტონაცია წარმოთქმის ერთ-ერთი ყველაზე მყარი მახასიათებელია. ინტონაცია ინდივიდუალურიც შეიძლება იყოს, კუთხურიც და უცხოენისმიერიც. ყველა შემთხვევა მსმენელის მიერ უმაღალიქმება, მიუხედავად იმისა, რომ მას ფიზიკური გამოხატულება არც ფონემურად (ბგერობრივად) გააჩნია და არც გრაფიკულად (რაიმე წერილობითი ნიშნით). იქნებ ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ინტონაციის პირდაპირი ნორმატიული კონტროლი საკმაოდ ჭირს და ის არსებითად სწორ ენობრივ ჩვევებზე, სამეტყველო კულტურაზეა დამოკიდებული.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულ მეტყველებაში არც სიტყვის მახვილია გამოკვეთილი (რაიმე საგანგებო დანიშნულების მატარებელი) და ფრაზის ინტონაციური ქარგაც (საერთო საწარმოთქმო მახვილების განაწილება) მაქსიმალურად ნეიტრალურია. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე ამა თუ იმ კუთხის მეტყველებაში. მაგალითად, სიტყვის მახვილი, რომელიც, საზოგადოდ, ქართულ მეტყველებაში ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის (მრავალმარცვლიან სიტყვებში კი მეორე-მესამე მარცვალზე ნაწილდება), ზოგ დიალექტში უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს, იმდენად, რომ მას უკავშირდება სიტყვათა თავისებური ფონეტიკური ცვლა (მაგ. ბოლოკიდურის კვე-

(ცა), სიტყვების ერთ მახვილქვეშ მოქცევა (პროკლიტიკა-ენკლიტიკა) და მისთ. ეს ტენდენცია ზოგჯერ სიტყვისა თუ ფრაზის მახვილს თვისობრივად განსხვავებულ სახეს სძენს (მაგალითად, ძალზე თვალსაჩინოა ე. წ. გრძელი ხმოვნები [ტონური მახვილი] მთიულურში და სხვ.).

ყოველივე აღნიშნული არის მიზეზი იმისა, რომ ცალკეულ კუთხურ მეტყველებათა, კილოთა ერთ-ერთი გამოკვეთილი მახასიათებელი სწორედ ინტონაციაა. კერძოდ, საკმაოდ ნიშანდობლივად შეიძლება საუბარი კახურ, სვანურ, მოხეურ, გურულ, მეგრულ, იმერულ... ინტონაციებზე (და მათ ფრიად ეფექტურად იყენებენ კიდევც თეატრალურ პრაქტიკაში, ძირითადად – სასცენო იუმორში).

ამგვარი კილოური ინტონაცია საკმაოდ დიდხანს (ზოგჯერ – ბოლომდე) რჩება პიროვნების მოზარდობისას ჩამოყალიბებულ სამეტყველო ჩვევებში და ის ენობრივი ურთიერთობის მუდმივ პრობლემად (აღნიშნულ „ფსიქოლოგიურ კომპლექსად“) იქცევა მისთვის.

ცხადია, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პიროვნებას ოფიციალურ დონეზე, სალიტერატურო ენის აუცილებელი ფუნქციონირების სფეროებში უწევს მოღვაწეობა, თუმცა დღევანდელი აქტიური საკომუნიკაციო ვითარება თითქმის არავის ტოვებს ოფიციალურ ურთიერთობათაგან იზოლირებულად.

ამდენად, სპეციფიკურ კუთხურ ინტონაციათა დაძლევა სალიტერატურო წარმოდგენაზე მუშაობის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა.

მეორე პრობლემა, რომელიც თანდათან, საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიური განვითარების კვალდაკვალ, უფრო ხელშე-სახები და აქტუალური ხდება, არის ამა თუ იმ უცხო ენის საერთო ინტონაციის გავლენა ქართულ სალიტერატურო წარმოდგენაზე. ეს გავლენა ძირითადად ინდივიდუალურია. მაგალითად, არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც უცხოეთში რამდენიმე წლით წასული ქართველი თითქმის ისეთივე ინტონაციით მეტყველებს, როგორც ქართულ ენას ახლად დაუფლებული უცხოელი, ანუ ქართული სიტყვები და წინადადებები შესაბამისი უცხო ენის საწარმოთქმო ქარგაზეა აწყობილი.

შენიშვნა: სხვათა შორის, ეს სირთულე საგანგებოდ არის გასათვალისწინებელი საქართველოს მოქალაქეთა მიერ სახელნიფო ენის შესწავლის პროცესში, მაშინ, როცა მათი დედა-ენობრივი ინტონაცია (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური...) ერთ-ერთ ნიშანდობლივ დაბრკოლებად ხვდება ქართული სალიტერატურო მეტყველების სრულყოფილად დაუფლებას. ამ დაბრკოლების მოხსნა კი სერიოზული უხერხულობისაგან ათავისუფლებს მათ.

ზემოდასახელებულ გარეენობრივ საწარმოთქმო გავლენას, ინდივიდუალურის გარდა, უფრო სერიოზული გლობალური ხასიათიც აქვს. კერძოდ, ენათა ინტენსიურმა ურთიერთობებმა, უცხო ენათა დაჩქარებულიმა სწავლებამ, განსაკუთრებით – ერთეულ ენათა გაბატონებამ გლობალურ საინფორმაციო სივრცეში შესამჩნევი გახადა გარკვეულ საწარმოთქმო ჩვევათა „ინტერნაციონალიზაცია“. სულ რამდენიმე წელიწადში „აითვისა“ ჩვენმა მასმედია იმ საწარმოთქმო მანერები, რომლებიც ქართული სალიტერატურო მეტყველებისათვის კი არა, უპირატესად უცხოენოვანი წარმოთქმისათვის არის დამახასიათებელი (აქ აღარას ვამბობთ ყურნალისტური ეტიკეტის, ქცევის ცალკეულ დეტალებზე, რომელთა „ადაპტაციისა“ და „ნიველირების“ პროცესიც ასევე უსწრაფესად წარიმართა).

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ-ერთ გამოკვეთილ ინტონაციურ თავისებურებაზე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ იჩინა თავი, მაგრამ ერთობ სწრაფად გავრცელდა და შეიძინა ერთგვარი ელიტარული მოდურობის ნიშნები. ამიტომაც ის ჯერჯერობით ქალაქური ინტელიგენციის მხოლოდ ნაწილს მოიცავს, თუმცა ძალზე სწრაფად ვრცელდება სტუდენტ ახალგაზრდობაში.

საზოგადოდ, ეს არის ფრაზის დანანევრება გამოკვეთილ მოკლემოკლე ინტონაციურ მონაკვეთებად, თვით ამ ფრაზის სინტაქსური აგებულების გათვალისწინების გარეშე.

კერძოდ, ქართული საწარმოთქმო ინტონაციური ქარგა არსებითად ემთხვევა წინადადების სინტაქსურ აგებულებას, ამიტომაც სამეტყველო პაუზები ფრაზის სინტაქსურ დანანევრებაზეა განანილებული და ინტონაციაც (დამავალი თუ გარდამავალი), როგორც უკვე ითქვა, იმაზეა დაფუძნებული, თუ როგორი აზრობრივი კავშირია ფრაზის ცალკეულ სინტაქსურ მონაკვეთებს შორის. ამდენად, ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში სასვენი ნიშნები არა მარტო წინადადების სინტაქსურ აგებულებას, ძირითად ინტონაციურ საზღვრებსაც აღნიშნავს.

მაგრამ იმგვარ წარმოთქმაში, რომელიც ზემოთ ბუნებრივი სალიტერატურო ინტონაციისაგან გადახრად მივიჩნიეთ, ეს თანხვედრა დარღვეულია და ფრაზის ინტონაციური ქარგა აგებულია შესაბამისი სინტაქსური სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე, ცალკეული მოკლე რიტმული მონაკვეთების სახით. თითოეული ეს მონაკვეთი ინტონაციურ ნახაზში მთავრდება ბოლო მარცვლის მახვილიანი, დაგრძელებული წარმოთქმით. შეადარეთ:

ბუნებრივი სალიტერატურო წარმოთქმა:

*თუ გსურთ,
მთელმა თბილისმა თქვენი განცხადება საუკეთესო საეთერო
დროს შეიტყოს,
მოგვმართეთ შემდეგ ტელეფონებზე...*

მანერული წარმოთქმა:

*თუ გსურთ,
მთელმა თბილისმა
თქვენი განცხადება
საუკეთესო
საეთერო დროს შეიტყოს,
მოგვმართეთ
შემდეგ ტელეფონებზე...*

სხვათა შორის, ეს მანერა წარმოთქმისა ინდივიდუალური მახასიათებლებითაც გამოირჩევა: ზოგჯერ ის ძალზე გამოკვეთილია, ზოგთან კი – შეფარული და ნაკლებ თვალსაჩინო; ფრაზის მითითებული ინტონაციური დანაწევრებაც შეიძლება არ იყოს ერთგვაროვანი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სალიტერატურო წარმოთქმის ამოცანაც სრულიად ნათელია: შევინარჩუნოთ საწარმოთქმო ინტონაციის სინტაქსური თანხვედრა იქ, სადაც ის დარღვეული არ არის, და აღვადგინოთ იქ, სადაც ეს კავშირი დაკარგულია.


8. სამეტყველო აპარატის აგებულება და მოქმედება

წარმოთქმის გამართულობა იმ სამეტყველო აპარატზე, იმ ფიზიკურ მექანიზმზეა დამოკიდებული, რომელიც თითოეული ბგერის წარმოქმნასაც განაპირობებს, ბგერების სიტყვებად შეკავშირებასაც, სიტყვების წინადადებად წყობასაც და იმ ინტონაციურ ქარგასაც, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.


სამეტყველო აპარატი მთელი ის ანატომიური სისტემაა, რომელთანაც ადამიანის მეტყველებაა დაკავშირებული, დანყებული ფილტვებიდან და დამთავრებული ბაგეებით.

ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მითითებული ორგანო უშუალოდ არ მონაწილეობს ბგერის წარმოქმნაში, სამეტყველო აპარატს ორ ძირითად ნაწილად ყოფენ:

ა) სასუნთქი აპარატი, რომელიც შედგება ფილტვებისა, ბრონქებისა და სასუნთქი მილისაგან; ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდება ცხვირ-ხახისა და პირის ღრუებს;



ბ) საწარმოთქმო (საარტიკულაციო) აპარატი, რომელიც შედგება ხახისა და პირის ღრუში განლაგებული იმ ორგანოებისაგან, რომელნიც უშუალოდ მონაწილეობენ ცალკეული ბგერების წარმოქმნაში.



აქ წარმოდგენილ სურათზე სამეტყველო აპარატი მთლიანად არის ასახული; თუ ხორხს ავიღებთ საზღვრად, მის ქვემოთ სასუნთქი აპარატი იქნება განლაგებული, ზემოთ – უშუალოდ საწარმოთქმო ორგანოები.

წარმოთქმა ამოსუნთქვით იწყება. ფილტვებიდან წამოსული ჰაერ-ნაკადი გამოივლის ბრონქებს, სასუნთქ მილს და მოაღწევს ხორხს.


ხორხი სასუნთქი მილის ძელოვან-ხრტილოვანი გაფართოებული დაბოლოებაა; მას მეტად რთული აგებულება აქვს; რაც მთავარია, სწორედ მასშია განლაგებული ე. წ. სახმო სიმები, რომლებზეც არსებითად არის დამოკიდებული ადამიანის ბგერობრივი, დანაწევრებული მეტყველება.

სახმო სიმები წაგრძელებული კუნთებია, რომლებიც საწარმოთქმო ამოცანისათვის საჭირო დაჭიმულობას იღებს და ცალკეული ბგერების ასეთ თუ ისეთ ჟღერადობას განაპირობებს.

ხორხს მოსდევს ხახის ღრუ, რომელიც, თავის მხრივ, პირისა და ცხვირის ღრუებს უკავშირდება. ხახის ღრუ წარმოადგენს როგორც სასუნთქი გზის გაგრძელებას პირისა და ცხვირის ღრუებისაკენ, ისე საყლაპავი მილის ზედა ნაწილს. ამიტომაც აქ ერთგვარი ჩამკეტი „სარქველებია“ მოწყობილი, რათა ბუნებრივად მოხდეს ყლაპვისა და სუნთქვის (მეტყველების) რეგულირება.

ცხვირის ღრუ განლაგებულია პირის ღრუს ზემოთ და იგი უშუალოდ იხსნება ხახაში. მართალია, ცხვირის ღრუ აქტიური სამეტყველო ორგანო არ არის (მისი მონაწილეობით ორიოდ ბგერა წარმოითქმის – ნ და მ), მაგრამ მისი როლი წარმოთქმის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. კერძოდ, ცხვირისა და ხახის ღრუები წარმოადგენს ერთგვარ რეზონატორებს,* რომელთა თანამოქმედებაზე დიდწილად არის დამოკიდებული ბგერის ჟღერადობა, ხმის ფონი – თუ სარეზონატორო არე თავისუფალია, ბგერები ბუნებრივია და „ნათელი“, თუ ეს არე რაიმე მიზეზით არის დახშული, მეტყველება დაგუდული და დუდღუნა გამოდის.

ძირითადი საწარმოთქმო ორგანოები პირის ღრუშია განლაგებული. არსებითად ყველა ბგერა პირის ღრუში იღებს საბოლოო სახეს, ამიტომაც მისი თითქმის ყოველი წერტილი მაქსიმალურად არის დატვირთული.



* რეზონანსი (ლათ. *resono* — ვებმარება) სახმო ან სხვა რაიმე რბევების გამოძახილი სივრცეში, ჟღერადობის გაძლიერება. მაგალითად, რომელიმე დარბაზზე, ოთახზე იტყვიან, კარგი (ყუდი) რეზონანსი აქვსო, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ხმა კარგად (ყუდად) ვრცელდება. რეზონატორი კი ის ორგანო თუ ხელსაწყოა, რომელიც ხელს უწყობს ბგერის გაერცელებას (გაძლიერებას).

ყველაზე აქტიური სანარმოთქმო ორგანო, საზოგადოდ, არის ენა. მის ამ როლს განაპირობებს ის, რომ ენა, სხვა ორგანოთაგან განსხვავებით, მოძრავია და მოქნილი. ბგერათა უმეტესობა უძრავ სამეტყველო ორგანოებთან ენის რომელიმე ნაწილის ურთიერთმოქმედებით არის წარმოქმნილი.

დანარჩენი სამეტყველო ორგანოებია:

კ ბ ი ლ ე ბ ი და მათი შიდა ბუდეები – ნ უ ნ ე ბ ი .

ს ა ს ა , რომელიც წარმოადგენს პირის ღრუს ზედა, კბილებსპირის ნაწილს და რომელიც იყოფა ორ ნაწილად: მ ა გ ა რ ი ს ა ს ა და – უკანა მხარეს – რ ბ ი ლ ი ს ა ს ა , რომელიც ბოლოვდება ხახის საზღვარზე ჩამოშვერილი „პატარა ენით“ – ნ ა ქ ი თ .

ბ ა გ ე ე ბ ი – საკმაოდ აქტიური სანარმოთქმო ორგანოები, რომლებიც მეორე მხრივ პირის ღრუს „კარიბჭეს“ წარმოადგენენ.

პირის ღრუს საზღვრავენ ყ ბ ე ბ ი – უძრავი ზედა ყ ბ ა და მოძრავი – ქ ვ ე და ყ ბ ა .

აქვე უნდა ითქვას, რომ ხახის ღრუს უკავშირდება სმენის ორგანოების – ყ უ რ ე ბ ი ს – ღ რ უ ე ბ ი ც . მართალია, ისინი არანაირ მონაწილეობას არ იღებენ წარმოთქმის პროცესში, მაგრამ მეტყველებაზე არაპირდაპირი გავლენის მოხდენა მათაც შეუძლიათ იმდენად, რამდენადაც მეტყველება სმენაზეც არის დამოკიდებული.

თითოეული ბგერის წარმოთქმაში, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ორგანო მონაწილეობს, ხოლო მეტყველების პროცესში თითქმის ყველა ორგანოა აქტიურად ჩაბმული. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამეტყველო აპარატის გამართულობას, სანარმოთქმო ორგანოთა ფიზიკურ ჰარმონიას. ამ ჰარმონიის მცირედი დარღვევაც კი (ვთქვათ, კბილის კლება) თავის დაღს ასვამს გამართულ მეტყველებას. ამიტომაც მეტყველი ადამიანისათვის სამეტყველო აპარატის ჰიგიენა-პროფილაქტიკა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

9. სამეტყველო სუნთქვა და მისი რეგულირება

თუ უშუალოდ არტიკულაციას, ანუ სანარმოთქმო ორგანოთა მომარჯვებას კონკრეტული ბგერის წარმოსათქმელად არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტყველება იგივე სუნთქვაა. ადამიანის სამეტყველო ფუნქცია განუყოფლად არის დაკავშირებული სუნთქვასთან.

კერძოდ, როგორც ჩვეულებრივი სუნთქვის დროს, მეტყველების მომენტშიც ფილტვებიდან მოემართება ჰაერნაკადი, გამოივლის შესაბამის ორგანოებს და პირის ან ცხვირის ღრუს გავლით გამოდის გარეთ; ამას მოჰყვება ფილტვების ხელახლა შევსება, ანუ ჩასუნთქვა და ა. შ.

მაგრამ ბუნებრივ სუნთქვასა და სამეტყველო სუნთქვას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობს. და ეს არსებითია.

ბუნებრივი სუნთქვის დროს, ჩვეულებისამებრ, შვეისუნთქავთ ცხვირის ღრუთი და შეეავსებთ ცარიელ ფილტვებს ახალი ჰაერნაკადით. სუნთქვის დროს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება დიაფრაგმას, ანუ ძლიერ ელასტიკურ კუნთს, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს გულმკერდისა და მუცლის ღრუებს და რომლის აქტიური შეკუმშვა და დაბლა დაწევაც განაპირობებს ფილტვების შევსებას ჰაერნაკადით. ჩასუნთქვას ასევე ავტომატურად მოსდევს ამოსუნთქვა იმავე ორგანოთა ზემოქმედებით.

ბუნებრივი სუნთქვისას ამოსუნთქვის პროცესი თითქმის თანაბარია ჩასუნთქვისა. ეს ეხება სუნთქვის დროსაც და მოცულობასაც. მარტივი ვითარებაა: რამდენადაც და რა დროშიც ჩავისუნთქავთ, იმდენად და იმ დროშივე ამოვისუნთქავთ. თუმცა სრული თანაფარდობა მაინც არ არის. ჩასუნთქვისას დიაფრაგმისა და ფილტვების უფრო გამიზნული, ინტენსიური მოქმედების გამო ჩასუნთქვის პროცესი რამდენადმე სწრაფია ამოსუნთქვის პროცესზე.

რაც შეეხება სამეტყველო (ანუ საფონაციო) სუნთქვას, აქ აღნიშნული თანაფარდობა არსებითად არის დარღვეული იმ მიზნის შესაბამისად, რასაც სუნთქვის პროცესი სამეტყველო მოქმედების დროს ემსახურება. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩასუნთქვის პროცესი ბევრად უფრო სწრაფია და ინტენსიური ჩვეულებრივ სუნთქვასთან შედარებით, რამდენადაც მცირე სამეტყველო პაუზის დროს ფილტვები მაქსიმალურად უნდა შეივსოს. ამოსუნთქვის პროცესი კი, ამის საპირისპიროდ, დროში განელილი და მიზანმიმართულად რეგულირებულია კონკრეტული სამეტყველო ამოცანის შესაბამისად; ეს ამოცანა მომდევნო პაუზამდე, ანუ ფილტვების ხელახლა შევსებამდე ჰაერნაკადის გამოზოგვას, მომჭირნედ განანილებას გულისხმობს.

ამდენად, სამეტყველო სუნთქვა აქტიურად რეგულირებადი პროცესია და მისი მართვა მით უფრო არის შესაძლებელი და მოსახერხებელი, რაც უფრო განვითარებულია საერთოდ სუნთქვის საფუძველი – სასუნთქი ორგანოები. ჩვეულებისამებრ, ვისაც სუნთქვა უკეთესად აქვს განვითარებული („დაყენებული“), მას ნაკლებ უჭირს გაბმული ტექსტის წარმოთქმა, ხოლო ვისაც სუნთქვა არა აქვს მონესრიგებული, მისთვის მეტყველებისა და სუნთქვის შეხამება სერიოზული პრობლემაა; მას ორიოდ ნინადადების შემდეგ „ქოშინი“ ეწყება, რაც იმას გულისხმობს, რომ სამეტყველო პაუზებსა და სუნთქვის რიტმს ერთმანეთს ვერ უთანხმებს, უადგილო ადგილას ჩერდება და სიტყვა უწყდება...

ვიმეორებთ, აქ პაუზებისა და სუნთქვის შეხამებაზე საუბარი და არა – რაც შეიძლება მეტი სიტყვის წარმოთქმაზე ერთი ჩასუნთქვით. სხვათა შორის, ჩასუნთქული ჰაერის რაოდენობასთან (მოცულობასთან) ერთად იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად რაციონალურად ვხარჯავთ ფილტვებში არსებულ ჰაერნაკადს, ანუ რამდენად ოპტიმალურად არის რეგულირებული საწარმოთქმო სუნთქვის პროცესი. თუ ასეთი „მართვის მექანიზმი“ არ არსებობს, შეიძლება სულ რამდენიმე სიტყვის წარმოთქმისას ამოგვეწუროს საგანგებოდ შევსებული ჰაერმარაგოც კი.

ამგვარად, სუნთქვის მონესრიგება, ფილტვების განვითარება არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ სამეტყველო აქტივობის, მეტყველების კულტურის სერიოზული პრობლემაა არის.

მეტყველების გამართულობა სამეტყველო აპარატის სათანადო მზადყოფნას და სამეტყველო სუნთქვის რეგულირებას მოითხოვს. სამეტყველო აპარატის აგებულება და მისი მოქმედების თავისებურებები, ჩვეულებისამებრ, უცხო ენის შესწავლის დროს ხდება აქტუალური, დედაენაზე მეტყველებისას მას ნაკლებ ექცევა ყურადღება; არადა, ინდივიდუალური სამეტყველო ნაკლოვანებები ხშირად სწორედ სათანადო მექანიზმის „გაუმართაობას“ უკავშირდება. თანამედროვე ურბანისტულ ეპოქაში უთუოდ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სუნთქვის ორგანოებისა და სამეტყველო სუნთქვის გამართულობა – სრულყოფილება.

იმისათვის, რომ სამეტყველო (და საერთო) სუნთქვის მონესრიგება შეეძლოს, აუცილებელია ვიცოდეთ, რა მექანიზმები მოქმედებს სუნთქვის ასეთი თუ ისეთი სახით ჩამოყალიბების დროს.

სუნთქვის რამდენიმე სახეობას განარჩევნენ:

1. მ ხ რ ე ბ ი ს მ ი ე რ ი სუნთქვა, რომლის დროსაც შესაბამის მოქმედებას ასრულებს ფილტვების მხოლოდ ზედა ნაწილი; ამ დროს დია-

ფრაგმა სრულიად არ მონანილეობს სუნთქვაში და ფილტვების ქვედა ნაწილიც თითქმის დახშულია სუნთქვისათვის. ასეთი სუნთქვა ყველაზე ნაკლებ განვითარებულად და, რაც მთავარია, სრულიად შეუფერებლად უნდა მივიჩნიოთ წარმოთქმისათვის.

2. მკერდისშიერი სუნთქვა: მონანილეობს გულმკერდის შუა ნაწილი, მაგრამ დიაფრაგმა ამ შემთხვევაშიც თითქმის გამოთიშულია სუნთქვის პროცესისაგან. სუნთქვის ეს სახეობაც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად განვითარებულად, ყოველ შემთხვევაში, სანარმოთქმო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

3. დიაფრაგმით სუნთქვა: ამ შემთხვევაში ფილტვები მთლიანად მონანილეობს სუნთქვის პროცესში, მათი შევსებაც ინტენსიურია და დაცლაც. ერთნაირად ფართოვდება სასუნთქი სივრცე როგორც ჰორიზონტალურად (გულმკერდის არე), ისე ვერტიკალურად (დიაფრაგმის მიმართულებით).

სუნთქვის ეს სახეობა ყველა სხვაზე უფრო მძლავრია, ღრმა და ტევადი, მოქნილი და გარეგნულად შეუმჩნეველი; მას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, რამდენადაც მინიმალური ენერჯიის დახარჯვით იძლევა მაქსიმალურ შედეგს.

ამდენად, ამ სახის სუნთქვა ყველაზე უფრო მოსახერხებელია სანარმოთქმო მოქმედებათა შესასრულებლად, მეტყველების განსავითარებლად. ამიტომაც უნდა ვიზრუნოთ იმ სუნთქვითი ჩვევების გასაუმჯობესებლად, რომლებიც შეიძლება აღზრდის გზით იყოს ჩამოყალიბებული ჩვენში, შეიძლება – ცხოვრების წესით, შეიძლება რაიმე ფიზიკურ ნაკლთან იყოს დაკავშირებული...

აქ მთავარი ის არის, რომ ადამიანის ფიზიკურ მონაცემთა შორის მისი არსების ეს მხარე ყველაზე უფრო ექვემდებარება მიზანმიმართულ ზემოქმედებას და მისი სრულყოფის მიზნით შესაბამის მცდელობათა შედეგიანობა თითქმის უეჭველია. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი მართლაც „წერთაზეა“ დამოკიდებული და არა – „ბუნებაზე“.

ამგვარად, სამეტყველო სუნთქვა სუნთქვის ორგანოებს ბევრად მეტ დატვირთვას უქმნის და ამ ორგანოების საერთო განუვითარებლობა აუცილებლად აღიბეჭდება მეტყველებაზე. ამდენად, ჯერ ჩვეულებრივი სუნთქვის და შემდეგ სამეტყველო სუნთქვის განვითარება-ჩამოყალიბება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. საამისოდ საჭიროა როგორც, საზოგადოდ, სუნთქვის განმავითარებელი ვარჯიშების მითითება, ისე საგანგებო, ვრცელი და წარმოსათქმელად რთული ფრაზების შერჩევა, რათა სტუდენტმა შეძლოს სუნთქვის მართვა პაუზიდან პაუზამდე (მორიგ ჩასუნთქვამდე). ყურადღება უნდა

მიექცეს ისეთ ინდივიდუალურ ნაკლოვანებებს, როგორცაა ჩლიფინი და ქოშინი მეტყველების დროს, ხმაურით ჩასუნთქვის ჩვევა, სუნთქვის უადგილო წყვეტა, სწორი სამეტყველო პოზა და მისთ.

როგორ ვივარჯიშოთ სამეტყველო სუნთქვის განსავითარებლად?

სუნთქვითი ვარჯიშების ნაირგვარი სისტემა არსებობს; შეგიძლიათ აირჩიოთ რომელიმე მათგანი, შეიძლება ინდივიდუალურადაც ივარჯიშოთ:

1. ჩაისუნთქეთ ცხვირით და ამოისუნთქეთ პირით, ოღონდ ისე, რომ ჩასუნთქვა იყოს სწრაფი, ხოლო ამოსუნთქვა მაქსიმალურად გაწელილი; ამისათვის შეგიძლიათ ტუჩებით ვიწრო ლიობი შექმნათ და ჰაერი ისე გამოატაროთ.

2. ჩაისუნთქეთ რაც შეიძლება ღრმად, შეავსეთ ფილტვები მაქსიმალურად, შეაჩერეთ სუნთქვა რამდენიმე ხანს, შემდეგ კი მიეცით საშუალება, ფილტვები თავისით, ძალდატანების გარეშე დაიცალოს.

3. ისუნთქეთ მუცლით (დიაფრაგმით), ანუ ეცადეთ, ჰაერის შევსება მუცლიდან დაიწყოთ, შემდეგ კი საპირისპირო თანამიმდევრობით დაცალოთ ფილტვები, ანუ მუცელი (დიაფრაგმა) ბოლოს შეკუმშოთ.

4. დააკვირდით, რომ სუნთქვა უხმაურო იყოს, „ქოშინი“ არ ისმოდეს არც ჩასუნთქვის და არც ამოსუნთქვის დროს;

5. სუნთქვითი ვარჯიშები გააკეთეთ გადაუტვირთავი კუჭით, ე. ი. დილით ან გვიან საღამოს.

6. ვარჯიში აწარმოეთ სისტემატურად, დრო თანდათანობით გაზარდეთ: ჯერ 5 წუთი, შემდეგ – 10, 15 და ა. შ.

7. თანდათანობით სცადეთ, ამოსუნთქვას შეუხამოთ ჯერ მარტივი, ხოლო შემდეგ უფრო რთული ფრაზების წარმოთქმა.

10. ზოგი კონკრეტული საწარმოთქმო პრობლემის შესახებ

ა) ხმოვანთა მაგარი შემართვის საკითხი

სხვადასხვა კუთხის ქართულ მეტყველებაში შეინიშნება ხმოვნით დაწყებული სიტყვების სამგვარი წარმოთქმა; კერძოდ, ამგვარი სიტყვების პირველ ხმოვანს თითქოს წინ კიდევ ემატება რომელიმე შემდეგ ბგერათაგანი: **მ**, **ჰ**, **ც**. სწორედ ამნაირ წარმოთქმას ეძახიან ასეთ თუ ისეთ შემართვას იმის მიხედვით, თუ რომელი ბგერა ისმის სიტყვის წინ:

მახლა - იოტიზებული შემართვაა, რადგან სიტყვის წინ ისმის **ღ** (იოტა).

ჭახლა - ფშვინვიერი შემართვა ჰქვია **ჭ** ბგერის გამოვლენის გამო

ცახლა - მაგარ შემართვას უწოდებენ, რადგანაც აქ მკვეთრი **ც** ბგერა იჩენს თავს. ეს ბგერა (ც) სალიტერატურო ქართულში არც ძველად არსებობდა და არც დღეს არის, მაგრამ ის კილოებშია გავრცელებული. ეს ბგერა შეიძლება მოგესმათ, თუ ყ-ს უფრო ღრმად გამოთქვამთ (**ჭ**-ს ადგილას).

სალიტერატურო მეტყველებაში არც იოტიზებული შემართვა გვხვდება და არც ფშვინვიერი; სამაგიეროდ, ე. წ. მაგარი შემართვა საკმაოდ არის ფეხმოკიდებული. თუ სმენას გავიმახვილებთ, მას ბგერის მეტყველებაში შევამჩნევთ. კერძოდ, საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინადადებას ხმოვნით დაწყებული სიტყვით იწყებენ, ისმის არა სუფთა ხმოვანი (*აქ, იქ, ეგრე, უცხო...*) არამედ - **ქა**: **ქაქ**, **ქაგრე**, **ქუცხო...**

ამგვარი წარმოთქმა სალიტერატურო მეტყველებისათვის შეუფერებელია, რამდენადაც ქართული მეტყველების ერთი მთავარი პრინციპი ბგერიითი „სისუფთავეა“.

ამ ჩვევის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის უმეტესად გარეშეთათვისაც შეუმჩნეველია და თვით მეტყველისათვისაც. წარმატების მთავარი პირობა ის არის, რომ ადამიანმა საკუთარ მეტყველებაში ამ დარღვევის „შემჩნევა“ ისწავლოს.

ვივარჯიშოთ წარმოთქმაში:

| | | | | | |
|-----|------|------|-------|------|----------------------|
| აბა | ის | ერბო | ოცი | უმი | ააფრინე ალალიო, |
| აი | იქ | ერთი | ოი | უქმე | რაც არ არი, არ არიო! |
| არა | იხვი | ეს | ოფოფი | უხვი | |

ბ) ცხვირისმიერობის დაძლევის ამოცანა

როგორც ითქვა, ცხვირის ღრუ უშუალოდ მონაწილეობს მხოლოდ ორი ბგერის წარმოთქმაში - ესენია **წ** და **ჭ**. ამიტომაც ამ სონორ ბგერებს ცხვირისმიერებიც შეიძლება ვუწოდოთ. დანარჩენი ბგერების, განსაკუთრებით - ხმოვნების, წარმოთქმისას ცხვირის ღრუ დაკეტილი (დახშული) უნდა იყოს.

თუ ასე არ მოხდა, ანუ თუ ხმოვნის წარმოთქმისას ცხვირის ღრუს დახშვა რაიმე მიზეზით არ მოხერხდა, მაშინ ამ ბგერასთან თითქოს სუსტი **წ-ც** გაისმის.

ზოგჯერ ამგვარი ცხვირისმიერი ფონი მთელ მეტყველებას ახ-

ლავს. ეს მაშინ, როცა ხახის ფარდა, რომელიც ცხვირის ღრუს რეგულარულად კეტავს, რაიმე მიზეზით (სურდო, ფიზიკური დეფექტი და მისთ.) ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. ასეთ დროს ადამიანი დუდლუნა მეტყველებით გამოირჩევა.

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ბოლო დროს ქალაქის ახალგაზრდობაში გამოიკვეთა ერთგვარი ცხვირისმიერი მეტყველების მანერა, რომელიც შესაბამისი ეფექტის განზრახ, სპეციალურად შექმნას გულისხმობს. ამგვარ მეტყველებაში ზოგი სხვა სონორიც კი თითქოს ნ-დ ისმის: რატომ → ნატომ, ლუდი → ნუდი...

ამ გადახრის გამოსწორება, როგორც ჩანს, მხოლოდ შეგნებულ საფუძველზე, გამიზნული ვარჯიშით არის შესაძლებელი. ორთოეპიის არსენალში ამ ნაკლის დასაძლევად ერთი მექანიკური ხერხი არსებობს: ცხვირის ხელოვნურად დახშვა მეტყველების დროს, რასაც, დაბრკოლების მოხსნის შემდეგ, უკუეფექტი უნდა მოჰყვეს.

ნარმოთქვათ ხელოვნური „დახშვით“, შემდეგ კი - სუფთად:

| | | | | |
|--------------|---------------|---------------|--------------|--------------------|
| <i>ნელი</i> | <i>ნიკაპი</i> | <i>ნუში</i> | <i>ნალი</i> | <i>მანანა</i> |
| <i>ნერგი</i> | <i>ნიყვი</i> | <i>ნუგეში</i> | <i>ნავი</i> | <i>მანონი</i> |
| <i>ნები</i> | <i>ნიგოზი</i> | <i>ნული</i> | <i>ნიავი</i> | <i>სინანული...</i> |

გ) ხმოვანთა თავმოყრის საწარმოთქმო დაძლევა

ქართული ენის ფონეტიკური (ბგერითი) აგებულების შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა, რომ, საზოგადოდ, ქართული მეტყველებისათვის ხმოვანთა თავმოყრა მაინცდამაინც არ არის დამახასიათებელი და ბუნებრივი. ამიტომაც არის, რომ ის, რაც სალიტერატურო მეტყველებაში ისტორიული ტრადიციითა თუ გრამატიკული ნორმებით არის შენარჩუნებული, სხვადასხვა კუთხურ მეტყველებაში ისეთ ცვლილებებს განიცდის, რაც საბოლოოდ რამდენიმე ხმოვნის ერთ ხმოვანზე დაყვანას ისახავს მიზნად.

ცოცხალი მეტყველების ეს ტენდენციები აღსაზრდელთა სალიტერატურო მეტყველებაშიც იჩენს თავს. ამიტომაც არის, რომ მუდმივი პრობლემაა იმგვარი ფორმების მართლწერა და მართლწარმოთქმა, როგორიცაა - **გაახალგაზრდავა, გააერთიანა** და მისთ.

ამგვარი ხმოვანთკომპლექსების წარმოთქმის დასაძლევად მიმართავენ, ერთი მხრივ, ხმოვანთა იზოლირებულ თავმოყრას, ხოლო მეორე მხრივ - იმ სიტყვებს, რომლებშიც ასეთი თავმოყრა გვხვდება. მაგ.:

| | | | | |
|----|----|-----|------|-------------|
| აა | აე | აეო | უაეო | აი-იო-უი-ეა |
| ეე | ეი | ეოა | ეოაი | ოი-უე-აო-ეი |
| ოო | ოუ | ოიუ | ოეუი | ოუ-უა-ოე-იუ |
| უუ | უო | უეო | იაუო | ია-აე-ეი-ეუ |
| იი | იუ | იაუ | აიუო | უო-იე-ოა-აუ |

| | | | |
|-------------|---------------|--------------|-----------------|
| გააახლებს | გააიაფებს | დაუახლოვებს | გაენაღიზებინა |
| გააადვილებს | შეაიარალებს | გაუფართოვებს | გაეადვილებინა |
| დააავადებს | შეუამხანაგებს | ნაუკაფიავებს | გაეუზღობესებინა |
| დააელმებს | გაუადვილებს | შეუიარალებს | გაუუკეთესებია |
| დააექვებს | გაუიაფებს | დააიარავეებს | მოუურჩებია |

დ) ვ ბ გ ერის სწორად წარმოთქმის პრობლემა

ძველი ქართულიდან მოკიდებული, ქართული ენისათვის დამახასიათებელი იყო კბილბაგისმიერი ვ ბგერა, რომელიც ძველ ქართულში თანაარსებობდა წყვილბაგისმიერ ჟ-სთან (რომელსაც უ-ბრჯგუსაც ეძახიან). მათ პოზიციები მკაცრად ჰქონდა განანილებული: სიტყვის დასაწყისში და ხმოვნების შემდეგ ვ ასო-ბგერა იყო გაბატონებული, თანხმოვნების შემდეგ, თუ ეს თავმოყრა მეორეული, ანუ ხმოვნის ჩავარდნის შედეგი არ იყო, – ჟ ბგერა (მაგალითად: ვარ, ვაშლი, თავი... ძმელი, თშალი, აქწს...). ოღონდაც ძველ ქართულ ანბანში ამ უკანასკნელს საკუთარი ასონიშანი არ გააჩნდა და ისევე იწერებოდა, როგორც ხმოვანი ჟ (Qd).

დროთა განმავლობაში ქართულში წყვილბაგისმიერი ჟ-ს აღნიშვნა მოიშალა და დარჩა მხოლოდ ვ ნიშანი. ამავე დროს, შეიმჩნევა, რომ პოზიციების აღნიშნული განანილება დღესაც რამდენადმე შენარჩუნებულია. კერძოდ, ის ბგერა, რომელსაც ვ ნიშნით ვწერთ, ყველგან კბილბაგისმიერი არა ჩანს, თანხმოვნის შემდეგ ბაგეთა შეწყვილებით გამოითქმის.

მაგრამ ეს ბგერათმომდევრობის ბუნებრივი განანილებაა და ის სალიტერატურო ნარმოთქმაზე რაიმე არსებით გავლენას არ ახდენს: სულ სხვაა ის შემთხვევები, როდესაც, უცხო ენათა წყვილბაგისმიერი w-ს გამოთქმის გავლენით, ხმოვნისნინა პოზიციაშიც ჟ ისმის, სულ ერთია, ეს იქნება უცხო სიტყვებში (ტაშინგტონი...) თუ საკუთარ მასალაში (ჭაშლი, თოშლი, ჟარი და მისთ.).

ე) ლ ბგერის სწორად წარმოთქმის პრობლემა

ქართული ბგერითი სისტემისათვის ბუნებრივ ლ ბგერას შემდეგნაირი არტიკულაცია (წარმოთქმა) ახასიათებს: ენის წვერი ებჯინება ზედა წინა კბილებს, ენის გვერდები დაშვებულია, დაჭიმული სახმო სიმებიდან წამოსული ჰაერნაკადი გამოივლის კბილებსა და ენის გვერდებს შორის წარმოქმნილ ლიობს (ნაპრალს) და ასე წარმოითქმის ბგერა.

ლ ბგერის ჟღერადობა მნიშვნელოვნად იცვლება, თუ ენის წვერი რაიმე მიზეზით კბილებიდან უკან გადაინევს და წარმოიქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ ლ-ს იოტა ახლავს. ამგვარ ლ-ს რ ბ ი ლ ს ეძახიან, მაგარი, უფრო სწორად, ქართულისათვის ჩვეულებრივი ლ-ს საპირისპიროდ.

ლ-ს მცირედით დარბილება ბუნებრივადაც ხდება მაშინ, როდესაც მას ე და ე ხმოვნები მოსდევს (*ლიახვი, ქლიავი, ლეიბი...*). მაგრამ თუ ლ შესამჩნევად არის შერბილებული, ამ დროს მეტყველება იღებს არასალიტერატურო, კუთხურ იერს და მისი გამოსწორება აუცილებელია.

უნდა ითქვას, რომ ამ გავლენისაგან არავინ არის დაზღვეული. თუ ნახევარი საუკუნის წინ ის დასავლურ-ქართული მეტყველებისათვის იყო ნიშანდობლივი, დღეს თითქმის ყველა კუთხის მეტყველებაში გვხვდება.

როგორ ავიცილოთ სალიტერატურო მეტყველებაში ლ-ს არასწორი არტიკულაცია თავიდან?

ამისათვის აუცილებელია ვისწავლოთ ენის წვერის ფიქსირება ზედა კბილებთან. ამ მიზნით შემდეგ ვარჯიშს მიმართავენ: ენის წვერს აქცევენ კბილებს შორის და ისე წარმოთქვამენ ლ ბგერას. მთავარია, ჩვენს წარმოთქმაში მაგარი და რბილი ლ-ს განსხვავება „დავიჭიროთ“ და შევძლოთ ენის შესაბამისი გადანევის მართვა.

წარმოთქვით შემდეგი სიტყვები:

ლიახვი, ლღვი, ლიანდაგი, ალიაქოთი, ბოლიანი, ლაგამი, ლულ-ლული, ლობიო, ძალოვანი, გლუვი, სლიპინა, თლილი, ბალახი, ვალი...

ენის გასატეხი: *ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს.*

ვ) თანხმოვანთა წარმოთქმასთან დაკავშირებული სოგო საკითხო

ქართულ თანხმოვანთა წარმოთქმა საკმაოდ სტაბილურია და სალიტერატურო მეტყველებაში ფონეტიკურ პროცესებს (ცვლილებ-

ბებს) ნაკლებ დაქვემდებარებული. მიუხედავად ამისა, ამ თვალსაზრისით ზოგი რამ მაინც მოითხოვს ყურადღების მიქცევას:

1. ქართული თანხმობების სამეულთა სისტემაში არსებული მკვეთრი (ყელსშული) ბგერები ქართული ბგერითი სისტემისათვის სპეციფიკური ბგერებია; მათი საარტიკულაციო თავისებურებაა პარალელური ხშვა სახმო სიმების არეში (ყელში).

თანამედროვე ენობრივ გარემოცვაში აქტუალურია ამ ბგერათა ხვედრითი წილის შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამიტომაც სპეციალისტები რეკომენდაციას უწევენ ევროპული ენების სათანადო რიგის ბგერების მკვეთრებად გადმოტანას (კუვიეტი და არა ქუევითი, კლინტონი და არა ქლინთონი და მისთ.).

2. ქართული წარმოთქმა თანხმობანთა კომპლექსებს საკმაოდ კარგად იტანს. მაგრამ ცალკეულ თანხმობანთა თავმოყრისას სალიტერატურო მეტყველებაშიც შეინიშნება გარკვეული ფონეტიკური პროცესები – დაყრუება, შერწყმა და მისთ. მაგალითად, დამახასიათებელი ცვლილებებია:

| | |
|---------------------------------|--|
| <i>ბტკივა</i> → <i>კტკივა</i> | <i>შეურაცხყოფა</i> → <i>შეურაცყოფა</i> |
| <i>გპარავს</i> → <i>კპარავს</i> | <i>სპორტსმენი</i> → <i>სპორცმენი</i> |
| <i>გწერს</i> → <i>კწერს</i> | <i>ბურთს</i> → <i>ბურც</i> |
| <i>სჯერა</i> → <i>წჯერა</i> | <i>გვერდზე</i> → <i>გვერძე...</i> |

ამგვარმა სანარმოთქმო ცვლილებებმა, ბუნებრივია, შეიძლება ორთოგრაფიაშიც იჩინოს თავი. ამიტომაც მათზე ყურადღების გამახვილება სანარმოთქმო პრობლემებზე საუბრისასვე არის მიზანშეწონილი.

თანხმობანთკომპლექსების წარმოთქმაში გასანაფავად შეიძლება განსაკუთრებულად რთულ ბგერათჯგუფებზე ვარჯიში და ტრადიციული ენის გასატეხების გამოყენება:

| | | | | | |
|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| <i>ბდგა</i> | <i>პტკა</i> | <i>ფთქა</i> | <i>ბძგა</i> | <i>ფცქა</i> | <i>პწკა</i> |
| <i>ბდგე</i> | <i>პტკე</i> | <i>ფთქე</i> | <i>ბძგე</i> | <i>ფცქე</i> | <i>პწკე</i> |
| <i>ბდგი</i> | <i>პტკი</i> | <i>ფთქი</i> | <i>ბძგი</i> | <i>ფცქი</i> | <i>პწკი</i> |
| <i>ბდგო</i> | <i>პტკო</i> | <i>ფთქო</i> | <i>ბძგო</i> | <i>ფცქო</i> | <i>პწკო</i> |
| <i>ბდგუ</i> | <i>პტკუ</i> | <i>ფთქუ</i> | <i>ბძგუ</i> | <i>ფცქუ</i> | <i>პწკუ</i> |

შეაბრუნეთ ეს ვარიანტები: *გდბა*, *ბგძა* და მისთ.

მიდის კაცი შეეპაიჭნაბდიანი,
გავეკიდე, მეც გავშეეპაიჭნაბდიანდი.

3. სისინა თანხმობების წარმოთქმა:

ქართულ ფონეტიკურ სისტემაში ხუთი შიშინა და ხუთი სისინა

ბგერა გვაქვს. ეს სიმრავლე და მათი, განსაკუთრებით სისინა ბგერების, ხშირი გამოყენება სპეციფიკურ აკუსტიკურ ფონს ქმნის. ამას უფრო აძლიერებს ის, რომ მავანთა მეტყველებაში მათი წარმოთქმა ზომაზე მეტად ინტენსიურია და ყურსაც უსიამოდ ხვდება.

ეს განსაკუთრებით ეხება ს ბგერას, რომელიც ნაპრალოვანი თანხმოდანია, თანაც ხშირად ექცევა ბოლოკიდურა პოზიციაში (ზმნის მესამე პირის ნიშანი, მიცემითისა და ნათესაობითის ნიშნები, ეს, ის ნაცვალსახელები) და მისი გაგრძელებულად წარმოთქმა ზოგჯერ სიტყვებს შორის ინტერვალსაც კი ავსებს...

შესაბამისად, სისინა ბგერებზე (განსაკუთრებით ს ბგერაზე) წარმოთქმის მუშაობის ამოცანა უნდა იყოს მათი ინტენსიური და გაგრძელებული გამოთქმის შედარებით შეზღუდვა.

წარმოთქვით:

გ ზას მისდევს რა ზში მეფის მცველების.

კაცს გვერდს უმშვენებს გულის სწორი.

ეს მოსწავლე დღეს ასრულებს დავალებას...

ზ) უცხო ენათა სპეციფიკური ბგერების ქართულად გადმოცემის საკითხი

ენის ბგერითი სისტემა, საზოგადოდ, მართლაც გამოირჩევა გამოძლეობით, დროთა განმავლობაში ნაკლები ცვლებადობით. ასეა ქართული ენის ბგერითი აგებულებაც. მიუხედავად საუკუნეთა განმავლობაში აქტიური უცხოენოვანი გარემოცვისა, ენაში მიმდინარე ნაირგვარი ცვლილებებისა, ბგერითი სისტემა თითქმის არ შეცვლილა. ორიოდ ბგერის დაკარგვა მნიშვნელოვან ცვლილებად ვერ ჩაითვლება.

მაგრამ დროდადრო მაინც ჩნდება ისეთი ტენდენციები, რამაც შეიძლება ქართული ენის ბგერათშედგენილობაზეც მოახდინოს გავლენა. მაგალითად, ცნობილია, რომ სწორედ უცხოურ სიტყვათა ადევკატური ასახვის მიზნით ამკვიდრებდნენ ანტონ კათალიკოსის პერიოდში ქართულ მნიგნობრობაში ფ ასონიშანს.

ამგვარი ტენდენციები დღესაც იჩენს თავს, მით უფრო, რომ, როგორც ითქვა, უცხო ენათა გავლენის სივრცე და ინტენსივობა საგრძნობლად გაიზარდა. დღეს განსაკუთრებით ინტელიგენციაში ვლინდება მისწრაფება, შეინარჩუნონ უცხოენოვანი არტიკულაცია ცალკეული ბგერებისა (ზოგ შემთხვევაზე უკვე მიუთითეთ); ესეც გარკვეული სოციალური ფენის სამეტყველო მანერაა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საერთო ენობრივ ცნობიერებაზე. შევეხოთ რამდენიმე კონკრეტულ საკითხს:

ა) იმავე ძ ბგერას რომ დაეუბრუნდეთ, ამ კბილბაგისმიერი ბგერის გამოთქმას ამჯობინებენ ევროპული ენებიდან შემოსულ სიტყვებსა და საკუთარ სახელებში: ქაქტი, ძილოსოძია, ძუგა, ძარმაცია... ძიხტი, ძრანც კაძკა, ძოიერბახი, ძედერიკო ძელინი...

ამგვარი ბგერა ქართული ენის ფონეტიკურ სისტემაში არ არსებობს; ამიტომაც არის, რომ როგორც ისტორიულად, ისე დღესაც მითითებული უცხოენოვანი ბგერა გადმოგვაქვს ნყვილბაგისმიერი ბგერის შესატყვისი ფ ასონიშნით და ქართული ფონეტიკური შესაბამისობის პრინციპით ის ამავე ბგერითი ეტალონით უნდა გადმოიცეს ზეპირმეტყველებაში. ძ ასო-ბგერის ადგილი ქართულ მეტყველებაში არ არსებობს.

ბ) ასევე უცხო ენების გავლენით იჭრებოდა და იჭრება ქართულ მეტყველებაში ზოგიერთი დიფთონგის^{*} ისეთი ნარმოთქმა, რომელიც ჩვენი ენის ბუნებას არ შეეფერება. კერძოდ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხმოვანთა პოზიციური დავინროება აღარ ხდება, ანუ დიფთონგების ნარმოქმნა შეუძლებელია.

ამიტომაც უცხოენოვანი დიფთონგების გადმოღების საკითხი ქართულში საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. კერძოდ, საკონტროლო შემდეგი შემთხვევები:

1. რუსულის ჟ და ჰ დიფთონგები:

რუსულ ენასთან მრავალწლიანმა ურთიერთობამ განაპირობა რუსული თუ რუსულის გზით შემოსული არაერთი ისეთი სიტყვის (მათ შორის – საკუთარი სახელების) დამკვიდრება ქართულში, რომელთა შემადგენლობაში მითითებული დიფთონგებიც ვლინდებოდა. დროთა განმავლობაში ქართულ ენაში ჩამოყალიბდა ამ უცხო ბგერათა ადაპტაციის გარკვეული წესები, რომლებმაც შემდეგი ნორმის სახე მიიღო:

ჟ დიფთონგი რუსულ ან რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში უპირატესად უნდა გადმოცემულ იქნეს, როგორც **ჟა** ხმოვანთმიმდევრობა:

ბიაზი, იარუსი, იარლიყი, როიალი, ლოიალური, იანიჩარი, იანუსი, იაკუტია, იაპონია, იაკოვლევი, მაიაკოვსკი, კონიაკი, სტატია, ბილიარდი, ბრილიანტი, ტრეტიაკოვი, ტოლიატი, შალიაპინი, პოლიაკოვი...

გამონაკლისებია (ზეპირი გზით დამკვიდრებული): **კნეინა, სონა.**

^{*} დიფთონგი – ორი ხმოვნის ისეთი შერწყმა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ვიწროვდება, სრულხმოვნობას კარგავს და მეორე ხმოვნს ერთ მარცხლად ეკედლება.

10-ს შემცველ სიტყვათა გადმოღების დროს ასევე ძირითადია **ოუ** ხმოვანთმიმდევრობა:

იუველირი, იუბილე, იუსტიცია, იურისპრუდენცია, კაიუტა, ვესტიბიული, დებიუტი, ბიუსტი, ბიურო, ბიუროკრატია, ბიულეტენი, ბიუჯეტი, რეზიუმე, მანიკიური, მენიუ, პიურე, სიუჟეტი, სიურპრიზი, კოსტიუმი, ეტიუდი, პარფიუმერია, ნიუანსი, ჟიური, ადიუტანტი, კონიუნქტურა, ავანტიურა, მინიატიურა, უვერტიურა... ტიუტჩრევი, პიუგო, გიულდენშტედტი, დიუმა, მიულერი, ნიუტონი, დიუსელდორფი, ვილნიუსი, ციურიხი, ბრიუსელი, მიუნხენი, ნიურნბერგი, ნიუ-იორკი...

გამონაკლისებია, ანუ უ ხმოვნით გამოიცემა: **ბროშუტა, პარაშუტი, კაფსული, ტრედუნიონი.**

2. გერმანული ei დიფთონგი:

ამ დიფთონგის შემცველი სიტყვები ქართულში ორი გზით შემოსულა: უშუალოდ და რუსული ენის მეშვეობით.

ძირითადია უშუალოდ შემოსული სიტყვები და დიფთონგი აქ გერმანული გამოთქმის მიხედვით დამკვიდრებულა, როგორც **აი**:

აინშტაინი, ვაიმარი, კაპელმაისტერი, ლაიბგვარდია, ლაიბნიცი, ლაიფციგი, გროსმაისტერი, რაინი, რაიხსტაგი, შტრაიკბრეხერი, ცაიტნოტი, ცვაიგი, ჰაიდელბერგი, ჰაინე...

რუსულის გზით შემოსული **ეი** მიმდევრობა კი ცალკე უნდა დავიმახსოვროთ, როგორც გამონაკლისი:

ბრონშტეინი, ეიზენშტეინი, რუბინშტეინი...

3. Ia-სა და Iu-ს შემცველი უცხო სიტყვები:

ქართულში დამკვიდრებულა არაერთი უცხო სიტყვა, რომელთა შემადგენლობაში **Ia** და **Iu** კომპლექსები დასტურდება. ამ სიტყვათა წარმოთქმა-დანერვილობაზე ხანგრძლივად ახდენდა გავლენას რუსული ენა, რომელშიც აღნიშნულ უცხო სიტყვათა უმრავლესობა დიფთონგიანი **იჟ**, **იუ** კომპლექსით დამკვიდრდა. ამიტომაც გვხვდება როგორც მართებული **იზოლაცია**, ისე მცდარი – **იზოლიაცია** – ფორმები.

ამდენად, ქართულის ერთადერთი ნორმაა ორიგინალის შესაბამისი **ლა**, **ლუ** ბგერათმიმდევრობა:

აკუმულაცია, აკუმულატორი, ასიმილაცია, იზოლაცია, იზოლატორი, კანცელარია, კომპილაცია, მალარია, პლაჟი, პოლარული,

პოპულარული, რეგულარული, ტრანსლაცია...

ალუმინი, გლუკოზა, ევოლუცია, ილუზია, ილუმინაცია, ლუთე-რი, ლუმინიტი, მოლუსკი, პლუსი, პოლუსი, რეეოლუცია, რე-ზოლუცია, ჰალუცინაცია...

ც) ბერძნულ და ლათინურ ენებთან მრავალსაუკუნოვანმა კულტურულმა ურთიერთობამ ქართულ ენას არაერთი ისეთი სიტყვა-ტერმინი შესძინა, რომლებიც სხვა განვითარებულ ენებშიც არის დამკვიდრებული. ამავე ხანგრძლივმა ურთიერთობამ ბგერათგადმოღების, ცალკეულ ბგერათა წარმოთქმა-დანერილობის გარკვეული ნესებიც ჩამოაყალიბა, რომელთა გათვალისწინება თანამედროვე ნორმირებულ სალიტერატურო ქართულშიც აუცილებელია. კერძოდ:

1. ბერძნული χ (ლათინური *ch*), ისტორიული ტრადიციით, ქართულად უნდა გადმოვიდეს, როგორც χ :

არქაული, არქეოლოგია, არქიტექტურა, ბრონქები, ექინოკოკი, იქთიოზავრი, სტიქია, ტექნიკა, ტექნიკუმი, ტექნიკური, პოლიტექნიკური, ფსიქიკა, ფსიქოლოგია, ქლორი, ქოლერა, ქრესტომათია, ქრიზანთემა, ქრონიკა, ქრონოლოგია, ქრონომეტრაჟი...

2. ბერძნული, ისევე, როგორც ქართული, განარჩევდა θ (θ) და τ (τ) ასო-ბგერებს. ამიტომაც ქართულს ზუსტად გადმოჰქონდა θ – θ -დ და τ – τ -დ. მეორე შემთხვევაში დარღვევები არსებითად არ გვხვდება (*ატომი, კატეგორია, ტერორი...*), ხოლო პირველ შემთხვევაში აუცილებელია ნორმატიული კონტროლი, რათა რუსული (და ზოგი სხვა ენის) გავლენით კანონზომიერი θ -ს ადგილი τ ასო-ბგერამ არ დაიკავოს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა:

ათეისტი, ანთოლოგია, ანთროპოლოგია, აპათია, ენთუზიაზმი, ეპითეტი, ერითროციტები, ერითრომიცინი, ესთეტიკა, თეზისი, თეორია, თერაპია, თერმოსი, თერმომეტრი, პათოლოგია, სიმპათია, სინთეზი, ფილანთროპია, ფსიქოპათია, რითმა...

3. ბერძნულ-ლათინური h ასო-ბგერა ქართულში გადმოდიოდა, როგორც h , რაც ასევე უნდა შენარჩუნდეს; ანუ ჩვენს დანერილობა-გამოთქმაზე არ უნდა მოახდინოს გავლენა რუსულმა, რომელსაც აღნიშნული ბგერა გადაჰქონდა, როგორც h (h). ამგვარად, უნდა გამოითქვას და დაინეროს:

ჰალუცინაცია, ჰეგემონია, ჰიბრიდი, ჰიგიენა, ჰიდრაულიკა, ჰიდროლოგია (და ჰიდრო – კომპონენტის შემცველი სხვა სიტყვები და შემოკლებები: ზაჰესი, რიონჰესი...), ჰიმნი, ჰიპნოზი, ჰიპოთეზა, ჰონორარი, ჰუმანიზმი...

ასევე – ევროპული ენებიდან შემოსულ სიტყვებში **h**-ს ფარდად:
*მანჰაიმი, ჰალსტუხი, ჰამბურგი, ჰანოვერი, ჰამილტონი, ჰილ
ზები...*

4. ლათინურიდან მომდინარე **q კომპლექსი:**

იმ სიტყვებში, რომელთა შემადგენლობაში ლათინურში **q** კომპლექსი იწერებოდა, უგამონაკლისოდ უნდა დაინეროს და გამოითქვას **კვ**:

ადეკვატური, აკვარელი, აკვარიუმი, ანტიკვარული, ეკვატორი, ეკვივალენტი, ეკვილიბრისტიკა, კვადრატი, კვალიტეტი, კვალიფიკაცია, კვაზი-, კვანტი, კვანტური, კვარტალი, კვორუმი, ლიკვიდაცია, რეკვიზიტი, რეკვიემი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ბოლოს მონიშნული საკითხები ერთნაირად ეკუთვნის როგორც ორთოეპიას, ისე ორთოგრაფიას, რამდენადაც წერისა და გამოთქმის ფონეტიკური (ფონოგრაფიული) შესაბამისობის პრინციპი ქართულისათვის არსებითია. ამდენად, უცხო ენათათვის ნიშანდობლივი ბგერითი ფორმა ცალკეული სიტყვებისა (*იზოლმაცია, ლეშუბა, ხრონიკა, ფსიხიკა, გიპნოზი...*). ქართული წერა-წარმოთქმისათვის უმართებულოა.

II. ტრანსლიტერაციის ძირითადი წესები

სხვადასხვა ენას ურთიერთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბგერითი სისტემა და შესაბამისი ანბანური ნიშნები აქვს. ცნობილია, რომ სხვადასხვა ენის თვით ერთი და იგივე ხმოვნებიც კი შეიძლება არ იყოს წარმოთქმის თვალსაზრისით ერთგვაროვანი (მაგალითად, ხმოვანი **ა** ზოგან მეტად ღიაა, ზოგან – ნაკლებ; ზოგან შედარებით წინა რიგისაა, ზოგან – უფრო უკანა რიგის...); მით უფრო, ერთ ენაში მეორისათვის სრულიად უცხო ბგერები იჩენს თავს და – პირიქით...

ენათა მნიგნობრული (კულტურული) ურთიერთობის დროს პედაგოგიური თუ სხვა მიზნებით აუცილებელი ხდება ერთი ენის ბგერითი სისტემისა და ასონიშნების, რაც შეიძლება, ზუსტი გადმოღება მეორე ენის ანბანით (ასონიშნებით). ამისი აუცილებლობა განსაკუთრებით იქმნება ერთი ენიდან მეორე ენაში შესული სიტყვებისა და საკუთარი სახელების სათანადოდ ასახვის მიზნით. არსებითად აქ დგება ორი ენის დამწერლობის სისტემის ბგერობრივი (ფონემური) შესაბამისობის დადგენის საკითხი. სწორედ ერთი ენის ასო-ბგერათა ასახვა მეორე

ენის ანბანური ნიშნებით მოიხსენიება ტრანსლიტერაციის სახელით (trans – გზით, გავლით, littera – ასო).

შენიშვნა: მსგავსი ტერმინია ტრანსკრიფცია, მაგრამ ის გულისხმობს ამა თუ იმ ენის ბგერითი სისტემის ასახვას რაიმე ერთიანი პირობითი (ჩვეულებისამებრ, ლათინური) ასონიშნებით.

ამგვარად, ტრანსლიტერაციის წესები შეიძლება ასახავდეს ნებისმიერი ორი ენის ურთიერთობას: ქართულ-ბერძნულს, ქართულ-გერმანულს, ქართულ-ინგლისურს... ან – პირიქით: გერმანულ-ქართულს, რუსულ-ქართულს, ინგლისურ-ქართულს...

პირველ რიგში, პრაქტიკული აუცილებლობა (საკუთარ სახელთა გადმოღება, საბუთების შედგენა) მოითხოვს იმის ცოდნას, როგორ ავსახოთ ქართული ასოები ლათინური (ევროპულ ენათა) ანბანური ნიშნებით.

გავრცელებულია ამგვარი გადატანის რამდენიმე ვარიანტი. წარმოვადგენთ მათგან ძირითადს: ერთს – ტრანსლიტერაციისას და ორსაც – სამეცნიერო ტრანსკრიფციისას.*

| ქართული ანბანი | ძირითადი ტრანსლიტერაცია | ქართული მეცნიერული ტრანსკრიფცია | უცხოური (საერთაშორისო) მეცნ. ტრანსკრიფცია |
|----------------|-------------------------|---------------------------------|---|
| ა | a | a | a |
| ბ | b | b | b |
| გ | g | g | g |
| დ | d | d | d |
| ე | e | e | e |
| ვ | v | v | v |
| ზ | z | z | z |
| თ | t | t | t' |
| ი | i | i | i |
| ქ | k' | k | k |

* ვიშორებთ: ტრანსლიტერაციის წესები ჩვეულებრივი, როგორც ენობრივი ურთიერთობების დროს გამოიყენება, ხოლო ტრანსკრიფცია – სამეცნიერო მიზნით, საერთო ფონოლოგიური სიზუსტის დაცვისათვის.

| | | | |
|---|-----|---|-----|
| ლ | l | l | l |
| მ | m | m | m |
| ნ | n | n | n |
| ო | o | o | o |
| პ | p' | p | p |
| ჟ | zh | ž | z |
| რ | r | r | r |
| ს | s | s | s |
| ტ | t' | t | t |
| უ | u | u | u |
| ფ | p | p | p' |
| ქ | k | k | k' |
| ღ | gh | γ | g |
| ყ | q | q | q |
| შ | sh | š | s |
| ჩ | ch | č | c' |
| ც | ts | c | c' |
| ძ | dz | z | j z |
| წ | ts' | ç | c |
| ჭ | ch' | č | c |
| ხ | kh | x | x |
| ჯ | j | ǰ | j |
| ჰ | h | h | h |

ასევე აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისით ევროპული ენების (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის...) ანბანური სისტემების ქართულად ტრანსლიტერაციის წესები. როგორც ცნობილია, ამ ენათა ანბანების გრაფიკული საფუძველია ლათინური ანბანი; ამიტომაც, მას ამ საერთო მონაცემების სახითა და თანამიმდევრობით წარმოვადგენთ, განსხვავებულ ასონიშნებსა და მათს ქართულ შესატყვისებს კი

ღამატებით - ცალკე გრაფების სახით - ავსახავთ:*

| უცხო ენების ფონემები | ქართული (საერთო. ძირითადი) | ინგლისური-სათვის | გერმანული-სათვის | ფრანგული-სათვის | იტალიური-სათვის |
|----------------------|----------------------------|------------------|------------------|-----------------|--------------------|
| A | ა | (ე ი ო) | | | |
| B | ბ | | | | |
| C | | კ | ც | კ(ს) | კ(ჩ ე, ი-ს წინ) |
| D | დ | | | | |
| E | ე | (ი) | | (ე) | |
| F | ფ | | | | |
| G | გ | (ჯ) | | (ე) | (ჯ) ე, ი-ს წინ |
| H | ჰ | | | ფ | |
| I | ი | (აი) | | | |
| J | | ჯ | ი(მ) | ჟ | |
| K | კ | | | | |
| L | ლ | | | | |
| M | მ | | | | |
| N | ნ | | | | |
| O | ო | | | | |
| P | პ | | | | |
| Q | | ქ(კ ა-ს წინ) | ქ | კ | კ(ა-ს წინ) |
| R | რ | | | | |
| S | ს | | (ზ) ხმოვნ. წინ | (ზ) | (ზ) ხმოვნ. შორის |
| T | ტ | | (თ) | | |
| U | | უ(ი ა ე) | უ | იუ | |

* ყველა პოზიციური ბგერითი ვარიანტისა და ყველა ბგერათკომპლექსის ასახვა ა შეუძლებელიც არის და მოუხერხებელიც (სისტემის პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე).

| | | | | | |
|-----|---|----|----|--------|-------------------|
| V | ვ | | ფ | | |
| W | ვ | | | (უ) | |
| X | | ქს | | ქს გზ | |
| Y | | ი | ი | ი | |
| Z | | ზ | ც | | ც ძ |
| ch | | ჩ | ხ | შ | კ |
| sch | | | შ | | |
| ck | | კ | კ | | |
| ph | ფ | | | | |
| sh | | შ | | | |
| წ | | | ს | | |
| sp | | | შპ | | |
| st | | | შტ | | |
| sc | | | | | სკ(შ e, i-სინი) |
| th | თ | | | | |
| tz | | | ც | | |
| ü | | | უ | | |
| ö | | | ე | | |
| ä | | | ე | | |

შენიშვნები: 1. თუ მხოლოდ მეორე სვეტშია ქართული შესატყვისი მოყვანილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის საერთო სამივე ენისათვის.

2. თუ მომდევნო სვეტებში ფრჩხილებში პარალელურ ნიშნით არის მითითებული რაიმე ბგერა (ან კომპლექსი) ე. ი. ამ ენაში ეს არის დამატებითი (პოზიციური) შესატყვისი ძირითადთან ერთად.

3. როცა ენებს საერთო არ გააჩნიათ, ისინი, ბუნებრივია დამოუკიდებლად არის მითითებული. თუკი მხოლოდ ერთ ენის მონაცემია მითითებული, იგულისხმება, რომ სხვა ენებში ამ ბგერასა თუ კომპლექსს რაიმე თავისებურება არ ახასიათებს.

წარმოსათქმელი ტექსტების ნიმუშები

(კლასიკური მემკვიდრეობა)*

აიეტის სიტყვა გუბაზის მკვლევლობის გამო

გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმართო, თუ მივადწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვსხედვართ და ვმსჯელობთ. მტრებად ჩავთვალათ ისინი თუ შეგობრებად?—

მე ვინატრიდი, კოლხეთის სახელმწიფოს პქონოდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირვებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღურებაში ჩავფარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავსდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ...

არ შეეფერებათ გონიერ ადამიანებს, რომ თავის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს. ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი უქნარობით სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ...

სასირცხო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დაფიციწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დაფუწყებთ. ის რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვაგსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო...

მაგრამ ვინაიდან ამიერიდან ის ვეღარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცო. დაე, ის წარმოდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეს თქვენ თავის ჭრილობაზე. შეკრდსა და კისერზე, და თვისტომთ სთხოვდეს, ახლა მანც გადაუხადონ მტერს სამაგიერო...

მაშ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სწრაფად შეუდევით საქმეს და გამოამკლავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გვაგკეთებთ იმას, რაც სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვტანს, — ამით ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვეჭთ.

* ცნობილი ორატორული, პუბლიცისტური ტექსტები უმეტესად ნაწვევებად არის წარმოდგენილი მათი პრაქტიკული გამოყენების გაადვილების მიზნით. ამავე დროს, მათი ენა ძირითადად ადაპტირებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოთხოვნებთან.

ფართავის საპასუხო სიტყვა

ჩვეულებრივი ამბავი დაგეშართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმატებულად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგიორყიეს. უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც მისი ძალა არ გამოუცდია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაუგზინისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ფართარებას ემყარება... ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიტყვით: რაც უფრო მეტ წარმატებულ სიტყვებს იხმარს, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს... უგუნუო ადამიანები სულმუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებებ და როდესაც წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს.

მაგრამ ეს მრჩეველი... მოუთქრებლად გვიდგენს გემებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ მსჯელობს... ამან კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რამეს გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და შერე კრება?..

სურათის ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, სრულიად არა ვაქცატურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ, შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, და ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს — გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრანვებისათვის; მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაქცატურად აგვეტანა უბედურება და არათუერი სასიციცხო და მამაბაბური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა...

წყევლი და შერჩენებული არიან ბიზანტიელები და მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს. ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათსაც, ვისაც შეეძლო შეეფერებინა ეს მკვლელობა და არ შეაფერნა, და აგრეთვე იმათსაც, რომელთაც იხილეს ეს მკვლელობა და არცთუ ისე აღშფოთდნენ.

თუმცა მე ამას ვფიქრობ. მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნებოდა სასარგებლო... რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივიშვრებით ქრისტიანების სასტიკ მტერს?

... მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელების მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან.

სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე

ერთი ორიოდ სიტყვა მეც მინდა გითხრათ და, ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს საღვთგებულად მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხეებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბერტყაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო საყვარელია. არც ჩვენ თვითონ ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-მარღვად კარგები ვართ. ჯანი და ძალ-ღონეც მოგვლევს, არც ხალისი გვაკლია: ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარმალსავით შორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნი? — მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძვეს, სად რა განძია. არ ვიცით — საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფუფაც ბლომად. აკი ვაჩიბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ — ისა, რაც თქვენივე სიტყვით, თვითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერ მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისტანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვია. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბულს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგებადარებს, რამდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა ცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-მარღვით ჩვენა გვჯობიან?! არა, იმათ ცოდნა აქვთ. ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, — თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წაყა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუღდება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო ღირსი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა ჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძეშუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გა-

პქონდეს და გამოპქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლულ მართალიც არის: კაცი სხვის მარგეტ უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუღვსა, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თვითონაც კარგად იცით. თქვენ თვითონ ყოველდღე ხედავთ, რომ ეგ ეგრეთაა. ალოში გუთნისდღედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მებრესა რათა? იმიტომ რომ გუთნისდღედა მცოდნეა და მებრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ღირს, მოჯამაგიერედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშააკაც, თუნდაც ერთიორად იმაზე მეტი იყოს მკლავითაც და ჯანიტაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშაკი კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრეა- მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლუ პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ღაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბეუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — ჩანს ღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დაშხედებიანო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავისდღეში არა: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილის შვილზე, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული—

მაშ, გაუმარჯოს, ხაღბო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად!

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვიან: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს!“

ილია ჭავჭავაძე

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, კიდევ ერთი ახალი წელიწადი!.. რა მოველოცოთ ჩვენს თავს, ქართველნი? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხეალ სახატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივინებდავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვჩვენება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან დანახუბითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისაც, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ

ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარული-საო!“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: შეშო-ვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თვითონაც მივდგეთ-მისვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობევს თვითონ ადამიანი არა იწყევას, არა სხლავს, არ ფურჩქნის, არ უვლის, არ პატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგია რა, არა დაუკლია რა, თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახვეთ შეუძლიათ სამართლიანად თქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული. გული ელევა, ხორცი აღნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?..

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დატყული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის, უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვღას. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაოა ხელი გვეკრან — და შიგ გადავიჩვენებით დედა-ბუღიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმია ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგავართ და უღონოდ ვბზუით — „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილეთ, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალეთ, ფუტკრისაგან გვასწავლეთ დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდგომმა მაინც აღარ თქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ილია ჭავჭავაძე

მეტხრამეტე საუკუნე

ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის რა, გარდა იმისა, რომ შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალ საუკუნეს, ბევრი რამ შეისძინა ქვეყნიერებას. რაც ამ საუკუნეში მეტხიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებული ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა,

მთელ დანარჩენ თერამეტ საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ანუ ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა თქვან, წინა საუკუნენი თვისდნენ და სახელად და დიდება XIX საუკუნისა კი ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმდენად უხვი, რომ მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთა წინაპართათვის.

ბეკონმა, ინგლისელმა ფილოსოფოსმა, თქვა, რომ პროგრესი კაცობრივისა სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ დღიდან დღემდე განზე გადადგმულ იქნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალთი რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის დეაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, დღეს შესაძლებელი გახდა XIX საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც აქამდე იყო სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რკინიგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს... ბევრ ჭირს, რომელიც აქამდე მუსრს აგლებდა ქვეყნიერებას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სოციალისტის ელექსირიკი კი იპოვეს, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლადმძლევე გონება ადამიანისა.

ვინ მოთვლის ყველა იმ სიკეთეს, რომელიც XIX საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე XIX საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარ საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, შინიც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკევიარი.

...წარსულმა საუკუნემ ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ასე მეცნიერებით გაძლიერებული? გაღონიერებული და მართალია, დღეს ადამიანი, ღარიბია თუ მდიდარი — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერებასთან გამოხმაურება; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ ჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს.

ილია ჭავჭავაძე

სიტყვა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს

მე, ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას, ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უხებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს

არ შემიძლიან აღუნიშნავად დაგტოვო. აქ ერთ ორატორს მეორეზე უთქვამს: ებ მოსული არისო და ჩვენსაინ არავითარი კავშირი არა აქვსო.

მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მოქმელთან საქმე არა მაქვს—რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ისე, ან არა, ვინა თქვა, არამედ ის, ვის უთხრეს.

ეს უთხრეს იმიერ ქართველს.

როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში — მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვია!

არა, ბატონებო!.. ყოველ ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრული, იმერული, კახელი თუ ქართლელი — ჩვენი ერთიანი ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ღიხში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებება თვითუფლები ჩვენგანისა, უუწყმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენი ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი უკეთესნი და უდიდესნი მამულიშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენი ვაჟკაცნი და შოქმარნი, ჩვენი სწავლულნი და მეცნიერნი სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკედრებით აღედგინათ ესეთი ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისი სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეაღია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და შეტყვევებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელი თავისი მხურვალე გულისძგერით აღთქმად დადო, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზე ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო; ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულიშვილური გრძნობის წყველა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიტყვევია ამ უკეთური აზრისათვის. თქვენც მოგიწევთ, ასე მოიქცით. დაე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა.

ილია ჭავჭავაძე

ახალი დასის მოლოდინში

ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნები დაბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავისი ნაკვალე-

ვიდან გამოვიდა და ახალი გზა კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახალი ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერია: „უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვერ მოუხერხებია...“

უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არც კი ჰქონდეს გარკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი, რომ თვით უმეტარიც ბუნდად შინც არ გრძნობდეს ამას. მხოლოდ არც ცოდნა აქვს მას და არც იმოდენა გონებითა ძალ-ღონე, რომ თავის თავს თვითონვე უშეგლოს. აი, აქ უნდა მოეშეგლოს ის, ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუქენია, რომ ახალი ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლია. აი, აქ უნდა გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შესტკივა თავისი უმეტარი მოძმისათვის. მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს ჩვენს ბედს ძალიან ვერ დავემდურებით. ცოტად თუ ბევრად ხომ ჩვენში მატულობს ყოველწლიურად მცოდნე და განათლებულ წყობა ერისა. სად არის, სად იმალება ეს წყობა? რატომ არ ეშელება ამ ხალხს, რომელმაც იგი გამოზარდა და რომელსაც იგი ეკუთვნის?

ნუთუ არ ესმით, ან ავიწყლებათ, რომ ყოველი გროში, რომელსაც ის თავის სწავლაზე ხარჯავს, ხალხის ოფლით, წვითა და დაგვით არის შექენილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვედილი. ხალხი თუ იხდის ამ მძიმე ხარჯს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის, რომ მისი ნაღვაწითა და შრომით გამოზრდილი მასვე დაუბრუნდება და რაიმე შეგვლას მისცემს თავისი ცოდნით. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ გრძნობდეს ამგვარ მოვალეობას, არ ფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია.

აკაკი წერეთელი

სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე

ახალი მოსპრობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთ?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საბასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვედარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე:

მშვიდობით, ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწვოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საქმელოა. მაგრამ, ეპ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღადადებენ იმთ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვედარც არას დააკლებს და ვედარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწყურია, მამის იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილია, როგორც ზოგიერთებს სურთ და

პრონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილოს და თვალთ ველარა ნახავ!

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და, აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და, ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს!

მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..

აკაკი წერეთელი

სიტყვა თქმული ერნესტო როსის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე

დღეს სასიამოვნო და შემდეგშიც სანატრელო სტუმარო, ბატონო როსი!

მარტო ენის უცოდინარობას ნუ მიაწერო, რომ მე დღეს ქართულად გიბირებთ შესხმით სიტყვას!.. გამოვტყდები, ზედმიწევნითაც რომ ვიტყვებ უცხო ენა, მაინც მაშინაც ქართულს ვერ ვუღალატებდი, რადგანაც ეს ჩემი დედა ენაა, ყოველ ენაზე უფრო უტკბესი და უძვირფასესი ჩემთვის და ამიტომაც მსურს, რომ გულითად სარჩულად დაფულო იმ აზრებს, რომლებსაც შენ შესახებ წარმოგიტყვამ. მხოლოდ სტიქიურ მოვლინებას შეუძლია აგრძნობინოს უხმო-უსიტყვოდ ქვეყანას თავისი საკუთარი ძალა და ამავე დროს მოაგონოს ყოვლის შემოქმედის ძლიერებაც. ერთ ამგვარ ძალთაგან ხარ დღეს შენც მოვლენილი, რადგანაც უსიტყვოდ (უკაცრავად, თუმცა უსიტყვოდ კი არა, მაგრამ ჩვენთვის სწორედ რომ უსიტყვოდ, რადგანაც შენი ენა არ გვესმის), მხოლოდ სახის გამოქვეყნებითა და გარეგანი მიმხვრით გვაგრძნობინე შენი ძალა და თანვე შეგვასმინე შექსპირის შემოქმედებითი ძლიერებაც.

დღეს ჩვენ, დღიური ვარაშისაგან გარეშემოზღულული და წვრილმანობისაგან გატაცებული, ისე დაფრთხვით, რომ ველარ ვწვდებით ჩვენდა თავად იმ სიმაღლემდე, საიდანაც საოცარი გულთამხილავი და გულთამხიბლავი პოეტი გვიქუხს და გვიელავს. საჭირო იყო გამოგვჩენოდა გოლიათი, რომ ავეყვანეთ და მივეწვდინეთ იმ სიმაღლემდე, და ამგვარ გმირად გამოგვიჩნდი კიდევაც შენ. ის ულუმბიური ხასიათები და ჯოჯოხეთური ვნებათა დღევა, რომელიც პოეტმა გამოსახა და ჩაბუჭდა სხვადასხვა გვაშში, შენ დაგვანახე თვალდათვალ და შეგვასწავლე; დღეს ჩვენ არა თუ ვიცით, კიდევაც ვგრძნობთ, თუ როგორ იტანჯება სიბერემდე ზვიადი, უკადრი და თავგასული მეფე ღირი, როდესაც წვრილმანი უმადურობა გველივით გარს ეხვევა! დაუინახეთ, შევიტყვეთ, თუ სადამდე მიიყვანს უსაზღვრო თავმოყვარეობა და პატივის მიმღევრობა მაკებტს და რა უკიდურესობაში აკლებს მისი საზიზღარი შედეგით!

თვალწინ დაგვეხატა დიდბუნებიანი პამლეტი, რომელიც უკიდურესი გრძნობა-გონების მქონეა, მაგრამ რადგანაც ის ორი ძალა ერთიმეორისათვის ვერ შეუთვისებია, ვერ შეუთანხმებია და ვერც დაუმონებია, ორჭოფობს, ბორბავს და შემთხვევის მსხვერპლად ხდება. გავიცანით ნერონი, ეს ძლიერი ქვეყნის

მპყრობელი, რომელსაც შემთხვევითი, შთამომავლობითი დიდება ვერ აკმაყოფილებს, უნდა თავის თავიდან რამე იყოს და მზად არის სამეფო გვირგვინი არტისტის გვირგვინზე გაცვალოს, მაგრამ უვარგისი შეფე უნიჭო არტისტის როლში უფრო სასაცილო ხდება, ვიდრე უნიჭო არტისტი შეფის როლში სცენაზე. შენვე გაგვაცანი... მაგრამ რას ვამბობ? უკაცრავად! კი არ გაგვაცანი, მოგვავიწყებ ჩვენი საკუთარი „რომობა“, ჩვენი სიჭაბუკე!.. ის ნეტარი დრო, როდესაც ეკალი ვარდად გვეჩვენება და ჩვენ-ჩვენი პირველი სიყვარულის საგანს ჯვულიეტა რჯულად მიგვანჩნია და სიცოცხლედ გვიღირს. გაგვასხენე ის პირველი კოცნა, რომლის უტკბესი სამარეში თან აღარა ჩაგვყვება-რა.

ეპ, რომელი ერთი ჩამოყვითავალი? ეს ერთი ხანია შენ მიიპყარი ჩვენ გრძნობა-გონება, თვალი ვეღარ მოგვიშორებია, გული სხვანაირად გვიტყვის და გრძნობა სხვაგვარად გვიღელავს და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ შენ სახე და სახელი ამიერიდან ჩვენი გულის ფიტარზე იქნება დაბეჭდილი და რაგინდ შორს იყო ჩვენგან, მაინც გვეხსომები, და ისე ღიხინი არ გვექნება, რომ გულში შენი საღვთვერძელო არ დაუღიოთ, ისე, როგორც ახლა ვსვამთ ამ სამისით. გაგიმარჯოს!.. და მრავალყამიერ შენი სიცოცხლე!..

ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა

ფიქრები

კაციც ბევრშია გასამტყუნარი. ისეთი შამაცია, დაფიქრდება და იტყვის: ერთხელაც იქნება მოკვდებით, მაგრამ იმდენად მხნე და გონიერია, არა გიჟდება. ამ ფიქრს ინულებს ადვილად, აღარა ფიქრობს ბევრს და იმავწამს თავს არ იკლავს. მეტიჩარა არ არის, მონელება უნდა. აკვანი და კუბო ტყუპნი არიან, ვიბადებით, აკვანში გვაწვევენ და გვარწვევენ. ვიხოცებით, კუბოში გვასვენებენ და სამარისკენ ქანაობით მიგვათრევენ.

ერთმა ქვამ, დიდმა ლოდმა, გამიჭირა საქმე: ჭალაში გდია, სწორედ გზის თავში. რაც გავჩნდი, მას აქეთ სულ არის წამოყუნებულნი კალმიკების დემონთივით, ზედ ხავსი მწვანედ გადააკერია და მხოლოდ ერთი წვეთი ცხვირიდა გამოსჩნია ხავსით დაუფარავი. ვერაფერმა დაძრა ის მუღრეგი იმ ადგილიდან, აღარც ღვარი ხვდება, აღარც ზვავი, სწორედ გულის გამასივებელია და მე კი გული გამისივია; ვეღარ მოვითმინე და მივედი ამ ქვასთან ახლოს. — ვუცქერო, თითქოს საგანია, სიგრძეცა აქვს, სიმძიმე ათასი კაცის ტოლია, — მივედი ახლოს, წარბს არ იხრის და ბრავმორეულმა ჯოხი დაეუშინე. ადექ, შე მუღრეგო, თუ გძინავს, გაიღვიძე, თუ გღვიძავს, დაიძინე, რამე გააკეთე, აბა, რას ღვანარ ეგრე ოხრად და ტიალად? რას ჰგავს შენი ქტევა? გიყურებ, თითქოს დამყინი და მეუბნები: „შენ მოკვდები, მე კი სულ ისევ ისე ვიქნები აქ დარჩანისლურად შემომჯდარი და გაშულულ-გამომვლელი მნახავს, მზე გამათბობს, ცის ნაბი დამნადავსო!“ ჰაი, ბეჩავო, ბეჩავო, არც ერთი არ არის შენთვის! ეს მხოლოდ ჩემი ოცნებაა, მაინც მკვლარი ხარ, მაინც შენ ვერაფერს გრძნობ და ეგ მიკლავს გულს, მხოლოდ ხარ, არსებობ და განა მე კი არ ვიქნები მკვლარი? მაგრამ

დღეს რომ ცოცხალი ვარ, — ეს მეტი მადლია ჩემთვის ღვთის მონიჭებული და ვცდილობ სიცოცხლე რაშეში გამოვიჩინო.

ფფიქრობ, მიყვარს, მძულს და კაცი მქვია, ღიად, კაცი. საუკეთესო ბუნების წევრი ვარ — ალბათ სიცოცხლესთან სიკედლილიც ერთი მადლია, ერთი მშვენიერებათაგანი, დამამძიმებელი, ამამალღებელი ჩემი კაცობისა.

კაცმა იცოცხლოს მანამ, სანამ ავს იზამს, თუ არა და სიკვდილი ურჩევნია, კეთილი ხსოვნა და მოგონება მაინც დაგვრჩება. საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა ხომ იმისთვის იკლავს თავს და იღვწის, რომ სიკვდილის შემდეგ კეთილი სახელი დატოვოს ქვეყანაზე.

პოეტს ნიჭი სანამ შესწევს, უფლება აქვს იპოეტოს, განამტკიცოს კაცთა შორის მადალი აზრი, მადალი გრძნობა, წყლულიანი გული გაგვიმთელოს და, როცა საჭიროა, მთელი გული გაგვიწყლულიანოს; და უკეთუ თავის თავს ატყობს, რომ ძალ-ღონე ელევა, სჯობს დატოვოს საზოგადოება და გაიხიზნოს სადმე უდაბნოში, რადგან იგი მკვდარია მაშინ ცოცხლებში გამორეული. გულ-საკლავია, ძნელი ასატანი და მოსათმენია, მტრის ჯარიდან გამოსული მხედარი მოპირდაპირეს ითხოვდეს და შენი ქვეყნის ღამქარში კი დაღუეულიყოს მამაცი და შენი თანამომქმენი შერცხვნილნი თავდაკიდებით უტდიდნენ ციდან მოვლენილ ვაჟკაცს, იმათში კი გაწყვეტილიყოს...

ვაჟა - ფშაველია

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო ადამილის გონებრივ, ქონებრივ და სწეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო შეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდა საჭიროა, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველი ერისათვისა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალ-ღონით, თანამომქმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონიერული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობლიური ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ელისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის

ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა ტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოქმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადრდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავისი სამშობლოს გარეშეც პაოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტი“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დატკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურ ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივიდვიართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დატკბება „ფუფუნისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კონსოლიდირებისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერთ იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფნის ავ-კარგი, მოსწონთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გაშეფებულია დემიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად პყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვამთყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს. როგორც მაგ. არის დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას გარდა პაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან გრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, — ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრძის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე დაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფელელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშეფხინებლად მიაჩნია. თავისი სოფელელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეხედეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაუართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოყელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმოიმდგენია ადამიანი სრული ჭკუისა, საღი გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ური სხევეზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათას ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთ ადგილას უნდა დაიბადოს, ერთ ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერთი ერთნაირად მიყვარსო, — ტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსაზე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ური, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუქმნევლად დიდი შტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ური თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავისი საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელი კაცობრიობის განვითარებისა.

ვაჟა - ფშაველა

რამერუმე

ჩვენში მსუბუქად უტკერიან მწერლობას, თითქოს აბუჩად ავლებული ჰყავთ; მწერლები კიდევ უსაქმო, „საქმეგამოლეული“ ხალხი ჰგონიანთ, მაგრამ, თუ ამ საქმეგამოლეულმა, ბეჩავმა „გაუხახუნა“ ვისმე ამის მოუბარს განუთში, გაგინახრია, ის ყალყზე შედგება და ატეხს ჰაი-ჰუის: როგორ თუ განუთში ჩამწერეთ, ჩემი ცუდი საქციელი გამოაქვეყნეთო! აკი არაფერია განუთითო? თითქოს ბრძანებდით, უსაქმურობაა მწერლობაო?—

თუ დაგწვა და გიკბინა დაბეჭდილმა სიტყვამ ახად, უსაქმურობა კი არა, საქმიანობა ყოფილა. მაშასადამე, ძალა ჰქონია, საყურადღებო რალაც რამ ყოფილა ეს სხვადასხვა ამბებით, სხვადასხვა ფიქრით და მოსაზრებით აჭრელე-

ბული ფურცელი. დიად, ნუ გგონიათ, ვაჟბატონებო, რომ ჩვენ, ბეჩავს მჯღაბნა-
ვებს, საქმე გამოველეფია და იმიტომ ვჯღაბნით, ვწერთ, ვაწყლებით ლობე-
ყორეს. არა, ჩვენ იმას ვცდლობთ, ეგებ სასარგებლო რამ გავაგონოთ ქვეყანას,
შეგმატოთ რამ მის გონებას და ზნეობასაო. ნუთუ ეს საქმე არ არის? ნუთუ ეს
საქმე თქვენს საქმეს, რომელსაც მარტო თქვენი თავი ახსოვს, ჩამოურჩება
უკან? არა გგონია.

ვიცი, კარგად ვიცი, ამისთანა მსჯელობა საიდანაც მომდინარეობს და სა-
რჩულად რაც უქმეც, აი, რა: ერთი გლეხი მყავს მეზობლად, რომელიც ორ
დღეში ერთხელ მინც მინახულებს ხოლმე. და ვაი ჩემი ბრალი, თუ წერის
დროს მომისწრო!

— შენ, სწორედ, საქმე გამოგწვევია, კაცო, რა სულ მაგ ქაღალდებს
ჩაპლიროტი-ჩაპკირკიტებ? სუ ხომ ბაღი არ იქნები, — გაათავე, შორში მაგ
მასხარაობას. საქმე გაიგე? — შეტყვის იგი დარწმუნებით, ისე დაბეჯითებით,
რომ მეც თითქოს ეჭვში შევდივარ და მართლა უსაქმურად მიმანხია ჩემი თავი.

— საქმე არა გგონია შენ ესა?... მაშ, საქმეს რას ეძახი? — ვეკითხები მე.

— სადაური საქმეა, შენს გამარჯვებას?! — შეუბნება ის კვლავ, — ქა-
ღალდი, მელანი და იმისი საქმე! საქმეს იმას ვეძახი — მოხნას კაცმა, მომკოს
მოთიბოს, სახლს რამ შემატოს, ცოლ-შვილს რამ არგოსო.

რა ბასუხი უნდა მისცე ამისთანა მსჯელობის პატრონს? იმას რომ ესმოდეს
მწერლობის მნიშვნელობა, ესწავლა რამ და მისმა გონებამ სწავლის გემო იცო-
დეს, ამას არ იტყოდა, მაგრამ რადგან არ იცის და არ ესმის, ამბობს
გულწრფელად სისულელეს... ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ იმ დღეობაშია, რომ
ამისთანა მსჯელობას ნიდაგი აქვს და რას იზამ, კრიჭას ვის აუკრავ, ენას ვის
დაუბამ, რად ამბობო! მაგრამ ნათქვამია ძველად: „ვისც რა უნდა, თქვას, წის-
ქვილია კი ფქვასო!“

ა. ჩიქვანაიას საბრალდებო სიტყვა ი. ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე, 5 იანვარი, 1942 წ.

ამხანაგო მოსამართლენო,

ვიწყებ რა საბრალდებო სიტყვას საქმეზე, რომელსაც აქვს დიდი საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, მე მინდა, პირველ ყოვლისა, თქვენი
ყურადღება შევაჩერო ამ ბოროტმოქმედების ერთ განსაკუთრებულ თავისებურე-
ბაზე, სხვა საქმეებისაგან მის განმასხვავებელ თვისებაზე.

ცნობილია, რომ მეფის მთავრობას, მის დამქაშებებსა და აგენტებს ერის
არაერთი საუკეთესო ადამიანი ჩაუღობია ციხეებსა და კატორღებში, არაერთი
რევოლუციონერი, ხალხის მეგობარი და მოსარჩლე, ხალხის იღუპისა და მისი
საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლი დაუხვრეტია, ჩამოუხრჩვია როგორც აშ-
კარად, ისე ფარულადაც, მაგრამ ცარიზმს მისთვის საშიშ ატმოსფეროში ასე
მოხერხებულად რომ ესარგებლოს, თავიდან ადვილად მოეცილებინოს, მზის სი-
ნათლესე მოეკლას თავისი მტერი და ეს ყველაფერი ისე გაეკეთებინოს, რომ

ხალხის პარტიასა და თვით ხალხს დაპბრალეობდეს მკვლელობა, ამის გამო პარტიები და მასები ერთმანეთისათვის გადაეკიდებინოს, დაექსაქსოს და თავისი ბნელი საქმეების განარხებისათვის ხელი მნიშვნელოვნად შეეწყოს. ჩვენს პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა.

1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ საგურამოს მახლობლად, წინამურის ხეობაში ვერაგულად მოკლეს დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, ხალხის უანგარო ჭირისუფალი და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის დაუღალავი მებრძოლი. იგი შეუბრალეულად გამოსტაცეს ქვეყანას იმ ღრის, როდესაც რუსეთის ცარიზმის ბნელი ძალები სულს უხუთავდა მშრომელ ხალხსა და უმკაცრესი რეაქციის ბრწყვალეში აქცევდა დამონებულ ერებს. იგი მოკლეს ხალხის უბოროტესმა მტრებმა, მეფის ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა ავაზაკებმა, ქვეყნის ნაძირალებმა, არ დაინდეს დიდი პოეტი, ხალხის სულიერი წინამძღვარი, ვისაც ერის წყლული აზნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით სული...

გაბოროტებულმა ავაზაკებმა ტყვით განგმირეს მოხუცი მწერლის შუბლი და მკერდი, თოფის კონდახით დაალორჯეს იგი, გრძობის დაკარგვამდე სცემეს მის ცოლს და იქვე მოკლეს ერთგული მისი მსახური.

ნაძირალებმა გაძარცვეს მათი მსხვერპლი: წაართვეს ოქროს საათი, სამკაულები, ფული და სხვა...

და, აი, დღეს ერთი იმ საზიზღარ ავაზაკთაგანი, რომლებმაც მოკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენ წინაშე იმყოფება. სასამართლოს წინაშე ურცხვად დგას იგი, სასტიკ პასუხს აგებს დღეს ხალხის წინაშე იმ შავ-ბნელი საქმისათვის, რომელიც მან ჩაიდინა 34 წლის წინათ. იგი მიიღებს საკადრის სასჯელს იმ ხალხისაგან, ვისაც წაართვა მან მისი უკეთესი წარმომადგენელი, დაუფიწყარი და ერთგული შვილი, სიცოცხლე მოუსპო ქართველი ერის დიდ მოჭირნახულეს.

მოკლეს ის ფიზიკურად, მაგრამ განსვენებულის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს

და ხალხს შესწიროს დღენია“—

ილია ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს, ვიდრე ჩვენი ქვეყანა ცოცხლობს. მაღლიერი ქართველი ერი სასტიკ პასუხს აგებინებს მას, ვინც ფიზიკურად მოუსპო ჩვენს ქვეყანას თავისი საამაყო შვილი!...

ოთარ ჭილაძე

მამართვა ქართული ლიგის ყრილობას

ეს ჩვენი სამშობლო იწვის— ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში! — ცოტაც და კვამლით გავიგუდებით, სამარცხვინოდ დავამთავრებთ, ღმერთმა იცის, რამდენსაუკუნოვან არსებობას, ღმერთსაც გავეწმინდებთ მოლოდინს და კაცსაც, რადგან ღმერთიც მტერს ელოდა და კაციც. უფრო სწორად, არც ღმერთს დაუკლია ჩვენთვის ხელი და არც კაცს. მაგრამ იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზე-

ოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ, ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით და, აი, მას შემდეგ გვეწვი ფეხქვეშ სამშობლო. ჩვენ კი, მოურჩენელი სიბნელის ბინადარნი, ერთმანეთს ვუსისხლებთ თავ-ვირს და ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს საერთო უმწიბობისა და უმაქნისისობის გამო, ანუ შეგინებულ სიცოცხლეს ვებღაუჭებთ მანც, წყალობად ვუთვლით შეშინებულს და გახსენებაც აღარ გვინდა, სახელოვანი სიკვდილი რომ სჯობს ნამრახ სიცოცხლეს, აღარ გვეჯერა, სამშობლოსათვის თავდადებული ვაქაყის საფლავიც რომ აუღებელი ციხე-სიმაგრეა მტრისათვის. არადა თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები...

ერთი დღეც ხუ გვაცოცხლოს უსამშობლოდ!

ეს არც წყველა და არც ლოცვა. გნებათ, ლოცვაც ესაა და წყველაც. ერთსა და იმავე დროს, რადგან უსამშობლოდა, ყველა უბედურებასთან ერთად სამარცხვინოცაა და — განსაკუთრებით დღეს, როცა ისიც კი იკოწიწებს სამშობლოს — თანაც სხვათა მიწების ხარჯზე — ვისაც არასდროს ჰქონია, არც სახნისი სჭერია ხელში და არც კალამი... ჩვენ კი მონობაში გადადკაცებულთა ამანრზენმა სიხარბემ შეილივით ნაფერები ვაზი აგვიჩეხა, ომებში გაბასრებულ ხმალი ქარქაშში ჩაგვიყანგა, წიგნი გადაგვაგდებინა და უთვისტომო მანანწალებად გვაქცია...

ეტყობა, ჩვენმა გაიძვერა მოყვარემ უკვე მიაღწია საწადელს: ის აღარა ვართ, ვინც უნდა ვიყოთ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ვიყავით... როგორც შეგვექმნა თავიდანვე ღმერთმა თუ ბუნებამ... მაგრამ ის მანც ხომ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, ვისი სისხლი გვიდგას, ბოლოს და ბოლოს, ძარღვებში: „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის თუ ქართველთა შეთქმულების გამცემლისა, სვეტიცხოვლის აღმშენებლისა თუ ილიას მკვლელისა, მტრის რისხვისა თუ მტრის მსახურისა...

და მანც, დიდი უსამართლობა იქნებოდა ღმერთისგანაც და კაცისგანაც ჩვენი გაწირვა, მხოლოდ იმიტომ, კვლავაც იქ რომ ვდგავართ, სადაც გაჩენის დღიდან ვმდგარართ და სადაც უნდა ვიდგეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კვლავაც ის რომ გვწამს, რაც თვალის განელისთანავე ვიწამეთ და დღესაც, სახანჯლოდ თითქმის უკვე დამწვარ, გულსაკლავად დასახიჩრებულ-დაპატარავებულ სამშობლოს აძარა დარჩენილებსაც გვწამს: სამშობლო ერთადერთია და განუყოფელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აიჩრევე — ღმერთის ნაჩუქარია — და ჩვენ მხოლოდ ის გვევლება, შეგვიძლია კიდევ, გავუფრობილეთ და არ დავეარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავლობას...

ჩვენ შედეგს გაჩენილი და ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია. ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ღმინიც, გლოვაც-ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მუიბას წარმოაჩენს ადამიანი. ვინც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ ისევე მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მივემატოთ ცად და მიწად. გახსოვდეთ, წინ მარადისობა!

ცრემლთა ისხარნი

ცრემლთა ისხარნი, მოსისხარნი, ჩყენდა არენით,
იღმენით გულნი, ჭირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით სოფლის ცემით გავიგარენით,
უჭნობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი, დავიბძარენით!
არ ითქმის ენით, არცა სმენით, — ეს იკმარენით!

როს გვაგონდებით, შევღონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო, სწორნო, განა შორნო, საყვარლად კმანო!
ვა კიდეგანთა, ესდენ ხანთა გლოვისა ხმანო,
ატადის კალოს, სავაღალოს, სადა ხართ, თქმანო?!
დაგვებერა ქარმან დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით.

სიზმარს ვემონვით ძილშეკონვით, ნუთუმცა განახეთ,
სახე უსახო, საფახვახო, — ეს განვიზრახეთ,
სხვამცა პატრონი, ანუ დროსი, ვერღა დავსახეთ,
ყარობთა ბანი, გზის საბანი, ეკლით შევსჩმახეთ.
მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!

პ ა ო ლ ო ი ა შ ე ვ ი ლ ი

ასო ლასი

ღვილას თვალები ელავენ ბნელიდან,
დედოფალს ახლავან მხევალნი მცველებად,
ყვავილიც მწველია ღვილას ხელიდან,
დალაღნი დაშლილან ელვარე გველებად.

ასული მწველია ძველი სურნელებით,
დედოფლის აღერსი გრძელია, ძნელია,
ღვილა ლოცულობს დადალოულ ხელებით,
ქაღები გალობით აღიონს ელიან.

ს ი მ ო ნ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი

ცირა

ბადე ბაიდებს,
ბუდე ბაიდებს,
ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს.

აილა-ბაიდებს, აილო ბაიდებს,
ცირა ციბა, ცირა წარბი,
ცირა წაბლი, წარბენილი.
ცაკუთხური, ცაკუთხელი, ხიდბოგირი.
ოდელიოდო ბუდე,
ოდელიოდო ცა,
მღინარის პირას ცხენების მოცდა.
ცირა შინდი,
შორს ბაიდით გადაფრინდი.

უდე ბადე,
უდევეს ბადე
და ბაიდებს
ობადები აბადია.

გადაფრინდენ, გადმოფრინდენ
ფრინველები უბინადრო.

ოდელიოდო უშბო ბუდე,
ოდელიოდო უკიბედრო
ხიდბოგირზე ცირა ციბას,
ობობებით შევევდრე.
უბინადრო უძარიდრო
ძარბაიდებს ცისადგამი
ცურავს ზღვაში ცამებული,
გემებს მოაქვს
იალქარზე ცაბოკონი,
ტყეს დატვირთავს წამებული
ოდელიოდო ცა,

უდე ბუდე,
უდევეს ბადე
ობობამდე.

ფუტი ბუხრის წარბებს მოხრის,
ცირა გულით გამოცრილი
გამოცირა გამოხილი
ცისბოკონებს გამოხედე.
ოდელიოდო თუთა,
თუთა დო ცაფარი
ნუშოგამო და ცაბარი.
ცირა გათხელდა,
როგორც ჩაფარა.

ცირა ციბა,
ტორი ტანზე და ფაფარი.
შარა წარბი წარბენილი,
გამოგული წამოლილო გამოფუტა
გამოგული შორს ბაიდებს,

რომ მიყვებარ გაბუტული.
გამოგული გზით მდინარე,
დამშრალი და გამარგლილი,
გამოგული მოთუთო და უმბო აბა,
ბაღე ბუღე, მდინარე ბაიდებს.
ცირა შინდი,
ობობებზე გადაფრინდი.
უღე ბუღე,
უღევეს ბაღე
და ბაიდებს
ობაღები აბაღია.

ენის გასატეხები

ჩემი ბაღის მწვანელი: პრასი, ბოლოკი, პიტნა, ტარხუნა... თუკი შე შეპრას-
მეპოლოკ-მეპიტნაგ-მეტარხუნება, შენ რატომ არ გეპრას-გეპოლოკ-გეპიტნაგ-
გეტარხუნება?!

ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და
გამოაქვს.

ბერიკას ხარები შეუბამს, შეუსაბელ-სახნის-სახენელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია;
როგორც შეუსაბელ-სახნის-სახენელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია, ისე გამოუსაბელ-
სახნის-სახენელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია.

თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა.

ეს ქათამი ხან იქით გადაკისერ-მხარ-ბარკალ-ნისკარტ-კურტუშდება, ხან
აქეთ გადმოკისერ-მხარ-ბარკალ-ნისკარტ-კურტუშდება.

კაპარჭინა გურიშვილი, გური კაპარჭინაშვილი,
ჯავახია ჯონიშვილი, ჯონი ჯავახიაშვილი.

ლაფაცფუცებულნი ფრინველნი უფრო და უფრო დაფაცფუცდებიან.

ვინც იცის, ცეცხლია, ვინც არა და — ვერცხლია.

სამი სასაწინახელე ხე.

შენი თხაი რქაგრეხილი ჩემსა თხასა რქაგრეხილსა რას ერჩოდა, რას
ებრძოდა, რას ერქაგრეხილემოდა?!

ეზოშია თეთრი მტრელი ფრთათეთრი და ფრთაფარფატი.

ესე ლორი რა ლორია, ლორზე გაღანამორია.

კარო რკინის კოჭიანო, რას ჭრიჭ-მიჭრიჭ-მოჭრიალობ, რა გაქვს საჭრიჭ-
საჭრიალო?

II. ორთოგრაფია

ორთოგრაფია, ანუ **მართლწერა** არის სალიტერატურო ენის გრა-
მატიკული სისტემის პრაგმატული ნაწილი, რომელიც სავალდებულო
წერილობითი ნორმების დამკვიდრებას ემსახურება. ტერმინი **მარ-**
თლწერა აგებულია ზუსტი შესატყვისია ბერძნული წარმომავლო-
ბის საერთაშორისო სიტყვის – **ორთოგრაფიისა** (ὀρθός – სწორი,
μαρτεβული და γράφω – ვწერ).

ორთოგრაფია მნიგნობრული ენის პრობლემაა. უკვე ითქვა, რომ
როგორც კი იქმნება პირველი მნიგნობრული ძეგლი, ჩნდება ნორმა-
ტიული ნება და, ამდენადვე, ჩნდება ორთოგრაფიული პრობლემა.
მეტიც შეიძლება ითქვას: დამწერლობის (ანბანის) შექმნა თავისთავად
უკვე არის მთავარი ორთოგრაფიული გადანწყვეტილება, ვინაიდან
პირველ რიგში ის ადგენს ენის ფონეტიკისა და მის ამსახველ გრაფი-
კულ ნიშანთა (ასოთა) ურთიერთშესაბამისობის წესებს. ამ ურთიერ-
თშესაბამისობის „ობიექტურობაზე“ მნიშვნელოვანწილად არის დამო-
კიდებული მნიგნობრული სალიტერატურო ენის მთელი შემდგომი ის-
ტორიული განვითარების ბედი. როგორც ითქვა, ქართული სალიტერა-
ტურო ენის შედარებითი სტაბილურობა ისტორიულ ცვალებადობათა
თვალსაზრისით ქართული ანბანის ფონეტიკური შესაბამისობის ბუნე-
ბასაც შეიძლება მივანეროთ.

საზოგადოდ, ორთოგრაფია ხელმძღვანელობს სამი ძირითადი
პრინციპით: ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტო-
რიული. ნებისმიერი ენის სტრუქტურა და განვითარება აუცილ-
ბელს ხდის თითოეული მათგანის გამოყენებას კონკრეტული ორთოგ-
რაფიული საკითხების გადანწყვეტის დროს, თუმცა ყოველი ენის მნიგ-
ნობრული ტრადიცია რომელიმე ერთ მათგანს აძლევს უპირატესობას.


მოკლედ დავახასიათოთ თითოეული ეს პრინციპი:

1. ფონეტიკური პრინციპი ასე ჟღერს: როგორც გამოითქმის
(ისმის), ისე იწერება. მაგალითად, ასე იწერება: *სახლი, პირადი, სხვა,
კერა, ჭიშკარი, ცამეტი, ჩვიდმეტი...* ქართულში ეს პრინციპი წამყვ-
ანია, რასაც განამტკიცებს ისიც, რომ მას ორთოეპიული უკუმოქმედ-
ების ძალაც აქვს: დანერილი სიტყვა ბგერითი სისრულით უნდა გამო-
ითქვას.

2. მორფოლოგიური პრინციპი მოითხოვს, რომ სიტყვის
(ფორმის) დაწერილობა ასახავდეს მის მორფოლოგიურ აგებულებას.

ეს პრინციპი დამატებით შეზღუდვებს გვთავაზობს ფონეტიკური პრინციპის გატარების დროს, აუცილებელ შემთხვევაში ავსებს ამ უკანასკნელს: იქ, სადაც ფონეტიკური ცვლილებები „აზარალებს“ სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას, ორთოგრაფია უპირატესობას ანიჭებს მორფოლოგიურ სისრულეს.

ქართულში, როგორც რთული მორფოლოგიური სტრუქტურის ენაში, ამ პრინციპს აგრეთვე ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს. მაგალითად: ზმნის პირველი პირის ნიშანი **გ უ და ლ** ხმოვნების წინ თითქმის არასოდეს არ გამოითქმის (არ ისმის), მაგრამ მისი დანერა სავალდებულოა: *გ-უყურებ, გ-უწყი, გ-ოცნებობ* და მისთ. აქ რომ ფონეტიკური პრინციპი გატარებულიყო, პირველი და მეორე პირის ფორმები ერთმანეთს დაემთხვეოდა:



ასეთივეა: **შეურაცხყოფა** (ფონეტ.: *შეურაცყოფა, შეურანყოფა*), **გვერდზე** (ფონეტ. *გვერძე*) და სხვანი.

3. ისტორიული პრინციპი ანგარიშს უწევს და მისდევს იმ დაწერილობას, რომელიც ტრადიციად ჩამოყალიბებულია დროთა განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ის არ ეთანხმებოდეს მეორე პრინციპს. ეს პრინციპი, მართებულ მნიგნობრულ ტრადიციათა გვერდით, ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევებს, რომელსაც ზემოთ „სოციალური სანქციის“ სახელით მოვიხსენიებდით და რომელიც გულისხმობს ენაში მომხდარი, თუნდაც გაუმართლებელი, ცვლილებების დაკანონებას მაშინ, როცა მათი გასწორების მცდელობა შედეგს აღარ მოგვცემს. ამით ეს პრინციპი ერთგვარად ავსებს პირველ პრინციპს. ამის მაგალითებია: **ცამეტი**, **ჭიშკარი**, **დაღმართი** (უნდა ყოფილიყო **დამართი**), **ღიახ** (უფრო მართებულია **ღიაღ**, ვინაიდან მომდინარეობს გამონათქვამიდან – „ღია ღმერთო!“) და სხვ.

ორთოგრაფია ეფუძნება შესაბამისი ენის მორფოლოგიას, უფრო სწორად – მორფონოლოგიას. მორფოლოგია, როგორც ვიცით, გრამატიკის ის ნაწილია, რომელიც სიტყვის ფორმას შეისწავლის მისი აგებულების თვალსაზრისით: რა არის ამოსავალი (ძირი) და რა მანარმოებლები (თავსართ-ბოლოსართები) დაერთვის მას რომელიმე კონკრეტული ფორმის მისაღებად. მორფონოლოგია კი იმ ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციებს გულისხმობს, რომლებიც თავს იჩენს სიტყვის მორფოლოგიური გაფორმების, ანუ თავსართ-ბოლოსართების დართვის დროს (მაგალითად: მიცემითი ბრუნვის ფორმას **კედელ**-ს დაერთო თანდებული **-თან**, რის გამოც თავი მოიყარა **ლხთ** თანხმოვან-

თმიმდევრობამ და მოხდა მისი ფონეტიკური გამარტივება: კედელ(ს)თან; ანდა: ეზო სიტყვას დაერთო მე-ე თავსართ-ბოლოსართი და გაჩნდა ხმოვანთგამყარი ვ: მე-ეზო-ვ-ე და მისთ.).

ამგვარად, ორთოგრაფიული პრობლემები უპირატესად ენის მორფოლოგიას უკავშირდება, ოღონდაც ფონეტიკასთან მისი შეხვედრის, მათი ურთიერგადაკვეთის საზღვარზე მდებარეობს. ამიტომაც თითოეული ამგვარი საკითხის გადაწყვეტისას ორივე მათგანის გათვალისწინება აუცილებელია; ამიტომვე იყო წამოწეული თითოეულის მნიშვნელობა ნორმირების შესაბამისი პრინციპების განსაზღვრისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორთოგრაფიული ინსტრუქცია, ნესისამებრ, სისტემური მონაცემია და ან ენის აგებულების ღრმა ცოდნას ეფუძნება, ანდა პრაქტიკულ დამახსოვრებას (განსაკუთრებით მაშინ, თუ ნორმა რაიმე სისტემურ გამონაკლისს წარმოადგენს). ორივე შემთხვევა საკმარისი ნიგნიერ კულტურას გულისხმობს. არცთუ იშვიათად საორჭოფო მონაცემთა უშუალო შემოწმებაა შესაძლებელი. სადაც ეს შესაძლებლობა არსებობს, მიზანშეწონილია ის მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რადგან ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით აღვივებს დამოუკიდებელი ძიებისა და გადაწყვეტის ინტერესს.

რაკი ორთოგრაფიული საკითხების განხილვის დროს შესაბამისი ენის მორფოლოგიური სისტემის მოთხოვნები უნდა იქნეს გათვალისწინებული, მიზანშეწონილია ძირითად ორიენტირად ამ თვალსაზრისით მთავარი მორფოლოგიური თავისებურებები დავსახოთ. თუ სიტყვანარმოების მორფოლოგიას არ მივიღებთ მხედველობაში (რაც ტრადიციული მიდგომაა), ქართულ ენაში სამი ძირითადი მორფოლოგიური სისტემა მოქმედებს: ბ რ უ ნ ე ბ ა , უ ლ ლ ე ბ ა და რ ი ც ხ ვ ი ს წ ა რ მ ო - ბ ა .

ბ რ უ ნ ე ბ ა სახელების (უპირატესად არსებითის) ფორმაცვალებას ასახავს;

უ ლ ლ ე ბ ა ზმნის ფორმაცვალებაა.

რ ი ც ხ ვ ი ს წარმოება, რა თქმა უნდა, სახელისათვის არის ორგანული, მაგრამ ის ზმნაშიც აისახება მორფოლოგიურად.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ბრუნება და რიცხვის წარმოება საკმაოდ ერთგვაროვანი და მარტივი სისტემებია, უღლება ბევრად უფრო მრავალპლანიან და რთულ სისტემას წარმოადგენს. ამიტომაც ორთოგრაფიის პრობლემები მის ცალკეულ ქვესისტემებში (პირის, მწკრივის, კონტაქტის... წარმოებაში) მოითხოვს განსაზღვრას.

განვიხილოთ თანამედროვე ორთოგრაფიის საკითხები მითითებული სისტემური მოთხოვნების გათვალისწინებით.


სახელის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული ორთოგრაფიის საკითხები

1. არსებითი სახელის ბრუნების ზოგი თავისებურება

არსებითი სახელის ბრუნებას სალიტერატურო ქართულში დიდი ნაირგვარობა არ ახასიათებს; ყველა სახელისათვის ცნობილი შვიდი ბრუნვის წარმოება არსებითად ერთტიპურია, ამიტომაც აქ რთული ორთოგრაფიული პრობლემები არ იჩენს თავს.

თუ სახელის ბრუნების საერთო სისტემას ხუთ ქვეტიპად გავანაწილებთ, მათგან მხოლოდ გარკვეული სისტემური გამონაკლისები იქნება ყურადღებაშისაქცევი.

ეს ხუთი ძირითადი ტიპია:



სახელის ბრუნების ტიპობრივი შემთხვევები, ჩვეულებისამებრ, ორთოგრაფიულ პრობლემებს ნაკლებად მოიცავს, რამდენადაც მშობლიური ენის იმ ავტომატურ ცოდნასა და ჩვევებს ეფუძნება, რომელიც ნაკლებად სხვაობს ცოცხალი ქართული მეტყველების სხვადასხვა ქვესისტემაში (კილოებში). ამ თვალსაზრისით მხოლოდ სახელის ფუძის კუმწვის „მოდუნება“ შესამჩნევი დასაველურ არეალში (მაგ. *დედალის*, *მგელის...*), მაგრამ ესეც სალიტერატურო ენაში იმდენად ინდივიდუალურსა და იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, რომ ნორმატიული აქცენტის გაკეთება მასზე ჯერჯერობით საჭირო არ გამხდარა.

რაც შეეხება ცალკეულ გამონაკლისებს:

ა) როგორც ძირითადი სისტემიდან ვხედავთ, წოდებითი ბრუნვის ნიშანი -ო ხმოვნით დაბოლოებულ სახელებში -ვ ბოლოსართის სახით არის წარმოდგენილი (*მთვარე-ვ...*). მაგრამ არის ზოგი მოკლე (ერთი ან ორი მარცვლის შემცველი) სიტყვა, რომლებიც ძალზე ხშირად დაირთავენ -ო ნიშანსაც (*მთა-ო, ცა-ო, დედა-ო...*).

შეადარეთ ილია ჭავჭავაძის ორი სტრიქონი:

*ქართულის დედაო, ძუძუ ქართულისა უნინ მამულსა უზრდიდა
შვილსა...*

აქარის, დედაე, შენი მალალი დანიშნულება და საღმრთო ვალი...

ამდენად, ამ უკანასკნელი ტიპის ფუძეებში -ვ და -ო პარალელურ დაბოლოებად უნდა მივიჩნიოთ.

ბ) **ღმერთ-ო**: ეს სიტყვა ძველ ქართულშივე კუმშვადი სახელი იყო, ამიტომაც დამკვიდრდა ასე: **ღმერთ-ის, ღმერთ-ოთ, ღმერთ-ად**. შემდეგ კი დამატებითი ფონეტიკური ცვლილებაც მოხდა: **ღვთ-ის, ღვთ-ოთ, ღვთ-ად**.

ორივენაირი ფორმა ამ სიტყვისა (ძველიც – **ღმერთის, ახალიც – ღვთის**) დასაშვებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. შდრ.: *დაპინწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული (ილია)*.

გ) **ღვინო**: **ო** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთაგან მხოლოდ ამ სიტყვას ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი: **ღვინ-ის, ღვინ-ოთ**.

დ) **ამბავ-ო**: ამ სიტყვის ბრუნებისას არათუ მხოლოდ ხმოვანი იკუმშება, არამედ ბოლო თანხმოვანიც იკარგება: **ამბ-ის, ამბ-ოთ, ამბ-ად**.

2. თანდებულები და თანდებულთან ბრუნვის ფორმები

თანდებული, როგორც ცნობილია, არსებითი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმას დაერთვის და მასთან ერთად გამოხატავს საგნის ადგილმდებარეობას, მიმართულებას, კუთვნილებას, მსგავსებას და სხვ. თანდებული შეიძლება შერწყმული იყოს ბრუნვის ფორმასთან, შეიძლება ცალკეც იდგეს.

თანამედროვე ქართულში თანდებულთა ძირითადი ნაწილი ფორმასთან ისეა შერწყმული, რომ ბრუნვის ნიშნისაგან მისი გამოძიგვაც კიჭირს. პირველ რიგში სწორედ ეს ქმნის მართლწერილის პრობლემებს; ვითარებას ართულებს აგრეთვე ზოგი ფონეტიკური ცვლილება თანდებულებში.

თანდებულთა უმეტესობა ერთ ბრუნვას დაერთვის, თუმცა გვხვდება ისეთი თანდებულებიც, რომლებიც ორ ბრუნვასთან არის დაკავშირებული.

ცალკე წარმოსაჩენია ის თანდებულები, რომელთა გამოყენებისა-საც დანერილობის ნაირგვარობა იჩენს თავს:

ა) -**ვით**: -**ვით** თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის – სახელობითსა და მიცემითს. ამასთანავე, მისი გამოყენება სახელობითში შეზღუდულია, მხოლოდ ფუძეთანხმოვნთან სახელებს დაერთვის: *კაც-ო-ვით, ლომ-ო-ვით...*; მათ უფრო იშვიათად მიცემითის პარალელური ფორმებიც მოეპოვება: *კაც-სა-ვით, ლომ-სა-ვით...* ფუძეხმოვნის სახელები კი თანდებულს მხოლოდ მიცემითის ფორმაზე დაერთავს: *ცა-სა-ვით, წყარო-სა-ვით...*

-**ვით** თანდებულთან სახელობითი და მიცემითი ბრუნვების თანა-არსებობამ განაპირობა მცდარი ფორმის გაჩენა მათი შერწყმის გზით (რაც ნათესაობითი ბრუნვის გამოყენების შთაბეჭდილებას ქმნის): *ძალღი შურღული სა ვით გამოექანა.*

ბოლო შემთხვევა, ცხადია, უხემ შეცდომად ჩაითვლება.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ნაცვალსახელებთან მიცემითია გაბატონებული: *ჩემ-სავით, შენსავით, ჩვენსავით...* (და არა: *ჩემი ვით ...*)

ბ) -**ზე**: თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს არის თანდებულის ერთადერთი კანონიერი ფორმა, თუკი მას კიდევ რაიმე დაბოლოება (ნაწილაკი) არ მოსდევს:

ძველ საგმრო ამბებზე საუბრობდნენ

კარებზე ჯობით დააკაკუნეს.

ამის თქმაზე ცოტა ხანს შეჩერდა...

მაგრამ თუ -**ზე** თანდებულს რომელიმე ნაწილაკი მოსდევს, ის შესაძლებელია ძველი ფორმითაც იყოს წარმოდგენილი; ასე რომ, ორივე დასაშვებია:

ამბებ-ზე-ც და ამბებ-ზედა-ც

მინა-ზე-ვე და მინა-ზედ-ვე

გულ-ზე-ო და გულ-ზედა-ო

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი : -**ზე** თანდებულის დართვისას მიც. ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებისამებრ, დაკარგულია. ის მხოლოდ ერთ ნაცვალსახელშია შენარჩუნებული: *მა-ს-ზე* (და არა *მა-ზე*).

იგივე გამონაკლისია სახელებზე -**ში** თანდებულის დართვისას: *მა-ს-ში.*

სხვა რაიმე გამონაკლისი -**ში** თანდებულს არ გააჩნია, იგი ერთადერთი გაბატონებული ფორმაა ყველა პოზიციაში.

გ) -**თვის**: დაერთვის ნათესაობით ბრუნვას: *მეზობლ-ის(ა)-თვის, გულ-ის(ა)-თვის...* კუთხური მეტყველების გავლენით შეიძლება შეგვხვდეს -**თვის** და -**ფი** ვარიანტები (*აბა, რისთვისა ვართ აქა? შენი*

გ უ ლ ი ს ა თ ე ი ნ ა მ ო ვ ე დ ი ყ ა ნ ი დ ა ნ . . .), რ ა ც ო რ თ ო გ რ ა ფ ი უ ლ ა დ მი უ ლ ე ბ ე ლ ი ა .

დ) -მდე||-მდის: პარალელური ხაზები ამ ფორმათა შორის იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან. ამავე დროს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებულად -მდე ვარიანტი უნდა ჩაითვალოს: **სახლამდე, წყარომდე...** ყველა სხვა ვარიანტი, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში ვლინდება (*მდეს, მდინ, მდი, მდისინ...*), არაკანონიერად (დაუშვებლად) უნდა მივიჩნიოთ.

ე) როდესაც ნათესაობითი ბრუნვის თანდებული ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელებს დაერთვის, ბრუნვის ნიშანი არ უნდა გამოჩნდეს: **ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ...** (და არა: *ჩემსკენ...*).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ვ ფ ი ქ რ ო ბ თ , ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ყ უ რ ა დ ლ ე ბ ი ს მი ქ ც ე ვ ა ა ლ არ სჭირდება იმ შემთხვევებს, როდესაც სახელის ფუძის ბოლოსა და თანდებულის დასაწყისში ერთნაირი თანხმოვნები იყრის თავს და მათი შენარჩუნება აუცილებელია:

თევზ-ზე, ბუზ-ზე, კოვზ-ზე, ხაზ-ზე, კუზ-ზე...

თეფშ-ში, ფარშ-ში, ბალიშ-ში, კომშ-ში...

ბურთ-თან, ნყნეთ-თან, ბარათ-თან, ხუთ-თან...

ვ) ცალკე მდგომი თანდებულები

გარდა შერწყმული თანდებულებისა, ბრუნვის ფორმებს შეიძლება დაერთოს ე. ნ. ცალკე მდგომი თანდებულებიც, ანუ ისეთი თანდებულები, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვად იწერება. ისინი ენაში ძირითადად ზმნიზედებად არის გამოყენებული.

ასეთი თანდებულები უპირატესად ნათესაობით ბრუნვასთან გვხვდება; მაგ.:

მიერ, მიმართ (მომართ), გამო, გარდა, მაგიერ, ნაცვლად, შესახებ, მიხედვით, ქვეშ, ქვევით, ქვემოთ (ქვემოდან), ზევით, ზემოთ (ზემოდან), წინ, წინათ, წინაშე, უკან, შემდეგ (შემდგომ), მერე, გაღმა, გადაღმა, გამოღმა, გარეთ, გარეშე, გარშემო, ირგვლივ, ახლოს, შორიახლოს, მახლობლად, გვერდით, წინააღმდეგ, პირდაპირ, გასწვრივ, ბოლოს, მხრივ, მარცხნივ, მარჯვნივ, აქეთ (აქედან), იქით (იქიდან), მეტი, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, პირას, პირზე, განაპირას, წინააღმდეგ, უმაღ, ძირს...

მიცემითს დაერთვის შუა და შორის თანდებულები: **ქვებ-ს შუა, ნივთებ-ს შორის.**

გასათვალისწინებელია ზოგი ცალკე მდგომი თანდებულის შეხა-

მება ერთგვარ მყარ შესიტყვეებში:

ამას წინათ: როგორც ყოველთვის, ისევ გამახსენდი ამას ნინათ...

ამას გარდა: ... ამას გარდა, ძველი ნაცნობებიც ვინახულე.

მას შემდეგ: რადრო გასულა მას შემდეგ!

მას უკან: მას უკან აღარაფერი გამოვიდა.

პირს უკან: პირს უკან საუბარი რა საკადრისია!

გულს გართ: ესაუბრობდით, მაგრამ გულს გართ მეპასუხებოდა.

ჩემი მხრივ//შენი მხრივ (და არა: ჩემის მხრივ...): მე, ჩემი მხრივ, ხელი დამიბანია ამ საქმეზე!

იქით, აქეთ ნათესაობითს შეეწყობა (მდინარის იქით), მაგრამ გვხვდება მიცემითის ფორმითაც: ცხრა მთას იქით, მას აქეთ, ამას იქით...

ცალკე მდგომ თანდებულთა მართლწერის თვალსაზრისით გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენიმე არსებითი მოთხოვნა:

1. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულთა უმეტესობა შეიძლება შეგვხვდეს I და II პირის ნაცვალსახელებთან: ჩემ, ჩვენ, შენ, თქვენ. ყველა შემთხვევაში ნაცვალსახელი წარმოდგენილი იქნება ბრუნვის ნიშნის გარეშე: ჩემ გარდა, შენ შესახებ, ჩვენ გამო, თქვენ შემდეგ, ჩემ მიერ, თქვენ უკან, ჩვენ შორის, ჩვენ და თქვენ შორის, ჩემ წინაშე...

2. აქეთ, იქით, აქეთკენ, იქითკენ, აქედან, იქიდან (და არა: აქით, იქეთ, იქედან...).

3. გარდა: დაიმახსოვრეთ ორგვარი წყობა: ამხანაგის გარდა და გარდა ამხანაგისა.

4. როდესაც წინა თანდებული გამოიყენება ნინათ, ამას ნინათ, ანუ დროის გაგებით, დაუშვებელია მას შეენაცვლოს უკან თანდებული: ორი კვირის წინ||წინათ (და არა: ორი კვირის უკან).

5. ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ (და არა: ზეით, ზემოდ, ქვეით, ქვემოდ...).

წინათ, გართ, შიგნით (და არა: წინად, წინეთ, გარედ...)

6. ზოგ შემთხვევაში, ცალკე მდგომი თანდებულის დართვის დროს, შესაბამის ფორმას ბრუნვის ნიშანი ეკვეცება და თანდებულის ფუძესთან შერწყმა ხდება. ამგვარად, ერთ სიტყვად შერწყმული ფორმებია: ჭერქვეშ, წყალშუა, ფეხქვეშ, თვალწინ, თავქვეშ, ცხვირწინ, წყალგალმა...

3. საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი

საკუთარი სახელი საზოგადოსაგან იმით განსხვავდება, რომ ის საკუთრივ რომელიმე ერთ ობიექტს მიემართება (ანუ საგანთა საერთო სახელი არ არის); ამიტომაც საკუთარ სახელს, ჩვეულებისამებრ, მრავლობითი რიცხვი არ სჭირდება (გვარის გარდა, რომლის მრავლობითი ერთი გვარის ადამიანთა სიმრავლეს გამოხატავს).

საკუთარ სახელთა სამი ძირითადი ჯგუფი არსებობს: პირთა სახელები (აქვე შემოვა მეტსახელები), გვარები და ადგილთა, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელები (ტოპონიმები). ამას შეიძლება აგრეთვე დავმატოს ცხოველთა შერქმეული სახელები და პლანეტების კერძო სახელწოდებები.

საკუთარ სახელთა ბრუნების საერთო სურათი ისეთივეა, როგორც საზოგადო სახელებისა. თუმცა აღნიშნული ჯგუფების მიხედვით ზოგი ისეთი თავისებურება იჩენს თავს, რომელთაც გამოცალკევებით სჭირდება ყურადღების მიქცევა. კერძოდ:

ა) საკუთარ სახელთა ფუძის საკითხი

საკუთარი სახელის ფუძეც ხმოვანზე ან თანხმოვანზე ბოლოვდება, მაგრამ ამ ფუძეთა ცვლილება (კუმშვა-კვეცა) მთლად იმ წესებს არ მისდევს, რასაც საზოგადო სახელთა ფუძე. ეს ცვლილებები ზემომოთითებულ ჯგუფებზე ყოფილა დამოკიდებული:

პირთა სახელები არც იკუმშებიან და არც იკვეცებიან (*გოჩასი, მათე-სი, ეთერ-ის, ნოდარ-ის...*)

გვარებიც უპირატესად უკუმშველად და უკვეცელად გამოიყენება (*ხოტივარ-ის, ქალდან-ის, ოცხელ-ის... თორია-სი, ბერულავა-სი, ზუხბა-სი...*). მაგრამ: იკუმშება ე ხმოვნის შემცველი ზოგი გვარი: *წერეთლ-ის, მაჩაბლ-ის...*

იკვეცება ძე-ზე დაბოლოებული ყველა გვარი: *ტაბიძ-ის, აბაშიძ-ის, ბერიძ-ის...*

ადგილთა სახელების ფუძე ყველა შესაფერის შემთხვევაში იკვეცება: *ახმეტ-ის, უშბ-ის, უდ-ის, საირმ-ის, ვარციხ-ის, ახალციხ-ის...*

ასევე შეიკუმშება ტოპონიმის ფუძე მაშინ, თუ სხვა რაიმე ხელისშემშლელი პირობა არ არსებობს: *ალაზნ-ის, ავლაბრ-ის, გარდაბნ-ის, იშხნ-ის, მტკვრ-ის, ნილენ-ის, ყვარლ-ის, დიღმ-ის, ივრ-ის, კოჯრ-ის...*

ბ) o ფუძენმოვნიანი საკუთარი სახელები

როგორც ცნობილია, საზოგადო სახელების ფუძე o ხმოვანზე არ ბოლოვდება, რამდენიმე უცხო სიტყვის გარდა (*ტაქსი, ჩაი, ტრამეაი...*).

საკუთარ სახელებში კი მრავლად გვხვდება ისეთი ფუძეები, რომ-

ლებიც სწორედ **o** ხმოვანზე ბოლოვდება. ასეთი სახელების უმეტესობა უცხოური (ძირითადად – ბერძნული) წარმომავლობისაა:

აკაკი, ამბერკი, აღექსი, ამბროსი, არკადი, გენადი, გერონტი, გიორგი, გოდერძი, დიმიტრი, დომენტი, ევგენი, ვახუშტი, ირაკლი, კორნელი, ლავერენტი, ლეონტი, მერი, ნანული, ფატი, სერგი, ტარასი, ტერენტი, ქიშვარდი...

ზოგი **o** ფუძეხმოვნიანი სახელი კი ქართულ წიადაგზე ჩანს ჩამოყალიბებული; ამგვარ ფუძეებში ეს **o**, ჩვეულებისამებრ, მეორე მარცვალს ქმნის:

რათი, დაჩი, დალი, ლალი, ლილი, მეგი, გივი, ბადრი, ქუჯი, ნაზი...

ამგვარი სახელების თანაარსებობა ჩვეულებრივ ფუძეთანხმოვნიან საკუთარ სახელებთან (როგორიცაა, მაგალითად: *ასმათ-ი, ეთერი-ი, თამაზ-ი, მერაბ-ი, გაბრიელ-ი, გრიგოლ-ი, უშანგი-ი, როსტომ-ი, ფრიდონ-ი...*) ინვეეს მათ აღრევას და ისეთი არასწორი ფორმების წარმოქმნას, როგორიცაა, ერთი მხრივ: *ტარას-მა, ქიშვარდ-მა...*, მეორე მხრივ: *ეთერი-მ, მერაბი-ს-თან, თამაზი-სა-ვით, მერაბი...*

თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ ამ ორი ტიპის ფუძის ბრუნება:

| | |
|------------------|--------------------|
| <i>გრიგოლ-ი</i> | <i>გიორგი</i> |
| <i>გრიგოლ-მა</i> | <i>გიორგი-მ</i> |
| <i>გრიგოლ-ს</i> | <i>გიორგი-ს</i> |
| <i>გრიგოლ-ის</i> | <i>გიორგი-ს(ა)</i> |
| <i>გრიგოლ-ით</i> | <i>გიორგი-თ(ო)</i> |
| <i>გრიგოლ-ად</i> | <i>გიორგი-დ</i> |
| <i>გრიგოლ</i> | <i>გიორგი</i> |

განსაკუთრებით ხშირია მეორე სახის დარღვევები, ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძის ნაწილად არის მიჩნეული და შესაბამისი სახელი **o** ფუძეხმოვნიანებში არის გადარიცხული: *ანზორი-მ, ბეჟანი-მ, უშანგი-მ...* (ეს უკანასკნელი თითქმის მთლიანად ფუძეხმოვნიანებს მიეკედლა!).

აღნიშნული აღრევები ძირითადად სხვადასხვაგვარ ზეპირმეტყველებით (კუთხურ, ჟარგონულ...) ჩვევებზეა დამყარებული და ამიტომაც მათი კონტროლი საკმაოდ ძნელია; მით უმეტეს, სიმრავლის გამო ყველა სახელის დამახსოვრება შეუძლებელია. ამიტომაც რაიმე საკონტროლო ხერხის მოძებნაა საჭირო.

როგორ შევამოწმოთ:

თუკი რომელიმე ამგვარ საკუთარ სახელში გვეუჭვება, ბოლოკიდურა o ფუძის ნაწილია თუ სახელობითი ბრუნვის ნიშანი, შეგვიძლია

ის ისე ჩავსვავთ მოთხრობით ბრუნაში, როგორც ფუძეხმოვიანი (მაგალითად: თამაზი-მ, აკაკი-მ). თუ შესაძლებელი აღმოჩნდა, რომ შესაბამის ფორმას ფუძეთანხმოვნის ვარიანტი თავისუფლად ჩაენაცვლა (მაგ.: თამაზ-მა), მაშინ ეს უკანასკნელი ყოფილა მართებული ფორმა; ხოლო თუ ეს შეუძლებელი (არაბუნებრივი) აღმოჩნდა (მაგ. აკაკი-მა), მაშინ მისი ფუძეხმოვნის ნობა უეჭველია.

შენიშვნა: **o** ხმოვანი ფუძის ნაწილია და ქართულში ასეც უნდა გამოვიყენოთ არაერთი უცხოური გვარი (ან ფსევდონიმი) და ადგილის სახელი:

ბოტიჩელი, როდარი, ფელინი, მაძინი, ბელინსკი, გორკი, დოსტოვესკი, ჟუკოვსკი, კორჩნოი, ტოლსტოი, მიაკოვსკი, ჩაიკოვსკი...

დელი (დელი-ში), ტრიპოლი (ტრიპოლი-მდე), დეტროიტი, ტოლიატი, შანხაი, დუბაი, დუნაი...

გ) საკუთარ სახელთა წოდებითი

რამდენადაც საკუთარ სახელთა შემომითითებული ჯგუფები წოდებით ბრუნვას ერთგვარად არ იწარმოებენ, საჭიროა მათი ცალ-ცალკე ჩვენება:

პირთა სახელები წოდებითის ნიშანს საერთოდ არ დაირთავენ:

მერაბ! ზურაბ! ნოდარ! დავით! ანა! ვაჩე! ელენე! ზაქრო! დაჩი! რატი!...

გვარები ფუძის მიხედვით განირჩევიან:

ფუძეხმოვნის გვარები ნიშანს არ დაირთავენ: *ლეონიდე! ბრეგვაძე! ცანავა! პერტაია! ბუთბა!..*

ფუძეთანხმოვნიან გვარებს კი -**o** ნიშანი დაერთვის: *შატბერაშვილ-ო! დორეულ-ო! დადიან-ო! მაჩაბელ-ო! ჟღენტ-ო!..*

ადგილთა სახელები ისევე დაირთავენ წოდებითი ბრუნვის ნიშანს, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო სახელები:

*თბილის-ო! ქუთაის-ო! მტკვარ-ო! მეტეხ-ო! გორ-ო!..
მთაწმინდა-ვ! ნარიყალა-ვ! მცხეთა-ვ! აბაშა-ვ!..*

(შენიშვნა: დასაშვებად ითვლება ფუძეხმოვნის ნობა უბრუნვის ნიშნოდ გამოყენებაც: *მთაწმინდა! მცხეთა!*)

დ) გვარ-სახელის ერთად გამოყენება

პიროვნების დასახელების დროს ბუნებრივი ნყობაა – სახელი და გვარი: **გრიგოლ ორბელიანი, გიორგი წერეთელი...** მაგრამ სიების შედგენა (ანბანზე განყობა), სხვადასხვა საბუთის გაფორმება ხშირად

მოითხოვს შებრუნებულ წყობას – გვარი და სახელი: **ორბელიანი გრიგოლ, წერეთელი გიორგი...**

ბრუნებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: თუ სახელი უსწრებს გვარს, სახელი უცვლელი (ფუძის სახით) რჩება, გვარი კი იბრუნება, ხოლო თუ გვარი უსწრებს სახელს, ორივე მათგანი იბრუნება. ოღონდ ორსავე შემთხვევაში სახელობითი და წოდებითი ფუძის სახით (ბრუნვის ნიშნის გარეშე) იქნება წარმოდგენილი. შეადარეთ:

| | |
|-------------------|--------------------------|
| გრიგოლ ორბელიანი | წერეთელ-ი გიორგი (ზურაბ) |
| გრიგოლ ორბელიანმა | წერეთელ-მა გიორგი-მ |
| გრიგოლ ორბელიანს | წერეთელ-ს გიორგი-ს |
| გრიგოლ ორბელიანის | წერეთელ-ის გიორგი-ს (ი) |
| გრიგოლ ორბელიანით | წერეთელ-ით გიორგი-თ(ი) |
| გრიგოლ ორბელიანად | წერეთელ-ად გიორგი-დ |
| გრიგოლ ორბელიანო | წერეთელ-ო გიორგი |

შენიშვნა: შეიძლება გვარ-სახელს ახლდეს მამის სახელი. ის ყოველთვის უშუალოდ მოსდევს პირის სახელს, რა ადგილიც არ უნდა ეკავოს ამ უკანასკნელს: *გრიგოლ ზურაბის ძე ორბელიანი, ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე.*

მამის სახელის თანმხლები ძე და ასული სიტყვები, ჩვეულებებისამებრ, დამოუკიდებლად (უდუფისოდ) იწერება.

4. რიცხვითი სახელების მართლწერა

რიცხვითი სახელი სამი სახისაა: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. რიგობითის წარმოება რაოდენობითზეა დამოკიდებული, წილობითისა – რიგობითზე. ამდენად, ამოსავალი რაოდენობითი რიცხვითი სახელია, ამიტომაც პირველ რიგში მისი აგებულება და მართლწერის წესები უნდა გავითვალისწინოთ.

ა) **რაოდენობით რიცხვით სახელთა უმეტესობა წარმოშობით რთულფუძიანია** (რამდენიმე კომპონენტის შერწყმით არის მიღებული), მაგრამ მათი დანერილობა ერთგვაროვანი არ არის: რიცხვით სახელთა ნაწილი შერწყმულად იწერება, ნაწილი კი – დამოუკიდებელი სიტყვების სახით. უნდა დავიმახსოვროთ:

- ერთად იწერება: ყველა რიცხვითი სახელი *ერთიდან ასის ჩავლით*; აგრეთვე – ასეულთა სახელები (*ორასი, სამასი, ოთხასი... ათასი*), *მილიონი, მილიარდი.*

- ცალ-ცალკე იწერება: ყველა დანარჩენი რიცხვითი სახე-

ლი (ას ოცდახუთი, ორი ათასი, ათი ათასი, თხუთეტი ათას ხუთას ოცდახუთი...).

რიცხვითი სახელი ბრუნებისას რაიმე განსაკუთრებულ თავისებულებას არ ამჟღავნებს; დამოუკიდებლად ისევე იბრუნება, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ხოლო არსებით სახელთან ერთად – როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად (იხ. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება).

ამავე დროს, ბრუნებისას განსხვავება იჩენს თავს მაშინ, როცა რთული შედგენილობის რიცხვითი სახელის შემადგენლობაში ათასი და მილიონი კომპონენტები მონაწილეობს. შეადარეთ:

| | | | |
|-------------------|--------------|----------------------|--------------|
| <i>ორი ათასი</i> | <i>კაცი</i> | <i>ორი მილიონი</i> | <i>კაცი</i> |
| <i>ორი ათასმა</i> | <i>კაცმა</i> | <i>ორმა მილიონმა</i> | <i>კაცმა</i> |
| <i>ორი ათას</i> | <i>კაცს</i> | <i>ორ მილიონ</i> | <i>კაცს</i> |
| <i>ორი ათასი</i> | <i>კაცის</i> | <i>ორი მილიონი</i> | <i>კაცის</i> |
| <i>ორი ათასი</i> | <i>კაცით</i> | <i>ორი მილიონი</i> | <i>კაცით</i> |
| <i>ორი ათას</i> | <i>კაცად</i> | <i>ორ მილიონ</i> | <i>კაცად</i> |
| <i>ორი ათასო</i> | <i>კაცო</i> | <i>ორო მილიონო</i> | <i>კაცო</i> |

საზოგადოდ კი პირველი შემთხვევაა გაბატონებული; ის ჩვეულებრივია იმ შემთხვევაშიც, როცა შესაბამისი რიცხვითი სახელი სამი და მეტი დამოუკიდებელი კომპონენტისაგან შედგება; ამ შემთხვევაშიც იცვლება (იბრუნება) მხოლოდ ბოლო კომპონენტი:

ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი
ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა კაცმა
ორი მილიონ ხუთასი ათას სამასს კაცს
ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცის
ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცით
ორი მილიონ ხუთასი ათას სამასს კაცად
ორი მილიონ ხუთასი ათას სამასო კაცო

შენიშვნა: რაოდენობით რიცხვით სახელთა მართლწერის რამდენიმე კერძო შემთხვევა:

თხუთმეტი (და არა: *თუთხმეტი*, *ხუთმეტი*)

ჩვიდმეტი (და არა: *შვიდმეტი*)

თვრამეტი (და არა: *თრვამეტი*)

ბ) რიცხვითი რიცხვითი სახელი მიიღება რაოდენობითის ფუძეზე მე-ე თავსართ-ბოლოსართის დართვით (*მე-ხუთ-ე*, *მე-ათას-ე...*). მაგრამ წარმოთქმისა და დანერვილობის სხვაობა იჩენს თავს იმის გამო, რომ რთულფუძიან რიცხვით სახელებში მე-ე თავსართ-ბოლოსართი დაერთვის მხოლოდ ბოლო კომპონენტს (ბოლო რიცხვის გამომხატველ სიტყვას). ამგვარად:

1. მე- თავშივე დაერთვის რიცხვით სახელებს: ერთიდან ოცის ჩათვლით (მე-ორ-ე, მე-თორმეტ-ე, მე-ოც-ე), ორმოცს, სამოცს, ოთხმოცს, ასს, ასეულთა სახელებს (მე-ორას-ე, მე-შვიდას-ე, მე-ათას-ე), ათასეულთა სახელებს (მე-სამიათას-ე... მე-ათიათას-ე), მილიონს (მე-მილიონ-ე)...

2. მე- თავსართი ბოლო კომპონენტის წინ დაერთვის ყველა დანარჩენ რთულფუძიან რიცხვით სახელს: ოცდა-მე-ორ-ე, ორმოცდა-მე-ჩვიდმეტ-ე, ას-მე-შვიდ-ე, ათას-მე-თხუთმეტ-ე...

შენიშვნა: რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელი რიგობით რიცხვით სახელად გარდაქცევისას დაინერება შერწყმულად: ასორმოცდამეათე, ცხრაასმეჩვიდმეტე...

გამონაკლისი: ერთის რიგობითი ფორმაა პირველი (და არა - მეერთე), მაგრამ რთულ ფუძეში: ოცდამეერთე, ასმეერთე... (და არა - ასპირველი...).

როგორც ცნობილია, რაოდენობითი რიცხვითი სახელების გადმოსაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომაული ან არაბული ციფრები:

1. რომაული ციფრების გამოყენებისას ყოველგვარი თავსართ-ბოლოსართი ზედმეტია, ვინაიდან ციფრების ეს სახეობა თვითონ გამოხატავს რიგობითობას:

V (მეხუთე), X (მეათე), XV (მეთხუთმეტე), XXIV (ოცდამეოთხე), XXXI (ოცდამეთერთმეტე)...

2. თუ რიგობითი შინაარსის გადმოსაცემად არაბულ ციფრებს გამოვიყენებთ, მასთან შესაბამისი (მე-ე) თავსართ-ბოლოსართისაგან უნდა შევინარჩუნოთ ერთ-ერთი:

- მე-ე თავსართ-ბოლოსართის დართვის ზემომითითებულ პირველ შემთხვევაში არაბულ ციფრს დაერთვის მხოლოდ თავსართი (დაიკარგება ბოლოსართი): მე-2, მე-15, მე-40, მე-100...

შენიშვნა: პირველი არაბული ციფრით ამგვარად გამოიხატება: 1-ლი

- მეორე შემთხვევაში კი, როცა მე- თავსართი ფუძის შიგნით არის მოქცეული, შესაბამის ციფრს დაერთვის -ე ბოლოსართი (დაიკარგება თავსართი):

22-ე, 57-ე, 107-ე, 10015-ე...

*როგორ შევამოწმოთ ეს უკანასკნელი განაწილება და-
ნერილობისა?*

*ცხადია, შესაბამისი რიცხვითი სახელის ზეპირი გამოთქმის
მიხედვით (ძნელი წარმოსადგენია, მექანიკური ნაცდენის გარდა,
ვინმეს მეორე მოცდა ჩვიდმეტე ფორმა ჰქონდეს სამეტყვე-
ლო ჩვევად).*

გ) რაც შეეხება წილობით რიცხვით სახელებს, აქ ნაკლებ არის სა-
ორჭოფო შემთხვევები. ორიოდე მითითება არსებობს:

1. **შეორედი** ფორმა არ გამოიყენება, ამ შინაარსს შეესაბამება **ნა-
ხევარი** (მეერთედი ფორმა თავისთავად აზრობრივად არის „აკრძა-
ლული“).

შენიშვნა: **ნახევარი** სხვა სიტყვებთან ერთად დეფისით ინ-
ერება: *ორ-ნახევარი, ცხრა-ნახევარი, სამ ლარ-ნახევარი...*

2. ფორმა **შეორადი** (შესიტყვებებში **მეორადი ფაკულტუტი**,
მეორადი ნედლეული) წარმოების მხრივ უმართებულოა, ამიტო-
მაც მის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ **შეორეული**.

*გავითვალისწინოთ: შეიძლება ციფრებით გამოხატულ რი-
გობით და წილობით რიცხვით სახელებს ბრუნვის ნიშნები
და თანდებულები დაერთოს. ამ შემთხვევაში გამოიყენება
დეფისი: პეტრე I-ის, ვახტანგ VI-მ, მე-5-ზე... გამოწაკლისია
ის შემთხვევები, როცა რიცხვს ბოლოსართი დაერთვის: 25-
ეში, 22-ესთან...*

5. ნაცვალსახელთა მართლწერის საკითხები

ნაცვალსახელები სახელებს შორის გამოირჩევიან თავიანთი ფორ-
მანარმოების (ბრუნებისა და რიცხვის წარმოების) სირთულითა და
არაერთგვაროვნებით. ამიტომაც აქ რამდენიმე განსხვავებულ სა-
კითხს უნდა მიექცეს ყურადღება:

ა) შისი და თავისი

ამ ორი კუთვნილებითი ნაცვალსახელის აღრევა იშვიათი არ არის.
მაგალითად, შევხვდებით ამგვარ წინადადებას:

დედამისი შვილი სკოლაში წაიყვანა.

მაგრამ გაუგებარი რჩება, ვის შვილზეა აქ საუბარი – საკუთარ-
სათუხვის შვილზე.

ორივე დასახელებული ნაცვალსახელი მესამე პირის (ის, მან, მას...) კუთვნილებას გამოხატავს, მაგრამ სხვადასხვაგვარ ვითარებაში:

თუ ობიექტი (კუთვნილების საგანი) ზმნით გამოხატული მოქმედების სუბიექტს ეკუთვნის, ანუ სუბიექტის საკუთარს გულისხმობს, მაშინ უნდა გამოვიყენოთ **თავისი** ნაცვალსახელი:

დედამ თავისი შვილი სკოლაში წაიყვანა.

ხოლო თუ ობიექტი სხვისი კუთვნილებაა და არა სუბიექტის, მაშინ მისი ნაცვალსახელი იქნება შესაფერისი; ანუ – *დედამ მისი შვილი სკოლაში წაიყვანა*, – იმას ნიშნავს, რომ მას სხვისი შვილი წაუყვანია.

როგორ შევამოწმოთ:

უმრავლეს შემთხვევაში ეფექტურია შემდეგი ხერხი:

საორჯოფო ნაცვალსახელს (მისი თუ თავისი) ჩავუნაცვლოთ სხვისი და, თუ ის შეუფერებელი აღმოჩნდა, თავისი უნდა გამოვიყენოთ, თუ არა – მისი. ამ მიზნით საკუთარი ზედსართავი სახელის გამოყენებაც შეიძლება. სხვათა შორის, მას არცთუ იშვიათად თავისი ნაცვალსახელის ნაცვლად სვამენ წინადადებაში.

შენიშვნა: ასევე დარღვევად ითვლება თავისი ნაცვალსახელის გამოყენება I-II პირის (*ჩემი, შენი*) ნაცვალსახელების ნაცვლად. მაგ.: ... *შენ შენი იცოდე და მე ჩემს გზას ვეწევი (და არა: შენ თავისი იცოდე და მე თავის გზას ვეწევი).*

ბ) თავისი და თავიანთი

რაკი თავისი ნაცვალსახელის ფუნქცია უკვე გაირკვა, მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ფორმა ერთსა და იმავე როლს ასრულებს, ოღონდაც ისინი სუბიექტის განსხვავებულ რიცხვს შეესაბამება:

თუ სუბიექტი მხოლოდითშია, თავისი ნაცვალსახელი შეეფერება:
ქიტესამ თავისი ნახირი დილით ადრე გარეკა.

ხოლო თუ სუბიექტი მრავლობითშია (ან – რამდენიმეა), გამოიყენება თავიანთი:

ქიტესამ და თედომ თავიანთი ნახირი დილით ადრე გარეკეს.

მწყემსებმა თავიანთი ნახირი დილით ადრე გარეკეს.

შენიშვნა: 1. კუთხურია და შეცდომაა თავიანთი!

2. თუ სუბიექტი კრებითი სახელი ან მრავლის გამომხატველი ნაცვალსახელია, მასთანაც თავისი ნაცვალსახელი გამოიყენება

ხალხმა თავისი ... გარეკა.

ყველამ თავისი ... გარეკა.

| | | | | | |
|--------------|-----------|-----------|--------------|--------------|--------------|
| გ) ეს | ეგ | ის | ესენი | ეგენი | ისინი |
| ამან | მაგან | იმან | ამათ | მაგათ | იმათ |
| ამას | მაგას | იმას | ამათ | მაგათ | იმათ |
| ამის | მაგის | იმის | | | და სხვ. |

ჩვენებითი ნაცვალსახელების მხოლოდ ეს ფორმებია მხოლოდით-სა და მრავლობითში კანონიერი სალიტერატურო ქართულ მეტყველებ-ბაში. ამიტომაც უნიგნურობის პირდაპირი გამოხატულებაა მათ ნა-ცვლად ისეთი კუთხური ფორმების გამოყენება, როგორიცაა: აგი, მაგი (რა სათქმელია), ამათმა, მაგათმა, იმათმა, მათმა (დანერეს), ამგენმა, იმგენმა (მოიტანეს), მაგენის, მაგენით და მისთ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : მათმა, მაგათმა, ცხადია, ბუნებრივია, როცა ისინი კუთვნილებითი ნაცვალსახელება:

მათმა მეგობრებმა მოიყვანეს.

მაგათმა იღბალმა აჯობა...

დ) ჩემს, შენს... მათს

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვე-ნი, მათი, ჩვეულებისამებრ, შესაბამის არსებით სახელთან ერთად გამოიყენება და ისევე შეეწყობა მას, როგორც მსაზღვრელი; მაგრამ მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში თავისებურებას იჩენს – აუცი-ლებლად მიცემითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს:

ჩემ-ს მეგობარ-ს (და არა – ჩემ მეგობარს)

ჩვენ-ს მეგობარ-ს (და არა – ჩვენ მეგობარს)

შენ-ს ძმა-ს (და არა – შენ ძმას)

თქვენ-ს ძმა-ს (და არა – თქვენ ძმას)

მათ-ს ეზო-ს (და არა – მათ ეზოს)

ასევე: ჩემ-ს მეგობრ-ად (და არა – ჩემ მეგობრად)

შენ-ს ძმა-დ (და არა – შენ ძმად)

მათ-ს ეზო-დ (და არა – მათ ეზოდ)

შ ე ნ ი შ ე ნ ა : მესამე პირის მხოლოდობითში მოსალოდნელი იყო მის-ს (ძმა-ს), მაგრამ ბრუნვის ნიშნის დაკარგვა აქ ორი ს-ს შეხვე-დრას უნდა მივანეროთ.

ე) თითოეული

დასტურდება ამ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის სამი ვარიან-ტი: **თითოეული**, **თჯოთეული** და **თჯოთოეული**. მათგან სალიტერატუ-რო ნორმად მიჩნეულია მხოლოდ პირველი – **თითოეული**.

ვ) ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი

პირის ნაცვალსახელებზე -გან თანდებულის დართვით წარმოიქმნება შესაბამისი ზედსართავი სახელები:

| | | |
|----------|---------------|-----------|
| ჩვენგან | ერთ-ერთი არის | ჩვენგანი |
| თქვენგან | ----- | თქვენგანი |
| მათგან | ----- | მათგანი |

მაგრამ ამ ზედსართავთა გამოყენების დროს დასტურდება მცდარი ფორმები: ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, მათთაგანი (უფრო იშვიათად). ამ ფორმებში მრავლობითის -თა ნიშნის გაჩენა სრულიად უმართებულოა იმის გამო, რომ თვით ნაცვალსახელები (ჩვენ, თქვენ, მათ) გამოხატავენ მრავლობითს.

ამიტომაც არასწორია: რომელი თქვენთაგანი გამოვა დაფასთან?

ზ) ვინ და რა

ვინ და რა კითხვით ნაცვალსახელებს მრავლობითის ფორმები არ ეწარმოება (რა ნაცვალსახელს მხოლოდ სახელობითში აქვს წარიანი ფორმა: რანი, ისიც იშვიათად). ამიტომაც მცდარია კუთხური ფორმები: ვინ-ებ-ი, რა-ებ-ი.

ნაცვალსახელთა მითითებული ბუნებიდან გამომდინარე, მათ ზმნებიც მხოლობითის ფორმით შეეწყობა (ოღონდ ფუძის მონაცვლეობა კი აისახება შეწყობისას); მაგალითად:

ვინ გამოჩნდა? (იგულისხმება: ცხენოსნები გამოჩნდნენ).

ვინ ითამაშა ფეხბურთი?

ვინ იყო ექსკურსიაზე?

რა მისცვივდა წყალს? (იგულისხმება: ცხვრები მისცვივდნენ; რა-ს მრავლობით შინაარსს ზმნის ფუძის ცვალებადობა მიგვანიშნებს)

შენიშვნა: 1. გამონაკლისია ამ ზმნის ანწყოს ფორმა, რომელიც მრავლობითის ფორმითაც დასტურდება: ვინ არის // ვინ არიან.

2. რაკი ამ ნაცვალსახელებს მრავლობითი არ გააჩნია, ენას მათი გამეორების ხერხიც გამოუყენებია შესაფერისი შინაარსის გამოსახატავად. უთუოდ შეგხვდებათ - ვინ და ვინ, რა და რა:

ვინ და ვინ გყავთ დაპატიჟებული?

რა და რა ხეხილი იცის აქ?

თ) ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება

დროთა განმავლობაში სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებს დართვია -*მე*, -*ვე*, -*ლა* და -*ლაც(ა)* ნაწილაკები; ამის შედეგად ახალი - განუსაზღვრელობითი - ნაცვალსახელებიც წარმოქმნილა (ვინმე, რაღაცა და მისთ.).

რაც მთავარია, ნაწილაკების დართვა უფრო ართულებს იმ სურათს, რაც ნაცვალსახელთა ბრუნების დროს იყო წარმოდგენილი. თუ ადრე ნაწილაკები პირდაპირ ბრუნვის ფორმას დაერთვოდა, შემდეგ ისინი უშუალოდ ფუძეს მიეკედლნენ და ბრუნვის ნიშნები კი გათიშეს. ამან გამოიწვია ორ და სამნაირი პარალელური ფორმების გაჩენა (ვილას, ვისლა და ვისლას; რასმე, რამეს და რასმეს და მისთ.).

თანამედროვე ქართულში გაბატონებულია (ნორმატიულია) ე. წ. შეხორცებული სახეობა, ანუ ის ვარიანტი, რომელიც ნაწილაკს უშუალოდ ფუძესთან წარმოგვიდგენს:

| | | | |
|------------------|-----------------------|----------------------|---------------------|
| <i>ვინმე</i> | <i>რამე</i> | <i>რამდენიმე</i> | <i>რომელიმე</i> |
| <i>ვინმემ</i> | <i>რამემ</i> | <i>რამდენიმემ</i> | <i>რომელიმემ</i> |
| <i>ვინმეს</i> | <i>რამეს</i> | <i>რამდენიმეს</i> | <i>რომელიმეს</i> |
| <i>ვინმეს(ი)</i> | <i>რამისი რამესი</i> | <i>რამდენიმეს(ი)</i> | <i>რომელიმეს(ი)</i> |
| <i>ვინმეთი</i> | <i>რამითი რამეთი</i> | <i>რამდენიმეთი</i> | <i>რომელიმეთი</i> |
| <i>ვინმედ</i> | <i>რამედ</i> | <i>რამდენიმედ</i> | <i>რომელიმედ</i> |

| | | | |
|--------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| <i>ვილა ვინლა</i> | <i>რალა</i> | <i>ვილაცა</i> | <i>რალაცა</i> |
| <i>ვილამ</i> | <i>რალამ</i> | <i>ვილაცამ</i> | <i>რალაცამ</i> |
| <i>ვილას</i> | <i>რალას</i> | <i>ვილაცას</i> | <i>რალაცას</i> |
| <i>ვილას(ი)</i> | <i>რალას(ი)</i> | <i>ვილაციის</i> | <i>რალაციის</i> |
| <i>ვილათი</i> | <i>რალათი</i> | <i>ვილაციით</i> | <i>რალაციით</i> |
| <i>ვილად</i> | <i>რალად</i> | <i>ვილაცად</i> | <i>რალაცად</i> |

შენიშვნა: როცა ვილაცა, რალაცა ნაცვალსახელები მრავლობითში დაისმის, უნდა გამოვიყენოთ ვილაცებო, რალაცებო, ვილაცებმა, რალაცებმა... (და არა: ვილაცეები, რალაცეები...).

დასტურდება აგრეთვე ვილაც-ვილაცებო, რალაც-რალაცებო (და არა ვილაც-ვილაცეები, რალაც-რალაცეები...)

განსაკუთრებული შეცდომების წყაროა იგივე და ერთი და იგივე ნაცვალსახელთა ბრუნება (დამოუკიდებლად და არსებითთან ერთად), ვინაიდან ნაწილაკების დართვას ამ შემთხვევაში ფუძის ცვალებადობაც ემატება:

| | | | |
|----------------------|----------------------------|-------------------------|---------------|
| <i>იგივე</i> | <i>ერთი და იგივე</i> | <i>ერთი და იგივე</i> | <i>ნიგნი</i> |
| <i>იმანვე მანვე</i> | <i>ერთმა და იმავემ</i> | <i>ერთმა და იმავე</i> | <i>ნიგნმა</i> |
| <i>იმასვე მასვე</i> | <i>ერთსა და იმავეს</i> | <i>ერთსა და იმავე</i> | <i>ნიგნს</i> |
| <i>იმისვე მისვე</i> | <i>ერთისა და იმავეს(ი)</i> | <i>ერთისა და იმავე</i> | <i>ნიგნის</i> |
| <i>იმითვე მითვე</i> | <i>ერთითა და იმავეთი</i> | <i>ერთითა და იმავე</i> | <i>ნიგნით</i> |
| <i>იმაღვე მაღვე</i> | <i>ერთ(სა) და იმავედ</i> | <i>ერთ(სა) და იმავე</i> | <i>ნიგნად</i> |

შენიშვნა: 1. თუ მსაზღვრელად მხოლოდ **იგივე** გვაქვს, ზუსტად შენარჩუნდება ის სურათი, რომელიც ბოლო ორ სვეტში ჩანს: **იგივე ნიგნი, იმავე ნიგნმა და ა.შ.**

2. -გე ნაწილაკი რიცხვით სახელებსაც დაერთვის. ამ შემთხვევაში სურათი იგივეა, რაც ნაცვალსახელთა შეხორცებულ სახეობებში იყო წარმოდგენილი: **ორივე, ორივემ, ორივეს, ორივეს(ი), ორივეთი, ორივედ; ორივე ძმა, ორივე ძმამ, ორივე ძმის... ორივე შემთხვევაში...**

3. მსაზღვრელად გამოყენებისას ყველა ჩამოთვლილნაწილაკიანი სახელი უცვლელი იქნება (გარდა მითითებული ფუძემონაცვლე ნაცვალსახელისა **იგივე**), როგორც ეს ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს შეეფერება:

| | | | | | |
|-------------|----------------|--------------|--------------|--------------|-------------|
| <i>რალა</i> | <i>კითხვა</i> | <i>ვინმე</i> | <i>კაცი</i> | <i>ორივე</i> | <i>ძმა</i> |
| <i>რალა</i> | <i>კითხვამ</i> | <i>ვინმე</i> | <i>კაცმა</i> | <i>ორივე</i> | <i>ძმამ</i> |
| <i>რალა</i> | <i>კითხვას</i> | <i>ვინმე</i> | <i>კაცს</i> | <i>ორივე</i> | <i>ძმას</i> |
| | | | | | |

**როცა სახელები ერთად იყრიან თავს
(მსაზღვრელ-საზღვრულის მართლწერა)**

სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) შეიძლება წინადადებაში, ფრაზაში ერთად, ერთ ნწყილში აღმოჩნდნენ. კერძოდ, შეიძლება არსებითი სახელი არსებით სახელს დაუნწყვილდეს, ზედსართავი – არსებითს ან ნაცვალსახელს, რიცხვითი – არსებითს ან ნაცვალსახელს, ნაცვალსახელი – არსებითს... როცა ორი (ან მეტი) სახელი ერთად იყრის თავს, მათ, ჩვეულებისამებრ, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა აქვთ; ანუ: ერთ-ერთი მათგანი (მსაზღვრელი) რაღაც ნიშნით (რაოდენობა, თვისება, კუთვნილება...) განსაზღვრავს, ახასიათებს მეორეს (საზღვრულს): **ორი ნიგნი, მალაღი ხე, თეთრი დაფა, მისი ჩანთა...**

ამგვარი მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად გამოყენების შემთხვევაში მსაზღვრელი, წესისამებრ, ანგარიშს უწევს საზღვრულის ბრუნებასა თუ რიცხვის წარმოებას, ანუ რაღაც ფორმით შეეთანხმება მას. ასე ყალიბდება ენაში სახელთა (მსაზღვრელ-საზღვრულის) ერთად გამოყენების წესები, რომლებიც ბრუნებისა და რიცხვის წარმოების მიხედვით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

1. სახელების (მსაზღვრელ-საზღვრულის) ერთად ბრუნება*

როცა მსაზღვრელი სახელი საზღვრულთან ერთად იბრუნება, არსებითი მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, იმას, ფუძეთანხმოვნიაანი მსაზღვრელი თუ ფუძეხმოვნიაანი, მეორეც – რა პოზიცია უკავია მსაზღვრელს საზღვრულის მიმართ, უსწრებს თუ მოსდევს მას. ამის მიხედვით მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების მთელ სურათს წარმოაჩენს ოთხი ძირითადი ვარიანტი:

- ფუძეთანხმოვნიაანი მსაზღვრელი წინა პოზიციაში
(*დიდი მინდორი*);
- ფუძეთანხმოვნიაანი მსაზღვრელი მომდევნო პოზიციაში
(*მინდორი დიდი*);
- ფუძეხმოვნიაანი მსაზღვრელი წინა პოზიციაში (*პატარა ბურთი*);
- ფუძეხმოვნიაანი მსაზღვრელი მომდევნო პოზიციაში
(*ბურთი პატარა*).

შენიშვნა: მსაზღვრელი საზღვრულის მომდევნო პოზიციაში თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით არცთუ ბუნებრივად გამოიყურება, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებელია იმის გამო, რომ მხატვრულ ლიტერატურაში (ძირითადად – პოეზიაში) ასეთი ნყობა იშვიათი არ არის (*„მთანი მაღალნი“, „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი, სინმინდის მაღლით დაჰშვენებოდა“...*).

რაც შეეხება მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმებას საზღვრულთან, მას მითითებული ოთხი ვარიანტის სრული სურათი უკეთ წარმოაჩენს:

* ვინაიდან რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელების განხილვის დროს შესაბამის პოზიციაში მათს გამოყენებაზეც იყო საუბარი, ეკონომიის მიზნით აქ მხოლოდ ზედსართავი (და არსებითი) სახელების მსაზღვრელის როლში გამოყენების ტიპობრივ შემთხვევები იქნება ნაჩვენები.

| | წინმდგომი მსაზღვრელი | | მომდევნო მსაზღვრელი | |
|-----------------------|--|---|---|--|
| ფუძეთან- ხმოვნიანი | დიდი დიდმა დიდ დიდი დიდი დიდ დიდო | მინდორი მინდორმა მინდორს მინდვრის მინდვრით მინდვრად მინდორო | მინდორი მინდორმა მინდორს მინდვრის მინდვრით მინდვრად მინდორო | დიდი დიდმა დიდს დიდის დიდით დიდად დიდო |
| ფუძე- ხმოვნიანი | პატარა პატარა პატარა პატარა პატარა პატარა პატარა | ბურთი ბურთმა ბურთს ბურთის ბურთით ბურთად ბურთო | ბურთი ბურთმა ბურთს ბურთის ბურთით ბურთად ბურთო | პატარა პატარამ პატარას პატარის პატარით პატარად პატარავ |

ამრიგად, მითითებული ოთხი პოზიციიდან მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების სამი ძირითადი ვარიანტი გამოვლინდა:

- ა) თუ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ის სრულად იბრუნება, ანუ სრულად შეეთანხმება წინამავალ სახელს (იხ. მარჯვენა ორივე პოზიცია);
- ბ) თუ წინამავალი მსაზღვრელი ფუძეთანხმოვნია, ის ნაწილობრივ იბრუნვის (მარცხენა ზედა პოზიცია);
- გ) თუ წინამავალი მსაზღვრელი ფუძეხმოვნია, ის სრულებით არ იცვლის ფორმას, ანუ არ იბრუნება (მარცხენა ქვედა პოზიცია).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების ამ წესიდან, თუ კუთვნილებით ნაცვალსახელთა უკვე მითითებულ თავისებურებას (*ჩემს მეგობარს*) არ მივიღებთ მხედველობაში, ერთადერთი გამონაკლისი არსებობს: პროფესიისა და ნოდების აღმნიშვნელი მსაზღვრელი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში ასევე ფუძის სახით არის გავრცელებული: **გენერალ ლესელიძის / ლესელიძით პროფესორ კიკნაძის / კიკნაძით**

ნათესაობით ბრუნვითი მსაზღვრელი: ცალკე დგას მსაზღვრელთა ერთი ტიპი, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა საზღვრულს. ასეთი მსაზღვრელი ძირითადად არსებითი სახელით არის გამოხატული (ამიტომაც უნოდებენ მას სუბსტანტიურ

მსაზღვრელს) და ის რაიმეს კუთვნილებას (*ძმის სახლი*) ან რაიმეს მასალას (*ხის სახლი*) აღნიშნავს.

ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი თითქმის ისევე იქცევა, როგორც ეს ფუძეხმოვიან მსაზღვრელებთან იყო წარმოდგენილი: წინმდგომი მსაზღვრელი ფუძის სახით, უცვლელად შეეწყობა საზღვრულს, ხოლო მომდევნო ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელის გავრცობილი ფორმა (*წიგნი ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა*) ისევე იბრუნვის, როგორც საზღვრული, ოღონდაც მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმით დარჩება; თანაც მსაზღვრულ-საზღვრული ამ წყობით ნათესაობითსა და მოქმედებითში თითქმის არ გამოიყენება. შესაბამისი ნიმუშები:

| | |
|-------------------|---------------------|
| <i>ხის სახლი</i> | <i>სახლი ხისა</i> |
| <i>ხის სახლმა</i> | <i>სახლმა ხისამ</i> |
| <i>ხის სახლს</i> | <i>სახლს ხისას</i> |
| <i>ხის სახლის</i> | <i>სახლის ხისა</i> |
| <i>ხის სახლით</i> | <i>სახლით ხისა</i> |
| <i>ხის სახლად</i> | <i>სახლად ხისა</i> |
| <i>ხის სახლო</i> | <i>სახლო ხისავ</i> |

შესაძლებელია ასეთი მსაზღვრელი რომელიმე მრავლობითშიც იდგეს – ებიანში ან წართანიაში (*დევების ქორწილი, ძმათა ერთობა*). განსაკუთრებით გავრცელებულია მსაზღვრელის წართანიანი ფორმა გარკვეულ სახელწოდებებსა და ტერმინოლოგიურ შესიტყვეებებში (*მწერალთა კავშირი, მშრომელთა მოძრაობა...*). ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელის საზღვრულთან შეწყობის ზემომითითებული წესი ამ შემთხვევაშიც უცვლელი იქნება:

| | | |
|-------------------------|----------------------|----------------------------|
| <i>დევების ქორწილი</i> | <i>ძმათა ერთობა</i> | <i>მშრომელთა მოძრაობა</i> |
| <i>დევების ქორწილმა</i> | <i>ძმათა ერთობამ</i> | <i>მშრომელთა მოძრაობამ</i> |

შენიშვნა: თუ მსაზღვრელი წარმომავლობით მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმაა (*ყოფითი პრობლემა, პირადი საქმე...*) მიცემით ბრუნვაში ნიშანს დაირთავს: *ყოფითს პრობლემებს, აღმშენებლობითს პათოსს, პირადს საქმეს...*

2. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულის მრავლობითთან

სახელების (მსაზღვრელ-საზღვრულის) ერთად გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რიცხვში შეთანხმების საკითხიც. კერძოდ, არცთუ ერთგვაროვანია მსაზღვრელის ქცევა მაშინ, როცა

საზღვრული მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი. ამ არაერთგვაროვნებას განაპირობებს, ჯერ ერთი, ის, რომ შეიძლება საზღვრულ სახელს ორგვარი მრავლობითის ფორმა ჰქონდეს – ებიანი და ნართანიანი; მეორეც, შესაძლებელია მსაზღვრელს ორგვარი პოზიცია ეკავოს შესაბამისი საზღვრულის მიმართ – წინამდებარე და მომდევნო. შესაბამისად, აქაც ოთხგვარი პოზიციაა გასათვალისწინებელი:

- მსაზღვრელი ებიანი საზღვრულის წინ (*მაღალი ხეები*);
- მსაზღვრელი ებიანი საზღვრულის მომდევნოდ (*ხეები მაღლები*);
- მსაზღვრელი ნართანიანი საზღვრულის წინ (*მაღალი მთანი*);
- მსაზღვრელი ნართანიანი საზღვრულის მომდევნოდ (*მთანი მაღალნი*).

ამ ვარიანტების თავისებურებას ერთად ბრუნების ტიპობრივი ნიმუშები უკეთ წარმოაჩენს:

| | წინმდგომი მსაზღვრელი | მომდევნო მსაზღვრელი |
|------------|------------------------------|-------------------------------|
| ებიანი | <i>ხმელი ხეები</i> | <i>ხეები ხმელები</i> |
| | <i>ხმელმა ხეებმა</i> | <i>ხეებმა ხმელებმა</i> |
| | <i>ხმელ ხეებს</i> | <i>ხეებს ხმელებს</i> |
| | <i>ხმელი ხეების</i> | <i>ხეების ხმელების</i> |
| | <i>ხმელი ხეებით</i> | <i>ხეებით ხმელებით</i> |
| | <i>ხმელ ხეებად</i> | <i>ხეებად ხმელებად</i> |
| | <i>ხმელო ხეებო</i> | <i>ხეებო ხმელებო</i> |
| ნართანიანი | <i>მაღალი მთანი</i> | <i>მთანი მაღალნი</i> |
| | <i>მაღალ მთათა</i> | <i>მთათა მაღალთა</i> |
| | ----- <i>მაღალო მთანო</i> | ----- <i>მთანო მაღალნო</i> |

წარმოდგენილი სურათის მიხედვით ორი ძირითადი წესი ყალიბდება:

1. წინამავალი მსაზღვრელი თანამედროვე ქართულში არ შეეთანხმება საზღვრულს რიცხვში არც ებიან და არც ნართანიან მრავლობითში, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება მსაზღვრელი მრავლობითშიც იდგეს: „ყვავილთ პირს ეკონებთან ციენი ნამცვრეენი ცისანი“ (ვაჟა) (ბრუნების მხრივ კი ეს შემთხვევები უკვე განხილულთაგან არ განსხვავდება).
2. მომდევნო მსაზღვრელი გაიჩენს იმავე რიცხვის ნიშანს (ებ-ს თუ -ნ/-თ-ს), რაც აქვს შესაბამის საზღვრულს (როგორც ცნობილია, -თანიანი ფორმა ასრულებს ყველა ბრუნვის ფუნქციას, გარდა სახელობითისა და ნოდებითისა), ოღონდაც მიუთითებენ, რომ

მსაზღვრელის მომდევნო პოზიცია ებიან მრავლობითთან (მარჯვენა ზედა პოზიცია) მხოლოდ პოეზიისთვის არის დამახასიათებელი:

„*მომაპყრეს გაშმაგებული თეალები შხამიანები*“ (ვაჟა).

შენიშვნა: 1. შესაძლებელია მსაზღვრელად მრავლის გამომხატველი სიტყვაც (რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი...) მოგვევლინოს. ამ შემთხვევაში საზღვრული აუცილებლად მხოლობითში იქნება: *ორი ძმა, ბევრი მტერი, ყველა მსურველი, სხვადასხვა საკითხი...* ცხადია, თუ მსაზღვრელი ნართანთან მრავლობითში არ აღმოჩნდა, რაც ასევე აუცილებელ შეთანხმებას გამოიწვევს: *ორნი ძმანი, მრავალნი მტერნი...* (ბრუნების მხრივ რაიმე განსხვავება არ იჩენს თავს).

2. ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელი ამ შემთხვევაშიც უცვლელი იქნება როგორც საზღვრულის წინამავალ, ისე მომდევნო (იშვიათ) პოზიციაში:

| | |
|---------------------|----------------------|
| <i>მთის წყარონი</i> | <i>წყარონი მთისა</i> |
| <i>მთის წყაროთა</i> | <i>წყაროთა მთისა</i> |
| <i>მთის წყარონო</i> | <i>წყარონო მთისა</i> |

კომპოზიტების მართლწერის საკითხები

კომპოზიტებს ისეთ სიტყვებს უწოდებენ, რომლებიც რამდენიმე (ორი ან მეტი) დამოუკიდებელი სიტყვის (ფუძის ან ფორმის) შეერთებით არის წარმოქმნილი. კომპოზიტის ქართული შესატყვისია ტერმინი „*რთული სიტყვა*“.

კომპოზიტის შემადგენელ სიტყვათა (კომპონენტთა) ფორმობრივი და შინაარსობრივი ურთიერთმიმართება ერთგვაროვანი არ არის, რაც განაპირობებს კიდევ მათი დანერილობის თავისებურებას. ამიტომაც კომპოზიტთა დანერილობის წესის დასადგენად სწორედ მათს შედგენილობაზე ექედება აქცენტი.

თავისთავად კომპოზიტთა დანერილობა დიდ ნაირგვარობას არ გულისხმობს, შესაბამისი წესი მარტივი ალტერნატივის სახით წარმოდგება: *შერწყმულად და ვნეროთ თუ დეფისით?* მაგრამ ამ მარტივი ამოცანის უკან, როგორც ითქვა, კომპოზიტთა საკმაოდ დიდი ნაირგვარობა იგულისხმება.

აღნიშნული მიზნით კომპოზიტთა კლასიფიკაციის (დალაგების)

დროს უპირველესად უნდა გავმიჯნოთ ორი ჯგუფი: ფუძეგაორკეცებულები და ნაირფუძიანი კომპოზიტები

1. ფუძეგაორკეცებულო სიტყვები

ფუძის გააორკეცება (რომელსაც რედუპლიკაციასაც უწოდებენ) ახალ სიტყვათა წარმოქმნის ფრიად გავრცელებული ხერხია. ამ დროს ამოსავალი სიტყვა (ჩვეულებისამებრ, მარტივი ფუძე) თავისთავს გაიმეორებს და ამგვარი გაორმაგებით ახალ სიტყვას შექმნის:
ტოლ-ო→ ტოლ-ტოლი...

- გაორკეცებული შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ჯგუფის სიტყვა:
 - არსებითი სახელი: *თავთავი, წამწამი, წყალწყალა...*
 - ზედსართავი: *დიდ-დიდი, პატარ-პატარა, მაღალ-მაღალი, ჭრელ-ჭრელი...*
 - რიცხვითი: *ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი...*
 - ნაცვალსახელი: *ეს-ეს, ის-ის, ვილაც-ვილაც(ები)...*
 - ზმნიზედა: *ნაპირ-ნაპირ, ხევ-ხევ, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან...*
 - შორისდებული: *ვიშივიში, ვაი-ვაი...*

ამავე დროს, გაორკეცებული ფუძეები შეიძლება და კავშირით შეერთდეს: *პირდაპირ, გულდაგულ, თანდათან, მხარდამხარ, ხელდახელ, კარდაკარ, წინდანინ, ხანდახან...*

შესაძლებელია გაორკეცებისას ამოსავალი ფუძის რომელიმე ბგერა შეიცვალოს და რთული სიტყვა, ერთი შეხედვით, განსხვავებულ ფუძეთა შეერთებად მოგვეჩვენოს: *ახალუხალი, ერთურთი, ბალახბულახი, ნაყარნუყარი, სხაპასხუპი, კანტიკუნტი, ბიჭბუჭები, ბინდბუნდი, გორგური, ქოხმახი, გიჟმაჟი, არემარე, ახლომახლო, უსწორმასწორო, ავანჩავანი...*

განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ისეთი გაორკეცების მაგალითები, რომელშიც დამოუკიდებელ ფუძეს საერთოდ ვერ გამოვყოფთ: *ბაჯბაჯი, ბუტბუტი, კაშკაში, ლულლული, ლაქლაქი, ჭიკჭიკი, ხარხარი...* (ასეთები უმეტესად ხმაბაძვითი სიტყვებია).

როდის როგორ დავენროთ ჩამოთვლილი და მათი მსგავსი ფუძეგაორკეცებული სიტყვები?

- ამისათვის შემდეგი ორი პირობის გათვალისწინებაა აუცილებელი:
 - ა) არის თუ არა ამგვარი სიტყვის თითოეული კომპონენტი რეალური სიტყვა დამოუკიდებლად;
 - და თუ არის:
 - ბ) აქვს თუ არა ფუძეგაორკეცებულ სიტყვას არსებითად იგივე მნიშვნელობა, რაც მის შემადგენელ ფუძეს (მაგალითად, სიტყ-

ვაში წამწამი ნამი დამოუკიდებლად გამოიყოფა, მაგრამ ამ ორი სიტყვის შინაარსი არსებითად არის განსხვავებული).

შესაბამისად: ფუძეგაორკეცებული სიტყვა დეფისით დაინერება, თუ ამ ორსავე პირობას დადებითი პასუხი აქვს: *ბევრ-ბევრი, ნაპირ-ნაპირ, ას-ასი, პატარ-პატარა, ნელ-ნელა...*

შენიშვნა: ასეთი ფუძეები შერწყმულად დაინერება მაშინაც, როცა პირველი კომპონენტი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა: *ნელინელ, კარიკარ, წამინამს, შორიშორს* (ასევე შდრ. *შორიახლოს*)...

ყველა დანარჩენ შემთხვევაში სიტყვა შერწყმულად დაინერება: *თავთავი, ბაჯბაჯი, ლანლანი, გიჟმაჟი, რიჟრაჟი...*

ასევე შერწყმულად დაინერება და კავშირით შერწყმული ფუძეები: *თანდათან, პირდაპირ, გულდაგულ, ცხენდაცხენ.*

2. ნაირფუძიანი კომპოზიტები

აქ თავს იყრის ისეთი კომპოზიტები, რომლებიც სხვადასხვა სიტყვათა შეერთებით არის წარმოქმნილი. ეს შემადგენელი სიტყვები (კომპონენტები) შეიძლება კომპოზიტში სხვადასხვა ფორმით იყოს შეერთებული. კერძოდ:

ა) შეიძლება თითოეული კომპონენტი ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი:

ძალ-ლონე, დღე-ღამე, ქალ-ვაჟი, კვლევა-ძიება, ქართლ-კახეთ-იმერეთი...

ბ) შეიძლება ერთი კომპონენტი ფუძის სახის იყოს, მეორე – რაიმე სხვა ფორმით:

ძმისწული, ქვითკირი, ნათლიდედა, მზეთამზე...

გ) შეიძლება თითოეული კომპონენტი საკუთარი ფორმით იყოს შესული კომპოზიტში:

ამიერკავკასია, წუთინ-უთს, ზედამხედველი, კაციჭამია...

უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილ ნაირგვარ კომპოზიტთა დანერვილობა იმდენად მათს ფორმოებრივ მხარეზე არ არის დამოკიდებული (ყოველ შემთხვევაში, შესაბამისი საკონტროლო წესების თვალსაზრისით), რამდენადაც შემადგენელ კომპონენტთა და მთლიანად კომპოზიტის შინაარსზე, მათს შინაარსობრივ ურთიერთმიმართებაზე.

კერძოდ, განარჩევენ ერთ ცნებრიან და ორ ცნებრიან (მრავალცნებრიან) კომპოზიტებს.

* ცნება ტერმინი ამ შემთხვევაში იმავე სიტყვის შნიშვნელობას გამოხატავს.

ერთ ცნებია ნია კომპოზიტი, თუ მისი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობების მექანიკურ ჯამს, ანუ თუ კომპოზიტი ერთ დამოუკიდებელ შინაარსს გამოხატავს (მაგალითად: ცისკარი არ გამოხატავს „ქარს ცაზე“, არამედ „განთიადს“).

ორ ცნებია ნი კომპოზიტი თავისთავში გულისხმობს თითოეული კომპონენტის მნიშვნელობას, ანუ ის არის ერთგვარი ჯამი შემადგენელ ფუძეთა (მაგალითად: შვიდ-საო იგივეა რაც მშვილდი და ისარი, წვერ-ულვაში უდრის, არც მეტი – არც ნაკლები, ნვერსა და ულვაშს და მისთ.).

შენიშვნა: შესაძლებელია კომპოზიტიდან შემადგენელი სიტყვები ადვილად გამოიყოს დამოუკიდებელი ფორმითა და მნიშვნელობით, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი კომპოზიტში დამოუკიდებელი ოდენობებია. არსებითი აქ ის არის, რამდენად შეესაბამება მათს ამ მნიშვნელობებს თვით კომპოზიტის მნიშვნელობა. მაგალითად: პირშავი, ცხადია პირი და შავი სიტყვებისაგან შედგება, მაგრამ თვით კომპოზიტი სულაც არ აღნიშნავს შავ პირს (სახეს), არამედ – ცუდი თვისების (რეპუტაციის) ადამიანს...

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპოზიტთა დაწერილობა მათს „ცნებია ნობაზე“ დამოკიდებული:

თუ კომპოზიტი ერთ ცნებია ნია, ის შერწყმულად დაინერება; თუ ორ ცნებია ნი – დეფისით.

როგორ შევამოწმოთ?

ანუ როგორ დავადგინოთ, ერთ ცნებია ნია კომპოზიტი თუ ორ ცნებია ნი?

ამისათვის კომპოზიტის შესაბამის კომპონენტთა შორის უნდა ჩავსვათ და კავშირი და, თუ ნევრთა ამგვარად შეერთება არ ცვლის იმ შინაარსს, რასაც კომპოზიტი გამოხატავდა, მაშინ ეს კომპოზიტი ორ ცნებია ნი ყოფილა. ხოლო თუ და კავშირის ჩასმა კომპოზიტის შინაარსის დაურღვევლად შეუძლებელია – ერთ ცნებია ნი.

შენიშვნა: 1. როგორც გაორკეცებისას, ისე ნაირფუძიან კომპოზიტებში და კავშირი ზოგჯერ თვით კომპოზიტის შემადგენლობაში შედის. ყველა ამგვარი კომპოზიტი შერწყმულად დაინერება: დღედაღამ, წამდაუნუმ, ოცდაათი...

2. „ცნებია ნობის“ შემომითითებულ პრინციპს არ არღვევს (და იმავე წესით უნდა ვიხელმძღვანელოთ), მაგრამ მინც ცალკე უნდა მიეთითოს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ორცნებია ნი (ანუ – დეფისით შეერთებული) კომპოზიტებისა-

გან თავსართ-ბოლოსართების დართვით ახალი რთულფუძი-
ანი სიტყვები ინარმოება (მაგ. *და-ძმა* → *დაძმური*). ამგვარად
ნარმოქმნილი სიტყვა, ცხადია, შერწყმულად დაინერება. შეა-
დართ:

| | | |
|-------------------|---|----------------------------------|
| <i>სახლ-კარი</i> | - | <i>უსახლკარო;</i> |
| <i>დედ-მამა</i> | - | <i>უდედმამო;</i> |
| <i>ცოლ-შვილი</i> | - | <i>ცოლშვილიანი, უცოლშვილო;</i> |
| <i>დედა-შვილი</i> | - | <i>დედაშვილობა, დედაშვილური;</i> |
| <i>მთა-ბარი</i> | - | <i>მომთაბარე...</i> |

3. დეფისით დაინერება ისეთი ორმაგი სახელწოდებები,
როგორცაა: *სახლ-მუზეუმი, ნევრ-კორესპონდენტი, ტელე-
ფონ-ავტომატი, აკადემიკოს-მდივანი, მეცნიერ-თანამშრო-
მელი, ექიმ-კონსულტანტი* და მისთ.

სიტყვის შემოკლება და აბრევიატურა

სიტყვის შემოკლება მნიგნობრულ ენათა უძველესი ტრადიციაა.
ის იმთავითვე სანერი საშუალებებისა და დროის ეკონომიას ემსახურე-
ბოდა. შესამოკლებლად შეირჩეოდა განსაკუთრებით ხშირად ხმარებუ-
ლი სიტყვები და მნიგნობართა წრეში ასე მკვიდრდებოდა სტანდარტუ-
ლი შემოკლებები. მაგალითად, ძველი ქართული ხელნაწერები სავსეა
სპეციალური ნიშნით აღნიშნული შემოკლებული სიტყვებით, რომელ-
საც ქარაგმას უწოდებენ: რ – რამეთუ, რა – რაჟთა, ად – არა-
მედ, ვა – ვითარცა, ან – ამენ, ლი – ღმერთი, ჩნ – ჩუენ...

სიტყვათა შემოკლებამ თანამედროვე ეპოქაში, როცა ზემოაღნიშ-
ნული ეკონომიის ინტერესი აღარ არის არსებითი, გარკვეული სამეც-
ნიერო-ტექნიკური სტილის ნიშნები შეიძინა. უახლესი სამეცნიერო ნა-
შრომები, პრესა, სხვადასხვა ინფორმაციები სულ უფრო და უფრო
ფართოდ იყენებს ამგვარ „პირობით ენას“ – შემოკლებების მთელ სის-
ტემას, რომელიც ზოგ ენაში იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ცალკე
ლექსიკონების სახითაც კი გამოდის.

თუ დავაკვირდებით, შემოკლებას ზოგჯერ ჩვენ ნებისმიერადაც
მივმართავთ. მაგალითად, თვეების აღსანიშნავად ხშირად ვწერთ:
თებ., აპრ., დეკ. და სხვ. ანდა – მისამართის მითითების დროს ვამოკ-
ლებთ: *კვარტ.* (კვარტალი), *კორპ.* (კორპუსი), *სად.* (სადარბაზო), *სართ.*
(სართული), *ბ.* (ბინა) და მისთ.

შემოკლების ერთ-ერთი სახეობაა ისიც, რომელსაც ჩვენ რეგულა-
რულად ვიყენებთ საკუთარი თუ სხვათა ვინაობის მითითების დროს

და სახელს (და მამის სახელს) ინიციალებით ვწერთ: *ა. წერეთელი, მ. ჯავახიშვილი, ლ. ნ. ტოლსტოი...* ზოგჯერ სახელის შემოკლება რამდენიმე ბგერითაც (მარცვლითაც) არის წარმოდგენილი: *ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ალ. ყაზბეგი...* შეიძლება იშვიათად (ავტორის ნებით) გვარიც შეგვხვდეს შემოკლებული სახით (მაგალითად, ცნობილია თვით ილიასული დანერილობა: *ი. ქ.*). სხვათა შორის, პირთა სახელების შემოკლება ქარაგმის წესით ძველ ქართულშივე ფართოდ იყო გავრცელებული: *თ'ე* (თეოდორე), *ი'ე* (იოანე), *გ'ი* (გიორგი)...

და ი მ ა ხ ს ო ვ რ ე თ : ფსევდონიმებისა და ნოდებათა (ზედწოდებათა) გამომხატველი გვარსახელების გამოყენების დროს შემოკლება დაუშვებელია (*ი. ცურტაველი, გ. მერჩულე, შ. რუსთაველი, ვ. ფშაველა...*).

ქართულ სალიტერატურო ენაში დროთა განმავლობაში დამკვიდრებულა გარკვეულ სიტყვათა შემოკლებანი, რომელთა ცოდნა წიგნიერი ადამიანისათვის აუცილებელია. ასეთებია:

1. თვით მნიგნობრობასთან, ტექსტთან დაკავშირებული შემოკლებანი:

| | |
|------------------------|------------------|
| თხზ. – თხზულება | სქ. – სქოლიო |
| შრ. – შრომა | იხ. – იხილე |
| ტ. – ტომი | შდრ. – შეადარე |
| თ. – თავი ⁶ | ნ. – ნახე |
| ნაწ. – ნაწილი | ნახ. – ნახატი |
| გვ. – გვერდი | მაგ. – მაგალითად |

2. ნოდებათა და თანამდებობათა აღმნიშვნელი შემოკლებანი:

| |
|--|
| აკად. – აკადემიკოსი |
| აკად. წ/კ – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი |
| პროფ. – პროფესორი |
| დოც. – დოცენტი |
| ლაბ. – ლაბორანტი |
| მასწ. – მასწავლებელი |

3. დროის ერთეულთა აღმნიშვნელი შემოკლებანი:

| | |
|-----------------|------------------|
| წმ. – წამი | წ. – წელი |
| წთ. – წუთი | წწ. – წლები |
| სთ. – საათი | ს. – საუკუნე |
| ა.წ. – ამა წლის | სს. – საუკუნეები |

4. წონისა და მანძილის (სიგრძის) საზომები:

⁶ ანალოგიურ დანიშნულებას ასრულებს ტექნიკური ნიშანი – § – პარაგრაფი.

მგ. – მილიგრამი

მმ. – მილიმეტრი

გ. – გრამი

სმ. – სანტიმეტრი

კგ. – კილოგრამი

დმ||დცმ. – დეციმეტრი

ც. – ცენტნერი

კმ. – კილომეტრი

ტ. – ტონა

ჰა – ჰექტარი

კვ. შ. – კვადრატული მეტრი

5. ზოგი სხვა ტექსტობრივი (კავშირ-ზმნიზედათა) შემოკლება:

ე. ი. – ესე იგი

ა. შ. – ასე შემდეგ

მისთ. – მისთანანი

სხვ. – სხვა

ე. წ. – ეგრეთ ნოდებული

გ ა ვ ი თ ვ ა ლ ი ს ნ ი ნ ო თ : თუკი შემოკლება ბრუნვის ნიშნებსა თუ თანდებულებს მოითხოვს, ისინი დეფისით უნდა დაერთოს: *საერთო ნონა 100 კგ.-ს უდრის. ეს ამბავი 475-483 წწ.-ში მოხდა...*

ამგვარ სიტყვათშემოკლებათა გვერდით ცალკე უნდა გამოვყოთ შემოკლების ის ფორმა, როდესაც ორი ან რამდენიმესიტყვიანი სახელწოდება შემოკლებათა ერთ კომპლექსად, ერთ „სიტყვად“ იქცევა. შემოკლების ამ ფორმას აბრევიატურა ეწოდება. ამგვარად, ჩვეულებრივი სიტყვათშემოკლებისაგან განსხვავებით, აბრევიატურას ვიყენებთ შემოკლების ისეთი ფორმის აღსანიშნავად, როდესაც რაიმე მყარი დასახელების (სახელწოდების) კომპონენტი სიტყვები მოკლდებიან და ერთ კომპლექსად (ერთ „სიტყვად“) წარმოდგებიან. თვით შემადგენელ სიტყვათა შემოკლებები არაერთგვაროვანია, უმეტესად სიტყვის „წარმომადგენელი“ მისი პირველი ასოა, მაგრამ შეიძლება მარცვალიც (ბგერათკომპლექსიც) იყოს გამოყენებული. ამგვარი კომპლექსის ბოლო სიტყვა სრულადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

ჩვეულებრივი სიტყვათშემოკლებისა და აბრევიატურის განსხვავება შეიძლება ერთი მარტივი ფორმალური ნიშნითაც განვსაზღვროთ: პირველ შემთხვევაში სიტყვის შემოკლებას წერტილი გამოხატავს (*იხ., ე. წ.*), აბრევიატურა კი წერტილების გარეშე იწერება (*კესი*).

სხვათა შორის, მოხდენილი აბრევიატურა შეიძლება დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ სიტყვადაც იქცეს (მაგალითად, დღეს ბევრმა რიგითმა მომხმარებელმა არც კი იცის, რომ *ექთანო* წარმოშობით „*ექიმის თანაშემწეა*“, ხოლო *თემქა* – „*თბილისის ელმავალმწენებელი ქარხანა*“. ასევე უმეტესად გაუშიფრავად ვიყენებთ საერთაშორისო მნიშვნელობის სახელწოდებებს (*გაერო, ნატო* და მისთ.).

საქართველოს უახლოეს ნარსულში არაერთი აბრევიატურული სიტყვათშემოკლება გაჩნდა:

- ქეგლ* – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი;
- ქსე* – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია;
- იკე* – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება;
- სმამ* – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე;
- თსუ* – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სპი* – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
- გრესი* – გარდაბნის თბოელექტროსადგური;
- მშთ* – დევი ზი: „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“;
- აღმასკომი* – აღმასრულებელი კომიტეტი;
- უნივერმალი* – უნივერსალური მაღაზია;
- ჰესი* – ჰიდროელექტროსადგური;
- ზაჰესი* – ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური;
- ენგურჰესი* – ენგურის ჰიდროელექტროსადგური;
- პროფკავშირი* – პროფესიული კავშირი;
- პროფკომი* – პროფესიული კომიტეტი;
- ქალაქკომი* – ქალაქის კომიტეტი;
- ადგილკომი* – ადგილობრივი კომიტეტი;
- სახბანკი* – სახელმწიფო ბანკი;
- სახსტანდარტი* – სახელმწიფო სტანდარტი;
- ცეკავშირი* – ცენტრალური კავშირი;
- მონკავშირი* – მონადირეთა კავშირი;
- ავტოქარხანა* – ავტომობილების ქარხანა;
- ავტობაზა* – ავტომობილების ბაზა...

თანამედროვე ქართულში, უკვე არსებულთა გვერდით, არაერთი ახალი აბრევიატურა დამკვიდრდა. ზოგი მათგანი პირდაპირ უცხო ენებიდან არის შემოსული და ისევე გამოითქმის და იწერება, როგორც აბრევიატურის უცხოენოვან გამოთქმას შეეფერება;

- ნატო** – NATO: North Atlantic Treaty Organization – ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია;
- ოპეკი** – OPEC: Organization of Petroleum Exporting Countries – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია;
- იუნესკო** – UNESCO: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში;
- ინტერპოლი** – Interpol: International Criminal Police Organization – საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის ორგანიზაცია.

ბისეკო – BSEC: Black Sea Economic Corporation – შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა;

იუნისეფო – UNICEF: United Nations International Children's Emergency Fund – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფონდი;

ტრასეკა – TRACECA: Transport Corridor Europe-Caucasus-Asia – სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია;

უეფა – UEFA: United European Football Association – ევროპის საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანება;

ფიდე – FIDE: Fédération Internationale des Échecs – ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია;

ფიფა – FIFA: Fédération Internationale de Football Association – საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია;

ასეანი – ASEAN: Association of South-East Asian Nations – სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ასოციაცია;

ბი-ბი-სი – BBC: British Broadcasting Company – ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია;

ენ-ბი-სი – NBC: National Broadcasting Company – აშშ-ის რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო კომპანია;

ფე-ბი-აი – FBI: Federal Bureau of Investigation – აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო;

ტი-ბი-სი – TBC: თბილისის ბიზნესცენტრი;

იუ-პი – UPI: United Press International – აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო;

სი-ენ-ენი – CNN: Cable News Network – აშშ-ის ახალი ამბების სატელევიზიო კომპანია;

კა-გე-ბე – КГБ: Комитет государственной безопасности – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი;

როგორც ვხედავთ, უცხოური აბრევიატურები დეფისით იწერება იმ შემთხვევაში, როცა ისინი პირველი ასოებით არის შედგენილი და მათი დასახელებისათვის ასოთა შესაბამისი სახელებია საჭირო.

გარდა ამისა, გაჩნდა ქართულ ნიადაგზე შექმნილი ახალი აბრევიატურები:

დსთ – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა;

დღკ – დამატებული ღირებულების გადასახადი;

სეოკი – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი;

ეუთო – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია;

შიდსი – შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი;

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

ცესკო – ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ამო – ამოუცნობი მფრინავი ობიექტი;

სმკ – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი...

ქართული აბრევიატურების ნარმოთქმა ჭირს, თუკი ისინი მხოლოდ თანხმონებით არის შედგენილი, რამდენადაც ლათინური ანბანის ანალოგიურად მათი გახმოვანება გაუმართლებელია (მაგ.: *თსუ* – *თე-სე-უ*; *დღგ* – *დე-ლე-გე* და მისთ.), ქართულ ასოთა სახელები კი ამისათვის მოუხერხებელია („*მხიარულთა და საზრიანთა კლუბის*“ შემოკლების – *მსკ* – გაშლა, როგორც *შან-სან-კანო*, ცხადია, მხოლოდ სახუმარო შინაარსით არის მისაღები). ამიტომაც ქართულ საფუძველზე შექმნილი აბრევიატურების ოპტიმალური გახმოვანების საკითხი ერთ-ერთი პრინციპული პრობლემაა.

ერთიც უნდა გავითვალისწინოთ: რამდენადაც აბრევიატურა ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში დამოუკიდებელ სიტყვას (სახელს) უტოლდება, ცხადია, მისი ბრუნებისა და თანდებულებით გაფორმების საკითხიც დაისმის; კერძოდ, აბრევიატურას, რომელიც ინიციალური ნესით, ანუ შემადგენელ სიტყვათა პირველი ასოებით არის შექმნილი, შესაბამისი ბრუნვის ნიშანი და თანდებული დეფისით დაერთვის: *სიტყვა ქეგლ-ის I ტომში მოძებნეთ; დსთ-დან გამოვედით; აშშ-ში მივემგზავრები...* ხოლო თუ აბრევიატურა სიტყვას უტოლდება (გახმოვანებულია), მაშინ ის ისე იბრუნება, როგორც შესაბამისი ფუძის ფუძეუცვლელი (უკუმშველი და უკვეცელი) სახელი. უცხოურ აბრევიატურათა ბოლო **ო** ხმოვანი ფუძის ნაწილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის შესაბამის ასოთა დასახელებაში შედის. შდრ.: **ბი-სეკმა**, **სი-ენ-ენმა...**, მაგრამ: **ტი-ბი-სიმ**, **იუ-ბიმ** და მისთ.

იბოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

რა ახალი მთვარესავით გამოჩნდები ხოლმე?! ბოლო დროს ჩემ ახლობლებთან საერთოდ დავეკარგე ურთიერთობა. ბევრი ვეცადე, მაგრამ დღემდი თქვენს შესახებ ვერაფერი შევიტყვე. მეგობრები უკლებლივ მოგროვდნენ ჯეშალისთან. თვითონ პოეტიც უცნაურია თავისი ზღაპრული სამყაროსავით. სად წაუხვალ, ლუარსაბ თათქარიძეც, სიმართლეს, სად? ფოიეში ჯერ კანტი-კუნტად გამოჩნდნენ, მერე იმატა ნაკადმა. როგორც შემდგომ გამოიჩნდა, ნოდარის ხუმრობით წებო დაუსხამს სკამზე. ძმაო ნიკო! შე სხვადასხვა შემთხვევის გამო ხუთშაბათამდი ვერ მოვდივარ. მეც მადლეგრძელოს თქვენს შორის, უმცროსი ძმა ვარ თქვენიო. შე დაფუხვდები შენს მაგიერად ჯოჯოხეთის ცეცხლს და ცხელ მარწუხებს. გამოდი, გურამი ბაქრაძეც, და მომიყევი გაკვეთილს! შეადგინეთ სხვადასხვანაირი ღეროიანი მცენარეთა ჰერბარიუმი! ორთავე ქვეყანას მძიმე გამოცდის წლები დაუდგა. ტყუილად ბაქბუქობ, შენ შერაბიმდე ჯერ კიდევ ჰევრი გიკლია. იქამდინაც კი მივიდნენ, რომ ქართულ მწერლობას ბრალიც კი დასდეს. ნეტა ვიცოდე, არ მოგწყინდა ერთი და იგივეს საუბარი? ორთავეს დიდი სურვილი ჰქონდა, ნათქვამის აზრს ჩასწვდომოდა. მეორე განათხულზე თიბათვემდი ჩემ სამფლობელოში შეიკრიბა ოცდათხუთმეტი თუშანი. აკაკის და ოთარის განზრახული აქვთ, დაათვალიერონ თბილისის ისტორიული ადგილები. დიმიტრიმ და ნუგზარიმ გაკვეთილებზე დაავიანეს. სულ „ყაყიტას“ ეძახდნენ და თითონაც კი არ იცოდნენ, თუ რად ეძახდნენ. თუ ჩვენსკენ გამოიქცა, შე დავენახვები... თავი დამანებე, ჩემო დარეჯანო! ბოლოს და ბოლოს მოვლენებს თავის სახელი უნდა დაერქვას. აქედანა და შენამდი ვარდი მასხია ყელამდი. — ჰა, პეტრეც, ფრთხილად! — არიგებდა პეტრე თავის თავს. კაი ხელი ჰქონდა ორთავეს. არა მგონია, ვინმეს ამის გასარკვევად ვილატეები დასჭირდეს. ძმაო, მამუკაც, აბა, გენაცვალოს ივანე, ეხლა ჩვენი ღვთისმშობელი ვადლეგრძელოთ. ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუენა. მაგანა მის ძმაზე რვა წლით იყო უფროსი. არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემ სიცოცხლეში. პირუტყვი რომ ჩემთან ვისმე გაელახა, ვიტირებდი. რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები. ერთსა და იმავე მიწის შვილი... ბევრგან ლომიც არის და ჭიანჭველაც. ბევრს რალატეების ბოდვას მოჰყვა ჩვენი ლუარსაბი. ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვის ეწყნინებინათ რამე. ძირს გაშლილი სავსე მინდორი, ქსნისა და არაგვს შუა გადაჭიმული. ჩვენს წინ ერთს ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა. ორიოდე თვის უკან გაზეთმა საშინელი ცილისწამება გა-

მოაქვეყნა. მის ფეხებ ქვეშ რამდენმავე ყვავილმა დაიკვნესა და გაჩუმდა. სკოლაში იმას თუ გასწავლიან, შუადღემდი იძინეო? არჩილი... ბოძებზედ შემდგარს მაღალ სათიფეზედ ადგმეფინებდა. მერე ნახავ, თუ გითქვამს ვისძესათვის. დიდი ხანი შელაპარაკა და ბევრი რაღაცეები მითხრა.

შეარჩიეთ და ჩასვით სწორი ფორმა:

დღემდე ვაგროვებ ინფორმაციას (თქვენშესახებ, თქვენს შესახებ, თქვენ შესახებ). ჭირისუფლები შეიკრიბნენ (გურამსთან, გურამთან, გურამისთან). ერთი საფიქრალი ჰქონდა (სამსავე, სამიფეთ, სამთავე, სამიფეს). დედაჩემმა მომიტანა დაქსოვილი წინდები (მისი, თვისი, თავისი). ირემს თავი რქებით მოსწონდა და სწორედ დაღუპეს (იმათმა, იმგენმა, იმათ). გამომსვლელებმა გულწრფელად თქვეს სათქმელი (თავისი, თავიანთი, თავიანთი). გაყინული მგზავრი იმეორებდა (ერთი და იგივეს, ერთიდაიგივეს, ერთი და იმავეს, ერთსა და იმავეს). ბარვა როგორ იქნება! (მაგრე, მასე, ეგრე). რა შეუძლიათ, ჩხუბი არ იციან და სროლა! (მაგათმა, მაგენმა, იმგენმა, მაგათ). როგორც აღმოჩნდა, მგზავრები გამოპყლიან მანქანას (დიდომიდან, დიდმიდან, დიდვმიდან). კივიის „დინამოელებმა“ შეათასე გოლი გაუშვეს კარში (მათ, მათს, თავის, თავიანთ). ნუთუ სხვადასხვა წელს განსხვავებულია ორგანიზმის ანატომიური აგებულება? (ერთი და იგივე, ერთი და იმავე, ერთისა და იმავე, ერთდამავე). განა მოელოდით ამგვარ თავის აგლებას და მუხთლობას? (ვისმესგან, ვისგანმე, ვინმესგან). საქართველოს მწერალთა კავშირი ქუჩაზე მღებარეობს (მაჩაბლის, მაჩაბელის). მგზავრებმა გაჭირვებით მიაღწიეს (მღინარემდი, მღინარემდის, მღინარემდე, მღინარემდინ). ანანია ამბით შეხვდა მოსულს (დიდის, დიდი, დიდით). რა მთვარესავით გამოჩნდები ხოლმე (ახალს, ახალი, ახალ). თავიანთი ქვეყნის ჭეშმარიტი შვილები იყვნენ (ორივე, ორთავე, ორთავენი, ორივენი, ორნივე). მერე კი შავმა კატამ გაირბინა (ჩვენშორის, ჩვენს შორის, ჩვენ შორის). კაცი ბევრ ჰირუტყვზე ფრიად პატარა და ულონოა, მაგრამ დიდი ჭკუით ყველასა სძლეეს (მისი, თავისი, თავიანთი). მაშინდელი ცხოვრებიდან სანიმუშოდ სახასიათო შემთხვევას გავიხსენებ (რამდენსამე, რამდენიმეს, რამდენიმე). ბრძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ (წყალ გაღმა, წყალ-გაღმა, წყალგაღმა). ის გაცემს მაგათ პასუხს (თქვენმაგიერ, თქვენს მაგიერ, თქვენ მაგიერ). სახლის უკან კალო-საბძელია და გომური (საბძელ-ქვეშ, საბძელ ქვეშ, საბძელქვეშ). ბუღეში ბარტყები ისხდნენ (ტოროლას, ტოროლის).

მითითებული რიცხვი ჩაწერეთ სიტყვებით:

ჯერ არ დამდგარიყო 1979 წელი. გავიდა 107463 დღე. ერთ ჯგუფში 125 ლარი ძლივს შეიკრიბა. 1999 წელია ბოლო წელი ათასწლეულის, თუ 2000? 1978 წელს პირველი დიდი გამოსვლა მოხდა ქართული ენის დასაცავად. დასახელებთ შემდეგი რიცხვების თანრიგები: 4748, 5609, 4028, 3301, 5349. ყველა მატლი თვეში 30 ნაყოფს ჭამს და 7500 ჭია შეჭამს 225000 ნაყოფს. ქალაქში მაშინ აღურიცხავთ 780350 სული. (შუმერში) მეფე ალულის უმეფია 28800 წელიწადი, მეფე ლუმუზუს — 36000 წელიწადი, მეფე ესმეენდუანას — 43200 წელიწადი, ხუთი ქალაქის რვა მეფეს სულ უმეფია 241200 წელიწადი. კრწანისის ბრძოლა გაიმართა 1795 წელს.

რიცხვითი სახელი ჩაწერეთ არაბული ციფრებით:

მოსახლეობის მიხედვით საქართველო მსოფლიოში ოთხმოცდამე-თექვსმეტე ადგილზეა. გრიგოლ ხანძთელი თავისი დაბადებიდან ასმეორე წელს გარდაიცვალა. სად არის სამასმეორეთე არაგველი? ყოველი მეთათსე ჯარისკაცი ერთკვირიანი შვებულებით დაჯილდოვდება. პურის რიგში ასოცდამეათე აღმოეჩნდა. ქართული რომანტიზმი ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. მთელი რაიონის მასწავლებლები ას-სამოცდამეცხრამეტე სკოლაში შეკრებილიყვნენ. ზოგი ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრობს, ზოგი ჯერაც მეცხრამეტე საუკუნეშია ჩარჩენილი. ველარ გადავიხადეთ მწერლის დაბადების ოთხმოცდამეხუთე წლისთავი. თინამ პირველი ტომარა სხვა ბარგთან მიღვა, მეორე ზედ დაადო. ხუმრობა ხომ არ არის, ოთხმოცდამეორეში გადავდექი. ჭადრაკის გამომგონებელმა სეტამ ინდოეთის უფლისწულს (მეექვსე საუკუნე) ჯილდოდ მოსთხოვა ხორბალი იმ ანგარიშით, რომ ჭადრაკის დაფის პირველ უჯრას შეესაბამებოდა ერთი მარცვალი, მეორეს — ორი, მესამე უჯრას — ოთხი, მეოთხეს — რვა, მესუთეს — თექვსმეტე მარცვალი... ლუდოვიკო მეცამეტეს არ ეშინოდა ამ კვიმატი რიცხვის.

იბოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

მხოლოდ გუნდგუნდად მოსული იხეები თუ შეძრავდნენ იმის ზედპირს. ლამის ბინდ-ბუნდში თანდათან გამოიკვეთა ფრთა მოტეხილი ციხედარბაზი. უწვერ-ულვაშო და პირ-ტიტველი ბიჭები ჯარში მიდიოდნენ. ადრე გაზაფხულზე კი არე-მარე ათასფრად აჭრელდა. ცხენიდან ძირს გადმოთავდო თავ-მომწონე მხედარი. მაღალ მთაში წარმოშობილი მყინვარები ნელნელა მოცურავს ქვემოთ. დაჭრილებს სიცოცხლის ნიშან-138

წყალი მთლიანად დაჰკარგოდათ. საქონელი შეესია იმ ნაძიანს ბალახ-ბულახს. გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ. ეს გვარი დარქმევია მამაჩემს... ქალაქელებისაგან (ცოტა-მატანი კი არ არიან ქალაქელები!), რადგანაც მამა-პაპა ჩემი შეჯღასენი ყოფილან. ერთი მზეთუნახავი თურმე ყოველ დილ-დილობით მოდიოდა წყაროსთან. — დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? — ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავის თავსა. გომურის შორი-ახლო ბოძებზედ შემდგარს შალალ სათივეზედ აღგმევიანებდა. გაღვიძებულმა ფრინველებმა შემოსძახეს მამა-პაპური სიმღერა და არე-მარეს დამატკობელი ხმები მოეფინა. ამ წინადადებას დარბაზში შარი-შური და ხმაური მოჰყვა.

შეარჩიეთ და ჩასვით სწორი ფორმა:

გაჭირვებულ ხალხს არ ჰქონდა (ლუქმა-პური, ლუქმა პური, ლუქმაპური). პოლიტიკური ვითარება იძაბება (დღითი-დღე, დღითიდღე, დღითი დღე). უკვე ჩაეღილი იყო დღეები (აგ-ბედითი, აგბედითი, აგ ბედითი). სტუმარი ასეთი შეხედრით დარჩა (შეურაცყოფილი, შეურაცხოფილი, შეურაცყოფილი). თოჯინების სპექტაკლს ბავშვები ესწრებოდნენ (მცირე წლოვანი, მცირეწლოვანი, მცირე-წლოვანი). ქალაქის მოედანზე მოეწყო სანახაობა (არა ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი, არა-ჩვეულებრივი). ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ტყვეები ჩამოატარეს (ხელ-ფეხ შეკრული, ხელ-ფეხ-შეკრული, ხელფეხშეკრული). ყველა შენატროდა იმათ (მამა-შვილობას, მამაშვილობას). მწიფე კაკალი დაბლა ცვიოდა (პანტა-პუნტით, პანტაპუნტით). მდულარე ცრემლები წურწურით ჩამოდიოდნენ (წვერ ულვაშზე, წვერ-ულვაშზე, წვერულვაშზე). ციხის კარიბჭესთან დარაჯი იდგა (გრძელ-ულვაშა, გრძელულვაშა, გრძელ ულვაშა).

შეამოკლეთ ხაზგასმული სიტყვები:

XX საუკუნის 1961-64 წლები გარდამტეხი აღმოჩნდა ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში. მომდევნო მაგალითები უკვე სხვაგვარ ტენდენციასზე მეტყველებენ; შეადარეთ... მართალია, გერეთწოდებული ოპოზიცია ძალიან ხმაურობს, მაგრამ ბევრს ვერაფერს შიალწევს. ხშირად ხმარობენ გამთთქმებს: ცხრათევალა მზე, ცხრა მთას იქით, ცხრაკლიტული, მეცამეტე გოჭი და ასე შემდეგ. კახა საათში 5 კილომეტრს გაღის. 1863-1864 წლებში რუსეთის ჯარმა მთელი ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის ტერიტორია დაიკავა... ამრიგად 1801 წლიდან 1864 წლამდე რუსეთის

იმპერიამ მთელი კავკასია დაიპყრო. მაშინ აღნიშნული მაჩვენებელი 0,6 ჰექტრამდე გაიზარდა. კავკასიაში მიწაომოქმედება ზღვის დონიდან 2000-2500 ჰექტრამდე გვხვდება. აქ 1988 წელს მოპოვებულ იქნა მხოლოდ 400 ტონა მადანი.

განმარტეთ (გაშალეთ) შემოკლება:

მონაკვეთის გაყოფა ოქროს კვეთის საფუძველზე მოცემულია ევკლიდეს „საწყისებში“ (ძვ. წ. II ს.). დაცულია შაგიური კვადრატის ძირითადი პრინციპები (იხ. ნახ. №5). არაბებს მეტად აინტერესებდათ სრულყოფილი და ე. წ. მეგობარი რიცხვების შესწავლა. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო X (მეფობდა 1461-85 წწ.). მართლაც, მარცხენა რიგში მოთავსებულია ცნებები კეთილის, სინათლის, წრფის, მარჯვენისა და სხვ. ხოლო მარჯვენა რიგი მოიტაცეს ცნებებს ბოროტის, ბნელეთის, მრუდისა და ა. შ. ძალი საათში მ კმ. სიჩქარით დარბის. 2000 მ. სიმაღლეზე რადიაციის დონე ორჯერ მეტია. სურათზე მოჩანს მდ. არაგვის სათავეები. აქ ნალექების რაოდენობა 5,5 მმ.-ს შეადგენს. მწყობრიდან გამოვიდა 1000 ჰა ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე — 78 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე. ზღვის დონიდან 2500 მ.-ზე ზემოთ მცენარეთა სიმაღლე არ აღემატება 20-30 სმ.-ს.


ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ზმნის ფორმანარმოება, რომელშიც ძირითადად უღლებია იგულისხმება, როგორც ითქვა, ბევრად უფრო რთული სისტემაა, ვიდრე სახელების ბრუნება და რიცხვის წარმოება. ამ სირთულეს განაპირობებს ის, რომ ზმნის ცალკეული კატეგორიები (და ასეთი ბევრია) დამოუკიდებელ მიკროსისტემას ქმნის და ავტონომიურ გრამატიკულ ნუსებს ემორჩილება. კერძოდ, ცალ-ცალკე მოითხოვს გათვალისწინებას პირის, ასპექტის, გეზის, კონტაქტის და სხვათა მორფოლოგიური გამოხატვა ზმნაში. მათ შორის ორთოგრაფიული თვალსაზრისით ყურადღებას მოითხოვს რამდენიმე საკითხი.

1. პირის ნიშნების მართლწერა

ა) გ- პირველი პირის სუბიექტის ნიშანი

ორთოეპიის საკითხებზე საუბრისას უკვე აღინიშნა, რომ პირის ნიშანი გ- ზმნის ფუძის იმავე გ თანხმოვანთან და ბაგისმიერ უ, ლ ხმოვნებთან შეხვედრისას თითქმის არ ისმის (არ წარმოითქმის): ჩვეულებრივად, ამბობენ: *მე უთხარი* (და არა - *მე ვუთხარი*). წარმოთქმის ეს თავისებურება ზოგჯერ (არასაკმარისი ნიგნიერების შემთხვევაში) შესაბამის ფორმათა დანერვილობაშიც იჩენს თავს, რაც უხეშ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ის I და II პირის ფორმათა სრულ დამთხვევას განაპირობებს:



ამდენად, მორფოლოგიური პრინციპი მოითხოვს შესაბამის პოზიციებში გ- პირის ნიშანი შენარჩუნებულ იქნეს:

გ-გარჯიშობ, გ-გარცხნი, გან-გ-ვითარდი, მი-გ-ვარდები...

გ-უხმობ, გ-უყურებ, გ-ურჩევ, გ-უესებ, გ-ურჩობ...

გ-ოცნებობ, გ-ოფლიანდები, გა-გ-ოცდი, გა-გ-ორდი...

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი : პირის ნიშანი გ- დაკარგულია ორ ფორმაში: *მოგალ* და *მოა-ვედი*; მაგრამ ეს დარღვევად არ აღიქმება, რამდენადაც მათი შესაბამისი II პირის ფორმები ისედაც განსხვავებულია (*მო-ხვალ, მო-ხვედი*).

შ ე ნ ი შ ე ნ ა : 1. ზოგჯერ მეორე უკიდურესობაშიც ვარდებიან: ის, ვინც იცის, რომ I პირში გ- უნდა დანეროს, თითქოს ფუძის წინააღმდეგ "აღადგენს" მეორე გ-ს: *ე-ვოცნებობ, ე-ვურჩობ...* ამ ფორმების მცდარობა თვალში საცემი გახდება, თუ მათ შესაფერის II პირის ფორმებს გაუუკეთებთ (*შენ ვოცნებობ!..*).

2. მსგავსი დამთხვევა პირის ნიშნებისა ზმნის ფუძის თავკიდურა თანხმოვნებთან შეიძლება სხვა პირებშიც შეგვხედეს. მაგ. *გვ-გვრის, და-გვ-გვიანებია, და-გვ-გვალვითა...* *გ-გავს, გ-გ ზავნის, და-გ-გლეჯს...* მაგრამ ამგვარ შემთხვევებში შეცდომა ნაკლებ მოსალოდნელია.

როგორ შევამოწმოთ?

თუ ზმნა პირველი პირისაა, ანუ სუბიექტად შეენწყობა მე, ჩვენ ნაცვალსახელები, მას ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს (ანუ - მეორე პირისაგან უნდა განარჩევდეს) პირის ნიშანი გ-, გარდა ზემომითითებული ორი გამონაკლისისა (მო-ვალ, მო-ვედი).

ბ) ჰ- და ს- პირის ნიშნები

პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ეს პირის ნიშნები (ჰ- და ს-) ქართულ ენაში ორ პირთან გამოიყენებოდა – მეორე სუბიექტურსა და მესამე ირიბობიექტურ პირებთან.

ამათგან მეორე სუბიექტურმა პირმა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სრულიად დაკარგა პირის ნიშნის გამოვლენის უნარი. ამიტომ ნორმას წარმოადგენს ფორმები: *შენ გორავ, ფრინავ, კისკისებ, კვდები, ქსოვ, დგები, დუმხარ, ტირი, ცდები, ძლებ, ნვები, წამლაე...* (და არა: *ჰგორავ, ჰკვდები, ჰქსოვ... სდგები, სდუმხარ, სნვები, სწამლაე...*).

ამდენად, ჰ- და ს- პირის ნიშნები ზმნაში მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მესამე პირის ირიბი ობიექტი შეეწყობა. რომელია ირიბი ობიექტი?

ეს ისეთი ობიექტია, რომელიც ბრუნვას არ იცვლის – ყველა მწკრივში მიცემით ბრუნვაში დგას.

ამოსაცნობად უნდა გამოვიყენოთ წყვეტილის მწკრივი (კითხვა: რა ქნა?). თუ ამ მწკრივში ობიექტი მიცემითში აღმოჩნდა, ე. ი. ის ირიბია.

ამგვარად: ირიბი ობიექტის შეწყობა აუცილებელია იმისათვის, რომ ზმნამ შესაბამისი პირის ნიშანი გაიჩინოს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მაშინ, როცა შესაძლებელია ერთი და იგივე ზმნა აღმოჩნდეს ირიბი ობიექტით და მის გარეშე. შდრ.:

მო-წყვიტა (მან ყვავილი) – მო-ს-წყვიტა (მან ლეროს ყვავილი)

მო-ტეხა (მან ტოტი) – მო-ს-ტეხა (მან ზეს ტოტი)

და-წერა (მან წერილი) – მი-ს-წერა (მან ძმას წერილი)

გა-ყიდა (მან ვაშლი) – მი-ჰ-ყიდა (მან ქალს ვაშლი)

შე-დგა (ის ფეხით რალაცაზე) – შე-ს-დგა (ის მას ფეხით)...

ასე რომ, ირიბი ობიექტის მქონებლობა სრულიად აუცილებელი ყოფილა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მითითებული ირიბობიექტური პირის ნიშნები ყოველთვის გამოვლინდება. მაგალითად, ირიბი ობიექტი აქვს ზმნებს: *შე-ხედა (მან მას), შე-მატა (მან მას ის), და-ხურა (მან მას ის)...* მაგრამ პირის ნიშანი არა ჩანს.

სად ვეძებოთ ამისი მიზეზი?

ირიბი ობიექტთან ერთად, თურმე, ზმნის ფუძის გათვალისწინებაც აუცილებელი ყოფილა იმის დასადგენად, უნდა დაერთოს თუ არა მას რომელიმე აღნიშნული ნიშანი.

კერძოდ, გასათვალისწინებელია ორგვარი ვითარება:

1. თუ ზმნის ფუძე, რომელსაც უშუალოდ დაერთვის პირის ნიშანი, იწყება სამეულების (ხმულების) ნეკრი რომელიმე თანხმოვნით, პირის ნიშანი აუცილებელია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : არ არის აუცილებელი იმის დაზუსტება, რომელი პირის ნიშანი უნდა იყოს (ჰ- თუ ს-), ვინაიდან მათი აღრევა შეუძლებელია.

გავიხსენოთ, რომელი თანხმოვნებია სამეულები (ხმულები):

ბ დ ძ ჯ გ
პ ტ წ ქ ც ყ
ფ თ ც ჩ ქ

2. დანარჩენი ბგერებით (ხმოვნებითა თუ თანხმოვნებით) დანყებულ ფუძეებს მოსალოდნელი პირის ნიშანი არ დაერთვის.

ამგვარად, პირის ნიშანი აუცილებელია შემდეგ ირიბობიექტიან ზმნებში:

შე-ს-თავაზებს, შე-ს-წამებს, მი-ს-ცემს, მო-ს-ჭრის, მო-ს-ტაცებს, შე-ს-წირავს, წა-ს-ცხებს, ჩა-ს-ჩრის, ჩა-ს-ძახებს...

ს-წვევია, შე-ს-დავებია, და-ს-დებია, გა-ს-თამაშებია, გა-ს-დიდებია, შე-ს-ძულებია, მი-ს-ჩერებია, გა-ს-ტკობებია...

მო-ჰ-კვეთს, მო-ჰ-კრავს, წა-ჰ-კრავს, მო-ჰ-კითხავს, ა-ჰ-კიდებს, მი-ჰ-ყვება, მო-ჰ-პარავს, შე-ჰ-ბედავს, გა-ჰ-ჭრობია, მო-ჰ-კედომია, და-ჰ-ფრთხობია, გა-ჰ-ყინვია, გა-ჰ-ბედნიერებია, გა-ჰ-კარებია, და-ჰ-კარგვია...

პირის ნიშანი არ გამოჩნდება შემდეგ ირიბობიექტიან ზმნებში:

მო-ღრღნის, შე-მატებს, მო-აკლებს, გა-უვსებს, გადა-სახავს, მო-ხსნის, მო-ხლეჩს, მო-ხერხავს, გა-ვსებია, გა-ზრდია, გამო-ლაპარაკებია, და-მალვია, და-რღვევია, გა-ჟღერებია, გა-შეშებია, გა-ურჩებია...

საჭიროა საგანგებოდ დავიმახსოვროთ:

ჰ-ყავს, ჰ-გავს, ჰ-გონია, ჰ-ქვია...

ს-ჭირს, ს-წამს, ს-დის, მო-ს-წონს, ს-ძავს, ს-ცხებია, ს-ცივია, ს-ცხელა...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ირიბობიექტის ეს ნიშნები პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან აღარ გამოიყენება: *შე-ვ-წირავ, მო-ვ-პარავ, მო-ვ-წყვეტ; და-ვ-კარგევიარ...* (და არა: *შე-ვ-ს-წირავ, მო-ვ-ს-წყვეტ...*).

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ე ბ ი : დასტურდება ხუთიოდე ისეთი ზმნა, რომელთაც ირიბობიექტი არ უჩანს, მაგრამ პირის ნიშანი -ს აუცილებელია; ასეთებია:

გატანს — გატანა — გატანოს:

კონცერტმა ორ საათს გასტანა.

გასწევს — გასწოა — გასწოოს:

პაპუნამ გაბრაზებით გასწია შინისაკენ. კარგი ქეიფი გასწიეს.

ასწევს — ასწოა — ასწოოს:

ამაყად ასწიეს თავი დათოვლილმა გოლიათებმა.

გამოსცემს — გამოსცა — გამოსცეს:

მწერალმა ერთტომეული გამოსცა. სარდალმა ბრძანება გამოსცა.

გასცემს — გასცა — გასცეს:

ქალმა ხმა არ გასცა დედას. ვინ გასცა ბრძანება?

დასძენს — დასძინა — დასძინოს:

გამომსვლელმა ბოლოს დასძინა...

ასევე უნდა დავიმახსოვროთ პირის ნიშნის ქონა თუ არქონა ზოგ ვავრცელებულ გამონათქვამში:

ერთი მხრივ: *თავს დადებს, ხანი დაყო, შედეგები ცნო, შეუძლებელი შეძლო, თავს განირაგეს, თავს (ვერ) გამოყოფს...*

მეორე მხრივ: *გაკვეთილს მოჰყვება, კბილებში გამოსცრა, ბრალს სდებს, რას სჩადის, შესცოდა, საკითხს ნამოსწევს, მტერს სძლევეს, კანი ასძვრა, თვალი ვერ მოსწყვიტა, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყვებს...*

როგორ შევამოწმოთ?

საეჭვო ფორმის შემონმებისას თანმიმდევრულად უნდა დავიცვათ შემდეგი ორი პირობა:

1. *შეწყობა თუ არა ზმნის ირიბი (ბრუნვაუცვლელი) ობიექტი?*

2. *ინყება თუ არა ზმნის ფუძე რომელიმე ხშული თანხმოვნით?*

ორივე დადებითი პასუხი – პირის ნიშანია, თუნდაც ერთი უარყოფითი – არა.

2. ზმნისწინების მართლწერა

თანამედროვე ქართულში ზმნას დაერთვის შემდეგი ზმნისწინები:

ა-, და-, გა-, შე-, ჩა-, გადა-, ნა-, მი-

ამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, გადმო-, ნამო-, მიმო-

ამათგან, როგორც სისტემიდან ჩანს, მეორე რიგის ზმნისწინები პირველთაგან მო- ზმნისწინის დამატებით არის წარმოქმნილი.

თუ პირველი რიგის ზმნისწინებს ავიღებთ, ძველად მათს უმეტესობას განსხვავებული, უფრო სრული სახე ჰქონდა. სახელდობრ:

| | | | | | |
|-------|-----|------------------|------|--------|------------------|
| ახალი | ა- | გა- | ჩა- | გადა- | ნა- |
| ძველი | აღ- | გან ^ა | შთა- | გარდა- | ნარ ^ა |

ზმნისწინების გამოყენების მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ქართულში ახალი ზმნისწინების გვერდით მათი ძველი ვარიანტებიც ისევე ფუნქციონირებს. კერძოდ:

ა) ზოგ ზმნასთან ძველი ზმნისწინი ერთადერთია:

აღ-დგენა, აღ-მავლობა, აღ-ჭურვა, გან-მარტება, გან-ხილვა, გან-სჯა, გან-ცხრომა, გარდა-ცვალება, წარმო-დგენა, წარმო-შობა, წარმო-თქმა, შთა-ბეჭდილება...

ბ) ზოგჯერ კი ზმნა ორივე სახის ზმნისწინის დაირთავს, ოღონდ ძველი და ახალი ზმნისწინები მას განსხვავებულ შინაარსს ანიჭებენ; შდრ.:

აღზრდა - აზრდა, განცხადება - გაცხადება, აღდგომა - ადგომა, შთაგონება - ჩაგონება და მისთ.

ძველ და ახალ ზმნისწინთა თანაარსებობა მათ აღრევასა და ზოგ ორთოგრაფიულ უზუსტობას (დარღვევას) განაპირობებს. ამისი მიზეზი ძირითადად ის არის, რომ ენის თანამედროვე მომხმარებელი, როგორც ჩანს, ნამდვილ ზმნისწინად ძველი ზმნისწინის მხოლოდ იმ ნაწილს აღიქვამს, რომელიც ახალ ზმნისწინს ემთხვევა, „ზედმეტ“ ნაწილს კი ზმნის ფუძეს მიაკუთვნებს. ამგვარი აღრევის ორი სახესხვაობა ვლინდება:

1. ძველი ზმნისწინი პირის ან ქცევის ნიშნებით არის გათიშული, მისი მთლიანობა ამ ნიშნებით არის დარღვეული:

ა-ვ-ღნიშნავ, ა-უ-ღნიშნავს (უნდა იყოს: *აღ-ვ-ნიშნავ, აღ-უ-ღნიშნავს*); *გა-ვ-ნავრძე* (უნდა იყოს: *გან-ვ-ავრძე*).

2. უფრო ხშირად კი იმ მსკრივებში, რომლებიც უზმნისწინოდ უნდა იყოს ნარმოდგენილი, ძველი ზმნისწინის ჩამოცილების შედეგად მისი ბოლო, თანხმოვნითი ნაწილი ზმნის ფუძეს მიჰყვება:

ღზრდის, ანთავისუფლებს, ანხორციელებს, აადგენს... (უნდა იყოს: *ზრდის, ათავისუფლებს, ახორციელებს, ადგენს...*).

ამგვარად, უნდა გავითვალისწინოთ ძველ ზმნისწინიან ფორმათა შემდეგი მართებული ნარმოება:

გან-ცხადება - გან-ვ-აცხადე - ვ-აცხადებ - გან-მ-ი-ცხადებია...

გან-თავისუფლება - გან-ვ-ათავისუფლე - ვ-ათავისუფლებ - გან-მ-ი-თავისუფლებია...

* ზოგ ფორმაში, როცა ეს ორაზროვნებას არ იწვევს, შეიძლება გა-ზმნისწინიც გამოვიყენოთ: *გა-მ-ი-თავისუფლებია* და მისთ.

გან-ცვიფრება - გან-ვ-აცვიფრე - ვ-აცვიფრებ - გან-მ-ი-ცვიფრებია...
გან-სახიერება - გან-ვ-ასახიერე - ვ-ასახიერებ - გან-მ-ი-სახიერებია...
გან-ხორციელება - გან-ვ-ახორციელე - ვ-ახორციელებ -
გან-მ-ი-ხორციელებია...

გან-ზოგადება - გან-ვ-აზოგადე - ვ-აზოგადებ - გან-მ-ი-ზოგადებია...
გან-რისხება - გან-ვ-არისხე - ვ-არისხებ - გან-მ-ი-რისხებია...
გან-მტკიცება - გან-ვ-ამტკიცე - ვ-ამტკიცებ - გან-მ-ი-მტკიცებია...
გან-კურნა - გან-ვ-კურნე - ვ-კურნავ - გან-მ-ი-კურნავს...
აღ-ზრდა - აღ-ვ-ზარდე - (აღ) ვ-ზრდი* - აღ-მ-ი-ზრდია...
აღ-შფოთება - აღ-ვ-აშფოთე - აღ-ვ-აშფოთებ - აღ-მ-ი-აშფოთებია...
აღ-ფრთოვანება - აღ-ვ-აფრთოვანე - (აღ) ვ-აფრთოვანებ -
აღ-მ-ი-ფრთოვანებია...

აღ-ნიშვნა - აღ-ვ-ნიშნე - აღ-ვ-ნიშნავ - აღ-მ-ი-ნიშნავს...
წარ-დგენა - წარ-ვ-ადგინე - (წარ) ვ-ადგენ - წარ-მ-ი-დგენია...
ცხადია, ასევე გაუთიშველად უნდა იყოს წარმოდგენილი ზმნისნი-
ბები შესაბამის ქცევის ფორმებში: გან-ი-კურნა (თავი), გან-უ-ცხა-
დებს, წარ-უ-დგენს, აღ-უმართავს, აღ-ი-დგენს და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ზმნისნინი ფუძის ნაწილად ქცეულა შემდეგ ზმნებში:
ვალღარებ, მალღარებელი... ავალღორძინებ, ასალღორძინებელი...
ვშთანთქავ (მღრ.: შთანმთქმელი)...

რო გ ო რ შე ე ვ ა მ ო ნ მ ო თ ?

ამ შემთხვევაში საკონტროლო ფორმად გამოდგება ზმნის საწყისი:
თუ საწყისს რომელიმე ძველი ზმნისნინი უდასტურდება (აღ-, გან-,
წარ-), შესაბამისი ზმნის პირიან ფორმებში, პირის ან ქცევის ნიშნების
ნინ, ეს ზმნისნინი ან სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი, ანდა -
მთლიანად ჩამოცილებული.

იმავე საწყისმა უნდა გვიკარნახოს, რა არის სინამდვილეში ზმნის
ფუძე.

* ამგვარ შემთხვევებში, როდესაც უზმნისწინო ფორმა ორგვარ შინაარსს შეიცავს
(„აღზრდა“ და „გაზრდა“), უმჯობესია აწმყოშიც უზმნისწინიანი ფორმა გამოვიყენოთ: აღ-
ზრდი, აღ-ვ-ნიშნავ წარ-ვ-ადგენ...

3. თემის ნიშნის გაჩენის ტენდენცია ზმნათა ერთ ჯგუფში

თემის ნიშანი ის დაბოლოებაა, რომელიც ზმნის ფუძეს დაერთვის ან-
მყოსა და, საერთოდ, I სერიის ყველა მწკრივში: *ხატ-აჲ, დგ-აჲ, აშენ-ებ...*

მაგრამ ქართულში ისეთი ზმნებიც არსებობს, რომელთაც ანმყოს
(I სერიის) ფუძე თემის ნიშნის გარეშე ეწარმოება. ასეთი პირველ რიგში
ზმნათა ის ჯგუფია, რომელსაც ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ზმნებს ეძახიან.

ფუძედრეკადი ზმნების თავისებურება ის არის, რომ ისინი ანმყო-
დან (I სერიიდან) წყვეტილში (II სერიაში) გადასვლის დროს ხმოვანს
იცვლიან – ანმყოში ე ხმოვანი აქეთ, წყვეტილში – ი:

დრეკს – დრიკა, ხლეჩს – ხლიჩა,

წყვეტს – წყვიტა, გლეჯს – გლიჯა...

სრულიად ნათელია, რომ ანმყოს (I სერიის) ფორმებს თემის ნიშანი
არ სჭირდება: *დრეკს – დრეკდა – მოდრეკს... ხლეჩს – ხლეჩდა – გა-
ხლეჩს...* მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ამგვარმა ზმნებმაც თემის-
ნიშნიანი ზმნების გავლენა განიცადა და გაჩნდა არასწორი ფორმები:

წმინდ-აე-ს ან წმინდ-აე-ს, ცვეთ-აე-ს ან ცვით-აე-ს,

*გლეჯ-აე-ს ან გლიჯ-აე-ს, ყვლეფ-აე-ს ან ყვლიფ-აე-ს და
მისთ.*

როგორ ავიცილოთ თავიდან სალიტერატურო ენაში ცოცხალი
(კუთხური, ჟარგონული) მეტყველების ამგვარი გავლენა, ანუ –

როგორ შევამოწმოთ:

*საკონტროლოდ უნდა გამოვიყენოთ ამგვარ ზმნათა შედარებით
სტაბილური ორი ფორმა: ს ა ნ ყ ი ს ი ს (დრეკა, წყვეტა, ცვეთა, ყვლე-
ფა...) და ნ ყ ვ ე ტ ი ლ ი ს (რაქნა?) (დრიკა, წყვიტა, ცვითა, ყვლიფა...).*

*თუ მათი ფუძის ხმოვანი განსხვავებულია (ე-ი), ეს იმას ნიშნავს,
რომ ზმნა თემის ნიშანს არ მოითხოვს.*

ცალკე უნდა დავიმახსოვროთ იმ ზმნათა მცირე ჯგუფი, რომელ-
თაც, მართალია, ფუძედრეკადობა არ ახასიათებს, მაგრამ თემის ნი-
შანს მაინც არ დაირთავენ:

იხვეჭს – იხვეჭდა – მოიხვეჭს...

კვეთს – კვეთდა – გაკვეთს ...

ტეხს – ტეხდა – გატეხს (ტ ე ხ ა ე ს ჟარგონულია)...

კვეცს – კვეცდა – შეკვეცს..

ჩეხს – ჩეხდა – დაჩეხს...

იჩეჩს – იჩეჩდა – აიჩეჩს...

ზოგი მსგავსი ზმნა კი უკვე გადასულა - ავ თემისნიშნიან ფუძეზე:

რეკავს, ბერტყავს, კეცავს, ლეწავს, რეცხავს, ჳედავს...

ამ შემთხვევაშიც საკონტროლოდ შეიძლება გამოვიყენოთ შესაბამისი სანყისის ფორმები: -აჲ თემისნიშნიან ჳმნებს სანყისის ფორმაში თემის ნიშნის ნაშთი გადაჳყვება: *ბერტყვა, ლენვა, რეცხვა...* ხოლო უთემისნიშნო ჳმნებს – არა: *ხვეჭა, კვეთა, კვეცა...* თუმცა აღნიშნული დარღვევები ზოგჯერ სანყისებშიც იჩენს თავს.

შენიშვნა: ფუძედრეკადი (და სხვა უთემისნიშნო) ჳმნების ეს თავისებურება I თურმეობითშიც (*რა უქნია?*) უნდა იქნეს გათვალისწინებული – თემის ნიშანი აქაც დაუშვებელია: *მოუნყვეტია* (და არა – *მოუნყვეტავს*), *გაუხლერია*, *გაუნმენდია*, *გაუყვლეფია*, *მოუხვეჭია*, *შეუკვეცია* და სხვ.

4. -ამ თემის ნიშნის შენარჩუნებისათვის

-ამ თემის ნიშანს ტრადიციულად ჳმნათა მეტად მცირერიცხოვანი ჯგუფი დაირთავს:

ვაბ-ამ, ვაბ-ამ-დი, დამიბ-ამ-ს...

ვდგ-ამ, ვდგ-ამ-დი, დამიდგ-ამ-ს...

წარმოვთქე-ამ, წარმოვთქე-ამ-დი, წარმომთქე-ამ-ს...

ვარტყ-ამ, ვარტყ-ამ-დი, დამირტყ-ამ-ს...

ვსვ-ამ, ვსვ-ამ-დი, შემისვ-ამ-ს...

ვუსვ-ამ, ვუსვ-ამ-დი, წამისვ-ამ-ს...

ვასხ-ამ, ვასხ-ამ-დი, დამისხ-ამ-ს...

ალვიქე-ამ, ალვიქე-ამ-დი, აღმიქე-ამ-ს...

ვიცე-ამ, ვიცე-ამ-დი, ჩამიცე-ამ-ს...

ამავე დროს, -აჲ თემისნიშნიან ჳმნათა გავლენით გაჩნდა ტენდენცია, რომ ეს ჳმნებიც -აჲ-იან წარმოებაზე გადავიდნენ; ასე ჩნდება არასწორი ფორმები:

სვავს (წყალს), ისვავს (ხელს), მარტყავდა (ჯოხს) და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ერთი ამ ჳმნათაგანი უკვე გადავიდა -აჲ დაბოლოებაზე; კერძოდ, უპირატესობა ენიჭება ფორმებს: *ნთქავს, შთანთქავს || ჩანთქავს, ჩაუნთქავს* (მდრ.: *ჩანთქმა, შთანთქმული*).

რო გ ო რ შე ე ვ ა მ ო ნ მ ო თ ?

-ამ თემის ნიშნის ნაშთი (შ) გამოჩნდება შესაბამის სანყის-მიმღეობებში: *დაბშა, დარტყმული, მსშელი...* რის საფუძველზეც შეიძლება ჳმნურ ფორმათა სწორი წარმოება.

5. ფუძემონაცვლე ზმნათა თავისებურებანი

ქართულ სალიტერატურო ენას დღემდე შემოუნახავს უძველეს ზმნათა ერთი მცირე ჯგუფი, რომლის თავისებურება ის არის, რომ ისინი უღლებისას არა მხოლოდ თავსართ-ბოლოსართებს, არამედ თვით ფუძესაც იცვლიან. ამიტომაც ჰქვია მათ ფუძემონაცვლე ზმნები.

მაგალითად: ანწყოშია ზის, ხოლო ნყვეტილში დაჭდა;

ასევე: დაჭდა (სტუმარი), მაგრამ დასხდნენ (სტუმრები);

დასვა (მან სტუმარი), მაგრამ დასხა (მან სტუმრები)...

ფუძემონაცვლე ზმნებს განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ მაშინ, როცა სუბიექტის ან ობიექტის რიცხვი იცვლება, რისი ნიმუშიც არის ბოლო ორი მაგალითი.

ამგვარად ფუძემონაცვლე ზმნებია:

1. ზის – სხედან, დაეჯექი – დაგსხედით, დამჯდარა – დამსხდარან...

ასევე სანყის-მიმღებობებში: ჯდომა – სხდომა (ხალხის), დამსხდარი (სტუმრები)...

2. ჩაუარდება – ჩაცვივდებიან, ჩაუარდა – ჩაცვივდნენ, ჩაუარდნილა – ჩაცვენილან...

3. კედება – იხოცებიან, მოკედა – დაიხოცნენ, მომკედარა – დახოცილან...

4. კლავს – ხოცავს, მოკლა – დახოცა, მოუკლავს – დაუხოცავს...

5. (ა)გდია – ყრია, ეგდო – ეყარა, გდებულა – ყრილა...

6. აგდებს – ყრის, დააგდო – დაყარა, დაუგდია – დაუყრია...

7. დასვამს – დასხამს, დასვა – დასხა, დაუსვამს – დაუსხამს...

8. ტეხს – ამტვრევს, გატეხა – დაამტვრია, გაუტეხია – დაუამტვრევია...

9. აიღებს – აკრეფს, აიღო (კენჭი) – აკრიფა (კენჭები)...

ამრიგად, როცა სუბიექტი (მოქმედი პირი) მრავლობით რიცხვში დგება, ზმნის ფუძეც იცვლება და სუბიექტის მრავლობითის ნიშანიც ჩნდება. შდრ.:

ის ჯდება – მაგრამ: ისინი სხდებიან,

ის ჩაუარდა – მაგრამ: ისინი ჩაცვივდნენ...

მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი შემთხვევები, როდესაც სუბიექტად უსულო საგნის ებიანი მრავლობითი ან კრებითი სახელი გვევლინება. ამიტომაც ზმნაში მრავლობითის ნიშანი არ გამოჩნდება, მხოლოდ ფუძე შეიცვლება. შდრ.:

ძალღები მისცვივდნენ – მაგრამ: ზროფა მისცვივდა

აქლემები დაცვივდნენ – მაგრამ: მძივები დაცვივდა

კაცები დასხდნენ – მაგრამ: ხალხი დასხდა

ცხვრები დაიხოცნენ – მაგრამ: ფარა დაიხოცა...

შენიშვნა: როგორც გამოჩნდა, კრებითი სახელები ისევე იწვევს ფუძის მონაცვლეობას, როგორც ჩვეულებრივი მრავლობითი. ასევეა ეს მაშინ, როცა კრებითი სახელი ობიექტია: **ხალხი დასხა, რაზმი დახოცა, ფეტვი დაყარა** და მისთ.

როგორ შევამოწმოთ?

საკონტროლოდ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი პირობა:

თუ სუბიექტ-ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად ჩნდება (შესაძლებელია არსებობდეს) პარალელური ფორმები (ჯდომა – სხდომა, გდება – ყრა...), მაშინ უნდა ავიჩრიოთ ის, რომელიც მხოლოდ მრავლობითს გამოხატავს (დასხა ერთზე არასოდეს ითქმის, დასვა ფორმით კი შეიძლება ერთიც გამოხატონ და – შეცდომით – მრავალიც).

6. ორპირიანი გარდაუვალი ზმნების III სერიის ფორმები

სხვადასხვა აგებულების ორპირიან გარდაუვალ ზმნებს III სერიის მწკრივთა (კერძოდ, II თურმეობითისა და III კავშირებითის) წარმოება აერთიანებს – მათ აქ, სხვა ზმნებისაგან განსხვავებით, -ოდ დაბოლოება უჩნდება:

*ხვდება – შეხვედრია, შეხვედროდა, შეხვედროდეს
უშრება – გაშრობია, გაშრობოდა, გაშრობოდეს
ელოდება – დალოდებია, დალოდებოდა, დალოდებოდეს
უდგას – დასდგომია, დასდგომოდა, დასდგომოდეს
უჩანს – გამოსჩენია, გამოსჩენოდა, გამოსჩენოდეს...*

ზოგჯერ სალიტერატურო ქართულში, სხვადასხვა კუთხური მეტყველების გავლენით, მითითებულ კანონიერ (-ოდ-იან) ფორმებს მოცილე დიალექტური ფორმები უჩნდება:

*შეხვედროდა – შეხვედრიყო – შეხვედრილიყო...
დალოდებოდა – დალოდებიყო – დალოდებულიყო...
გაშრობოდა – გაშრობიყო...
დასდგომოდა – დასდგომიყო...*

„გვიანი მგზავრებიც თავიანთ გზას გასდგომიყენენ“.

„დაუნდობელი მტრები ჯერ ერთმანეთს პირისპირ არ შეხვედრილიყენენ“

ცხადია, ამ შემთხვევაში -ოდ დაბოლოებიანი ფორმები ერთადერთი კანონიერი წარმოებაა.

როგორ შევამოწმოთ?

თუ შევეიძლია იმის დადგენა, რომ ორპირიანი ზმნა გარდაუვალია, მაშინ -ოდ დაბოლოებიანი წარმოებაც არ გაგვიჭირდება. თუ –

არა, მიემართოთ შექანიკურ წესს: თუ აღნიშნული მსკრივეების მოცილე ფორმათა რიგში -ოდ დაბოლოებიანიც მოსალოდნელია, მაშინ ის ერთადერთი კანონიერი ფორმა იქნება.

7. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა

შუალობითი კონტაქტის ფორმები, რომლებიც სხვისი ინციატივით, სხვისი იძულებით შესრულებულ მოქმედებას გამოხატავენ, ორგვარი დაბოლოებით იწარმოება: -**დნ** და -**ეფ**.

წერს - აწერ-ინ-ებს

შლის - აშლ-ეფინ-ებს

გრებს - აგრებ-ინ-ებს

ცვლის - აცვლ-ეფინ-ებს

ტებს - ატებ-ინ-ებს

ჭრის - აჭრ-ეფინ-ებს

ჭყლეთს - აჭყლეთ-ინ-ებს

ღერის - აღერ-ეფინ-ებს

აშენებს - აშენებ-ინ-ებს

წვავს - აწვ-ეფინ-ებს

მაგრამ ასევე ცოცხალი (კილოური) მეტყველების გავლენით შეიძლება შეეხვდეთ შუალობითი კონტაქტის ფორმათა ნაირგვარ დანერილობას:

ანერიებს, ატებიებს, აშენებიებს, დააგრებია, დაუგრებიებია, აშლეინებს, გააშლეინა, შეაცვლევიან, მოაჭრევიან...

„მომღერალმა დღეში ორჯერ შე ა ც ვ ლ ე ი ნ ა ვარცხნილობა“.

„რა გამაძლებიებს სოფელში ამ ზამთარს?!“

შენიშვნა: 1. თუკი შუალობითი კონტაქტის ფორმა -**ავ** და -**ამ** თემისნიშნისანი ზმნებისაგან არის ნაწარმოები, თემის ნიშნის ნაშთი აუცილებლად გადმოჰყვება: ხატავს - დაახატვინა, თიბავს - მოათიბვინა, დგამს - ადგმევიანებს... ან გადასმული სახით: კლავს - აკვლევიანებს, ხნავს - ახვნევიანებს... (და არა: დაახატვინა, მოათიბინებს...).

2. შუალობითი კონტაქტის -**ინ** დაბოლოებას იყენებს ზოგი ზმნა II თურმეობითისა და III კავშირებითის ნარმოებისას, რაც ასევე შეწარჩუნებული უნდა იქნეს: აეშენებ-ინ-ა, გაეუმჯობესებ-ინ-ა, მოემთავრებ-ინ-ა... (და არა: აეშენებია, დაეპატიებია...).

8. შედგენილი შემასმენლისა და ე. წ. აღწერილობითი ვნებიითის მართლწერის ზოგი თავისებურება

აღწერილობით ვნებითს უწოდებენ ისეთ ორწევრიან ზმნურ ერთეულს, რომელიც მიმღობისა და იქნა (იქნება, იქნეს) მეშველი ზმნისაგან

შედგება და რომელიც სალიტერატურო ენაში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ზმნას ჩვეულებრივი ვნებითის წარმოება არ უხერხდება:

კანონპროექტი შემოთავაზებულ იქნა დეპუტატთა ჯგუფის მიერ, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა.

შედგენილი შემასმენელიც, როგორც ცნობილია, ძირითადად მიმლეობისა და მეშველი ზმნის (*ვარ, ვიყავი, ვიქნები*) შეერთებით არის მიღებული:

რაც უარყოფილი იყო, ის აღარც იქნება განხილული.

მეშველი ზმნის პოზიცია ორივე ამ შემთხვევაში თავისუფალია – შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მიმლეობას. მაგრამ ამ პოზიციის მიხედვით შესაბამის მიმლეობათა ფორმა არის განსხვავებული:

ა) შედგენილ შემასმენელში მიმლეობა ყოველგვარ პოზიციაში სახელობითში დგას: *აშენებული იყო, იყო აშენებული...*

ბ) აღწერილობით ვნებითში კი წინ მდგომი მიმლეობა ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი: *განადგურებულ იქნა (იქნეს), მაგრამ: იქნა განადგურებული...*

გ ა ვ ი თ ვ ა ლ ი ს ნ ი ნ ო თ : თუ ამგვარი ფორმა (შედგენილი შემასმენელი თუ აღწერილი ვნებითი) შესაბამისი ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს, მაშინ მრავლობითობა აისახება მეშველ ზმნაში და არა მიმლეობაში: *უზრუნველყოფილი არიან, მონადინებული ვიყავით, განადგურებულ იქნენ...* (და არა: *უზრუნველყოფილნი არიან, განადგურებულნი იქნენ...*).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ამგვარი აღწერილობითი ფორმები მეტად დამახასიათებელი გახდა თანამედროვე ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის და მათ საკმაოდ ხელოვნური (არაბუნებრივი, მანერული) იყრი აქვს. ამიტომაც, პირველ რიგში, თავი უნდა ავარიდოთ მათ ხმარებას იქ, სადაც ბუნებრივი (ორგანული) ვნებითის გამოყენება შეიძლება.

მაგალითად: მიუღებელია *„სადაც დარწეულ იქნა მწერლის აკვანი“*, როცა შესაძლებელია *„სადაც დაირწა მწერლის აკვანი“*...

მეორეც: სადაც ეს შესაძლებელია, უფრო ბუნებრივი ქართულია ე. წ. გაუპიროვნებელი აქტივის მრავლობითის ფორმა, ვიდრე აღწერილობითი ვნებითი:

ნუხელ გაანადგურეს მტრის საცეცხლე ნერტილი (შდრ.: *განადგურებულ იქნა...*); *ცენტრალურ მოედანზე აიღეს სავაჭრო ჯიხურები* (შდრ.: *აღებულ იქნა...*) და მისთ.

9. ზოგად რთულფუძიანი ზმნის მართლწერისათვის

ზმნათა ერთი ნაწილის ფუძე ქართულში რთული შედგენილობისაა – ისტორიულად ორი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთებით არის წარმოქმნილი:

შეურაცხყოფ-ს, ცხადყოფ-ს, ავადმყოფობ-ს, ძალუძ-ს...

ასეთი ზმნები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: როგორც ვხედავთ, ერთნი წარმოქმნილან სახელზე ყოფს (ყო) მეშველი ზმნის დართვით (ცხადყოფს, ნათელყოფს...), მეორენი კი უშუალოდ რთული ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნებია (ავადმყოფობ-ს, გულშემატიკვობ-ს...).

ამგვარ ფორმებში ზმნური შინაარსის მატარებელი იყო მეორე კომპონენტი, ამიტომაც ის დაირთავდა შესაბამისი პირისა თუ მიმღებობის თავსართებს:

ცხად-გ-ყოფ, უზრუნველ-მ-ყოფელი...

მაგრამ ენაში დროთა განმავლობაში თავი იჩინა პირის ნიშნების გადანაცვლების ტენდენციამ ამგვარი რთული ფორმების თავში; ასე ჩნდება არასწორი ფორმები:

*არ მახსოვს, როგორ შევეურაცხყავი ჩემი მეზობელი;
თქვენ გძალუძთ განკურნოთ და გააბედნიეროთ ერი.*

ამავე დროს, მეორე ტიპის ზმნებში შესაბამისი პირის ნიშნები ძირითადად ფორმის თავში დამკვიდრდა: *გ-ქედმაღლობ, გ-იქედმაღლია...*

ამგვარად, ერთი მხრივ, სწორი ფორმებია:

ცხადყოფ, ცხადყავი, ცხადმიყვია; შეურაცხყოფ, შეურაცხმიყვია; უარყოფ, უზრუნველყოფ, უვნებელყოფ, უგულუბელყოფ, უარყოფ, ხელყოფ, სრულყოფ, ძალმიძს, ხელმეწიფება, უკუეგადებ... (და არა: *ვცხადყოფ, ვუარყოფ, ვსრულყოფ* და მისთ.).

მეორე მხრივ: *ვავადმყოფობ, ვგულშემატიკვობ, ვენამახვილობ, ვზედამხედველობ, ვთავკაცობ, ვთავმჯდომარეობ, ვთანამშრომლობ, ვთვალთმაქცობ, ვსულდგმულობ, ვქედმაღლობ, ვშუამდგომლობ, ვინამძღობ...* (და არა: *ავადმყოფობ, უედმაღლობ* და მისთ.).

შენიშვნა: უარყოფს ტიპის ზმნებს მცდარი ფორმები უჩნდება III სერიის მწკრივებშიც: *შაბანოეს არ უარყვია, რომ ეს პრეზიდენტის ძლიერი სვლა იყო.*

მართებულია: *უარუყვია, უარუყო, უარეყოს...*

¹ უვნებელყოფა ფორმის გვერდით არსებობს ზმნისწინიანი გაუვნებლება (გაუვნებლა) ფორმაც, რაც ხდება მიზეზი ამგვარი მცდარი ფორმის წარმოქმნისა: „უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ნაღმის გაუვნებელყოფა მოახერხეს“.

სიტყვათა ფუძეში ვ ბგერის დაკარგვისა და გაჩენის ზოგი კანონზომიერება

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ნარმოაჩენს, რომ ვ ბგერა, იქნება ის სიტყვის ძირისეული თუ თავსართ-ბოლოსართების ნაწილი, საკმაოდ არასტაბილურია მეზობელ ბგერათა ფონეტიკური გავლენის (ზემოქმედების) მიმართ. კერძოდ, ზეპირმეტყველებაში ის ხშირად იკარგება გარკვეულ პოზიციებში, რაც დროთა განმავლობაში ორთოგრაფიულ ნორმებშიც დამკვიდრებულა (ფონეტიკური პრინციპი).

ასევე გვხვდება ვ ბგერის გაჩენის (ჩართვის) შემთხვევები გარკვეული ფუძეებში და ბოლოსართების საზღვარზე.

ვ ბგერის აღნიშნული „ქცევის“ სურათი საკმაოდ რთულია და არაერთგვაროვანი, მაგრამ ზოგიერთი კანონზომიერების გამოკვეთა მაინც შეიძლება.

ა) ვ-ს დაკარგვის შემთხვევები

ვ ბგერის დაკარგვას, უპირველეს ყოვლისა, იწვევს მის მომდევნოდ მოხვედრილი ბაგისმიერი ო და უ ხმოვნები. ამგვარი ზეგავლენა აშკარაა შემდეგ პოზიციებში:

1. როცა -**ოა** სუფიქსი დაერთვის ვ ბგერით დასრულებულ ფუძეს: თავი - **თაოა**, ხევი - **ხეოა**, ბეჩავი - **ბეჩაოა**, გამბედავი - **გამბედაოა**, ნაძალადევი - **ნაძალადეოა**, ბუნებრივი - **ბუნებრიოა**, პარასკევი - **პარასკეოთ...**

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ე ბ ი : ეს წესი არ მოქმედებს, თუ ბოლოკიდურ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის: **ბავშვოა**, **ბრიუვოა**, **მორცხვოა...** საკმაოდ არის გამოწვეული -**ივ** ბოლოკიდურის შემცველ სიტყვებშიც: **აქტივობა**, **ინტენსივობა**, **პასივობა**, **უინიციატივობა**, **უპერსპექტივობა**, **მრავალმხრივობა**, **მუდმივობა**, **ცალმხრივობა**, **ხანგრძლივობა**. **აგრეთვე: ერისთავობა**, **მოურავობა**.

2. ვ იკარგვის -**ურ** სუფიქსის დართვისას, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: **ფშავი** - **ფშაური**, **კავთისხევი** - **კავთისხეური**, **მეჯვრისხევი** - **მეჯვრისხეული**, **აქტივი** - **აქტიური**, **პასივი** - **პასიური...** მსგავსივე პოზიციია: **თავი** - **უთაური**, **მეთაური**, **სათაური**.

გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი : ყველა ის შემთხვევა, რომელშიც ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის: **ბავშვური**, **პირუტყვიური**, **ჯაჭვური**, **ლიტვური...**

3. იკარგვის ზმნის ფუძის ბოლოკიდურა ვ უწყვეტლის -**ოდ** დაბოლოების დართვისას: **ყოვის** - **ყოოდა**, **ყოოდეს**, **ჩივის** - **ჩიოდა**, **ბლავის** - **ბლაოდა**, **ყვავის** - **ყვაოდა**, **ეჩევეა** - **ეჩეეოდა**, **ირხევა** - **ირხეოდა**, **სწე-**

ვია - სწვეოდა, დახვევია - დახვეოდა, დაჰქარგვია - დაჰქარგოდა, და-
რთვია - დართოდა, გაჰპარვია - გაჰპაროდა...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ბოლო მაგალითებში, სადაც ვ-ს თანხმოვანი უძღვის
ნინ, ვ-ს შენარჩუნებაც დასაშვებია: დაჰქარგვოდა, გაჰპარვო-
და... შდრ.: ილტვოდა, ინვოდა.

დანარჩენ შემთხვევებში ანალოგიურ პოზიციებში (ანუ ო, უ ხმოვნე-
ბის წინ) ვ შენარჩუნებულია. მხოლოდ ტიპობრივი შემთხვევები: შაგ-ო,
დათგ-ო, ებარაგ-ო, ბენგ-ოვანი, უ-თაგ-ო, უ-დაგ-ო, უ-ნაგ-ო-დ, სა-
ზაგ-ო, სა-ექგ-ო, მო-შაგ-ო, მო-მჟაგ-ო, იცეკვ-ო-ს, დააექგ-ო-ს, მოი-
პოგ-ო-ს...

მაგრამ აუცილებელია ცალკეული გამონაკლისები აქაც დავიმახ-
სოვროთ: მრავალრიცხოვანი; სასაკლაო, სასაფლაო, სამრეცხაო, საპა-
ტიო, საკაცობრიო, სანაძლეო; იმოდროს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ცალკეა გასათვალისწინებელი ორი ისეთი შემთხვე-
ვა, როცა ვ-ს შენარჩუნება-დაკარგვას შესაბამის ფორმათა
შინაარსობრივი გარჩევა მოუცია: შეცივება (აცივებს
წყალს) და შეცივება (ავადმყოფს აცივებს); პატიება (დანა-
შაულს აპატივებს) და გაპატივება (მინას აპატივებს).

ბ) ვ- ბგერის გაჩენის (ჩართვის) შემთხვევები

ვ ფუძესა და დაბოლოებას შორის გაჩნდება გარკვეული ფუძე-
მოვნიანი სახელებისაგან წარმოქმნილ ახალ სახელებსა და ნასახელარ
ზმნებში. კერძოდ:

1. ასეთ ახალ სახელურ ფუძეებს იძლევა ა, ე, ო ხმოვნებზე დაბო-
ლოებული სახელები შე-ე, სა-ე, ხი-ე თავსართ-ბოლოსართების და-
რთვის დროს; ანუ ვ ჩნდება შესაბამის ხმოვნებს შორის:

ტყე - მე-ტყე-ვ-ე

რძე - მე-რძე-ვ-ე - სარძე-ვ-ე

ეზო - მე-ეზო-ვ-ე - სა-ეზო-ვ-ე

კობტა - სი-კობტა-ვ-ე

სუფთა - სი-სუფთა-ვ-ე

ბრმა - სი-ბრმა-ვ-ე

ფართო - სი-ფართო-ვ-ე

აბლო - სი-აბლო-ვ-ე

2. ვ ხმოვანი ასევე ჩაერთვის ა და ე ხმოვნებით დაბოლოებული სა-
ხელებისაგან წარმოქმნილ ნასახელარ ზმნებს (ასევე - ფუძისა და
დაბოლოების შესაბამის ხმოვნებს შორის):

ხე - ახე-ვ-ებს, გაახე-ვ-ა, გაუხე-ვ-ები

კლდე – აკლდე-გებს, გააკლდე-გ-ა, გაუკლდე-გ-ები

ქვა – აქვა-გებს, გააქვა-გ-ა, გაუქვა-გ-ები

სხვა – განასხვა-გებს, განასხვა-გ-ა, განუსხვა-გ-ები...

ასევე სახელზმნებში: გაქვაგება, გაქვაგებული, განმასხვაგებელი...

ეს **გ** შენარჩუნებული იქნება მაშინაც, როცა ის ხმოვნებსშორის პროზიციას დაკარგავს, ანუ მას უშუალოდ მოჰყვება უწყვეტლის დაბოლოება -დ:

ქვა-გ-დება, გაქვა-გ-და, გახე-გ-და, განსხვა-გ-დება...

შენიშვნა: განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს შემდეგი შემთხვევები:

1. **ლ** ხმოვანზე დაბოლოებული სახელებისაგან წარმოქმნილი ზმნები **გ**-ს გაიჩენენ მხოლოდ წყვეტილის ფორმებში: *დავაჯილდო-ვ-ე, დააჯილდო-ვ-ა, მადრო-ვ-ე, ადრო-ვ-ა...* (მაგრამ: *ვაჯილდოებ, აჯილდოებს, დაჯილდოება* და მისთ.).

2. **ლ** და **უ** ფუძეხმოვნისანი სახელებისაგან ნანარმოებ ზმნებში **გ** აუცილებლად გამოჩნდება უწყვეტლის -დ დაბოლოების წინ; შდრ.:

ვეტერანებს დააჯილდოებს – მაგრამ: დააჯილდო-ვ-დნენ;

ხმაური დაგაყრუებს – მაგრამ: დაყრუ-ვ-დები;

იმედს გაუცრუებს – მაგრამ: გაუცრუ-ვ-დება...

3. **გ** გამოჩნდება ორიოდ -იერ დაბოლოებიანი ფუძის ვითარებით ბრუნვაში: *ლონიერი – ლონივრად, მშვენიერი – მშვენივრად* (მაგრამ შდრ.: *ძლიერი – ძლიერად, კადნიერი – კადნიერად...*).

ზმნიზედების მართლწერისათვის

ზმნიზედების დიდი ნაწილი წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ფორმაა, ამიტომაც ისინი ღონით უნდა დაბოლოვდეს:

ანაზღად, ალმაცერად, ბევრად, ბლომად, გაისად, მთლად, მთლიანად, უბრად, უზმად, უცბად, ყოვლად, ფრიად, ძველად, ცერად, ხელად, კარგად, სწრაფად, ცუდად, მარჯვედ, ადვილად, აშკარად, აუცილებლად, მტკიცედ, უსათუოდ...

ამავე დროს, ზოგი ზმნიზედა წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა და, შესაბამისად, თანით დაბოლოვდება:

წინათ, ზემოთ || ზევით, ქვემოთ || ქვევით, გარეთ, შიგნით, აქეთ, იქით... ასევე: *უკეთ* (ამათვე ეკედლება ნაწილაკი *ალ-*

ბათ).

ზეპირმეტყველებაში და ამის გამო წერაშიც გვხვდება მცდარი ფორმები – როგორც დ-ს დაყრუების შემთხვევები (უცბათ, ცუდათ...), ისე – პირველთა ანალოგიით – ამ უკანასკნელთა დონით დაბოლოება (წინად, გარედ...).

როგორ შევამოწმოთ?

საორჭოფო ზმნი ზედას დაუერთოთ ნაწილაკი -გე და ამ პოზიციამ უნდა გამოაჩინოს, მუდური დაბოლოება, ანუ დონია (უცბად-ვე), თუ – ყრუ დაბოლოება, ანუ თანი (გარეთ-ვე)).

გავითვალისწინოთ კიდევ რამდენიმე კერძო შემთხვევა:

1. მარჯენიე (||მარჯენით), მარცხნიე (||მარცხნით), მხრიე (ერთი მხრიე, მეორე მხრიე, ჩემი მხრიე).
2. აქეთ, იქით, აქეთ-იქით, აქედან, იქიდან, აქეთ-იქიდან.
3. აქ – მანდ (და არა – მაქ), მანდეთ(კენ), აქედან – მანდედან (და არა – მაქედან).
4. ახლა (და არა – ეხლა, ახლად), მაღლა, დაბლა, ნელა...
5. ასე (და არა – ესე), ეგრე (||აგრე), აგრერიგად (||ეგრერიგად)...
6. ახლახან, მაგრამ – დიდხანს.
7. დროის ზმნი ზედები უმჯობესია გამოვიყენოთ მიცემითის ფორმით მაშინ, როცა პარალელურად სახელობითის ფორმითაც გვხვდება:
დიდხანს ვიარეთ (შდრ.: დიდი ხანი ვიარეთ);
ორ დღეს მიდიოდნენ (შდრ.: ორი დღე მიდიოდნენ);
ორ კვირას მოუნდა (შდრ.: ორი კვირა მოუნდა);
იმ ღამეს იქ დარჩა (შდრ.: ის ღამე იქ დარჩა) და მისთ.

იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

უმიშროების საბჭოს მოთხოვეს მკაცრი ზომების გატარება ერაციის მიმართ. კარგად იცოდა, რა წვლილიც მიუძღვოდა ძმისწულს ამ სახლეს მშენებლობაში. ავადმყოფმა ამათ შორის თავისი ექიმი ვერ ნახა და ძი დასკვნამდე მივიდა, მე კარგი ექიმი არ მკურნალობსო... ტრიალებდა და ბზრიალეებდა, იღვსებოდა, იღვსებოდა, ანთუ აღვსილიყო მართლაც რო სუნითა. დიდება მთელი დღე ზილაგდა ფაფაფუფასა, სადილ-სამხარც იმის ზურგს იყო. მოახერხეს, თავად ლაურეატისთვისაც დაეცდევინებნათ ორიოდ სიტყვა. იმდენი ვასწორე, ლამის სულ დაცილდა თავდაპირველ ტექსტს. დრომ ერთმანეთს დაგვაშორა და თანდათან გავფუსტოვდით ერთმანეთისაგან. ყველა ფრინველი იმას ცდილობდა, საკუთარ ნაშთს გაფრთხილებოდა. ... და ვისაც ეს აღშფოთებს, დაე, ძრწოდნენ და შიშით კანკალებდნენ. გული დაწყვიტა მთელ საქართველოს. სოხუმის მთავრობა მანამდე არ გაანახლებს სამშვიდობო მოლაპარაკებებს, სანამ არ დარწმუნდება კოდორის ხეობის „დემილიტარიზაციაში“. ყველგან გადათხრილი მიდამო რომ შევნიშნე, გავეოცდი. დაე, ძალღმაც პატრონისთვის გასწიროს თავი. გზა-გზა ხმელი შეშა მოვაგროვეთ და დაუწყეთ ურემზე. ჩაპყრიან ხორბალს წისქვილში და გააბავენ საუბარს. აქ განგაშის ატეხვამდეც კი უნდა მივიღეს საქმე. ტეციხა თუშინიან მას მეტ სიხარულს გვრის. მწერლობა მას გუნდური თამაში გონია. მაგრამ გული არც იმას მიშვებოდა, ნულარ მოხვალო, ამრისთვის გამეცხადებინა. არ მოვიხსენიებ მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფობ და ისევ ისე ავად ვარ. ბებია გრინავდა ტუჩებსა, რალაცას ამბობდა ავსა, აუგიახსა. არაერთხელ მოსულა შატბერდს თავის მძებთან ერთად, შეუწირია მისთვის მრავალი შესაწირავი და ადგილ-მამული. მღვდლის მოსვლამდე სტუმრები ხის ჩრდილში დააჯინა. არ ეუარყოფ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშობლიური ენა გერის როლში იყო. სანამ პირველ თანს შესვავდნენ, დაგვიანებული სტუმარიც მოვიდა. იმდენი იწვალა, რომ ბოლოს შეკრული ხელები გაინთავისუფლა. ადამიანმა გადაწყვიტა პაერის ეს თვისება გაფრენისათვის გამოეყენებია. — ნელა! — შექმახე მე და უკან გადავარდი. ამ ახლად გაკებული ამბით ყველანი ავღფრთოვანდით. ბოლოს რიყეზე ჩამომჯდარი მგზავრები წამოდგნენ. ფულის გამოძალვის მცდელობის ფაქტი... თავად მოწერელიას არ უარყვია და არც აპირებს. ნუ შევურაცხოვთ ჩვენი წინაპრების ძმობას. ჩვენ კი ისევ გამაღვით ვჩნრიკავდით იმ ბუჩქებს. დედაჩემს ენა დაება და თვალთავან გადმოცვივდა მსხვილი ცრემლები. მდინარეთა ნაპირებთან თავს ამოპოფენ ხოლმე ფერად-ფერადი ყვავილები. აქედან წარმოსდგება ზოგიერთი მცენარის სახელწოდება. ქათამს მაგას ვერ ვაკვლევინებ, თიკანს და ხეს

ვერ ვაჭრევიებ. ხალხი გარს შემოპხევიდა და ზარდაცემული შეპყურებდა. ბოლოს რომ ჩაგხედე და დავაფიქსირე, რომ სტატია 1978 წელს იყო დაწერილი, გავვოცდი. მეფე ვახტანგმა... თავისი ტახტული ძვლები ასტრახანის მიწაში ჩაპყარა. ამიტომ წერდა ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან მიხეილ გედევანიშვილს... გორმადღლელები თავის მამა-პაპათა ოფლით მორწყულ მიწას დაფუსფუსებდნენ. ...და ხმის ჩახლეჩვამდე გააყვიროდა: „რუსებო, წაეთრიეთ“. ორგანიზაციები არასაკმარისად ანზოგადებენ და ავრცელებენ თავიანთ გამოცდილებას. ქალაქის მერია 3 მილიონ კუბონს გამოაყოფს. გარეთ დარჩენილი დაიძალა და ბუნაგში შემძვრალ დათვის კულში წვიდა. თანამედროვე ზებეგერთი თვითმფრინავები უდიდეს სიჩქარეს ანვითარებენ აფრენისთანავე. ხალხმა უკეთ იცის, ვის ენდობა და გაყვებაო. დღევანდელ საქართველოში კი ამდენი კანონი რომ კანონობდეს, ჩვენ ბედს ძალი არ დაყუფდა მართლაც. ექსუდატი ანთებით უბანში ანზავებს შხამიან ნაწარმებს. ნაკლებად ფიქრობს იმაზე, თუ რა შეიძლება მოყვეს ამას პირადად მისთვის. „კანონის“ ავტორი ანზოგადებს ექიმთა მთელს გამოცდილებას. ჯანდაცვის სამინისტრო თხოვს მიაკითხონ სისსლის გადასხმის სადგურს. ღრთა გონს მოვეგოთ, რასაც მტერი ვერ გვიშვება, საკუთარ თავს ჩვენ ვუშვებით. იგი რეფრენივით გაყვება მთელ ამ პუბლიკაციას... ყინულმა ღლეობა დაიწყო და გაერთიანების ნაბიჯები გადაიდგა. ის კი არ იცის, რომ თავისი საქციელით ღმერთს ანრისხებს. საერთაშორისო ორგანიზაციებში კი ამ დარღვევისათვის ბრალს დებენ მთავრობებს. დამსვენებლები მოულოდნელი ხმაური-საგან სკამებიდან წამოვარდნენ. გაიხსენეთ, როგორ გამოსცადა ავთანდილის ვაჟკაცობა როსტევეან მეფემ. ხაზარულას აღარ უკვირდა, რატომ კოცნიდნენ ადამიანები ერთმანეთს, რატომ ჩხუბობდნენ. ისინი გროვდებიან დიდ ქალაქებში და სწამლავენ ადამიანებს. ორთავეს დიდი სურვილი ქონდა, ნათქვამის აზრს ჩამწვდარიყო.

შეარჩიეთ და ჩასვით სწორი ფორმა:

დაჭრილს ყოველგვარი ნიშანი ჩიცოცხლისა (დაკარგოდა, დაპკარგოდა, დაპკარგვოდა, დაკარგვიყო, დაპკარგვიყო); მე კი ვიჯექი და არღადებებზე (ვეოცნებობდი, ოცნებობდი, ვოცნებობდი); თქმა შეიტყო, რომ ქალი თავისი ნებით ვაჟს (გაყოლოდა, გაყოლიყო, გაყოლოდა, გაყოლიყო); ათანსაირი ხილი მწითეს და ხიდან თავისით (ვარღება, ცვივა, ცვივიან); სტუმრები შემოვიდნენ და სკამებზე (ჩამოჯდნენ, ჩამოსხდნენ, ჩამოსხდა); რა ასეთ საქციელს, თვითონ განსაჯეთ (ქვია, ქვიან, პქვია); სიცივემ წიწილას დედის ბუდე (მოაძებნია, მოაძებნინა, მოაძებნივა); ქალი იძულებული გახდა, ჭიანჭერის ცოლობას (დათანხმებოყო, და-

სოანხმებულიყო, დათანხმებულიყო, დასთანხმებოდა, დათანხმებოდა);
 მგზავრს სოფლის ძაღლები (მივარდნენ, მიცვივდა, მისცვივ-
 დნენ); ძველად ქართველი კაცი ჩოხა-ახალუხს (იცვამდა, იცვა-
 და, იცმევდა); ბევრს ამგვარი მუსიკა ყურს (ჭრის, სჭრის);
 ცდილობდა, რომ არაფერი (გამოპარვიყო, გამოპაროდა, გამო-
 პარვოდა, გამოპარვიყო); სუფრას დალოცავს, პურს ნაპირს
 (მოტეხავს, მოტეხს, მოსტეხს, მოსტეხავს); მატარებული კვილით
 აღმართს (მიყვებოდა, მიჰყვებოდა); ბოლოს და ბოლოს მთავ-
 რობაშიც და პარლამენტშიც ქართველები (ზიან, სხედან, ჯდნან); შე
 ჩემს ბებიას თავს (ურჩევნივარ, ვურჩევნივარ, ვვურჩევნივარ);
 და ჩვენც ასე ჩვენი წინაპრების ხსოვნას (შევეურაცხყოფთ, შე-
 ურაცხვეყოფთ, შევეურაცხვეყოფთ); ის და მისი თანამგზავრი ცხენებზე
 და დიდი პატივით გამოისტუმრეს (შესევს, შესხეს, შეაჯინეს);
 ცოტა ხანს მერხზე (ჩამოვჯექით, ჩამოვჯექით, ჩამოვსხედით);
 ფერდობებს თხელი ნისლი (გაკვროდა, გაკრულიყო, გაკვრიყო,
 გაპკვროდა).

რომელია სწორი ფორმა?

ვაზლევინებ, ვაზლევევებ, ვაზლევებ, ვაზლევვინებ
 ვვოცნებობ, ოცნებობ, ვოცნებობ
 გაუკრეჭავს, გაუკრეჭია, გაუკრეჭნია
 შევხვედრილვარ, შეხვედრილვარ, შეხვედრივარ, შეხვედრივარ
 შევაცვლეინებ, შევაცვლევინებ, შევაცვლევივებ, შევაცვლევე
 დაუბავს, დაუბია, დაუბამს
 გააბაფენ (საუბარს), გააბამენ, გააბმენ
 აღუთქვავს, აღუთქვია, აღუთქვამს
 შეგუებია, შეგუებულა, შეგუებია
 გავეუცხოვლით, გავეუცხოვლით, გაუცხოვლით
 დასხმოდა (თავს), დასხმოდა, დასხმიყო
 გამაცვიფრებს, გამანაცვიფრებს, განმაცვიფრებს
 გლიჯავს, გლეჯს, გლეჯავს
 იცვავენ, იცვამენ, იცმევენ
 განვასახიერებ, განვასახიერებ, განვასახიერებ
 გაუხლეჩავს, გაუხლეჩავს, გაუხლეჩია
 გაფინკურნე, გაფიკურნე, განფიკურნე
 (ხალხი) დაჯდა, დასხდა, დასხდნენ
 გშთანთქავდა, შთანთქავდა, გშთანთქამდა
 წაისვავს, წაისომს, წაისვამს
 აჭყლეტიებს, აჭყლეტინებს, აჭყლეტვინებს

ავადმყოფობ, ავადმყოფობ, ავადმყოფობ
უგულუბელყოფლი, უგულუბელყოფლი, უგულუბელყოფლი
სძინებოდა, ძინებოდა, სძინებოდა, ძინებოდა
ავღნიშნეთ, ავღნიშნეთ, ავღნიშნეთ

იბოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

მაინც საიდან მოვხვდები? — საიდან და იქედან, რომ იმ კარგ სტილისტს თავისი უფლებებით მაქსიმალურად უსარგებლოა. — ბოლოს და ბოლოს როდესმე ხომ უნდა ვისწავლოთ სასურველის რეალურისაგან გარჩევა... მაგრე თუ გიყვართ თქვენი ქვეყანა, ასეთ სიძნელეს რად უქმნითო. ერთ წუთში სადღაცას დაიკარგა მისი ქცეული გამბედავობა. — ეს რაღატო?! — იკითხა შეცბუნებულმა ბიჭმა. ბევრი... კაცის შეუფერებელი უსიამოვნება მისდგომია მას და უღროთ დაუჭვინია მისი ფუნთუშა გულ-შკერდი. ხანდახან იშვიათი მონადირეების თოფის ხმა უკაცრიელ ხეობებს გააყრუებდა. ადგილს ვერ პოულობდნენ პოულობდნელი სიხარულით დაჯილდოვებული მოხუცები. ჯერ ალბად არც გაუგია ჩვენი გამოჩენა. აი, ამან კი ძალზედ სერიოზულად ჩამაფიქრა. ბავშური სცენები სასახლეში სუყველას მოეწონა, გარდა მოურავისა. უცბათ ქარი ამოყარდა და ცაზე ღრუბელი აირ-დაირია. ხუმრობა იქეთ იყოს და რა მოარბენინებდა ამ დილაუთენია?! წარმოიდგინეთ, რა სანახავია მაგრე გამწარებული ოჯახი. ძალე გამოჩნდა გადაბუგული, უფანჯრებო და უსახურაო სახლები. ამას ხომ მოვრჩით, ეხლა ისევე ძველ საქმეს დაეუბრუნდეთ. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ სადაო საგანი გადაწყდა. უფრო შეტი თავის გამოდება, აგრე ვთქვათ, დამარცხებულთა მხრით არ შეიმჩნეოდა. თუ წყალი გაცეხებოდა, იცოდე, ბავშვს გააცივებ. აქეთ შე ვიდექი, იქეთ კი მთელი ჯგრო ძაღლებისა. ამ სოფელსაც სწვევოდა თავისუფლების სიხარული. ცოტა ქვემოდ ტაშფანდურა გაემართათ, მარჯველ ტექვაზდინე ყმაწვილები. სოფელში სათვალსიეროთ გავლა უყვარდა.

III. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის საკითხები

სინტაქსი და მორფოლოგია ერთმანეთთან უმჭიდროესად დაკავშირებული ცნებებია. სინტაქსი იქვე იგულისხმება, სადაც სიტყვის ფორმა წარმოიქმნება; უფრო სწორად, სახელისა თუ ზმნის რომელიმე ფორმა ენაში იმისათვის წარმოიქმნება, რომ მან მეორე სიტყვის რაღაც ფორმასთან დაამყაროს სინტაქსური კავშირი. ამიტომაც სიტყვათა ფორმანარმოებაზე და ორთოგრაფიაზე საუბრისას ზოგჯერ სინტაქსისთვის გვერდის ავლა არც კი ხერხდება; მაგალითად, როცა სახელების ერთად ბრუნებაზე ვსაუბრობდით, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა წარმოვაჩინეთ, რაც უკვე სიტყვათა (ფორმათა) სინტაქსურ ურთიერთკავშირს გულისხმობს.

დროთა განმავლობაში ენაში სიტყვათა (ფორმათა) სინტაქსური ურთიერთობის გარკვეული წესები ჩამოყალიბებულა. მართალია, ეს წესები, მორფოლოგიასთან შედარებით, უფრო ერთგვაროვანი, ნაკლებ ვარიანტული ჩანს, მაგრამ ცოცხალ ენობრივ ქვესისტემებში მაინც იჩენს თავს არაერთი განსხვავება სალიტერატურო ენაში ჩამოყალიბებულ სინტაქსურ ნორმებთან. და ცოცხალი მეტყველების ეს თავისებურებები, ჩვეულებისამებრ, ამა თუ იმ ფორმითა და დოზით იჭრება ხოლმე სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სხვადასხვა უბანზე (უფრო მეტად მწერლობის ენაში, შედარებით ნაკლებ – მასმედიაში და სხვ.).

გარდა ამისა, სინტაქსური პრობლემატიკა (წევრთა ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა წინადადებაში, მარტივ და რთულ წინადადებათა მონაცვლეობა და სხვ.) მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველების სტილის საკითხებთან. ამიტომაც მეტყველების კულტურა ცალკეული სინტაქსური პრობლემების წინ წამოწევასაც მოითხოვს.

1. სუბიექტის (ქვემდებარის) რიცხვის ასახვა ზმნაში

ზმნისა და მისი სუბიექტის (მოქმედი პირის, ქვემდებარის) ურთიერთმიმართება წინადადების სინტაქსური აგებულების ღერძს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სუბიექტის ბრუნებისა და ზმნის უღლების ფორმები წინადადებაში (მეტყველებაში) ერთმანეთს უწევენ ანგარიშს; ასეთივე მჭიდრო ურთიერთობაა მათ შორის რიცხვის გამოხატ.

ვაშიც. კერძოდ, თუკი სუბიექტი მრავლობითის ფორმას იღებს, წესი-სამებრ, მისი მრავლობითობა ზმნაშიც უნდა აისახოს. მაგრამ ეს წესი უგამონაკლისო არ არის, თანაც სუბიექტისა და ზმნის რიცხვში ურთი-ერთშეთანხმების თვალსაზრისით ზოგი სხვა დარღვევაც შეინიშნება. ამიტომაც არის საჭირო, შესაბამის თავისებურებებს უფრო კონკრე-ტულად (პუნქტობრივ) შევეხეთ.

ა) როდის აისახება სუბიექტის მრავლობითობა ზმნაში:

1. თუ სუბიექტი წართანიან მრავლობითში დგას, ის ყოველთვის, უგამონაკლისოდ შეითანხმებს ზმნას რიცხვში:

წყალნი, მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ცვივიან.

ყველანი ფეხზე იდგნენ ქუდმოხდილნი.

ძმა მაშინ მოვაგონდება, ასნი რომ გცემდნენ მარტოსა...

2. სუბიექტი -ებ-იან მრავლობითში ასევე აუცილებლად ითან-ხმებს ზმნას რიცხვში, თუკი სუბიექტად სულიერი არსებაა წარმოდგე-ნილი:

პატარა მწყემსები მხიარულად დარბოდნენ მურყინიანებში.

მაისში მერცხლები ბუდის გაკეთებას ბეჯითად შეუდგნენ.

დაცალეს სხვეტმაც თოფები...

ასევე ითანხმებს ზმნას -ებ-იანი სუბიექტი მაშინაც, როდესაც ის უსულო საგნით არის წარმოდგენილი, მაგრამ ნამდვილად აქტიური სუბიექტის როლს ასრულებს (მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტია), ანდა ეს სუბიექტი გასულიერებულია (სულიერი არსების უნარ-თვისე-ბები მიენერება); მაგალითად:

რამდენი ხანია ბანკები ხელფასს არ იძლევიან.

მთები თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესა.

ვერხვის ფოთლებმა თრთოლა დაინყეს...

შენიშვნა: -ებ-იანი მრავლობითი თანამედროვე ქართულში, სა-ზოგადოდ, იჩენს ტენდენციას, რომ ისევე ყოველთვის შეი-თანხმოს ზმნა რიცხვში, როგორც წართანიანმა მრავლობით-მა (მდრ. ქვემოთ).

ბ) სუბიექტის სიმრავლე ზმნაში არ აისახება:

1. თუ -ებ-იან მრავლობითში მდგომი სუბიექტი უსულო საგნით არის გამოხატული (თანაც ის შინაარსობრივად პასიური სუბიექტია):

ვაზაფხულზე პატარა მდინარეებმაც მოიმატა.

ფოთლებზე ახლად ამონვერილი მზის სხივები გაბრწყინდა.

ქორნილის ღამეს დიდი ამბები მოხდა...

შენიშვნა: შეადარეთ – *„ამბები მოხდნენ“* სრულიად დაუშვებე-ლი შეთანხმებაა მაშინ, როცა „*მდინარეებმა მოიმატეს*“ შეუძ-

ლებელი არ არის. ასე რომ, სრული შეთანხმების ზემომითი-
თებულ ტენდენციას გამოწვევები უთუოდ აქვს (იხ. წინა
შენიშვნა).

2. თუ სუბიექტი კრებითი სახელით არის გამოხატული, ანუ სუბი-
ექტის სიმრავლე მხოლოდ შინაარსობრივია, ზმნა მხოლობითის ფორ-
მით შეეწყობა:

დამფრთხალი ხალხი უმალ მიიწყდა გასასულელს.

*სტუდენტობა იმ დროს პატარ-პატარა ჯგუფებად იკრი-
ბებოდა.*

ამგვარ შემთხვევებში დარღვევები იჩენს თავს სუბიექტთან ზმნის
აზრობრივი შეთანხმების ნიადაგზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც
სუბიექტი და ზმნა სხვა წევრებით არიან ერთმანეთს დაცილებული:

*ჩვენი ეგრეთ წოდებული მალალი საზოგადოება... თავის
სამარცხვინოდ თაკილობენ თავის დედა-ენით ლაპარაკსა.*

3. აზრობრივი შეთანხმების საფუძველზე ასეთივე მცდარი დანე-
რილობები იჩენს თავს მაშინ, როცა სუბიექტის როლს ასრულებს მხო-
ლობითში მდგომი რიცხვითი სახელი (ორი, ათი, ათასი, ბევრი...) ან
მრავლის გამოხატველი ნაცვალსახელი (ყველა, ზოგი...):

ნასადილევს ორივემ ცოტა ხანს მოისვენეს.

ყველა მტვრის კორიანტელსა და სქელ კვამლში გაეხვივნენ.

სალიტერატურო ნორმა, ცხადია, მხოლობითში მდგომი ზმნაა:

მალე ორივე გზის დასასრულს მოეფარა თვალს.

ზოგმა უმალ დატოვა თანამოაზრეთა შეხვედრის ადგილი.

(მდრ.: ყველანი სამებისაკენ გაემართნენ...).

4. ზმნას ასევე ვერ შეითანხმებს მხოლობითში მდგომი ორცნებია-
ნი კომპოზიტი:

ცოლ-ქმარი ხმადაბლა საუბრობდა.

და-ძმა აივანზე გამოსულიყო...

(მდრ.: და და ძმა აივანზე გამოსულიყვნენ;

ჩვენი ცოლ-ქმარი კი იმედს არ კარგავდნენ...).

5. ზმნა მხოლობითის ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი მაშინ-
ც, როდესაც სუბიექტს მსაზღვრელად ახლავს მრავლის გამომხატ-
ველი სიტყვა (რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი):

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ ძმურად გაიყო.

ზოგი ფრინველი ზამთრისათვის თბილ ქვეყნებში მიფრინავს.

ქალაქის მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა...

6. როგორც შესაბამის ადგილას უკვე ითქვა, ვინ ნაცვალსახელს

მრავლობითის ფორმები არ გააჩნია, მაგრამ ის შეიძლება შინაარსობრივად მრავალსაც გამოხატავდეს; ამ შემთხვევაშიც ხშირია ზმნის აზრობრივი შეთანხმება ვინ ნაცვალსახელით გამოხატულ სუბიექტთან:

პატარები არიან ისინი, ვინც ცხოვრებას ახალისებენ.

ამგვარ შემთხვევაშიც, როგორც ეს მრავლობითის არმქონე სიტყვებს ახასიათებს, ზმნა მხოლობითის ფორმით (შეთანხმებლად) უნდა იყოს წარმოდგენილი:

ვინ არის ის, ვისაც ჩვენი სისხლი სწყურია?

ამდენი ვინ მოვიდა?

ნეტა ვინ იყო, წუხელ ქალაქი რომ აიკლეს მთვრალებმა?..

შენი შვნა: როგორც უკვე ითქვა, ზმნების მცირე ნაწილს ფუძის ცვლებადობა ახასიათებს, კერძოდ – მაშინ, როდესაც სუბიექტი მრავლის გამოხატველია. ისიც ითქვა, რომ ფუძემონაცვლე ზმნები შინაარსობრივადაც შეეთანხმებიან შესაბამის სუბიექტს. ამიტომაც ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მხოლობითში მდგომი, მაგრამ მრავლის გამოხატველი სიტყვებით არის წარმოდგენილი (და ზმნაც, ჩვეულებებისამებრ, მხოლობითის ფორმით შეეწყობა), აღნიშნული ზმნები სწორედ ფუძის მონაცვლეობით შეეთანხმებიან მას:

და - ძმა პატარა ბიჭს მისცვივდა;

ხალხი ნატყულ ხეებზე დასხდა;

ნეტა ვინ გამოცვივდა იმ სახლიდან?..

2. ობიექტის რიცხვის ასახვა ზმნაში

II პირის ობიექტის მრავლობითობა – პირდაპირი იქნება ის თუ ირიბი – ერთნაირად აისახება ზმნაში, კერძოდ, II პირის ფორმას -თ დაბოლოება დაერთვის:

თქვენ ცნობილი მხატვარი გხატავთ;

მტერი თქვენ თავგანწირვით გებრძოდათ...

მაგრამ თუ ობიექტთან ერთად სუბიექტიც მრავლობითში დგას, მაშინ ზმნაში სუბიექტის რიცხვი აისახება და არა – ობიექტისა; შდრ.:

თქვენ მხატვრები გხატავენ;

მტრები თქვენ გებრძოდნენ...

რაც შეეხება III პირს, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აისახება:

მასწამათ მხატვარი ხატავს.

ხოლო ირიბი ობიექტი, ჩვეულებისამებრ, ითანხმებს ზმნას რიცხვში:

ჩემს მშობლებს მწირი ადგილი შეხვდათ.

დამშეულ ძაღლებს სუნი ეცათ.

თუმცა აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც მერყეობა შეიმჩნევა: თუ წინადადებაში მრავლობითში მდგომი ობიექტიც არის წარმოდგენილი (განსაკუთრებით პირის ნაცვალსახელის -*თანიანი ფორმით: მათ*), ზმნა შეიძლება მხოლობითის ფორმითაც შეენწყოს:

*შენი ამბავი... ზღაპრად მი უვა ჩვენს შვილიშვილებს,
ნეტა რა ამბავი ელოდა მათ?*

ამდენად, ორივე ვარიანტი დასაშვებ სალიტერატურო ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული:

ორღობეში რომ შეუხვიეს, ძაღლი ეცათ.

მასპინძელი გულუხვად დაუხვდა მათ.

შენიშვნა: თუ ობიექტთან ერთად სუბიექტიც მრავლობითში დგას, სუბიექტი ამ შემთხვევაშიც უპირატესობას ინარჩუნებს - ზმნის ფორმაში მისი რიცხვი აისახება:

ქურდებს ძაღლები ეცნენ

(და არა: ქურდებს ძაღლები ეცათ).

3. დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წევრთან

რთული ქვეწყობილი წინადადებების უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია ერთი სტანდარტული კონსტრუქცია:

მთავარ წინადადებაში მოიპოვება ისეთი საკვანძო (მისამართი, ასახსნელი) წევრი, რომელსაც უშუალოდ მიემართება დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირი (რომელიც, ჩვეულებისამებრ, იწყებს დამოკიდებულ წინადადებას).

შენიშვნა: წევრ-კავშირი არის ისეთი კავშირი, რომელიც იმავე დროს არის წინადადების წევრი, ანუ დაესმის შესაფერისი კითხვა. ამდენად, *როდესაც, როგორც...* წევრ-კავშირებია, რადგანაც დაესმის კითხვა: *როდის? როგორ? ხოლო რომ, მაგ-რამ... მხოლოდ კავშირებია (რამდენადაც მათ კითხვა არ დაესმის).*

ასე წარმოიქმნება ერთგვარი მყარი კონსტრუქციული მოდელი:

ის - ვინც...

ის სახლი - რომელიც...

ისეთი - როგორიც...

იქ - სადაც

მაშინ - როცა და მისთ.

მეტყველების კულტურის თვალსაზრისით ყურადღებამისაქცევია ის, რომ ამ სტანდარტულ მიმართებებში თავს იჩენს ზოგი ისეთი დარღვევა, რომელიც როგორც წინადადების სინტაქსური აგებულების, ისე სტილის სრულყოფასთან არის დაკავშირებული.

შევჩერდეთ რამდენიმე ტიპობრივ შემთხვევაზე:

ა) ნევრ-კავშირი **რომელიც** ბუნებრივია, როდესაც ის მთავარ წინადადებაში არსებით სახელს, ან მის რომელიმე მსაზღვრელს მიემართება:

ლამის სიბნელეში გამოჩნდა ჯვარი, რომელიც პროექტორს გაეჩირაღდებინა.

ავუყვივით იმ ქუჩას, რომელიც რუსთაველის პროსპექტს უერთდებოდა.

მაგრამ თუ მთავარი წინადადების ასახსნელი ნევრი ნაცვალსახელით არის გამოხატული, ნევრ-კავშირად ვინც უნდა იყოს წარმოდგენილი:

მკვდრად იგი თქმულა, ვინაც აქ სახელი არ დარჩენია.

ამდენად, ის - რომელიც, შას - რომელსაც... მიმართებები შეუსაბამო კონსტრუქციად უნდა იქნეს მიჩნეული; სახელდობრ, წინადადება - *ნუ ივიწყებთ იმათ, რომელთაც მამულს თავი შესწირეს.* - უმჯობესია ამგვარად გაიმართოს:

ნუ ივიწყებთ იმათ, ვინც მამულს თავი შესწირა.

(შენიშვნა: ვინც აქ შინაარსით მრავლობითია, მაგრამ, როგორც იტყვა, ის ზმნას მხოლობითის ფორმით შეიწყობს).

ბ) რთულ ქვენყობილ წინადადებებში თავს იჩენს ამგვარი შეუსაბამო შეხამება: **ისეთი - როგორც...**

ეზო იწუთი შიჩითული იყო, როგორც ადრეული ბავშვობიდან ახსოვდა.

უცხოეთში ცხოვრება ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც მოელოდა...

ამგვარი წინადადებები ორი სხვადასხვა კონსტრუქციის (ვითარების გარემოებითი: **ისე - როგორც...** და განსაზღვრებითი: **ისეთი - როგორც...**) შერწყმით არის მიღებული და, ცხადია, ისინი უზუსტო და მიუღებელია. თავ-თავის მხრივ მართებული ვარიანტები იქნება:

ისე მოიჩითა, როგორც - ბავშვობისას...

ისეთი არ აღმოჩნდა, როგორცაც მოელოდა...

გ) ძალზე ხშირია სადაც ნევრ-კავშირის გამოყენება მაშინ, როდესაც

საც ის მთავარი წინადადების ადგილის გარემოებას კი არა, არამედ რომელიმე სხვა წევრს მიემართება:

ცოტა ხანში მიადგნენ სახლს, სადაც მეთაური ცხოვრობდა; შვილიშვილმა ბებიას წერილი მისწერა, სადაც სწერდა... მწერალმა დანერა წიგნი, სადაც მთელი თავისი სულისკვეთება ჩააქსოვა...

ეს შენიშვნა, ცხადია, ეხება იმგვარ შემთხვევებსაც, როდესაც მთავარი წინადადების ასახსნელი წევრი თანდებულიანია, მაგრამ ის ადგილის გარემოება არ არის:

ეს ორი სიტყვა ამოვიკითხე ფურცელზე, სადაც სხვა ვერაფერი გავარჩიე.

მაგრამ შდრ.:

გვიანდავბრუნდი სახლში, სადაც მოუთმენლად მელოდნენ.

ამგვარ შემთხვევებში, სრულიად ბუნებრივია, უნდა გამოვიყენოთ წევრ-კავშირი **რომელიც** (**რომელსაც**, **რომელზეც**, **რომელშიც**...).

ასევე უმჯობესია წევრ-კავშირი **რომელიც** გამოვიყენოთ მაშინაც, როდესაც მთავარ წინადადებაში ადგილის გარემოება კი მოიპოვება, მაგრამ წევრ-კავშირი სინამდვილეში მის მსაზღვრელს მიემართება:

დავბრუნდით იმ დარბაზში, სადაც უკვე ლხინი გაემართათ.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს: *იმ დარბაზში, რომელშიც...*

როგორ შევამოწმოთ?

თუკი მთავარი წინადადების ასახსნელი (მისამართი) წევრი ადგილის გარემოება არ არის (ანუ არ დაესმის კითხვა სად?..), წევრ-კავშირად არ უნდა გამოვიყენოთ სადაც...

ცალკე საკითხია განსახილველ წევრთა წყობის საკითხი რთულ ქვენყობილ წინადადებაში. აქ ორი ასპექტი უნდა გამოიყოს:

ა) წევრ-კავშირი **რომელიც**, ჩვეულებისამებრ, უშუალოდ მოსდევს მთავარი წინადადების ასახსნელ წევრს, მათი გათიშვა ბუნებრივი არ არის:

მეფემ მიმართა ჯარს, რომელიც ხეობაში დაბანაკებულიყო.

მაგრამ თუ ამ წევრს მსაზღვრელი ახლავს, შეიძლება მან მთავარ წინადადებაში ნებისმიერი ადგილი დაიკავოს:

მეფემ იმ ჯარს მიმართა, რომელიც...

ბ) აქ წარმოდგენილ მაგალითებში დამოკიდებული (კავშირიანი) წინადადება ყოველთვის მეორე ადგილზე იდგა. მაგრამ, როგორც ცნობილია, დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება პირველი ადგილიც ეკავოს, ანუ მთავარ წინადადებას უსწრებდეს წინ:

რასაც დათესავ, იმას მოიმიკი...

შესაბამისად, სკოლის პრაქტიკაში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს ამგვარ ინსტრუქციას: ნუ დაიწყებთ წინადადებას კავშირით (წევრ-კავშირით)! ამიტომაც მართებულად მიაჩნიათ ამგვარი წყობა:

აბო როდესაც თბილისში დაბრუნდა, იგი აღარ მალავდა საკუთარ ქრისტიანობას.

უნდა გარკვევით ითქვას, რომ აღნიშნულ აკრძალვას არანაირი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია; მეტიც, უფრო ბუნებრივია ამგვარ შემთხვევებში წინადადების წევრ-კავშირით დანსება:

როდესაც აბო თბილისში დაბრუნდა, იგი...

სამაგიეროდ, არავითარ შემთხვევაში პირველ ადგილს არ დაიკავენ კავშირი **რომ**, რომელიც შეიძლება მითითებულ წევრ-კავშირთა უმეტესობას ჩაენაცვლოს. შესაბამისად, ბუნებრივი მიმდევრობა იქნება:

აბო რომ თბილისში დაბრუნდა, იგი...

შენიშვნა: **რომ** კავშირი შეიძლება წინადადების თავში აღმოჩნდეს, თუ რომელიმე მთავარი წევრი გამოტოვებულია: **რომ** არ მეთქვა, რას იზამდი? ასევე – პოეზიის ენაში წინადადების **რომ** კავშირით დანსება შეუძლებელი არ არის:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია...

4. ე. წ. სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები

ასიმილაცია ზოგადი მნიშვნელობით „დამსგავსებას“ ნიშნავს. ფონეტიკაში მას ერთი ბგერის მიერ მეორის მიმსგავსების აღსანიშნავად იყენებენ. სინტაქსური ასიმილაცია კი, ბუნებრივია, წინადადების წევრების რალაციით ერთმანეთთან დამსგავსებას უნდა ნიშნავდეს. კერძოდ, სინტაქსში ეს ტერმინი აღნიშნავს იმგვარ შემთხვევას, როდესაც მთავარი წინადადება დამოკიდებული წინადადებით არის გახლეჩილი და მთავარი წინადადების ასახსნელი (მისამართი) წევრი საკუთარ ზმნას კი არა, მასთან უფრო ახლოს მდგომ წევრ-კავშირსა და მისასავე ზმნას უნევს ანგარიშს, ანუ წევრ-კავშირს „ემსგავსება“. თვით ძველ ქართულ კლასიკურ ენაში ამ მოვლენის არაერთი ნიმუში მოიპოვება:

ყოველმან ხე მან ხენეშმან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას.

სრულიად ნათელია, რომ აქ მთავარი წინადადების სუბიექტი მო-

თხრობითში დამოკიდებული წინადადების სუბიექტის (წევრ-კავშირის – **რომელიმან**) გამო დგას, თორემ მას სახელობითი ბრუნვა შეეფერება:

ყოველი ზე... უნდა მოიკეთოს და ცეცხლზე დაიდოს.

ამგვარი შეცდომები რთული წინადადებების გამოყენების დროს თანამედროვე ქართულშიც იჩენს თავს. მაგალითად:

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდებმა, რომლებმაც პროფესია შემთხვევით მიიღეს, ხელახლა ირჩევენ მას.

ამჟამად, რომ ამ შემთხვევაშიც მთავარი წინადადების სუბიექტმა (ახალგაზრდებმა) თავის უშუალო მოსაზღვრე წევრს – დამოკიდებული წინადადების სუბიექტსა (**რომლებმაც**) და მის ზმნას (**მიიღეს**) გაუწია ანგარიში. სინამდვილეში კი ის სახელობითში უნდა მდგარიყო:

ახალგაზრდები... ხელახლა ირჩევენ პროფესიას.

როგორ დავიზღვიოთ თავი შეცდომისაგან?

პირველ რიგში ფრთხილად უნდა ვიყოთ ამგვარი რთული წინადადებების გამოყენების დროს (განსაკუთრებით მათი სასვენი ნიშნებით დაყოფის თვალსაზრისით). მეორეც: აუცილებელია შევძლოთ ამგვარად გახლეჩილი მთავარი წინადადების სუბიექტს ვაპოვინოთ საკუთარი ზმნა, რათა მისი ფორმა ამ უკანასკნელთან მიმართებით განისაზღვროს და არა უშუალო გამვლენელი („ასიმილაციის“ გამომწვევი) წევრის (წევრების) კარნახით.

5. მიზეზისა და მიზნის გარემოებათა და მათი შემცველი წინადადებების აღრევის შესახებ

მიზეზისა და მიზნის გარემოებები თავიანთი შინაარსით, ერთი შეხედვით, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; კერძოდ:

მიზეზის გარემოება (რატომ?) გადმოსცემს რაიმე მოქმედების, მოვლენის მიზეზს, ანუ ის ამ მოვლენას წინ უსწრებს, მასთან შედარებით „წინასწარ“. მიზეზის გარემოებებია: **ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ, ამაღ, მაგად, იმაღ, ამის გამო, ამ მიზეზით...**

მიზნის გარემოება კი (რისთვის?) მოქმედების მიზანს გამოხატავს, ამიტომაც ის, ამ მოქმედებასთან მიმართებით, მომავალს ეკუთვნის, უნდა მოჰყვეს მოქმედებას. მიზნის გარემოებებია: **ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, ამ მიზნით, მაგ მიზნით, იმ მიზნით...**

მიუხედავად ამ არსებითი განსხვავებისა, ქართულში (და არა მხოლოდ ქართულში) საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს მიზეზისა და მიზნის გარემოებათა და მათი შემცველი წინადადებების აღრევას, ამ გარემო-

ებათა ურთიერთმონაცვლეობას. კერძოდ, შეიძლება კაცმა იკითხოს:

რისთვის დატოვა ამ ხალხმა სამშობლო?

და ამაში „დატოვების“ მიზეზს გულისხმობს და არა – მიზანს.

ანდა პირიქით:

რად გარჯილხარ?

და ამ კითხვაში იმ მიზანს გულისხმობს, რისთვისაც გაისარჯა შეკითხვის ადრესატი.

ამგვარი აღრევის არაერთი მაგალითი მოიპოვება როგორც ზეპირმეტყველებასში, ისე წერილობით ძეგლებში:

ხოლო კაცის ახლოს ცხოვრობს იმისათვის, რომ ჩიტს უყვარს ჭამა პურის მარცვლებისა, ფეტვისა...

კიდევ იმისათვის მიყვარს ზაფხული, რომ ნიავეით თავისუფალი ვარ მაშინ.

სამტრედიასში რომ რკინიგზა გადაკეტეს, მართლა იმისთვის კი არ დაშლილა რუსეთი.

რისთვის ივიწყებთ იმათ, რომელთაც მამულის სახელს თავი შესწირეს?

(მდრ.: *ლევანის მეგობრის, ბეჟანას, წასვლაც იმ მიზეზით იყო გამოწვეული, რათა გარედან მაინც დახმარება მოეწყო.*)

ეს მაგალითები იმის დასტურია, რომ შესაბამის გარემოებებთან ერთად მიზეზისა (იმიტომ, რომ...) და მიზნის (იმისთვის, რომ...) გარემოებითი ქვეყნობილი წინადადებების აღრევაც ხდება.

უკანასკნელ ხანს შესამჩნევი გახდა ამ რიგის კიდევ ერთი დარღვევა, კერძოდ, **ჩადგან** და **ჩათა** ნეერ-კავშირთა ურთიერთაღრევა. **ჩადგან** მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან, ხოლო **ჩათა** – მიზნის გარემოებითს. ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობა კი ორივე მხრივ უნაცვლებს მათ ერთმანეთს:

როდესაც შუშანიკმა შიკრიკისაგან გაიგო, რომ ვარსკენმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი, მან გადაწყვიტა დაეტოვებინა სასახლე, რადგან განრიდებოდა ვარსკენს. ... თან ეკითხება, თუ რა გეგმები აქვს მომავლისათვის შუშანიკს, რათა სურს მისი ცხოვრების აღწერა.

ამგვარი დარღვევები რომ მხოლოდ სასკოლო თხზულებების დონეზე არ რჩება და საკმაოდ ფართო გავრცელება აქვს, ამის დასტურია თანამედროვე მასმედიის ზეპირმეტყველებისა და პრესის მონაცემები:

სანიტარულ სამსახურში მიიჩნევენ, რომ ხსნარების შეტანამდე აუცილებლად შესასწავლია მათი შემადგენლობა, რადგან არ დაუშვან მონაზღლის საშიშროება (ახ. თ., 29. 08. 2003, გვ. 6);

წარმოიდგინეთ ისეთი ადამიანი, რომელიც ტყეს შეგნებულად

ჩვენას, ვაგონებით გააქვს საქართველოდან, რადგან კიდევ ერთი მანქანა იყიდოს (ახ. ვერს., 24.04.2002, გვ. 29).

როგორ დავიზღვიოთ თავი შეცდომისაგან?

სრულიად აშკარაა, რომ მიზეზი წინმსწრებ მოვლენას ასახავს და მას თხრობითი კილოს ზმნური ფორმები შეეწყობა (რადგან მოვიდა... მოდის... მოვა...); მას შეეფერება კითხვა: რატომ? რა მიზეზით? მიზანი კი მომავალში უნდა შესრულდეს, ამიტომაც მას შეეწყობა კავშირებითი კილოს ზმნური ფორმები, განსაკუთრებით – II თურმეობითი (რა ექნა?) (რათა მოვიდეს... მოსულიყო...); შეეფერება კითხვა: რისთვის, რა მიზნით?

6. სხვათა სიტყვის მართლწერა

სხვათა სიტყვა არის ისეთი ფრაზა (ცალკეული სიტყვები თუ ერთი ან რამდენიმე წინადადება), რომელიც სხვისი ნათქვამის სახით, სხვაზე მითითებით არის ჩართული ავტორის (მთხრობელის) ტექსტში.

სხვათა სიტყვის გამოყენება ხშირია ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, განსაკუთრებით დამახასიათებელია ის მხატვრული ლიტერატურის ენისათვის.

ქართულში სხვათა სიტყვის გადმოცემის სამგვარი ფორმა არსებობს: პირდაპირი ნათქვამი და ირიბი ნათქვამის ორი სახეობა – კავშირიანი და ნაწილაკიანი. მათი ურთიერთმონაცვლეობა ტექსტის სტილისტიკის მნიშვნელოვანი უბანია.

პირდაპირი ნათქვამი, როდესაც ავტორი (მთხრობელი) სხვათა სიტყვას უცვლელად, სიტყვასიტყვით იმეორებს.

ირიბი ნათქვამი, როდესაც სხვათა სიტყვა (უკვე ნათქვამი თუ სათქმელი, განაზრახი) ავტორს თავისი ტექსტის ნაწილად უქცევია, როდესაც მისი სიტყვასიტყვითი გადმოცემის პრეტენზიას არ გამოხატავს.

I. პირდაპირი ნათქვამის გადმოცემის დროს ცალკე დგას ავტორის (მთხრობელის) სიტყვები და ცალკე – სხვათა სიტყვა; ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ სინტაქსურ ოდენობას წარმოადგენს, რაც წერის დროს სათანადო სასვენი ნიშნებით არის გამოხატული.

ავტორის სიტყვებისა და სხვათა სიტყვის ურთიერთთანამიმდევრობის სამგვარი შესაძლებლობა არსებობს:

ა) ავტორის სიტყვები წინ უსწრებს სხვათა სიტყვას. ამ შემთხვევაში ავტორის სიტყვები ორწერტილით მთავრდება, ხოლო სხვათა

სიტყვა ბრჭყალებში ჩაისმის, ანდა მის წინ ტირეა დასმული:

... ჯერ სახლთან დაიძახა: „დარუჯან! შინა ხარ, გოგო, დარუჯან!“

ციციკორემ შეამჩნია ეს და განმარტა თავისი ნათქვამი:

– დიდი ვაჟკაცი მოუკვდათ, გარიბალდი.

ამ მეორე შემთხვევაში უფრო ხშირია სხვათა სიტყვის ახალ ხაზზე (აბზაციო) დანყება:

ლევანს დურგალი და მისი ბიჭები ეხვეწებოდნენ:

– გვეცით პატივი და სოფელში გვეწვიეთ!

ბრჭყალებია აუცილებელი მაშინ, როცა სხვათა სიტყვა რაიმე ციტატას წარმოადგენს; ჩვეულებისამებრ, ბრჭყალებს იყენებენ მაშინაც, როცა პერსონაჟის ფიქრია გადმოცემული:

შოთა რუსთაველი ქადაგებს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

...სარკეში უყურებდა თავის თავს: „გალოთებულ არტისტს ვგავარ“.

შენიშვნა: არ არის მიზანშეწონილი ბრჭყალებისა და ტირეს ერთდროული გამოყენება, რამდენადაც ისინი ერთმანეთის მაგივრობას სწევენ. მაგ.: *ქალიშვილი დედას ელაპარაკება მასწავლებლებზე: – ელო მასწავლებელი ნაზი მასწავლებელს ვერ იტანს“.*

ბ) ავტორის სიტყვები მოსდევს სხვათა სიტყვას. ამ შემთხვევაში სხვათა სიტყვა უპირატესად იწყება ტირეთი, მის ბოლოს დაისმის შესაფერისი სასვენი ნიშანი, შემდეგ – კვლავ ტირე, რასაც მოჰყვება ავტორის სიტყვები:

– ხვალ ახმეტაში უნდა წავიდე და შენც წამოდი, – ეუბნება ვაჟას.

– დაფუჭებულები გვაქვს წერვები. – განმარტავს ხიროლა.

– ვინ არიან? – ეკითხებოდა დედას ძიძია.

შენიშვნა: როცა სხვათა სიტყვა თხრობითი შინაარსისაა, მის ბოლოს, როგორც ვხედავთ, შეიძლება დაინეროს როგორც ნერტილი, ისე – მძიმე.

გ) ავტორის სიტყვები ჩართულია სხვათა სიტყვის შიგნით. ამ შემთხვევაში სხვათა სიტყვის პირველი ნაწილი დასრულდება მძიმით ან სხვა რომელიმე სასვენი ნიშნით (ნერტილის გარდა), რის შემდეგაც დაისმის ტირე; ავტორის სიტყვებს კი მოჰყვება მძიმე და ტირე. მაგ.:

– ძალიან მაღალი ხომ არ არის? – იკითხა ბებიაძე, – ცუდი არ იყოს ბავშვებისთვის.

- არა, რას ამბობ, - იუარა პაპამ, - ცხრაასამდე მეტრია სულ ზღვის დონიდან.

- რა ბედნიერი დღეა, ბებო! - შევდახე ალტაცებით, - გარეთ თოვლი, აქ კიდევ ამდენი ჩურჩხელა!

შენიშვნა: პირდაპირი ნათქვამის ერთ-ერთი ფორმაა დიალოგი, რომლის გადმოცემის დროსაც შეიძლება ავტორის სიტყვები საერთოდ არ იყოს გამოყენებული. დიალოგში მონაწილე პირთა მონაცვლეობას კი გამოხატავს შესაბამისი სხვათა სიტყვის დანყება ტირეთი. მაგ.:

- დაბრძანდით.

- არა, პატივცემულო, დაჯდომით აღარ შეგანუხებთ.

- რა შენუხებაა, დაბრძანდით, დაბრძანდით.

- არა, ესევე გეტყვით.

- ბრძანეთ.

- მეუღლე გარდამეცვალა, სიხარულა.

- რას ბრძანებთ!..

II. იბიბი ნათქვამის გავრცელებული ფორმაა სხვათა სიტყვის კავშირიანი გადმოცემა, რომლის დროსაც ავტორის სიტყვები და სხვათა სიტყვა ერთ რთულ წინადადებად ერთიანდებიან და მათ, ჩვეულებისამებრ, აკავშირებს ზომ კავშირი:

მტერი იმუქრებოდა, რომ სამშობლოს ნაცარტუტად გვიქცევდა. მე ვუთხარი, რომ მისი კაპრიზების გათვალისწინებას არ ვაპირებდი. წინო მიხსნიდა, თუ რის გაკეთებას აპირებდა იგი დამთავრების შემდეგ.

შენიშვნა: სხვათა სიტყვის ამგვარი გადმოცემა ერთგვარი ხელოვნური იერის მატარებელია და ის უფრო მშრალი ოფიციალური სტილისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომაც მისი გამოყენება მხატვრული ლიტერატურის ენაში უაღრესად შეზღუდულია.

III. სხვათა სიტყვის გადმოცემის მეტად თავისებური და, ამავე დროს, საკმაოდ მოქნილი სახეა მისი გამოხატვა სხვათა სიტყვის ნაწილაკების მეშვეობით. სხვათა სიტყვის ამ სახეობას ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან მიმართებით. ფორმითა და შინაარსით (მოდალობით) ის ირიბ ნათქვამს ეკედლება (ამიტომაც მივიჩნიეთ ის ირიბი ნათქვამის ქვესახეობად), მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულად შენარჩუნებული აქვს სხვისი ნათქვამის სიტყვასიტყვით გადმოცემის პრეტენზია.

სხვათა სიტყვის ამგვარი გადმოცემის დროს გამოყენებულია

სხვათა სიტყვის ნაწილაკები: -**მეტქი**, -**თქო** და -**ო**. ისინი სხვათა სიტყვის ავტორის (ან – სავარაუდო ავტორის) პირის მიხედვით არის განაწილებული:

-**მეტქი** ნაწილაკი გამოიყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოცემისას, ანუ ამ შემთხვევაში ავტორი (მთხრობელი) საკუთარსავე სიტყვებს იმონმებს:

ხომ ვამბობდი, კალმით ნახატია-მეთქი.

-**თქო** ნაწილაკი ისეთ სხვათა სიტყვას დაერთვის, რომელიც მეორე პირმა უნდა გადმოსცეს:

ასე გადაეცი, შენი სულთამხუთაჲი მოვიდა-თქო.

შენი შვნა: 1. -**თქო** არასოდეს დაერთვის მეორე პირის უკვე ნათქვამ სიტყვებს. ამ შემთხვევაშიც -**ო** ნაწილაკი გამოიყენება:

შენ გითქვამს, ეგ კაცი ვერაფერს დამაკლებსო.

2. -**თქვა** ნაწილაკი კუთხურია და მისი გამოყენება დაუშვებელია („მეგონა მცდის-თქვა“. – დ. კლდ.)

-**ო** ნაწილაკი გამოიყენება მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად:

მაშინ გულდამშვიდებულმა თქვა: არა ვარ გამშრალი, არაო.

-**ო** ნაწილაკი ასევე გამოიყენება I და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად, თუ ეს პირები მრავლობითის სახით არის წარმოდგენილი:

მგელი ჩვენ როგორ შეგვაშინებსო, – თავს ვიშხნევებდით.

ავტორის ტექსტისა და ნაწილაკიანი სხვათა სიტყვის ურთიერთმიმდევრობა, უკვე განხილულის მსგავსად, სამგვარ პოზიციას წარმოაჩენს: ავტორის სიტყვები უსწრებს, მოსდევს ან ჩართულია სხვათა სიტყვაში.

პირველი პოზიციის შემთხვევაში, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, წინადადებათა შორის უპირატესად მძიმე დაისმის. ამავე დროს, დასტურდება ორწერტილის გამოყენების შემთხვევებიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვათა სიტყვა ვრცელ წინადადებას ან ფრაზას წარმოადგენს (ამ შემთხვევაში ორწერტილის შემდეგ ტირეც შეიძლება იყოს გამოყენებული):

უთხარი: შენი სულთამხუთაჲი მოვიდა-თქო.

მთავარმართებელთან მივიდნენ და განუცხადეს: – გურიიდან ალიხანოვი გამოვიდეს, თორემ გურულებზე უარესს ჩვენ ვიზამთ, კახელებიო.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ავტორის სიტყვები მოსდევს ან ჩართულია სხვათა სიტყვაში, შეგვიძლია იგივე სასყენი ნიშნები გამოვიყენოთ, რაც პირდაპირი ნათქვამის შემთხვევაში იყო მითითებული.

საგანგებოდ უნდა გაეცვას ხაზი ნაწილაკიანი სხვათა სიტყვის გადმოცემის ზოგიერთ მოთხოვნას: კერძოდ:

1. ნაწილაკები -*მეთქი* და -*თქო* შესაბამის სიტყვას უკავშირდება დეფისით, ხოლო -*თ* იწერება შერწყმულად.

2. სხვათა სიტყვის ნაწილაკი, ჩვეულებისამებრ, შესაბამის ტექსტში გამოიყენება მხოლოდ ერთხელ, რაც არ უნდა ვრცელი იყოს ის.

3. მითითებული ნაწილაკები უპირატესად დაერთვის სხვისი ნათქვამის ბოლო სიტყვას, წინადადების რა წევრიც არ უნდა იყოს ის (თუმცა უპირატესობა მაინც ზმნას უნდა მიენიჭოს).

4. კითხვითი მოდალობის მქონე ნაწილაკიან სხვათა სიტყვასთან, წესისამებრ, კითხვის ნიშანი არ დაისმის:

ჩოლოჯაშვილმა ერთხელ კიდევ შემოგვითვალა, რას აპირებთო.

(თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ გარკვეული პოზიციაში, განსაკუთრებით – ვრცელი სხვათა სიტყვის გადმოცემის დროს, კითხვის ნიშნის დასმის შემთხვევებიც შეგვხვდეს: – *ახლა რას აპირებთო? – გეკითხა ბოლოს პაპამ*).

5. ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებში ჩაისმის მხოლოდ მაშინ, როცა ის ციტატას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ნაწილაკი დაიწერება ბრჭყალებს შიგნით, ჩვეულებრივი წესით:

ისევ გამიმეორა აკაკის სიტყვები: „მაგრამ მარტო წერთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველაო“.

დასასრულს სანიმუშო თვალსაჩინოებისათვის ვცადოთ ერთი მაგალითის მიხედვით წარმოვადგინოთ სხვათა სიტყვის გადმოცემის ყველა ძირითადი ვარიანტი:

1. პირდაპირი ნათქვამი:

ა) *მთავარმართებელს განუცხადეს: „გურიიდან ალიხანოვი გამოვიდეს, თორემ გურულებზე უარესს ჩვენ ვიზამთ“.*

ბ) *მთავარმართებელს განუცხადეს:*

– გურიიდან ალიხანოვი გამოვიდეს, თორემ... უარესს ვიზამთ.

გ) *– გურიიდან ალიხანოვი გამოვიდეს, თორემ... უარესს ვიზამთ, – განუცხადეს მთავარმართებელს.*

დ) *– გურიიდან ალიხანოვი გამოვიდეს, – განუცხადეს მთავარმართებელს, – თორემ... უარესს ვიზამთ.*

2. ირიბი ნათქვამი:

მთავარმართებელს განუცხადეს, რომ ალიხანოვი გურიიდან გამოსულიყო, თორემ... უარესს ისინი იზამდნენ.

3. ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა:

ა) *მთავარმართებელს განუცხადე, ალიხანოვი გურიიდან გამოვი-*

დეს, თორემ... უარესს ვიზამთ-მეთქი.

აღიხანოვი გურიიდან გამოვიდეს, თორემ... უარესს ვიზამთ-მეთქი, – განვუცხადე აღიხანოვს.

ბ) ასე უთხარი მთავარმართებელს: გურიიდან აღიხანოვი გამოვიდეს, თორემ... უარესს ვიზამთ-თქო.

გ) მთავარმართებელს განუცხადეს, გურიიდან აღიხანოვი გამოვიდეს, თორემ... უარესს ვიზამთ.

დ) მთავარმართებელს განუცხადეთ: გურიიდან აღიხანოვი გამოვიდეს, თორემ... უარესს ვიზამთ.

7. როდის გამოვიყენოთ ორმაგი უარყოფა?

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საბოლოოდ არის დამკვიდრებული ე. წ. ო რ მ ა გ ი უ ა რ ყ ო ფ ა . ეს ის შემთხვევაა, როდესაც უკუთქმით წინადადებაში უარყოფის ორმაგი საშუალებაა გამოყენებული – უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა და უარყოფითი ნანილაკი.

წინადადებაში უარყოფითობის ძირითადი გამომხატველი, ცხადია, უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია: არავინ, არაა, არაფერი, ვერავინ, ნურავინ, არსად, ვერსად, არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს... როდესაც მხოლოდ ისინია წარმოდგენილი წინადადებაში, ცალმაგი უარყოფა გვექნება:

იმათი თვალთ ლაპარაკი არავის შეუმჩნევია.

სანოლიდან ყველანი გავიდნენ, მაგრამ სადედოფლო დარბაზიდან არავინ წასულა. სხვა არაფერი უთქვამს თავის თავზე. ჩემისთანა ოხერ-გაჭირვებულს სამი ვასათხოვარი სახლში მიზის და მთხოვნელი კაცი არსადა ჩანს.

მაგრამ არცთუ იშვიათად ამგვარად გამოხატული უარყოფის გასაძლიერებლად გამოყენებულია უარყოფითი ნანილაკებიც: არ, ვერ, ნუ (ალარ, ველარ, ნულარ). ჩვეულებისამებრ, თითოეული ამ ნანილაკთაგანი იმ უარყოფით ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას შეენყობა (მოსდევს მას), რომლის შემადგენლობაშიც იგივე უარყოფითი ნანილაკი შედის: არავინ არ, ვერავინ ვერ, ნურავინ ნუ, არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ, არასოდეს არ, ვერასოდეს ვერ და მისთ.

მაგალითები:

თქვენამდე არავინაც არ გამოჩენილა აქ.

უკვე ვერავინ ვერ დამახვევინებს უკან.

ნურავინ ნუ დაიჩემებს: მომავალში ამას ვიზამ და იმასო!

მოდით, ნურავის ნუ ვეტყვით, რომ ხელი მოგვეცარა.

არასოდეს არ გახმება წყალთა შინა ხეთა ძირი.

ნურასოდეს ნუ იტყვი იმას, ჩემი მომრევი არავინ არისო...

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი.

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში.

რაც უნდა ბევრი ეცადო, ვერსად ვერ დამემალეები...

როგორც დადგენილია, ცალმაგი და ორმაგი უარყოფის ურთიერ-
თმონაცვლეობა თავისუფალია და სტილისტიკის სფეროს განეკუთვ-
ნება. ამრიგად, გემოვნებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც:

იმ ძველ ადგილებს ალბათ არასდროს აღარ დაეუბრუნდები.

ისე: იმ ძველ ადგილებს ალბათ არასდროს დაეუბრუნდები.

მაგრამ არსებობს ზოგი ისეთი შემთხვევა, როცა ორმაგი უარყო-
ფის გამოყენება აუცილებელია:

1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია
უარყოფითი ნაწილაკისაგან:

არსად ისე არ მღერიან...

ვერავინ თურმე ვერ დაგვიცავს...

2. როცა უარყოფით ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას დაერთვის ნა-
წილაკი -ც(ა):

ვერაფერსაც ვერ ვხედავ...

არსადაც არ მეჩქარება...

3. როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრელ წევრს წარ-
მოადგენს:

მუცელას სმა-ჭამის მეტი არავითარი დარდი არა ჰქონდა.

თავს არიზოგავდა, არავითარ მუშაობას არ თაკილობდა.

მასზე სოფლელებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს.

წასულისა ჯერ არანაირი ამბავი არ მოსვლოდათ.

4. თუ ძირითადი წევრის უარყოფითობას გამოხატავს არც, ვერც,
ნურც ნაწილაკები:

მიყვარხარ და არცვის არ დაეუთმობ შენს თავს!

არც ერთს* ხმა არ ამოუღია.

არც ერთი აღდგომა, არც ერთი ბედნიერი დღე არ ახ-
სოვდა.

ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ
განხორციელდებოდა...

* ეს შემთხვევებიც უნდა აღასტურებდეს იმას, რომ არც ერთი, ვერც ერთი
(გარდა „არც – ერთი, არც – მეორე“ შემთხვევისა) ერთ სიტყვას უნდა წარმოადგენდეს.

8. წევრთა თანამიმდევრობის საკითხი წინადადებაში

მეცნიერებაში სამართლიანად არის დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ ქართულ ენაში წინადადების წევრთა თანამიმდევრობა შედარებით თავისუფალია, ანუ ქართული ენა ეკუთვნის იმ ენათა რიგს, რომლებშიც წინადადების წევრები მკაცრად განსაზღვრული წესით არ არის განლაგებული.

მაგრამ, ამავე დროს, არც ისეთი ენა არსებობს სადმე, რომლის წინადადების წევრთა თანამიმდევრობა აბსოლუტურად თავისუფალი იყოს; სწორედ ამ აზრის მატარებელია შესიტყვება „შედარებით თავისუფალი“, რომელიც ქართულის მიმართ იქნა გამოყენებული.

იმ ენებში, რომელთა წინადადების წევრების თანამიმდევრობა გრამატიკულად არ არის განსაზღვრული, ანუ სინტაქსური კონსტრუქციით არ არის მკაცრად შეპირობებული, წევრთა ასეთ თუ ისეთ განლაგებას, ჩვეულებისამებრ, სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება; ამდენად, ეს საკითხი ქართულში ძირითადად სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. თუმცა იგივე სტილისტიკური ვარიანტულობა წევრთა განლაგების სფეროში თავისთავად წამოსწევს საკითხს სტილისტიკურად ნეიტრალური კონტექსტების ამ თვალსაზრისით შეფასების შესახებ. უკეთ: თუ არ იარსებებს რაღაც ამოსავალი (ნეიტრალური) მდგომარეობა წინადადების წევრთა თანამიმდევრობის თვალსაზრისით, მაშინ ვერც სტილისტიკურად განსაზღვრულ (მარკირებულ) სიტყვათგანლაგებას შევაფასებთ.

მაგალითად: თუკი არ არსებობს შესადარებელი (ნეიტრალური) წყობა „ქორმა წინილა წაილო“, მაშინ რასთან მიმართებით განისაზღვრება სტილისტიკური აქცენტი სხვაგვარი წყობისა: „წინილა ქორმა წაილო“, ან – „წაილო ქორმა წინილა“?..

ამდენად, წევრთა თანამიმდევრობის საკითხი წინადადებაში სინტაქსის სფეროსაც მთლიანად ვერ დასცილდება.

მაინც რა განსაზღვრავს გარკვეული წევრის ადგილს სინტაქსურ კონსტრუქციაში?

როგორც ჩანს, რამდენიმე არსებითი ფაქტორი:

- წინადადების წევრის განსაზღვრული როლი („წონა“) კონსტრუქციაში;
- სინტაქსურ წყვილთა (სინტაგმათა) ბუნებრივი თანამიმდევრობა და ურთიერთშეჭიდულობა;
- წინადადების (ფრაზის) რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა;
- კონკრეტული სტილისტიკური ამოცანა (ნეიტრალური თუ მარკირებული).

აქედან გამომდინარე, წინადადების წევრთა განლაგებას ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორები განსაზღვრავს და მათი გათვალისწინება წინადადების (ფრაზის) აგებაზე მუშაობისას აუცილებელი პირობაა. ამიტომაც არის, რომ ნებისმიერი ავტორის კონკრეტული ნააზრევის წერილობითი გაფორმება (თუნდაც მხოლოდ ნაკითხულის შინაარსის გადმოცემა) საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს და უკვე რეალიზებული ტექსტის სრულყოფაზე (დახვეწაზე) მუშაობაც (თვით სიტყვის ხელოვანთა გამოცდილებით) არსებითად დაუსრულებელი პროცესია.

ამდენად, ელემენტარული წიგნიერი კულტურა გარკვეული სტანდარტული (ნეიტრალური) წინადადების ფარგლებში ბუნებრივი სიტყვათგანლაგების გათვალისწინებასაც მოითხოვს.

ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით რამდენიმე ზოგადი კანონზომიერება გამოიკვეთება:

1. ზმნა, როგორც ძირითადი მატარებელი აზრობრივი და კონსტრუქციული დატვირთვისა, მარტივი, სტილისტიკურად ნეიტრალური წინადადების ბოლოკიდური პოზიციისაკენ მიისწრაფვის. ეს, ცხადია, ძირითად ტენდენციასზე მითითებაა და არა ზმნის ერთადერთი პოზიციის აღნიშვნა; მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა წევრთა თავისუფალ განლაგებაზე საუბარი, გარკვეული პოზიციის უპირატესობა უკვე წესის ხასიათს იძენს. ამგვარად, მარტივი წინადადების ფარგლებში წევრთა წყობის ტიპობრივი შემთხვევაა:

მამამ შვილს დაგვიანებული პასუხი და უ ბ რ უ ნ ა .

2. როგორც მოყვანილი მაგალითიდანაც ჩანს, სუბიექტი ზმნის წინამავალ პოზიციას იკავებს, მეტიც, იგი წინადადების თავკიდური პოზიციისაკენ მიისწრაფვის. სუბიექტის ეს პოზიცია მისი აქტიური როლით უნდა იყოს განპირობებული.

3. გარემოება განლაგდება ზმნის სიახლოვეს, უპირატესად მის წინამავალ პოზიციაში:

მატარებელი ბაქანს კ ი ვ ი ლ ი თ მიუახლოვდა.

4. მსაზღვრელი წევრი, ასევე, უპირატესად წინ უსწრებს შესაბამის მთავარ წევრს და განლაგდება მის უშუალო სიახლოვეს:

და ფ ე თ ე ბ უ ლ მ ა ფ რ ი ნ ე ვ ე ლ ე ბ მ ა და თ ო ვ ლ ი ლ ნ ა ძ ე ბ ს გა და უ ფ რ ი ნ ე ს .

5. თუ მთავარ წევრს ორი (ან მეტი) მსაზღვრელი ახლავს, მათ შორის უფრო შორეულ პოზიციას იკავებს მართული (სუბსტანტიური) მსაზღვრელი, რომელსაც შეთანხმებული (ატრიბუტული) მსაზღვრელი მოსდევს:

კ ა კ ა ჩ ე მ ის ძ ე ლ მ ა და მ ბ ა ჩ ა მ ი ქ უ ბ ა .

ცხადია, წინადადების წევრთა თანამიმდევრობის პრობლემა ათას-

გზის უფრო რთულია, ვიდრე ეს ამ უმარტივეს შემთხვევებში არის წარმოდგენილი, მით უფრო, რომ ეს საკითხი სრულიად თავისებურ ასპექტებს იძენს, განუსაზღვრელად უფრო მრავალვარიანტული ხდება სხვადასხვა ტიპის რთული წინადადების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით აგრეთვე მხედველობაში მისაღები ხდება აზრობრივ-სტილისტიკური აქცენტების განაწილება, ტექსტის სტილი, უცხო ენათა კონსტრუქციების გავლენა და მისთ.

საზოგადოდ, ზემომითითებული ძირითადი ტენდენციების გარდა, წინადადებასა და ტექსტზე მუშაობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი არსებითი მოთხოვნები:

ა) წინადადების წევრთა განლაგება, თვით რაიმე კონკრეტული სტილისტიკური დატვირთვის პირობებში, არ უნდა არღვევდეს სალიტერატურო ქართული მეტყველების ბუნებრიობას. კერძოდ, წევრთა თავისუფალი განლაგების პირობებში ხუთსიტყვიანი წინადადება იძლევა სინტაქსური წყობის 120 შესაძლებელ ვარიანტს. თუ პირველსავე მაგალითს ავიღებთ, შესაბამისი ვარიაციები ამგვარ სახეს მიიღებს:

*მამამ შვილს დაგვიანებული პასუხი დაუბრუნა.
მამამ შვილს დაგვიანებული დაუბრუნა პასუხი.
მამამ შვილს დაუბრუნა დაგვიანებული პასუხი.
მამამ შვილს პასუხი დაგვიანებული დაუბრუნა.
მამამ პასუხი შვილს დაგვიანებული დაუბრუნა.
მამამ პასუხი დაგვიანებული შვილს დაუბრუნა.
მამამ პასუხი დაგვიანებული დაუბრუნა შვილს.
მამამ დაგვიანებული შვილს პასუხი დაუბრუნა.
მამამ დაგვიანებული პასუხი შვილს დაუბრუნა.
მამამ დაგვიანებული შვილს დაუბრუნა პასუხი.
მამამ დაგვიანებული პასუხი დაუბრუნა შვილს.
მამამ დაგვიანებული დაუბრუნა შვილს პასუხი.
მამამ დაგვიანებული დაუბრუნა პასუხი შვილს.
შვილს მამამ დაგვიანებული პასუხი დაუბრუნა.
დაგვიანებული შვილს დაუბრუნა პასუხი მამამ და სხვ.*

ერთი და იმავე წინადადების ამ ვარიანტთაგან (რომელიც, საზოგადოდ, წევრთა თანამიმდევრობის უზღვევ პოტენციას წარმოაჩენს) შეიძლება ზოგი ძირითადად იქნეს მიჩნეული, ზოგს გარკვეული სტილისტიკური დატვირთვა მივანიჭოთ, მაგრამ არის ისეთი ვარიანტებიც, რომელთა მიჩნევა ბუნებრივ (დასაშვებ) ქართულად ნამდვილად გაძნელებდა (მაგ. ბოლო წინადადება: *დაგვიანებული შვილს დაუბრუნა პასუხი მამამ*)...

ბ) ნევრთა განლაგება არ უნდა ქმნიდეს ორაზროვნების, სიტყვათა არასწორი დანყვილების შესაძლებლობას. მაგალითად:

დილის 11 საათზე ორი ავტომატი შეიარაღებული უცნობი პირი თავს დაადგა ზესტაფონი-ხაშურის რკინიგზის გადასარბენის საგუშაგოს მორიგეს.

სხვაა რომ თავი დაეანებოთ, ამ წინადადებით გამოდის, რომ ორი ავტომატი ერთი პირია შეიარაღებული, ავტორს კი ამის თქმა უნდოდა, – ავტომატიანები ორნი იყვნენო.

ოთხასამდე მესტიელი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში დროებით ნათესავეებთან და ახლობლებთან აფარებს თავს.

ისე გამოდის, თითქოს დროებით კი არ აფარებენ თავს, არამედ მათ „დროებითი ნათესავეები“ ჰყავთ.

გ) ხშირად წინადადების კონსტრუქციულ არასრულფასოვნებას და აუნყოფლობას, სიტყვათა განლაგებასთან ერთად, ქმნის ცალკეულ ნევრთა „სიჭარბე“, მათი უადგილო ადგილას, ანდა ზედმეტად გამოვლენა. ამისი მაგალითები განსაკუთრებით თავს იჩენს თარგმნილ ტექსტებში, თუმცა ორიგინალურ თხზულებებშიც არ არის იშვიათი. ორიოდე მაგალითი:

პასტორმა ველი გაიარა და საღამოს პირას არყის ხეებით გაჭიმულ გზაზე მაშინ გავიდა, როცა შლეენი სამუშაოდან ველოსიპედით შინ ბრუნდებოდა.

... ეს არ აკმარა და ქვედა კიდურების ორივე მუხლი თუნუქის ცხელ ღუმელზე მიადებინა.

9. ზოგა ზმნური კონსტრუქციის ცვლილებათა გასათვალისწინებლად

როგორც ცნობილია, წინადადების აგებულება (კონსტრუქცია), უპირველეს ყოვლისა, ზმნის პირიანობაზეა დამოკიდებული. ზმნის სუბიექტ-ობიექტები იგივე მთავარი ნევრებია წინადადებისა. შესაბამისად, ყოველი ისტორიული ცვლილება ზმნურ შესიტყვებაში წინადადების ნევრთა ანალოგიურ გარდაქმნას მოასწავებს. მაგალითად: **შეხედა** ზმნა სამპირიანი იყო (მან მას ის). შესამე პირად თ ვ ა ლ ე ბ ი ი გ უ ლ ის - ხ მ ე ბ ო დ ა; დროთა განმავლობაში ეს პირი დაიკარგა („ზედმეტი“ აღმოჩნდა, ვინაიდან „ხედვა“ თ ვ ა ლ ს ის ე დ ა ც გ უ ლ ის ხ მ ო ბ დ ა) და, შესაბამისად, **თვალი** სიტყვის გამოვლენა წინადადებაშიც ასევე შეუძლებელია.

ამგვარ ცვლილებას არაერთი ზმნა განიცდის. თუ ეს ცვლილება უკვე დამთავრებულია (როგორც შეხედა ზმნის შემთხვევაში), მაშინ ნორმა მას უეგებოდ მიიღებს, მაგრამ თუ ამ რყევის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ნორმა მისდევს მორფოლოგიურ (გრამატიკულ) პრინციპს და იცავს იმ კონსტრუქციას, რომელიც სისტემურად და ისტორიულად გამართლებულია.

აუცილებელია რამდენიმე ამგვარი გავრცელებული ზმნური კონსტრუქციის გათვალისწინება:

1. უყვება (ის მას მას) – მოუყვა (ის მას შას):

არასნორია: *პარტიებს საკუთარი „ფიზიონომიის“ დასანახად ეღებ-ს ლიდერმა ერთი ანეკდოტი მოუყვა.*

სნორია: ... *ლიდერი ერთ ანეკდოტს მოუყვა.*

2. ჰპირდება (ის მას მას) – შეჰპირდა (ის მას მას):

არასნორია: *მამამ ბავშვებს კანფეტები შეჰპირდა.*

სნორია: *მამა ბავშვებს კანფეტებს შეჰპირდა.*

ასევეა – *დაჰპირდა.*

3. სძლევს (ის მას) – სძლია (მან მას):

არასნორია: *სიკეთით სძლიე შენი მტერი...*

სნორია: *სიკეთით სძლიე შენს მტერსა...*

4. დაინვეს (ის) – დაიწია (მან):

არასნორია: *ქარი ამოვარდა და ლამე ტემპერატურა დაინია.*

სნორია: *ტემპერატურამ დაიწია.*

5. რა უყვეს (მათ მას):

არასნორია: *მათ არ იცოდნენ, რა უყვეს ლეკებმა ქალი.*

სნორია: *რა უყვეს ქალს...*

6. ელაპარაკება (ის მას) – დაელაპარაკა (ის მას):

არასნორია: *რა დაგელაპარაკა მან, განზე რომ გაგიხმო?*

სნორია: *რას დაგელაპარაკა იგი?..*

7. ებრძვის (ის მას) – ებრძოლა (ის მას):

არასნორია: *კორუფციას ყველამ ერთნაირად უნდა ვებრძოლოთ.*

სნორია: *კორუფციას ყველა უნდა ვებრძოლოთ...*

8. ეკითხება (ის მას მას) – შეეკითხა (ის მას მას):

არასნორია: *რა შემეკითხა შენმა ძმაკაცმა, კარგად აღარ მახსოვს.*

სნორია: *რას შემეკითხა ძმაკაცი?...*

9. სცემს (ის მას) – სცემა (მან მას):

არასწორია: ადგა და ძალლი სასტიკად სცემა ჯობით.

სწორია: ძალღს სცემა.

10. იგინება (ის) – შეიგინა (ის):

არასწორია: გულშემატკივარმა ერთი გულიანად შეიგინა.

სწორია: გულშემატკივარი შეიგინა...

11. იმუქრება (ის) – დაიმუქრა (ის):

არასწორია: პაპამაც გაბრაზებით დაიმუქრა: ნახავ, რასაც მოიმკიო!

სწორია: პაპა დაიმუქრა...

ტიპობრივ საგარჯიშოთა ნიმუშები

იპოვეთ შესაბამისი უზუსტობა და გამართეთ წინადადება:

იმ სახლში, სადაც არსენა იბრძოდა, უკვე მრავალი დახოცეს. ორივე თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი შვილები იყვნენ. (დუპუტატს) მიაჩნია, რომ იელოველებმა თავად დაარბიეს ყრილობისთვის მომზადებული სცენა და ა. შ., რადგან შემდგომ ასეთი განცხადებები გაეკეთებინათ. მეჩვენება: ის, ვინც დედამიწას მართავს, მუხრუჭის მაგიერ რატომღაც გაწს აჭერს ფეხს... უფრო სწორედ, ისინი, ვინც დედამიწას მართავენ. როგორც იქნა, მოიძებნა პარლამენტში ადამიანები, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა. ვილაცამ გორმალელების დარაჯი დაუნდობლად ცემა. ასათიანის განცხადებით, რუსეთის გეგმაში ზის მისი შენარჩუნება საქართველოს ხელისუფლებაში, რადგან ბოლომდე იქნას მიყვანილი ამ ქვეყნის ნგრევა. სხვა მხრივ მისი გრძნობები მთელ სამყაროს ეკუთვნის, ყოველ ციურ თუ მიწიურ არსებებს. ბევრი ღრო დაჭირდა ნამდვილი მეგობრების საოვნად, ისეთებისა, ვინც არ მილალატებდნენ. ტყუილად ხომ არ ამბობს ანდაზა — შეჩვეული ჭირი სჯობსო შეუჩვეველ ღზის. ისინი ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ, ერთი სოფლად, მერე ქალაქში ცხოვრობდნენ. ხალხმა ამ უცხო სანახაობას თვალი დიდხანს ვერ მოწყვიტეს. ენერგოკრიზისის დროს ადამიანი იძულებულია მუდამ იმრომოს, რადგან მისი ოჯახი სიცივის გამო არ გაიყინოს. 11 სექტემბრის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი აკეთებს განცხადებას, რომ ტერორიზმს ყველამ ყველგან უნდა ებრძოლოს. ქაქუცასთან კავშირის გამო იდენებოდა მიხა ხელაშვილი და ალექსი მისრიაშვილი. კაცმა ვალის დაუყოვნებლივ მოტანა შეპირდა თავის მეგალეს. ჩოლოყაშვილს იარაღს რომ აწვდიდა, იმისათვის დაისაჯა. ყოფილმა სპაის გოგონამ, ჯერი პოლი-

ველმა, უფრო და უფრო მოუხშირა ტელეკონზე გამოჩენას, თანაც ახალ-ახალ ამპლუებში. აღარ იცოდა, ბოლოს რამდენი ათასი ცხენოსანი თან ახლდა გიორგის. ჩემს შიშისგან გაყვითლებულ სახეს ყურადღება არ მიაქციაო. პოეტმა თავისი შეხედულებები მწერლის დანიშნულებაზე ნათლად გამოხატა მრავალ პუბლიცისტურ წერილებსა და ლირიკულ ლექსებში. მოსწავლეები რომ უკეთ გარკვეულიყვნენ, მასწავლებელმა ერთი იგავიც მოუყვა. ბევრი თანამდებობის პირი, რომელთაც უპირველეს საზრუნავად მოქალაქეთა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გაეხადათ, თურმე ისევე ძველი ინერციით მუშაობენ, ჯერ კიდევ უცხოა მათთვის გარდაქმნის ფსიქოლოგია. მეცადინეობაზე მხოლოდ ორი ვაჟი და სამი გოგონა გამოცხადდნენ. მამა-შვილი მივიდნენ და გათლილ შორზე ჩამოსხდნენ. თავისი საუკეთესო სიცოცხლის წლები შვილის აღზრდას შეაღია. ათეული ათასი ფუტკარი, რომლებიც ერთ ოჯახს შეადგენენ, შემდგომამდე დიდძალ თათულს აგროვებენ. ბიჭმა დედას წერილი მისწერა, სადაც დაწვრილებით უხსნიდა ყოველივეს. ორივე ქვეყანა ურბანიზაციის ძალიან მაღალი დონით გამოირჩევიან. ჩამატეთ ცივი წყალი ისე, რომ ტემპერატურა ნორმაზე დაბლა არ დაიწიოს. დიმიტრი, რომელიც ცხრაას ცხრამდე იატაკქვეშ იყო, ცხრაას ცხრაში ბორკილი დაადეს და კატორღაში იჯდა კარგახანსა. მეოცე საუკუნე კოლუშბინისთვის ურიცხვი სისხლიანი ქრონიკებით აღინიშნა. ასე რომ, ცხოვრება ნამდვილად ღირს იმისთვის, რათა არაკატაკაში დატრიალებული ამბები მოჰყვე. 12 რუსი მებრძოლი, მათ შორის ერთი პოლკოვნიკი და ორი ოფიცერი, დღემდე უშაროვის ტყეობაში არიან. ადამიანს, რომელსაც გამარცვას უპირებდი, მათხოვეო (მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა უნდა გენათხოვრებინა) უნდა გეთქვა თავდაპირველად. თქვენ ისეთივე უებრო მეოჯახე ბრძანდებით, როგორც მეომარი. ეს კაცი არ ვარგაო იმისათვისაო, რომ მტერიან-მტერიანი ტანისამოსი აცვიაო. უბედურება იქნებ არც ისე დიდი ყოფილიყო, რომ დაპირისპირებულ შეხედულებათა ჭრილობი მხოლოდ აზრის სფეროში რომ მიმდინარეობდეს. იქ, სადაც ნიჭია, იქ აუცილებლად აზრიც არის. გამომძიებლები თვლიან, რომ ყოველი გამარცვული ობიექტის ზარალი კაბიკ-კაბიკ უნდა გადამოწმდეს, რადგან ზოგიერთმა ვაი-ხელმძღვანელმა თავისი „ნამოღვაწარიც“ ამ „საცოდავეებს“ არ შეაწეროს. მას ამ საქმეში მხარი აუბა ისეთმა გამოცდილმა სპორტსმენმა, როგორც რ. აბეანდაქა. ...შესაძლებელია მთელ იმ პოლიტიკურ სპექტრში, ვინც დღეს არიან, ისინიც გამოჩნდნენ, ვინც დღეს აქტიურად არ ჩანან პოლიტიკაში. მორიგი ექსპერიმენტი... რომელსაც რა მოყვება, ვეჭვობ ამ დარბაზში მსხდომთაგან ვინმემ წინდაწინ დანამდვილებით იცოდეს... თუნდაც ისევე იმ შეიარაღებულთა გამო, რომლებიც კუპონს არ შეგარჩენს კი არა, საკუთარ სახლში არ შევიშ-

ვებს, თუ მოინდომა. ხის ძირას, ნიადაგსა და ბალახში, სხვადასხვა ცხოველები ცხოვრობენ. მათ ვინც თავისუფლად იშრომეს, შედეგსაც საუკეთესოს მოიძიებენ. ვინ უფრო მეტი გააკეთა ცნება „კომუნისმის“ დასახობად — მე თუ იმათ, ვინც დღეს რა ჯურის ბრალდებას აღარ მიყენებენ? გუშინ პარლამენტმა პირველი წაკითხვით მიიღო დადგენილებები, რომლებიც პარლამენტზე განსახილველად გამოიტანა დაერთ კუბრეიშვილმა. გაერთიანებული კოლექტივი, რომელიც 1990 წლიდან იმყოფებოდა იჯარაზე, ქონების გამოსყიდვის უფლებით, გამოისყიდა მასზე რიცხული ქონება.

ჩასვით შესაფერისი ფორმა:

აკი გეუბნებოდი, თავი დაანებეთ მავ გიყსა ... (მეთქი, თქო, ო). სთხოვე ღმერთს, მომიტევეს ჩემი ცოდვები (რათა, რადგან). ხომ გითხარი, მე შინც ვერას დამაკლებ (მეთქი, თქო, ო). შეცნობა და რატომ არ მაგონდება წამლაუწუმ ეკითხებოდა თავის თავს (თქო, ო, მეთქი). ბერმა დალოცა ყრმები, ყოფილიყვნენ ისინი ღვთის ჭეშმარიტი მოწმუნენი (რათა, რადგან). წალი და ბატონს მოახსენე, შევლა არ დამჭირდება (თქო, მეთქი, ო). ჯოჯივი და მისი ცოლი შევიდნენ შეშანიკთან, მისთვისაც ეჭმით პური, მთელი ეს დღეები უჭმელად გაეტარებინა (რათა, რადგან, რატომ). როგორც კი მივედით, მაშინვე ვაცნობეთ, — მეფე თავისი ამალით მოდის (თქო, მეთქი, თქვა, ო). უნივერსიტეტში იმიტომ აბარებს, საფუძვლიანი განათლება მიიღოს (რადგან, რათა). მასწავლებელმა უნდა მოსწავლეებს მშობლიური ენის სიყვარული გაუღვივოს (ეცადოს, სცადოს, შეეცადოს). ეს უხება მათ, ვინც საბჭოთა რეჟიმისაგან გაქცევა (გადაწყვიტა, გადაწყვიტეს). სიურეალისტები პირველები იყვნენ, ვინც ფოტოგრაფიას როგორც ხელოვნებას (მიუღვინე, მიუღვა). ისინი, ვისაც პირველი ჯგუფის სისხლი მაღალი იმუნიტეტით გამოირჩევიან (აქვს, აქვთ). მიუხედავად მრავალი ფინანსური ქვეყანა ნელ-ნელა ფეხზე დგება (პრობლემებისა, პრობლემისა). მესამე კატეგორიაში ამ თვალსაზრისით სუფრის ღვინოები (შედიან, შედის). ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს მათი განცხადებები და ქცევები (იძლევა, იძლევიან). ვინც თავად არ გამოიღებს ხელს, მათ ვერც ამერიკელები (უშველის, უშველიან). ახლა ორი სხვადასხვა ტამარი, — ერთი რომში და მეორე პრალაში, — რომ... (აცხადებენ, აცხადებს). კალაბურთელთა უმრავლესობას ახალი კონტრაქტები უკვე გაფორმებული (აქვს, აქვთ). ხანდაზმული ცოლ-ქმარი ტურისტული მოგზაუ-

რობის დროს რომს (ეწვივნენ, ეწვია). პარკში ახალგაზრდა გოგო და ბიჭი (ზის, სხედს, სხედან, ზიან). ნატრობდა შეეძინა საკუთარი სტამბა, უამრავი წიგნის დაბეჭდვას აპირებდა (სადაც, რომელშიც). სოფელში ისეთი სახელი ჰქონდა დაეარდნო, მის თავმოყვარეობას შეჰფეროდა (როგორც, როგორიც).

გამართეთ ფრაზა სხვათა სიტყვის შესაფერისი ნაწილაკის გამოყენებით:

ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო. მაშინ ჩემს ბიძაშვილს გაეუწყყერი, მეორედ აღარ წამოგცდეს მაგისტანა სიტყვები-თქვა. როგორც ვუთხარით — მეფესთან უნდა წამოხვიდე-თქო, იმავე წაშს დაგვეთანხმება. ვწერდი იმაზეც, რომ აფხაზი ექსტრემისტები გარეშე ძალების იმედად არიან, თორემ ისინი ამდენს ვერ გაბედავდნენ-თქვა. მასპინძელს ვეტყვი, მიზეზს გადაგებინებ — საქმე გვაქვს, უსათუოდ ხვალ აღრიხანად წამაგალი ვარ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეხუდ-თქვა. კი ვისუმრე, თავგება შეგვიტყაძა ლურსმნები-თქვა. ვუხსნი, ვბოდიშობ: კიდევ რამდენიმე წუთს მოგვიწევს ლოდინი-თქო. მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავრჩი-თქო. მაშ, სამართალმა პური აღარ უნდა ჭამოსო, — ვფიქრობდი. ნიკოსაც შეეუთვალეთ, კვირას აუცილებლად ჩამოდი-თქვა. მეზობლებთან გადადი და შეახსენე, რომ ცოტა ხელის წაყვრა დამჭირდება. ასე უთხარი, თქვენთვის არც მოსვლა მიკითხავს და არც წასვლას გკითხავთო. მაშინ ჩემს ბიძაშვილს გაეუწყყერი, მეორედ აღარ წამოგცდეს მაგისტანა სიტყვები-თქვა. ... რომელიც, სხვათა შორის, მასპინძლებს შეჰპირებია, თბილისში მოგიწვევთო კონცერტების ჩასატარებლად. მაგრამ როცა შევატყვე, ყურს აღარ მივდებენო, ისევ კალიასავით დავეშვი თავქვე. წადი და უთხარი ქალბატონს, ფულებს რომ თხოულობ, სახლს რატომ არ გვითბობო. ვიფიქრე — დაიმტერევა-თქვა, მარა შენც არ მომიკვდე, წელი არ გაუხრია. მაშინ გულდამშვიდებულმა ვთქვი: არა ვარ გამშრალი, არაო.

გამოკითხვა-ლაპარაკში გვითხრა, შვილო, ახალგაზრდების სიცოცხლის გამო შეშინაო; ამბობენ, ომი მოხდება და ისევ მეფე ჩამოვაო. ახ, რა მტკიცედ დავარწმუნეთ, რომ მისი წინააღმდეგ ვიყავით. რას ამბობ, დედი-თქო, ვინ ჩამოუშვებს-თქო, ჩვენ გვინდა, რო საქართველო თავისუფალი და დემოკრატიული იყოს-თქო. ხომ გითხარი, ესეც დამჯდარი დახატე-თქვა, რატომ არ გაიგონე?! — ამაზე უარეს დღეში ხომ არ ჩავგარდებით-მეთქი, — შევეპასუხეთ ჩვენ, — ნეტა ამაზე გაუსაძლისი რაღა უნდა მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში-მეთქი. ვერაფერი გავაწყვე და გადავწყვიტე, რომ თავს ზემოთ ძალა აღარ არის-თქო.

IV. შუნიციონალური სტილისტიკის საკითხები

1. ფუნქციონალური სტილისტიკის საგანი

სტილი სტიკა, როგორც ფილოლოგიური დისციპლინა, ამა თუ იმ ენის გამომსახველობით შესაძლებლობათა, ანუ სტილური ხერხებისა და საშუალებების შემსწავლელი მეცნიერებაა. ამდენად, სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს, დანყებული სიტყვათა თანამიმდევრობით და დამთავრებული სპეციალური გამომსახველობითი საშუალებებით („მხატვრული ხერხებით“).

შეიძლება ითქვას, სტილი ყველგან არის, სადაც კი სიტყვები აზრის გამოსახატავად იყრიან თავს, ამიტომაც სტილისტიკა, საზოგადოდ, ენობრივ ქმნადობას უკავშირდება, ზეპირმეტყველებითი იქნება ის თუ წერიტი. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ სტილისტიკის პრობლემატიკა იმთავითვე მნიგნობრული ენის ჩამოყალიბებას დაუკავშირდა და მის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა მეთოდურად და იმკვიდრებდა ადგილს თეორიულად თუ პრაქტიკულად. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც მხოლოდ დანერილი ფრაზის დახვეწა და სრულყოფა შესაძლებელი; ზეპირმეტყველება ამ მხრივ უფრო ერთყამიერია და მოუხელთებელი (როგორც ხალხს უთქვამს, „გაფრენილ სიტყვას ვერ დაიბრუნებ“!).

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მნიგნობრობის, და მათ შორის - ქართულის, მთელი ისტორია სტილისტიკის დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასაც წარმოადგენს. და მით უფრო დიდია ეს გამოცდილება, რაც უფრო ხანგრძლივია მისი ისტორია და ფართოა ის სფეროები, ის ასპარეზი, რასაც ეროვნული ენა სწვდება და მოიცავს. ამდენად, სტილისტიკის პრაქტიკული გამოცდილება ყოველი ეროვნული მნიგნობრობის აუცილებელი მემკვიდრეობაა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს პროცესები თეორიულად გააზრებული და განმტკიცებული.

რაც შეეხება სტილისტიკის პრობლემების თეორიულ გააზრებას მნიგნობარი კაცობრიობის მიერ, ეს დარგი ერთ-ერთ უძველეს მეცნიერებათა (ცოდნათა) რიგში დგას, მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერული სტილისტიკა მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. კერძოდ, ფრიად ნიშანდობლივია, რომ ანტიკურ საბერძნეთში სტილისტიკა (იგივე „პოეტიკა“) არსებითად მხოლოდ მხატვრული ენის სპეციფიკას შეისწავლიდა, ხოლო სალიტერატურო (საერთო-სახალხო) ენის

გამოყენების პრაქტიკულ სფეროს რიტორიკა (მჭევრმეტყველების ხელოვნება) მოიცავდა (ამ მხრივ საყოველთაოდ არის ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის - არისტოტელეს - ფუნდამენტური მემკვიდრეობა „რიტორიკა“ და „პოეტიკა“).

ამდენად, უძველესი დროისათვის სტილისტიკა მაინც მხატვრული ენის ფუნქციონირების ასპარეზად მოიაზრებოდა, რამდენადაც ენის ფუნქციონირების სხვა სფეროები ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი და წარმოჩენილი (ზოგ შემთხვევაში კი - ჩასახულიც).

დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გაფართოვდა სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების არეები. თუ თავიდან მხატვრული ლიტერატურის ენას ფუნქციონალური ნიშან-თვისებების თვალსაზრისით მხოლოდ ლექსმეტყველებისა და ფილოსოფიის ენა უპირისპირდებოდა, რომელიც თავისთავში მოიცავდა შემდეგდროინდელ ცალკეულ მეცნიერებებსაც (მაგალითად, სრულიად თვალსაჩინოა, როგორ ჩამოყალიბდა ქართულ სინამდვილეში, ერთი მხრივ, მხატვრული ენა, მეორე მხრივ, საღვთისმეტყველო ენა, ხოლო, მესამე მხრივ, აქედან გამომდინარე, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური ენა), მოგვიანებით თანდათანობით გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ისე ბუნების მეცნიერებათა სფეროები და ფარგლები; ცალკეულმა მეცნიერებებმა დადგინილი, თავისთავადი სახე მიიღო, რაც პირველ რიგში ამ სფეროების „ენობრივ“ თვითმყოფადობას გულისხმობს. შესაბამისად, უფრო ხელშესახები გახდა ის საზღვრები, რომლებიც, ერთი მხრივ, მხატვრული ენისა და სტილის პრობლემატიკას ასახავდა, ხოლო - მეორე მხრივ, სალიტერატურო ენის გამოყენების ცალკეული სფეროების, ცალკეულ ფუნქციონალურ არეთა სპეციფიკას განსაზღვრავდა.

სტილისტიკის ისტორიის თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ ამ ცნებისა და მეცნიერული დარგის რეალური შინაარსი (ე.წ. „ენათმეცნიერული სტილისტიკა“) ჩამოყალიბდა მხოლოდ XIX საუკუნეში, ანუ მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების სრულიად ახალი მასშტაბები და ასპარეზი განათლების, მეცნიერების, საინფორმაციო ურთიერთობების, საქმისწარმოების სფეროში.

ქართული სალიტერატურო ენის დიფერენცირებული სტილისტიკური დახასიათებაც, სრულიად ბუნებრივია, მის ფუნქციონალურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული.

ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციურ მრავალფეროვნებას, მის „პოლივალენტოვნებას“ საგანგებოდ აღნიშნავს არნ. ჩიქობავა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ I ტომში (1972 წ.), როდეს

საც სალიტერატურო ენის ფუნქციების საკითხს ეხება:

„გამოყენების სფერო განასხვავებს სალიტერატურო ენებს ერთ-მანეთისაგან.

სამწერლო ენაზე შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვას სწავლობდნენ; მასთან მოთხრობა-ლექსებიც იწერებოდა ამ ენაზე.

თუ სამწერლო ენაზე საშუალო განათლებასაც იღებენ, ეს თვალსაჩინოდ ზრდის სამწერლო ენის გამოყენების სფეროს: საბუნებისმეტყველო საგნები (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია... ფიზიკა, ქიმია...), მათემატიკის სპეციალობანი (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია...) სათანადო ტერმინების შექმნის გარეშე შეუძლებელია ვასწავლოთ (ინტერნაციონალური ტერმინები უთარგმნელად რჩება, მაგრამ ტერმინთა დიდი ნილი იმ ენაზე უნდა გვექონდეს, რა ენაზედაც ვასწავლით საგნებს)...

ქართული სალიტერატურო ენა უკვე მეთექვსმეტე საუკუნისა თავისი დროის კულტურულ მოთხოვნილებას ღირსეულად ემსახურებოდა.

და მაინც: ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიღდა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველომ და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა.

ამ მეცნიერებათა მეტი ნილი უკანასკნელ საუკუნეებში შეიქმნა, მათი ცნებები წინათ არ არსებობდა... ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობებში ჩვენს ახალგაზრდობას უირვეულად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას.

ჩვენ ახლა მივეჩვიეთ იმას, რომ ქართულ ენაზე ყველა დარგის ნააზრვეი შეიძლება გადმოიცეს, შევეჩვიეთ ისე, რომ გვაგინყდება, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ამას ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის, და – კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის“.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მრავალპლანიანობა და პოლივალენტოვნება თავისთავად განაპირობებს მის მრავალმხრივ ფუნქციონალურ და სტილისტიკურ განტოტებას. სალიტერატურო ენის ფუნქციების ამგვარი დიფერენცირება შეპირობებულია იმ რთული და არაერთგვაროვანი ამოცანებით, რასაც ის სრულიად განსხვავებულ პროფესიულ სფეროებში გამოყენების დროს ასრულებს. სწორედ ფუნქციონალური არეების გაფართოება და გართულება იწვევს სალიტერატურო ენის გამოკვეთილ სტილისტიკურ დიფე-

რენციაციას. რაც უფრო განვითარებული და პოლივალენტოვანია სალიტერატურო ენა, მით უფრო გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია მისი ფუნქციონირების არეები, ანუ ფუნქციონალური სტილისტიკის სფეროები, მით უფრო აქტუალური ხდება საკითხი თითოეული ამგვარი სფეროს ენობრივ თავისებურებათა გამოვლენისა და შესწავლისა.

ამდენად, სალიტერატურო ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით არსებით მნიშვნელობას იძენს შესწავლა არა მხოლოდ მხატვრული ენის სპეციფიკური ექსპრესიული საშუალებებისა, არამედ ენის ფუნქციონირების ყოველი ცალკეული სფეროსა და უბნისა, ანუ ფუნქციონალური სტილისტიკის ძირითადი თავისებურებებისა, რამდენადაც სწორედ მასთან არის დაკავშირებული სალიტერატურო ენის საყოველთაო პრაქტიკული გამოყენების ძირითადი ამოცანები.

რას გულისხმობს ფუნქციონალური სტილისტიკა?

ფუნქციონალური სტილისტიკა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ იგი დიფერენცირებულად წარმოადგენს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ცალკეულ სფეროებს, ამ სფეროთა სტილებრივ თავისებურებებს. უფრო ზოგადად კი ფუნქციონალური სტილისტიკა შეისწავლის იმ ნაირგვარ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც სალიტერატურო ენის ფუნქციონალურ (სპეციალურ) დიფერენციაციას ემსახურება და გამოხატავს. უფრო კონკრეტულად: ფუნქციონალური სტილისტიკა შეისწავლის როგორც ფუნქციონალურ სტილთა საერთო კანონზომიერებებს, ისე იმ სპეციფიკურს, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს, მათ ავტონომიურობას განაპირობებს.

როცა ფუნქციონალურ სტილებზე საუბრობენ, ჩვეულებისამებრ, მეტი ყურადღება ეთმობა მათს განმასხვავებელ თავისებურებებს, იმ სპეციფიკურს, რაც მათს თავისთავადობას ქმნის. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აღნიშნულ სტილებს შორის „ჩინური კედელი“ არ არსებობს. ჯერ ერთი, მათთვის საერთოა ძირითადი ენობრივი რესურსები (სიტყვები, წინადადებები). მეორეც, თითქმის არ არსებობს ისეთი ენობრივი გამომსახველობითი ფორმა, რომელიც ოდენ ერთ სტილს ეკუთვნოდეს და არც ერთ დანარჩენში არ გამოვლინდეს. ამდენად, აქ შეიძლება მხოლოდ ცალკეულ ნიშანთა დომინანტობაზე იყოს საუბარი ამა თუ იმ სტილის ფარგლებში. მაგალითად, სტილისტიკური ნიშნების თალსაზრისით ყველაზე უფრო გამოკვეთილია მხატვრული სტილი. მაგრამ თვით მისთვის დამახასიათებელი ტიპობრივი მხატვრული საშუალებების გამოვლენა არ გამოირიცხება სხვა სტილთა ფარგლებში. ზემოთ ხატოვანი გამონათქვამი „ჩინური კედელი“ იქნა გამოყენებული, რომელიც უკვე არის მეტაფორული ში-

ნაარსის მატარებელი. ამგვარი ხატოვანი ფორმულები, მართალია, შეზღუდული და „ანონილი“ დოზით, მაგრამ სრულიადაც არ არის უცხო ფუნქციონალური სტილებისათვის. ასეთია, მაგალითად, ცალკეული ტერმინებისა თუ გამონათქვამების გადატანითი, ხატოვანი შინაარსით გამოყენება:

არჩევნები მოახლოვდა, პარტიები ფინიშის სწორზე გაიძინენ; მან თავისი მოღვაწეობით გზა გაუკაფა მომავალ პოლიტიკოსებს; ბევრი სახელმწიფო ადამიანთა უფლებებს ფეხქვეშ თელავს; ეს ორი კვირაა პარლამენტი ერთ ადგილს ტკეპნის; ბიუროკრატიზმს ერთი დარტყმით ვერ დაძლე...

სხვადასხვა სტილისტიკური ფიგურები (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ანტითეზა, სინესთეზია, მეტონიმი ან სხვა) შეიძლება ფუნქციონალური სტილის ელემენტებადაც მოგვევლინოს. მეტაფორული საშუალებების გამოყენებაზე განსაკუთრებით მიუთითებენ პუბლიცისტიკის ენაში:

შეეარდნაძეა მათი ყინულმჭრელი, რომელიც დასაღლეთისკენ ამტვრევს ყინულს და სივრცეს უთავისუფლებს თავის გუნდს; იგი (ე. სურმანიძე) სხეებზე ხშირად არის ფრონტის წინა ხაზზე და ჟვანიასთვის საიმედო თანამებრძოლია...

ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფუნქციონალური სტილთა ფარგლებში გარკვეული გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებისასაც ნიშანდობლივია ზომიერება („მომჭირნეობა“), აკადემიზმი და ამგვარი ფიგურების სტანდარტიზაცია.

ფუნქციონალური სტილისტიკის გენეზისის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სტილისტიკის ეს სფერო ისტორიულ-კულტურული კატეგორიაა, რამდენადაც უშუალოდ უკავშირდება ენის ფუნქციონირების სოციალურ-კულტურული პირობების ისტორიულ ცვალებადობასა და ჩამოყალიბებას, ენის გამოყენების პრაგმატული სფეროების საბოლოოდ განსაზღვრასა და დადგენას.

ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციონალურ სტილთა სრულყოფილი, განვითარებული სისტემა აქვს. კერძოდ, გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური სტილები (ენის ფუნქციონირების სტილებრივი სფეროები):

- სამეცნიერო;
- ოფიციალურ-საქმიანი;
- პუბლიცისტური;
- სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი).

ფუნქციონალურ სტილთა ამ რიგში ზოგჯერ მოიხსენიებენ მხატვრულ სტილსაც, როგორც ენის ფუნქციონირების ერთ-ერთ სფეროს; თუმცა უმჯობესია მხატვრული და ფუნქციონალური სტილები იმთავითვე იქნეს გამოიჯნული მათი პრინციპული შინაარსობრივი განსხვავების გამო, იმდენად, რომ ისინი არსებითად დამოუკიდებელ სამეცნიერო სფეროებს წარმოადგენენ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ამ თვალსაზრისით შესაძლებელია უმჯობესი იყოს გამოყენება ტერმინისა პრაქტიკული სტილისტიკა, რომელიც (ფუნქციონალურისაგან განსხვავებით) მხოლოდ ენის გამოყენების პრაქტიკულ სფეროებს გულისხმობს და, ამდენადვე, თავისთავად გამოირიცხავს კავშირს ენის გამოყენების შემოქმედებით (მხატვრულ) მხარესთან.

რამდენადაც უკვე საკმაოდ ვრცლად იყო საუბარი ორთოეპიისათვის (ზეპირმეტყველებისათვის) ნიშანდობლივ პრობლემებზე, აქ მხოლოდ იმ ძირითად თავისებურებებზე შევჩერდებით, რომლებიც სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სამ ძირითად სფეროსთან – სამეცნიერო, პუბლიცისტურსა და ოფიციალურ-საქმიან სტილებთან არის დაკავშირებული.

ა) სამეცნიერო სტილი

თანამედროვე სამეცნიერო სტილის დიაპაზონი მეტად ფართოა როგორც „რაოდენობრივი“ (სპეციალური, დარგობრივი მრავალფეროვნება), ისე თვისობრივი (ცალკეული პროფესიული ენების მაქსიმალური განვითარება) თვალსაზრისით, რამდენადაც უახლესმა სამეცნიერო-ტექნიკურმა ცივილიზაციამ განუსაზღვრელი მასშტაბები შესძინა ცალკეულ მეცნიერებათა დიფერენცირებულსა და გაღრმავებულ განვითარებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო ინსტიტუტების ფართო ქსელის ხანგრძლივმა სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობამ ასევე შეუწყო ხელი ქართული სამეცნიერო ენის (ტერმინოლოგიისა და სტილის) დამუშავებასა და ჩამოყალიბებას.

სამეცნიერო სტილის ფუნქციონირების სფეროებია: მეცნიერული შრომა, გამოკვლევა, სტატია, სახელმძღვანელო, საგნის ან მოვლენის აღწერა, ანალიზი, მსჯელობა, დასკვნა, რეცენზია, ლექცია, სალექსიკონო ან ენციკლოპედიური სტატია, თეზისები, ანოტაცია, რეფერატი, კონსპექტი, გამოხმაურება და სხვა.

სამეცნიერო სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

– სპეციალური ლექსიკის, ტერმინოლოგიის მიზანმიმართული გა-

მოყენება (ყველა დარგის სპეციალური ენა გაჯერებულია მისთვის დამახასიათებელი მდიდარი ტერმინოლოგიით);

– ენის სიმშრალე და ლაკონიურობა (აქ ჭარბსიტყვაობა და გამომხატველობითი ეფექტურობა ნიშანდობლივი არ არის);

– ცნებითი სიზუსტე და ერთმნიშვნელოვნობა; სიტყვები ატარებენ არა კონკრეტულ, არამედ განზოგადებულ, ცნებით შინაარსს (ხშირია აბსტრაქტული სახელების გამოყენება);

– სტატისტიკური და სხვა აღრიცხვითი მონაცემების საგანგებო წარმოჩენა;

– ზმნების ნაკლებობა; ძირითადად მდგომარეობის, ქონება-არსებობის (და არა მოქმედების) გამოხატვა (დამახასიათებელია ზმნები: *არის, აქვს, ახასიათებს, ნიშანდობლივია, არ გააჩნია...*);

– ტექსტის ლოგიკური განვითარება, მსჯელობა (რასაც განამტკიცებენ ცალკეული გამონათქვამები: *ჯერ ერთი, მეორეც, ამგვარად, ასე რომ, აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ითქვა* და მისთ.);

– ტექსტის მტკიცებითი ხასიათი (განსჯა, არგუმენტაცია, წესი, მაგალითი, დამონშება-ციტირება და მისთ.);

– რთული (განსჯითი) სინტაქსი, რაც სამეცნიერო ანალიზის მიზნულ-შედეგობრივ ბუნებას უკავშირდება (თუმცა, სამეცნიერო ინფორმაციის გადმოცემის დროს მარტივი კონსტრუქციებიც არ არის უჩვეულო);

– აზრის (თვალსაზრისის) გადმოცემის ობიექტურობის დაცვა, მაქსიმალური შეზღუდვა სუბიექტური დამოკიდებულების გამოვლენისა (მაგალითად, ამის გამოხატულებაა I პირის ნაცვალსახელის მრავლობითი ჩვენ ფორმის გამოყენება მოსალოდნელი მხოლოდობით – შე – ფორმის მაგიერ, ზმნის განზოგადებული შესამე პირის გამოვლენა I პირის ნაცვლად: *უნდა აღინიშნოს* და არა – *უნდა აღენიშნო* და მისთ.);

– მაქსიმალური შეზღუდვა მხატვრული სტილის ელემენტებისა (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა და მისთ.).

სამეცნიერო ტექსტის დანიშნულება ყოველთვის ერთნაირი არ არის. თუ სამეცნიერო ხასიათის ტექსტის ობიექტსა და, განსაკუთრებით, ადრესატს გავითვალისწინებთ, შესაძლებელია სამეცნიერო სტილის ქვესახეობებიც გამოიყოს: საკუთრივ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოპულარული; მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არის, მაგრამ ბოლო ორი (საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოპულარული) იმით გამოირჩევა, რომ მათში ზემომითითებული შეზღუდვები (ძირითადი სტილისტიკური მოთხოვნები), ჩვეულებისამებრ, ნაკლებ მკაცრია და მეტი

გასაქანი ეძლევა საერთო სამეტყველო ენის, უფრო მისანედლომი ლექსიკისა, ფრაზეოლოგიისა და სინტაქსის გამოყენებას.

სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის ნიმუში:

ზოგი რამ მარილის შესახებ

მარილს ადამიანი უხსოვარი დროიდან ხმარობს. მას სიმბოლური მნიშვნელობაც კი მისცეს. რომაელი მწერალი პლინიუსი ამტკიცებს, რომ ძველ რომში არც ერთი მსხვერპლად შეწირვა უმარილოდ არ სრულდებოდა. ეგვიპტესა და აფრიკის სხვა ქვეყნებში მარილს იყენებდნენ ავგაროზად. სენეგალში სწამდათ, რომ თუ კაცი წარმოთქვამდა ფრაზას „ჩვენ ვჭამთ მარილს“, იგი ხიფათის აიცილებდა თავიდან. რუსეთში პური, ზედ დადებული მარილით, სტუმარ-მასპინძლობის, კეთილი შეხვედრის სიმბოლოდ გადაიქცა. შორეულ წარსულში მარილი ძალიან ძვირად ფასობდა, განსაკუთრებით ძველ რუსეთში. როცა მარილზე გადასახადები იზრდებოდა, იწყებოდა „მარილის ამბოხებები“.

ფილოლოგები თვლიან, რომ საერთაშორისო სიტყვა „საღდათი“, ინგლისური სიტყვა „სელერი“ და ფრანგული „სელერიე“ (ხელფასი) წარმოიქმნენ ლათინური სიტყვიდან „სალ“ (მარილი). ეს იმით აიხსნება, რომ რომში დაქირავებულ ჯარისკაცებს ხშირად ჯამაგირს მარილით უხდიდნენ. მარილის საყიდლად მათზე გაცემულ ფულს კი უწოდებდნენ „სალარიუმს“. იტალიის ერთ-ერთ უძველეს გზას, რომლითაც შემოპოქნდათ მარილი, დღესაც ვია-სალარიას (მარილის გზას) უწოდებენ. ჩვენს დროშიც კი საპარის მცხოვრებთათვის მარილი ასრულებს გასაცვლელი პროდუქტის როლს და ხშირად ფულის მაგივრობას ეწევა.

ცნობილია, რომ ადამიანს უმარილოდ ცხოვრება არ შეუძლია და ამაზე სიტყვას აღარ გვაგარძელებთ. გამოანგარიშებულია, რომ დედამიწის მოსახლეობას ყოველწლიურად სჭირდება 22 მილიონი ტონა სუფრის მარილი. თითოეული ადამიანი წელიწადში საშუალოდ 8 კილოგრამ მარილს ხმარობს.

მიწის წიაღში ქვამარილის უდიდესი მარაგია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს მარაგიც დაილევა. ამ შემთხვევაში კაცობრიობის მსხნელად ოკეანე გამოვა. ამჟამად მოაოფებული მარილის ერთ მესამედს ზღვის წყლის აორთქლებით იღებენ... „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის“ ქვეყნებში ზღვის წყლიდან ყოველწლიურად 4 მილიონ ტონა სუფრის მარილს იღებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2 მილიონ ტონაზე მეტს.

ათასი კუბური მეტრი ზღვის წყლიდან მიიღება 1,3 ტონამდე მარ-

ილი. მსოფლიოს ოკეანეები სუფრის მარლის უდიდესი საკუჭნაოა. იგი შეიცავს 38.000.000 მილიარდ ტონა მარლის. თუ მოხმარების თანამედროვე დონეს ავიღებთ, ეს მარლი დედამიწის მოსახლეობას 1,7 მილიარდ წელიწადს ეყოფა.

ბ) პუბლიცისტური სტილი

პუბლიცისტური სტილი გულისხმობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ენის თავისებურებას. რამდენადაც თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი კომუნიკაციის მასშტაბები განუზომელია, ხოლო სახეობები და ფორმები – მეტად მრავალფეროვანი, პუბლიცისტიკაში ინფორმაცია-კომუნიკაციის დიდი ნაირგვარობა იგულისხმება – დანყებული ნეიტრალური, მშრალი ინფორმაციით და დამთავრებული აქტიური სუბიექტური პუბლიცისტური პათოსით.

პუბლიცისტური სტილის ტრადიციული ასპარეზი, ცხადია, ბექდვითი ჟურნალისტიკაა (ჟურნალ-გაზეთები), მაგრამ თანამედროვე კომუნიკაციის ელექტრონულმა საშუალებებმა ერთობ გააფართოვა პუბლიცისტიკის ასპარეზი, ჯერ – რადიოს, შემდეგ – ტელევიზიის, ახლა უკვე – საინფორმაციო ინტერნეტული ქსელის სახით. პუბლიცისტური სტილი ასევე ემსახურება საჯარო პოლიტიკურ მოღვაწეობას, ნაირგვარ სოციალურ აგიტაცია-პროპაგანდას.

ამგვარად, პუბლიცისტური სტილის ფუნქციონირების სფეროები მეტად მრავალფეროვანია: ინფორმაცია, რეპორტაჟი, ჩანახატი, ანალიზი, მიმოხილვა, ინტერვიუ, ნარკვევი, პოლემიკური წერილი, ფელეტონი, პამფლეტი, მიმართვა, მონოღება, რეკლამა და მისთ.

პუბლიცისტური ტექსტების მიზანია მოქალაქეთა ჯგუფის, საზოგადოების ინფორმირება რაიმე აქტუალურ მოვლენასთან დაკავშირებით, ობიექტური ვითარების წარმოდგენა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება გარკვეული მიმართულებით, მოქალაქეთა ინტერესისა და აქტიურობის გამოწვევა, სოციალური პროცესების სტიმულირება...

პუბლიცისტური სტილის დამახასიათებელი ნიშნები, მისი არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე, ისე მკაცრად განსაზღვრული არ არის, როგორც ეს წინამდებელი ფუნქციონალური სტილის დახასიათებისას გამოჩნდა. კერძოდ, თუ საინფორმაციო ტექსტს მოეთხოვება მაქსიმალური ნეიტრალურობა, ობიექტურობა და სიმშრალე, რითაც ის უფრო ოფიციალურ-საქმიან სტილს უახლოვდება,

საავტორო პუბლიცისტიკა ფართოდ ავლენს სუბიექტურ ემოციასა და მგზნებარებას და ამიტომაც მასში მცირე დოზით არ იჭრება, ერთი მხრივ, მხატვრული სტილის, ხოლო მეორე მხრივ – სასაუბრო სტილის ელემენტები.

მაინც რა საერთო თავისებურებები ახასიათებს პუბლიცისტურ სტილს?

– სხარტი და დინამიკური თხრობა (ეს ნიშანი უკიდურესად განვითარდა ელექტრონულ მედიაში, რაც თავისებურად გამოიხატა საერთო „ტევედობისა“ და საინფორმაციო „ცაიტნოტის“ ცნებებში).

– თემის აქტუალურობა (ინფორმაციის სიახლე და „ექსკლუზიურობა“ ერთ-ერთი მთავარი ღირებულებითი ნიშანია; თვით ისტორიული თემაც კი კალენდარულად უნდა იყოს „აქტუალიზებული“).

– ახალი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის, აგრეთვე – სლენგის ელემენტების აქტიური გამოვლენა (როგორც ცნობილია, მასმედია ახალი ტერმინოლოგიის, ნეოლოგიზმების ენაში დამკვიდრების პირველი ასპარეზია; ამით ის არცთუ იშვიათად ხდება კრიტიკის ობიექტი);

– პოლიტიკური პათოსი (მოვლენათა ცვალებადობა და საინფორმაციო დროის „აჩქარებულობა“ თავისთავად ანიჭებს პუბლიცისტიკას პოლიტიკურ დატვირთვას);

– გარკვეული ენობრივი შტამების, კლიშეების, სტერეოტიპული ფრაზების ჩამოყალიბების ტენდენცია.

ახალ-ახალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინფორმაციის სწრაფი, ოპერატიული მიღება და გადამუშავება განაპირობებს ნიშანდობლივი – ზოგჯერ კალკირებული – ენობრივი შტამების წარმოქმნას და დაუყოვნებელ გავრცელებას (მაგ.: *დაუცხრომელი ზრუნვა*, *ღირსეული დახვედრა*, *არნახული აღმავლობა* და მისთ.); ამიტომაც მასმედიის ენა ამ თვალსაზრისითაც საგანგებო ნორმატიულ მეთვალყურეობას მოითხოვს;

– პოზიციისა და დამოკიდებულებების აქტიური გამოვლენა, ამგვარ მოდალობათა გამომხატველი ძახილისა და კითხვითი წინადადებების სიჭარბე (ეს უმთავრესად შეეხება სუბიექტურ-ექსპრესიულ საავტორო პუბლიცისტიკას);

– სიტყვებისა და ფრაზების ხშირი გამოყენება არაპირდაპირი შინაარსით, სიტყვათა გადატანითობა და მეტაფორიზაცია (მაგალითად: *„ეკონომიკა სულს ლაფავს“*, *„დიქტატურის აგონია“*, *„შავი ოქრო“* – ქვანახშირის, *„მწვანე ოქრო“* – ჩაის ალსანიშნავად და მისთ.);

– შემოკლებებისა და აბრევიატურების ხშირი გამოყენება (თანამედროვე საინფორმაციო ენისათვის დამახასიათებელი აბრევიაციის ფართო გავრცელებას უპირველესად სწორედ პრესამ შეუწყო ხელი);

- ეფექტური სათაურები და „საპრეზენტაციო“ (აქტუალური და შთამბეჭდავი) ფრაზების წინ წამოწევა (დასაწყისში გამოტანა ან განსხვავებული შრიფტით წარმოჩენა).

პუბლიცისტური ტექსტების ნიმუშები:

აჭარის საზღვრები კვლავ ჩაკეტილია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კვლავ ძალაშია საგანგებო მდგომარეობა. ამის შესახებ გუშინ საღამოს განაცხადა ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ. აჭარის ლიდერის აღმინისტრაციის განცხადებით, გადაწყვეტილების მიზეზი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოსული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მზადდებოდა ტერაქტები რეგიონში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ამავე ინფორმაციის საფუძველზე, აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა დიდი ოდენობით იარაღი, ნარკოტიკები, დოლარის ყაღბი კუპონური და მოძრაობა „კმარას“ მიერ დაბეჭდილი პროკლამაციები, რომლებიც ასლან აბაშიძის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

საგანგებო მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკვე გუშინ საღამოდან მოქმედებს, ჩაკეტილია ჩოლოქის გამშვები პუნქტი; რეგიონის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ნებართვისა და შემოწმების გარეშე არავის უშვებენ. სწორედ ამ მიზეზით, ჩოლოქის გადალახვის უფლება არ მისცეს „რუსთავი-2“-ის გადამღებ ჯგუფს. ოპერატორი და ჟურნალისტი მთელი ღამის განმავლობაში უშედეგოდ ელოდნენ აჭარის ლიდერის ნებართვას, ჩასულიყვნენ ბათუმში.

24 საათი, 8.01.2004

რუსულ-ამერიკული მზრუნველობის შუქ-ჩრდილები

თბილისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ივანე ივანოვის „რეგულაციური მისიის“ შემდეგ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მომავლის შესახებ არაერთი მოსაზრება გაჩნდა. პენსიისტა ცინიკური (ცინიკოსი პენსიისტი ხომ თავისთავად საგულისხმო მოვლენაა) ასოციაციის წყარო ასეთია: ივანე ივანოვი ავტორიტეტი დროის მომრიგებელ-მოსამართლესავით ირჯებოდა.

მისგან „გაუმარტოვოს“ ყივიანამ ხომ მთლად გავევლიდრა გულის...
თუმცა ეს ღირსკაა. ჩვენ პოლიტიკაზე ვილაპარაკოთ.

როდესაც სახლს ცეცხლი უკიდა, უხერხულია, მისი ბინადარნი მენახნობის მეტყველების აქცენტსა და წარმომავლობაზე მსჯელობდნენ ჭკვიანური სახეებით. იგორ ივანოვმა თავისი მისია წარმატებით შეასრულა. ცეცხლი ჩაგვაქრობინა, თანაც ისე, რომ, მადლობა ღმერთს, არავინ დაშვარა.

რა თქმა უნდა, ლოგიკურია კითხვა: რა შოთხოვა რუსეთმა „მენახნობის“ სახანცელოდ? ამის საპასუხოდ, ალბათ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებული მოვლენების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

რუსეთის პრეზიდენტმა, რომელიც 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ არაერთხელ ესაუბრა ტელეფონით ელუარდ შევარდნაძეს და ხაზგასმით თანადგომას უცხადებდა, ამ უკანასკნელის გადადგომის შემდეგ ერთობ სანტერესო რამ თქვა. ვლადიმერ პუტინის სიტყვით, ელუარდ შევარდნაძის გადადგომა საგნებით კანონზომიერი იყო, რადგან მას თურმე „სისტემური შეცდომები“ მოუვიდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რა სახის (განსაკუთრებით საგარეო-პოლიტიკის სფეროში) მომაკვდინებელ შეცდომებს გულისხმობდა.

თუმცა საეჭვოა, ვლადიმერ პუტინს ყოფილი კოლეგისთვის ბოლო დროს გამოკვეთილი „ჩრდილოური მიდრეკილებები“ წამოეძახებინა. ალბათ მან ელუარდ შევარდნაძეს რუსეთის მიმართ არასაკმარისი ლოიალობა გაუხსენა.

როგორ ირჯებოდა 2 ნოემბრის შემდეგ ამერიკა? პუტინისგან განსხვავებით, ბუშს შევარდნაძისთვის არ დაურეკავს. თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტში უკმაყოფილებას არ მალავდნენ საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების არადემოკრატიულობის გამო და მაშინდელ ხელისუფლებას არჩევნებისას გამოვლენილი შეცდომების გამოსწორებას სთხოვდნენ. ამრიგად, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების შეცდომებზე ოკეანის გაღმაც მსჯელობდნენ, თუმცა, კრემლის შესვეურთაგან განსხვავებით, ოფიციალური თბილისის საგარეო-პოლიტიკურ მიდრეკილებებზე სიტყვაც არავის დაუძრავს. ეს ძალიან მარტივი ასახსნელია: არ შეიძლება, დასავლური კურსი ჰქონდეს იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც არჩევნებს აყალბებს და ხაზგასმულად უგულვებელყოფს ათობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქის პროტესტს. რა თქმა უნდა, ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანი ჩანს მოსაზრება, რომ იგორ ივანოვის თბილისური ვოიაჟი ვაშინგტონის ადმინისტრაციის ინიციატივა იყო. ამ ნაბიჯით თეთრმა სახლმა, როგორც ჩანს, რუსეთსაც მისცა მშვიდობისმყოფელობის ამბი-

ციის დაკმაყოფილების საშუალება და საქართველოსაც ააცილა სამოქალაქო ომის საფრთხე. ვაშინგტონს უარი არ უთქვამს საქართველოზე, უბრალოდ, მან, ერთი მხრივ, რუსეთს აგრძნობინა, რომ პილატესავით ხელს არ დაიბანდა კავკასიაში სტრატეგიული მოკავშირის (ქვეყნის და არა რომელიმე ხელისუფლების) „ჩრდილოურ მარწუხებში“ შესაძლო დაბრუნებაზე და, მეორე მხრივ, ელუარდ შევარდნაძე მიახვედრა, არჩევნების გაყალბების გამო, ადრინდელივით რუსული სამხედრო ძალის დახმარებით ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას. რამდენად განსხვავდება 2003 წელი 1992 წლისგან (იგულისხმება ადმირალ ბალტინის ცნობილი ბლიცკრიგი დასავლეთ საქართველოში), 23 ნოემბრის საღამოს გამოჩნდა.

დღეს ვინ უდგას საქართველოს მხარში? ვინ აპირებს უპრეცედენტო ფინანსურ დახმარებას ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად? რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები.

კვლავ აღდგა სატელეფონო კავშირი თბილისთან და ჯორჯ ბუშმა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან საუბარში არა მხოლოდ ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობა გამოხატა, არამედ ხაზგასმით აღნიშნა, ქართველმა ხალხმა დაიცვა დემოკრატიის მონაპოვარი და ახლა მთავარია, სამართლიანი არჩევნები ჩატაროთ. ამერიკის პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძეს დაჰპირდა, რომ თეთრი სახლი ოპილის ფინანსურ დახმარებასაც აღმოუჩინს და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთანაც უშუამდგომლებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ჯონათან დანშა ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას უკვე განაცხადა, რომ ფონდი უახლოეს ხანში აღადგენს წინა ხელისუფლების დროს შეწყვეტილი დახმარების პროგრამას).

და რაც მთავარია: ჯორჯ ბუში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს დაჰპირდა, რომ, თუ საქართველოს შეექმნება შიდა და საგარეო პრობლემები, ამას ვაშინგტონის „მყისიერი რეაქცია მოჰყვება“.

გიორგი გიგაური — ახალი ეპოქა, 28.XI. 2003.

გ) ოფიციალურ-საქმიანი სტილი

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ფუნქციონირების სფეროებია სახელმწიფო, სამოქალაქო და სამართლებრივი ურთიერთობანი. აქ შემოდის როგორც მოქალაქეთა და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დანებსებულებათა წერილობითი საქმიანი ურთიერთობა (მოხსენება, ანგარიში, ინფორმაცია, პატაკი, ბრძანებულება, დადგენილება, წესდება, პროგრამა, განმარტება, რეცენზია, დახასიათება, ნოტა და მისთ.), ისე ის მრავალგვარი საქმის ქაღალდები, რომელთა გარეშე თანამედროვე სამოქალაქო სუბიექტის არსებობა წარმოუდგენელია (განცხადება, ცნობა, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, ხელშეკრულება, ოქმი და მისთ.)⁶

ოფიციალურ-საქმიანი სტილი მხოლოდ წერილობითი სახით არის წარმოდგენილი, მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- ამოცანის (მიზნის) გამოხატვის სიზუსტე და სიცხადე;
- ლაკონიზმი და სიმშრალე;
- ფორმობრივი სტანდარტულობა (ოფიციალური დოკუმენტური სტანდარტების არსებობა);
- ინფორმაციულობა და რაციონალურობა (მოთხოვნების სიზუსტე და დასაბუთების მკაცრი ლოგიკურობა);
- ენობრივი ფორმულების სტანდარტულობა, გარკვეული შტამებისა და კლიშეების არსებობა (მაგ. „*ცნობა ეძლევა მას ზედ, რომ...*“).
- სალიტერატურო ენის მოთხოვნათა მკაცრი დაცვა; შესაბამის სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის გამოყენება; ემოციისა და ექსპრესიის გამომხატველი ენობრივი საშუალებების მაქსიმალური შეზღუდვა,
- ზმნათა განზოგადებული მესამე პირისა (*გაიგ ზაენა, წარედგინა (ანგარიში)...*) და აღწერილობითი ვენებითის (*გაგ ზავნილ იქნა, შესნაე-ლილ იქნა...*) გამოყენება;
- ოფიციალური კანცელარიული და სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება;
- მხოლოდ საქმიანი ურთიერთობებისათვის ნიშანდობლივი სახელწოდებებისა და ტერმინების გამოყენება (*მობინადრე, შენაბრე, პაციენტი, მოიჯარე, ამონენტი* და მისთ.);
- სალიტერატურო ენის ზოგი ლექსიკური ერთეულის თავისებური

⁶ საქმის ქაღალდების ძირითადი ნიმუშები წიგნის დასასრულს დანართის სახით იქნება წარმოდგენილი.

(ვინრო) მნიშვნელობით გამოყენება (მაგ.: *პირი* – „*მოდავე პირი*“, *მხარე* – „*ხელშემკერელი მხარეები*“...);

– შემოკლებებისა და აბრევიატურების გამოყენება;

– დათარიღებისადმი ერთგულება (ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია, ჩვეულებისამებრ, შესრულებისა და სხვა თარიღების ზუსტ მითითებას მოითხოვს);

– ტექსტის ოფიციალური დამონმება (ხელმოწერით ან ბეჭდით).

ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების ნიმუშები

თავმჯდომარის განცხადება

მოლაპარაკება ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ლონისძიებათა შესახებ

თანახმად დებულებისა, რომ ჰელსინკში 1983 წლის 25 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე მიმდინარე მოსამზადებელი შეხვედრის გადაწყვეტილებანი გამოიყენება, *mutatis mutandis*, ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებათა მოლაპარაკების მიმართებით, რომელიც მოეწყობა „ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებისა და უშიშროებისა და განიარაღების ზოგიერთი ასპექტის“ ქვეგანყოფის შესაბამის დებულებათა მიხედვით. მიღწეულია გაგება იმის თაობაზე, რომ

— პლენარული სხდომები პირველი ორი კვირის განმავლობაში მოეწყობა ამ განცხადებისათვის თანდართული სამუშაო პროგრამის შესაბამისად. პირველი პლენარული სხდომა გაიმართება 1989 წლის 9 მარტს, 10 საათსა და 30 წუთზე. პირველი სესია დამთავრდება 1989 წლის 23 მარტს.

— შემდგომი სამუშაო პროგრამები მიიღება პლენარულ სხდომაზე;

— პროცედურის წესების შესაბამისად ავსტრიის მთავრობა დანიშნავს აღმასრულებელ მდივანს, რომლის დანიშვნა უნდა მოიწონონ მონაწილე სახელმწიფოებმა;

— პირველ პლენარულ სხდომას თავმჯდომარედ ეყოლება მასპინძელი მხარის წარმომადგენელი, შემდეგ კი თავმჯდომარეობა განხორციელდება ყოველდღიური როტაციის საფუძველზე ფრანგული ანბანის მიხედვით, საბერძნეთის წარმომადგენლით დაწყებული.

ეს განცხადება დაერთვის ვენის შეხვედრის შემაჯამებელ ლოკუ-
მენტს და გამოქვეყნდება მასთან ერთად.

(ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების
დასაცავად, თბ., 1991წ.).

1.01.1923, მოსკოვით

ბატონო ჩემო ივანე

უკვე ათი დღეა, რაც ჩამოსულნი ვართ მე და სარგის კაკაბაძე
მოსკოვში. ჩვეულებრივსა და ნორმალურ პირობებში ამ ხნის განმავლო-
ბაში ბევრი რამ გაკეთდებოდა, მაგრამ იმ გარემოებაში, რომელშიაც
ჩვენ ვიმყოფებით, ბევრი რამისა კი არა, ცოტა რამის გაკეთებაც ჭირს.

უპირველეს ყოვლისა, უბინობამ ამოგვხადა სული, განსაკუთრების
პირველ დღეებში. ტფილისში დაგვარწმუნეს, ბინა მისიაში გექნებათო.
საქმე არა გაქვთ? რის ბინა, რა ბინა? იძულებული გავხდით
გვეხეტიალებოდა უცნობ ქალაქში და რომ ვერას გავხდით, პირველ ორი
ღამეს თავი შევაფარეთ ერთს ჩემ ნაცნობთან, იაკობ ფილიპოვთან
(პროფ. შალვა ნუცუბიძის ცოლისძმასთან). შემდეგ ჩვენ კერძო ინიცია-
ტივით ვიშოვეთ ერთი უხეირო ოთახი, რომელშიაც ერთი სარეცელი
დგას და მეორე სარეცლად შეკაფი წამოვაქციეთ და ზედ კარის ფიცარი
დავდეთ, რომლის უსწორმასწორო ზედაპირი მინცლამისც სასიამოვნო
არ აღმოჩნდა გვერდებისათვის. ოთახი ისე პატარა და მოუწყობელია,
რომ შეცადინეობა და საქმიანობა მეტად გაძნელებულია.

ხუთშაბათს პროფ. კ. კეკელიძეც გვეწვია. ბინის მხრით არც ის არის
უკეთეს პირობებში. მასთან ამჟამად იმყოფება შალვა ამირანაშვილი, რო-
მელიც საზღვარგარეთ აპირებს გამგზავრებას და რომელსაც იატაკზე
სძინავს.

სარგისი ჩრდილო-კავკასიაში უნდა წასულიყო გუშინ ან დღეს, მა-
გრამ რადგანაც დღესასწაულების გამო ვერას გახდება, ამიტომ საძიოდ
დღით პეტერბურგს მიდის არქივთა საქმეების გასაცნობად და იქიდან
პირდაპირ გაემგზავრება როსტოვს ვაგონების საქმეზე და იქიდან კი
კრასნოდარში და სხვაგან, სადაც ჩვენი არქივებია შენახული...

ვჩვენებთ მოსკოვში მე და კორნელი. ბინა, მგონია, ხვალდინ მისიაში
მოგვცენ და ამ მხრივ ცოტა გაუმჯობესდეს საქმე. მაგრამ რა? პირ-
დაპირ აუტანელია ჩვენი მდგომარეობა იმ მხრივ, რომ სხვადასხვა დაწე-
სებულებაში მტრულად გვხვდებიან მოხელენი და ყოველნიარად

ცდილობენ ხელის შეშლას. ეს გამგეეს ჯერ ხელი არ მოუწერია ქალაღდზე, დღეს არ შეიძლება, ხეაღ მობრძანდითო, ეს უქმეებიაო, საფარის კანკელი ხომ ბერძნული სტილისა არისო და სხვა და სხვა ამგვარი. ეს დღესასწაულები მართლაც რომ ხელს შეგვიშლის ჩვენ. უხეირო დროზე შეგვხვდა წამოსვლა: საჭირო იყო ან ცოტა აღრე, ან ცოტა გვიან. აკადემიის წარმომადგენლები, ჩვენი ცნობით, ოთხ იანვარს გამოვლენ პეტერბურგიდან და შეიძლება ამ მოკლე ხანში აქ გაიშართოს „ბრძოლა“. „გემზადებით“, უთქვამთ, „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“. პეტერბურგის ხელნაწერები უკვე გაუნაწილებიათ სხვადასხვა დარგის მომუშავეთა შორის „შესწავლის“ მიზნით. ვნახოთ, „ბრძოლა“ რა ხასიათს მიიღებს და რითი გათავდება...

მარად თქვენი პატივისცემული
ა. შანიძე

იმის წარმოსაჩენად, თუ რამდენად განსხვავებული ენობრივი და სტილური გამოხატულება შეიძლება ჰქონდეს, ერთი მხრივ, ლიტერატურულ (მხატვრულ), ხოლო მეორე მხრივ – სხვადასხვა სახის ფუნქციონალურ ტექსტებს, შესაძლებელია სანიმუშოდ ერთმანეთის პარალელურად მოვიხმოთ და დავაკვირდეთ ერთი და იმავე მოვლენისადმი (კერძოდ, სე ტყვისადმი) მიძღვნილ, მაგრამ სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ამგვარ ტექსტებს:

გიორგი ლეონიძე

ნატარის ხე

...და სწორედ ამ დროს მედუქნემ სასწრაფოდ მოხურა, ჩაკეტა კარი და ფანჯარა. უეცრივ ცამ იელვა, მერე იდგრილა, კიდევ იდანდგარა და მცირე ტორტანის შემდეგ შავ-ლურჯმა ღრუბლებმა უწითლესი წინწკლების ბურჯლები გაჰყარა. და ანაზღეულ, ჩქეფით წამოვიდა ნიაღვარი, დელგმა. მწუხრის მოშავფენებამ იმატა, სივრცე გაკუპრდა, ცისქვევა, უცნაური კრჩხიალი, ბაგუნი და ზრიალი აყრუებდა ყოველივეს.

და უცბად გაიზარდა შემზარავი, სიკვდილის ხმიანი წეწა, ლეწვა — სეტყვა წამოვიდა, ახმაურდა ჭერი — კრამიტი თუ თუნუქი, ჯერ ხომ ხორხოშამ დაიწყო ხტუნაობა, მერე ნამდვილი ქვები აგორდა თითქოს... ბუნება ბოხოქრობდა. ჩვენ ჭიანჭველებად ვიგრძენით თავი, ისე

მცირედ გვეჩვენა ჩვენი ღონე ბუნების ძლიერებასთან.

ირეგვებოდა ყოველივე, იმსხვრეოდა. ლამე, ქარი, ნიაღვარი, შეერთებულნი იერიშით გამოდიოდნენ და მოსპობით გვემუქებოდნენ, რა უნდა გვექნა? რა პქნას კანთხელმა კანსიმაგრის მეტი?!

ყადორი კი ჭიქა ლეინოზე ისევ ჩიოდა ბედის უსამართლობას, თუ რატომ უნდა გადაეტანა მხოლოდ მას, მარტოდმარტოს, ორი ათასი წლის ცოდვა თავისი გვარისა და პასუხი ვერ მიეღო.

ირგვლივ ყველაფერი ილეწებოდა, ვის ეცალა ყადორის ცოდვებისათვის?

შემდგომ წარმოდგენილ მონაცემებთან შესადა-რებლად ყურადღება მივაქციოთ მოყვანილი ტექსტის ზოგ თავისებურებას:

- ამბის თხრობა და არა მოვლენის ზუსტი დახასიათება;
- თხრობა პირველი პირის ფორმით (*ვიგრძენით, გვეჩვენა...*);
- მოქმედი პირები (*მედუქენე, ყადორი, „მე“*);
- თხრობის რიტმის ცვლა (მდრ.: „...სივრცე გაკუპრდა, ცისქცევა, უცნაური კრჩხიალი, ბაგუნი და ზრიალი აყრუებდა ყოველივეს“. და „...ჩიოდა ბედის უსამართლობას, თუ რატომ უნდა გადაეტანა მხოლოდ მას, მარტოდმარტოს, ორი ათასი წლის ცოდვა...“);
- თხრობა წარსულში (*მოხურა... იელვა... აგორდა...*);
- აქტიური, ექსპრესიული ზმნების გამოყენება (*იდგრილა, იდანდგარა, ირეგვებოდა, იმსხვრეოდა...*);
- არასალიტერატურო ფორმები (*იდგრილა, გაჰყარა, პქნას*);
- თავისუფალი სიტყვათქმნადობა (*მოშაეფენება, კანსიმაგრე...*);
- პოეტური ბგერწერა (*უნითლესი ნინკლები ბურჯღლები, სიკვდილის ხმიანი ნენვა, ლენვა...*);
- მხატვრული ხერხების გამოყენება (*სივრცე გაკუპრდა, სიკვდილის ხმიანი, ჩვენ ჭიანჭველებად ვიგრძენით თავი...*);
- სუბიექტური გრძნობა-დამოკიდებულების გამოხატვა (*ანაზდეული, უცნაური, შემზარავი, მოსპობით გვემუქებოდნენ, რა უნდა გვექნა...*);
- ფრთიანი გამონათქვამები (*„რა ქნას კანთხელმა კანსიმაგრის მეტი?...“*);
- კითხვის, ძახილის ნიშნებისა და მრავალწერტილის გამოყენება (შესაბამისი ინტონაციისა და აზრობრივი აქცენტის გადმოსაცემად).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, 1985 წ.

სეტყვა, ატმოსფერული ნალექი, რ-იც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის (5-55 მმ; იშვიათად 130 მმ-მდე) სფერული ნაწილაკების ან ნატეხებისაგან. ს-ის მარცვალს შრეებრივი აგებულება აქვს — ერთმანეთს ენაცვლებიან 1 მმ სისქის გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე შრეები. ს., ჩვეულებრივ, ელჭექისა და თავსხმის დროს იცის, უმთავრესად წლის თბილ პერიოდში (როცა დედაქალაქის ზედაპირის ტემპ-რა 20° C-ზე მეტია). ს. მოდის გროვანვიმის ღრუბლებიდან. ს-ის ზოლის სიგანე რამდენიმე კმ-ია, სიგრძე — ათეული, ზოგჯერ ასეული კმ. ს-ის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 5-10 წთ-იდან 1/2 სთ-მდეა (იშვიათად 1 სთ-მდე). ს-ის დროს 1 წთ-ში 1 მ² ზედაპირზე ეცემა 500-1000 მარცვალი, მათი სიმკვრივეა 0,5-0,9 გ/სმ³. საქართველოში სეტყვიან დღეთა საშ. წლიური რიცხვია 02-10 (დას. საქართვ. ბარში 0,2-2, მთაში 8-მდე; აღმ. საქართვ. ბარში — 2-3, მთაში 10-მდე). ს. დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას (საქართველოში განსაკუთრებით ზიანდება კახეთის რ-ნები), ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ს-ის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებას. 1969 წ. საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფს... ს-ის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია.

ყურადღება მივაქციოთ მოყვანილი ტექსტის თავისებურებებს (შევადართ ისინი დანარჩენი ტექსტების თავისებურებებს):

- ტექსტის მშრალი მეცნიერულ-ინფორმაციული ხასიათი;
- სხვადასხვა საზომებზე და ზომა-ოდენობაზე ხშირი მითითება (5-55 მმ. 20°C; 1 სთ-ში...);
- მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის ნარმოჩენა;
- სიმპტომებზე მითითება („ელჭექისა და თავსხმის დროს იცის...“);
- სპეციალური ტერმინებისა და სპეციფიკური ტერმინოლოგიური ნარმოებების გამოვლენა (შრეებრივი, გროვანვიმა...);
- მარტივი და აზრობრივად ზუსტი წინადადებები („ს. მოდის გროვანვიმის ღრუბლებიდან“...);
- ციფრების (და არა - რიცხითი სახელების) უპირატესი გამოყენება;
- სიტყვების შემოკლებათა გამოყენება (დას. საქართვ. ბარში...);
- მოვლენის გადმოცემა ანმყო დროში (არის, აქვს, იცის...);
- ნეიტრალური, არაექსპრესიული ზმნები (იცის, მოდის, ზიანდება...);
- ფრაზების განმარტებითი და სტატისტიკური შინაარსი (სეტყვა - ატმოსფერული ნალექი; სეტყვიან დღეთა საშ. წლიური რიცხვია...);

არნ. გეგეშკორი, დედაბუნება, 1986 წ.

როგორ წარმოიქმნება სეტყვა?

გაფიცხებული დედამიწიდან ღრუბლებისაკენ გამთბარი ჰაერის ნაკადი იჭრება. ასეთ ნაკადს შეუძლია წყლის მსხვილი წვეთებიც აიტაცოს და თან წაიღოს. დიდ სიმაღლეზე წვეთები იყინებიან და კვლავ მიწაზე ცვივიან. ჰაერის ნაკადი იჭერს მათ და კვლავ ზემოთ ისვრის.

ასე გრძელდება მანამდე, სანამ ყინულის ნაჭრები იმდენად დიდრონი არ გახდებიან, რომ ჰაერის თვით ყველაზე მძლავრ ნაკადსაც ვერ ძალუძს მათი დაჭერა. ყინულის ასეთი ნაჭრები ძირს ვარდნისას ველარ ასწრებენ გადნობას და ყინულის მარცვლებად ეცემიან ძირს. ამ დროს მიწაზე სეტყვა ცვივა.

სეტყვა შეიძლება ძალიან პატარაც იყოს და ერთობ დიდიც: კაკლისხელა და უფრო მსხვილი. ძლიერი სეტყვა — სტიქიური უბედურებაა. იგი ანადგურებს ვაზს, ნათესებს. ყოფილა შემთხვევა, როცა საქართველოს მთიან რაიონებში მსხვილ სეტყვას მოზარდი დეკეულიც მოუკლავს.

ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს სეტყვის საწინააღმდეგო იარაღი — რაკეტები, რომლებსაც საჭირო შემთხვევაში ესვრიან სეტყვის წარმოშობ ღრუბლებს და ფანტავენ მათ. ასეთი გზით თავიდან იცილებენ სეტყვას, უფრო მეტიც, ზოგჯერ ღრუბლებში შევარდნილი რაკეტა ათბობს მათ და სეტყვის მაგივრად წვიმის მაცოცხლებელ წვეთებს უგზავნის დედამიწას.

წინა ტექსტთან მიმართებით დავაკვირდეთ ამ ტექსტის თავისებურებებს:

- ტექსტის მეცნიერულ-ინფორმაციული, მაგრამ ბევრად უფრო მარტივი და პოპულარული ხასიათი;
- მოვლენის გადმოცემისათვის თხრობითი შინაარსის მიცემა;
- სპეციალური ტერმინების ნაკლებად გამოყენება;
- ციფრებისა და შემოკლებებისათვის თავის არიდება;
- ექსპრესიული ზედსართავების შედარებით ფართოდ გამოყენება (გაფიცხებული, მძლავრი, დიდრონი, მაცოცხლებელი...);
- ნაკლებ ნეიტრალური, შედარებით აქტიური ზმნების გამოყენება (იჭრება, იჭერს, ისვრის, უგზავნის...);
- ემოციისა და ექსპრესიის უფრო ღიად გამოხატვა (დიდი უბედურებაა..., ანადგურებს..., წვიმის მაცოცხლებელ წვეთებს უგზავნის...).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, 1960 წ.

სეტყვა (სეტყვისა) ატმოსფერული ნალექები, რომლებიც ყინულის პატარა შარცვლების სახით მოდის. ცა აირია, დაბნეულა უცებ და წამოვიდა სეტყვა შხუილით (ილია); ერთ წუთში ცამ შუბლი შეიკრა, მოიღუშა, იჭექა და კაკლის სიმსხო სეტყვა დაუშვა (ვაჟა); თხილის ტოლა სეტყვას გააქონდა შესასარი გრიალი მთელს ამ არემარეზე (ნ. ლომ). სეტყვასავით ზმნს. გადატ. დიდი რაოდენობით; ხშირ-ხშირად. გაფიცულებმა ქარხანაში და მის გარშემო ბარიკადები ააგეს და მოსულ დამწყნარებლებს სეტყვასავით დაუშინეს ქვეები და რკინის ნატეხები (საბჭ. კავშ. ისტ.). მოდიოდა ტყვია სეტყვასავით (გ. ნატრ.). „სად მიხვალ? ეგ რა გეითხარი? ჩვენ აღარ გვეკითხები?“ — დაუშინეს სეტყვასავით და იარაღზე გაიკრეს ხელი (მ. ჯავახ.).

მოყვანილი ტექსტის ძირითადი თავისებურებები:

- ძირითადი ტექსტის განმარტებითი ხასიათი (სეტყვა არის ესა და ეს...);
- ფრაზის უაღრესი სიზუსტე და ლაკონიურობა;
- სიტყვის განმარტების უხვი ილუსტრირება ცოცხალი ლიტერატურული ციტატებით;
- ენობრივი (გრამატიკული) თავისებურებების მითითება (სეტყვისა; ზმნს.);
- აუცილებელი შემოკლებების გამოყენება (გადატ., ნ. ლომ.);
- სუბიექტურობისა და ექსპრესიის სრული გამორიცხვა.

სოფლის ცხოვრება, 19.06.1977 წ.

საქინფორმი. გუშინ, ნაშუადღევს, ძლიერი სეტყვა დაატყდა თავს ყვარლისა და ახმეტის რაიონებს. სტიქიის შედეგად მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ამ რაიონების ბალ-ვენახებსა და ნათესებს. ზარალის ზუსტი რაოდენობა დგინდება. შექმნილია სტიქიის შედეგების შემსწავლელი კომისია. ადგილობრივი აღმინისტრაციული და სამეურნეო ორგანოები ყველა ღონეს ხმარობენ წლის მოსავლის გადასარჩენად.

ყურადღება მივაქციოთ მოყვანილი ტექსტის შემდეგ თავისებურებებს:

- ტექსტის ოფიციალურ-ინფორმაციული ხასიათი;
- ტექსტის უავტორობა;

- ინფორმაციის წყაროზე მითითება („საქინფორმი“);
- ფრაზების უაღრესი ლაკონიურობა და ინფორმაციულობა;
- სუბიექტური დამოკიდებულების მაქსიმალური გამორიცხვა, ემოციის მხოლოდ ფარული გამოვლენა („დაატყდა თავს“, „ზარალი მიადგა“);
- მარტივი აგებულების წინადადებების გამოყენება;
- სპეციალური ტერმინებისა და ფრაზების შეზღუდული გამოვლენა;
- სახელისუფლებო დამოკიდებულების დაფიქსირება;
- აღნიშნული მოვლენების გაუპიროვნებლობა.

ლიტერატურული საქართველო, 4.07.1980 წ.

თ. აბულაშვილი, სოფელი ღონიერი, ნარკვევი
(ფრაგმენტი)

არავინ იფიქროს, რომ სიმდიდრეს და ბარაქას თავისით, ბუნება იძლევა. პირიქით, ბუნება ხშირად მტრობს კიდეც კაცის ნაჯაფს, თავის გაჩენის დღიდან ადამიანს განუწყვეტელი ომი აქვს ბუნებასთან. ძველ შევენახეებს მსხმოიარე ვაზი ფეხშიშვე ქალისთვის შეუღარებიათ და უთქვამთ: ბუნება ჭირვეულია! სეტყვას ხშირად გაუფწარებიაართ, თქვენ წარმოიდგინეთ, გაუგონარი შემთხვევაც ყოფილა: აი, ამ დიდ ზერებში, მიჯნას იქით ვაზი დაუსეტყვავს და მიჯნას აქეთ — არა. წინდაწინ არავინ იცის, რა იქნება.

მატელებს დღესაც კარგად ახსოვთ, 1977 წელს სეტყვამ გაანადგურა მათი ვენახები. სულ ჩარეგვა, მიწას დაანარცხა ვაზ-ყურძენი და მთელ სოფელს გული ჩასწყვიტა. შესაბრალისია დასეტყვილი ვენახი. ფოთლის ნასახი აღარ შერჩება ვაზს, გაშიშვლებული, მოწყენილი და ადამიანივით სევდიანია მიწისა და მზის შვილი.

ეს იყო წინათ. მაგრამ ბუნებამ არც წელს დაზოგა, მაისის ერთ საღამოს არნახული სეტყვა წამოვიდა და ახმეტის რაიონში მთლიანად 80ნ ჰექტარი ვენახი, ხეხილის ბაღები და პურის ყანები დაისეტყვა.

...შეიქმნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი. სასწრაფო აგროტექნიკური ღონისძიებები ჩატარდა მატნის, ზემო ალყანის, ახმეტის შევენახეობის საბჭოთა მეურნეობებსა და ახმეტის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში.

მატელმა მეზვრეებმა დასეტყვილ ვენახებში (იგი 460 ჰექტარს შეადგენს) დროულად შეიტანეს აზოტოვანი სასუქი და შეწამლეს ბორ-დოს ხსნარით. ზრუნვა-მატრონობა და მონდომება არ დააკლეს ვაზს, რომ გაისად მაინც შიღონ მოსავალი.

— ზარალი ძალზე დიდია, — ამბობს მატნის მევენახეობის საბჭო-თა მეურნეობის დირექტორი ჯულიეტა ზუბაშვილი. — მევენახე სეტ-ყვისაგან დაზიანებულ ყლორტს რომ შეაცლის ვაზს, ამაზე მძიმე და გულსაკლავი შრომა რა უნდა იყოს. სტიქიამ 4000 ტონა ყურძენი მიანც დაგვაკარგვინა: 45-ჰექტარიანი ზვარი მთლიანად ხელშეორედ გაისხლა.

— დიდი ხნის დაკვირვებით დადგინდა, სიტყვა ჩამოართვა პარტიუ-ლი ორგანიზაციის მდივანმა მერაბ ბაგაურმა, — რომ ახლანდელი წესით სეტყვის საწინააღმდეგო ბრძოლა ნაკლებ ეფექტურია და ძვირიც ჯდება. ერთხანს სეტყვის ზონებში ვენახების ბადით გადახურვაზე დაიწყეს მუშაობა, მერე თავი მიანებეს. სადღეისოდ ჩვენს მეურნეობაში 14 ჰექტარი ზვარი ბადითაა გადახურული, მაგრამ ვერც ამან უშველა. გადაპჭრელი სიტყვა მეცნიერებს ეკუთვნით, თორემ შესაბრალოსია დასეტყვილი ვენახი.

დავაკვირდეთ ამ ტექსტის თავისებურებებს:

– ტექტის არა ხოლოდ ინფორმაციული, არამედ თხრობითი ხასიათი;

– მასალის პუბლიცისტური უღერადობა (*„გადამჭრელი სიტყვა მეცნიერებს ეკუთვნით“*...);

– ავტორის სუბიექტური დამოკიდებულებისა და ემოციის საკმაოდ ღია გამოხატვა (*„შესაბრალოსია დასეტყვილი ვენახი“*, *„ადამიანით სევდიანია მიწისა და მზის შვილი“*...);

– არა მხოლოდ მოვლენის გადმოცემა, არამედ მისი პრობლემურობისა და აქტუალურობის განსჯა (სეტყვის სანინააღმდეგო ღონისძიებებზე მსჯელობა...);

– რესპონდენტების (*„მოქმედი პირების“*) აქტიური ჩართვა ტექსტში;

– ოფიციალური სტილისა და ტერმინოლოგიისათვის თავის არიდება;

– სხარტი ფრაზებისა და ხატოვანი ელემენტების შედარებით თავისუფალი გამოყენება (*„განუნყვეტელი ომი“*, *ვაზი – „ფეხმძიმე ქალი“*, *„მიწისა და მზის შვილი“*...).

2. რა არის სტილი და როგორ იქმნება ის?

სტილი – როგორც ტერმინი – ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებულ ცნებათა რიგს განეკუთვნება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის თითქმის ყოველ სფეროში ვიყენებთ მას ამ სფეროს რაიმე არსებითი თავი-

სებურების გამოსახატავად. მას შეეხვდებით არაერთ მსგავს შე-
სიტყვებაში: *ცხოვრების სტილი, ქცევის სტილი, არქიტექტურის სტი-
ლი, ორნამენტის სტილი, მუშაობის სტილი, ჩაცმულობის სტილი, ვარ-
ცხნილობის სტილი* და მისთ. ტერმინის შინაარსისა და გამოყენების ეს
მრავალმხრივობა აისახება იმ განმარტებაშიც, რომელიც „უცხო სიტყ-
ვათა ლექსიკონშია“ წარმოდგენილი:

სტილ-ი [ფრანგ. style < ბერძ.] – 1. ხელოვნებაში ამა თუ
იმ ხალხის, ეპოქის, მიმართულების ან ცალკეული შემო-
ქმედის დამახასიათებელი გამომხატველობითი ხერხები,
მხატვრული თავისებურებანი, რაც განპირობებულია იდე-
ური საზოგადოებრივ-ისტორიული შინაარსის ერთობლი-
ობით. 2. ენობრივი საშუალებების გამოყენების ხერხთა
ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს
ან ლიტერატურულ ნაწარმოებს, რაიმე მიმართულებას,
ჟანრს; სიტყვიერი გადმოცემის მანერა. 3. რისამე განხორ-
ციელების ხერხი, რაც გამოირჩევა თავისებური ნესების,
ილეთების ერთობლიობით, მაგ., მუშაობის სტილი, ბრასის
სტილით ცურვა. 4. ნელთალრიცხვის სისტემა. ახალი
სტილი – იგივეა, რაც გრიგორიანული კალენდარი.
ძველი სტილი – იგივეა, რაც იულიუსის კალენდარი.

ტერმინის პირვანდელი მნიშვნელობა მნიგნობრულ ენას, სიტყვი-
ერ ხელოვნებას უკავშირდება და, ბუნებრივია, დღევანდელ სიტყვახ-
მარებაშიც ის არის ცენტრალური შინაარსი (მე-2 განმარტება).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სტილი ტერმინის წარ-
მომავლობის ისტორია: ბერძნული სიტყვა *stilos* თავდა-
პირველად აღნიშნავდა პატარა ჯოხს, რომლითაც გასან-
თლულ ფირფიტებზე წერდნენ. ამ ჯოხის ერთი (სანერი)
მხარე წანეიტებული იყო, ხოლო მეორე მხარე – ბლაგვი,
რათა უკვე დაწერილი წაეშალათ. ამდენად, ამ საგნის და-
ნიშნულება თავიდანვე გულისხმობდა წანერის სწორებას
(წერას და წაშლას), რაც დაედო კიდევ საფუძვლად სიტყ-
ვის დამკვიდრებას დღევანდელი მნიშვნელობით.

მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგიურ დისციპლინებს შორის
სტილის კვლევას (სტილისტიკას) ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული
ისტორია აქვს (ანტიკური საბერძნეთიდან მოკიდებული), დღემდე
სტილის ერთგვაროვანი განსაზღვრება მაინც არ არსებობს. თუ და-
ვეყრდნობით იმ ზოგად განმარტებას, რომ „სტილისტიკა შეისწავლის
ენობრივ საშუალებებს მათს მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან“
(არნ. ჩიქობავა), მაშინ სტილი უნდა განვსაზღვროთ, როგორც სა-

თქმელის (აზრის) ენობრივი გამოხატულების თავისებურება. ეს განსაზღვრებაც, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ზოგადია და სულაც არ მიუთითებს კონკრეტულ მოთხოვნებზე აღნიშნული „ენობრივი გამოხატულების“ მიმართ; რაც მთავარია, არ განმარტავს, ობიექტური მონაცემია ეს „გამოხატულება“, თუ მთლიანად სუბიექტურ არჩევანზეა ის დამოკიდებული.

ცხადია, შემთხვევითი სულაც არ არის ის, რომ ამა თუ იმ ტექსტის სტილური თავისებურებების განსაზღვრისას ხშირად საუბრობენ „ინდივიდუალურ გემოვნებაზე“, „სუბიექტურ სტილზე“ და მისთ. ნიშანდობლივია, რომ ზოგი მეცნიერი სტილზე საუბარს სუბიექტურის გამოვლენის გარეშე შეუძლებლადაც კი მიიჩნევს. სტილისადმი სუბიექტივისტურ დამოკიდებულებას განსაკუთრებით განამტკიცებს მხატვრული სიტყვის ცალკეულ ოსტატთა გამოკვეთილი ინდივიდუალური მანერა წერისა. მაგალითად, ჩვეულებრივია მითითება გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის და სხვათა ინდივიდუალურ სტილზე, რაც მათი ენის კომპლექსურ თავისებურებათა წარმოჩენას გულისხმობს.

მართლაც, ძნელი დასანახი არ არის, რამდენად განსხვავებულია საერთო ენობრივი თავისებურება სიტყვის რომელიმე ორი გამოკვეთილი დიდოსტატისა:

აღ. ყაზბეგი, ხევისბერი გორა:

რაკი გუგუამ თავისად დასახელა ძიძია, რაკი ქალმაც პირობა მისცა, იმას ისე ადვილად ვეღარავინ გაუბედავდა რასმე, რადგანაც ამგვარს შემთხვევაში გუგუას ხუმრობა არ უყვარდა და მალე დაბნელებდა იმის შზეს, ვინც წინ გადადგომას მოიწადინებდა.

თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავისი სურვილით, თუმცა მოსწონდა თავისი გუგუა და არა ერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შეერთებაზე ფიქრით, არა ერთხელ მოზმანებოდა მისი ლომებრივი ვაჟკაცის სახე, მაგრამ დღეს, როდესაც ის უნდა გამოსალმებოდა თავის სახლს, მეგობრებს, ჩვეულებას, როდესაც ქალობიდან დედაკაცობაში ბირველი ნაბიჯი უნდა შეედგა, გული როგორღაც აუკანკალდა და წარსული შენანდა. ამ წარსულს ის კარგად იცნობდა, კარგად ჰქონდა იგი შეთვისებული! ის იყო ყოველთვის და ყველასგან განეზივრებული, ყველას უყვარდა, ყველა ეალურსებოდა და ვინ იცის, მომავალიც ამასვე მისცემდა?

ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი:

ყველაფერი ჩატარდა ძველებურათ, სულ ძველებურათ, ისე როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწ-

ერდნენ. ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირათ, 20 წლის წინათ ზოგჯერ, 10 წლის წინათ იშვიათად. და ახლა კი შეუძლებელია.

გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი.

ნამალევით შორიდან დაანახვა ქალი; მოაწყო „ქალის ნახვა“ და მიატეპინა შარნა.

და მერე?

მერე ძმადებმა სამჯერ შეუცვალეს ბეჭედი, თავს დაახურეს ოქროს კავებიანი გვირგვინი;

გაფარდა დამბაჩა და მაჭახელა.

აჭიჭყინდა ზურნა.

მეფე-ღედოფალს სუფრაზე, ცხვირის წინ, ულაგებდნენ „თავ-ზეგადასაგლებს“—

სტილის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენის სფერო, ცხადია, მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობა არ არის, მასზე შეიძლება მაშინაც იყოს მითითება, როცა ფუნქციონალურ სტილთა გამოყენების სხვადასხვა შემთხვევებზე ვსაუბრობთ. მაგალითად, ასევე შეიძლება მითითება ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. ქიქოძის, ა. ბაქრაძისა და სხვათა მეცნიერულსა თუ პუბლიცისტურ სტილზე. მაგრამ სტილისტიკის ამ სფეროებში, რომლებსაც, მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, ნაკლებ ახასიათებს დამოკიდებულებათა სუბიექტურ-ექსპრესიული გამოხატვა, უფრო მეტად შეიძლება ვილაპარაკოთ სტილის ობიექტურ მახასიათებლებზე, ანუ იმაზე, რაც ნეიტრალურ ვითარებაში განაპირობებს ენობრივ არჩევანს.

სტილის ობიექტური ხასიათი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი არჩევანი შესაძლებელია სუბიექტურად მაქსიმალურად ნეიტრალურ ვითარებაშიც განხორციელდეს. ამ შემთხვევაში ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ ენობრივი გამოხატულების ოპტიმალურ შესაბამისობაზე გამოსახატავ შინაარსთან, ოღონდაც ამ დროს, როგორც ითქვამს, არსებითად გამოირიცხება ამ გამოხატულების სუბიექტურ-ექსპრესიული მხარე. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სტილის ამოცანა ოპტიმალურ ენობრივ შესაძლებლობათა ძიებაა ყოველგვარ ვითარებაში, ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში.

რაც მთავარია: როცა სტილისტიკაზე გვიხდება საუბარი, ეს თავისთავად გულისხმობს არჩევანს სტილის დონეზე; უპირველესად სწორედ ეს (არჩევანი) მომენტი აკავშირებს მას მეტყველების კულტურასთან, რამდენადაც ამ სფეროს ცენტრალური პრინციპი სწორედ არჩევანის შესაძლებლობაში მდგომარეობს. მეტყველების კულტურა ფართო შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ სწორად მეტყ-

ველებას, არამედ აზრის უფრო ზედმიწევნით, ოპტიმალურად გამოხატვასაც (ცხადია, მეორე ამოცანის შესასრულებლად პირველი მოთხოვნა სრულიად აუცილებელი პირობაა). ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ენობრივი ვარიანტები შეფასდება არა მხოლოდ „სწორი – არასწორი“ გარჩევის დონეზე, არამედ „უკეთესი – უარესის“ არჩევანის, ანუ შეფასებითი პოზიციიდან. ნიშანდობლივია, რომ სტილის ამ არსებით მეთოდურ მოთხოვნას იმთავითვე მიექცა ყურადღება; კერძოდ, თეორიული სტილისტიკის ფუძემდებელი, ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე საგანგებოდ მიუთითებდა: „მეტყველებამ რომ საჭირო შთაბეჭდილება მოახდინოს, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა უნდა ითქვას, არამედ აუცილებელია ეს სათანადოდ ითქვას“.

ამდენად, ენობრივი გამოხატულების შესაბამისობა გამოსახატავ შინაარსთან დამოკიდებულია იმ ენობრივი საშუალებების ოპტიმალურ შერჩევაზე, რომელმაც ფრაზა უნდა ჩამოაყალიბოს.

რა შეიძლება იყოს აღნიშნული „ენობრივი საშუალებების“ რესურსი?

ენობრივი სისტემის ნებისმიერი მონაცემი – დანყებული სიტყვის ბგერითი აგებულებით და დამთავრებული ტექსტის აბზაცებად დაყოფით.

მაგრამ პრაქტიკული სტილისტიკის თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე ძირითად მომენტზე მიეთითოს:

- კონტექსტის შესაფერისი სიტყვის შერჩევა;
- სინტაქსურ კონსტრუქციის სრულყოფა;
- ფრაზის რიტმული სტრუქტურის არჩევა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე და მესამე პირობა უმეტესად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, აღნიშნულ შესაძლებლობებზე უფრო კონკრეტულად მინიშნების მიზნით შესაძლებელია ორიოდვე უმარტივესი („ნებისმიერი“) მაგალითის განხილვა.

მაგალითი ლექსიკურ არჩევანზე დასაფიქრებლად:

აფხაზ სეპარატისტთა ე. ნ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ნალმის გაუფენებელყოფა მოახერხეს.

ამ შემთხვევაში სტილის კი არა, მართლწერის საკითხია ის, რომ გაუფენებელყოფა ფორმა უმარათებულოა, უნდა იყოს უფენებელყოფა ან გაუფენებლება (ის ამ უკანასკნელთა შერწყმით არის მიღებული). მაგრამ, თავის მხრივ, შეიძლება სტილისტიკური ძიების საგანი გახდეს იმ აზრის სასურველი ფორმით (უფრო ადეკვატურად) გამოხატვა, რაც მოყვანილ მაგალითში მოახერხეს ზმნით არის გადმოცემული. ამავე

ძირითადი შინაარსით შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ფორმები – შეძლეს, შიადწიეს, თავი გაართვეს... და ყველა შემთხვევაში გამოხატვის ნიუანსობრივი განსხვავება იჩენდა თავს.

ტექსტის სტილზე მუშაობა უპირველესად სწორედ ამგვარ ნიუანსობრივ გამოხატულებაზე მუშაობას გულისხმობს, თორემ ისეთი მკვეთრი განსხვავებები, რომლებიც სინონიმთა არცთუ მცირე ნაწილში შეიმჩნევა (მაგ.: გაბრაზება – განრისხება – გაცოფება; ფრთხილი – მშობიარა – მხდალი – ლაჩარი...), ამკარად ჩანს და მათი აღრევა არა მხოლოდ სტილისტიკურ, არამედ ენობრივ შეცდომადაც შეიძლება შეირაცხოს (სინონიმებზე ცალკე იქნება საუბარი).

მაგალითი სინტაქსური კონსტრუქციის შესარჩევად:

დასაველეთმა ევროპამ თვალნათლივ დაინახა ის კურსი, რომელიც საქართველომ აირჩია.

ამ რთული წინადადების ნაცვლად შესაძლებელია იგივე აზრი მარტივი წინადადებითაც გადმოვცეთ.

დასაველეთმა ევროპამ თვალნათლივ დაინახა საქართველოს მიერ არჩეული კურსი.

ამ ორ წინადადებას შორის არსებითი განსხვავება არ არის არც აზრობრივი და არც სინტაქსური გამართულობის (სისწორის) მხრივ. მაგრამ არჩევანი, ბუნებრივია, ერთ-ერთზე უნდა შევჩეროთ და უპირატესობა სტილური გამოხატულების („შესაფერისობის“) თვალსაზრისით ალბათ პირველს უნდა მივანიჭოთ.

ვცადოთ ავხსნათ, რა განაპირობებს ამ არჩევანს:

მართალია, ოფიციალური სტილისათვის ლაკონიურობა და სისადავე არის ნიშანდობლივი, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი (რთული) წინადადება უფრო შეესაბამება იმ აზრობრივ ამოცანას, რასაც სათქმელი მოითხოვს. ამას უნდა განაპირობებდეს, ჯერ ერთი, ის, რომ პირველი წინადადების ზმნური ფორმა (ა ი რ ჩ ი ა) უფრო გამოკვეთს აღნიშნულ ძირითად „აზრობრივ აქცენტს“, ვიდრე მიმღეობა (ა რ ჩ ე უ ლ ი); მეორეც, ჩვენებითი ნაცვალსახელი ის პირველ წინადადებაში მეტად გამოკვეთს იმ სიტყვის მნიშვნელობას (კ უ რ ს ი), რომლის „დანახვაზეც“ არის საუბარი, და ამით მას უფრო აქცენტირებული პოზიცია უკავია, ვიდრე ბოლო შემთხვევაში; მესამეც: ამგვარ (პირველი სახის) ნყობაში უფრო თვალსაჩინოა მოქმედებათა ურთიერთშეპირობებულობა (მიზეზშედეგობრიობა), რასაც ამ წინადადებით გაესმის ხაზი (რაკი ა ი რ ჩ ი ა, კ ი დ ე ც და ი ნ ა ხ ე ს...).

დამატებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ პირველი წინადადების რ ი ტ მ უ ლ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა უფრო გამოკვეთილია და მოქნილი, რისი საფუძველიც, წინადადების აგებულებასთან ერთად, უთუოდ აღ-

ნიშნული „აქცენტების გადანაწილება“ უნდა იყოს.

მოყვანილი სანიმუშო მაგალითები მცირედ მაინც წარმოაჩენს იმას, რომ სტილზე მუშაობა საკმაოდ ღრმა დაკვირვებას, გემოვნებას და ენობრივ გრძნობას მოითხოვს; რაც მთავარია, ფრაზის სტილური დახვეწა თითქმის მუდმივი პროცესია; ამიტომაც არის, რომ თვით დიდი მწერლები, სიტყვის დიდოსტატები არცთუ იშვიათად არაერთგზის უბრუნდებოდნენ თავიანთ ნაწერს, ხევენდნენ და ასწორებდნენ მას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი წერილის ფრაგმენტი, რომლის ნასწორები ხელნაწერიც დღემდე შემორჩა მწერლის არქივს. ამიტომაც შეგვიძლია შევადაროთ და შეფასების თვალთ შევხედოთ პირვანდელ და შემდეგდროინდელ ვარიანტებს დიდი მწერლის ერთი და იმავე ტექსტისას.

აი, ეს პარალელური ტექსტებიც:

„სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე“, 1883 წ.

პირვანდელი ვარიანტი:

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი უხვი კალთა აქ, ამ ჩვენს პატარას და ლამაზ ქვეყანაში დაიბლერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო საესეა. არც ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავი, თუ მარჯვენა კარგი გვაქვს, ჯანი და ძალ-ლონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ყველაფერი გვაქვს, ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი — მაშ რაღათა ვართ ღარიბნიო, იკითხამთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია; არ ვიცით, საიღამ რა ამოვიღოთ და რა ხერხით ამოვიღოთ, რომ ადვილიც იყოს და ბლომაც იყოს. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს და მარტო ერთ რამ გვაკლია, სახელოდობრ, ისა, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს ყოველს საქმეში წინ უნდა მიუძღოდეს და უტყუარად ეუბნებოდეს: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისგან შენთვის მიბარებული, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

ჩასწორებული ვარიანტი:

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი უხვი კალთა აქ, ამ ჩვენს პატარას და ლამაზ ქვეყანაში დაიბლერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა

ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ყველაფერი გვაქვს, ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი — მაშ რაღათა ვართ ღარიბნიო, იკითხამთ თქვენ.

ამიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია; არ ვიცით, საიდან რა ამოვიღოთ და რა ხერხით ამოვიღოთ, რომ ადვილიც იყოს და ბლომაც იყოს. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს და მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ, ისა, რაც, თქვენისავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა მსჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც თვალს ღეღამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მოუძღვება და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

ბოლო ვარიანტი:

თქვენში და თქვენგან ხშირად გამოგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვეებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

ამიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით — საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ — ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა მსჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს ღეღამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მოუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით — უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

თუ ერთი და იმავე ტიქსტის (ფრაგმენტის) ამ სამ ვარიანტს გულდასმით შეადარებთ, დარწმუნდებით, რომ ის არცთუ მნიშვნელოვანი

ცვლილებები, რომლებიც ავტორს ტექსტში შეუტანია, მის აზრობრივ მხარეს არსებითად არ ცვლის და, ამდენად, ეს სწორებები ტექსტის სტილისტიკური დახვეწისათვის არის გამიზნული. თანაც იმასაც შეამჩნევთ, რომ ილიას ორჯერ მაინც ნაუკითხავს კრიტიკულად და ჩაუსწორებია ისეთი ტექსტი, რომელსაც – უბრალო თვალისათვის – გასამართავი მაინცდამაინც არაფერი სჭირდა (მით უმეტეს, ეს ტექსტი თავიდან წარმოსათქმელად იყო გამიზნული და არა – გამოსაქვეყნებლად). ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, ტექსტის სტილისტიკური სრულყოფა არსებითად დაუსრულებელი პროცესია (უკეთესის ძიება ყოველთვის შეიძლება), მეორეც – რაც უფრო ნაკლებ არის თვალში საცემი რომელიმე ტექსტის სწორება, მით უფრო ფაქიზ დამოკიდებულებაზე მიუთითებს სტილური სრულყოფილების მიმართ.

ამდენად: ნურასოდეს მიიჩნევთ ტექსტის სრულყოფას დასრულებულად! როდესაც სიტყვის ოსტატები ესოდენ პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავიანთ ყოველ ფრაზას, განა შეიძლება ენის რიგითი მომხმარებელი დაჯერებული იყოს, რომ მისი პირველივე ცდა წარმატებული იქნება?!

შენიშვნა: აქ განზრახ ვუვლით გვერდს ისეთ უხემ სტილისტიკურ დარღვევებს, რომელთა შენიშვნას დახვეწილი გემოვნებაც არ სჭირდება. ამისი მიზეზი მარტივია: განა შეიძლება საერთოდ სტილზე საუბარი იქ, სადაც ამგვარი შეცდომები დასტურდება (?):

როდის დაიწყო საპარლამენტო უმრავლესობის დასასრულის დასაწყისი? მარტო ამის ბრალი არ არის, მაგრამ ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის. იგი მისი დღევანდელი მეტოქის მწვრთნელი გახლდათ და თამაშის შემდეგ საკმაოდ გულგატეხილი გახლდათ. ბედინეიშვილს მხოლოდ ვერცხლის მედალი და 1000 დოლარიღა შემორჩა (იგულისხმება: დარჩა, ერგო)...

3. სინონიმია – როგორც სტილისტიკის საფუძველი

სტილზე საუბარმა წარმოაჩინა, რომ შესაბამისი შემოქმედებითი პროცესი (სტილის სრულყოფა, სასურველი გამომსახველობის მიგნება) ენობრივ არჩევანს ეფუძნება. არჩევანის შესაძლებლობა კი გულისხმობს ორი (ან მეტი) შინაარსობრივად მსგავსი ენობრივი ერთეულის არსებობას. ასეთი ენობრივი ერთეულები კი სინონიმებად იწოდება. სინონიმია, ფართო გაგებით, ყოველგვარ ენობრივ ერთეულთა ში-

218

ნაარსობრივ მსგავსება-იდენტურობას გულისხმობს (სინონიმები მსგავსი მნიშვნელობის ენობრივი ერთეულებია). ასეთი შეიძლება იყოს ლექსიკური ერთეულიც (სიტყვაც), გრამატიკული ფორმაც, შესიტყვება და ფრაზეოლოგიზმიც და მთელი წინადადებაც. ამიტომაც უნდა იქნეს მიჩნეული სინონიმია სტილისტიკის ცენტრალურ პრობლემად – ის ხომ არსებითად ყოველგვარი ენობრივი არჩევანის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს.

სინონიმური ერთეულები, საერთო ძირითადი მნიშვნელობის გვერდით, მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამავე მნიშვნელობის ნიუანსებით და ნებისმიერი კალმოსნის (მწერლის, პუბლიცისტის, მეცნიერის...) ოსტატობა იმაში ელინდება, თუ რამდენად ზუსტად მიაგნებს იგი კონტექსტისათვის აუცილებელ ამ ნიუანსობრივ მნიშვნელობას და როგორ ორგანულად შეუხამებს მას მთლიან სათქმელს.

სინტაქსის თვალსაზრისით სტილისტიკური შერჩევის პრობლემაზე უკვე იყო საუბარი; აქ სინონიმის ძირითად ნაწილზე – ლექსიკურ სინონიმებზე შევჩერდეთ.

ლექსიკურ სინონიმებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ. პირველი რიგის სინონიმები მნიშვნელობის სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ, მათ ზუსტი სინონიმები ეწოდება; ასეთი სინონიმები, ჩვეულები-სამებრ, ერთ საგანს მიემართებიან: კომში – ბია, პაპა – ბაბუა, ცული – ნაჭაზი, ბატკანი – კრავი, ქვევრი – ჭური, ჩიბუხი – ყალიონი...

ზუსტი სინონიმები სტილისტიკური შერჩევის დროს აქტიურ როლს არ ასრულებენ, რამდენადაც მათ მნიშვნელობის ნიუანსობრივი სხვაობა არ ახასიათებს. თუმცა ამგვარ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ ზუსტი სინონიმები, ჩვეულებისამებრ, გამოყენების (ფუნქციონირების) თვალსაზრისით მაინც განსხვავდებიან. ეს ფუნქციონალური სხვაობა შეიძლება იყოს:

ა) ცენტრალური (ლიტერატურული) – პერიფერიული (კილოური):
კომში – ბია, ქვევრი – ჭური, გოგრა – კვაზი...

ბ) სადა – მალაღფარდოვანი: ბედი – სვე, იმედი – სასო, უცებ – მყის...

გ) თანამედროვე – არქაული: ავადმყოფი – სნეული, მოხუცი – მსცოვანი, ცხენი – ტაიჭი...

დ) მშობლიური – უცხოური: სიყვარული – მიჯნურობა, სატყეარი – ხანჯალი, შემონება – კონტროლი...

ამ ბოლო ჯგუფთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოიკვეთოს სინონიმური ტერმინების თანაარსებობის საკითხი. ეს არის აბსოლუტუ-

რად იდენტური ტერმინები, რომელთა გამოყენება მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ერთნი უფრო საერთო-სახალხო (ბუნებრივ) ენაში არსებობენ, მეორენი კი (უპირატესად – უცხოური წარმოშობისა) უფრო სპეციალური (პროფესიული) ენის ფუნქციონირებას განეკუთვნებიან. სწორედ ამითვე არის გამართლებული მათი პარალელური არსებობა ენაში, რამდენადაც, საერთო წესის თანახმად, თუ ენაში უკვე არსებობს რომელიმე ცნების აღმნიშვნელი ტერმინი, მის ზუსტ სინონიმად ახალი უცხო სიტყვა აღარ უნდა შემოვიდეს. ამგვარ იდენტურ ტერმინებს, ჩვეულებრივი სინონიმებისაგან გასარჩევად, ტერმინოლოგიურ დუბლებსაც უწოდებენ. ასეთებია:

შეტევა – იერიში, დამსგავსება – ასიმილაცია, განმსგავსება – დისიმილაცია, მთამსვლელი – ალპინისტი, ეროვნული – ნაციონალური, კილო – დიალექტი, ენათმეცნიერი – ლინგვისტი, შესავალი – პროლოგი, წინსვლა – პროგრესი, განვითარება – ევოლუცია, ხუროთმოძღვრება – არქიტექტურა, ცალი – ეგზემპლარი, მართლწერა – ორთოგრაფია, ჭლექი – ტუბერკულოზი, აცრა – ვაქცინაცია და სხვ...

სტილისტიკის განსაკუთრებული ყურადღების საგანია არაზუსტი, ანუ ისეთი სინონიმები, რომლებიც შინაარსის ზემოაღნიშნულ ნიუანსობრივ სხვაობას ავლენენ. ნიშანდობლივია, რომ მათ სტილისტიკურ სინონიმებსაც უწოდებენ, სწორედ მათზე დაყრდნობით ხდება ენის მთელი გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოვლენა და, როგორც ითქვა, ამაშივე ვლინდება ენის კონკრეტული მომხმარებლის დონე და ოსტატობა.

ამგვარი არაზუსტი სინონიმები არცთუ იშვიათად გამოხატავს ობიექტურ შინაარსობრივ სხვაობას და მათი გამოყენებაც ამაზეა დაფუძნებული. მაგ.:

ეკა დღეს მართლა კარგ (ჩინებულ, შესანიშნავ, ბრწყინვალე...) ხასიათზე იყო.

შესაძლებელია ამგვარი მონაცემლება მხოლოდ სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავდეს:

ეზოში ქალები (ქალბატონები, მანდილოსნები, დედაკაცები...) იყვნენ შეკრებილი.

შეიძლება ერთი იგულისხმებოდეს და მეორეც (მეტ-ნაკლებად):

ქმარი საღამოს ნასვამი (მთვრალი, შეზარხოშებული, შექვიფიანებული, გამობრუყული, გატიალებული...) დაბრუნდა.

ასეთი სინონიმების რაოდენობა არსებითად ამოუწურავია, ამიტომაც შეუძლებელია მათ დეტალურად შევვხვთ. მოვიხმოთ ორიოდ მნიშვნელოვანი შემთხვევა:

ა) ვ. თოფურიაშ წიგნში „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ საგანგებო ადგილი დაუთმო წმინდა და სუფთა სინონიმურ სიტყვათა გამოყენების არეების დაზუსტებას. მან აღნიშნა, რომ ეს ორი სიტყვა ლამის ზუსტ სინონიმებად იქნეს თანამედროვე ქართულში წარმოდგენილი, რამდენადაც ხშირად დავიწყებულია მათი განსხვავება და ჩნდება ისეთი მცდარი შესიტყვებები, როგორცაა „სუფთა ხმა“, „სუფთა გამარჯვება“, „სუფთა გრძნობა“...

რაც მთავარია, მეცნიერმა ზუსტად განსაზღვრა ის განსხვავება, რაც ამ ორი სიტყვის სხვადასხვა სიტყვათშეხამებას განაპირობებს:

„ს უ ფ თ ა ა , რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რასაც მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ქონი, ფანგი და მსგავსი რამ არა აქვს და, თუ აქვს, ბანით, რეცხვით, წმენდით მოსცილდება, ჰიგიენური საშუალებით მოშორდება.“

მ მ ი ნ დ ა ა „უცოდველი“, ფაქიზი, შეურეველი, შეურყვნელი, კამკამა, დარკვეული, დარჩეული“.

შესაბამისად, მართებული შესიტყვებებია:

ერთი მხრივ: წმინდა გამარჯვება, წმინდა გრძნობა, წმინდა გული, წმინდა ენა, წმინდა ქართული, წმინდა მოგება, წმინდა მოვალეობა, წმინდა სავანე, წმინდა სანთელი, წმინდა საქმე, წმინდა სიყვარული, წმინდა სული, წმინდა ტაძარი, წმინდა ფიცი, წმინდა წყარო, წმინდა ხმა...

მეორე მხრივ: სუფთა ეზო, სუფთა ზენარი, სუფთა ლოგინი, სუფთა ოთახი, სუფთა პერანგი, სუფთა ფეხსაცმელი, სუფთა ხელები, სუფთა ქაღალდი, სუფთა წერა, სუფთა ჭურჭელი და სხვ.

ბ) ცნობილია, რომ სინონიმური ერთეულების ნაკლებობა, მათი საერთო ფონდის შემცირება, არა მხოლოდ სხვადასხვა ხასიათის (ლიტერატურულია თუ საინფორმაციოს) ტექსტების „დამჭლევებას“, არამედ ენის საერთო გაღარიბებასაც იწვევს. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ენის გაღარიბების ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით თანამედროვე ურბანისტულ გარემოში, პრაგმატულ-ტექნიკურ სფეროებში იჩენს თავს.

კერძოდ, დღევანდელ სალიტერატურო ენაში, როგორც ჩანს, არაერთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე განიცდის პრაგმატულ შევიწროებას. მაგალითად, მეტყველებასთან – ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს მოქმედებასთან – არაერთი განსხვავებული შინაარსის ლექსიკური ერთეულია დაკავშირებული. მეტყველება ორი ძირითადი სახისაა: მიუმართავი (თქვა) და მიმართული (უთხრა). თითოეულ მათგანს მთქმელის სხვადასხვაგვარი განწყობისა და დამოკიდებულების გამოხატველი არაერთი სინონიმი მოეპოვე-

ბა (ზოგჯერ მათი სინონიმურობაც კი შეიძლება სადავო გახდეს). კერძოდ:

თქვა – წარმოთქვა, ამოთქვა, ბრძანა, იკითხა, ამოილაპარაკა, დაილაპარაკა, ჩაილაპარაკა, წამოიძახა, აღნიშნა, დასძინა, ამოღერღა, ამოშაქრა, ამოიქაქანა, ამოიდუღუნა, ჩაიბურტყუნა, ხმა ამოიღო, სიტყვა დაძრა, სიტყვა (ძლივს) გამოავაგო, სიტყვა დასცდა, ენა ამოიდგა, კბილებში გამოსცრა...

უთხრა – მიუგო, უპასუხა, გა(მო)ეპასუხა, შეეპასუხა, ჰკითხა, უბრძანა, მიუთითა, შეედავა, გამოედავა, შეეკამათა, მოუნოდა, სთხოვა, მიმართა, მოახსენა, ურჩია, შეახსენა, მიაძახა, წამოაძახა, შეესიტყვა, შელაღადა, გამოეხმაურა, შეენინა აღმდეგა, პასუხი გასცა, ხმა გასცა, სიტყვა შეუბრუნა, სიტყვა მოუჭრა, სიტყვაში შეეცილა, პირში შეება, კრიჭაში ჩაუდგა...

როგორც ვხედავთ, ქართულ სალიტერატურო ენაში სამეტყველო სიტუაციისა თუ მოსაუბრეთა ურთიერთგანწყობისა და დამოკიდებულების შესაბამისად ამ (თქვა და უთხრა) ზმნათაგან თითოეულს არაერთი სინონიმური ერთეული მოეპოვება (მათ შორის – მყარი გამოწინათქვამების სახით) და მათი დავიწყება თუ უგულებელყოფა სერიოზულად აღარიბებს ჩვენს მეტყველებას (ზეპირსა თუ წერილობითს). ეს ტენდენცია კი, როგორც ითქვა, საკმაოდ ხელშესახებია თანამედროვე ქართულში (ზოგჯერ ისიც ხდება, რომ უთხრა ზმნის მაგიერ მიუმართავი თქვა არის გამოყენებული).

მაგალითისათვის, აი, როგორ გადმოსცემს მოსწავლე „კაცია-ადა-მიანის“ ერთ-ერთ ეპიზოდს:

„ – აბა, მაჩვენე, თუ ხელში გყავს, – უთხრა ლუარსაბმა, მაგრამ რადგან თვითონ ეშინოდა, დარეჯანს უთხრა, – შენ გასინჯეო. დარეჯანმა დიდი უარი უთხრა. მკითხავმა ისინი დაამოშმინა და უთხრა ...

თვით ილიას კი შესაბამის ეპიზოდში არაერთი განსხვავებული ერთეული აქვს გამოყენებული:

ჰკითხავდა, გაანყვეტინა სიტყვა, უთხრა, მიუგო, სიტყვები მიაყარა, დაიწყო, ნასძახეს, ამბობდა, მოყვა, გააგრძელა სიტყვა, წამოიძახეს, დაამოშმინა, დაიყვირა, დაუმატა, ეუბნებოდა, შეეხვეწა, დაიძახა...

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ამოცანა ნათელია: ვეძებოთ კონტექსტისათვის, გამოსახატავი შინაარსისათვის შესაფერისი სინონიმური ერთეულები, რათა ენაც არ გაღარიბდეს და კონკრეტული სტილისტიკური გამომსახველობაც მიღწეულ იქნეს.

4. ანტონიმები

ანტონიმის ცნება, როგორც თვით ტერმინიდანაც ჩანს, რადიკალურად განსხვავდება სინონიმის გაგებისაგან: ანტონიმები ისეთი წყვილი სიტყვებია, რომელნიც სრულიად საპირისპირო, ურთიერთკონტრასტულ მნიშვნელობას გამოხატავენ: *დიდი - პატარა, მაღალი - დაბალი, კეთილი - ბოროტი, შორს - ახლოს* და მისთ.

ანტონიმების სტილისტიკური დანიშნულება, ჩვეულებისამებრ, იმაში ვლინდება, რომ მკვეთრად გამოიხატოს მოვლენათა და დამოკიდებულებათა დაპირისპირებულობა, თბიქტური შინაარსობრივი კონტრასტი (ანტონიმია). ამგვარი მკვეთრი კონტრასტულობა, ბუნებრივია, უფრო მხატვრული ლიტერატურის ენისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ იდეური ხაზი *კეთილსა და ბოროტის* მარადიულ ანტაგონიზმზეა აგებული: *„ბოროტი მცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“* და *დაპირისპირების ფინალიც შესაფერისია: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“...*

საპირისპირო ცნებათა ამგვარი გამოვლენა არც პუბლიცისტური სტილისათვის არის უჩვეულო; მაგალითად, რაიმე მოვლენის მთლიანობის გამომხატველია გამონათქვამი: *„სულ ეს არის ამ საქმის თავი და ბოლო“* (იგივე: *„ანი და ჰოე“, „ალფა და ომეგა“*):

მოდო და გაუგე ახლა მაგათ თავი და ბოლო!

სტილისტიკური დანიშნულებით ანტონიმების გამოყენებისას არსებითი პრობლემა ის არის, რომ შესაბამის წყვილს შორის ანტონიმური მიმართება ზუსტი იყოს. როგორც ვნახეთ, სინონიმების რაოდენობა შეზღუდული არ არის (ორი სიტყვაც შეიძლება იყოს, სამიც და მეტიც), ანტონიმური მიმართება კი არსებითად მხოლოდ სიტყვათა წყვილს გულისხმობს, ანუ რომელიმე სიტყვას მხოლოდ ერთი ანტონიმური მენყვილე შეესაბამება. და თუ საპირისპირო მნიშვნელობა ზუსტად ვერ იქნა დაძებნილი, დარღვევა შინაარსობრივიც იქნება და სტილისტიკურიც. მაგალითად:

ამკარად წარმოჩნდა, რომ *წმინდა* და *სუფთა* ერთმანეთს სცილდება მნიშვნელობით. შესაბამისად, თითოეულს თავისი ანტონიმი ექნება:

წმინდა - უწმინდური და სუფთა - ქუჭქაიანი

ანტონიმური მიმართების სიზუსტე სერიოზულად დაირღვევა, თუკი მათ ერთმანეთს ჩავუნაცვლებთ:

ყველა ერთად იყო შეყრილი - სუფთაც და უწმინდურიც.

ანდა: ზემომითითებულსავე ანტონიმს *თავი* და *ბოლო* არსებითად ზუსტ სინონიმად ეწყვილება *დასაწყისი* და *დასასრული*; მაგრამ ასევე

ვერ მივიჩნევთ სტილისტიკურად გამართულად და გამართლებულად, თუკი მათ ერთმანეთს ჩავეუნაცვლებთ:

ამ საქმეს ვერც თავი გავუგე და ვერც დასასრული!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავიანთი ზუსტი მიმართების გამო ანტონიმები ერთგვარ მყარ შეხამებებსაც ქმნის.

მეორე პრობლემა, რომელიც ენისა და სტილის გამართულობასთან (ნორმატიულობასთან) არის დაკავშირებული, იმაში მდგომარეობს, რომ ენაში არსებობს როგორც ბუნებრივი, ისე „ხელოვნური“ (ანუ საოპოზიციო საჭიროებისათვის შექმნილი) ანტონიმები.

თუ დავაკვირდებით, ენაში არსებული ანტონიმები ორი-სახისაა: ერთნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ: *წინა - უკანა, მაღალი - დაბალი, სუფთა - ჭუჭყიანი...* მეორენი კი ერთი და იმავე სიტყვისაგან წარმოდგებიან, *უფრო სწორად, მეორე პირველის - უარყოფას - წარმოადგენს: სუფთა - უსუფთაო, წმინდა - უწმინდური, ლამაზი - ულამაზო, ლაზათიანი - ულაზათო...*

ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ენამ ანტონიმი აწარმოოს იქ, სადაც ამისი აუცილებლობა შეიქმნება და შესაბამისი ანტონიმი კი არ მოიპოვება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნევა თანამედროვე ენებში, რომლებშიც ცნებებისა და ტერმინების ჩამოყალიბების საფუძველი უმთავრესად დაპირისპირებულ მნიშვნელობათა ერთიანობაში მდგომარეობს.

საქმე ის არის, რომ ცნებითი ოპოზიცია, ჩვეულებისამებრ, ტერმინოლოგიურ სისრულეს, ანუ საპირისპირო მნიშვნელობათა ასახვას მოითხოვს. კონკრეტულად: თუკი არსებობს **სამართლიანობის** ცნება და არსებობს მისი პოზიტიური გამომხატველი **სამართლიანი**, აუცილებლად იარსებებს საპირისპიროც - **უსამართლო** ან **არასამართლიანი**; თუკი არსებობს **სიმართლის** ცნება და არსებობს **მართალი**, მოსალოდნელია შეიქმნას ცნებითი საოპოზიციო ცალი **არამართალი** (მიუხედავად იმისა, რომ ორგანული ანტონიმი **ტყუილი** არსებობს).

ამიტომაც ვერ უვლის მას გვერდს ილია ჭავჭავაძე, როდესაც სულხან-საბას იგავ-არაკთა წიგნზე მსჯელობს: „*ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა მართალი, მამასადამე, სიცრუეა*“. **არამართალი** ხელოვნური ანტონიმია **მართლისა** და ხელოვნური სინონიმი **ტყუილისა**, მაგრამ მისი გამოყენება ამ კონკრეტულ აზრობრივ-სტილისტიკურ კონტექსტში აუცილებელი შეიქნა.

ამგვარად, ხელოვნურის სახელს უპირველესად იმსახურებს ისეთი ანტონიმური ერთეულები, რომლებიც თავისსავე წყვილისცალზე **არა-** ნაწილბჯის დართვით არის წარმოქმნილი და არსებითად ცნებითი ოპოზიციის შესაავსებად არის მონოდებული. ამგვარ ანტონიმთა

ნანილი მხოლოდ სპეციალური ენების ცნებით სისტემაში გამოიყენება (მაგალითად, სადაც არსებობს წრფივი, არის არაწრფივიც, სადაც არის შუარი, არის არამშარი, სადაც არის რეგულარული - არარეგულარული, სადაც არის შეღები - არამშღები, რიტმული - არარიტმული, მელოდოური - არამელოდოური და მისთ.). არაერთი ამგვარი წარმოების ანტიონიმი კი უკვე დამკვიდრებულა საერთო-სახალხო ენაში. მაგალითად, ქველ-ში (I ტ., 1950 წ.) არცთუ მცირეა მსგავს ერთეულთა რიცხვი:

არამართებული, არამეგობრული, არამეტყველი, არამეცნიერული, არამინიერი, არამსგავსი, არამტაცებლური, არამტკიცე, არამუდმივი, არამუშა, არამქისი, არამცოხნელი, არანაკლები, არანებისმიერი, არანორმალური, არანორმირებული, არაორგანიზებული, არაორგანული, არაოფიციალური, არაპატივისაღები, არაპერიოდული, არაპირდაპირი, არაპირველადი, არარეალობა, არარეალური, არარეალურობა, არარეგულარული, არარსებობა, არარსებული, არასაბოლოო, არასაიმედო, არასაიმედოობა, არასაკადრისი, არასაკმაო, არასამუშაო, არასანუგეშო, არასაპატიო, არასასაქონლო, არასასახელო, არასასიამოვნო, არასასურველი, არასახარბიელო, არასიზუსტე, არასიმეტრიული, არასიმეტრიულობა, არასრული, არასრულფასიანი, არასრულწლოვანი, არასწორი, არაუზრუნველყოფილი, არაფარდი, არაქვეყნიური, არალირსი, არალუნადი, არაშრომითი, არაჩვეულებრივი, არაცეცხლმდევი, არაცვალებადი, არანესიერი, არანშინდა, არაჭეშმარიტი, არახელსაყრელი, არაჯანსაღი, არაჯიშინი...

სრულიად აშკარაა, რომ ამგვარ წარმოებათა უმეტესობა ტერმინოლოგიური ხასიათისაა და საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურება; ყოველ შემთხვევაში, კონტექსტის გარეშეც ადვილი დასანახია, რომ ზოგი მათგანი უკვე დამკვიდრებულა და ბუნებრივადაც უღერს (მაგ. *არაჩვეულებრივი*), ზოგი კი მეტად ხელოვნურია (მაგ. *არასაბოლოო, არალუნადი*...).

ამგვარ ანტიონიმებთან დაკავშირებით, ერთგვარი დასკვნის სახით, არ იქნება ზედმეტი, ორიოდ ზოგადი მითითება გავითვალისწინოთ:

1. როგორც ითქვა, არა-ნანილაკიანი ანტიონიმური ერთეულები უფრო თანამედროვე სპეციალური ცნებითი სისტემებისათვის არის ნიშანდობლივი. ამიტომაც უმჯობესია საზოგადოებრივი (არასპეციალური) ურთიერთობებისას მათს გამოყენებას მაქსიმალურად ავარიდოთ თავი, თუკი, ცხადია, ხელოვნურის ნაცვლად უფრო ბუნებრივი ანტიონიმური მენყვილე მოგვეპოვება.

2. რაკი აღნიშნული ძირითადად თანამედროვე ენისა და სტილის თავისებურებას შეეხება, აუცილებელია ამგვარ წარმოებათა სტილის-ტიკური ნიუანსიც გავითვალისწინოთ: თუ დავაკვირდებით, არა-ნაწილ-აკიანი წარმოებები სუბიექტური დამოკიდებულების თვალსაზრისით უმეტეს შემთხვევაში ბევრად უფრო ანონიმ-დანონიმი და ტექტიანი, ვიდრე უშუალო (შინაარსობრივად – პირდაპირი და როყირ) ანტონიმები. კერძოდ, როცა ამბობენ, რომ მავანი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამით სიმთვრალის პირდაპირ ხაზგასმასაც არიდებენ თავს; თანაც – არაფხიზელი მაინცდამაინც მთვრალს არ ნიშნავს. როცა ვინმეს არაგონივრულ ნაბიჯზე ლაპარაკობენ, ამით არსებითად იმას გამორიცხავენ, რომ ეს ნაბიჯი გონივრული არ არის, მაგრამ ეს მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ უგუნურია; ვინმეს არაკეთილსინდისიერებაზე მითითება ჯერ კიდევ არ იმეტებს მას უსინდისოს სახელისათვის და მისთ.

ერთი სიტყვით, ამგვარ ანტონიმურ ძიებათა კავშირი საურთიერთო ენობრივ ეტიკეტთან და საკომუნიკაციო სტილისტიკასთან სრულიად აშკარაა და მათ მომავალში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

5. პარონიმები

პარონიმებს უწოდებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ფორმობრივად (ბგერითი ან მორფოლოგიური აგებულებით) ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც მიზეზი ხდება აღრევისა – ისინი გაუმართლებლად ურთიერთმონაცვლეობენ ზეპირი თუ წერიტი მეტყველების დროს.

აქედან გამომდინარე, პარონიმის საფუძველი არ შეიძლება მხოლოდ ორი სიტყვის გარეგნული მსგავსება იყოს; ამისათვის აუცილებელია მათ შორის აღრევის შემთხვევებიც დასტურდებოდეს. მაგალითად, სიტყვები ქარი და ქარი მხოლოდ ერთი ხმოვნით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ისინი პარონიმებს არ წარმოადგენენ, რამდენადაც მათი ურთიერთმონაცვლეობა შეუძლებელია. სამაგიეროდ, სრულიად შესაძლებელია განაჩენი და განჩინება აირიოს ერთმანეთში, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად მათ შორის მეტი განსხვავებაა.

პარონიმის შემთხვევები დროთა განმავლობაში იყრის თავს სალიტერატურო ენაში, მათ ენობრივი პრაქტიკა წარმოაჩენს. ზოგი პარონიმი უფრო ტრადიციული და „ხანდაზმულია“ (მაგ. დიალექტური – დიალექტიკური), ზოგმა კი უახლოეს ხანს იჩინა თავი (მაგ. ცივილური – ცივილიზებული).

ამდენად, პარონიმიის ცალკე პრობლემად წარმოდგენის საფუძველი ამგვარ ფორმათა ურთიერთაღრევის შესაძლებლობაა. ამავე მიზეზით უკავშირდება იგი სტილისტიკის საერთო პრობლემატიკას: სიტყვის არაადეკვატური, მით უფრო, მიმსგავსებითი გამოყენება სტილის უხემ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

რა არის მიზეზი იმგვარი აღრევებისა, რასაც პარონიმიის პრობლემა შეისწავლის?

როგორც ითქვა, ობიექტურად ეს არის შესაბამის სიტყვათა ნევილის გარეგნული მსგავსება, ხოლო სუბიექტურ ფაქტორად უნდა ვაღიაროთ ამავე სიტყვათა არასათანადო ცოდნა. სიტყვები ქაჩი და ქორი, როგორც ვნახეთ, ფორმალურად პარონიმიის შესანიშნავ საფუძველს ქმნიან, მაგრამ მათი აღრევა შეუძლებელია მათივე მნიშვნელობის საყოველთაო განსაზღვრულობის გამო; სამაგიეროდ, როცა ჟურნალისტი წერს, რომ „საარჩევნო კომპანია დასასრულს მიუახლოვდა“, სრულიად ნათელია, რომ იგი კომპანია და კომპანია ტერმინებს ურევს ერთმანეთში.

ჩვეულებისამებრ, მიუთითებენ, რომ პარონიმული დარღვევების „ლომის წილი“ უცხო წარმომავლობის ტერმინოლოგიაზე მოდის. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ენაში არსებული უცხო სიტყვების მნიშვნელობა უფრო ხშირად არის ხოლმე ენის საერთო მომხმარებლისათვის დასაზუსტებელი და „მოსამინაურებელი“, არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუკი პარონიმთა დიდ ნაწილს სწორედ უცხოური ტერმინოლოგია შეადგენს. თუმცა, ამავე დროს, იშვიათი არ არის იმავე (მშობლიური) ენის საფუძველზე წარმოქმნილი პარონიმების არსებობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ რიგში პარონიმიის ის შემთხვევები წარმოვადგინოთ, რომლებიც უცხო წარმომავლობის სიტყვათა აღრევის საფუძველზე წარმოიქმნება:

კომპანია – ორგანიზებული საქმიანობა, მოქმედება, ლაშქრობა რაიმე მიზნის მისაღწევად („საარჩევნო კომპანია“, „ხენა-თესვის კომპანია“...);

კომპანია – ამხანაგობა რაიმე საქმეში, აგრეთვე – თანამესუფრენი.

ადრესატი – ის, ვისაც წერილი (ან სხვა რაიმე) ეგზავნება;

ადრესანტი – ის, ვინც გზავნის.

დიპლომატი – პოლიტიკური მოღვაწე უცხო სახელმწიფოში;

დიპლომანტი – სტუდენტი, რომელიც სადიპლომო ნაშრომს ამზადებს.

- აბონემენტი** – რაიმეთი სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი
(*თეატრის აბონემენტი*);
- აბონენტი** – აბონემენტის მფლობელი.
- პენალი** – კალმების ჩასაწყობი ბუდე;
- პენალტი** – თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.
- დიალექტუმი** – ენის კილოსთან, დიალექტთან დაკავშირებული (*დიალექტური მეტყველება*);
- დიალექტიკური** – დიალექტიკის, ანუ განვითარების ზოგადი კანონების შესაბამისი.
- ეკონომიური** – მომჭირნობითი, რაიმე რესურსების დამზოგავი
(*„წყლის რესურსების ეკონომიური ხარჯვა“*);
- ეკონომიკური** – ეკონომიკასთან, ანუ საერთო სამეურნეო სისტემასთან დაკავშირებული.
- ორდენი** – დაჯილდოების ნიშანი (*ვახტანგ გორგასლის ორდენი*);
- ორდერი** – საბუთი, რომელიც რაიმე უფლებას ადასტურებს (*ჩხრეკის ორდერი...*).
- თემა** – რაიმე თხზულების, ტექსტის ძირითადი საგანი (ცენტრალური საკითხი);
- თემატიკა** – ცალკეულ თემათა ერთობლიობა.
- მასიური** – დიდი მასის, მოცულობის საგანი;
- მასობრივი** – ის, რაშიც ბევრი ადამიანი მონაწილეობს (*„მასობრივი სცენები“*).
- ემიგრანტი** – სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად წასული პირი;
- იმიგრანტი** – უცხოეთიდან ამა თუ იმ ქვეყანაში გადმოსახლებული პირი.
- კონიექტურა** – ტექსტის დამახინჯებული ადგილის აღდგენა შინაარსის მიხედვით;
- კონიუნქტურა** – შექმნილი ვითარება, გარემოება.
- ლიტრი** – სითხის მოცულობის საზომი ერთეული (*„ერთი ლიტრი წყალი“*);
- ლიტრა** – შესაბამისი ტევადობის ჭურჭელი (*„რძე ლიტრით მოიტანეს“*).
- რიტმი** – რაიმე მოქმედების (მოვლენის) პერიოდული მონაცვლეობა (*„ცეკვის რიტმი“*);
- რიტმა** – ლექსის სტრიქონის დაბოლოებათა ერთგვაროვნება.

ნოტი – მუსიკალური ნიშანი;

ნოტა – დიპლომატიური წერილი საერთაშორისო დონეზე („საპროტესტო ნოტა“).

ცივილური – სამოქალაქო, საზოგადოებრივი („ცივილური ურთიერთობები“);

ცივილიზებული – განვითარებული, კულტურული („ცივილიზებული თაობა“);

ამპულა – ნამლის პატარა ჭურჭელი;

ამპლუა – შესაფერისი როლი, საქმიანობა;

კანფეტი – ტკბილეული;

კონფეტი – სადღესასწაულო ფერად-ფერადი ქალაღის ნაჭრები;

მედიატორი – თხელი ფირფიტა ზოგი სიმებიანი საკრავის დასაკრავად;

მედიატორე – შუამავალი, მომრიგებელი.

თვით ქართული ენის მონაცემების საფუძველზე წარმოქმნილი პარონიმები:

ცნება – საგნის (მოვლენის) ზოგადი სახელი (მაგ. „კილოს ცნება“);

მცნება – შეგონება, დარიგება, სენტენცია („ათი მცნება“).

აღქმა – სინამდვილის ასახვა გრძნობათა ორგანოებით (მხედველობით, სმენით);

აღთქმა – პირობის მიცემა, დაპირება.

ამო – იგივე საამო („ამო მოსასმენი“);

ამაო – ფუჭი, უნაყოფო („ამაო გარჯა“).

ბზა – მარადმწვანე ბუჩქი;

ბზე – პურეულის ნალენი.

უბე – თვალის გარემო;

უბე – ტანსაცმლის შიდა ნაწილი მკერდთან.

ღერი – ერთი ცვალი („ღერი თმა, ბალახი“...);

ღერო – ბალახის ტანი („ყვავილის ღერო“).

გამოწყვა – რისამე ტევადობის აწყვით (საწყაოთი) შემოწმება;

გამორწყვა – ჩირქის გამოდენა მუნუკიდან.

საგადასახადო – გადასახადთან დაკავშირებული („საგადასახადო სამსახური“).

საგადამხდელი – გადამხდელისთვის განკუთვნილი, გადამხდელის

მოვალეობის განხორციელების საშუალება („საგადაამხდლო მოვალეობა, საშუალება“)..

გასამართლებელი – ვინც უნდა გამართლდეს, ან რითაც უნდა გაამართლონ;

გასასამართლებელი – ვინც სასამართლოზე უნდა წარდგეს.

წინამძღოლი – წინ მიმავალი, მეთაური;

წინამძღვარი – მონასტრის მეთაური.

მეფე – ქვეყნის მეთაური, ხელმწიფე;

მეუფე – ღმერთი; ეკლესიის მღვდელმთავარი.

უებარი – განსაკუთრებული (წამალი);

უებრო – შეუდარებელი, უბადლო (ვაჟკაცი).

მევალე – ვალის გამცემი;

მოვალე – ვისაც ვალი აქვს, ვალდებული.

შესახედაობა – გარეგნობა;

შეხედულება – თვალსაზრისი.

მოკვდავი – ის, ვისაც სიკვდილი არ ასცდება, ცოცხალი არსება;

მომაკვდავი – ვინც სიკვდილის პირასაა.

წვევამდელი – ვისაც ჯარში განწვევის დრო მოუვიდა;

ახალწვეული – ვინც ახლად გაიწვიეს ჯარში.

ყმა – ბატონის კუთვნილი გლეხი; (ძვ.) მოყმე, რაინდი.

ყრმა – ბავშვი, ყმანვილი.

გაგება – რაიმეს მიხვედრა, შეგნება („ნათქვამის აზრი ვერ გ ა ი გ ო“);

გაგონება – რაიმე ხმის მოსმენა („ხმა, ძახილი, სიმღერა, გ ა ი გ ო ნ ა“).

სწორად – მართლად, გამართულად („სწორად ლაპარაკობს“);

სწორედ – მართლაც, ზუსტად („სწორედ ამას მოგახსენებდით“).

სრულად – მთლიანად („ფული სრულად ჩაუთვალა“);

სრულიად – სულ, მთლად („ექვი სრულიად უსაფუძვლო გამოდგა“).

განაჩენი – სისხლის სამართლის გადაწყვეტილება;

განჩინება – სამოქალაქო სამართლის გადაწყვეტილება.

მგზავრი – გზად მიმავალი;

მოგზაური – სამოგზაუროდ, მხარეთა მოსახილველად მიმავალი;

თარგმნა – რაიმე ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება;

თარგმანი – თარგმნილი ტექსტი.

თხოვნა – რაიმეს მიღების სურვილის გამოხატვა;
მოთხოვნა – კატეგორიული, დაჟინებული თხოვნა.

იხსენებს – გაიხსენა (წარსული).
იხსენიებს – მოიხსენია (წინაპრის სახელი);

ახლობელი – მოკეთე, მოყვარე („ახლობლები დაეპატიჟე“);
მახლობელი – ახლოს მდებარე გარემო („მახლობელი სოფლები“).

მოწამე – ვინც ეწამა, წამებული;
მოწმე – რაიმე ამბის შემსწრე, მხილველი.

აჩნევს – დააჩნევს, დაატყობს (კვალს), აჩნია, აჩნევია...
აჩენს – გამოაჩენს, ხილულს გახდის (რაიმეს);
ამჩნევს – შეამჩნევს, დაინახავს.

შეიძლება დადი და დამლა სიტყვების პარონიმიაზეც ვილაპარაკოთ, რადგანაც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვების ტრადიციული სინონიმურობა არსებითად მოიშალა და მათ მნიშვნელობები ამგვარად გადაინაწილეს: **დადი** – რისამე კვალი, ნიშანი; **დაღს დაასვამს**, **დაღი აზის**, **აქედან** – დაღდასმული. **დამლა** – საქონელზე დაკრული ბეჭედი ან ნიშანი, რომელიც მიუთითებს პროდუქციის სადაურობაზე, ხარისხზე და მისთ. დამატებით ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დადი უარყოფითი შინაარსის შესიტყვებებს ქმნის (**დადი აზის** – ნიშნავს: „უარყოფითი ნიშანი აქვს“) და იგივე აზრი პოზიტიურად ბეჭედი, ნიშანი სიტყვების გამოყენებით უნდა გადმოიცეს. ამდენად შეუფერებელია: „კეთილსინდისიერებით დაღდასმული“ (ერთ-ერთი საგაზეთო სათაური), კეთილსინდისიერებისა შეიძლება ბეჭედი ჰქონდეს ვინმეს „დასმული“ და მისთ.

ამ კუთხით გარკვეული მყარი გამონათქვამების პარონიმიაზეც შეიძლება საუბარი. ზოგი მყარი გამონათქვამის წყვილი, გარეგანი მსგავსების გამო, ურთიერთალრევის მიზეზი ხდება. მაგალითად:

ბოდიში მოუხადა – **მადლობა გადაუხადა**; ალრევას ისიც უწყობს ხელს, რომ უზმნისწინო ანწყოს ფორმები ერთმანეთს ემთხვევა (**უხდის**): „**კმაყოფილმა იასემ მადლობა მოუხადა მასპინძლებს და გზას გაუდგა**“.

ღვაწლი დასდო – **წვლილი შეიტანა**, მაგრამ დაუშვებელია „წვლილი დასდო“. და მისთ. თუმცა მიუძღვის ზმნასთან ორივე მისაღებია: **ღვაწლი/წვლილი მიუძღვის**.

წვლილთან დაკავშირებით კიდევ ერთი გამონათქვამი უნდა გავითვალისწინოთ: **წილი უდევს** (აქვს) და არა – „წილი მიუძღვის“,

ასევე – ლომის წილი უდევს. ამდენად, ენობრივი აღრევაა: „რუსეთს აუხაზეთის ომის ვაჩალებასა და მის შედეგებში ლომის წილი მიუძღვის“ („ახ. ვერს.“).

ბასუხისმგებლობას იხსნის – ვალდებულებას იხდის; შესაბამისად, აღრევაა: „ერთი ხელის მოსმით იხსნიან ვალდებულებებს მომხდარის გამო“ („რეზონანსი“).

საქმე გვაქვს – ადგილი აქვს: ორივე გამონათქვამი რუსულის გავლენით დამკვიდრდა (იხ. კალკები); შეცდომა თავს იჩენს მათი შერწყმის შედეგად: „ადგილი გვაქვს“.

ღირსების გრძნობა და მუნდიარის ღირსება: ღირსება პიროვნების მაღალი ადამიანური თვითშეფასებაა, მუნდიარის ღირსება დამატებით ნოდებრივ სიამაყესაც გულისხმობს. ამ გამონათქვამთა აღრევის შედეგია: „მამაკაცთა ღირსების მუნდირი კი იმ დეპუტატმა იხსნა, რომლის გვარი დარბაზში ეგებ ყველამ არც კი იცოდა“ („საქ. რესპ.“).

არ ებუება – ვერ ეგუება: „დანარჩენი სწავლას ვერ ებუება, არაფერს აკეთებს, თავიდანვე უსაქმურობას ერჩევა“ („საქ. რესპ.“).

მოუთმენლად – სულმოუთქმელად: „ქალი სულმოუთმენლად ელოდა ქმრის დაბრუნებას“ (თარგმ.).

ხელდასხმა – ხელის დასმა: ხელდასხმა ძველი წარმომავლობის ტერმინია სასულიერო კურთხევის შინაარსით. თანამედროვე ქართულში მისი მნიშვნელობა, ერთი მხრივ, გაფართოვდა და ყოველგვარი დანიშვნისა თუ გზის დალოცვის გაგება შეიძინა, მეორეც, გახშირდა ამ კოპოზიტიში „დასმა“ ზმნის გამოვლენა: „დაიბეჭდა თავადაც მშვენიერი პოეტის და ქალბატონის ხელდასმით“ („ჩვ. მწერლ.“).

მოთმინების ძაფი – ... ჩაჭვი: „კიდევ უფრო ტრაგიკული იქნება, თუ დასავლეთსაც სწორედ ახლა, ამ გადამწყვეტ მომენტში გაუწყდა მოთმინების ჯაჭვი“ („არილი“).

სულს დაფავს – სულს ძლივს ითქვამს: დაუშვებელია „სულს ძლივს დაფავს“...

ძილი ნებისა – ღამე მშვიდობისა; აღრევაა: „ღამე ნებისა“.

დანასისხლად გადაკიდება – მამასისხლად გაყიდვა; მცდარია: „დანასისხლად იყიდება“...

6. ნეოლოგიზმები და ბარბარიზმები

ნეოლოგიზმი ამა თუ იმ ენაში ახლად გაჩენილ სიტყვას გულისხმობს. შესაძლებელია ეს ახალი სიტყვა თვით ამავე ენის საფუძველზე იყოს წარმოქმნილი, შეიძლება შემოსული იყოს რომელიმე

სხვა ენიდან. მთავარია, რომ ენის განვითარების შესაბამის ეტაპზე რალაც ახალი შინაარსის გამოსახატავად ახალი სიტყვის გარეგანი შეიქნა აუცილებელი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა ენა რომელიმე ახალი დარგის ტერმინოლოგიას ამკვიდრებს. მაგალითად, ცნობილია, რომ თავის დროზე ნეოლოგიზმების სახით გარდა არაერთი ტერმინი: *დენი, ძაბვა, ნნევა, დატვირთვა, შვებულება, ნათურა, ყურმილი, სინჯი, აღმავლობა, უზუსტობა, შეეულმფრენი, თვითმფრინავი, შრომადღე, თვითმავალი, თვითმცლელი, მთვარემავალი, თვითმასწავლებელი, აღმატებითი* და სხვა მრავალი.

ამგვარად, ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება მშობლიური ენის სიტყვანარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებით. ცნობილია, რომ მწერლებს არაერთი ახალი სიტყვა დაუმკვიდრებიათ ენაში. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის მიერ შემოღებული სიტყვებია: *ეროვნება, მოხელე, მიმართულება, შინაარსი, აგებულება...* გ. ლეონიძეს ეკუთვნის *შინმოუსვლელი*, გ. ტაბიძეს – *გაბედიობა* და მისთ. ენის სიტყვათქმნადობა, რომელსაც ყველაზე უკეთ გრძნობს და შეიცნობს მწერალი, მუდმივი პროცესია და ის მნიშვნელოვანილად გამოხატავს ამ ენის შინაგან შესაძლებლობებსა და სიცოცხლისუნარიანობას.

ასე იქმნება ენაში არაერთი ნეოლოგიზმი აფიქსური სიტყვანარმოებისა თუ კომპოზიციის მეშვეობით. მათი ნაწილი საბოლოოდ ადგილს იმკვიდრებს სალიტერატურო ენაში, ანუ ნეოლოგიზმიდან ძირითად ლექსიკურ ფონდში გადადის, ნაწილი კი მხოლოდ ერთჯერად წარონაქმნად რჩება (მათ *ოკაზიონალიზმებს უწოდებენ*).

მაგალითად, თავის დროზე უთუოდ ნეოლოგიზმი იყო ავი სიტყვის მონაწილეობით შექმნილი ყველა ის კომპოზიტი, რომლებიც ქველ-ის I ტომშია შეტანილი:

აგბედი – ავი ბედი, უკულმართი ბედი.

აგგული – ავი გულის პატრონი, ბოროტი.

აგგუნება – იგივეა, რაც ავგუნებიანი.

აგღარი – ცუდი ამინდი, ცუდი დარი, უამინდობა.

აგენა – ავი ენის პატრონი, ავის მთქმელი... – აყვი.

აგზნე – იგივეა, რაც ავზნიანი.

ავთვალი – ავი, ბოროტი თვალის პატრონი.

ავკაცი – ავი კაცი, – ბოროტი, ბოროტმოქმედი, ავსული.

ავმუცელა – იგივეა, რაც ღორმუცელა, – გაუმადლარი.

აგნაქნარი – ვისიმე მიერ ჩადენილი ცუდი... – ნააკაცარი.

ავსიტყვა – იგივეა, რაც ავენა.

ავსული – იგივეა, რაც ავი სული, – ეშმაკი, კუდიანი, მავნე.

ავფეხი – „მავნე ფეხის“ მქონე ადამიანი.

აფეია – ენამყრალი, ყიამყრალი, ავისმთქმელი, – აფენა.

აფეური – შეუსმენარი, ვისაც ყველაფერი უკულმა ესმის.

აფხორცი – სქესობრივად აღვირახსნილი.

სრულიად ამკარაა, რომ მოყვანილ სიტყვათა ნაწილი საბოლოოდ დამკვიდრებულა ენაში (*აედარი, აეკაცი, აფეია...*), ნაწილმა კი ამგვარი გავრცელება ვერ მოიპოვა (*აებედი, აფგუნება, აფყური...*).

ნეოლოგიზმების მეორე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს უცხო ენებიდან ახლად შემოსული სიტყვები და მათზე დამყარებული წარმოებები. ამგვარი ახალი ლექსიკა მაშინვე ინტენსიურად იწყებს დამკვიდრებას, როგორც კი ახალი დარგებისა თუ ტექნოლოგიების განვითარებას ექმნება სათანადო ასპარეზი. მაგალითად, როგორც კი აფეაცამ დაიწყო განვითარება, ამ სიტყვასთან ერთად მაშინვე გაჩნდა მისი შემოკლებით (*აფეა-*) წარმოქმნილი რთული სიტყვები, რომლებიც უკვე 1950 წელს არის ქეგლ-ის I ტომში ასახული:

აფეაბაზა, აფეაბომბი, აფეაგამანადგურებელი, აფეადესანტი, აფე-აზვერვა, აფეამაგისტრალი, აფეამზიდი, აფეამოდელი, აფეამრენველობა, აფეიანწილი, აფეაპორტი (იგივე აეროპორტი), აფეარაზმი, აფეასპორტი, აფეატექნიკოსი, აფეატორი, აფეაქარხანა, აფეაშენაერთი, აფეახელსანყო.

სრულიად ბუნებრივია, ამ რიგის ტერმინთა წრე შემდგომ უფრო გაფართოვდა, ზოგი რამ დაზუსტდა კიდევ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განსაკუთრებით ინტენსიურად იჭრება საერთაშორისო და სამართლებრივ ურთიერთობებთან, ინფორმატიკასა და უახლეს კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ნეოლოგიზმები. მაგალითად, არსებითად გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში შემოვიდა ან გააქტიურდა ქართულ ენაში ისეთი უცხოური სიტყვები, როგორიცაა: *რეიტინგი, კონსენსუსი, იმიჯი, იმიჯმეიკერი, თინეიჯერი, ბაიტი, დისპლეი, კურსორი, პრინტერი, პროცესორი, დისკი, ფაილი, მაუსი, პიტი, პლეიერი, დერბი, რემიქსი, ტრეფიკინგი, თრილერი, პეიჯერი, პროვიდერი, კლიპი, სეილი, დილერი, მესიჯი, გრანტი, ტრანში* და სხვ.

შემთხვევითი არ არის, რომ ზოგ ახალ ტერმინს ყურნალისტები თუ სპეციალისტები იქვე განმარტავენ ხოლმე, სადაც კი მათი გამოყენების აუცილებლობას ნააწყდებიან. მაგ.:

ყველაფერი ეს ზუსტად შეესაბამება სომხეთის საგარეო პოლიტიკის კომპლემენტარიზმის (ურთიერთდამატება, ურთიერთშევსება) პრინციპს (24 სთ. 20.X.03).

უცხოური ნეოლოგიზმების გააქტიურება ენაში უშუალოდ უკავ

შირდება ბარბარიზმების პრობლემას. ბარბარიზმი აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში უცხო ენიდან გაუმართლებლად, „ბარბაროსულად“ შემოჭრილ სიტყვას. გასულ საუკუნეში ასეთი კვალიფიკაცია ძირითადად ეძლეოდა რუსულის გავლენით გავრცელებულ სიტყვებს: *პოლი, სტანცია, სპიჭა, ბოჭა...* მაგრამ ტერმინი ბარბარიზმები, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი ენის ლექსიკას არ მიემართება. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ბარბარიზმია ყოველი უცხო სიტყვა, რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს (შესაბამისი შინაარსის სიტყვა მას უკვე მოეპოვება), ანდა რომლის გამოყენებაც ჯერ სპეციალისტების მიერ არ არის სანქცირებული.

შესამჩნევია, რომ ნორმატიული დამოკიდებულება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენობრივი წარმონაქმნების მიმართ ერთგვაროვანი არ არის. ბარბარიზმების პრობლემა უფრო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ენის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთობების დროს. მაგალითად, სპორტულ ტერმინოლოგიაში რუსულის გზით შემოსული *ტრენერო* და *ტრენინგოვკა* უპირობოდ იყო ჩარიცხული ბარბარიზმების რიგში. დღევანდელ საგანმანათლებლო ლექსიკონში კი იგივე სიტყვები ინგლისურის გზით (*ტრენერი* და *ტრენინგი*) უმტიყენეულად იმკვიდრებს ადგილს. მეორე მხრივ, უახლეს ეპოქაში შესამჩნევია ყურადღების მოდუნება ენის ლექსიკური სინმინდისა და „დამოუკიდებლობის“ მიმართ, რამაც, ენობრივი და კულტურული ურთიერთობების განვითარების შესაბამისად, შესამჩნევად დააჩნია უკვე კვალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ შედგენილობას.

მეტიც შეიძლება ითქვას, ის რუსულენოვანი ბარბარიზმები, რომელთა „გაპარება“ ცოტა ხნის წინ ნებისმიერი ლიტერატორისა და ჟურნალისტისათვის საკმაოდ სათაკილო პრეცედენტად ითვლებოდა, თანამედროვე ენაში უფრო „გაბედულად“ იკავებს ადგილს. მაგალითად:

მე არ ვაპირებ ჩვენი კონსტიტუციის ზღვაში გადავდებას, მაგრამ თავისუფლების დამცველთა ბრეშს იმით ჩავკეტავ, თუ დამჭირდა („თბილისი“, თარგმ.).

... ნებისმიერი შრაში, ნაკერი, მოტეხილობა („არილი“).

... თქვენ გბრალდებათ ენერგეტიკული სექტორის დაქცევა, რომ რაღაც გარკვეული ლგოტებით სარგებლობს სააქციო საზოგადოება „ამალთეა“ („ახ. თაობ.“).

7. ევფემიზმები და ვულგარიზმები

„უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ თანახმად:

ევფემიზმი – სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა (მაგ., „ფეხმძიმე“ – „ორსულის“ ნაცვლად, „საპირფარეშო“ – „ფეხისადაგილის“ ნაცვლად); კეთილსიტყვაობა.

აღნიშნული „კეთილსიტყვაობა“, ანუ ევფემიზაცია, საზოგადოდ დამახასიათებელია კულტურული, მნიგნობრული ენებისათვის. დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენა (ზეპირი და წერიტი მეტყველების სახით). იხვენება ენობრივი კულტურის. თვალსაზრისითაც, ოფიციალური ურთიერთობებისათვის ყალიბდება ენობრივი ეტიკეტი, თავაზიანობის გარკვეული ფორმულები და ფორმები, რომელთა დაცვა ამ კულტურასთან თანაზიარობის, ხოლო დარღვევა – მასთან უცხოობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. ამ შემთხვევაში ევფემიზაციის პირობითობას ექვემდებარება არა მხოლოდ სემანტიკურად უხერხული სიტყვები და გამონათქვამები, არამედ სრულიად ნეიტრალური შინაარსის სიტყვებიც კი (მაგ.: *არის – გაჭლავთ, ჭამეთ – მიირთვიეთ, ვჭამე – გეაჭელით, დასხელით – დაბრძანდით...*).

ქართული მნიგნობრობის (აგრეთვე ზეპირმეტყველების) ისტორია ენის ევფემისტური მონესრიგებულობის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია და ამ ტრადიციის გათვალისწინებას სამომავლოდაც არანაკლები სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ენის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე შეიძლება ენაში საპირისპირო ტენდენციამაც იჩინოს თავი; კერძოდ, სალიტერატურო ენაში ფეხი მოიკიდოს, იძალოს ევფემისტური ტრადიციით მიუღებელმა ენობრივმა ერთეულებმა. ასეთი ენობრივი ერთეულები შეიძლება ვულგარიზმების სახელით გავაერთიანოთ. ვულგარიზმი არის ისეთი ვულგარული, უხეში სიტყვა ან გამოთქმა, რომლის ხმარება სალიტერატურო ენაში გაუმართლებელია. ამ სახელწოდების ქვეშ შეიძლება გავაერთიანოთ როგორც უცენზურო და ფამილიარული (შინაურული და გაუბრალოებული), ისე ჟარგონული და ქუჩური სიტყვები და გამონათქვამები.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენის (განსაკუთრებით მასმედიის ენის) უახლესი ტენდენციები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ამას, შიდა პროცესებთან ერთად, დასაველური ე. წ. მასკულტურის ფართოდ შემოჭრამაც შეუწყო ხელი. ენის ვულგარიზაციის აღნიშნულმა ტენდენციამ, ოფიციალური ურთიერ-

თობების ფამილიარიზაციამ არა მხოლოდ სახელისუფლებო-სა-პარლამენტო და სატელევიზიო მეტყველებაში იჩინა თავი, არამედ ცენტრალური გაზეთების ისეთ პუბლიკაციებშიც გამოწყვავდა, რომლებიც ოფიციალურ-საქმიანი სტილის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდნენ. სანიმუშოდ მოვიხმოთ ცენტრალური გაზეთების (ძირითადად „საქართველოს რესპუბლიკა“) იმ ოფიციალური ინფორმაციების ენას, რომლებიც საპარლამენტო და სამთავრობო სხდომების ანგარიშებს აწვდიდა წინა წლებში მკითხველს:

არადა, საქმე სამშობლოს ბედს ეხება, პრეფერანსის თამაში ხომ არ არის, მიზეზში ორი „მოტეხილი“ კარტი ვერ გამოიციან და ათი ქულა აგართვას მონინალმდეგემ.

... იმას ვერ ვგრძნობთ ხოლმე, რომ აი ამ „თორემზე“ ვიჭედებით, რომ არ გაიყვანოს, მერე?

წინიას ბალი და რვა კაცის საყიდელი საქართველო (სათაური).

... მაგრამ არც წითელი კვერცხების ნაკლებობას განიცდის, რომ შიგადაშიგ გაუგოროს პიროვნებას, რომლის აზრი შეიძლება როდესმე პირადად მისადმი დამოკიდებულებაში არსებითი აღმოჩნდეს.

„ნუთმესევენება“ ეფექტიანი გამოდგა – ტყორცნები მიზანმიმართულად განხორციელდა: ნატანჯი 24-ე და 42-ე მუხლები მიიღეს.

ეს პატარა სასიამოვნო ამბავი კი სხდომის დასაწყისში ითქვა. მე ტკბილ ლუკმად ბოლოსთვის მოვიტოვე...

ძირძველ მეგობარს, ასე ვთქვათ, „ლაითად“ შეურაცხყოფა მიაცენა და ცეცხლიც ავიზგიზდა...

გამგებლები და გუბერნატორები უკვე უთვალაჯვერ დაიბარეს კანცელარიაში და „გაუიასნეს“, თუ ვინ უნდა მოხედეს მომავალ პარლამენტში.

მან რამდენიმე ისეთ კანდიდატურაზე მისცა „დაბრო“, რომლებიც მას არაფერში გამოადგებიან.

როგორც ცნობილია, ჟარგონული მეტყველებისათვის დამახასიათებელია ლექსიკის გაღარიბება, ბარბარიზმების მოძალება, გარკვეული აკვირებელი ფრაზეოლოგიის გაბატონება სულ სხვადასხვაგვარი შინაარსითა და დანიშნულებით. თუ დავაკვირდებით, თანამედროვე ქართულში სწორედ ასე გაუთვალისწინებლად გაიფართოვა ასპარეზი პროზლემა სიტყვამ. პროზლემა რთული, ძნელად გადასაწყვეტი საკითხია; გადატანით იტყვიან ძნელად განსახორციელებელ რამეზეც. დღეს კი ეს სიტყვა და მასთან დაკავშირებული გამონათქვამები არსებითად ყოველგვარი დაბრკოლებების, სიძნელის,

შეფერხების გამოსახატავად გამოიყენება. სახელდობრ: „პრობლე-
მები მაქვს“ – ამბობენ და მასში გულისხმობენ ფინანსურ თუ საყო-
ფაცხოვრებო გაჭირვებას; „რა პრობლემაა?“ (ან „პრობლემა არ არის“) –
ამბობენ იმის აღსანიშნავად, რომ არ გაუჭირდებათ ამ საქმის
გაკეთება, დავალების შესრულება; „უპრობლემოდ შიდაწა მიზანს“
– გულისხმობს, რომ დაბრკოლებები არ შეხვედრია; „ჩემი პრობლემა
არ არის!“ – ვითომ, „მე რა მენაღვლება“ ან „რა ჩემი საქმეაო“; ამასაც
კი ამბობენ – „პრობლემა არა მაქვს“, აქაოდა „ამ საქმეს ადვილად
გაეგართმევ თავსო“...

სრულიად ნათელია, რომ ამგვარი ტენდენციები არა მხოლოდ
აღარიბებს სალიტერატურო ენას, არამედ საფუძვლიანად არღვევს
უკვე განმტკიცებულ ენობრივ სისტემებს და ქმნის სერიოზულ სა-
ფრთხეს, საერთოდ დაუკარგოს სახე საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყ-
ალიბებულ ერთ-ერთ მთავარ კულტურულ მემკვიდრეობას. ამიტომაც
არის აუცილებელი ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება
მიექცეს თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს.

8. კალკები და უცხოენოვანი გავლენის ზოგი სხვა გამოვლინება

ერთი ენის ზეგავლენა მეორე ენაზე მხოლოდ სიტყვათა პირ-
დაპირი სესხებით არ ამოიწურება. ამგვარ გავლენას ხშირად უფრო
ღრმა შედეგები აქვს და ის მიმღები ენის სტრუქტურულ თავისებურე-
ბებზე ტოვებს ანაბეჭდს. ერთი ენის სიღრმული სტრუქტურული ზე-
გავლენა მეორეზე, ჩვეულებისამებრ, უფრო სახიფათო ტენდენციად
მიიჩნევა; ჯერ ერთი, ის ენის შინაგან ბუნებას, მის სპეციფიკურ ნყო-
ბას შეეხება; მეორეც: თუკი ლექსიკური ნასესხობა ენის ნებისმიერი
მომხმარებლისათვის თვალში საცემია („ზედმეტი სხეულია“), სტრუ-
ქტურული ხასიათის ზეგავლენა ძნელად შესამჩნევია არა მხოლოდ
ენის რიგითი მატარებლისათვის, არამედ სპეციალისტებისათვისაც კი.

სწორედ ენათა სტრუქტურული ურთიერთგავლენის შედეგებს
უნოდებენ კალკებს (ფრანგ. calque „ასლი“) და მასში აქცევენ ენო-
ბრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე მომხდარ ცვლილებებს გარეენო-
ბრივი ზეგავლენის შედეგად.

შენიშვნა: ეს იგივე სიტყვაა, რასაც ჩვენ ვიცნობთ პირის
(ასლის) გადასაღები სპეციალური ქაღალდის სახელად. ანა-
ლოგია ნათელია: როგორც კალკის ქაღალდი ემსახურება
რაიმე დოკუმენტის ზუსტი ასლის გადაღებას, ისევე ერთი

ენის კალკირებული ერთეული მეორე ენის სტრუქტურული „ასლია“.

ამგვარად, სიტყვათა სესხებისაგან განსხვავებით, კალკირების დროს ენობრივი მასალა საკუთარია, ოღონდ კონკრეტული ენობრივი ერთეული აგებულია სხვა ენის სტრუქტურული ბუნების „ქარნახით“; ამიტომაც ამბობენ, რომ კალკები ენათა ღრმა ურთიერთგამსჭვალვას გულისხმობს.

კალკის მოვლენა შეიძლება ენის აგებულების სულ სხვადასხვა დონეზე გამოვლინდეს (ორთოეპიის თავში საუბარი იყო თვით ფონეტიკური სისტემისა და ინტონაციის დონის გავლენაზეც კი). შესაბამისი ნიშნების გათვალისწინებით შეიძლება კალკის სამი ძირითადი ნაირსახეობა გამოვყოთ:

1. ლექსიკურსემანტიკური: ამ შემთხვევაში სიტყვა წარმოიქმნება მეორე ენის სიტყვის სემანტიკის კალკირებით. მაგ. (არ) მანყობს ← რუს. (не) устраняет (შესაბამისი ქართული გამოთქმაა „ხელს არ მადლევს“); ასევე გაჩნდა „მიიჩნიას“ სინონიმად თელის ზმნა რუსულის გავლენით (считает).

2. სიტყვანარმოებითი: ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვის (ფორმის) შედგენა ხდება უცხო ენის სტრუქტურის ქარნახით: თვითმპყრობელობა – რუს. самодержавие – ბერძნ. autokrateia; თვითმფრინავი – რუს. самолет; ქვემდებარე – подлежащее...

3. ფრაზეოლოგიური და სინტაქსური: კალკირება ხდება შესიტყვების სტრუქტურის დონეზე. მაგ.: ადგილი აქვს – რუს. имеет место; საქმე იმაშია, რომ... – რუს. дело в том, что... თვალყურის დევნება რამეზე – наблюдать за чем-н...

კალკების შეჭრისა და დამკვიდრების პროცესი ენაში სალიტერატურო ენის განვითარების ყოველ მიმდინარე ეტაპზე ფიზიკურად აღდგება, მეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს, რამდენადაც სწორედ ისინი შეიცავენ დაფარულ საფრთხეს ენის ბუნების ავტონომიურობის, სისტემური თავისთავადობის თვალსაზრისით. კალკებს ნორმატიული ბარიერი უნდა შეექმნას მაშინ, როდესაც მათი დამკვიდრება ამ ენის ბუნებრივ წარმოებებსა და სტრუქტურებს ემუქრება. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კალკები ზოგჯერ ენის გამდიდრების, ამავე ენის შინაგან შესაძლებლობათა ამოქმედების წყაროც არის. ქართული სალიტერატურო ენის ისტორია არაერთ მაგალითს წარმოაჩენს იმისას, რომ ქართველ მწერლებსა და მთარგმნელებს ბევრი გამონათქვამი თუ ტერმინი შეუქმნიათ ბერძნული ენის გავლენით. მაგალითად, ცნობილია, რომ კალკირების გზით დამკვიდრებულა ძველ ქართულში ისეთი ფორმების

უმეტესობა, რომელთა პირველი ნაწილი ზმნიზედაა:

თანაღმობა, თანამზრახველი, თანაშენევნა (თანაშემნე), თანადგომა, თანაზიარი, თანამყოფი, თანამოქალაქე, თანამოსაყდრე, თანამოღვაწე... წინამძღოლი, წინამორბედი, წინააღმდეგი, წინადაცვეთა, წინასწარმეტყველება... გარემოცვა... ზედწერილი, ზედგომა, ზედწოდება... აგრეთვე: თვითმავალი, თვითმპყრობელი, თვითმხილველი, უგულუბელყოფა, უარყოფა, ცრუმონძე, ცრუწინასწარმეტყველი, არანმიდა, არაღირსი და მრავალი სხვა.

შინაარსობრივი და სტრუქტურული კალკირება განსაკუთრებულ როლს თამაშობს ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიის წარმოების დროს. არაერთი ტერმინია ამგვარად წარმოქმნილი როგორც ძველ, ისე – განსაკუთრებით – თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. მდრ.:

- ჟანგბადი – რუს. кислород – ლათ. oxygenium;
- წყალბადი – რუს. водород – ლათ. hydrogenium;
- ქვემდებარე – რუს. подлежащее – ლათ. subjectum;
- უღლება – რუს. спряжение – ლათ. conjugatio;
- ნაცვალსახელი – რუს. местоимение – ლათ. pronomen;
- მიცემითი – რუს. дательный – ლათ. dativus;
- წინადადება – რუს. предложение;
- დამატება – რუს. дополнение;
- რკინიგზა – რუს. железная дорога – გერმ. Eisenbahn;
- წყალსადენი – რუს. водопровод – გერმ. Wasserleitung;
- წარმოდგენა – რუს. представление – გერმ. Vorstellung;
- შთაბეჭდილება – რუს. впечатление – ფრანგ. impression;
- მტვერსასრუტი – რუს. пылесос – გერმ. Staubsauger;
- ბეტონსარევი – რუს. бетономешалка – გერმ. Betonmischer;
- ცეცხლსაქრობი – რუს. огнетушитель – გერმ. Feuerlöscher;
- უკუქმედება – რუს. противодействие – გერმ. Gegenwirkung;
- განშტოება – რუს. разветвление – გერმ. verzweigung;
- განზავება – რუს. разбавление – გერმ. verdünnen;
- წყალსაზიდი – რუს. водонос – გერმ. Wasserträger;
- ბენზინსაზომი – რუს. бензомер – გერმ. Benzinmesser;
- თვითმფრინავი – რუს. самолет;
- მთვარეშავალი – რუს. луноход;
- წყალქვეშა – რუს. подводный;
- საქალაქთაშორისო – რუს. междугородный;
- მცირეწლოვანი – რუს. малолетний;
- მცირერიცხოვანი – რუს. малочисленный;

ცეცხლსაშიში – რუს. огнеопасный;

აირნიინალი – რუს. противогаз...

როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიური კალკები ხშირად მორარული ხასიათისაა და ენიდან ენაში დაუბრკოლებლად გადადის. ამიტომაც ბევრი ამგვარი ლექსიკური ერთეულის წარმომავლობა დამატებით ძიებას მოითხოვს: რომელიმე კონკრეტული ენის კალკია ის, თუ „კალკის კალკი“, ანუ „წყარო“ ენიდან „გამაშუალებელი“ ენის გზით მიღებული.

ენის სინმინდის, მეტყველების კულტურის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი კალკირებული სინტაქსური კონსტრუქციები (შენიშვნები), რომლებიც საკმაოდ შეუმჩნევლად იკიდებენ მიმღები ენის მოქმედ სისტემაში ფეხს, ავინროებენ ამ ენისათვის ბუნებრივ, შესაბამისი დანიშნულების კონსტრუქციებს და ამით, შეიძლება ითქვას, ღრმა კვალს ტოვებენ ენის მატარებელთა ფსიქიკურ წყობაში, მათი შინაგანი ენობრივი გრძნობის შერყევას უწყობენ ხელს. ნათქვამი უპირველეს ყოვლისა იმ თანდებულის კონსტრუქციებს შეეხება, რომლებიც გარეენობრივი გავლენის შედეგად ენაცვლებიან ქართულისათვის ბუნებრივ გამონათქვამებს; მაგალითად:

გ ა ყ ი დ ვ ა შ ი ა ნ ა ყ ი ნ ი... – მართებულია: იუიდება ნაყინი;

ფეხბურთელი შეტევაშია – უტეგს, შეუტია, შეტევა წამოიწეო;

დამნაშავე მიმალვაშია – იმალება, დამალულია;

ის პირდაპირ კაეშირშია ამ საქმესთან – მას კავშირი აქვს,

დაკავშირებულია...

რა კაეშირშია? – რა კავშირი აქვს, რით არის დაკავშირებული?

ამ ფაქტის გამოძიებაში ოსური მხარეც დაინტერესებულია – გამოძიებით არის დაინტერესებული.

...იოსელიანმა უკვე საკმაოდ მშვიდ ტონში განაცხადა – მშვიდი ტონით...

მუქ ფერებში გვიხატავს – ფერებით...

ბრალდებულს თავდებში დაუდგა – თავდებად დაუდგა.

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში – ლართან მიმართებით.

მოსამართლემ ორ ხულიგანს ქალის კაბაში გადაცმა მიუსაჯა – ქალის კაბის გადაცმა.

მაჟორიტარი დეპუტატიც გამოვიდა სიტყვაში – სიტყვით გამოვიდა.

კომანდოსების მცირე რიცხვი გაიგზავნა აღნიშნულ ოპერაციაზე თვალყურის დევნების მიზნით – ოპერაციისათვის...

დაინყეს მოწინააღმდეგეზე თოფების დამიზნება – მოწინააღმდეგისათვის...

ამან განაპირობა ორი მონათესავე ოჯახის ერთმანეთზე გადაკიდება – ერთმანეთისათვის გადაკიდება.

იარალი ეროვნული გვარდიის წევრებზე ჩამორთმეულად არის გამოცხადებული – წევრებისათვის ჩამორთმეული.

ნაკისრი ვალდებულებების მოსახლეობაზე დაკისრების სურვილით – მოსახლეობისათვის დაკისრება.

ბავშვებს უყვართ ერთმანეთზე ზედმეტი სახელების შერქმევა – ერთმანეთისათვის სახელების შერქმევა.

ჟურნალი პერიოდულად აქვეყნებს ცალკეულ პიროვნებებზე მიძღვნილ ნარკვევებს – პიროვნებებისადმი მიძღვნილი.

პროექტი მიმართულია იმ ჯგუფებზე... – იმ ჯგუფებისადმი.

ცხენებს ფონზე გასვლისას არ ცვლიან – ფონში გასვლისას...

საქართველოს საჰაერო სივრცეზე მიმდინარეობს ქართული ავიაციის გეგმური წერტნები – სივრცეში მიმდინარეობს.

ძირითადად აუზზე დავდივარ... მაშინაც აუზზე მივრბოდი. – აუზში.

თავი უნდა შეიკავონ საქართველოსთან თანამშრომლობაზე. – თანამშრომლობისაგან.

შედარებით წინა წლებისგან ვითარება გამოსწორდა – წინა წლებთან შედარებით.

რასთან შევადაროთ ქვეყნის ახლანდელი დონე? – რას შევადაროთ (მაგრამ: რასთან შედარებით).

ასევე კალკირების შედეგია -ღმბ თანდებულისანი შესიტყვებები: სამშობლოსადმი სიყვარული, საქმისადმი ერთგულება, მომავლისადმი რწმენა, მტრისადმი სიძულელი, ხსოვნისადმი პატივისცემა, ხალხისადმი სამსახური... (უნდა გამოვიყენოთ უთანდებულო ნათესაობითი: სამშობლოს სიყვარული, საქმის ერთგულება და მისთ.)

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი თანდებულისანი ფორმები გარკვეულ შესიტყვებებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნის და ამიტომაც ვამახვილებთ მათზე ყურადღებას მაინცდამაინც კონსტრუქციული ნიშნით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა კალკირების საფუძველზე წარმოქმნილი ერთგვარი მყარი სინტაქსური (ფრაზეოლოგიური) ფორმულების გავრცელება, რომელთა გააქტიურება ერთობ თვალში საცემია ენის ბუნებრივ შესიტყვებათა შევინროებისა და გაღარიბების ფონზე. ამგვარ კონსტრუქციათა გამომწვევ „ბირთვს“, ჩვეულებისამებრ, რომელიმე კალკირებული შინაარსის ზმნა (ან შესაბამისი სახელზმნა) წარმოადგენს. დავაკვირდეთ ზოგ გა-

ვრცელებულ კონსტრუქციას (სათანადო ზმნისა თუ სახელზმნის ხაზ-გასმით):

მოგვცა: *მკელევერმა ამ საკითხის ანალიზი მოგვცა თავის მონოგრაფიაში... – უნდა იყოს: „ანალიზი წარმოგვიდგინა“ ან „გააანალიზა“.*

მოცემული: *...გვერდს ვერ ავუვლით მოცემულ პრობლემას. – „ამ პრობლემას“, „წარმოდგენილ პრობლემას“. გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მოცემული იყო ამ გამოსვლის მცირე ანოტაცია. – „ასახული იყო“, „წარმოდგენილი იყო“. ამ სურათზე მთელი სცენაა მოცემული. – „გამოხატული“, „ასახული“... ამგვარად, ფორმებს მოგვცა, მოცემული, თუ ისინი თავიანთი პირდაპირი შინაარსით არ არის გამოყენებული („ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა...“), უნდა ჩვენაცვლოს კონტექსტისათვის შესაფერისი სიტყვა-ფორმები: *წარმოგვიდგენს, ასახავს, წარმოჩენილი, წარმოდგენილი, ასახული, გამოხატული, გადმოცემული, ნაჩვენებია...**

წარმოებს: ეს ზმნა, რომლის პირდაპირი შინაარსი წარმოებას, რაიმე მატერიალური საგნების დამზადებას უკავშირდება („ქარხანა საბრძოლო იარაღს აწარმოებს“), უფრო ზოგადი საქმიანობის, მოქმედების გამოსახატავადაც დამკვიდრდა: *გამოძიებას აწარმოებს, მოლაპარაკებას აწარმოებს, აღებ-მიცემას აწარმოებს... ამავე დროს, ამ ზმნამ გაუმართლებლად გაიფართოვა ასპარეზი და ისეთ შემთხვევებშიც გამოიყენება, როცა საჭირო შინაარსი იმ ზმნით უნდა გადმოიცეს, რომელიც შესაბამის შესიტყვებაში სახელზმნით არის წარმოდგენილი: *მოსავლის აღებას აწარმოებს – მოსავალს იღებს; ხელფასის გაცემას აწარმოებს – ხელფასს გასცემს; აბიტურიენტების მომზადებას აწარმოებს – აბიტურიენტებს ამზადებს; საუბარს აწარმოებს – საუბრობს ან ესაუბრება. მით უფრო მიუღებელია პასიური შინაარსის კონსტრუქციები: წარმოებს პენსიების დარიგება – მიმდინარეობს დარიგება“ ან „რტიდება“; თვითმფრინავების ფრენა ინარმოებს კვირაში ორჯერ – იფრენენ...**

ატარებს – გაატარებს – ჩაატარებს: აქ რამდენიმე შემთხვევა უნდა გაირჩიოს: ა) ატარებს ენაცვლება კანონიერ იკეთებს, ხმარობს, იყენებს... ზმნებს: *სათს ატარებს, სათვალეს ატარებს, ყელსახვევს ატარებს, ქუდს ატარებს... ბ) ენაცვლება მართავს, გამართავს, მოაწულებს ზმნებს: სალამოს ატარებს, საუბრებს ატარებს, კონსულტაციას ატარებს, კონკურსს ატარებს... გ) ქმედით ზომებს გაატარებს – ზომებს მიიღებს; საჭირო ღონისძიებებს გაატარებს – მიმართავს...*

თავს... დ) რემონტის ჩაატარებს – შეკრემონტებს; შეკეთებას ჩაატარებს – შეაკეთებს... ე) რუსული ენის მატარებელი – მფლობელი; ძირითადი აზრის მატარებელი ფრაზა – მქონე, შემცველი...

შედგება, შედგა, შემდგარო: პირველ რიგში ენაცვლება კანონიერ გაიშართა ზმნას: სხდომა არ შედგება (არ გაიშართება); მოლაპარაკება უნდა შემდგარიყო (გამართულიყო); პოეტთან შეხვედრა შედგა (მოეწყო); პრეზიდენტის ვიზიტი არ შედგა (არ გამოვიდა); ექსპერიმენტი ვერ შედგა (არ გამოვიდა)...

განიცდის, განიცადა, განცდილი: ფეხბურთელებმა მარცხი განიცადეს (მართებულია: დამარცხდნენ); პარტიები ზედიზედ განიცდიან წარუმატებლობას (მარცხდებიან, წარმატებას ვერ აღწევენ); ქვეყნის განვითარება შეფერხებას განიცდის (ფერხდება); დანებებულება კადრების ნაკლებობას განიცდის (აკლია); მოსახლეობა მატერიალურ გაჭირვებას განიცდის (მატერიალურად უჭირს); განცდილი მარცხი ვერ მონუნდება (დამარცხება)...

მიაყენებს, მიაყენა, მიაყენებულო: ტკივილი მიაყენა (ატკინა); დარტყმა მიაყენა (დაარტყა); დამარცხება მიაყენა (დაამარცხა, მარცხი აგვმა); ჭრილობა მიაყენა (დაჭრა); ტრავმა მიაყენა (ტრავმა მიაღებინა); მიყენებული ზარალი (განცდილი ზარალი)...

ახდენს, მოახდენს, მოახდინა: განანილებას ახდენს (ანაწილებს); თავდასხმა მოახდინეს (თავს დაესხნენ, თავდასხმა მოაწყვეს)...

გაუკეთებს, გაუკეთა: თავდამსხმელს პასი გაუკეთა (მიაწოდა); ზუსტი გადაცემა გაუკეთა (ბურთი ზუსტად გადასცა); ტელეკომს პრივატიზაცია გაუკეთეს (პრივატიზაცია მოახდინეს)...

მისცემს, მისცა: მოვლენებს სწორი შეფასება მისცა (სწორად შეაფასა); ოცნელს თუ მისცემს (ოცი წლისად თუ მიიჩნევს); მზეურავებს დაეალება მისცა (დაავალა)...

არცთუ მცირეა რაოდენობა ამგვარი შესიტყვებებისა, რომელთაც ბუნებრივად ჩაენაცვლება შესაბამისი ზმნური ფორმები:

დახმარება აღმოუჩინა – დაეხმარა;

წესრიგში მოიყვანა – მოაწესრიგა, წესრიგი დაამყარა;

სისრულეში მოიყვანა – შეასრულა, აღასრულა;

მოძრაობაში მოიყვანა – ამოძრავა, აღძრა;

შეცდომაში შეიყვანა – შეაცდინა;

შეცდომა დაუშვა – შეცდომა მოუვიდა, გაეპარა (მავრამ – დაშვებული შეცდომა);

ზრუნვას იჩენს – ზრუნავს;

გამოყენება აქეს – გამოიყენება, იყენებენ...

იმავე კალკირების საფუძველზე ჩამოყალიბებულა გარკვეული მყარი გამონათქვამები:

საქმე იმაშია, რომ...: მართებულია – საქმე ისაა, რომ... (უფრო განიმტკიცა პოზიცია გამოთქმამ „რაშია საქმე?“, თუმცა უმჯობესია მის ნაცვლად გამოვიყენოთ: **რა ხდება? რა ამბავია?**).

საქმე ეხება: არადა, საქმე სამშობლოს ბედს ეხება (მართებულია: **საკითხი ეხება, საუბარი ეხება... ბედზეა საუბარი**);

მიდის საუბარი: რომელ ექსპერიმენტზე მიდის საუბარი? (არის, **მიმდინარეობს**);

მიდის (რაიმე) პროცესი: დუღილის პროცესი მიდის (**მიმდინარეობს**); **სწრაფად მიდის მცენარის ზრდა** (**მიმდინარეობს, ხდება**);

ადგილი აქვს: ადგილი აქვს შრომისუნარიანობის დაქვეითებას (**ქვეითდება შრომისუნარიანობა**); *ადგილი აქვს სანარმოთა ჩამორჩენას* (**ხდება ჩამორჩენა**); *საპასუხო გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია* (**არ უოფოლა, არ მომხდარა**);

გაგებით ეკიდება: მოქალაქე გაგებით ეკიდება კანონის მოთხოვნებს (**ანგარიშს უწევს, ემორჩილება, ითვალისწინებს**);

ძალაშია, ძალაში რჩება: ჩვენი შეთანხმება ძალაში რჩება (**უცვლელია, ძალას ინარჩუნებს**); *კომენდანტის საათი ძალაშია* (**კვლავ არსებობს, არ შეწყვეტილა**)...

ზენოლას განიცდის (**ხდება ზემოქმედება, ზეგავლენა**): ეს გამოთქმა ბოლო ხანს გავრცელდა და მან ძირითადად ჩაანაცვლა ფუნქცია **დაწოლა** სანყისისა, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენითვე იყოს გაჩენილი.

სახეზეა დანაშაულის რეალური ნიშნები (**ფაქტია, თვალსაჩინოა, ხელშესახება**).

არ ურჩევს: მან მაშინვე მოინდომა ამ კუთხეში ჩასვლა, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების გამო არ ურჩიეს (**დაუშალეს**). **მღრ.:** *საქართველოში დაბრუნება არ ურჩია საქართველოს მკვიდრთ, უფრო მეტიც: დაეუშალეო...*

გარეენობრივი გავლენით საპირისპირო ფორმების „შევისების“ შემთხვევები სხვაც შეინიშნება. მაგ.: **ღრუბლიანი ამინდი კელავაც შენარჩუნდება** (უნდა იყოს: **გაგრძელდება, უცვლელი დარჩება**).

როგორც ენათა ურთიერთგავლენაზე დაკვირვება წარმოაჩენს, შესაძლებელია განსხვავებული ენობრივი სისტემის ზეგავლენით მეორე ენის სისტემამ უფრო მასშტაბური და ღრმა ცვლილებებიც განიცადოს, ისეთი ცვლილებები, რომლებიც სამომავლოდ საკმაოდ კარდინა-

ლურ პროცესებს განაპირობებენ. ამ თვალსაზრისით უმთავრეს ყურადღებას კვლავ ქართული ზმნის ბუნებასთან დაკავშირებული მოვლენები იწვევს. როგორც ცნობილია, ქართულ ზმნას პირთა მიმართების უფრო განვითარებული სისტემა აქვს, ვიდრე ეს ევროპული ენებისთვის არის დამახასიათებელი; შესამჩნევია ზოგი სხვა კატეგორიის განსხვავებაც, რაც შეიძლება ობიექტური საფუძველი გახდეს მითითებული ზოგადი ცვლილებებისა. ამ თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე ტენდენციაზე გავამახვილოთ ყურადღება:

1. თანამედროვე ფუნქციონალური სტილისტიკის სფეროებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ტენდენცია ე. წ. აღწერილობითი ვნებითის (აღწერითი იქნა ტიპის) მოჭარბებისა, რაც გარეენობრივი გავლენით უნდა იყოს განპირობებული. როგორც ცნობილია, ოფიციალურ-საქმიანი და ინფორმაციული ენისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი პასიური კონსტრუქციების გამოყენება: *გადამჭრელი ღონისძიებები ტარდება დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად; უნივერსიტეტში ლექციები კვალიფიციური ლექტორების მიერ იკითხება; სეპარატისტების მხრივ რეგიონში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა...* თუმცა ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართულისათვის, როგორც შედარებით აქტიური ნყოფის ენისათვის, ამ შემთხვევებშიც, თუკი ეს შესაძლებელია, უფრო შესაფერისია გაუპიროვნებელი აქტიური ზმნების გამოყენება: *„ღონისძიებებს ატარებენ“, „სიტუაცია დაძაბეს“* და მისთ.

რაც შეეხება აღწერილობით ვნებითებს, მათი მოჭარბება მართლაც თვალში საცემია: *აუცილებელია თავისუფალი აზრი გამოხატულ იქნეს დაუბრკოლებლად; ამოცანა ამოხსნილ იქნა უშეცდომოდ; პირველი ნაგლინი დამზადებულ იქნა მოკლე დროში; საჭიროა დესანტი აღჭურვილ იქნეს სათანადო იარაღით; მაშინვე აღნიშნულ იქნა ამის შესახებ; დამნაშავე მოთავსებულ იქნა საკანში* და სხვა მრავალი.

როგორც ითქვა, ამგვარი ფორმების გამოყენება უკვე აუცილებელ მოვლენად ქცეულა გარკვეული სტილისტიკის სფეროში, თუმცა შეიძლება მათ იქ მაინც ავარიდოთ თავი, სადაც ბუნებრივად ჩაენაცვლება ორგანული ვნებითები ან გაუპიროვნებელი აქტივის ფორმები (შდრ.: *გამოიხატა, ამოიხსნა, დაამზადეს, მოათავსეს...*).

2. შესამჩნევი გახდა ერთგვარი შეზღუდვა I თურმეობითის ფორმების გამოყენებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარსული დროის შესაბამისი ფორმა არ ნაწილაკთან არის შეხამებული; შდრ.: *ჩემი მეგობარი გუშინც გამოჩნდა – მაგრამ: ჩემი მეგობარი გუშინაც არ გამოჩენილა*; შეიძლება ყურს აღარ ხვდება ვარიანტი *„გუშინაც*

არ გამოჩნდა“, მაგრამ ის ნამდვილად მოკლებულია ბუნებრიობას პირველთან შედარებით. ასევე: როდესაც რომელიმე მწერლის ბიოგრაფიას (ან სხვა წარსულ ამბავს) გადმოვცემთ, უმჯობესია გამოვიყენოთ შესაბამისი შინაარსის თურმეობითები (ყოფილა, გაუზრდია, დაუნყია...) და არა ამგვარად:

მომავალი მწერალი იმერეთის ერთ პატარა სოფელში დაიბადა. იგი ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო. პატარა მწერალი ძიძამ გააზარდა; შემდეგ კი გიმნაზიაში შეიყვანეს...

3. ნიშანდობლივია ქართულისათვის ბუნებრივი უნებურობის გამომხატველი ზმნური ფორმების უგულუბელყოფა („დავინყება“): *ბავშვმა ჭიქა გატეხა (გაუტედა); მწყემსმა ძროხა დაკარგა (დაეკარგა); ვერ მოიცილა და გალახა (შემოელახა)* და მისთ.

4. პასუხობს ტიპის ზმნური ფორმები, რომელთა ნორმატიულ მიზანშეწონილობაზე არაერთგზის ყოფილა მსჯელობა, უპირველესად სწორედ ამ კუთხით იქცევეს ყურადღებას. საქმე ის არის, რომ ამგვარი წარმოება ერთპირიანი საშუალი გვარის ზმნებისთვის არის დამახასიათებელი (თამაშობს – ტიპი) მაშინ, როცა პასუხობს, კარნახობს და მისთ. ფორმები ორპირიანი (ან – ზოგჯერ – სამპირიანი) ზმნის გრამატიკულ შინაარსს ითავსებენ. ფორმისა და გამოსახატავი შინაარსის ეს შეუსაბამობა არის საფუძველი იმისა, რომ მათი წარმოშობის მიზეზს სხვაგან ვეძებთ (ღრმა გავლენის შედეგად მივიჩნევთ) და თვითენის ბუნება მოითხოვს, ან დამატებითი პირის ნიშანი გაუჩნდეს მათ (ჰ-პასუხობს, ჰ-კარნახობს...), ან – უფრო უკეთ – შესაბამისი ქცევის იმ ფორმებით (*უპასუხებს*) შეიცვალოს, რომელთა კანონიერი უფლებებიც შეავინროვა პასუხობს ტიპის წარმოებებმა.

ნიშანდობლივია ამ ფორმათა თანაარსებობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, არცთუ იშვიათად – ერთმანეთის სიახლოვესაც. მაგ.:

ჩვენ ვწერდით: „მწერალთა კავშირი აღარ უნდა ჰკავდეს მთავრობის სამსახურში ჩამდგარ პარტიულ უჯრედს“. თავმჯდომარე გვიპასუხებს: „მთავრობის სამსახურში ჩადგომა კი არა...“

ეს ორგანიზაცია არსებული სახით ვეღარ პასუხობს დროის მოთხოვნებს! (ჩვ. მწერლ. 26. XII.2003).

როგორც ვხედავთ, ხაზგასმული ზმნების პირიანობა ერთგვარია, ფორმა – განსხვავებული. ამგვარი პარალელური ფორმები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება გაიყოს:

პირველ შემთხვევაში –**ობ** დაბოლოებიანი ზმნები სასხვისო (ან სათავისო) ქცევის ფორმებს ენაცვლება:

პასუხობს – უპასუხებს;
კარნახობს – უკარნახებს;

საყვედურობს – უსაყვედურებს;

პატაკობს – უპატაკებს;

დარაჯობს – უდარაჯებს;

ან: ლებულობს (წერილს) – იღებს;

გებულობს – იგებს;

თხოულობს – ითხოვს;

ტვირთულობს – იტვირთავს;

ჩემულობს – იჩემებს;

მიზეზობს – იმიზეზებს;

როგორც ითქვა, შეიძლება იგივე ფუნქცია დამატებითმა პირის ნიშანმაც იკისროს და მივიღოთ არცთუ ბუნებრივი ფორმები: *ჰ-პასუხობს, ჰ-კარნახობს-ს...*

შდრ.: ა) ბოლო კვირას ღრუბლიანი ამინდები **ჭ ა რ ბ ო ბ ს**.

ბ) პოლიტიკურ-საინფორმაციო სივრცეში **ჯერ ისევ ცუდი ამბები სჭ ა რ ბ ო ბ ს** კარგს.

ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ტიპის ფორმებით ენიანი ვნებითები ჩანს ჩანაცვლებული:

ტელეფონზე საუბრობს – ტელეფონით ესაუბრება (ან – თუ მეორე პირი არ იგულისხმება: ტელეფონით ლაპარაკობს).

ახალ გარემოს ვერ გუობს. – ეგუება;

მხოლოდ ახლობლებს პატაკობს. – ეპატაკება;

ასეთ პირობას არ თანხმდება. – ეთანხმება...

ამ ბოლო მიმართებებთან დაკავშირებით ქართული ენის ბუნებასთან შეუსაბამოდ უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევები, რომლებშიც ერთპირიანი ზმნური მოდელის გავლენით ირიბი ობიექტიც თანდებულებიანი უბრალო დამატების რანგში არის გადასული (ე. ი. შინაარსობრივად ორპირიანი ზმნა სინტაქსური სტრუქტურითაც ერთპირიანი ხდება):

ვისთან თამაშობს ჩვენი ნაკრები? – ვის ეთამაშება?

მეზობელთან ლაპარაკობს. – მეზობელს ელაპარაკება.

ყველასთან ჩხუბობს. – ყველას ეჩხუბება.

გაუთავებლად კამათობს ჩემთან. – მე შეკამათება.

5. ქართული ენის ზმნურ სისტემაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქცევის საკმაოდ მოქნილ კატეგორიას; ქართულ ზმნას, ნეიტრალურთან ერთად, შეუძლია გამოხატოს როგორც სუბიექტისადმი, ისე ობიექტისადმი განკუთვნილი მოქმედება (**წერს – იწერს – უწერს**). ევროპულ ენებში ზმნა ამ თვალსაზრისით ინდიფერენტულია და სათანა-

დო მიმართებას მხოლოდ ნაცვალსახელები გამოხატავენ.

შესაბამისად, როდესაც ქართულში ქცევის მოსალოდნელი ფორმა დაინიშნულია და კუთვნილებითი მიმართების გამოხატვა სახელურ ფორმებზეა გადატანილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ენის კონკრეტულ მატარებელში მაინც გასჩენია ბზარი მშობლიური ენის ბუნებრივ წყობას. მაგალითად, როდესაც შავანი ამგვარად წერს, – „*მგონი თქვენზე ძალოვნები თქვენთვის ხელისუფლების ჩამორთმევას აპირებენ*“ (რ. 31.X.2001), სრულიად ნათელია, რომ ამგვარი ჩიქორთული ფრაზა არსებითად ერთადერთი **გაბიძგებენ** ფორმის „დავინიშნებამ“ წარმოშვა!

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ტენდენცია უპირატესად თარგმნილ ტექსტებში იჩენს თავს.

ამგვარად, სადაც ეს შესაძლებელია, ქცევის ფორმები უნდა შევიწინარჩუნოთ:

შერიგების შუაკაცებად მათთან ორი დარბაისელი კაცი მიაგზავნეს – უფრო ბუნებრივია: მიუგზავნეს მათ.

მეფე ნელი ნაბიჯით მოახლოვდა მათთან – მოუახლოვდა მათ.

სად გათხარეს მისი სამარე? – გაუთხარეს მას სამარე.

მალე მეფის რუსეთმა ჩვენი სამეფო ტახტი გააუქმა – გაგვიუქმა.

შიშს ნერგავდა ჩვენს გულში. – შიშს გვინერგავდა გულში...

9. ენობრივი კლიშე ფუნქციონალური სტილისტიკის სფეროში

კლიშე (ფრანგ. cliché – სტანდარტული რელიეფური გამოსახულება, რომელსაც იყენებდნენ სერიული ანაბეჭდების მისაღებად), როგორც სამეტყველო სტერეოტიპი, მზამზარეული მყარი გამონათქვამი, წარმოიქმნება სპეციალური (დარგობრივი) ენების სტანდარტიზაციის შინაგანი მოთხოვნით და აქტიურ როლს ასრულებს ერთი ან რამდენიმე ფუნქციონალური სტილის ფარგლებში. ის ერთ-ერთი განუყოფელი ელემენტია იმ სპეციალური ენებისათვის, რომელთათვისაც საზოგადოდ არის დამახასიათებელი სტანდარტიზაცია და ფორმალიზაცია.

ენობრივი კლიშეები მუდმივად წარმოიქმნება ენაში, მით უფრო დღეს, უაღრესად აქტიური საინფორმაციო ურთიერთობების ეპოქაში, რომელსაც, საზოგადოდ, გლობალური სტანდარტიზაციის ტენდენციები ახასიათებს და ეს ქართულ სალიტერატურო ენაშიც შესაფერის ასახვას პოეებს.

კლიშედ შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი მთავარი ენობრივი ფორმულა – დანყებული ერთი სიტყვით და დამთავრებული რამდენიმე სიტყვიანი ფრაზით, რომელსაც შესაბამისი სპეციალური ტექსტის აგებაში საკვანძო კონსტრუქციული (სტილისტიკური) ფუნქცია ეკისრება. ამგვარი ენობრივი ერთეულები ერთგვარ თანამდევ მახასიათებლად გვევლინება ამა თუ იმ დარგის სტანდარტიზებული ენისა და სტილისათვის. ამგვარ ერთეულებს ზოგჯერ გარკვეული ეპოქის იდეოლოგიური თუ პროპაგანდისტული ბეჭედიც აზის და შესაბამისი ვითარების ცვლილებასთან ერთად თმობს ასპარეზს. მაგალითად, წინა სოციალური წყობის პირობებში ერთგვარი სიტყვა-კლიშეს ფუნქცია შეიძინა *ფორუშმა*, რომელიც ლამის ყველანაირი (იდეოლოგიურად „მნიშვნელოვანი“) შეკრების აღმნიშვნელად გვევლინებოდა: *აკრარი-კოსთა ფორუში, მწველაეთა ფორუში* და მისთ. დღეს ამგვარი ნიშნები შეიძინა სიტყვა *სამიტმა*, რომელმაც თანამედროვე მასშედიში თითქმის მთლიანად შეცვალა სიტყვა *შეხვედრა* სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე.⁶ ამგვარივე გავრცელებისაა გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვის შესიტყვებები: *ხალხის ნება, მოქალაქეობრივი შეგნება, განვითარების დამუხრუჭება, ხალხის ნდობის გამართლება, დინების წინააღმდეგ სვლა, საზოგადოებრივი მუწუკი, პოლიტიკური გეამი, პოლიტიკური შოუ, ჯანსაღი გარემო, ჯანსაღი ცხოვრების სტილი, საყოველთაო მღელვარება, ხვერდოვანი გადატრიალება* და სხვ.

კლიშეს მოვლენა უპირველესად საინტერესოა როგორც კონსტრუქციული ელემენტი გარკვეული სპეციალური ენის (resp. ენების) ჩამოყალიბების პროცესში. ამგვარ ენებში დიდი ადგილი უჭირავს მზამზარეულ ფორმულებს, სტერეოტიპულ ფრაზებს რაციონალური და მშრალი საკომუნიკაციო ამოცანების გადასაწყვეტად. სწორედ რაციონალურობა და ეკონომიურობა არის ის მოთხოვნები, რომლებიც განაპირობებს ფუნქციონალური სტილების სტანდარტიზაციას, მით უფრო გამოკვეთილი „ავტონომიური“ სპეციალური ენების ჩამოყალიბებას, რაც უფრო შორს მიდის ამა თუ იმ სფეროს განვითარება.

ამგვარად მკვიდრდება ოფიციალურ-საქმიან, სამეცნიერო თუ სა-

⁶ აქვე უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიზებული სისტემებისთვის საზოგადოდ არის დამახასიათებელი გარკვეული ენობრივი ფორმულების პერიოდული გავრცელება საზოგადოების ფსიქოლოგიაზე ზემოქმედების მიზნით, რაც უპირველესად სწორედ ოფიციალურ-საქმიან ურთიერთობებში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოეტიკა გავრცელებას. ამგვარად აღიბეჭდება ცალკეული ეპოქების ენობრივ-ლოკუმენტურ მექანიზმებში „ამორჩიული“ სიტყვები თუ შესიტყვებები: *ალორმინება, გარდაქმნა, სტაბილიზაცია, დემოკრატიზაცია, გლობალიზაცია, წმინდა ომი, ანტიტერორისტული კამპანია* და მისთ.

ინფორმაციო ენაში გამონათქვამები, რომლებიც რეგულარული გამოყენების გამო ერთგვარი სავალდებულო ფორმულების სახეს იღებს: ანალიზის საგანი, საკითხის დასმა, პრობლემის გადაწყვეტა, გენეზისის დადგენა, ძიების მიმართულება, კვლევის მიმართულება, მეცნიერული სიღრმე, მეთოდოლოგიური საფუძველი, დაკვირვების წარმოება, სიახლეთა დანერგვა, პოზიციის დაფიქსირება, საქონლის მიმოქცევა, აღებული ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღება, შეთანხმების მიღწევა, გულითადი საუბარი, გაზრდილი დონე, განუხრელი ზრდა, დასახული ამოცანა, დაკისრებული მოვალეობა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ნათელი დადასტურება, მზარდი მოთხოვნილება, სამოქმედო ასპარეზი, სამსახურში ჩადგომა, ფართო აღიარება, ღირსეული შეხვედრა, ხმის უფლება, შეშფოთებას გამოთქვამს, პროტესტს აცხადებს, ფეხს იდგამს, ადგილი აქვს, გზას უკაფავს, წინ სწევს, ხელს უწყობს, ნაყოფს გამოიღებს, მიმდინარეობს ძიება, წარმოებს მოლაპარაკება, ზიანი მიადგა და სხვა მრავალი.

აქვე უნდა დასახელდეს ისეთი სტანდარტული განკერძოებული გამოთქმები, რომლებიც თავისებურ, ოფიციალურ სტილისტიკურ ელფერს სძენენ შესაბამის სპეციალურ ენებს: ჩვეულებისამებრ, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, თავის მხრივ, შეიძლება ითქვას, როგორც ვხედავთ, ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, საზოგადოდ, ამდენად, გარდა ამისა, არა მხოლოდ, კერძოდ, ამგვარად, ე. ი., ე. წ. და მისთ.

ენობრივი კლიშე სპეციალური ენების განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც ამ მოვლენას ფუნქციური სტილების კვლევაში საგანგებო ადგილი უნდა მიეკუთვნოს და ამა თუ იმ დარგის მომავალმა სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს, რა პირობებს უყენებს მას შესაბამისი სპეციალური ენის დაუფლების ამოცანები. სტანდარტული ენის პოზიტიური მხარე ის არის, რომ მისი მეშვეობით უფრო ზუსტად, რაციონალურად და ობიექტურად ხერხდება დამოკიდებულებათა გამოხატვა, მოვლენის განსჯა და ახსნა; ამგვარი ენა უფრო მოქნილი და მოსახერხებელი ხდება კონკრეტული შემეცნებითი ამოცანის გადაწყვეტისათვის, უფრო ოპერატიულად ხერხდება რეაგირება ამა თუ იმ მოვლენასა თუ ინფორმაციაზე, მით უფრო, თანამედროვე ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთობის პირობებში. ამგვარი „შიდა“ ენების ფლობა აადვილებს ურთიერგაგებას და პროფესიული კომუნიკაციის პროცესს, ზოგავს დროსა და ენერგიას სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტისათვის.

ამავე დროს, სპეციალური სტანდარტული ენები გვევლინება ერთერთ ძირითად ასპარეზად ცოცხალი ეროვნული ენების გალარიბებისა, სამეტყველო ურთიერთობათა დაშტამპვისა და, შესაბამისად, ენობრივ ერთფეროვნებასთან, გამომსახველობით „ანემიასთან“ ფსიქოლოგიუ-

რი შეგუებისა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მითითებული ენობრივი კლიშეები არცთუ იშვიათად წარმოადგენენ უცხოენოვან კალკებს, არაბუნებრივ სტრუქტურულ ერთეულებს (*დარტყმა მიაცენა, წარმოებს დამზადება* და მისთ). ამგვარი სტერეოტიპული ენობრივი ერთეულები, ფუნქციონალური სტილების აქტიური ფუნქციონირების პირობებში, ბუნებრივად აღწევენ საერთო სალიტერატურო ენაში, ჩვეულებრივ მეტყველებაში, თვით სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც კი და ამით დამატებით პრობლემას ქმნიან სალიტერატურო ენის სინმინდისა და ბუნებრიობის დაცვის თვალსაზრისით.

10. ტექსტი და მისი ძირითადი სტრუქტურული ნიშნები

თანამედროვე ადამიანი ტექსტების სამყაროში ცხოვრობს, მას თავისი სიცოცხლის განმავლობაში ნაირგვარი ტექსტების გაცნობა და გამოყენება უწევს – დანყებული ნუთიერი სარეკლამო ინფორმაციით და დამთავრებული დიდტანიანი მხატვრული თხზულებებითა თუ ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომებით. რამდენადაც ტექსტები ენის ფუნქციონირების სულ სხვადასხვა სახეებსა და სფეროებს ასახავს, ისინი შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი. ამავე დროს, ამ ცნების ძირითადი შინაარსი მაინც მნიგნობრულ პრაქტიკას უკავშირდება და მეტყველების წერილობითსავე ფორმებს გულისხმობს. ზოგჯერ მიუთითებენ არავერბალურ, ვიზუალურ ტექსტებზეც (ილუსტრაცია, დიაგრამა და მისთ.).

ტექსტის შესწავლა, მისი სტრუქტურული მახასიათებლების, მისი ანალიზისა და სინთეზის საკითხები თანამედროვე მეცნიერებასა და პედაგოგიაში გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს, რამდენადაც უშუალოდ სწორედ ტექსტებს უკავშირდება, ანუ ტექსტობრივია როგორც ენის სისტემის შემეცნება, ისე ენობრივი ურთიერთობის ნორმებისა და წესების, სხვადასხვა ცხოვრებისეული სამეტყველო ქცევის განსაზღვრა და შეფასება.

მაინც რა არის ტექსტი? რა საერთო განმსაზღვრელი ნიშნები აქცევს ერთი სახელწოდების ქვეშ ტექსტთა აღნიშნულ ნაირგვარობას?

ტექსტი არის ენობრივი აქტივობის (შემოქმედების) კონკრეტული შედეგი, დასრულებული შინაარსობრივად და მთლიანი სტრუქტურულად; მიზანმიმართული სამეტყველო მოქმედების ბოლომდე რეალური ზეპირი მთლიანობა.

ბუნებრივია, აზრობრივი დასრულებულობა წინადადებასაც ახასიათებს, მაგრამ ტექსტად მაინც მოიაზრებენ წინადადებაზე აღმატებულ შინაარსობრივად მთლიან ენობრივ პროდუქტს.

აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს ტექსტის რამდენიმე არსებითი სტრუქტურული ნიშანი:

- ა) ტექსტს აქვს დასაწყისი და დასასრული;
- ბ) ტექსტს ახასიათებს შინაარსობრივი მთლიანობა, ანუ შინაარსობრივი კავშირი მის ცალკეულ მონაკვეთებს შორის;
- გ) ტექსტს აქვს საერთო აზრი (შეიძლება ტექსტის მთელი სათქმელის კონცენტრაცია ერთ ფრაზაში);
- დ) ტექსტს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს სათაური;
- ე) ტექსტს აქვს სტრუქტურული მთლიანობა: სიტყვები ერთიანდებიან წინადადებებად, წინადადებები – აზრობრივ მონაკვეთებად (აბზაცებად), აბზაცები – ტექსტობრივ ბლოკებად (მოზრდილი ტექსტი ასევე შეიძლება დაიყოს პარაგრაფებად, თავებად, ნაწილებად და მისთ.)...

ენის ყველა ერთეულის მნიშვნელობა და ფუნქცია რეალიზდება ტექსტის დონეზე, ტექსტია მათი სრულფასოვანი გამოვლენის ცოცხალი ასპარეზი. სწორედ ტექსტში ხდებიან სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულები კომუნიკაციურად განპირობებულნი და მნიშვნელოვანნი, საერთო სისტემაში ავლენენ თავიანთ არსებით ნიშნებს, ამჟღავნებენ ახალ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს; ამდენად, ტექსტი ენობრივ ერთეულთა არსებობის მთავარ რეალურ გარემოს წარმოადგენს და მათი ობიექტური „ღირებულება“ სწორედ ტექსტის ფარგლებში ხდება ხელშესახები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : თანამედროვე ფუნქციონალურ სტილისტიკაში შემოვიდა აგრეთვე დისკურსის ცნება, რომელიც, ტექსტის ზოგადი მნიშვნელობის გვერდით, გამოხატავს ტექსტის კონკრეტული რეალიზაციის პროცესს მეტყველებაში.

ტექსტის მთავარი სტრუქტურული ელემენტი, სრულიად ბუნებრივია, არის წინადადება, რომელიც, თავის მხრივ, ცალკეულ ტექსტობრივ მთლიანობებს, ფრაზებს ქმნის. მაგრამ ტექსტის სტრუქტურის თვალსაზრისით მთავარი მეთოდური მნიშვნელობა მაინც აბზაცის გაგებას უნდა მიენიჭოს.

აბზაცის ცნება გულისხმობს ერთ აზრობრივ მონაკვეთად გაერთიანებულ რამდენიმე წინადადებას, რომელიც, ჩვეულებისამებრ, სწორედ აზრობრივი ავტონომიურობით არის გამომიჯნული წინა და მომდევნო აბზაცებისაგან. ამავე დროს, აბზაცის ფარგლებში შეიძლება გამოიკვეთოს ისეთი ბირთვი-წინადადადება, რომელიც წამყვან აზრობრივ ფუნქციას ასრულებს და დანარჩენი წინადადებებიც მის გარშემო ქმნიან შიდა აზრობრივ სტრუქტურას.

აბზაცის, როგორც ტექსტის აზრობრივ-სტრუქტურული მონაკვე-

თის, განმსაზღვრელი, ობიექტურ კრიტიერიუმებთან ერთად, სუბიექტურ-სტილისტიკური დამოკიდებულებებიც ჩანს. ამიტომაც არის, რომ ერთი და იგივე ტექსტი შეიძლება სხვადასხვა პიროვნებამ სხვადასხვაგვარად დაყოს აბზაცებად, იმის გათვალისწინებით, როგორ აზრობრივ-მოდალურ დატვირთვას ანიჭებს შესაბამის მონაკვეთებს ცალკეული ავტორი (ეს განსაკუთრებით შეეხება პუბლიცისტური წარმოთქმის ამოცანებს). მაგალითად, ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ცნობილი წერილის პირველ აბზაცად ამგვარ ტექსტობრივ მთლიანობას გვთავაზობს:

არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მანანალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიღამ მოდის და სად მიდის, ისეც ურად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომიდა და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულისფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

ამ ტექსტის შინაარსობრივი აგებულების გათვალისწინებით შესაძლებელია აბზაცებად დაყოფის სრულიად განსხვავებული, უკიდურესად დიფერენცირებული სურათი წარმოვადგინოთ:

არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს.

როგორც კაცად არ იხსენება ის მანანალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიღამ მოდის და სად მიდის, ისეც ურად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომიდა და თავისი ისტორია არ ახსოვს.

რა არის ისტორია?

იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც.

ისტორია თავის გულისფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

სრულიად ნათელია ამ ორგვარი სტრუქტურული დაყოფის შესაძლებლობა და მათ შორის განსხვავებაც ძნელი შესაგრძნობი არ არის; ისიც გასაგებია, რომ აბზაცებად დანაწევრების ორიოდე „შუალედური“ ვარიანტის მოძებნა კიდევ არის შესაძლებელი. ეს კი, ვიმეორებთ, იმაზე მიუთითებს, რომ ტექსტის აზრობრივ ბლოკებად დაყოფა, ობიექტურ მონაცემებთან ერთად, სუბიექტურ დამოკიდებულებაზეც („ნაკითხვაზეც“) არის დამოკიდებული.

აბზაცის ტექნიკური ნიშანი ქართულ მნიგნობრულ პრაქტიკაში არის სამი-ოთხი ინტერვალით შეწყული სტრიქონი (რის ნიმუშსაც წინამდებარე ტექსტიც წარმოადგენს). ამავე დროს, თანამედროვე ევროპულ პოლიგრაფიაში აბზაცები, სტრიქონის შეწყვის მაგიერ, ერთმანეთისაგან ერთი სტრიქონის დანევით არის გამოყოფილი. ამგვარი წესი თანდათან ქართულ პოლიგრაფიულ პრაქტიკაშიც იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით თარგმნილი ტექსტების პუბლიკაციისას. მაგალითისათვის, აი, როგორ აისახა ამერიკის პრეზიდენტის წერილის ორიგინალისეული აბზაცებად დაყოფა მის ქართულ თარგმანში:

1 დეკემბერი, 2003

მის აღმატებულებას
საქართველოს პრეზიდენტს
უღაპრად შეეარდნაძეს

პატრონო პრეზიდენტო,

დიდ მაღლობას მოგახსენებთ თავისუფლების დამიკვიდრებაში თქვენს მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის. თქვენი ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრება, ყოფილ საბჭოთა ხიურტებში თავისუფლების დამკვიდრება, სამოქალაქო ომის წვედადიდან საქართველოს გამოყვანა და ქვეყანაში დემოკრატიისა და საპაზრო ეკონომიკის დაყენება. ამერიკის შეერთებულ შტატებთან მტკიცე მეგობრობის ჩამოყალიბება. ბუნდა მაღლობა ვითხრათ როგორც ერსა და საკითხში მზარდაჭერისათვის. ასევე პანკისში განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციისათვის.

თქვენი ღირსეული გადადგომა 23 ნოემბერს და მზადყოფნა გუზნაოროთი თქვენი სიბრძნე და გამოცდილება საქართველოს ხელშეწყობის ახალ თაობას, რომლებიც თქვენი აღზრდილები არიან, თქვენს კიდევ ერთ დიდ მიღწევად შეიძლება ჩათვალოს. თქვენი გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე თბილისის ქუჩებში ძალიან გამოყვების ნაცვლად. თქვენი შესანიშნავი კაროერის ღირსეული დაგვირგვინებაა.

მეცნა, რომ თქვენ, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ძალისხმევას არ დაიშურებთ საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიის განმტკიცებისა და ქვეყნის განვითარებისთვის.

პატრიისციემით,

ჯორჯ უ. ბუში

ტიქსტზე მუშაობა სტუდენტისაგან მოითხოვს რამდენიმე არსებით უნარ-ჩვევის გამომუშავებასა და განვითარებას. მან უნდა შეძლოს მოცემული ტექსტის ანალიზი, მისი თემისა, ძირითადი აზრისა და სტრუქტურული ნიშან-თვისების მითითება, ტექსტის სტრუქტურული კავშირების, კომპოზიციის გამოკვეთა, ტექსტის ტიპის განსაზღვრა, ენობრივი და სტილური თავისებურებების გამოვლენა, საკვანძო სიტყვებისა და გამოთქმების, აზრობრივად ცენტრალური აბზაცების მოძიება და მისთ.

რაც მთავარია, სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს სასწავლო ამოცანებთან ან სხვა ობიექტურ მოთხოვნებთან დაკავშირებული ტექსტების კონსტრუირების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მან უნდა შეძლოს ნაკითხულისა თუ მოსმენილის ძირითადი შინაარსის გადმოცემა, გეგმის შედგენა, ძირითადი აზრის ადეკვატური ფორმულირება, კუპიურების გაკეთება, ტექსტის წამყვანი აზრობრივი პუნქტების თეზისებად ჩამოყალიბება და სხვ.

სასწავლო ამოცანებიდან გამომდინარე, რამდენიმე ტიპის ტექსტზე, რომელთა შედგენის ტექნიკის დაუფლებას სტუდენტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, საგანგებოდ უნდა შეჩერდეს ყურადღება. კერძოდ:

1. კონსპექტი: სტუდენტის მიერ არცთუ მცირერიცხოვანი სპეციალური ლიტერატურის დამუშავება მისგან მოითხოვს კომპაქტური, მაგრამ ამომწურავი კონსპექტის შედგენის ცოდნას. ეს იმას გულისხმობს, რომ სტუდენტს შეეძლოს ტექსტის ადეკვატური კითხვა, ყოველივე არსებითის „გამოტანა“ ტექსტიდან და გამონაკრების გამართულად და თანამიმდევრულად ჩამოყალიბება. კონსპექტის მოცულობა, დასამუშავებელ ტექსტთან მიმართებით, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად „მდიდარია“ შინაარსობრივად ეს ტექსტი, რა არის გამოსატანი მის ძირითად შინაარსად. შესაბამისად, კონსპექტი შეიძლება შესრულდეს აბზაცების დონეზე (დაახლოებით – ერთი აბზაცი ერთ ფრაზად), შესაძლებელია კონსპექტის შედგენის ამოცანა ტექსტის შინაარსის უფრო მსხვილ ბლოკებზე იქნეს ორიენტირებული. კონსპექტის შედგენის ყველაზე მარტივი პრინციპი ასეთია: გამოვარჩიოთ არსებითი და მნიშვნელოვანი მეორეხარისხოვანისაგან!

რაც მთავარია, კონსპექტი, ერთი მხრივ, კარგად წარმოაჩენს სტუდენტის მიერ ტექსტის კითხვის „კულტურას“, მეორეც, კონსპექტის შესრულების დონით თვალსაჩინო ხდება შესაბამისი ტექსტის დამუშავების, ანუ დასწავლის, ხარისხი.

2. თეზისები: კეთდება იმისათვის, რათა მოკლედ გადმოიციეს ნაშრომის (ან მოხსენების, სათქმელის) ძირითადი დებულებები. წესი-

სამებრ, თეზისების სახით (რომლებიც უშეტესად დანომრილია) ტექსტიდან გამოიკრიბება ყველა ის ძირითადი (პოზიტიური) დებულება და აზრი, რაც შესაბამისი ნაშრომის შინაარსობრივ ღერძს ქმნის. თეზისებში მსჯელობა, არგუმენტირება და ილუსტრირება მინიმუმამდე არის დაყვანილი. თეზისების ფორმა გვეხმარება ყურადღების კონცენტრაცია მოვახდინოთ ამა თუ იმ ნაშრომის ყველაზე არსებით თეორიულ (აზრობრივ) მომენტებზე და, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში საკმაოდ ზუსტად აღვადგინოთ ნაშრომის მთლიანი შინაარსი; ან გავშალოთ თეზისები მოხსენებად, დასაბუთებად და მისთ.

3. ანოტაცია: რაიმე ტექსტის (ნიგნის, სტატიის, მოხსენების...) ანოტაცია შეიცავს მის მოკლე დახასიათებას, კერძოდ, მითითებას იმაზე, თუ რას შეეხება ტექსტი (თემა), რა პრობლემატიკას მოიცავს ის, რით არის ტექსტი აქტუალური და საინტერესო და ვის შეიძლება გამოადგეს ის.

4. რეზიუმე: ნაშრომის მოკლე დასკვნა, ძირითადი შედეგის, არსის ნარმოდგენა.

5. რეფერატი: ეს არის მიმოხილვითი ნაშრომი რაიმე საკითხისა თუ უკვე არსებული გამოკვლევების (თხზულების) შესახებ. ამ შემთხვევაში შემსრულებელი უფრო დამოუკიდებელია, შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს საკითხთა თანამიმდევრობას, მათ გაშლას, დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისა და საჭიროებისამებრ წამოსწიოს წინ მნიშვნელოვანი და არსებითი, მეტი ადგილი დაუთმოს პრობლემის რომელიმე ასპექტს და ნაკლები – მეორეს და მისთ. ცალკე ნაშრომის რეფერატის გაკეთებასთან შედარებით უფრო რთულია რეფერირება რომელიმე საკითხის მიხედვით. ამ შემთხვევაში საკითხის (პრობლემის) დამუშავება ხდება რამდენიმე ნაშრომის გამოყენებით და სტრუქტურის განაფულობა გამოვლინდება იმაში, რამდენად მოახერხებს იგი სხვადასხვა შეხედულებათა და დებულებათა შეჯერებასა და სინთეზს. საკითხის რეფერირება შეიძლება უშუალო მოსამზადებელ სამუშაოდ მივიჩნიოთ დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის.

ტიპობრივ სავარჯიშოთა ნიმუშები:

სცადეთ გამართოთ ტექსტი აზრობრივად და სტილისტიკურად (ერთ-ერთი საპარლამენტო გამოსვლის ფრაგმენტი — ლიტ. საქ. 8.07.1994):

მე ვადასტურებ კონტროლის პალატის ცნობას, სადაც ცალსახად დადგენილია, რომ აღნიშნული კუპონები გამოყოფილი იქნა თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე. ჩვენ ვთხოვეთ თავდაცვის სამინისტროს, ვინაიდან ამ შუამდგომლობაში თავდაცვის სამინისტრო მოიხსენიებოდა, როგორც თვითონ შუამდგომელი და ასევე ვთხოვეთ მინისტრთა კაბინეტს ეცნობებინა, თავდაცვის სამინისტრო თვითონ უშუალოდ აღნიშნული კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე მოითხოვდა თუ არა აღნიშნული კრედიტების გაცემას, ასეთი რამ მინისტრთა კაბინეტში არ არის. იყო ისიც, ბატონი ფაცაცია აქ ბრძანდება, ასახელებენ პიროვნებებს და ვითომ ეს დოკუმენტები არის პროკურატურაში, პროკურატურაში ამის შესახებ არაფერი დოკუმენტი არ არის. მე მაქვს ბატონ ფაცაციას ხელმოწერით დოკუმენტი, სადაც წერია ეროვნულ ბანკზე მიმართებით გიგაშვილის, სადაც წერს, რომ ვთხოვო ინფორმაციას ამის თაობაზე, მინისტრთა კაბინეტი იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა იყო უშუალოდ თავდაცვის სამინისტროსაგან, ახ სხვა ვინმესაგან, ამის თაობაზე არაფერს არ ამბობს, ჩემი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ, მართალია მე რადაცეებში ბატონ ნათაძეს... ამ კომისიის წევრები დაინტერესებულნი ვართ, მაგრამ ჩემი გამოსვლის ძირითადი მიზანი ის არის, რომ კომისიამ მუშაობა დაამთავრა და მე მჯერა, რომ კანონით ისეთი ფონდი არ შეიძლება შექმნილიყო, აქ კანონის დარღვევას აქვს ადგილი. ეს სხვა სადავო საკითხია, ბატონო თედო, ეს იყო და ახლა აღარ არის, მაშინ ეს შემდგომი სტადიის ამოცანა იქნება. კომისია ვთხოვთ პარლამენტს, თუ კითხვები იქნება გიანასუხებთ და მოითხოვს, რომ თუ საჭიროა დახმარებოდით საქმის მსვლელობას, იმიტომ, რომ ჩვენი კომისია შეიქმნა აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის საქმიანობის გამოსარკვევად. დანარჩენი დეტალები, რომლებიც ცალკეულ დეპუტატებს და კომისიის წევრებს აქვთ, განცხადების... შემოწმებული ჩვენ ამ სტადიაზე უკვე გვავალდებულებს, რომ შევჩერდეთ და თუ პარლამენტის სურვილი არ იქნება, ჩვენ მუშაობას ვერ გავაგრძელებთ. თუ იქნება პარლამენტის გადაწყვეტილება, ჩვენ შეგვიძლია მივყვეთ ამ მსვლელობას და მოკვლევის შედეგები მოგახსენოთ, თუნდაც დასკვნით.

დაევათ აბზაცებად მოცემული ტექსტი, გააკეთეთ მისი კონსპექტი, თეზისები, რეზიუმე:

ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრაქტიკიდან

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი 1646 წლისაა. უთარილო ხელნაწერები მე-17 საუკუნეს ან, დიდი-დიდი, მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ვერ უსწრებენ. ცნობილია ისიც, რომ იყვნენ მოხალისეები (გადამწერლები, რედაქტორები), რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს შიგადაშიც ურთავდნენ თავისას, უმატებდნენ. გადამწერლებს რომ არ ესმოდათ ტექსტის ესა თუ ის ადგილი, უნებურად ასხვაფერებდნენ ცალკეულ სიტყვებს. ზოგი ცდილობდა, რომ ესწორებინა პოემა თავის გემოზე. ამიტომ მოღწეული ხელნაწერები ძალიან ჭრელ სურათს იძლევიან როგორც სტროფების შედგენილობის მხრივ, ისე ცალკეული ადგილების წაკითხვით. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა გულისხმობს პოემის გაწმენდას ჩანართ-დანართი სტროფებისაგან, გასწორებას დამახინჯებული ადგილებისას, აღდგენას რუსთველის დროინდელი ორთოგრაფიისას და პოემის ისეთი სახით წარმოდგენას, რომ იგი მაქსიმალურად უახლოვდებოდეს შოთას ხელიდან გამოსულ ნაწარმოებს. სიადგი ასეთი მუშაობის შესასრულებლად უკვე საკმაოდ მომზადებულია: აღდგენილია პირველი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ (1712 წ.), ე. წ. ვახტანგის გამოცემა, რომელსაც გარკვეული გავლენა მოუხდენია მერძინდელ გამოცემებზე, გამოცემულია ერთი ხელნაწერი მთლიანად (1671 წ.), აგრეთვე ვარიანტები სხვა ხელნაწერებისა ამ ხელნაწერის მიმართ, „ვეფხისტყაოსნის“ სიმთონია, რუსთველოლოგიური ნაშრომების ბიბლიოგრაფია, თამაყრილია სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული აზრები ამა თუ იმ სტროფისა და ცალკეული სიტყვების შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ დამდგენ კომისიას მოეპოვება ფოტოპირები უმნიშვნელოვანესი ხელნაწერებისა. ტექსტის დადგენის პროცესში გამოირკვა, რომ ზოგი ხელნაწერი უფრო სანდოა, ზოგი ნაკლებ სანდო და ზოგიც ისეთი, რომ ყოველთვის ეჭვის თვალით უნდა უყურებდე. მიუხედავად ხელნაწერთა ასეთი სიჭრელისა, კრიტიკული განხილვის შედეგად ხერხდება პოემის გასწორება ჩანართ-დანართებისაგან, შოთას დროინდელი ორთოგრაფიის აღდგენა და, საერთოდ, პოემის ისეთი სახით წარმოდგენა, რომ ტექსტი გამართული იქნება დიდი მიახლოებით რუსთველის კალმით დაწერილ ტექსტთან. ამ წლის ბოლოსათვის დამზადებული იქნება და დასაბეჭდად გადაეცემა „ვეფხისტყაოსნის“ ახლად გადახედული ტექსტი უმთავრესი ვარიანტებითურთ, აგრეთვე ჩანართ-დანართი სტროფები, ძნელოვანი ადგილების ახსნა-განმარტება და ლექსიკონი.

იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ, გამართეთ წინადადება:

ეტყობა, ამ კაცის მიკარება არც ერთ წესიერ საქმეზე არ შეიძლება! მაგის ჩამდენი კაცი სუფთა სულისა არ უნდა იყოს. დიდი ილია საქართველოს არასოდეს არ მიიჩნევდა რუსეთად და იგი ამ ორი სახელმწიფოს მცნებას ყოველთვის შევეთრად მიჯნავდა ხოლმე. ამანაც გააწამა: მაშ, რა ვითხოვო, თუ არა დასჯა მწვალებელთაო. არ ურჩიეს... წისქვილის დაბრუნებაც არ ურჩია ბევრმა. იგი ითხოვდა... უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმებას... პროგნოზი ყოველთვის რაიმეს ემყარება — ინფორმაციას, დაკვირვებას, ლოგიკას, ანალიზს, აღლოს, ინტუიციას და კიდევ, შესაძლოა, რაღაც ისეთსაც, რასაც ზუსტი სახელი ვერ მოეძებნოს, თუმცაღა სხვა ყველაფერზე მეტი სამსახური შეიძლება გაეწიოთ. არც საქართველო და არც საგაიხოდ გადადებული სპარსეთის კომპანია რუსეთში აღარავის გახსენებია. შეცდომები თითოეულ ჩვენგანს გვაქვს მუშაობაში, მაგრამ ჩვენი ადგილს გენიოსებიც რომ მოვიდნენ, აგრე იოლად ვერ უშველიდნენ საქმეს. საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის გარდამავალმა პერიოდმა თავისი კვალი პროკურატურის ორგანოებსაც დაამჩნია. ქვეყანაში წესრიგის დამყარებას ეცდილობთ თითქოს (თუ ვითომ), თვით პარლამენტი კი თავად არღვევს ყოველ წუთს წესებს. როგორც აღვნიშნე, ჩვენი კომპანია ბორის ელცინთან საარჩევნო კომპანიის დროს მუშაობდა. ისეთ არეულ-დარეულ, მოულოდნელობებით და წინააღმდეგობებით აღსავსე დროსა და ქვეყანაში, როგორიც დღეს საქართველოშია, გუშანზე, ინტუიციანზე, აღლოზე აგებული ეს პროგნოზი ისეთი ზუსტი აღმოჩნდა, რომ... არ მოხერხდა სოხუმში და სხვა რეგიონებში ცხოვრების ნორმალური რითმის აღდგენა. საამისო გზების ძიება იყო ბატონ ვახტანგ ძაბირაძის გამოსვლაში, რომელიც მან ფრაქცია „რესპუბლიკელების“ სახელით გააკეთა. მაგრამ იმ პუნქტის მომხრეებმა, რომელთა აზრით დადგენილებაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს 1995 წელი — ჯარის აქედან გაყვანის ბოლო ვადა, — როგორც ჩვენი ძლივს მონაპოვარი, მოინდომეს ამ პუნქტის რეანიმაცია — ხელმეორედ კენჭისყრა, ისევ სახელობით. (ბ-ნმა გამომსვლელებმა) ოპტიმისტურ ნოტაზე დაამთავრა: — ჩვენი პარლამენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი კურსი ამის იმედს იძლევა. დღეს საქართველოში უამრავი ძალა მოქმედებს ისეთი, რომელიც თავს ზემოთ ძალას გაკარგვინებს. უფრო სწორედ ისინი, ვინც დედამიწას მართავენ... და თუ კაცი, ან რამდენიმე კაცი (რა მნიშვნელობა აქვს) მოიწადინებს, საკუთარ სახლში არ შევიშვებს, და განაბასკის პრეზიდენტს ვერ შემოახვევს თავის ნებას?! ირაკლი შენგელაიას სიტყვების შემდეგ საქმე უშუალო კენჭისყრას მიადგა. აშშ და ჩინეთი

შეთანხმდნენ ახალი მოლაპარაკებების ჩატარებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ომი საფეიქრო დაზგათა მწარმოებელ ორ უდიდეს კამპანიას შორის. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში არის სახელები, პეტ-ნაკლებად მუდამ ადამიანთა ყურადღების ფოკუსში რომ არის მოქცეული. მანამდე მასხადოვის ემისარმა 34 დღე გაატარა წინასწარი დაკავების საკანში, სადაც იგი მოსკოვის თხოვნით მოხვდა. როგორც იქნა, გადაწყდა საკითხი, რომელიც ბოლო თვეების მანძილზე, იდგა თუ არა იდგა პარლამენტის სხდომათა დღის წესრიგში, წაღმა-უკუღმა ტრიალებდა. შესვენებაზე ყველაფერი ირგვლივ, როგორც იტყვიან, დუღდა და გადმო-დუღდა. გამოცხადდეს კუპონი ერთადერთ ფულად და საგადასახადო საშუალებად. წინასწარ შევთანხმდეთ, რომ ეს პუბლიკაცია მიზნად მკითხველზე აზრის თავზე მოხვევას არ ითვალისწინებს, თუმცა გარწმუნებთ, რომ წარმოდგენილი მასალები დასაფიქრებლად და განგაშის საფუძვლად სამსჯელოდ ნამდვილად ღირს. ეს არის ღია პრეტენზიის წაყენება ნებისმიერ თანამდებობის პირზე. პარლამენტართა უმრავლესობა მიმდინარე პოლიტიკურ კონიუქტურას დაემორჩილა და ორიენტაცია დაჰკარგა. როგორ გავიგოთ თავისუფლების მცნება, როგორ ავხსნათ ეს სიტყვა? კითხვებს ყველა მსურველი ავზავნიდა, მათ შორის კი ყველაზე საინტერესოსა და მისაღებს რედაქტორები ირჩევდნენ — კეიტს მხოლოდ ამის შემდეგ თუ მიაწვდიდით ხმას.

V. სპეციალური ტერმინოლოგია

1. სპეციალური ტერმინოლოგია და მისი მიმართება საერთო ლექსიკურ ფონდთან

უკვე ნათლად გამოიკვეთა, რომ ფუნქციონალურ სტილთა თავისთავადობას არაერთი სპეციფიკური ენობრივი ნიშანი განაპირობებს. მეტიც, თითოეული სპეციალობისა და დარგის ფუნქციონირების სფეროში დამოუკიდებელი სპეციალური ენა ყალიბდება. დროთა განმავლობაში, რაც უფრო დიფერენცირებული და საკუთარ საზღვრებში გამოკვეთილი ხდებოდა ესა თუ ის დარგი, მით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა შესაბამისი სპეციალური ენის თავისთავადობა. აღნიშნული სპეციალური ენების ასეთი თავისთავადი სახის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია ის ტერმინოლოგია, რომელიც შესაბამისი დარგის მთლიან ცნებით სისტემას მოიცავს და რომლის გარეშეც არსებითად შეუძლებელია ამ სფეროს ფარგლებში ოპერირება, აზროვნება და კომუნიკაცია. სწორედ ამ აზრის შემცველია ტერმინოლოგიური შესიტყვება „სპეციალური ენა“ (პირდაპირი გაგებით ეს „ენა“, ცხადია, საერთო ენისაგან დამოუკიდებელი არ არის).

ამგვარად, ტერმინოლოგია სპეციალურ ტერმინთა სისტემაა. ტერმინი კი არის ისეთი სიტყვა ან შესიტყვება (სიტყვათა ჯგუფი), რომელიც ამა თუ იმ დარგის სპეციალურ ცნებათა შინაარსს გამოხატავს. ამავე დროს, ტერმინისათვის ნიშანდობლივია სისტემური ხასიათი, რამდენადაც ის შესაბამის ცნებათა მთელ სისტემაში იკავებს ადგილს და თავის სპეციფიკურ შინაარსსაც მხოლოდ ამ სისტემის ფარგლებში და გათვალისწინებით გამოხატავს (მარტივი მაგალითი: ბრუნვა – გრამატიკაში *სახელის ფორმაცვალეობა*, ხოლო ასტრონომიაში – *პლანეტების წრიული მოძრაობა... ქერქი* – ბოტანიკაში *ხის კანია*, ნიადაგმცოდნეობაში – *მინის ზედაპირი*, ანატომიაში – *ტვინის გარე აკეი* და მისთ.).

შინაარსობრივი თვალსაზრისით ტერმინებისათვის რამდენიმე არსებითი ნიშან-თვისება არის დამახასიათებელი:

ა) მონოსემიურობა: საერთო ლექსიკისაგან განსხვავებით, ტერმინს პოლისემია (მრავალმნიშვნელობიანობა) არ ახასიათებს, ის ერთ ზუსტ მნიშვნელობას გამოხატავს. მართალია, როგორც უკვე ითქვა, ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება სხვადასხვა დარგში სხვადა-

სხვა ტერმინოლოგიური შინაარსი ჰქონდეს, მაგრამ ერთი დარგის შიგნით, ანუ ტერმინოლოგიურ მიკროსისტემაში, ტერმინის მნიშვნელობა, ნებისამებრ, ერთგვაროვანია.

ბ) სინონიმის არარსებობა (ნაკლებად გამოვლენა): უთუოდ შინაარსობრივი სიზუსტის მოთხოვნიდან გამომდინარეობს ის, რომ სპეციალური ენებისათვის სინონიმია ნიშანდობლივი არ არის. მართალია, აქ საგანგებო გათვალისწინებას მოითხოვს ე. წ. ტერმინოლოგიური დუბლეტების არსებობა (რაც სინონიმიაზე საუბრისას უკვე იყო მითითებული – იხ. თ. 4, 3), მაგრამ, ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ, ჯერ ერთი, ტერმინოლოგიური დუბლეტები (დაძმგავსება – ასიმირაცია, გაყურება – ანესთეზია...) ტიპობრივ სინონიმებად ვერ მიიჩნევა, მეორეც – ისინი უპირატესად უცხო და „სამამულო“ წარმომავლობის მოცილე ტერმინოლოგიურ ერთეულებს წარმოადგენენ და მათი არჩევანი არსებითად ენის „სინმინდის“ დაცვასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც არის, რომ ერთი დარგობრივი ქვესისტემის შიგნით ისინი, ჩვეულებისამებრ, არ ენაცვლებიან ერთმანეთს; ანდა – ერთი (უცხოური) უფრო სპეციალურ ენაში გამოიყენება, მეორე კი („სამამულო“) – საერთო-სახალხო ენაში.

გ) ნეიტრალურობა სუბიექტური დამოკიდებულების თვალსაზრისით: ისევე, როგორც ოფიციალური ენობრივი ურთიერთობებისათვის, სპეციალური ტერმინოლოგიისათვის ნიშანდობლივია შინაარსობრივი გამოხატვის ნეიტრალურობა, „ობიექტურობა“. ტერმინები, რომელთაც პირველ რიგში ცნებითი სიზუსტე მოეთხოვება, ჩვეულებისამებრ, დაცლილია სუბიექტური დამოკიდებულებების, პიროვნული ემოციისა და ექსპრესიის გამოვლენისაგან (ცხადია, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ რომელიმე კონკრეტულ ტერმინს თავისთავად ჰქონდეს პოზიტიური ან ნეგატიური შინაარსი).

რა ადგილი უჭირავს სპეციალურ ტერმინოლოგიას საერთო-სალიტერატურო ენასთან მიმართებით?

უნდა ითქვას, რომ ამ კითხვისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ სპეციალური ლექსიკონი ავტონომიური და იზოლირებულია საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკისაგან; მეორენი სპეციალურ ტერმინოლოგიას საერთო-სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ქვესისტემადაც, მის შემადგენელ ნაწილად აცხადებენ. ერთი რამ სრულიად აშკარაა: არც ერთი სპეციალური ენა და მისი ტერმინოლოგია საერთო-ეროვნული ენისაგან სრულიად იზოლირებული არ არის და როგორც თვითონ სარგებლობს იმ ენობრივი „ინვენტარით“, რაც საერთო ენაში არსებობს, ისე – პირიქით – თავადაც ასაზრდოებს საერთო ლექსიკურ საგანძურს

ახალ-ახალი ცნებებით. და რაც უფრო შორს მიდის ტექნიკური პროგრესი, ცივილიზაციის საყოველთაო განვითარება, გლობალური საინფორმაციო ქსელი, მით უფრო ხელშესახები ხდება სპეციალური ენებისა და საერთო-სახალხო ენების დაახლოება (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითქვა, მეცნიერებათა განვითარება უფრო ზრდის აღნიშნული სპეციალური ენების სპეციფიკურობას). მაგალითისათვის: ნახევარი საუკუნის წინ მედიცინის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, უამრავ ქვედარგს მოიცავს, ენობრივი (ლექსიკური) თვალსაზრისით უპირატესად მიუწვდომელი იყო ენის საერთო მომხმარებლისათვის, დღეს კი ათასობით სამედიცინო ცნება-ტერმინი ბუნებრივად გამხდარა საერთო მომხმარების „საგანი“ (მხოლოდ რეკლამის დონეზეც კი არაერთმა ტრადიციულმა თუ არატრადიციულმა დაავადებამ თუ სამკურნალო საშუალებამ მოიპოვა საერთო-სახალხო გავრცელება).

საერთო-ეროვნული და სპეციალური ენების აღნიშნული ურთიერთმიმართება, ცხადია, პირველ რიგში ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისით არის აქტუალური და ეს მიმართება ხელშესახები ხდება როგორც ლექსიკური „თანაზიარობის“, ისე – განსაკუთრებით – მოქმედი სიტყვანარმოების დონეზე, რამდენადაც ტერმინოლოგიის წარმოქმნაც საერთო სიტყვანარმოებით მოდელებს ემყარება.

სხვადასხვა სპეციალური ენებისა და საერთო-ეროვნული (სალიტერატურო) ენის ურთიერთკავშირი, როგორც ითქვა, ორმხრივია; კერძოდ:

სპეციალურ ენებში საერთო-სალიტერატურო ენის არაერთი ლექსიკური ერთეული შესულა და დატვირთულა სპეციფიკური ტერმინოლოგიური შინაარსით. მაგალითად, სიტყვა **ლიღვი**, რომელიც სულხან-საბას განმარტებული აქვს, როგორც „*ძაფის საქსოვი ჩხირი*“, ხოლო ხალხურ ხელსაქმის ტერმინოლოგიაში და **ზგაზე საქსოვ მსხვილ სწორ ჯოხს** აღნიშნავდა, მანქანათმშენებლობის ტერმინოლოგიაში ერთ-ერთი ღერძის აღმნიშვნელი გახდა; **სარქველო**, რომელიც რაიმე ჭურჭლის საფარებელს აღნიშნავდა, გამოყენებულ იქნა მედიცინაში, იმავე მანქანათმშენებლობაში და სხვ. ასევე სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემაში იქნა ჩართული ისეთი საერთო მომხმარების სიტყვები, როგორიცაა: *თავი, გული/ გულა, მუხლი, ტერფი, მხარი, შრე, ქერქი, ტოტი, შტო, კონა, კვანძი* და მრავალი სხვა.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში, როგორც მასალა წარმოაჩენს, ძირითადი ლექსიკური ფონდის არაერთ სიტყვას მინიჭებია ვინრო ტერმინოლოგიური ფუნქცია; ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა რამდენიმე ტერმინოლოგიურ ქვესისტემაშიც კი არის ჩართული. თუ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს ამ თვალთ შევხედავთ, დაუ-

ინახავთ, რომ სიტყვათა პოლისემიურობის მნიშვნელოვანი წილი სწორედ ამ ხასიათისაა; ზოგჯერ მითითებულიც არის სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის ამა თუ იმ დარგისადმი კუთვნილება. მაგალითად, **ჟანგი** სიტყვის მეორე მნიშვნელობად მითითებულია:

ქიმ. რომელიმე ნივთიერების ნაერთი ჟანგბადთან. და ამგვარად:

პერანგი... 3. ტექ. ქვის, ხის, მარმარილოს... ფენა, გარსი, რომლითაც დაფარულია რაიმე ნაგებობა ან საგანი.

სიჩქარე... 2. ფიზ. სხეულის მიერ განვლილი მანძილის შეფარდება დროის ერთეულთან; 4. ტექ. ავტომანქანის მამოძრავებელი ძალის გაძლიერება-შემცირების ხარისხი.

სხივი... 2. ფიზ. ელექტრომაგნიტური, ბგერითი ენერჯიის გავრცელების მიმართულება.

ტანია... 4. მთ. მად. შახტის ვერტიკალური ნაწილი ზედაპირიდან ფსკერამდე.

მეორე მხრივ, სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკონი (საერთო მოხმარების ლექსიკა) გამუდმებით ივსება საყოველთაოდ გააქტიურებული სხვადასხვა დარგობრივი ტერმინებით. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ტერმინოლოგიურ ერთეულებს, რომელთაც დარგთაშორისი (საერთო-სამეცნიერო) გამოყენება აქვთ (სხვაგვარად ამბობენ, რომ დარგობრივ „მიგრაციას“ განიცდიან). მაგალითად, არსებითად ყველა დარგში გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: *სისტემა, ანალიზი, ელემენტი, ანომალია, კანონზომიერება, დინამიკა, შედარება, ახსნა, გააზრება, განმარტება, ნესი, პასიური, აქტიური, დადებითი, უარყოფითი, არსი, პროცესი, არგუმენტი, დასაბუთება და სხვ.*

სხვადასხვა სპეციალური ლექსიკონიდან ამგვარად იჭრება საერთო-ეროვნულ (სალიტერატურო) ენაში და იშკიდრებს ადგილს არაერთი ტერმინი. მაგალითად, ჯერ კიდევ 1950 წელს, ქეგლ-ის I ტომში, მხოლოდ ასო **ჟან**ზე (ლექსიკონის ერთ-ერთ ყველაზე მცირერიცხოვან მონაკვეთში) ასახულია შემდეგი სპეციალური ტერმინები: *ჟაბო¹, ჟაბო², ჟაკარდი, ჟაკარდული, ჟაკერია, ჟაკეტი, ჟალუზი, ჟამნი, ჟანგა, ჟანგარო, ჟანგბადი, ჟანგეული, ჟანგვადი, ჟანგეითი, ჟანგმიწა, ჟანდარმი, ჟანდარმერია, ჟანდარმული, ჟანრი, ჟანრისტი, ჟანრობრივი, ჟანრული, ჟანრულობა, ჟარგონი, ჟარგონული, ჟასმინი, ჟელატინი, ჟელე, ჟენ-შენი, ჟესტი, ჟესტიკულაცია, ჟესტიკულირება, ჟესტ-მიმიკა, ჟეტონი, ჟილეტი, ჟიჟმატიანი, ჟირო, ჟირობანკი, ჟირონდისტი, ჟიური, ჟოკეი, ჟონგლიორი, ჟონგლიორობა, ჟონგადი,*

¹ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ არც კი ხერხდება ზღვარის გავლება ჩვეულებრივ სიტყვასა და ტერმინს შორის; საერთოდ მაღალია თანამედროვე ლექსიკონის ტერმინოლოგიურობის ხარისხი.

*ყოველდღობა, ყურნალი, ყურნალისტი, ყურნალისტიკა, ყურნალის-
ტური, ყურფიქსი, ჟღერადი, ჟღერადობა.*

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ტერმინი საყოველთაო მოხმარე-
ბისა გამხდარა, დაუკარგავს უშუალო სპეციალური მიკუთვნებულობა
და სულაც აღარ აღიქმება სპეციალურ ტერმინად (მაგ. *წანგბადი,
ყურნალი...*). ამგვარ შემთხვევებში ზოგჯერ დეტერმინოლოგი-
ზაციაზეც ლაპარაკობენ. ეს მაშინ, როცა საერთო-სალიტერატურო
ენაში გადასული ტერმინი არსებითად კარგავს ტერმინოლოგიურ
მონოსემიურობას და იწყებს სემანტიკური ველის გაფართოებას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ლექსიკონი
(ტერმინოლოგიური სისტემა) მაინც ყოველთვის ინარჩუნებს ლე-
ქსიკურ თავისთავადობასა და ავტონომიურობას, რამდენადაც მასში
მუდმივად რჩება ტერმინთა არცთუ მცირე ნაწილი, რომელიც მხოლოდ
დარგობრივი გამოყენებისათვის არის განკუთვნილი, არ პოეებს ასახ-
ვას საერთო-სახალხო ენაში. ამგვარი („ავტონომიური“) ლექსიკის
წილი, ცხადია, იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად საერთო
გავრცელებისა და მოხმარებისაა ის სპეციალური სფერო, რომელსაც
შესაბამისი ლექსიკა ასახავს.

მაგალითად, შეგვიძლია მთლიანად მოვიყვანოთ სიტყვანი ასო
ბანზე ფსიქიატრიის ერთ-ერთი მცირე ლექსიკონიდან და და-
ვაკვირდეთ, რა ნაწილია მასში საყოველთაო გამოყენებისა და რა -
ვინრო-სპეციალური:

*ბაზოფობია, ბალისტოფობია, ბარაფობია, ბარესთეზია, ბარიგ-
ლოსია, ბარიტმია, ბარილალია, ბატარიზმი, ბატოფობია, ბედლაში,
ბიოლოგიზაცია, ბიოპათოგრაფია, ბიოსტიმულატორები, ბისექსუალ-
იზმი, ბლეფაროპტოზი, ბოდვა (აბსურდული, ავტოფსიქიკური, ალოფ-
სიქიკური, დევნისა და სხვ.), ბოდვითი აბნევა, ბოდვითი განწყობა,
ბოდვითი ფორმა შიზოფრენიისა, ბოდვის კრისტალიზაცია, ბოტუ-
ლიზმი, ბრადიბაზია, ბრადიკინეზია, ბრადილალია, ბრადიპრაქსია,
ბრადიფაზია, ბრადიფრენია, ბრადიზმი, ბრაქიბაზია, ბრომიდროზი,
ბრომიზმი, ბრონტოფობია, ბრუტალური, ბულბოკამკინი, ბულიზია.*

ამგვარად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, სულ უფრო ვინრო
სპეციალობებისა და დარგების წარმოშობა და განვითარება ბუნებრი-
ვად განაპირობებს ათასობით ტერმინის მომცველი ვინრო-სპეცია-
ლური ლექსიკონების (ლექსიკური ფონდების) ჩამოყალიბებას; ამავე
დროს, იგივე პროცესები განაპირობებს სპეციალური ლექსიკის უფრო
და უფრო მეტად შეღწევას, „ინფილტრაციას“ საერთო-სალიტერა-
ტურო ენაში (არცთუ, სამწუხაროდ, ძირეული ლექსიკის დაუზარალებ-
ლად!). ეს ტენდენცია საყოველთაოა და ვერც ერთი ენა ვერ აუვლის

გვერდს. ამიტომაც თანამედროვე სალიტერატურო ენის ლექსიკონი თავისი შემადგენლობით ის ველარ იქნება, რაც იყო ნახევარი საუკუნის წინათ, მით უფრო – საუკუნის წინათ და ა. შ.

2. ტერმინოლოგიური ფენები და სპეციალური ტერმინთწარმოქმნელი მოდელები

როგორც ითქვა, სპეციალური ტერმინოლოგია ყალიბდებოდა და ივსებოდა იმ ნაირგვარი სამეცნიერო და ტექნიკური დარგების განვითარების შესაბამისად, რომლებიც დროთა განმავლობაში იმკვიდრებდა ადგილს ქართული სულიერი თუ მატერიალური კულტურისა და ქართული ენის წიაღში. თუ თავდაპირველად ტერმინოლოგიური უზრუნველყოფის აუცილებლობა მხოლოდ ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების სფეროებს მოიცავდა, თანდათან წარმოიშვა პირობები მათემატიკის, ასტრონომიის, რიტორიკის, გრამატიკის, მუსიკის, მედიცინის და სხვა დარგებისა და მათი შესაბამისი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა. ამიტომაც არის, რომ ის მდიდარი ტერმინოლოგიური ფონდი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, სულ სხვადასხვა დროისა და სფეროს დანაშრევებს შეიცავს. კერძოდ, ჯერ კიდევ ძველ ქართულ მნიგნობრულ წრეებში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი, ქართული ენის საერთო ფონდისაგან არსებითად განუყოფელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა:

არსი, არსება, არსებითი, გონება, გონიერება, აგებულება, განცდა, გრძნობა, ვითარება, მგრძნობელობა, ნივთი, ნივთიერი, სულიერი, ძლიერება, უძლურება, თვითმყოფობა, წარმოება, ურთიერთობა, ცნობიერება, მოძღვრება, ჭეშმარიტება, შეხება, არარაობა, სისრულე, სიერცე, უმეცრება, მეცნიერება, ხელოვნება, მხედველობა, მდგომარეობა, მოძრაობა, უძრაობა, სიტყვიერება, იგივეობა, ცვალებადი, ცვალებადობა, ქმნადობა, ხორციელი, ღირსი, მსგავსი, შემოქმედებითი, მოქმედებითი, ხედვითი, მსგავსებითი, ცვალებადი, თვითმპყრობელობა, რაოდენობა, ეარსკვლავთმრიცხველობა, თანამზრახველობა, მიმართება, უკედავება და სხვ.

ცალკეული ტერმინების, მთელი ტერმინოლოგიური ველებისა და სიტყვათა ტერმინოლოგიური მნიშვნელობების განსაზღვრის შესანიშნავი ნყაროა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“; ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის არაერთი ტერმინი ფილოსოფიასა და

გრამატიკაში; მნიშვნელოვანია წვლილი ტერმინოლოგიურ მემკვიდრეობაში დავით რექტორისა, დავით და იოანე ბაგრატიონებისა, ნიკო და დავით ჩუბინაშვილებისა, XIX საუკუნის კლასიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეებისა; თანამედროვე ტერმინოლოგიური სისტემების (ლექსიკონების) ჩამოყალიბების სრულიად ახალ ეტაპს ასახავს XX საუკუნე, თანამედროვე მეცნიერული სკოლების განვითარების პერიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიაღში და სპეციალური ტერმინოლოგიური კომისიების მოღვაწეობა ისეთი ცნობილი მეცნიერების მონაწილეობით, როგორებიც იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ალ. ჯანელიძე, დ. უზნაძე, ვ. ბერიძე, ნ. მუსხელიშვილი და სხვანი. ცალკეული ტერმინების დამკვიდრებაში ამ მოღვაწეთა ინდივიდუალურ წვლილსაც მიუთითებენ ხოლმე. მაგალითად, იოანე პეტრინს მიენერება შემდეგი ტერმინების შემოღება: *გონიერი, ნირი, უპირატესი*; ფერემ მცირეს – *არსი, მეცნიერება*; ილია ჭავჭავაძეს – *მომართულება, ღირებულება, სინამდვილე, უარყოფა, უფლება, შინაარსი*; დიმიტრი უზნაძეს – *აღქმა, განწყობა*; გიორგი ნიკოლაძეს – *ტანვარჯიში, მსაჯი, მთასვლელობა*; ალექსანდრე ჯანელიძეს – *ასანთი*; ნიკო მუსხელიშვილს – *განტოლება*; ვუკოლ ბერიძეს – *შეებულება*; ნიკო ნიკოლაძეს – *ლიანდაგი, ორთქლმავალი*; ვასილ პეტრიაშვილს – *ჟანგბადი* და სხვ. (ლამბაშიძე, 1986, 139).

ამავე დროს, ქართულ ლექსიკურ და სიტყვანარმოვებით საფუძველზე შექმნილი ტერმინების გვერდით უძველესი დროიდანვე იმკვიდრებს ადგილს უცხო ენებიდან შემოსული არაერთი ტერმინი. მაგალითად, ბერძნულის გზით უკვე ძველ ქართულში მკვიდრდება ლექსიკური ერთეულები: *ამბიონი, ანგელოზი, ბარბაროსი, დისკო, ეკლესია, ეპიტაფია, ეპისკოპოსი, კათალიკოსი, თეატრი, მარტილი, მონასტერი, ისტორია, კანონი, კლიტე, ლექსი, ლიტრა, მელანი, პალატა, რიტორი, საპონი, სვინდისი, სკიპტრა, ტაბლა, ტალანტი, ფილოსოფია, ფასი, ჰაერი* და სხვ. ასევე ბერძნულ-ლათინურია ძირითადი წყარო იმ „ინტერნაციონალიზმებისა“, რომლებიც საერთაშორისო ტერმინოლოგიური ლექსიკის მნიშვნელოვან ნილს ქმნიან: *ატომი, ბიოლოგია, ისტორია, ლიტერატურა, მაგნიტი, ავტოგრაფი, ავტონომია, ალგორითი, ამორფული, ანალიზი, ანალოგია, ანომალია, არისტოკრატია, აქსიომა...*

ამგვარად, ქართული ენის ტერმინოლოგიური ფონდი წარმოშობის თვალსაზრისით შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ: თვით ქართულ ლექსიკურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერმინები და ნასესხები ლექსიკა. ამავე დროს, ნასესხები ლექსიკის წილი ტერმი-

ნოლოგიაში მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს ლექსიკაც საერთო სიტყვანარმოებით წესებსა და სისტემას ემორჩილება და საერთო მასალას ორგანულად ერწყმის.

სპეციალური ტერმინოლოგიის დამკვიდრება კლასიკურ სალიტერატურო ენებში, ჩვეულებისამებრ, მიზანმიმართული და რეგულირებადია, რაც იმას გულისხმობს, რომ ახალი სპეციალური ცნების შესატყვისი ტერმინი შემოსულსა და საკუთარ ლექსიკურ მასალას შორის შეირჩევა გარკვეული მიზანშეწონილობის პრინციპით. ძირითადი ზოგადი პრინციპი აქ იმას გულისხმობს, რომ უცხო ნარმოძველობის ტერმინი არ იქნეს დაშვებული (სანქცირებული), თუკი შესაბამისი „სამამულო“ ტერმინი (ან სიტყვანარმოებითი შესაძლებლობა) არსებობს. სხვა შემთხვევაში უცხოურ ტერმინთა დამკვიდრება კანონზომიერია.

ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც ითქვა, ტერმინების პოლისემიურობა და სინონიმურ ტერმინთა არსებობა ერთ ტერმინოლოგიურ ქვესისტემაში არ არის ბუნებრივი. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი დარგის (ქვესისტემის) ფარგლებში ტერმინი უნდა იყოს ერთი და ერთმნიშვნელოვანი. ტერმინების სინონიმია და პოლისემია, ჩვეულებისამებრ, დარგთაშორისი ტერმინოლოგიური ურთიერთობის შედეგია.

ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ტერმინოლოგიის სფეროშიც არსებობს თავისებური სინონიმის შემთხვევები. უკვე ითქვა, რომ მათი სპეციფიკური ურთიერთმიმართების გამო ამგვარ ლექსიკურ ნყვილებს ტერმინოლოგიურ დუბლეტებს უწოდებენ. მათი შეფარდებითი რაოდენობა საკმაოდ მცირეა, თუმცა მნიშვნელობის თვალსაზრისით არცთუ მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ. ზოგი თვალსაჩინო მაგალითი:

ცდა - ექსპერიმენტი, ნაკლი - დეფექტი, მრეწველობა - ინდუსტრია, ენათმეცნიერება - ლინგვისტიკა, ჭლეტი - ტუბერკულოზი, კაცთმოყვარეობა - ფილანტროპია, კაცთმოძულეობა - მიზანთროპია, ხუროთმოძღვრება - არქიტექტურა, მოკვეთა - ამპუტაცია, სისხლნაკლებობა - ანემია, ნარმოშობა - გენეზისი, დანვრილებითი - დეტალური, დრეკადი - ელასტიკური, ჩანასახი - ემბრიონი, გრძნობა - ემოცია, ბნედა - ეპილეფსია, ლექსთწყობა - ვერსიფიკაცია, ამოსუნთქვა - ექსპირაცია, რხევა - ვიბრაცია, მიბაძვა - იმიტაცია, იარაღი - ინსტრუმენტი, ხელნაწერი - მანუსკრიპტი, ბაგისმიერი - ლაბიალური, უარყოფითი - ნეგატიური, მართლწერა - ორთოგრაფია, აღქმა - პერცეფცია, შედეგი - რეზულტატი, ეროვნული - ნაციონალური, სულიერი - ფსიქიკური, ორენოვ-

ნება – ბილინგვიზმი, თავსართი – პრეფიქსი, ფარული – ლატენტური, სასიკვდილო – ლეტალური, საფუძველი – ბაზისი და სხვა.

თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ჩვენს პირად ენობრივ (ან პროფესიულ) გამოცდილებაში მითითებულ დუპლეთთაგან ერთ-ერთ ნევრს ენიჭება უპირატესობა (ხან – ქართულს, ხან – უცხოურს). ეს ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, ენის რომელ ქვესისტემას წარმოვადგინებ ჩვენ. როგორც უკვე ითქვა, ამგვარ ტერმინოლოგიურ დუბლეთთაგან ერთ ტერმინოლოგიურ ქვესისტემაში, ჩვეულები-სამებრ, ერთ-ერთი დომინირებს. უპირატესად ფუნქციონალური განანილება ასეთია: უცხოური – სპეციალური ენის ფარგლებში, „სამამულო“ – საზოგადო ენობრივი ურთიერთობების სფეროში. თუმცა ამგვარი არჩევანი საბოლოოდ მაინც ინდივიდზეა დამოკიდებული (ეს შენიშვნა უპირატესად მეორე შემთხვევას – საერთო-ეროვნულ ენას – შეეხება).

ამა თუ იმ სპეციალურ ტერმინოლოგიურ სისტემას ძირითადად მაინც ქმნის ის სიტყვანარმოებითი (ტერმინთწარმოქმნელი) შესაძლებლობები, რომელთა საფუძველზეც, ჯერ ერთი, ხდება სრულიად ახალი ლექსიკური ერთეულების წამოქმნა, მეორეც, ამ ტერმინთა ურთიერთმიმართებით ყალიბდება თავისთავადი სიტყვანარმოებითი სისტემა, რომელსაც ექვემდებარება როგორც ძირეული, ისე ნასესხები ლექსიკა; ანუ: ტერმინის ფუნქციონირება არ მთავრდება იმით, რომ არსებობს რომელიმე ერთი „სამამულო“ თუ უცხოური ტერმინი, არამედ მასზე დამყარებით ამოქმედდება მოქნილი სიტყვანარმოებითი მექანიზმი. ვთქვათ, არსებობს ტერმინოლოგიური დუბლეთი მედიცინაში **შოკვეთა – ამპუტაცია**; შესაბამისად, ისევე, როგორც **შოკვეთა** განავითარებს შესაბამის დერივატებს – **შოკვეთილი, მოსაკვეთი, მოუკვეთი... ამპუტაცია** სიტყვაც მოითხოვს ანალოგიურ „შეგუებას“ არსებულ სიტყვანარმოებით შესაძლებლობებთან და წარმოიქმნება: **ამპუტირ-ებულ-ი, სა-ამპუტაცი-ო, უ-ამპუტაცი-ო, ამპუტაცია-მდელო** და მისთ.

ენაში არსებული ტერმინოლოგიური ფონდი სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ: მარტივფუძიანი (*ლილევი, ლითონი, ქანი, აირი, პირი...*), თავსართ-ბოლოსართებით წარმოები (*სულიერი, გარემო, გარემოება, პიროვანი, სიკეთე, ქანობი...*) და რთულფუძიანი ტერმინები – კომპოზიტები (*მტვერსასრუტი, წყალსადენი, ცეცხლმქრობი, მანქანათმშენებლობა...*).

რა სიტყვანარმოებითი მოდელებია გამოყენებული ახალი ტერმინების წარმოსაქმნელად?

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ის სიტყვანარმოებითი

შესაძლებლობა, რაც კი საერთოდ არსებობს ქართული ენის შესაბამის „არსენალში“. მეტიც, ტერმინოლოგიურ სიტყვანარმოებაში ცოცხალ ტერმინთნარმომქმნელ ფუნქციას ასრულებს ზოგი უცხოური თავსართ-ბოლოსართი. სახელდობრ, ამგვარად გამოიყენება ლათინური. -**იზმ-**, -**ისტ-** ბოლოსართები, **პრე-**, **ანტი-** თავსართები და მისთ. მაგალითად, გასულ საუკუნეში იქმნებოდა ისეთი პოლიტიკური თუ სამეცნიერო შინაარსის ცნებები, როგორცაა **ტროცკისტი**, **შაბოში**, **ცენტრისტი**... (აგრეთვე ირონ. **სუფრისტი**, **ფულისტი**, **კუქისტი**...), **ანტიბოლშევიკური**, **პროამერიკული**... უახლესმა ისტორიამ ნარმოშვა საქართველოს პირველი და მეორე პრეზიდენტებისადმი ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულების გამომხატველი ცნებები: **ზვიადისტი** — **ანტიზვიადისტი**, **შევარდნაძისტი** — **ანტიშევარდნაძისტი**; აგრეთვე **ანტიქართული** — **პროქართული**, **პროდასავლური** — **ანტიერაყული** და მისთ.

მოკლედ ნარმოვაჩინოთ ის ძირითადი მანარმოებლები (თავსართ-ბოლოსართები), რომელთა გამოყენებითაც ყალიბდებოდა და ყალიბდება ძირითადი ტერმინოლოგიური ფონდი:

- ა**: ბარბაცა, შხამა, გრუზა, ნალიკა, ტაბაკა, ხმალა... ჭყანტა, მელოტა, ნაფოტა, არყა, ვარაყა, კალმახა...
- აბა/ება**: მკაფიოობა, მდნარობა, მაუნყებლობა, გამაელობა, პირდაპირობა, ცვეთილობა, შესწავლილობა, რენტაბელურობა, ეფექტურობა... მესხიერება, ყოფიერება, წესიერება, ნოყიერება, მეცნიერება, ხნიერება, მშვენიერება, ნაყოფიერება, ძლიერება...
- აბ**: მალლობი, დაბლობი, ველობი, ბიცობი, მლამობი, ბუდობი, კუთხობი, ღიობი, ქანობი, თანობი, ღარობი...
- სი** — **ე**: სიერცე, სიზუსტე, სიჩქარე, სიმძიმე, სიდიდე, სიმრავლე, სიმქისე, სიხისტე, სიმყიფე...
- ად**: ფეთქებადი, კლებადი, ანთებადი, მიღვეადი, აალებადი, აღვზნებადი, კრებადი, დაშლადი, ინტეგრირებადი, ჟანგვადი, ლხობადი, დნობადი...
- ად-აბა**: ტევადობა, ნებვადობა, ჟანგვადობა, ლუნვადობა, შობადობა, წონადობა, მდგრადობა, შერაცხადობა...
- აბ/აულ**: იდეური, სტადიური, ილუზიური, ლაკონიური, ინტენსიური, უტოპიური, სპეციფიკური, ობიექტური, არქაული, პროდუქტიული, კრიტიკული, პერმეტული, პარმონიული...
- აბ-აბა/აულ-აბა**: ეპიზოდურობა, მეთოდურობა, სტადიურობა, ლირიკულობა, პრიმიტიულობა, პერმანენტულობა, პრაგმატულობა...
- ედ**: კარედი, ჩონჩხედი, ქორედი, ჯვარედი, წრედი, უჯრედი, თაღედი, გრძედი, ფრთედი, სამკუთხედი, თანავარსკვლავედი...

- ოთ**: მოქმედებითი, ბრალდებითი, ნოდებითი, შეფარდებითი, ანთებითი, გამოყენებითი, შემეცნებითი, არსებითი, რიცხვითი, ფარდობითი...
- ივ**: მუდმივი, გრძივი, განივი, ნრფივი, სიგრძივი...
- ებრ-ივ**: ღრუებრივი, შრეებრივი, კრისტალებრივი, ბურთებრივი...
- ობრ-ივ**: ასაკობრივი, საგნობრივი, ფაქტობრივი, არსობრივი...
- აკ**: ღარაკი, ღილაკი, ნანილაკი, ღილვაკი, თვალაკი, ძელაკი, სხეულაკი, კბილაკი...
- იან**: ეფექტიანი, ტენიანი, ბრძოლისუნარიანი, თანასწორუფლებიანი...
- იან-ობა**: თანასწორუფლებიანობა, მჟავიანობა, ბრძოლისუნარიანობა, სიცოცხლისუნარიანობა, ორსქესიანობა...
- იერ**: ცნობიერი, ბიწიერი, ჩქამიერი, სახიერი...
- იერობა/იერება**: ჩქამიერობა, ნაყოფიერება, ცნობიერება...
- ოვან**: სახელოვანი, კენკროვანი, წინვოვანი, ფენოვანი, ასაკოვანი...
- ოს(ა)ნ-ობა**: ცხენოსნობა, ჯვაროსნობა, ხმოსნობა...

დასტურდება აგრეთვე -ება სუფიქსის შერწყმის შემთხვევები უცხო წარმომავლობის -**იზ**, -**იჩ** სუფიქსებთან:

- იზ-ება**: იდეალიზება, რეალიზება, ნორმალიზება, ლოკალიზება...
- იჩ-ება**: რეაგირება, დელეგირება, ლიკვიდირება, მოტივირება, კომბინირება...

ქართული ტერმინების წარმოებისას, ზოგი უცხოური აფიქსის (სუბ-, სუპერ-, ექსტრა-) შესატყვისად, თავსართ-ბოლოსართების ფუნქციით გამოყენებულია რამდენიმე დამოუკიდებელი სიტყვა (ზმნი-ზედა, ნაცვალსახელი თუ ზედსართავი სახელი). მათ აფიქსოიდებსაც უწოდებენ, რადგანაც სწორედ აფიქსების როლს ასრულებენ. მაგ.:

- ზე-**: ზემსუბუქი, ზემტკიცე, ზეადამიანი, ზეგამტარი, ზემძლავრი...
- ქვე-**: ქვესახეობა, ქვესისტემა, ქვეკლასი, ქვესადგური, ქვეცნობიერი..
- თანა-**: თანაზომადი, თანადაქვემდებარება, თანაფარდობა, თანამშრომელი...
- უკუ-**: უკუკავშირი, უკუბიძგი, უკუძალა, უკუმოქმედი...
- კვლავ-**: კვლავწარმოება, კვლავჩანერა, კვლავჭედვა, კვლავმუხტვა...
- თანაბარ-**: თანაბარზომიერი, თანაბარმნიშვნელოვანი, თანაბარფასიანი...
- ურთიერთ-**: ურთიერთგავლენა, ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთქმედება...
- თვით-**: თვითაალება, თვითგანათლება, თვითკმარი, თვითმიზანი...

- მრავალ-: მრავალგვაროვანი, მრავალკუთხა, მრავალწევრი...
- დაბალ-: დაბალკალორიული, დაბალდაბვიანი, დაბალმდულარე...
- მაღალ-: მაღალეფექტური, მაღალაქტიური, მაღალმოლეკულური...
- ცრუ-: ცრუმეცნიერება, ცრურწმენა, ცრუმონე, ცრუპატრიოტი...
- ნახევარ-: ნახევარგამტარი, ნახევარწრე, ნახევარბრუნე...
- შორის: ნექთშორისი, ვაგონთშორისი, კრისტალთშორისი...
- ზედა: თირკმელზედა, მინისზედა, შახტზედა...
- ქვეშა: წყალქვეშა, კუჭქვეშა, გუმბათქვეშა, ანძისქვეშა...
- მიერ: ბაგისმიერი, ხორხისმიერი, ქარისმიერი, ყინვისმიერი...
- შუა: რიგთაშუა, ფლანგთაშუა...

მსგავსი ფუნქციით დასტურდება აგრეთვე ნელა-, სწრაფ-, მსხვილ-, წვრილ-, წინაღ-, ნაირ-... ასევე უცხოური ინტერ-, სუპერ-, მიკრო-, მაკრო- და სხვა ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც ახალ ტერმინთა წარმოქმნა კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს.

ტერმინთა წარმომქმნელ მოდელებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპოზიციას, ანუ სიტყვის შედგენას ორი ან მეტი ფუძის შეერთებით. ასეთი აგებულების ტერმინები ნასესხებ ლექსიკაშიც მრავლად მოიპოვება და ქართულის ნიადაგზე შექმნილ სიტყვებშიც; არის ისეთი კომპოზიტი-ტერმინებიც, რომლებიც ძირეული და ნასესხები ფუძეებით არის შედგენილი; მაგალითად:

ქართული: ხელსაწყო, ხელგარჯილობა, თვითგანათლება, კუჭქვეშა, გემთმშენებელი, ცეცხლგამძლე, ფეთქებადსაშიში, მყავამდეგი, წყალმზიდი, წყალსადენი, თბომავალი, ბეტონმრევი, ნიდასაჭერი...

უცხოური: ფილოლოგია, ფილოსოფია, დოზიმეტრი, რადიომეტრი, ფონენდოსკოპი, ნიროქირურგია, მაგნიტოგრამა, რადიოლოკაცია, ფოტოგრაფია, ტელევიზია, დემოკრატია, ავტოკრატია, თეოსოფია...

შერეული: ბენზინმზიდი, აირმავალი, ელექტროსადგური, ვერტიმფრენი, ავტოგასამართი, კოროზიამდეგი, რადიოსადგური, ბრომწყალბადი, ელექტროძრავი, თვითრეგულაცია, ელექტროკვება...

ხშირია შემთხვევები, როდესაც რთული ტერმინები ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტის შემოკლებით, აბრევიატურის სახით არის წარმოდგენილი (იხ. თ. II. აბრევიატურა): ავტოტრასა, ქიმწმენდა, ტექნომსახურება, ტექალრიცხვა, ევროსტანდარტი, ევრორემონტი, უნიფორმა, პროფკომი, უნივერსალი...

სრულიად აშკარაა, რომ როგორც აფიქსური სიტყვანარმოება, ისე კომპოზიციის მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული ტერმინთქმნადობის პროცესში და ენის შესაბამისი შესაძლებლობები

კვლავაც შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ახალ ცნებათა შესიტყვისი ლექსიკური ერთეულების ძიებისას.

3. ტერმინოლოგიური შესიტყვებანი

იმ სპეციალური ლექსიკონებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივ ქვესისტემას წარმოადგენს, მეტად დამახასიათებელია ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა არსებობა. კერძოდ, ძალზე ხშირად ან თვით ტერმინი წარმოადგენს სიტყვათა სინტაქსურ შეერთებას (შესიტყვებას), ანაც ძირითადი სიტყვა-ტერმინის საფუძველზე იქმნება ორი (ზოგჯერ კი სამი და მეტი) სიტყვის შემცველი შესიტყვებები, რომლებიც შინაარსობრივად ერთი ლექსიკური ერთეულის როლს ასრულებენ, ანუ ერთ ცნებით მნიშვნელობას შეესატყვისებთან.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები, მათი შედგენილობისა და შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება რამდენიმე ტიპად დაიყოს:

ა) *თავისუფალი*, ანუ ანალიტიკური შესიტყვებები: ამ შემთხვევაში თითოეული კომპონენტი ინარჩუნებს სემანტიკურ დამოუკიდებლობას და მათი გათიშვა (მათი ერთობის დაშლა) უმტიყენულოდ შეიძლება: *სითბური ენერგია, ბუნებრივი ნათება, მოლეკულური წონა, ღია მოტეხილობა, ღრმა ჭრილობა, უცხო სხეული, ცრუ სახსარი, შემაერთებელი ქსოვილი, მცოცავი წყლული, საკვლევი ხსნარი, დასარეველიანებული ნიადაგი, წყლულოვანი გასტრიტი, მარგი ქმედების კოეფიციენტი...*

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ძირითად ტერმინს ახლავს მსაზღვრელი წევრი, რომელიც სხვა შესიტყვებაშიც თავისუფლად ასრულებს იმავე როლს.

ბ) *არათავისუფალი შესიტყვებები*, ანუ ისეთი ტერმინოლოგიური შეერთებები, რომელთა წევრების დაცილება არსებითად უკარგავს ტერმინს ცნებით შინაარსს: *ცივი იარაღი, თეთრი ღამე, მაღალი წნევა, ნუშისებრი ჯირკვლები, ქიმიური რეაქცია, სახსრის ანთება, არაცნობიერი ფენომენი, ჩქამიური ბგერა, გრამატიკული წყობა, სასუბიექტო ქცევა, კვადრატული განტოლება, ჰიპერტონიული ხსნარი...*

გ) *იდიომატური შესიტყვებები*, რომელთა გათიშვა არსებითად შეუძლებელია, რამდენადაც სწორედ მათი სინთეზი ქმნის შესაბამის ცნებით შინაარსს: *არქიმედეს ბორბალი, მტირალა ტირიფი, კურდღლის ტუჩი, მგლის ხახა, ბენგალიური ცეცხლი, მინის თხილი, ბერტოლეს მარილი...*

ტერმინოლოგიური შესიტყვებები შედარებით მოუქნელია, ვიდრე დამოუკიდებელი ერთსიტყვიანი ტერმინები, მაგრამ მათი დადებითი მხარე არის შინაარსის გამჭვირვალობა და სიზუსტე, რაც მათს ანალიტიკურობას, ცნებით დიფერენცირებულობას უკავშირდება. ტერმინოლოგიური შესიტყვებები შინაარსობრივი თვალსაზრისით არსებითად კომპოზიტურ წარმონაქმნებს უახლოვდება, თუმცა მათი შერწყმა მოსალოდნელი არ არის (და ორთოგრაფიულადაც გაუმართლებელია).

4. ტერმინთა მართლწერისათვის

ტერმინთა მართლწერა ორთოგრაფიის საერთო ნესებისაგან იზოლირებული არ არის და სიტყვანარმოებისა და კომპოზიციის იმ ნორმატიული მოთხოვნების დაცვას მოითხოვს, რაც ძირითადი ენობრივი მასალისათვის განისაზღვრა. ორთოგრაფიის სპეციფიკური ტერმინოლოგიური საკითხები უფრო იმ უცხოენოვან მასალას უკავშირდება, რომელიც, როგორც ვნახეთ, ტერმინებში ვლინდება ძირეული თუ აფიქსური ელემენტების სახით. მაგალითად, უკვე მითითებული იყო ქართულ-უცხოენოვან შეერწყმულ -**იზ-ება**, **იზ-ება** სუფიქსებზე, რომელთა გამოყენება ყოველთვის არ არის გამართლებული (მაგ. *რეკომენდირება*, *აირი ზება*...); მეორეც: ამ სუფიქსთა შერწყმით მიიღება -**იზ-იზ-ება**, რომლის გამოვლენა გაუმართლებელია: *პრიატიზირება*, *მექანიზირება*, *ლაბიალიზირება*, *მონოპოლიზირება*, *კოლონიზირება*, *იმუნიზირება*...

ზოგჯერ ტერმინები შეუფერებელ ფორმანარმოებით ყალიბში არის მოქცეული, ანდა ეს წარმოება შეცდომის წყარო ხდება. მაგ.:

ასეთივე უკრიტიკო სიბრყვიითაა დაავადებული ყველა... (მდრ. კრიტიკიზმი); აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთ შესაძლო მარეგულირებად ფაქტორად... მიიჩნია; უმრავლესობა, როგორადაც ის დღეს იკვეთება, ეკლექტიკურია (ეკლექტიკური); კენჭისყრა უდებატოდ მოენყო (ფრანგ. débats მრავლობითს გულისხმობს - დებატები); მათი მოქმედების დაკონტროლება სხვა საშუალებებით უკვე შეუძლებელი შეიქმნა; ძალით ჩაახშო ავიადისპეტჩერელთა გაფიცვა; სწორედ კანონმა უნდა აღკვეთოს ძირშივე მათი გამინიდიქატორობის შესაძლებლობა; ბერძენი-შვილი პოლიტიკური კატაკლიზმების დანყებას პროგნოზირებს; ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით...

ამგვარი გაუმართლებელი წარმოებები ქართულ მასალაშიც ვლინდება; მაგალითად, თითქმის რეგულარულად დასტურდება **სამსახურეობრივი, მოწამეობრივი** ფორმები (კანონიერია - **ებრივ** დაბოლოება); ასევე: **განსახელმწიფოებრიობა; რწმუნობილობის** (სიგელი); **უმოქმედობს** (მეურნეობა, საათი...); არ **ურთიერთობს** (მეზობელთან); **გაუგნებელყოფა** (წყლების, ბომბის...); **გასაუგნებელსაყოფად** (უგნებელყოფა, **გაუგნებლება** ფორმების შერწყმის შედეგი); გავრცელდა **დაყაჩაღება, დაყაჩაღებული** არაკანონზომიერი წარმოება, მით უფრო, ამგვარ კონტექსტში: **„ირკვევა დაყაჩაღებული ავტომობის ბედიც“**.

სხვაგვარი შეცდომები: **ბუტერბროდი** (შდრ. გერმ. *Butterbrot*); **დეზენტერია, დეზინტერია** (შდრ. ბერძნ. *dysentaria*); **ეჯიდნის ნალველი** (ქართულში შემოსულია **იქედნეს** სახით); **ანეგდოტი** (შდრ. ბერძ. *anekdotos*); (არა)ორდინალური (შდრ. ლათ. *ordinarius*); **კომფიდენციალური** (კონფიდენციალური), **დეკონოლიზაცია** (შდრ. კოლონია), **ჰიპოტიეთური** (შდრ. ჰიპოთეზა), **ქილერი** (კილერი), **ქაოტური** (სწორია - **ქაოსური**); **აბსოლიტური** (აბსოლუტური), **ინცინდენტი** (ინციდენტი), **პრეცედენტი** (პრეცედენტი), **კონსესუსი** (კონსენსუსი), **ინსტიქტი** (ინსტიქტი), **კონტიგენტი** (კონტინგენტი), **კომფლიქტი** (კონფლიქტი), **კომფორმიზმი** (კონფორმიზმი), **ინაგურაცია** (ინაუგურაცია) და სხვ.

ს ა გ ა რ ჭ ი შ ო თ ა ნ ი მ უ შ ე ბ ი :

წაიკითხეთ ტექსტი, ცალ-ცალკე გამოკრებით ქართული და უცხოური წარმომავლობის ტერმინები, დააჭკუფეთ ისინი წარმოების მიხედვით:

სხვა მოსაზრებით, რომელსაც ასევე ბევრი მკვლევარი უჭერს მხარს, ცნობიერება თავისთავადი ფენომენია, რომლის ზემოქმედებაც უზრუნველყოფს მატერიალური სტრუქტურის, ჩვენს შემთხვევაში, ტვინის ფუნქციონირებას. აქ კაუზალური ჯაჭვი ზემოდან ქვემოთ მიემართება. თუკი ბიოლოგიურ ესსეში მოყვანილ არგუმენტებს გავიხსენებთ, ნათელი ხდება, რომ ეს მეორე მოსაზრება უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პირველი, — ეპიფენომენალური. ცნობიერება „ამუშავებს“, ასაქმებს ტვინს. ტვინი მატერიალური სტრუქტურაა, რომელიც აუცილებელია ცნობიერებისათვის მატერიალური სამყაროს სხვა ობიექტებთან ურთიერთქმედებაში. ამის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ ცნობიერების ნებიერი აქტი, ვთქვათ, ხელის აწევა. თავიდან ცნობიერებაში იბადება ხელის აწევის სურვილი. ცნობიერება სწრაფად აახალიზებს ამ მოქმედების შესაძლებლობასა და მოსალოდნელ შედეგს. ამის შემდეგ, ტვინის იმ მონაკვეთში, რომელიც კიდურების მოძრაობას უზრუნველყოფს, წარმოიქმნება ელექტრული პოტენციალი. ეს პოტენციალი, თავის მხრივ, იწვევს ქიმიურ ცვლილებებს და ქიმიური ან ელექტრული იმპულსის წარმოქმნას. ეს იმპულსი გადაეცემა ტვინის სხვა მონაკვეთებს, საიდანაც, ასევე იმპულსის მეშვეობით, ამ მოძრაობისათვის აუცილებელ კუნთთა ჯგუფი ჩაირთვება. ხელი იწყებს მოძრაობას. ამ სქემის ფიზიკურ ნაწილში მიმდინარე პროცესები, ასე თუ ისე, ცნობილია. უდიდესი პრობლემა არის თვით სურვილის გაჩენა და მის მიერ პირველი იმპულსის მიცემა ტვინის უჯრედებისადმი. ამ თვალსაზრისით, რეაქციის ახსნა უფრო ადვილია, ვიდრე ნებიერი მოქმედებისა. თუკი რეაქციისას გამაღიზიანებელი გარეთ იმყოფება და, პრინციპში, დასაშვებია მისი მოქმედებით ტვინის მექანიზმების ჩართვა, ნებაზე ამას ვერ ვიტყვით. რა არის თვით ეს ნება? სად იმყოფება იგი? ცნობიერება არ არის მატერიალურ სტრუქტურაზე კოდირებული ინფორმაციული სისტემა. იგი ბევრად მეტია. მოკლედ, ამ სფეროში უამრავი საკამათო საკითხი არსებობს. ის, რაც ტვინში ხდება, მატერიალური სტრუქტურების პველვართა გარდა, სხვა მეცნიერთა კვლევის ცენტრშიც არის.

ამ საკითხში ძირითადი სიტყვა ფსიქოლოგიას ეკუთვნის, რომელიც აგერ უკვე ასი-ას ოცი წელიწადია, რაც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად არსებობს და ცდილობს, გაარკვიოს, თუ როგორია ადამიანის

ცნობიერება და რა არის მისი სამოქმედო მექანიზმები, ანუ ფსიქიკა. მინდა მოკლედ შევეხო ზოგიერთი ფსიქოლოგიური მოძღვრების მიერ შემოთავაზებულ სისტემას და შემდგომ მკითხველს ცნობიერების ჩემბერი ტოპოლოგია შევთავაზო.

გამოყავით უცხოური ტერმინოლოგია; განმარტეთ ისინი და მოუკიდებლად თუ ლექსიკონების დახმარებით; სცადეთ ჩაანაცვლოთ ეს ტერმინები ქართული შესატყვისებით:

პრიმარული ტექსტის შემეცნების პროცესი დეკოდირების პრინციპით ხორციელდება, რაც სემანოლოგიურ კვლევას უტოლდება, ხოლო სეკუნდარული ტექსტის შექმნის პროცესი მიმდინარეობს ენკოდირების ანუ ონომასიოლოგიური პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ პრიმარული ტექსტის სემიოტიკური სისტემიდან გამომდინარე კოგნიტური ანალიზის საშუალებით ახალი სემიოტიკური კოდი ქმნის სეკუნდარული ტექსტის საზრისსივუელ კონფიგურაციას... რაკი პრიმარული ტექსტის ლიტერატურული ინტენცია მთარგმნელისათვის სეკუნდარული ტექსტის შექმნის პროცესში უმთავრეს ფუნქციას შეადგენს, ლიტერატურულობა აშკარად ყოფილა პრაგმატული ნიშანი, რომელიც გამოირიცხავს ლიტერატურულად მარკირებული სემიოტიკური სისტემების დელიმიტაციას.

... ტრანსლატიკის თეორია უნდა შეიქმნას იმ თვალსაზრისის საფუძველზე, რომ თარგმნის პროცესი წარმოადგენს სემიოტიკურ კოდებს და კოგნიტური კატეგორიების სუბლიმაციას, ხოლო ტრანსლატიკის ობიექტი-ტექსტი ახდენს „სამყაროს“ სურათის კონტინუუმის რომელიმე სფეროს რეალიზაციას ინტერლინგვალური და ინტრალინგვალური კატეგორიების საშუალებით.

ანექსია კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ადეკვატური სოციალური კონტრაქტის მიერ სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის შესაბამისი სოციალური კონტრაქტის რეგალიური პაკეტის თითქმის სრული მითვისებაა, დუალისტური სოციალური კონტრაქტი სუბორდინირებული კონტრაქტის ინტერესების პრიმატით და პეგემონი სოციალური კონტრაქტის საკანონმდებლო ინიციატივით მხოლოდ სოციალური პოლიტიკის სფეროშია... ფეოდალური აპლიკაცია უდრის აქტიურ (ადმინისტრაციულ) იძულებით სოციალურ კონტრაქტს, ე. ი. ეკონომიკურად რენტაბულური სოციალურ-ეკონომიკური რიგის პრეზერვაციისათვის ლოკალური სოციალური კომპლექსის ორგანიზაციული ფუნქციების მატარებელი სოციალური კატეგორიაც საკმარისია, ხოლო სრული ადმინისტრაციული საკადრო პეროვაციის რეალიზაცია

მეტროპოლისის არ შეუძლია სოციალური ტრანსპლანტაციის სუსტი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციის გამო.

თარგმანის ტექსტი შეიცავს ასევე მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის გამოვლინების სხვა კატეგორიის შემთხვევებსაც, კერძოდ, — პირველადი შეტყობინების ინტენციის სუპროდუცირების დაბალა უნარის მარკერებს.

თუ ზემოთ გახილული ვარიანტები იმის მაჩვენებელი იყო, რომ კომუნიკაცია ვერ შედგა ორეტაპოვანი კომუნიკაციური აქტის პირველ რგოლში (საწყისი შეტყობინების სუბიექტსა და მთარგმნელ-რეცეპტორს შორის), ამჯერად მხედველობაში გვაქვს კომუნიკანტთა მეორე წყვილის კომუნიკაცია (მთარგმნელ პროდუცენტსა და მის ადრესატს შორის), რაც ორეტაპოვანი პროცესის მეორე ფაზაში უნდა განხორციელდეს. ამ ფაზაში გამოცდას გადის მთარგმნელი პროდუცენტის რეპროდუცირების უნარი. იმ შემთხვევაში, როცა კომუნიკაციის ადრესატის ფაქტორი არ არის გათვალისწინებული და საწყისი შეტყობინება არ განიცდის სათანადო პრაქტიკულ ტრანსფორმაციას, თარგმნის რეცეპტორი პირისპირ რჩება მისთვის უცხო, ამოუხსნელი ენიგმების წინაშე და შუამგლის გარეშე (შუამავლად კი უნდა გამოდიოდეს მთარგმნელი) მიღებული შეტყობინების იმპლიკატორის მისმიერი დეკოდირება პოტენციაში უკვე მცდარია და კომუნიკაციის ეფექტი ამჯერადაც არასრულფასოვანი იქნება.

შორისდებულთა კოგნიტიური დატვირთვა დისქორსში გულისხმობს მათ უნარს მართონ აზროვნებითი, კოგნიტიური პროცესები საკომუნიკაციო ქმედებისას, გააადვილონ კოდირების და დეკოდირების (ადეკვატური ინტერპრეტაციის) პროცესი და, ამრიგად, ხელი შეუწყონ საკომუნიკაციო აქტის შედეგის კომერენტული, სტრუქტურულ-სემანტიკურად და პრაგმატულად მთლიანი ტექსტის წარმოქმნას.

VI. პუნქტუაცია

პუნქტუაცია (ამოსავალი სიტყვაა ლათ. punctum „წერტილი“) გულისხმობს სასვენი ნიშნების გრაფიკულ სისტემას და ამ ნიშნების გამოყენების წესებს. სასვენი ნიშნების წარმოშობა-ჩამოყალიბება უკავშირდება მნიგნობრობის განვითარების ისტორიას. გაბმული ტექსტის დანაწევრების პირველი პირობითი ნიშნები (წერტილი და წერტილთა კომბინაცია) ჩნდება ჯერ კიდევ უძველეს ხელნაწერებში, თუმცა ტექსტის სრულყოფილი გრაფიკული წარმოდგენის მოთხოვნები (ინტერვალები სიტყვათა შორის, პუნქტუაცია) საბოლოოდ მაინც წიგნის ბეჭდვას დაუკავშირდა და, როგორც ტექნიკური ნორმები, თანდათანობით უნივერსალური ხასიათისა გახდა.

ამგვარად, პუნქტუაცია გულისხმობს ისეთი პირობითი ნიშნების არსებობას, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება ფრაზის ბუნებრივი ინტონაციურ-მოდალური მახასიათებლების გამოხატვა, სამეტყველო ნაკადის არაბგერითი სანარმოთქმო თავისებურებების გრაფიკული აღნიშვნა. ამიტომაც უკავშირდება პუნქტუაციის პრობლემა, ერთი მხრივ (პირველ რიგში), ზეპირმეტყველების ინტონაციურ ნორმებს, ხოლო მეორე მხრივ – წერის კულტურის მოთხოვნებს. ამიტომვე არის ის ორივე მხრივ მეტყველების კულტურის ორგანული ნაწილი.

თანამედროვე პუნქტუაცია არსებითად უნივერსალური სისტემაა როგორც ძირითად გრაფიკულ ნიშანთა (სასვენ ნიშანთა), ისე მათი გამოყენების ნორმების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ სასვენ ნიშნებს არსებითად ერთგვაროვნად იყენებს მსოფლიოს ძირითადი ქვეყნების მნიგნობრობა (მცირეოდენი სპეციფიკის გათვალისწინებით). თანამედროვე ლინგვისტიკაში, პუნქტუაციის „ტექნიკურ“ დანიშნულებასთან ერთად, მის საკომუნიკაციო ფუნქციაზეც ლაპარაკობენ.

შევეხოთ ძირითად სასვენ ნიშნებს მათი დანიშნულების გათვალისწინებით:

1. წერტილი

წერტილი (·) ინერება:

ა) თხრობითი წინადადების ბოლოს, თუ ეს წინადადება სინტაქსურადაც და აზრობრივადაც (ინტონაციურადაც) დამოუკიდებელია

ლია მომდევნო წინადადებისაგან:

*ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გა-
მოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი...*

*ქართული ლიტერატურული ენა მდიდარ და კულტურულ ენად
ითვლება. ქართულ კულტურას თავისი საწყისები შორეულ წარ-
სულში აქვს.*

ბ) სიტყვის შემოკლების აღსანიშნავად:

სოფ. (სოფელი), მდ. (მდინარე), ე.წ. (ეგრეთ ნოდებული).

გ) რაიმე ტექსტობრივი პუნქტების დანომრვის დროს (1., 2., ა., ბ.
და მისთ.)

შენიშვნა: ქართულში წერიტილი არ დაისმის სათაურის შემდეგ.

2. შპაშე

მ ძ ი მ ე (,) დაისმის:

ა) რთული (თანწყობილი და ქვეწყობილი) წინადადების შე-
მადგენელ წინადადებებს (კომპონენტებს) შორის:

*თხისთვის პატრონს თოკი შეება კისერზე, ხოლო თიკანი დედას
უთოკოდაც მოუშორებლად მისდევდა.*

*რკინის პატარა აივანზე, რომელიც სახლის მეორე სართულს
გადმოჰკიდებოდა, დადიოდა სათვალეებიანი ჭალარა კაცი
გაზეთით ხელში.*

ბ) შერწყმული წინადადების ერთგვაროვან ნევრებსა და კომპო-
ნენტებს შორის:

დაჰკრეს დაფს, დოღს, დაირას, დუდუკს, ზურნას.

*დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენიდამ პეპია, გავუშალე ქვეშ
ფარაჯა, დაეუგე თავით უნაგირის ბალიში და დავანვინე.*

გ) მძიმეებით გამოიყოფა განკერძოებული სიტყვები და გა-
მოთქმები (ჩართული, დანართი, მიმართვა, შორისდებული, მიგებით-
უკუთქმითი ნანილაკები):

მეორე დღეს, დილით ადრე, გამოსულიყო ზაალ აივანზე...

*ნუ წახვალ, მამაშვილობას, ენგური ჯერ არავის მოსწრებია ასე
გაცოფებული.*

ეჰ, ძმავ, ნადი შენ შენს გზაზე სიმღერით.

ჰო, შვილო, ეგეც მოხდება ხოლმე...

დ) სხვათა სიტყვისაგან ავტორისეული სიტყვების გამოსაყოფად:

– გადი და უთხარი, – ჩემი ხმით უბრძანა არსენამ ლოპიანას, – ამ
ოთახში ვილაც დიდ კაცს სძინავს-თქო.

ე) ბიბლიოგრაფიული მონაცემების მოწოდებისას:

ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, /, თბილისი, 1973 წ.

3. წერტილ-მძიმე

წერტილ-მძიმე (;) ასრულებს შუალედურ ფუნქციას წერტილსა და მძიმეს შორის, ანუ აზრობრივ-ინტონაციური დატვირთვით ნაკლებია წერტილზე და მეტი – მძიმეზე. ეს ნიშანი ორ წინადადებას მიჯნავს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სინტაქსურად დამოუკიდებელი ოდენობებია, მაგრამ ერთმანეთთან განუყოფელი აზრობრივი კავშირი აქვთ. მაგ.:

ამ მცირე ხანს საცა გუთანს არ გაეელო, გაიარა; საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა; საცა ეაზი არ იყო, ეაზით გაივსო; საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა...

წერტილ-მძიმე დაისმის აგრეთვე რაიმე აზრობრივი პუნქტების ჩამოთვლის დროს:

მოცილე გრამატიკული ფორმებიდან რჩება ის, რომელიც

ა) გამართლებულია ქართული ენის აღნაგობით;

ბ) გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში;

გ) უფრო მარტივია წარმოების მხრივ;

დ) უფრო ნათელია მნიშვნელობით.

4. კითხვის ნიშანი

კითხვის ნიშანი (?) დაისმის კითხვითი წინადადების (ფრაზის) ბოლოს:

როგორია ენის განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი და ტენდენციები?

კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?

5. ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი (!) დაისმის:

ა) ძახილის წინადადების ბოლოს:

– მე არ მოგიკვდე, გაბრეილმა მაგითი შენ გული არ აგაყრევი-ნოს!

- აბა, უყურე ნუთისოფლის მუხანათობას!
 ბ) მიმართვის ფორმებისა და ფორმულების შემდეგ:
დავით ! ნახე! ჩემო ბატონო! სალამო მშვიდობისა!

6. კითხვა-ძახილის ნიშანი

კითხვა-ძახილის ნიშანი (!?) დაისმის კითხვა-ძახილის წინადადების (რომელიც უპირატესად რიტორიკულ კითხვას უდრის) მომდევნოდ:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსლა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!

7. მრავალწერტილი

მრავალწერტილი (...) იწერება:

ა) დაუმთავრებელი აზრის, განყვეტილი წინადადების შემდეგ:
მზითევს რას დავეძებო, ასე ამბობს თურმე... მე ქალი მინდაო, თვარა...

ბ) დაუსრულებელი ჩამონათვალის ბოლოს („და სხვა“-ს მონაცვლედ):

გაჩნდა ახალი ტერმინები: რეიტინგი, იმიჯი, მესიჯი, ბაიტი, ფაილი...

გ) თუ დამონმებულ ციტატას ვამოკლებთ:

„... ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური – თავადსა, ორივენი – გლეხსა... ნუთუ ესენი... ქართველი ჰგონია ვისმე!“

8. ორწერტილი

ორწერტილი (:) დაისმის:

ა) სხვათა სიტყვის გადმოცემის დროს ავტორისეული სიტყვების შემდეგ (აგრეთვე – ციტატის მოყვანისას):

ბაში-აჩუკმა გაიცინა და უპასუხა:

– ჩემი სათქმელიც ეგ არის!

რუსთაველმა გვიანდერძა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ბ) განმაზოგადებელი სიტყვის ან ფრაზის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს რაიმე ჩამონათვალი (იხ. თითოეული ამ მონაკვეთის დასაწყისი):
ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : განმაზოგადებელი სიტყვის შემდეგ უმჯობესია ტირე დაინეროს, თუკი წინადადება ჩამონათვალით არ მთავრდება. მაგ.: *აყვავდა ათასი ყვავილი – ია, კესანე, პირიმზე, ცისთვალა – და გარემოს სურნელი მოეფინა.*

გ) ორწერტილი იწერება ისეთი წინადადების შემდეგაც, რომლის წინაარსსაც თითქოს გაშლის, დეტალურად წარმოადგენს მომდევნო წინადადება (წინადადებები):

შენ ვაზებში გიპოვე: მხარი დაგებჯინა ბარის ტარზე, ბარის ტარს დაჰყუდებოდი და გაშტერებული დასცქეროდი დედა-მინას...

9. დეფისი

დეფისი (-) არის მოკლე – ერთი მარტივი ასოს სიგანის – ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც გამოიყენება:

ა) ნაირფუძიანი ან გაორკეცებული ორცნებიანი რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობისას (იხ. თ. II. კომპოზიტების მართლწერა):

ნაპირ-ნაპირ, ორ-ორი, მთა-ბარი, მისელა-მოსელა, ქართლ-კახეთ-იმერეთი...

ბ) შესიტყვების ფორმის მქონე ზოგი უცხოური გეოგრაფიული სახელის გადმოცემისას:

ნიუ-იორკი, სან-მარინო, სენტ-კიტსი, სან-ფრანცისკო...

გ) მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ორწერტიანი ნომენკლატურულ სახელებში:

წვერ-კორესპონდენტი, მეცნიერ-მუშაკი, გენერალ-მაიორი, სახლ-მუზეუმი...

დ) სხვათა სიტყვის -შეთქი და -თქო ნაწილაკების დართვისას (იხ. თ. III, 6):

ხომ გითხარი, არ გამოვა-მეთქი; ნავიდეთ-თქო, – უთხარი!

ე) თავსართ-ბოლოსართების დართვისას რიცხვით სახელებზე:
მე-2 რიგი, გიორგი I-მა, № 120-ში...

ვ) სიტყვის გადატანისას: *ბირ-თვი...*

10. ტირე

ტირე (—) არის ორი დეფისისხელა პორიზონტალური ხაზი, რომელიც, ამავე დროს, დეფისისაგან განსხვავებით, თითო ინტერვალით კიდევ უნდა დასცილდეს წინა და მომდევნო სიტყვებს. ტირე გამოიყენება:

ა) რთული შედგენილობის წინადადების მეორე (ან მესამე, მეოთხე და ა. შ.) ნაწილში ამ წინადადების პირველ ნაწილში წარმოდგენილი რომელიმე წევრის გამოტოვებისას:

ლიმილი ჯადოსნური პქონდა, სიტყვა-პასუხი – ტკბილი...

სანამ სიცოცხლე შეგნევს, გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგიტობობს.

ბ) სხვათა სიტყვისაგან ავტორის სიტყვების გამოსაყოფად და დიალოგური მეტყველებების დასაყოფად:

– სიყვარული ძნელია! – უპასუხა მეორემ, – გაიგებდი, ერთმანეთი ჰყვარებიან.

– ურმები გაისტუმრე?

– გაეისტუმრე, შენი ჭირიმე!..

– სად გაისტუმრე?

– ყანაში, შენი ჭირიმე!

– რამდენია?

– ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

გ) განმაზოგადებელი სიტყვის წინ, როცა მას წინ უსწრებს ერთგვაროვანი წევრების ჩამონათვალი; შესაძლებელია განმაზოგადებელი სიტყვის მომდევნოდაც, თუ ჩამონათვალი მცირეა (ორი-სამი), ან ამ ჩამონათვალთ არ მთავრდება წინადადება:

სახლსაც, მამულსაც, სახნაე-სათეს იარაღსაც, საქონელსაც – სუველას აირჩევს.

წაიღებენ ხელსაწყო რკინეულობას – ცულს, ნაჯახს და სხე.

დ) ტირე შეიძლება დაინეროს განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოსაყოფადაც (მძიმეების ფარდად):

ამას წინათ – სულ ორი კვირა არ იქნება – კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ დაამწყვდია!

11. ფრჩხილები

ფრჩხილები – () – გამოიყენება:

ა) როცა გამოსაყოფია წინადადებაში ჩართული სიტყვა ან გამოთქმა ნათქვამის დასაზუსტებლად თუ განსამარტავად:

...იქნებ იმაზე მაინც გადაეყოლებინა ჯავრი, მით უმეტეს, რომ ეს ხელობა (მასწავლებლობა) ძლიერ უყვარდა.

ბ) სამეცნიერო ნაშრომში ფრჩხილებში ჩაისმის აგრეთვე ტექსტში მითითებული ავტორი და წყარო:

(მ. ჯავახ.;) (ა. შანიძე, 1973, 18) და მისთ.

გ) ცალმხრივი ფრჩხილი გამოიყენება ჩამონათვალის დანომრვის დროს: ა), ბ), 1), 3)...

შენიშვნა: კვადრატულ ფრჩხილში – [] – ჩაისმის აღდგენილი (resp. ჩამატებული) ადგილი ტექსტში:

[ბერიძემ] უნდა მისცეს ხალხს წესი და რიგი...

12. ბრჭყალები

ბრჭყალებში („“) ჩაისმის:

ა) პირდაპირი ნათქვამი ან ციტატა:

ილია მაღლიერებით იხსენებს პეტერბურგში განსწავლის წლებს: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიბყოფებოდი...“

ბ) ირონიულად (არაპირდაპირი მნიშვნელობით) გამოყენებული სიტყვა თუ გამოთქმა:

მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა, რომ რამე ხერხი მოეგონა, „ძმურად“ არ გააჰყოფოდა მისი „სიმდიდრე“.

გ) რაიმე საზოგადოების, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების დასახელება; წიგნის, ნაწარმოებისა თუ გამოცემის სახელწოდება:

სასტუმრო „თბილისი“ მალე გაივსო სტუმრებით;
„მოქალაქეთა კავშირი“ გაზეთ „24 საათში“ გამოაჭენეს.
თეატრმა წარმოადგინა „ოტელოს“ განახლებული დადგმა.

დ) ბარბარიზმები და სხვა არანორმატიული გამონათქვამები:

„იამშჩიკმა“ თვალები აახილა და მე ბლვერა დამიწყო.

საგარეო შოთა ნიშუშები:

იპოვეთ პუნქტუაციური შეცდომები
და გაასწორეთ:

ეუთო ერთადერთი საერთაშორისო სტრუქტურაა, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაზე მუშაობს, ე. წ. მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარის სახით. თავიდან ძნელი იყო მოლაპარაკების მაგიდასთან კონფლიქტის მხარეების ლიდერების მიყვანა, შემდეგ კი ქორიანი და ალიევი აღბათ, ოცჯერ მაინც შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა, ამას პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია. თანაც, ბოლო ხანს მოლაპარაკებების პროცესი მთიანი ყარაბაღის ირგვლივ, რაღაცნაირად მძევლის როლში აღმოჩნდა სომხეთსა და აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნების გამო. საგარაუდოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ, ეს პროცესი კვლავ დაიძვრება ადგილიდან. იმისგან განსხვავებით, რომ თუ მაშინ, სიცრუის მქადაგებელ გაზეთს „Правда“ ერქვა, დღეს ათასი ჯურის მატყუარას, ფეხის ყოველ გადადგმაზე სიცრუე საკუთარ რეკლამად გაუხლია. ბუნებრივი იქნებოდა, ისინი გადაგვეყვებინა! მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება. დასავლეთში ხალხს, შეუძლია გაიფიქროს, მოაწყონ საპროტესტო ღემონსტრაცია. ჩვენ კი, დაბეჩავებულნი ვართ. ჩვენ ეს გვაშინებს: როგორ თუ, უცებ უარი ვთქვამთ სამუშაოზე? ყველა საბედისწერო გზა, უკანასკნელი საუკუნისა, აპრობირებულია რუსეთის მწარე ისტორიით. მაგრამ, ძალადობა ძალე უძღურდება და მოკლე ხანში, საკუთარი თავის რწმენა ეკარგება, და რომ თავი მყარად იგრძნოს, მედიდურად რომ გამოიყურებოდეს, აუცილებლად, სიცრუეს იხდის თანამოაზრედ... სიცრუე კი, მხოლოდ ძალადობას შეიძლება ეყრდნობოდეს. ძალადობა ყველას და ყოველდღიურად კი არ თრგუნავს, თავის მძიმე ტორებით, არამედ მისგან მორჩილებას, სიცრუით ყოველდღიურ ცხოვრებას მოითხოვს. სწორედ აქა დაპარხული, ჩვენგანვე უზღუდვებელყოფილი, ყველაზე უბრალო, ჩვენი განთავისუფლების გზის, ყველაზე ხელმისაწვდომი გასაღები... წინააღმდეგობის გაწევის, თვით ეს ყველაზე ზომიერი გზაც კი, ჩვენთვის, უმოქმედობას მიჩვეულთათვის, მაინც არ იქნება იოლი. უკეთუ, ვიმხდალეთ, წუწუნსაც თავი დავანებოთ: ვითომ, ვილაც ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდეს... თქვენი თანხმობის შემთხვევაში, მე ახლაც მზად ვარ, ასევე დროებით, შევუჩერო უფლებამოსილება გლაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა სასახლის პრეზიდენტს, ხელახლა არჩევნებამდე!... ცენტრის თანამშრომლები, 2003 წლის 22-26 სექტემბერს, საქმიანი მივლინებით ესტუმრნენ ქალაქ ბათუმს. ამ ვიზიტის მიზანი იყო, ბათუმის სკოლების პედაგოგებთან ერთად, გამოეცადათ ახალი ტიპის წერითი დავალება... აქვე უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ... საგარეო შოთების კრებული სკოლებს აღრევე

დაურივდათ, მასწავლებლებს, ზოგ შემთხვევაში, ან საერთოდ, არ მიუღიათ იგი, ან სათანადო დრო და ყურადღება არ ჰქონდათ დათმობილი... აქ ხალხმა ერთდროულად რამდენიმე ენა იცის, დასავლეთში, ამ თვალსაზრისით, სერიოზული ჩავარდნებია. თუმცა, ვიცო, რომ თინეიჯერებში რუსული ენა, თითქოს, დაიწყებას მიეცა. მინდა გითხრა, რომ განათლების სამინისტროს, უახლოეს დღეებში, ეწვევა პრეზიდენტი. ერთხელ, გურიიში ჩავდივართ, ბუბის სანახაყად... ცენტრმა სასწავლო წლის დასაწყისშივე დაარიგა... კრებულები, საქართველოს ყველა სკოლაში, სწორედ იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონოდათ, მთელი წლის მანძილზე, ევარჯიშათ დავალებების შესრულებაში. აღნიშნული დაკავება, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაკავება არ არის, ამას ისიც მოწმობს, რომ... არც მე, და ბევრ სხვასაც, არ სჯერა, რომ ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პოლიტიკა მხოლოდ მისი პრეზიდენტის ნების გამოხატულება იყო. ასევე მომავალ წელს, პრალაში, გაიმართება ნატოს ფორუმი. ჩოლოყაშვილს იარაღს, რომ აწვდიდა იმისთვის დაისაჯა. მამა, რომ დახვრიტეს, ძალიან პატარა ვიყავი. დედამ ციხეში, რომ შიაკითხა, მამას შეეშინდა... ტექნიკური თვალსაზრისით, ეს — ძალზე იოლი საქმეა. აბდალს, მეგონა, ორი საუკუნის განმავლობაში დაგუბებული ბოლმა იფეთქებდა. ამ სიტყვებით, დამიჯერეთ არ გეკლუსობ.

დასვით შესაფერისი სასვენი ნიშნები (წინადადებების ბოლოს დასმული ნერტილიც შეიძლება შეიცვალოს):

ვაშლოვანის ნაპირას აღმოსავლეთით ტყის ახლო იდგა მშენებელი ორსართულიანი სასახლე რომელიც ხეობას ზედ გადაჰყურებდა. ისინი კი მოლხენას მისცემოდნენ მაშინ როცა ჭერი თავზე გვემხოზოდა. თუ გახსოვს ორი ყმაწვილი ხევის პირას რომ მოგადგათ. პიტიახშმა სასულიერო პირებს მათ შორის იაკობსაც სთხოვა შთაეგონებინათ დედოფლისათვის დაპბრუნებოდა ოჯახს. ყველაფერი დრომ წაიღო ძალა ჯანი ფერხორტი. ტყე ფოთლითა და ნაყოფით შემოსილი კმაყოფილად იცქირებოდა. ფრინველები გაფრინდნენ დარჩნენ მხოლოდ კაჭკაჭი კოდალა ჩხიკვი შაში წიწკანა ბელურა ჭივჭავი და ყვავი რომელნიც ჩხავილით და ჭივილ-ხვილით იკლებდნენ იქაურობას. კაცი ქალი დიდი პატარა ერი მღვდელი მისთვის ყველა ერთი იყო. მაინტერესებს თუ არსებობს ბუნებაში ფულის გამაგრების რამენაირი გზა ეკონომიკის გაძლიერების გარდა. სიტყვებს ფერი აქვთ ხმას გამოსცემენ მოძრაობენ სუნთქავენ მოკლედ ცოცხლობენ. უწინდურ სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მიჩრეენია და სანამ მოგვედობდე მანამდე მაინც კიდევ ვეცდები რომ ჩე-

მი ლუკმა როგორმე დავიბრუნო. ჩვენმა საგამოძიებო დარგის მუშაკებმა არაერთი საშიში დამნაშავე მკვლელები ტერორისტები ბანდიტები და სხვადასხვა ჯურის მოძალადენი ამხილეს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მისცეს. ბუნდოდ ახსოვდა ის ამბავი თანამგზავრთან ერთად რომ გამოემგზავრა სახლისაკენ. ბოლოს დაჰკრეს დაფს დოღს დაიარა დედუკს ზურხას. სიცრუე და ორპირობა ანებს ხორცსა მერმე სულსაო ბრძანა დიდმა რუსთაველმა. ორი დღის შეძლე საღამო ჟამზე მამანქმა გამოიტანა შინიდან ცული. ჩემო სოლომონ მეფემ უბრძანა მე ეგ ყოველი არ ვიცი განა. ისინი ამაცობდნენ სახალხო გამარჯვებთა იმიტომ რომ ამ ზეიმის მონაწილედ გრძნობდნენ თავს. ახლა ტოვებდა იმ სკოლას მან რომ ამდენი ღვაწლი დასდო. მანამდე კი ისინი როგორც ვთქვით ზეპირი გზით ვრცელდებოდა. ფარნავაზი ქართლს აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა ქუჯი ეგრისს დასავლეთ საქართველოს. სამხრეთ საქართველოში ქვაბისხევის მცირე საყდრის კედელზე ორი წარჩინებული პირის ფრესკაა დახატული. აქედან არცთუ შორს მდინარე ხრამს გაღმა სოფელი ტანძიაა. საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის მცხეთის სიახლოვეს წიწამურში მოკლეს ილია ჭავჭავაძე. კაცაც ის არის შენი ჭირიმე და ქუდიც იმას ხურავს. მეფე ორმოცდაათი წლის ვაჟკაცი მშვენიერ ბედაურზე იჯდა. ერთი ავი მეზობელი ვითომდა გულშემატკივარი დანახებით ამბობდა... რა საერთო ნიშანი აქვთ თქვენი აზრით წყაროსა და სიკეთეს. თავდაპირველი ხალისიანი განწყობილება როგორც ვთქვით სრულიად სხვა შეფერილობას შეიძენს. თვითონ გალაკტიონ ტაბიძე რასაკვირველია უწინარეს ყოვლისა სიტყვის მუსიკოსი იყო. ლექსს რა თქმა უნდა ბადრი მთვარე დაგარქვი. იქ დიდ ლოდებს შორის მოჩქრიალებს ლურჯი მთის წყალი. ჩემის აზრით მომავალში ალბათ ასევე უნდა ვიფიქროთ შეუჩერდეს თუ არა ფუნქციონირება მწერალთა კავშირთან არსებულ ლიტფონდს იმ დრომდე მაინც ვიდრე იმას გაგარკვევდეთ თუ რა ამოცანების გადაწყვეტა ევალება ამ სამსახურს ახალ პირობებში ანუ ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაში. იმავე დღეს გაკვეთილების შემდეგ დღის 3 საათზე ქართული ენისა და ლიტერატურის 30 პედაგოგი შეფასების ცენტრის ექსპერტებთან ერთად შეფასების სქემის მიხედვით შეუდგა მოსწავლეთა ნაწერების გასწორებას. და ბოლოს ძვირფასო გამკეობის წევრებო ჩვენ საშუალება გვექნება ამ საკითხებთან დაკავშირებით გამკეობის უახლოეს სხდომაზე ვიმსჯელოთ და საჭიროების შემთხვევაში ჩემს მიერ შემოთავაზებულ პროექტში მცირე მასშტაბიანი შესწორებებიც შევიტანოთ ხოლო იმ შემთხვევაში თუკი ეს წინადადებები კარდინალურად მიუღებელი აღმოჩნდება თქვენ აუცილებლად მოგიწევთ მწერალთა კავშირისათვის ახალი თავმჯდომარის შერჩევა რაც დარწმუნებული ვარ ყველაზე ადვილი აღსასრულებელი იქნება ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს შორის.

საქმის ქალაქები

საქმის ქალაქები, ანუ ოფიციალური დოკუმენტები, წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ცივილური ცხოვრებისა და ურთიერთობის აუცილებელ ნაწილს, ამიტომაც მათი შედგენის, მათი სისწორისა და კანონიერების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ადამიანის სამოქალაქო და სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების საქმეში. შეიძლება ითქვას, მოქალაქის თვითრწმენისა და თავისუფლების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ, ერთი შეხედვით, რიგით და მეორეხარისხოვან ოფიციალურ დოკუმენტებთან „ურთიერთობის“ ცოდნაზე, რომლის გარეშეც თანამედროვე ცხოვრების ბიუროკრატიულ სისტემაში გზის გაკვლევა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, საქმის ქალაქების რაობასა და თავისებურებაში გარკვევა სულაც არ არის უმნიშვნელო პრაქტიკული ცოდნა.

საქმის ქალაქები არსებითად ორი სახისაა: თვით მოქალაქისგან მომდინარე და სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებათა მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები.

საქმის ქალაქებს, მათი ხასიათიდან გამომდინარე, მოეთხოვება ნათელი, ზუსტი შინაარსობრივი გამოხატულება, მშრალი და დახვეწილი სტილი (ე. წ. საკანცელარიო სტილი ყველაზე უფრო აქ იჩენს თავს). რაც მთავარია, ყოველ საქმის ქალაქს აქვს თავისი სტანდარტული ფორმა, რომლის დაცვა შესაბამისი ოფიციალური ურთიერთობის აუცილებელი პირობაა.

საქმის ქალაქის შედგენის დროს უნდა დაცულ იქნეს იმ ფორმალური მოთხოვნის ყოველი პირობა, რაც შესაბამის დოკუმენტს ნაეყვნება, დაწყებული ადრესატის დასახელებით და დამთავრებული თარიღის დასმითა თუ ხელმოწერით. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და, ამავე დროს, მარტივი დოკუმენტია განცხადება, რომლის შედგენის დროსაც რამდენიმე პირობა აუცილებლად უნდა შესრულდეს:

1. პირველ ხაზზე, მარცხნიდან ფურცლის $\frac{1}{3}$ -ის შეწვევით, იწერება სრული ინფორმაცია ადრესატის შესახებ (ჯერ დაწესებულება, შემდეგ ადრესატის ტიტული, ბოლოს – მისი ვინაობა);

2. მომდევნო ხაზზე, ზუსტად პირველის ქვემოთ, იწერება განმცხადებლის შესაბამისი ვინაობა (მისი სამოქალაქო რაობა და გვარსახელი);

3. ერთი-ორი სტრიქონის გამოტოვებით ფურცლის შუა ადგილას

ინერება „განცხადება“ (ასობის დაცილება აუცილებელი არ არის).

4. ერთი სტრიქონის გამოტოვებით აბზაცით იწყება განცხადების შინაარსი. თუ განცხადების განმარტებითი ნაწილი ვრცელია, დასკვნითი ნაწილი, დაწყებული სიტყვით „გ თ ხ ო ვ თ“, დაიწყება ასევე აბზაცით.

5. „გ თ ხ ო ვ თ“ მძიმით არ უნდა გამოიყოს.

6. განცხადების ქვემოთ, მარცხენა მხარეს, იწერება შესაბამისი თარიღი, ხოლო მარჯვენა ნახევარში – განმცხადებლის ხელმოწერა.

საქმის ქაღალდები შინაარსითაც და ფორმითაც საკმაოდ მრავალფეროვანია. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგი გავრცელებული დოკუმენტის ნიმუში* (ცალკეული აუცილებელი კომენტარითურთ):

1. განცხადების ნიმუშები

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის
დეკანს, პროფ. (ინიციალი და გვარი)

ამავე ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტის....
(სახელი და გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უნივერსიტეტში ყოფნის სამი წლის მანძილზე ვიყავი სწავლის ფრიადოსანი. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში გამოცდას ვაბარებდი დროულად. მიმდინარე საგაზაფხულო სესიაზე ორ საგანში (საქ. ისტორია, პოლიტოლოგია) გამოცდის ჩაბარება ვერ მოვასწარი აუადმყოფობის გამო (ა.წ. 14 ივნისს მოვიწამლე და ამჟამად ქალაქის მე-9 საავადმყოფოში ვიმყოფები).

წარმოგიდგენთ სათანადო ცნობას და გთხოვთ გამოცდები გადამიღოთ სექტემბრისათვის.

20. VI. 2004

(ხელის მოწერა)

* ნიმუშებისათვის გამოყენებულია შ. კეკელიას „საქმის ქაღალდები“, თბ., 1977; აგრეთვე დღეს გავრცელებული ზოგი ფორმა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე, ადგილობრივი კლუბის სხდომათა დარბაზში შედგება რაიონული ბიბლიოთეკის საბჭოს ღია სხდომა.

დღის წესრიგი:

1. რაიონული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით დაკომპლექტების განყოფილების გამგის ანგარიში;

2. რაიონული ბიბლიოთეკის 2004 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება.

ბიბლიოთეკის საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა.

12.1.2004

ბიბლიოთეკის საბჭო

2. მოხსენებითი ბარათი და ახსნა-განმარტება

გაფორმების თვალსაზრისით განცხადების მსგავსად იწერება მოხსენებითი ბარათი და ახსნა-განმარტებაც (ან – ახსნა-განმარტებითი ბარათი); ოღონდაც ამ დოკუმენტებში შესატყობინებელი (ანგარიშის ხასიათის) ინფორმაცია, ჩვეულებისამებრ, უფრო ვრცელია. ამ ორ დოკუმენტს შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ მოხსენებითი ბარათი უპირატესად შემსრულებლის ინიციატივით იწერება, ხოლო ახსნა-განმარტება აუცილებლად გულისხმობს სათანადო მოთხოვნას ზემდგომი პირისა თუ ინსტანციის მხრივ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის
დირექტორს. (ინიციალები და გვარი)

დამუშავების განყოფილების გამგის
(ინიციალები და გვარი)

მოხსენებითი ბარათი

წიგნის ბაზარზე 2004 წლის პირველ კვარტალში ახალი წიგნების გაცელებით მეტი რაოდენობა გამოვიდა, ვიდრე ნავარაუდები გეჰქონდა.

ჩვენმა ბულალტერიამ ვერ უზრუნველყო ყველა ახალი წიგნის შესაძენად სათანადო თანხის დროულად გამოყოფა, რამაც გარკვეული სიძნელებები შევეიქმნა და მოხდა ისე, რომ ზოგიერთი მეტად საჭირო წიგნი ვერ შევიძინეთ.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ ბულალტერიას მისცეთ შესაბამისი მითითება, რათა გაითვალისწინოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით დაკომპლექტების სპეციფიკა, რომ მსგავსი რამ მომავალშიც არ განმეორდეს.

15.VI. 2004 წ.

(ხელის მოწერა)

საქართველოს განათლების სამინისტროს
საფინანსო განყოფილებას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბულალტრის. (სახელი და გვარი)

ახსნა-განმარტება

წარმოგიდგენთ უნივერსიტეტის 2003 წლის ხარჯთაღრიცხვის ბალანსს (დანართი №1 – მანქანაზე ნაბეჭდი 28 გვერდი). გაუწყებთ, რომ სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული საფინანსო გეგმა, ცალკე მუხლების მიხედვით, მთლიანად შესრულებულია, მხოლოდ კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხის 40% დაგერჩა აუთვისებელი იმის გამო, რომ პირველი და მეორე სასწავლო კორპუსების კაპიტალური რემონტი, უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით (იხ. საბჭოს ოქმის ამონაწერი, თან ერთვის, დანართი №2), გადაიდო 2004 წლისათვის.

15.I.2003 წ.

(ხელის მოწერა)

3. ხელწერილი

ხელწერილი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც კერძო ან იურიდიული პირი უწერს სხვა პირსა თუ დანესებულებას და რომლითაც ადასტურებს საკუთარ მატერიალურ (ან ფინანსურ) პასუხისმგებლობას. ხელწერილი, მხარეთა სურვილისამებრ, შეიძლება დამონმდეს ნოტარიუსის მიერ. ხელწერილის ნიმუში:

ხელწერილი

ვანის რაიონის სოფ. ტიბანიკრის მეურნეობა „თავთავის“ მთავარმა აგრონომმა როსტომ შებუკემ ჩაეიბარე ცვაკეშირის ბაზის №5 საწყობის გამგის დიმიტრი გვარაძისაგან ორი ათას ორას ოთხმოცი (2280) კგ. სათესლე სიმინდის მარცვალი, ხუთას ორმოცი (540) კგ. წითელი ლობიო; შვიდასი (700) ძირი ვაშლის ნერგი და ნახევარი ტონა ბენზინი.

ხელწერილში აღნიშნული მასალა მთლიანად უნდა ჩაეაბარო მეურნეობა „თავთავის“ გამგეობას.

პასპორტის სერია XV №178812

12.11.2004 წ.

მეურნეობა „თავთავის“ მთავარი აგრონომი

(ხელის მოწერა)

4. მინდობილობა

მინდობილობის საფუძველზე პირი ან დაწესებულება გარკვეული მოვალეობის შესრულებას ან რაიმე უფლების განხორციელებას მიანდობს მეორე პირს, რომელიც მხოლოდ ამ დოკუმენტის ნარდგენის შემდეგ მიიღებს შესაბამის უფლებას. დაწესებულების მიერ გაცემული მინდობილობა დამონმებულია ამ უწყების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო კერძო პირის მინდობილობა უნდა დაამოწმოს რომელიმე ოფიციალურმა დაწესებულებამ (პოლიცია, ნოტარიუსი, საკრებულო). ნიმუში:

მინდობილობა

მე. ნიკოლოზ გიორგის ძე კალანდაძე, ვანდობ თამარ ივანეს ასულ მესხს, მიიღოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საღაროდან ჩემი 2004 წლის სექტემბრის პირველი ნახევრის ხელფასი

(ხელის მოწერა)

ნიკოლოზ გიორგის ძე კალანდაძის ხელმოწერას ვადასტურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეთა მმართველი--

(ხელის მოწერა)

17.IX.2004 წ.

ბეჭედი

5. ცნობა

ცნობა ადასტურებს კონკრეტული პიროვნების რაიმე რეალურ მდგომარეობას (სამსახურებრივს, სასწავლოს, კომუნალურს...). ცნობა დამონმებულია შესაბამისი დაწესებულების ოფიციალური ნიშნებით: (შტამპი, ბეჭედი, ხელმოწერა). ცნობას, რომელიც ფინანსურ ინორმაციას შეიცავს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი უწყების ბუღალტრის ხელმოწერა. ნიმუში:

ცნობა

შტამპი

პროფესორი (სახელი, გვარი) მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის კათედრის გამგედ და იღებს თვიურ ხელფასს სამოც (60) ლარს.

ცნობა ეძლევა დიდუბის რაიონის №26 სახელმართველობაში წარსადგენად.

უნივერსიტეტის მთავარი ბუღალტერი (ხელის მოწერა)

კადრების განყოფილების გამგე (ხელის მოწერა)

მრგვალი ბეჭედი

ცნობის ბლანკი:

| | |
|---|---------------|
| იმ. ჯავახიშვილის სახელობის | |
| თბილისის სახელმწიფო | |
| უნივერსიტეტი | |
| ცნობა | |
| კადრების სამმართველო | |
| ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის პრ. №1 | |
| ტელ: 22-36-19 | |
| „ — — — — — 200 წ. — — — — — | _____ |
| № — — — — — | _____ მუშაობს |
| თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში _____ | |
| _____ თანამდებობაზე | |
| ცნობა ეძლევა _____ | წარსადგენად |
| კადრების სამმართველოს უფროსი: | |
| სპეციალისტი: | |

6. მოწმობა

მონმობა არსებითად იმავე ტიპის დოკუმენტია, როგორც არის ცნობა; ოღონდაც მონმობა, ჩვეულებისამებრ, უფრო ხანგრძლივი დროით არის გამოსაყენებელი:

მივლინების მოწმობა

შტამპი

სამტრედიის გამგეობის ჯანდაცვის განყოფილების გამგე
(გვარი, სახელი, მამის სახელი) მივლინებულია ქ. თბილისში ორი კვირით
ა/წ 10 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე.

გამგეობის თავმჯდომარე

(ხელის მოწერა)

მდივანი . . .

(ხელის მოწერა)

მრგვალი ბეჭედი

7. ხელშეკრულება

ხელშეკრულება (იგივე კონტრაქტი) ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომელიც სრულად წარმოადგენს ორ ან რამდენიმე მხარეს შორის დადებულ შეთანხმება-პირობას, ურთიერთვალდებულებას.

ხელშეკრულება უნდა დამონმებული იყოს ოფიციალურად. ნიმუში:

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

2002 წლის 1 ოქტომბერი, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპ. №1 (თსუ შენობა).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის (მისამართი: ჭავჭავაძის პროსპ. №1) დირექტორი ... (სახელი, გვარი), ერთი

მხრივ და, მეორე მხრივ, ჟურნალ-გაზეთების ამკინძავ-ოსტატი... (სახელი, გვარი) (მცხოვრები ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №8-ში, პასპორტი XV №788112) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. თსუ ბიბლიოთეკის დირექცია ამკინძავ-ოსტატს... (სახელი, გვარი) იწვევს დროებით სამუშაოზე ხელშეკრულებით ჟურნალ-გაზეთების (2000-2001 წწ. ორმოცდარვა დასახელების წლიური კომპლექტის) ასაკინძავად ა. წ. 1 ოქტომბრიდან;

2. ბიბლიოთეკის დირექცია ვალდებულია პირველ მუხლში აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის ამკინძავ-ოსტატს გადაუხადოს (ნაღდ ანგარიშზე) ხუთი (5) ლარი ჟურნალის, ხოლო რვა (8) ლარი გაზეთის თითო კომპლექტზე;

3. ამკინძავ-ოსტატი ვალდებულია: ა) მუშაობა დაიწყოს ა. წ. 3 ოქტომბერს და დაამთავროს 2003 წლის 7 თებერვალს; ბ) ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული ყველა ჟურნალ-გაზეთი აკინძოს უღეფექტოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი . . . (ხელის მოწერა)

ხელოსანი-ოსტატი . . . (ხელის მოწერა)

2002 წ. 1X. ბეჭედი
თბილისი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს ბ ლ ა ნ კ ი :

"—"— 200 —წ.

შრომითი ხელშეკრულება

2003 წ. ————— ქ. თბილისი

საქართველოს მეცნ. აკად. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების
ინსტიტუტის სახელით ————— განყოფილების გამგე

————— და მოქალაქე —————
ვდებთ ურთიერთშორის ამ ხელშეკრულებას.

1. განყოფილების გამგე ავალებს მოქ. —————
ხოლო ის კისრულობს შეასრულოს შემდეგი სამუშაო: —————

2. პირველ მუხლში მოხსენიებული სამუშაო უნდა შესრულდეს მოქალაქე _____ მიერ 2003 — წლის

3. განყოფილება უხდის მოქ. _____ აღნიშნული სამუშაოს პონორარს _____

4. პონორარი გაიცემა შესრულებული სამუშაოს კვალობაზე.
5. თუ სამუშაო შესრულებულ იქნა არადამაკმაყოფილებლად, ეს ხელშეკრულება გაუქმდება.

მხარეთა იურიდიული მისამართებია:

1. ინსტიტუტისა – 380008 თბილისი, ინგოროყვას 8

2. შემსრულებლისა

განყოფილების გამგე

შემსრულებელი

პასპორტი _____

8. აქტი

აქტი არის ოფიციალური (იურიდიული ძალის მქონე) დოკუმენტი, რომელიც ასახავს რაიმე მომხდარ ფაქტს, რეალურ მდგომარეობას (შემომხმების შედეგს, ინვენტარიზაციის მონაცემებს, რაიმე ზარალის ნუსხას და მისთ.). ნიმუში:

აქტი № 1

200_ წ. _____ თვის _____ რიცხვს

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერლებმა _____

გვარი, სახელი, მამის სახელი

_____ შევადგინეთ ეს აქტი, რომ ბიბლიოთეკის გადაცემის დროს

(ბიბლიოთეკის ჩამბარებლის გვარი და ბიბლიოთეკის მიმღების გვარი) დადგენილია შემდეგი:

1. ბიბლიოთეკის ყველა საინვენტარო წიგნის მიხედვით ირიცხება წიგნები _____ ეგზემპლარი.

მიღებულია საინვენტარო წიგნში გატარებული წიგნები:

- | | | |
|-------------------------------|-------|-------------|
| თაროებზე დალაგებული | _____ | ეგზემპლარი. |
| ირიცხება მოძრავ ბიბლიოთეკებზე | _____ | ეგზემპლარი. |
| მიცემულია ასაკინმად | _____ | ეგზემპლარი. |
| ჩამოწერილია აქტებით | _____ | ეგზემპლარი. |
| სულ | _____ | ეგზემპლარი |
2. აკლია _____ ეგზემპლარი. თანხით _____ ლარი.
 _____ თეთრი _____ რომელთა სია თან ერთვის:
3. აღმოჩენილია ინვენტარში გაუტარებელი წიგნი _____
 _____ ეგზემპლარი, თანხით _____ ლარი _____ თეთრი
4. აღმოჩენილია დავალიანება მკითხველებზე 200_ წ. _____ .
 წიგნი და ჟურნალი, თანხით _____ ლარი _____ თეთრი.

ხელის მოწერა:

9. ოქმი

ოქმი შეიცავს რაიმე ოფიციალური შეკრებილობის მსვლელობის ძირითად აღწერას. ოქმს, ჩვეულებისამებრ, ადგენს შესაბამისი შეკრების მდივანი და დამონმდება სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

არცთუ იშვიათად რაიმე კერძო მოთხოვნით კეთდება ე. წ. „ოქმის ამონაწერი“, რომელიც შეიცავს ოქმის შესავალ ნაწილს და იმ კონკრეტულ მონაკვეთს, რაც მომთხოვნი კონკრეტული პირისათვის არის საჭირო.

ოქმის ნიმუში:

საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომის

ოქმი № ...

2004 წლის 20 დეკემბერი

დაესწრნენ კოლეგიის წევრები. (აქ აღინიშნება კოლეგიის იმ წევრთა სახელი და გვარი, რომლებიც ამ სხდომას დაესწრნენ. ამის შემდეგ დასახელდება სხვადასხვა ორგანიზაციის წევრებიდან მოწვეული პირების სახელი, გვარი და თანამდებობა).

დღის წესრიგი:

1. ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები;

2. სოფლის სკოლების დირექტორების რესპუბლიკური თათბირ-სემი-

ნარის ჩატარების შესახებ;

3. სალამოს სწავლების სკოლების IX-XI კლასებში ქართულ ენაში შესასწავლი მასალის განაწილების, საორიენტაციო დაგეგმვისა და მეთოდურ რეკომენდაციათა განხილვა-დამტკიცების შესახებ;

4. სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლების მუშაკთათვის მეთოდური კრებულის გამოცემის საკითხი;

1. მთი სმინ ე ს: ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები (მომხს. სახელი და გვარი).

კამათში მონაწილეობა მიიღეს (თანამდებობა და გვარები).

და ა დ გ ი ე ს: 1. კოლეგიის დადგენილების წარმოდგენილი პროექტი: „ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ დამტკიცდეს (თან ერთვის, დანართი, №1).

2. განათლების სამინისტროს ბრძანებისა და ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემსწავლელ-შემმოწმებელი კომისიის მოხსენებითი ბარათის პირი გადაეცეს ამავე რაიონის განათლების განყოფილებას განსახილველად და გამოვლენილ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის კმედითი ღონისძიებების შესამუშავებლად 3. გატარებული ღონისძიებების შესახებ განათლების სამინისტროს ეცნობოს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.

2. მთი სმინ ე ს: სოფლის სკოლების დირექტორების რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარების შესახებ (მომხს.)

და ა დ გ ი ე ს: მოწვეულ იქნეს 2002 წლის 28 დეკემბერს სოფლის სკოლების დირექტორების ერთდღიანი თათბირ-სემინარი შემდეგი დღის წესრიგით:

ა) განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება და სკოლის ამოცანები (მომხს.)

ბ) სოფლის სკოლების 2001-2002 სასწავლო წლის შედეგები და მიმდინარე 2002-2003 სასწავლო წლის ამოცანები (მომხს.....)

3. მთი სმინ ე ს: სალამოს სწავლების სკოლების IX-XI კლასებში ქართულ ენაში შესასწავლი მასალის განაწილების საორიენტაციო დაგეგმვისა და მეთოდურ რეკომენდაციათა განხილვა-დამტკიცება (მომხს.....).

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს (კოლეგიის წევრთა სახელები და გვარები).

და ა დ გ ი ე ს: ა) დამტკიცდეს სალამოს სწავლების სკოლების IX-XI კლასებში ქართულ ენაში შესასწავლი მასალის განაწილება და მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია შესაბამისი სამმართველოს მიერ წარმოდგენილ წერილში – სალამოს სწავლების სკოლების IX-XI კლასებში ქართული ენის სწავლების ზოგი საკითხისა და შესასწავლი მასალის შერჩევა-განაწილების შესახებ (თან ერთვის, დანართი №2).

ბ) სალამოს სწავლების სკოლების სამმართველომ სახელმძღვანელოდ

დაუგზავნოს ამ ტიპის სკოლებს ზემოაღნიშნული მასალა;

გ) ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრება“ (.....) და გაზეთმა „განათლება“ (.....) რესპუბლიკის საღამოს სწავლების სკოლების IX-XI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დასახმარებლად პერიოდულად გამოაქვეყნონ მეთოდური ხასიათის წერილები ქართული ენის სწავლების ცალკეულ საკითხებზე.

4. მოიხსინეს: საღამოს სწავლების სკოლების მუშაკთათვის მეთოდური კრებულის გამოცემის შესახებ (მომხს. ...)

დაადგინეს: 1. საღამოს სწავლების სკოლების მუშაკთა დასახმარებლად გამოიცეს განათლების სამინისტროს სათანადო სამმართველოს მიერ შედგენილი 17 თაბახის მოცულობის მეთოდური კრებული ქართულ ენაზე, 1.000 ცალი ტირაჟით.

2. კრებულის დაბეჭდვა ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ (.....), გაერცელება კი, განათლების სამინისტროს საღამოს სწავლების სკოლების სამმართველოს განაწილებით – ბიბლიოკლექტორს.

სხდომის თავმჯდომარე.....
მდივანი.....

(ხელის მოწერა)
(ხელის მოწერა)

10. ანკეტა

ანკეტა ასახავს პიროვნების ძირითად ბიოგრაფიულ და სამსახურებრივ მონაცემებს. არსებობს ამგვარი პირადი ანკეტის რამდენიმე სახეობა. ერთ-ერთი მათგანია კადრების აღრიცხვის ფურცელი, რომლის შევსება ევალება კერძო პირს რაიმე სამსახურებრივი მოთხოვნის შესაბამისად.

ასევე არსებობს სოციოლოგიური ანკეტები, რომლებიც ემსახურება რაიმე საკითხზე მიზანმიმართულ გამოკითხვას წინასწარ განსაზღვრული შეკითხვების მეშვეობით.

ანკეტის ნიმუში:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
თანამშრომლის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის

ანკეტა

1. გვარი, სახელი, მამის სახელი
2. დაბადების წელი, თვე და რიცხვი
3. სამუშაო ადგილი (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, განყოფილება,

ლაბორატორია, ცენტრი და ა. შ.) რომელი წლიდან მუშაობს უნივერსიტეტში.

4. დღეს დაკავებული თანამდებობა (როდის იყო არჩეული ბოლოს ამ თანამდებობაზე).
5. სამეცნიერო ხარისხი, წოდება (რომელი წლიდან).
6. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების საერთო რაოდენობა. ძირითადი სამეცნიერო მიმართულებანი ამ ნაშრომების მიხედვით.
7. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების სია: მიუთითეთ ნაშრომის სათაური, ჟურნალი, ტომი, გვერდი, წელი. თუ ნაშრომი მონოგრაფიაა ან სახელმძღვანელო, მიუთითეთ თაბახების რაოდენობაც.
8. თქვენი ხელმძღვანელობით (კონსულტანტობით) დაცული დისერტაციები: დისერტანტი, დისერტაციის სათაური, დაცვის წელი.
9. მაგისტრანტის ხელმძღვანელობა სამაგისტრო ნაშრომის დასახელების, სტუდენტის და სასწავლო წლის მითითებით.
10. დისციპლინების (საგნების) დასახელება, რომლებსაც კითხულობდით ბოლო 5 წლის განმავლობაში (დატვირთვის საათების რაოდენობის მითითებით).
11. სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა (მიუთითეთ კონკრეტულად).
12. მოპოვებული სამეცნიერო პრემიები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და პატენტები.
13. ინფორმაცია საერთაშორისო-სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

რექტორი
აკადემიკოსი

რ. მეტრეველი

15 სექტემბერი, 2003წ.

ძირითადი ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
- მ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.
- მ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
- ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991.
- ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
- თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I. თბ., 1971; თბ., 1986.
- ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვ. I-IV, თბ., 2000.
- ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, თბ., 1988.
- ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, ნელინდეული, I-I, 1923-1924.
- ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
- ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1968.
- შ. კეკელია, საქმის ქალღდეები, თბ., 1973.
- შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973.
- გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
- ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1971, თბ., 1982.
- გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957; თბ., 1999.
- ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორია და პრინციპები, თბ., 2004.
- მ. მრევლიშვილი, ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები, თბ., 1965.
- ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1953.
- წერტილისტიკის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.
- რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბ., 1980.
- ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ქართული მეტყველების კულტურის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის), თბ., 1998.

- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.
- ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ნიგნი IV, თბ., 1981.
- ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ნიგნი VII, თბ., 1985.
- რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.
- გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1965.
- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
- არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1972.
- არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
- ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004.
- ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
- ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი..... | 3 |
| 1. საგნის განსაზღვრა. მეტყველების კულტურა და საერთო კულტურა..... | 3 |
| 2. „ქართული მეტყველების კულტურის“ კურსი..... | 8 |
| 3. მეტყველების კულტურა და ნორმა..... | 9 |
| 4. ქართული მნიგნობრობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემა..... | 12 |
| 5. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის..... | 20 |
| 6. ქართული ეროვნული ენა, სალიტერატურო ენა და სახელმწიფო ენა..... | 24 |
| 7. რა ადგილი უკავია ქართულ ენას მსოფლიო ენათა შორის?..... | 28 |
| 8. ქართული სალიტერატურო ენის ნორმულიზაცია: ნორმათა დადგენის საფუძველი და ისტორიული ეტაპები..... | 30 |
| 9. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები..... | 34 |
| I ორთოეპია | 40 |
| 1. ორთოეპიის საგანი და ამოცანები..... | 40 |
| 2. რა უნდა დაიძლიოს სტუდენტთა სამეტყველო პრაქტიკაში?..... | 44 |
| 3. მეტყველება და პიროვნების ფსიქოლოგია..... | 46 |
| 4. როგორ შევარჩიოთ სამეტყველო ამოცანის შესატყვისი ტექსტები?..... | 47 |
| 5. რა ძირითადი მოთხოვნები უნდა გავითვალისწინოთ წარმოთქმის დროს?..... | 50 |
| 6. როგორ ავაგოთ ტექსტი და როგორ მოვეპყროთ აუდიტორიას?... .. | 55 |
| 7. ზოგი სხვა ინტონაციური თავისებურების შესახებ..... | 58 |
| 8. სამეტყველო აპარატის აგებულება და მოქმედება..... | 61 |
| 9. სამეტყველო სუნთქვა და მისი რეგულირება..... | 65 |
| 10. ზოგი კონკრეტული საწარმოთქმო პრობლემის შესახებ..... | 68 |
| ა) ხმოვანთა შავარი შემართვის საკითხი..... | 68 |
| ბ) ცხვირისმიერობის დაძლევის ამოცანა..... | 69 |
| გ) ხმოვანთა თავმოყრის საწარმოთქმო დაძლევა..... | 70 |
| დ) ზ ბგერის სწორად წარმოთქმის პრობლემა..... | 71 |
| ე) ლ ბგერის სწორად წარმოთქმის პრობლემა..... | 72 |
| ვ) თანხმოვანთა წარმოთქმასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი..... | 72 |
| ზ) უცხო ენათა სპეციფიკური ბგერების ქართულად გადმოცემის საკითხი..... | 74 |

| | |
|---|----|
| 1. რუსული π და χ დიფტონგები | 75 |
| 2. გერმანული ei დიფტონგი | 76 |
| 3. ia -სა და iu -ს შემცველი უცხო სიტყვები | 76 |
| 4. ლათინურიდან მომდინარე qu კომპლექსი | 78 |
| 11. ტრანსლიტერაციის ძირითადი ნესები..... | 78 |
| წარმოსათქმელი ტექსტების ნიმუშები | 83 |

II ორთობრაზია 102

სახელს ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები..... 105

| | |
|--|-----|
| 1. არსებითი სახელის ბრუნების ზოგი თავისებურება..... | 105 |
| 2. თანდებულები და თანდებულიანი ბრუნვის ფორმები | 106 |
| 3. საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი..... | 110 |
| ა) საკუთარ სახელთა ფუძის საკითხი | 110 |
| ბ) ი ფუძემოვნიანი საკუთარი სახელები | 110 |
| გ) საკუთარ სახელთა ნოდებითი | 112 |
| დ) გვარ-სახელის ერთად ბრუნება | 112 |
| 4. რიცხვითი სახელების მართლწერა..... | 113 |
| 5. ნაცვალსახელთა მართლწერის საკითხები..... | 116 |
| ა) მისი და თავისი | 116 |
| ბ) თავისი და თავიანთი | 117 |
| გ) ეს, ეგ, ის..... | 118 |
| დ) ჩემს, შენს... მათს | 118 |
| ე) თითოეული | 118 |
| ვ) ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი | 119 |
| ზ) ვინ და რა..... | 119 |
| თ) ნანილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება..... | 120 |

როცა სახელები ერთად იყრიან თავს (მსაზღვრელ-საზღვრულის მართლწერა)..... 121

| | |
|--|-----|
| 1. სახელების (მსაზღვრელ-საზღვრულის) ერთად ბრუნება | 122 |
| 2. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულის მრავლობითთან | 124 |

კომპოზიტების მართლწერის საკითხები..... 126

| | |
|---|------------|
| 1. ფუძეგაორკეცებული სიტყვები | 127 |
| 2. ნაირფუძიანი კომპოზიტები | 128 |
| სიტყვის შემოკლება და აბრევიატურა | 130 |

ტიპობრივ სავარჯიშოთა ნიმუშები 136

| | |
|--|-----|
| ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები | 140 |
| 1. პირის ნიშნების მართლწერა..... | 141 |
| ა) ვ- პირველი პირის სუბიექტის ნიშანი..... | 141 |
| ბ) ჰ- და ს- პირის ნიშნები..... | 142 |
| 2. ზმნისნიშნების მართლწერა..... | 144 |
| 3. თემის ნიშნის გაჩენის ტენდენცია ზმნათა ერთ ჯგუფში..... | 147 |
| 4. -ამ თემის ნიშნის შენარჩუნებისათვის..... | 148 |
| 5. ფუძემონაცვლე ზმნათა თავისებურებანი..... | 149 |
| 6. ორპირიანი გარდაუვალი ზმნების III სერიის ფორმები..... | 150 |
| 7. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა..... | 151 |
| 8. შედგენილი შემასმენლისა და ე.წ. აღწერილობითი ვნებითის მართლწერის ზოგი თავისებურება..... | 151 |
| 9. ზოგი რთულფუძიანი ზმნის მართლწერისათვის..... | 153 |
| სიტყვათა ფუძეში ვ ბგერის დაკარგვისა და გაჩენის ზოგი კანონზომიერება | 154 |
| ზმნიზედის მართლწერისათვის | 156 |
| ტიპობრივ სავარჯიშოთა ნიმუშები..... | 158 |
| III. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის საკითხები | 162 |
| 1. სუბიექტის (ქვემდებარის) რიცხვის ასახვა ზმნაში..... | 162 |
| 2. ობიექტის რიცხვის ასახვა ზმნაში..... | 165 |
| 3. დამოკიდებული წინადადების ნევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ ნევრთან..... | 166 |
| 4. ე.წ. სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები..... | 169 |
| 5. მიზეზისა და მიზნის გარემოებათა და მათი შემცველი წინადადებების აღრევის შესახებ..... | 170 |
| 6. სხვათა სიტყვის მართლწერა..... | 172 |
| 7. როდის გამოვიყენოთ ორმაგი უარყოფა?..... | 177 |
| 8. ნევრთა თანამიმდევრობის საკითხი წინადადებაში..... | 179 |
| 9. ზოგი ზმნური კონსტრუქციის ცვლილებათა გასათვალისწინებლად..... | 182 |
| ტიპობრივ სავარჯიშოთა ნიმუშები..... | 184 |
| IV. ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები | 188 |
| 1. ფუნქციონალური სტილისტიკის საგანი..... | 188 |
| ა) სამეცნიერო სტილი..... | 193 |
| ბ) პუბლიცისტური სტილი..... | 196 |

| | |
|---|---|
| გ) ოფიციალურ-საქმიანი სტილი | 2 |
| 2. რა არის სტილი და როგორ იქმნება ის? | 2 |
| 3. სინონიმია – როგორც სტილისტიკის საფუძველი | 2 |
| 4. ანტონიმები | 2 |
| 5. პარონიმები | 2 |
| 6. ნეოლოგიზმები და ბარბარიზმები | 2 |
| 7. ეფემერიზმები და ვულგარიზმები | 2 |
| 8. კალკები და უცხოენოვანი გავლენის ზოგი სხვა გამოვლინება | 2 |
| 9. ენობრივი კლიშე | 2 |
| 10. ტექსტი და მისი ძირითადი სტრუქტურული ნიშნები | 2 |
| ტიპობრივ სავარჯიშოთა ნიმუშები | 2 |

V. სპეციალური ტერმინოლოგია

| | |
|--|---|
| 1. სპეციალური ტერმინოლოგია და მისი მიმართება საერთო ლექსიკურ ფონდთან | 2 |
| 2. ტერმინოლოგიური ფენები და სპეციალური ტერმინთა რამდენიმე მხელი მოდელები | 2 |
| 3. ტერმინოლოგიური შესიტყვებანი | 2 |
| 4. ტერმინთა მართლწერისათვის | 2 |
| სავარჯიშოთა ნიმუშები | 2 |

VI. პუნქტუაცია

სავარჯიშოთა ნიმუშები

დანართი: საქმის ქაღალდები

ძირითადი ლიტერატურა



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. შავვაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge